წინასიტყვაობა

თითოეულ ადამიანს, რომელსაც სწამს ღმერთის არსებობა და აღიარებს, რომ ბიბლია არის მისი გამოცხადება ხალხთან, ესაჭიროება ბიბლიის საფუძვლების სერიოზული შესწავლა. მაგრამ, ბევრი, ეგრედ წოდებული, "ქრისტიანე" კმაყოფილდება კვირაობით რამდენიმე ლექსის კითხვით ახალი აღთქმიდან. ბიბლიას ისინი ჩვეულებრივ ინახავენ სადღაც დავიწყებულ ადგილას და იშვიათად ხსნიან. რასაკვირველია, ასეთ პასიურ დამოკიდებულებაში ღმერთის სიტყვასთან, ამ ხალხის ცხოვრებაში აქვს ადგილი დიდ გაუგებრობას.

მეორე მხრიდან კი, არიან ასეთი მორწმუნეებიც, რომლებსაც აქვთ ზედაპირული ცოდნა ქრისტიანობაზე, მაგრამ ისინი ცდილობენ გაერკვნენ ბიბლიაში. სამწუხაროდ, მათ ხშირად ხვდება ისეთი ამხსნელი, რომელიც გადმოსცემს მხოლოდ თავის შეხედულებას.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია წმიდა წერილის ანალიზის ჩატარება. სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც ჩვეულებრივი წიგნი და ასევე სახელმძღვანელო დაუსწრებელი კურსებისათვის შემეცნებითი მიზნით. ყოველი თავის ბოლოს მოცემულ საკითხვებზე პასუხები უნდა გამოიგზავნოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე. შემდეგ თქვენი პასუხები გადაეცემა ერთერთი სასწავლო ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელსაც ექნება პერსონალური მიმოწერა თქვენთან. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მკითხველი უკეთესად მიიჩნევს თვითონ დაგვისვას კითხვები გაურკვეველი მომენტების დასაზუსტებლად ან გამოხატავს თავის უთანხმოებას ამა თუ იმ საკითხთან. ამ შემთხვევაშიც გაიცემა პერსონალური პასუხი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიმოწერა სასურველია ჩატარდეს ინგლისურ ენაზე.

ავტორი დარწმუნებულია, რომ "ბიბლიის საფუძვლები" იქნება სრულიად გასაგები ყველა ადამიანისათვის. მაგრამ წიგნში

4 ღმერთი

შეიძლება იყოს თემები, რომლებიც არ შეესაბამებიან წმიდა წერილის მიღებულ ახსნას. ზოგიერთი მათგანი განხილულია წიგნის ნაწილში "გადახვევა", რომელიც მოცემულია ყოველი თავის ბოლოში. ვფიქრობთ, რომ "ბიბლიის საფუძვლები" გასაგები იქნება "გადახვევის" კითხვის გარეშეც, მაგრამ, შესაძლებელია, რომ სტუდენტები ბევრ დროს დაუთმობენ მის შესწავლას. მოცემულ სახელმძღვანელოში მოყვანილია ლექსები ბიბლიიდან, რომელიც წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქო გამომცემლობის წმიდა წერილის ქართულ თარგმანს (1989).

გამოვუხატავ გულწრფელ მადლობას იმ ხალხს, ვინც დამეხმარა ამ წიგნის შექმნაში. განსაკუთრებით მადლიერი ვარ კლაივ რივერსის საუკეთესო ფოტოგრაფიების სერიის მოცემისათვის. გამოვუხატავ აგრეთვე მადლობას იმ ასობით ხალხს, რომლებიც ცხოვრობენ აფრიკაში, ფილიპინებზე და აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც თავისი კითხვებითა და ჭეშმარიტების შემეცნებით მეხმარებოდნენ "ბიბლიის საფუძვლების" შექმნაში. მათი სილამაზე და სიძლიერე მხოლოდ იმატებს, როცა აკვირდები მათ სხვადასხა თვალსაზრისით. მგზავრებით გაჭედილ ვაგონში, ღია სავაჭრო პლატფორმაზე და სატვირთო ავტომანქანებში, კონფერენც-დარბაზებში, სასტუმროს აივნებზე და ტყის დასახლებაში, ვარსკვლავების შუქზე განხილული იყო ეს თემები, რომლებმაც სტუდენტების კამათი და აღტაცება გამოიწვიეს. ქრისტედელფიანელი ძმები, რომლებთანაც მე ვმუშაობდი წიგნზე, იყვნენ ჩემთვის სიძლიერისა და შთაგონების სულისჩამდგმელნი. უამრავი სტატიის შინაარსი, რომლებიც "გადახვევაში" არის მოყვანილი, დაწვრილებით იყო გარჩეული სასტუმრო ნომრებში ბიბლიის შესწავლის დაუსწრებელი კურსის სტუდენტებთან დამაუძლურებელი მეცადინეობების შემდეგ. მეგობრობა, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს ბიბლიის ძირითადი დოქტრინებით, არის ჩვენი ცხოვრების სწორუპოვარი ფაქტორი. ამრიგად, ყველა ჩემს კოლეგას ვუხდი მადლობას და ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი დაეხმარება მათ ჭეშმარიტი სახარების გამოცემაში "ყველა ერისთვის".

5 ღმერთი

ნამდვილი სახარების შესწავლა, რომელიც ბიბლიის ფურცლებზე არის გადმოცემული, მარგებელ გავლენას მოახდენს ჩვენი ცხოვრების ყოველივე მხარეს. მამაკაცი და ქალი მთელ სამყაროში შეაქებს ღმერთს, ეხლა და ყოველთვის, როგორც მას სურდა. ყველა ვინც ჰპოვებს სიმართლეს გაიგებს იერემიის გრძნობას: "ნაპოვნია შენი სიტყვები და მე ვჭამე ისინი; შვება და გულის სიხარული იყო ჩემთვის შენი სიტყვა" (იერემ 15:16). ამის მისაღწევად მიმართეთ ღმერთს ლოცვით დახმარებაში, სანამ შეუდგებით ქვემოთ მოცემულ თავების შესწავლას. "ახლა კი, ძმებო, მიგანდობთ უფალს და მისი მადლის სიტყვას, რომელსაც შეუძლია აგაშენოთ და მოგცეთ სამკვიდრებელი ყოველ გაწმედილთან ერთად" (საქ 20:32).

დ. ჰ.

შემოკლებული აღნიშვნები

ძველი აღთქმის წიგნები

დაბ - დაბადება
გამ - გამოსვლა
ლევ - ლევიანნი
რიცხვ - რიცხვნი
რჯლ - მეორე რჯული
იესო - იესო ნოვეს ძე
მსაჯ - მსაჯულნი
1 მეფ - პირველი მეფეთა
2 ნეშტ - მეორე ნეშტთა
ნეემ - ნეემია
ფსალმ - ფსალმუნნი
იგავნ - იგავნი სოლომონისა
ეკლ - ეკლესიასტე
ეს - ესაია წინასწარმეტყველი
იერემ - იერემია წინასწარმეტყველი
ეზეკ - ეზეკიელ წინასწარმეტყველი
ოს - ოსია წინასწარმეტყველი
ამოს-ამოსი წინასწარმეტყველი
მიქ- მიქა წინასწარმეტყველი
ნაუმ- ნაუმი წინასწარმეტყველი
აბაკ-აბაკუმი წინასწარმეტყველი
ზაქ-ზაქარია წინასწარმეტყველი
მალ-მალაქია წინასწარმეტყველი

ახალი აღთქმის წიგნები

მათ - მათეს სახარება
მარ - მარკოზის სახარება
ლუკ - ლუკას სახარება
იოან - იოანეს სახარება
საქ - მოციქულთა საქმეები
1პეტ-პეტრეს პირველ წერილი
2პეტ-პეტრეს მეორე წერილი
1იოან-იოანეს პირველი წერილი
2 იოან-იოანეს მეორე წერილი
3 იოან-იოანეს მესამე წერილი
რომ - რომაელთა მიმართ
1 კორ - პირველი წერილი კორინთელთა მიმართ
2 კორ - მეორე წერილი კორინთელთა მიმართ
გალ - გალატელთა მიმართ
კოლ - კოლოსელთა მიმართ
1 თეს - პირველი წერილი თესალონიკელთა მიმართ
2 თეს- მეორე წერილი თესალონიკელთა მიმართ
1 ტიმ- პირველი წერილი ტიმოთეს მიმართ
2 ტიმ- მეორე წერილი ტიმოთეს მიმართ
ებრ - ებრაელთა მიმართ
გამოცხ - იოანეს გამოცხადება

7 ღმერთი

ყოველი თავის ბოლოს მოცემულია კითხვები, რომლებიც იყოფებიან ორ სახეობად: საკითხზე პასუხის ამორჩევა და ჩვეულებრივი კითხვები, რომლებიც მოითხოვენ პასუხს რამოდენიმე წინადადებით. დაწერეთ პასუხები ცალკე ფურცელზე და მიუთითეთ გარკვეულად თქვენი სახელი, გვარი და მისამართი.
თქვენ შეგიძლიათ გამოაგზავნოთ პასუხები შემდეგ მისამართზე:

Bible Basics, **P.O. Box 152, Menai NSW 2234 AUSTRALIA**
www.carelinks.net

PREFACE TO THE GEORGIAN EDITION

The true Gospel has spread from country to country in recent years, bringing into reality the Lord's comment that the Gospel must first be preached to all nations, and then the end will come. I am very grateful to Nino Midodashvili for both translating and typing this Georgian edition, and our prayers are that the Gospel will spread in Georgia as a result of her labours. May there be a people there ready for the Lord Jesus when He returns.

Duncan Heaster
Email: dh@heaster.org

კარი 1:

“რომელიც აბარებს...
ღვთის სასუფეველს”

თავი 1

ღმერთი

1.1 ღმერთის არსებობა

“ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს და თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს” (ებრ. 11:6). ამ სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს იმ ხალხს, რომლებსაც სურთ ღმერთთან მისვლა და უკვე სწამთ, რომ “ის არსებობს”. ამიტომ ჩვენ არ შევჩერდებით ღმერთის არსებობის კითხვების განხილვაზე. როდესაც ეცმობი შენი სხეულის აგებულებას, მოხიბლული ხარ ყვავილის საოცარი ნახატით, აკვირდები ცის უსასრულო სიშორეს, ფიქრობ ამაზე და ასევე მრავალ სხვა ცხოვრების გამომჟღავნებაზე, იცილებ ნებისმიერ აზრს ათეიმზე. უფრო ძნელია დაიჯერო ღმერთის არყოფნა, ვიდრე ირწმუნო მისი არსებობა, ვინაიდან უღმერთოდ არ იქნრბოდა წესრიგი, აზრი, მიზანი და ახსნა ყველა მოვლენის, რაც მსოფლიოში ხდება. ყველაფერ ამას, უეჭველად, აქვს ადგილი ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც სთვლის თავს ათეისტად. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ხალხის უმრავლესობას სწამს ღმერთის არსებობა, თუმცა ისინი ცხოვრობენ მატერიალისტურ საზოგადოებაში.

მაგრამ, არის დიდი განსხვავება ბუნდოვან წარმოდგენასა და მყარ რწმენას შორის, იმის შესახებ, რომ ის ერთგული მსახურობისათვის მიუგებს სანაცვლოს ხალხს. “რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს.

და

თავის მაძიებელს სანაცვლოს მიაგებს” (ებრ 11:6).

ბიბლიაში ბევრი არის ნათქვამი ისრაელის ისტორიის შესახებ. არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ მათი ღმერთის არსებობის აღიარება არ თანაიზომება მათ რწმენასთან ღმერთის აღთქმის მიმართ. მათი ხელმძღვანელი მოსე ამბობდა: “ახლა შეიგნე და გულს ჩაიბეჭდე, რომ უფალი ღმერთია მაღლა ცაში და დაბლა

მიწაზე. სხვა არ არის. დაიცავი მისი წესები და ბრძანებები" (რჯლ 4:39, 40).

ეს გაფრთხილება ჩვენც გვეკუთნის: ღმერთის არსებობის ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ავტომატიურად ხელმისაწვდომი ვართ მისთვის. თუ კი ჩვენ გვწამს მისი არსებობა, ჩვენ უნდა "დავიცვათ მისი წესები და ბრძანებები". ამიტომ, ქვემოთ მოცემულ თავებში ახსნილია, რას წარმოადგენენ ეს წესები და ბრძანებები, და როგირ უნდა დავიცვათ ისინი. საჭირო პასუხის ძებნაში, ჩვენი რწმენა ღმერთის არსებობის მიმართ უფრო გაიზრდება: "რწმენა – მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა – ქრისტეს სიტყვისაგან" (რომ 10:17). ამის მსგავსად, ესაიას ლექსი 43:9–13 გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გავიგოთ ღმერთის აღთქმა: "მე ვთქვი და ვიხსენი და გამოვაცხადე, რომ არ არის თქვენს შორის უცხო ღმერთი, თქვენა ხართ ჩემი მოწმენი, ამბობს უფალი, და მე ღმერთი ვარ. დასაბამიდან მე იგივე ვარ" (ეს 43:12-13) – ესე იგი, ღვთის სახელი წარმოგვიდგება სრულიად სწორედ: "მე ვარ, რომელიც ვარ" (გამ 3:14). პავლე მოციქული მივიდა ქალაქ ბერიაში, რომელიც ამჟამად მდებარეობს ჩრდილოეთ საბერძნეთში. როგორც ყოველთვის ის ქადაგებდა წმიდა წერილს, მაგრამ ხალხი უსმენდა არამარტო მის სიტყვებს: "მათ მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა (ღმერთის და არა პავლესი), ყოველდღე არჩევდნენ წერილებს, ნამდვილად ასე თუ არისო. ბევრმა ირწმუნა მათგან" (საქ 17:11, 12). მათი რწმენა იყო განაპირობებული რეგულარული ("ყოველდღიური") და სისტემატიური ("ნამდვილად ასე თუ არისო") ბიბლიის გარჩევით. რწმენა არ მიდიოდა მათთან მოულოდნელად. რწმენა, რომელიც არ არის დამყარებული ჭეშმარიტ ბიბლიაზე, უეჭველად გამოიძახებს სიცარიელეს. ამას გრძნობდა ბევრი და ცილდება ქრისტიანურ ცხოვრებას.

ამ კურსის მიზანია გზამკვლევის შექმნა წმიდა წერილის დამოუკიდებელ და სისტემატიურ შესწავლისათვის. სახარების სიტყვისა და ჭეშმარიტი რწმენის შორის კავშირი ხშირად არის ხაზგასმული ბიბლიაში:

– “მრავალმა კორინთოელმა, მოისმინა რა, ირწმუნა და მოინათლა” (საქ 18:8);
– ხალხს “მოესმინათ სახარების სიტყვა და ერწმუნათ” (საქ 15:7);
– ”ასე ვქადაგებთ, და თქვენც ასე ირწმუნეთ” (1 კორ 15:11);
– “ეს იგავი კი ამას ნიშნავს: ის თესლი ღვთის სიტყვაა” (ლუკ 8:11);
– “უფალმა უთხრა მათ: “მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ ლელვის ხეს: აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, გაგიგონებდათ” (ლუკ 17:6);
– “ახლოა შენთან სიტყვა, შენს ბაგეში და შენს გულში” (რომ 10:8);
– “რწმენის სიტყვებით და იმ კეთილი სწავლით ნაზარდი” (1 ტიმ 4:6);
– იოანემ თავის სახარებაში თქვა: “მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ” (იოან 19:35);
– “განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით. შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა” (იოან 17:17).

1.2 ღმერთის პიროვნება

ღმერთი – რეალური პიროვნებაა, ჩვენნაირი სხეულით. ქრისტიანობის ძირითადი დოგმაა, რომ იესო არის ღვთის ძე. თუ ღმერთი არ ყოფილიყო ფიზიკური პიროვნება, მისთვის შეუძლებელი იქნებოდა შვილის ყოლა, რომელიც “მისი არსების ანარეკლია” (ებრ 1:3). ძნელია წარმოიდგინო პიროვნება ნათესაობრივი კავშირით “ღმერთთან”, როდესაც ეს “ღმერთი” ჩვენს გონებაში მხოლოდ სულის შენადედია. სამწუხაროდ, უამრავ რელიგიას აქვს ასეთი წარმოდგენა ღმერთზე.

ღმერთი იმდენად დიადია, რომ გასაგები ხდება ხალხის მისწრაფება ჰქონდეთ ისეთი რწმენა, რომელიც გამორიცხავს ღმერთის ხილვის საშუალებას. მაგრამ ასეთი რწმენა არსებობს და გამომდინარეობს ღმერთის სიტყვის რწმენისაგან: “ნეტარ არიან გულით სუფთანი,

ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ" (მათ 5:8). "ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი... ამიერიდან ღვთის შვილნი ვართ, ოღონდ ჯერ არ გამომჟღავნებულა, რანი ვიქნებით. ვიცით, რომ როცა გამომჟავნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რადგან ვიხილავთ მას, როგორც არის" (1 იოან 3:1, 2).

"და მისი (ღმერთის) მსახურები მოემსახურებიან მას. იხილავენ მის სახეს და მისი სახელი შუბლზე ეწერებათ" (გამოცხ 22:3, 4).

ეს საოცარი იმედი დიდ გავლენას მოახდენს ჩვენს ცხოვრებაზე:

"ეცადეთ იქონიოთ ყველასთან მშვიდობა და სიწმინდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს" (ებრ 12:14).

ჩვენ "ვიხილავთ მას, როგორც არის. ყოველმა, ვისაც ეს იმედა აქვს მისი, განიწმიდოს თავი, როგორც ისაა წმიდა" (1 იოან 3:2, 3).

ამ ცხოვრებაში ჩვენი წარმოდგენა მამა ზეციერზე რჩება დაუსრულებელი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიმედოვნოდ, რომ ბოლოს შევხვდებით მას. ჩვენი ფიზიკური წარმოდგენა მასზე უეჭველად დაუპირისპირდება ჩვენს გულში გატარებულ წარმოდგენას. ასე იობს უხაროდა რომ ჰქონდა პირადული კავშირი ღმერთთან, რომელსაც იგი ბოლომდე გაეცნობა უკანასკნელ დღეს: "საბოლოოდ აღიმართება მიწაზე! და როცა დაიშლება ეს ჩემი კანი, უსხეულმყოფელიც ვიხილავ ღმერთს; მე თავად დავინახავ მას და ჩემი თვალები იხილავენ, არა სხვისნი!" (იობ 19:25-27).

და პავლე მოციქულმა წამოიძახა: "ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ" (1 კორ 13:12).

ძველი აღთქმის ჩვენება

ახალი აღთქმა ქადაგებს ღმერთზე, როგორც რეალურ არსებაზე. ამრიგად, აუცილებელია ღმერთის ბუნების ცოდნა, რომ გვქონდეს რელიგიის სწორი გაგება. ძველ აღთქმაში ღმერთი მოიხსენება, როგორც პიროვნება. პირადული ურთიერთობა უფალთან, რომლის შესახებ ბევრი არის ნათქვამი ძველ და ახალ აღთქმაში არის უნიკალური მოვლენა ჭეშმარიტ ქრისტიანისათვის. ქვემოთ მოცემული მაგალითები ამტკიცებენ ღმერთის რეალურ არსებობას:

– "და თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად" (დაბ 1:26). ესე იგი ადამიანი იყო შექმნილი ღმერთის ხატად და მსგავსად. ეს სიტყვები არ ეკუთვნის ადამიანის გონებრივ გამოსახულებას, იმიტომ რომ, ბუნებრივად ჩვენი გონება სავსებით დაშორებულია ღმერთს და მრავალ ასპექტში საფუძვლიანად დაპირისპირებულია. "ჩემი ზრახვები არ არის თქვენი ზრახვები და ჩემი გზები არ არის თქვენი გზები, ამბობს უფალი. რადგან როგორც ცა არის მაღალი მიწაზე, ასევე მაღალია ჩემი გზები თქვენს გზებზე და ჩემი ზრახვები თქვენს ზრახვებზე" (ეს 55:8, 9). მაშასადამე, ხატი და მსგავსება, რომელსაც ჩვენ ვუზიარებთ ღმერთს, არის მხოლოდ ფიზიკური. როცა არ უნდა ენახათ ანგელოზები დედამიწაზე, მათ ყოველთვის აღწერდნენ როგორც ადამიანებს. მაგალითად, აბრაამმა მიიღო ანგელოზები და ეგონა რომ მის წინაშე ჩვეულებრივი ხალხია. ფაქტიდან, რომ ჩვენ ვართ შექმნილნი ღმერთის მსგავსებად, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა იმ რეალურ ობიექტზე, რომელსაც ვგევართ. და ღმერთი, რომლის ანარეკლნი ვართ არ წარმოგვიდგება ბუნდოვნად.

– ანგელოზები თვითონ არიან ღმერთის ანარეკლნი. ღმერთს შეეძლო ეთქვა მოსეს შესახებ: "პირისპირ ველაპარაკები მას, ცხადლივ... უფლის ხატებას ჭვრეტს იგი" (რიცხ 12:18). ეს ეკუთვნის ანგელოზის მითითებას მოსეს მიმართ (გამ 23:20, 21). თუ ანგელოზს ჰქონდა ღმერთის მსგავსება, ესე იგი ღმერთს აქვს ისეთივე გარეგნობა, როგორც ანგელოზს, აქედან გამომდინარე, როგორც ადამიანს, თუმცა უსასრულოდ მაღალი ბუნებით. "პირისპირ ელაპარაკებოდა უფალი მოსეს, როგორც კაცი

ელაპარაკება კაცს" (გამ 33:11; რჯლ 34:10). ღმერთი ამჟღავნებდა თავს ანგელოზებში, რომლებიც უფლის მსგავსნი იყვნენ.

– იმის გამო, რომ ჩვენ ვართ შექმნილნი ღმერთის ხატად, "მან უწყის აგებულება ჩვენი" (ფსალმ 103:14). მას სურს, რომ ვიფიქროთ მასზე, როგორც გასულიერებულ პიროვნებაზე, როგორც მამაზე რომელთანაც ჩვენ შეგვიძლია ურთიერთობა. ამით შეგვიძლია ავხსნათ უამრავი მითითება ღვთის ხელებზე, თვალებზე და ა. შ. თუ ღმერთი ყოფილიყო რაღაც არსების სული ცაში და ჩვენ ვუარყოფდით მის პიროვნებას, მაშინ ამ მითითებებს აზრი არ ექნებოდა.

– ღმერთის ადგილსამყოფელის აღწერა ადასტურებს მის პირად ადგილს: "ღმერთი ცაშია" (ეკლ 5:1); "რადგან გადმოიხედა თავისი წმიდა სიმაღლიდან უფალმა, ციდან ქვეყანა მოიხილა" (ფსალმ 102:20); "შენ მოუსმინე ციდან, შენი სამყოფელიდან" (3 მეფ 8:39). შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ, რომ ღმერთს აქვს "ტახტი" (2ნეშტ 9:8; ფსალმ 11:4; ეს 6:1; 66:1). ასეთი ენის გამოყენება რთულია სადღაც ცაში მყოფ განუსაზღვრელ პიროვნების მიმართ.
– ესაიას ლექსი 45 საკვანძო ღმერთის აღთქმით: "მე უფალი ვარ და მეტი არავინაა... მე ვარ უფალი, ამის ყოველის შემოქმედი... მე, უფალმა, შევქმენი ეს... ვაი თავის გამჩენთან მოდავეს... ჩემი ხელით გადავფინე ცა... ჩემკენ მოიქეცით და გადარჩებით, ქვეყნის ყოველი კუთხისანო". ბოლო წინადადება განსაკუთრებით ხაზს უსმევს ღმერთის არსებობას – მას უნდა, რომ ხალხი მიბრუნდეს მისკენ.

– ღმერთი გვევლინება ჩვენ როგორც ყოვლისმპატიებელი ღმერთი. პატიება კი შეუძლია მხოლოდ პიროვნებას: ეს – გონებრიული მოქმედებაა. ასე, დავითი იყო ღვთის სულის კაცი (3 მეფ 3:14). ეს გვიჩვენებს, რომ ღმერთს აქვს გონება (გული), რომლის გადაბეჭდვა ადამიანს შეუძლია გარკვეულ დონემდე, თუმცა ადამიანი თავისი ბუნებით არ ახარებს ღვთის სულს. ამგვარი ლექსი, როგორიცაა: "ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ქვეყანად, და შეწუხდა" (დაბ 6:6) გვიჩვენებს, რომ ღმერთი

ცოცხალი არსებაა, და არა აბსტრაქტული სული ატმოსფეროში, ეს დაგვეხმარება ჩვენ იმის გაგებაში, თუ როგორ შეგვიძლია საქმით მოვიგოთ მისი გული.

<u>თუ ღმერთი პიროვნება არ არის...</u>

თუ ღმერთი არ ყოფილიყო რეალური პიროვნება, ძნელი იქნებოდა სულიერების კატეგორიის გაგება. თუ ღმერთი სრულიად მართლმორწმუნეა, მაგრამ მატერიალურ სუბსტანციას არ წარმოადგენს ჩვენ არ შეგვიძლია რეალურად აღვიქვათ მისი ჭეშმარიტება. როგორც ქრისტიანობის, ასევე ებრაელიზმის გარიყულნი ამტკიცებენ, რომ ღმერთის ჭეშმარიტება შემოდის ჩვენს ცხოვრებაში ბუნდოვანი "წმიდასულის" მეშვეობით. და თუ ჩვენ ვაღიარებთ ღმერთის არსებობას, როგორც პიროვნებას – ჩვენ შევძლებთ მისი დახმარებით და მისი სიტყვების გავლენით ჩვენი ხასიათის გაუმჯობესებას.

ღმერთის მიზანია – თავი გამოამჟღავნოს უამრავ მშვენიერ არსებაში. მისი სახელი, იეღოვა ელოხიმი, ადასტურებს ამას (თარგმანში ნიშნავს "ის, ვინც იქნება ძლევამოსილი"). გასამრჯელის აღწერა მომავალ ღვთის სასუფეველში დედამიწაზე გვიჩვენებს, რომ მორწმუნეებს ექნებათ ხელშესახები სხეული, თუმცა ისინი აღარ იგრძნობენ ადამიანურ სისუსტეს. იობი წუხდა "უკანასკნელი დღის" დადგომაზე, რადგანაც მისი სხეული საბოლოოდ აღდგებოდა (იობ 19:25-27). აბრაამი ერთერთი მათგანია, ვიზეც ნათქვამია: "მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს... საუკუნო სიცოცხლისათვის" (დან 12:2), რათა მიიღოს აღთქმული ქანაანის მთელი ქვეყანა სამარადისო საკუთრებად (დაბ 17:8). "წმიდანები მისნი სიხარულით გაიხარებენ... იმხიარულონ წმიდანებმა ღირსებით, იღაღადონ თავიანთ სარეცლებზე... განუმზადონ მათ სამართალი დაწერილი" (ფსალმ 132:16; 149:5, 9). ებრაელთა და ასევე არაებრაელთა ამგვარი ნაწყვეტების არასწორედ გაგება იწვევს მცდარ წარმოდგენას "უკვდავი სულის შესახებ", როგორც ადამიანის არსებობის რეალურ ფორმაზე. ამ იდეას არ გააჩნია ბიბლიის

მხარდაჭერა. ღმერთი – უკვდავია. მისი მიზანია, მამაკაცისა და ქალის ცხოვრება მის მომავალ სასუფეველში დედამიწაზე.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს ღმერთის ან რელიგიის თაყვანისმცემლობის ან პირადული ურთიერთობის დამყარების ღმერთთან გონივრული კონცეპცია, სანამ ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ ღმერთი პიროვნებაა და არ წარმოვიდგენთ მის ფიზიკურ ხატს ღვთის სასუფეველში. ბევრის გაგება შეიძლება ნაწყვეტებიდან, სადაც ღმერთი გამოსახულია როგორც მოსიყვარულე მამა, რომელიც გვწვრთნის ჩვენ, როგორც მამა წვრთნის თავის შვილს (მაგ. რჯლ 8:5). ქრისტეს წამების კონტექსტში ვკითხულობთ, რომ "უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა" (ეს 53:10). ღმერთის აღთქმას დავითის თესლის შესახებ, რომელიც იქნება ღვთის შვილი, სჭირდებოდა საოცარი ადამიანის გაჩენა. ღმერთი რომ არ ყოფილიყო პიროვნება, ის ვერ შეძლებდა შვილის შექმნას. ღმერთის სწორი გაგება საჭიროა ბიბლიის სხვადასხვა ცხოვრებისეული ასპექტების გაგებისათვის ბიბლიის მოძღვრების დარგში. მაგრამ, როგორც ერთ ტყუილს მოჰყვება მეორე, ასევე არასწორე წარმოდგენა ღმერთზე ჩრდილს აგდებს წმიდა წერილის ჭეშმარიტებას. თუ თქვენ ჩათვალით წიგნის ამ ნაწილს დამაჯერებლად ან ნაწილობრივ დამაჯერებლად, მაშინ დაისმევა კითხვა: "ნამდვილად თუ იცნობთ ღმერთს?" ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ბიბლიის მოძღვრებას მის შესახებ.

1.3 ღმერთის სახელი და ხასიათი

თუ ღმერთი არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მან დაამუშავა რამენაირი ხერხი, რათა გვაცნოს ჩვენ თავის თავის შესახებ. ჩვენ გვწამს, რომ ბიბლია არის მისი გამოცხადება ხალხთან და, რომ მასში ჩვენ ვხედავთ ღმერთის ხასიათს. ამიტომ ღმერთის სიტყვა მისი "თესლია" (1 პეტრ 1:23), რადგანაც თუ ის ახდენს გავლენას ჩვენს გონებაზე, ჩვენში იქმნება ახალი არსება, რომელსაც აქვს ღმერთის დახასიათება (იაკ 1:18; 2 კორ 5:17). აქედან

გამომდინარე, რაც უფრო მეტ ღვთის სიტყვას ვითვისებთ, მით უფრო "თავისი ძის ხატების მსგავსად" ვხდებით (რომ 8:29), რომელიც ხასიათით ღმერთის უმწიკვლო ხატებაა (კოლ 1:15). ამით ფასდება ბიბლიის ისტორიული ნაწილები; ისინი სავსე არიან თხრობით, თუ როგორ მიმართავდა ღმერთი ხალხს, რომლებიც ერთა და იმავე ძირითად დახასიათებას ამჟღავნებდნენ.

ძველებრაელურ ენაში ადამიანის სახელი მეტყველებდა მის ხასიათზე ან იძლეოდა ინფორმაციას მის შესახებ. ზოგიერთი მაგალითი:

"იესო" = "მხსნელი", – რადგან "იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან" (მათ 1:21).
"აბრაამი" = "უამრავ ხალხთა მამა" – "უამრავ ხალხთა მამად გაქცევ" (დაბ 17:5).
"ევა" = "ცოცხალი" – "რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა" (დაბ 3:20).
"სიმონი" = "მსმენელი" – "უესმა უფალს, რომ მოძულებული ვარ, და მომცა ესეც" (დაბ 29:33).

აქედან გამომდინარე, ღმერთის ტიტულები და სახელები იძლევიან ფართო ინფორმაციას მის შესახებ. რადგან არსებობს უამრავი ასპექტი უფლის ხასიათში, ფაქტიურად მას სახელი აქვს. ღმერთის სახელის დაწვრილებითი შესწავლა სასურველია ნათლობის მიღების შემდეგ. ღმერთის სახელში გამოხატული ხასიათის შესწავლა უნდა იწარმოებოდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ქვემოთ მოცემული ცნობები წარმოადგენენ მხოლოდ წინასიტყვაობას ამ თემის შესახებ.

როდესაც მოსემ ისურვა დაწვრილებით გაეგო უფლის შესახებ, რათა მყარედ ყოფილიყო რწმენაში, ანგელოზმა: "ახსნა უფლის სახელი. ჩაიარა უფალმა მის წინ და შეჰღაღადა მოსემ: უფალო, უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო. შემნახავო სიყვარულისა ათასთა მიმართ, დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო და შურისმგებელო" (გამ 34:5-7).

ეს – აშკარა მტკიცებაა, რომ ღვთის სახელი მის ხასიათს ამჟღავნებს. აქედან გამომდინარე, ღმერთი – პიროვნებაა, რადგან სულს არა აქვს ხასიათის ასეთი კვალი.

ღმერთმა აირჩია ერთი განსაკთრებული სახელი, რომლითაც მას სურდა ყოფილიყო ცნობილი და რომლითაც ხალხი მოიხსენიებდა მას; ეს – მისი განზრახვების შეჯამებაა. ისრაელიანები მონებად იყვნენ ეგვიპტეში და ესაჭიროებოდათ ღმერთის შეხსენება მათ შესახებ. მოსეს ევალებოდა ეთქვა მათთვის უფლის სახელი, რათა იგი დაეხმარებოდა ეგვიპტედან გამოსვლაში და ლაშქრობაში აღთქმული ქვეყნისაკენ (შდ. 1 კორ 10:1). ნათლობის მიღებამდე ჩვენ ასევე უნდა შევიტყოთ ღმერთის სახელის ძირითადი პრინციპები. უფალმა განუცხადა ისრაელიანებს, რომ მისი სახელი იეღოვა არის, რაც ნიშნავს "მე ვარ, რომელიც ვარ" (გამ 3:13-15). შემდეგ ეს სახელი ცოტა გაფართოებული იყო: "კვლავ უთხრა ღმერთმა მოსეს: ასე უთხარი ისრაელიანებს: უფალმა, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა, აბრაამის ღმერთმა, ისაკის ღმერთმა, იაკობის ღმერთმა... ეს არის ჩემი სახელი უკუნითი უკუნისამდე, ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე" (გამ 3:15). აქედან გამომდინარე, ღმერთის სრული სახელი "**უფალი** ღმერთი" არის. ძველი აღთქმა ძირითადად ძველებრაელურ ენაზე იყო დაწერილი და ნებისმიერი თარგმანი უშვებს ბევრ დეტალს, როდესაც საქმე ეხება "ღმერთის" აღმნიშვნელ სიტყვებს. ერთერთი გავრცელებული ძველებრაელური სიტყვა, რომელიც ითარგმნება როგორც "ღმერთი" არის სიტყვა "ელოჰიმი", რაც "ძლევამოსილს" ნიშნავს. ესე იგი სახელი, რომლითაც ღმერთს სურს, რომ ჩვენ მოვიხსენიოთ იგი არის

იეღოვა ელოჰიმი

რაც ნიშნავს

ის ვინც გამოჟღავნდება ძლევამოსილთა ჯგუფში.

ამიტომ, ღმერთის განზრახვა არის მისი ხასიათისა და არსების გამომჟღავნება ხალხთა დიდ ჯგუფში. ღმერთის სიტყვის

მორჩილებით ჩვენ შეგვიძლია უფლის რომელიმე თვისება გავანვითაროთ ჩვენში. მაგრამ, ღმერთის სახელი არის იმ დროის წინასწარმეტყველება, რომელიც მაშინ დადგება, როდესაც დედამიწა შეივსება ღვთისებული ხასიათისა და ბუნების ხალხით (შდ. 2 პეტრ 1:4). თუ ჩვენ გვინდა გავხდეთ უკვდავნი და გვქონდეს მარადიული სიცოცხლე, ჩვენ უნდა ასოციაციით დავუკავშირდეთ მის სახელს. ამისათვის ჩვენ უნდა მივიღოთ ნათლობა (მათ 28:19). ამით ჩვენ ასევე გავხდებით აბრაამის (“თესლის”) შთამომავლები (გალ 3:27-29), რომელთაც აღთქმული ჰქონდათ წუთისოფლის მემკვიდრეობა (დაბ 17:8; რომ 4:13), – “ძლევაამოსილთა” (“ელოხიმ”) ჯგუფით, რომელშიც გამოსახულია ღვთის სახელის წინასწარმეტყველება. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ნათქვამია თავში 3.

1.4 ანგელოზები

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ანგელოზების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი:

– არიან ფიზიკური არსებები,
– რომლებსაც აქვთ ღვთის სახელი,
– არხები, რომლის მეშვეობით ღვთის სული ახორციელებს თავის ნებას,
– მისი ხასიათისა და განზრახვების შესაბამისად,
– და თან მას წარმოადგენენ.

როგორც უკვე ვთქვით ნაწილში 1.3, ერთერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვა, რომელიც ითარგმნება, როგორც “ღმერთი” არის “ელოხიმი”, რაც ნიშნავს “ძლევამოსილი”. ძირითადი ბიბლიური ტრაქტატი გვეუბნევა, რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი (რჯლ 6:4;
ეს 45:5; 1 კორ 8:4; ეფეს 4:6). ამ “ძლევამოსილნს” შესაძლოა ნამდვილად ერქვათ ღმერთი, მათი ახლო კავშირის გამო. ამ არსებებს ეწოდებათ ანგელოზები.

სამყაროს ქმნილების აღწერაში (დაბ 1) წერია, რომ უფალმა წარმოთქვა გარკვეული მითითებანი და "იქმნა ასე". მითითებებს ახორციელებდნენ ანგელოზები:

"ადიდეთ უფალი, ანგელოზნო მისნო; ძალით ძლიერნი მისი სიტყვის შემსრულებელნი, ემორჩილებიან მის ნათქვამს" (ფსალმ 103:20).

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ "ღმერთის მიერ" სამყაროს შექმნა განხორციელდა ანგელოზთა მეშვსობით. იობის ლექსებში 38:4-7 ასევე არის ნათქვამი ამის შესახებ. ახლა შევაჯამოთ სამყაროს შექმნის მოვლენები, რომლებიც აღწერილნი არიან დაბადება 1:

დღე პირველი: "და თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი" (ლქ. 3)
დღე მეორე: "და თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი და გაჰყაროს წყლები. გააჩინა ღმერთმა მყარი და გაჰყარა ერთმანეთისაგან წყალი, რომელიც არის მყარს ქვემოთ, და წყალი, რომელიც არის მყარს ზემოთ. და იქმნა ასე" (ლქ. 6, 7).
დღე მესამე: "და თქვა ღმერთმა: შეგროვდეს ერთგან ცისქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე" (ლქ. 9).
დღე მეოთხე: "და თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე... და იქმნა ასე" (ლქ. 14, 15).
დღე მეხუთე: "და თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოს. და იქმნა ასე. შექმნა ღმერთმა დიდი თევზები და ყოველივე სულდგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, და ყველა ფრთოსანი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით" (ლქ. 20, 21).
დღე მეექვსე: "თქვა ღმერთმა: წარმოშვას მიწამ სულდგმული თავ-თავისი გვარისდა მიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის

მხეცები თავ – თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე" (ლქ. 24).

ადამიანი შეიქმნა იმავე მეექვსე დღეს. "თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად" (დაბ 1:26). ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ ლექსის შესახებ ნაწილში 1.2. ახლა კი გვინდა შეგახსენოთ, რომ სიტყვა "ღმერთი" არ ეკუთვნის თვით ღმერთის პიროვნებას – ფრაზა "გავაჩინოთ კაცი" გვიჩვენებს, რომ სიტყვა "ღმერთი" ეკუთვნის ადამიანს. ძველებრაელურ ორიგინალში არის გამოყენებული სიტყვა "ელოხიმი", რაც ნიშნავს "ძლევამოსილი" და შეესაბამება ანგელოზს. ის ფაქტი, რომ ანგელოზებმა შეგვქმნეს ჩვენ თავის ხატად, ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ ასეთივე გარეგნობა, როგორც ჩვენ. ამიტომაც ისინი არიან რეალური არსებები ღვთის ბუნებით.

თვით სიტყვა "ბუნება" მნიშვნელობით ეკუთვნის მათ ფიზიკურ სტრუქტურას, ხასიათსა და განზრახვებს. ბიბლიაში საუბარია ორ "ბუნების" შესახებ. თვით სიტყვის მნიშვნელობით კი შეუძლებელია გვქონდეს ორი ბუნება ერთდროულად.

ღვთიური ბუნება
ცოდვას არ იდენს (უმწიკვლოა) (რომ 9:14; 6:23; შდ. ფსალმ 90:2; მათ 5:48; იაკ 1:13);
უკვდავია (1 ტიმ 6:16);
სავსეა ძალითა და ენერგიით (ეს 40:28).

ეს – ღმერთისა და ანგელოზების ბუნებაა. ეს ბუნება გადაეცა იესოს აღდგომის შემდეგ (საქ 13:34; გამოცხ 1:18; ებრ 1:3). ეს ბუნება მოცემულია აღთქმაში ჩვენს მიმართ (ლუკ 20:35, 36; 2 პეტ 1:4; ეს 40:28, შდ. 31).

ადამიანური ბუნება
აქვს მიდრეკილება ცოდვისაკენ (იაკ 1:13-15) უკურნავი გონებით (იერემ 17:9; მარკ 7:21-23);

სასიკვდილოთ არის განწირული (რომ 5:12, 17; 1 კორ 15:22); აქვს ძალზე შეზღუდული ძალა, როგორც ფიზიკური, ასევე გონევრული (იერემ 10:23).

ეს ის ბუნებაა, რომელიც ყველას აქვს – ცუდსა და კარგს. ამ ბუნების დასასრული – სიკვდილია (რომ 6:23). ადამიანის ბუნება ჰქონდა იესოს თავისი მიწიერი ცხოვრების განმავლობაში (ებრ 2:14-18; რომ 8:3; იოან 2:25; მარკ 10:18).

სამწუხაროდ, სიტყვა "ბუნება" საკმაოდ ბუნდოვანია: ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ იგი ასეთ წინადადებებში: "ჯონის აქვს კარგი ბუნება", რაც იმას ნიშნავს, რომ ცუდათ მოქცევა მას არ შეჰფერის; თუმცა შესაძლოა იგი ძალიან ამაყობდეს თავისი ავტომობილით, რაც შეესაბამება ადამიანის ბუნებას. მაგრამ ეს ის მნიშვნელობა არ არის, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ სიტყვა "ბუნების" ქვეშ.

რადგანაც ანგელოზებს აქვთ ღვთის ბუნება, ისინი უცოდვილნი უნდა იყვნენ და ამიტომაც უკვდავნი, ვინაიდან ცოდვას მოსდევს სიკვდილი (რომ 6:23). მათ უნდა ჰქონდეთ არსებობის ფიზიკური ფორმა. ამიტომაც ანგელოზები გამოიყურებოდნენ როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, როდესაც გამოჩნდნენ დედამიწაზე:

– ანგელოზები მივიდნენ აბრაამთან, რომ გადაეცათ ღვთის სიტყვა. ისინი აღწერილნი არიან როგორც "სამი კაცი", რომლებთაც აბრაამი ექცეოდა როგორც ადამიანებს: "მცირეოდენ წყალს მოვატანინებ და ფეხს დაგბანენ, მერე მოისვენეთ ხის ჩრდილში" (დაბ 18:4).

– ორნი, ამ ანგელოზთა შორის შემდეგ მივიდნენ ლოტთან, ქალაქ სოდომში, და ისევე იყვნენ მიღებულნი, როგორც ადამიანები, ლოტითა და სოდომის მაცხოვრებლებით. "მივიდა ორი ანგელოზი სოდომში", და მიიწვია ლოტმა ისინი შინ. მაგრამ სოდომის მაცხოვრებელნი მივიდნენ მის სახლთან და ჰკითხეს დამუქრებით:

“სად არიან ის კაცები, წუხელ რომ გესტუმრნენ?” ლოტი შეევედრა მათ: “ნუ იზამთ ბოროტებას, ძმებო!” ანგელოზები აღწერილნი არიან ასევე როგორც “კაცნი”: “გამოიწოდეს ხელი სტუმარმა კაცებმა და გადაარჩინეს ლოტი: “უთხრეს იმ კაცებმა ლოტს... უნდა გავანადგუროთ” სოდომი (დაბ 19:1, 5, 8, 10, 12, 13).

– ახალი აღთქმის კომენტარი ამ ორი შემთხვევის შესახებ ამტკიცებს, რომ ანგელოზებს აქვთ ადამიანის გარეგნობა: “სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთებს (აბრაამსა და ლოტს) ანგელოზებისათვის გაუწევიათ სტუმართმოყვარეობა და არ სცოდნიათ” (ებრ 13:2).

– იაკობი მთელი ღამე ებრძოდა ვიღაც კაცს (დაბ 32:24), რომელიც ანგელოზი იყო (ოს 12:4).

– ორი ადამიანი მოელვარე სამოსით ესწრებოდნენ იესოს აღდგომას (ლუკ 24:4) და ამაღლებას (საქ 1:10). ისინი ანგელოზები იყვნენ.

– მიაქციეთ ყურადღება ამ სიტყვების ფარულ მნიშვნელობას: “კაცის საზომით, რომელიც ანგელოზისაა” (გამოცხ 21:17).

<u>ანგელოზები ცოდვას არ იდენენ</u>

რადგანაც ანგსლოზებს აქვთ ღვთიური ბუნება, მათ არ შეუძლიათ სიკვდილი. ცოდვას სიკვდილი მოჰყვება, აქედან გამომდინარე, მათ არ შეუძლიათ ცოდვის ჩადენა. ნამდვილი ბერძნული და ძველებრაელური სიტყვა, ნათარგმნი როგორც ანგელოზი, ნიშნავს “მაცნეს”. ანგალოზები მაცნენი და ღმერთის მსახურნი არიან, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიფიქროთ მათზე როგორც ცოდვილნზე. ასე, ბერძნული სიტყვა aggelos, რომელიც ითარგმნება როგორც “ანგელოზები”, შესაძლოა ასევე ნათარგმნი იყოს სიტყვით “მაცნენი”, როდესაც ვგულისხმობთ ხალხს, მაგალითად, იოანე ნათლისმცემელს (მათ 11:10) და მის მაცნენს (ლუკ 7:24); იესოს

მაცნენი (ლუკ 9:52) და ხალხი, რომლებმაც მიაკვლიეს რახაბი (იაკ 2:25). შესაძლებელია, რომ "ანგელოზები" ადამიანის მაცნენის მნიშვნელობით ცოდვას იდენენ.

შემდეგი ნაწყვეტები აშკარად გვიჩვენებენ, რომ ყველა ანგელოზი ემორჩილება ღმერთს და ამიტომ არ შეუძლია ცოდვის ჩადენა:

"უფალმა ცაში დაიდგა ტახტი თვისი და მეუფება მისი ფლობს ყოველივეს (ესე იგი, ცაში შეუძლებელია იყოს აჯანყება ღვთის წინააღმდეგ). ადიდეთ ღმერთი, ანგელოზნო მისნო, ძალით ძლიერნი, მისი სიტყვის შემსრულებელნი, ემორჩილებიან მის ნათქვამს. ადიდეთ უფალი, ყოველნო სპანო მისნო, მსახურნო მისნო, მისი ნების შემსრულებელნო". (ფსალმ 103:19-21).

"ადიდეთ იგი, ყოველნო ანგელოზნო მისნო, ადიდეთ იგი, ყოველნო ძალნო მისნო" (ფსალმ 148:2).

"განა ყველანი მომსახურო სულები არ არიან, მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს?" (ებრ 1:14).

სიტყვა "ყოველნის" გამეორება გვიჩვენებს, რომ ანგელოზები არ იყოფიან ორ ჯგუფად – კარგ და ცუდ. ანგელოზთა ბუნების გაგების მნიშვნელობა იმასშია, რომ ერთგულების ჯილდო – მათ ბუნებასთან შეერთებაა: "ხოლო, ვინც ღირსნი არიან მოიპოვონ ის საუკუნე და მკვდრეთით აღდგომა, არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან. ვინაიდან აღარც სიკვდილი შეუძლიათ მათ, რაკი ანგელოზთა სწორნი არიან" (ლუკ 20:35, 36). ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ანგელოზეს შეუძლიათ ცოდვის ჩადენა, ესე იგი ისინი, ვინც ღირსეულნი იქნებიან ქრისტეს მოსვლისას, ასევე ჩაიდენენ ცოდვას, და რადგანაც ცოდვას მოჰყვება სიკვდილი (რომ 6:23), მათ არ ექნებათ მუდმივი ცხოვრება. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ანგელოზები ცოდვას იდენენ, ღვთის აღთქმას მარადიული სიცოცხლის შესახებ ეკარგება

ყოველივე ძალა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ჯილდო – ანგელოზთა ბუნების გაზიარებაა.

თუ ანგელოზებს შეეძლოთ ცოდვის ჩადენა, ღმერთი ვერ შეძლებდა გავლენის მოხდენას ჩვენს ცხოვრებაზე, რადგანაც მან თქვა, რომ ყველა მისი ქმნილება იწარმოება მის ანგელოზთა მეშვეობით (ფსალმ 103:4). ისინი – "ღვთის მიერ შექმნილი სულები არიან". ამიტომ შეუძლებელია ფიქრი იმაზე, რომ ანგელოზებს შეუძლიათ არ დაემორჩილონ ღმერთს. ქრისტიანებმა ყოველდღე უნდა ილოცონ ღვთის სასუფეველის მოსვლაზე, რომ იყოს ნება მისი როგორც ცაში, ასევე დედამიწაზე (მათ 6:10). თუ ღვთის ანგელოზებს მეტოქეობა გაეწიათ იქ ცოდვილ ანგელოზებთან, მაშინ მისი ნება არ განხორციელდებოდა სავსებით და, ამიტომ, ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა მომავალ სასუფეველშიც. ხოლო მარადისობის გატარება სამყაროში, სადაც მუდმივად იქნება ბრძოლა ცოდვასა და მორჩილების შორის – არ არის მიმზიდველი პრესპექტივა.

<u>ანგელოზები და მორწმუნეები</u>

არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი გვწამდეს, რომ ყოველივე მორწმუნეს ჰყავს ანგელოზი, რომელიც ეხმარება მას ცხოვრებაში:

– "დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა მის მოშიშთა ირგვლივ და გადაარჩენს მათ" (ფსალმ 34:8).

– "...ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს (ე. ი. სუსტ მოციქულებს – ზაქ. 13:7; შდ. მათ 26:31)... მათი ანგელოზები ზეცაში ყოველთვის ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს" (მათ 18:6, 10).

– ქრისტიანებს მტკიცეთ სწამთ, რომ პავლეს ჰყავდა დამცველი – ანგელოზი (საქ 12:14, 15).

– ისრაელიანებმა გადაიარეს წითელი ზღვა და ანგელოზს მიჰყავდა ისინი უდაბნოში. წითელი ზღვის გადასვლა ნიშნავს წყლით

ნათლობას (1 კორ 10:1), და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენც ასევე ვიმყოფებით ანგელოზთა მფარველობის ქვეშ.

თუ ანგელოზები ცოდვილნი ყოფილიყვნენ, მათი დახმარება ჩვენთვის წყევლა იქნებოდა და არა ლოცვა. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ანგელოზები არიან არსებები...

– ღვთიური ბუნებითა და გარეგნობით,
– რომლებსაც არ შეუძლიათ ცოდვის ჩადენა,
– რომლებიც ყოველთვის ასრულებენ ღვთის ნებას,
– და არიან არხები, რომლის მეშვეობით მოქმედებს ღვთის სული (ფსალმ 104:4).

მაგრამ..?

უამრავი "ქრისტიანული" ეკლესია თვლის, რომ ანგელოზებს შეუძლიათ ცოდვის ჩადენა და რომ ამჟამად არსებობენ ცოდვილი ანგელოზები, რომლებიც აგებენ პასუხს ცოდვებზე და მიწიერ პრობლემებზე. ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრებთ მოგვიანებით, ახლა კი ვიტყვით შემდეგს:

– შესაძლებელია, რომ ჩვენს სამყარომდე არსებობდა სხვა სამყარო, რომლის შესახებ ნათქვამია დაბ 1. შესაძლებელია ასევე, რომ ახლანდელი ანგელოზები სიკეთისა და ბოროტების შესახებ შეცნობილნი არიან (დაბ 3:5), იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ისეთივე სიტუაციაში, როგორშიც ჩვენ ვართ ამჟამად. არ არის გამორიცხული, რომ იმ საუკუნის მცხოვრებ ზოგიერთ არსებას აქვს ჩადენილი ცოდვა; მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია. ბიბლია გვაცნობს ჩვენ იმას, რაც უნდა ვიცოდეთ ახლანდელ გარემოს შესახებ, რომელიც გამორიცხავს ცოდვილ ანგელოზთა არსებობას.

– ცოდვილი არსებების ყოფნა ცაში შეუძლებელია, რადგან ღვთის სუფთა სახედველნს არ ახასიათებს ბოროტებისა და სიავის ჭვრეტა (აბაკ 1:13). ასევე ფსალმუნი 5:5 ამბობს: "ბოროტება ვერ

დაისადგურებს შენთან. ვერ დადგებიან ქედმაღალნი შენს წინაშე". ასე რომ, ღმერთის მიმართ ანგელოზთა ავჯანყების აზრი უპირისპირდება ამ ნაწყვეტებს.

– ბერძნული სიტყვა "Angel" ნიშნავს "მაცნენს" და, როგორც უკვე ვთქვით, შესაძლოა ეკუთვნოდეს ხალხს. ასეთ ადამიანურ "მაცნენს", რასაკვირველია, შეუძლია ცოდვის ჩადენა.

– ბოროტების, ცოდვილ ანგელოზების არსებობა, რომლებსაც ედებათ ბრალი ჩვენი ცხოვრების ყველა ნეგატიური მოვლენების დროს, წარმოადგენს ერთერთ ყველაზე გავრცელებულ თქმულებას წარმართობაში. წარმართული თქმულებები შობის შესახებ გარკვეული ზომით ქრისტიანობაშიც შემოვიდნენ.

– არსებობს რამდენიმე ბიბლიური ნაწყვეტი, რომლებიც შესაძლოა არასწორედ აღწერავენ ანგელოზთა არსებას. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ არის ნათქვამი გამოცემაში "ეშმაკის ძებნაში", რომლის მიღება შესაძლოა გამომცემელთან. მოცემულ ნაწყვეტებს არ შეუძლიათ უარყონ ის უამრავი მტკიცება, რომელიც გვაქვს ბიბლიაში ანგელოზთა შესახებ.

გადაწვევა 1: "ღმერთი სულია" (იოან 4:24)

მეორე თავში ჩვენ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ღვთის სულზე. ახლა შეგვიძლია შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობები ამგვარად: ღვთის სული არის ღმერთის ძალა და სუნთქვა, მის მოქმედებით ღმერთი გამოხატავს თავის ხასიათს. რადგანაც ღვთის სული გამოხატავს მის პიროვნებას, ფრაზა "ღმერთი სულია" (იოან 4:24) სათანადოდ უნდა იყოს ნათარგმნი.

ღმერთს მრავალი განსაზღვრა გააჩნია, მაგალითად:

> "ჩვენი ღმერთი არის ცეცხლი შთანთქმელი" (ებრ 12:29);

> “ღმერთი არის ნათელი” (1 იოან 1:5);
> “ღმერთი სიყვარულია” (1 იოან 4:8);
> “ღმერთი იყო სიტყვა” (ბერძნული “logos”– გეგმა, განზრახვა, იდეა) (იოან 1:1).

ამრიგად, “ღმერთი არის” მისი დახასიათება. სრულიად არასწორეა იმის მტკიცება, რომ სიყვარულის აბსტრაქტული გაგება – “ღმერთია”, მხოლოდ იმიტომ, რომ “ღმერთი სიყვარულია”. ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ვინმეს “სიკეთის განსახიერება”, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ვინმე არ არის ფიზიკური არსება.

რადგანაც სული ღვთის ძალაა, ჩვენ ხშირად ვკითხულობთ, რომ ღმერთი გზავნის თავის სულს მიზნის მისაღწევად საკუთარი ნებისა და ხასიათის შესაბამისად. ღმერთზე ნათქვამია, რომ მან შექმნა სული (ამოს 4:13). იმის თქმა, რომ ღმერთი სულია, ნიშნავს თვით ღმერთის უარყოფას. არსებობს უამრავი მაგალითი, რომელიც ადასტურებს ღვთის სულის მართვას ღმერთის მიერ: “თავისი წმიდა სულის ჩამდგმელი მათ წიაღში” (ეს 63:11);

> “დავსდებ მასზე (იესოზე) სულს ჩემსას (ღვთისას)” (მათ 12:18);
> “წმიდა სულს მისცემს მამა თქვენი ზეციერი” (ლუკ 11:13);
> “ვიხილს სული, მტრედივით გადმომავალი ზეცით” (იოან 1:32);
> “ამბობს ღმერთი, მოვაფენ ჩემი სულისაგან ყველა ხორცს” (საქ 2:17).

სინამდვილეში, ხშირი ხსენება “ღვთის სულისა” უკვე ადასტურებს იმას, რომ სული თვით ღმერთი არ არის. ეს სხვაობა ღმერთისა და ღვთის სულის შორის სიძნელეს წარმოადგენს მათთვის, ვისაც სწამს “სამების”, რომელშიც ღმერთი, იესო და წმიდასული ერთ პიროვნებად არის წარმოდგენილი. თუ ეს ნამდვილად ასეა და ღმერთი არ არის პიროვნება, ესე იგი იესოც არ არის პიროვნება ამ სიტყვის სრული განმარტებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უპიროვნებო ღმერთი ქმნის ჩვენს ლოცვას სისულელეთ, რადგან ლოცვა – დიალოგია ჩვენი გონებისა და ღმერთის შორის. ჩვენ ყოველთვის გვახსენებენ, რომ ჩვენ ლოცვით მივმართავთ ღმერთს, რომელსაც აქვს ფიზიკური ადგილსამყოფელი ცაში (ეკლ 5:1; მათ 6:9; 5:16; 3 მეფ 8:30) და რომ იესო ამჟამად მის გვერდითაა (1 პეტ 3:21; ებრ 9:24). თუ ღმერთი პიროვნება არ არის, ამ ლექსებს ეკარგებათ აზრი. მაგრამ, როგორც კი ჩვენ წარმოვიდგენთ ღმერთს რეალურად, ჩვენი ლოცვა მის მიმართ ცოცხლდება და ფაქტიურად დიალოგად გადაიქცევა იმ სხეულთან, ვისიც ჩვენ გვწამს.

გადაწვევა 2: ღმერთის სახელის გამოყენება

როგორც ვხედავთ, ღმერთისა და მის ძის იესოს სახელს აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ღვთის სახელი არ უნდა გამოიყენებოდეს როგორც უბრალო ჩამსმელი სიტყვა ან გაღიზიანების გამოსახატავად, ეს შეურაცხყოფის მიყენება იქნებოდა მისთვის. ამ მიზეზის გამო, ყველამ, ვისაც სურს ასიამოვნოს ღმერთს და პატივი სცეს მას, არ უნდა გამოიყენოს ფუჭად მისი სახელი. სამყაროს უამრავ საზოგადოებაში ეს შებილწვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

რასაკვირველია, გულწრფელი ლოცვა ღვთის დახმარების შესახებ არ იქნება შეუტყობელი მისთვის. ასევე, ვინც იმყოფება ჩვენს ყურადღებისა და კონტროლის სფეროში, მაგალითად, ბავშვებს უნდა მივცეთ შენიშვნა შებილწვის სერიოზულობის შესახებ: "რადგან არ დაინდობს უფალი თავისი სახელის ფუჭად მხსენებელს" (რჯლ 5:11).

მეორე მხრიდან, არსებობს ხალხი, რომელიც დაჟინებით მოითხოვს ძველებრაელურ სიტყვების იეღოვა და იახვეს მარადიულ გამოყენებას, როდესაც საუბარი მიდის ღმერთის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ისინი ამბობენ, ჩვენ ვუშვებთ

უხეშ შეცდომას. ამის მომხრენი იეღოველები არიან, რომლებიც თვლიან, თუ ქრისტიანელი არ უწოდებს თავის თავს "იეღოვას მოწმედ", მას არ ექნება ნათესაობრივი კავშირი ღმერთთან.

ამგვარი საქციელით, ეს ხალხი იყენებს ღვთის წმიდა სახელს სულიერი ელიტიზმის გასაღვივებლად. ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ღვთის სახელის გამოყენება ცუდი საქმეა; იგი განსაკუთრებით შეესაბამება ჩვენს პირად ლოცვებს. მაგრამ ახალ აღთქმაში არ არის რაიმე მითითება იმის შესახებ, რომ ეს აუცილებელი და სასურველია ღმერთისათვის. ახალი აღთქმა დაწერილი იყო ბერძნულ ენაზე და ღვთისათვის გამოყენებული იყო მხოლოდ ერთი სიტყვა – "theos", რაც ნიშნავს "დიადი". აქ არ არის რაიმე სხვაობა "ღმერთისა" და "იეღოვას" სიტყვების შორის. აქ არ გვხვდება ასევე რაიმე სპეციალური მითითება იმის შესახებ, თუ რა უნდა ეწოდოს ქრისტიანულ თემს. პეტრე ამბობს მორწმუნე ადამიანის შესახებ, როგორც "ქრისტიანზე" და არა როგორც "იეღოველ ადამიანზე" ან რომელიმე სხვა ახლომდგომ წოდებით (1 პეტ 4:16). სახელ "იეღოვას" ხშირ გამოყენებას მოჰყვება უფალი იესოს საქმეების გაუფასურება. ამის ასგავსად, უამრავვი "სახარებისეული ქრისტიანე" დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უფალ იესოს სახელსა და ადგილსამყოფელს, და არ აქცევს კუთვნილ ყურადღებას ღმერთის უფრო ძლიერ ადგილს.

სხვა დასახელებები, რომლებსაც მორწმუნე ქრისტიანები ხმარობდნენ საკუთარი თავის მიმართ, "იეღოვას" სახელის გარდა:

– "ისრაელის მოქალაქეობა" (ეფეს 2:12);
– "მოზეიმე საკრებული და პირმშოთა ეკლესია" (ებრ 12:23);
– "უფლისა და ღმრთის ეკლესია" (საქ 20:28);
– "ეკლესია ცოცხალი ღმერთისა, ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე" (1 ტიმ 3:15);
– "ღმრთის სახლი" (1 ტიმ 3:15).

გადაწვევა 3: ღმერთის გამომჟღავნება

ქვემოთ მოცემული გადახვევა ადვილი გასაგები არ იქნება პირველივე კითხვის დროს, მაგრამ ამ საკითხის განხილვის დიდი მნიშვნელობა უფრო გამომჟღავნდება ჩვენ მომდევნო მეცადინეობებში. ამ საკითხის განხილვის შემდეგ ჩვენ გვექნება სრული წარმოდგენა ბიბლიის ძირითად აღთქმაზე, თვით ღმერთზე.

ღმერთის სახელის ტარება შეუძლია ყველას ვისი მეშვეობით მას სურს თავის "გამომჟღავნება" ან გამოჩენა. ასე რომ, ხალხს და ანგელოზებს, ასევე როგორც იესოს, შეუძლიათ ღვთის სახელის ტარება. ამ მნიშვნელოვან პრინციპს ჩვენ ბიბლია გვიხსნის. მაგალითად, შვილს შესაძლოა ჰქონდეს მამის სახელი; მას გააჩნია გარკვეული მსგავსება მამასთან. ასევე კომპანიის წარმომადგენელს შეუძლია საუბარი თავისი კომპანიის სახელით; მას შეუძლია დაურეკოს ვინმეს და უთხრას: "ეს "უნილევერია", რადგანაც იგი მუშაობს ამ წოდების მქონე კომპანიაში, თუმცა თვითონ მისტერ უნილევერი არ არის. ასევე იესოს მიმართ.

<u>ღვთის სახელის მქონე ანგელოზები</u>

როგორც ნათქვამია გამ 23:20, 21, ღმერთმა უთხრა ისრაელის ხალხს, რომ მათ ანგელოზი გაუძღვება. "მასშია ჩემი სახელი", იყო ნათქვამი. ღმერთის პირადი სახელია – იეღოვა. ამიტომ, ანგელოზს ერქვა იეღოვა ან უფალი. გამ 33:20 ნათქვამია, რომ არავის არ შეუძლია ღმერთის სახის ხილვა და შემდეგ ცოცხლად დარჩენა, მაგრამ გამ 33:11 ვკითხულობთ: "პირისპირ ელაპარაკებოდა უფალი მოსეს, როგორც კაცი ელაპარაკება კაცს". ეს არ იყო თვით უფალი ღმერთი, რადგან არავის არ შეუძლია ღმერთის ხილვა. ეს იყო ანგელოზი, რომელსაც მოჰქონდა ღვთის სახელი. ესე იგი ჩვენ ვკითხულობთ ღმერთზე, რომელიც ესაუბრებოდა მოსეს, თუმცა ფაქტიურად იგი ანგელოზი იყო. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც სიტყვები "ღმერთი" და

“უფალი” ეკუთვნიან ანგელოზებს. მაგალითად, დაბ 1:26: “თქვა ღმერთმა (ანგელოზმა): გავაჩინოდ კაცი ჩვენს ხატად”.

ხალხი ღვთის სახელით

ერთერთი ნაწყვეტი, რომელიც ძალიან სასარგებლოა ზემოთ ნათქვამის ასახსნელად, არის იოან 10:34-36. აქ ებრაელებმა დაუშვეს შეცდომა, რომელსაც ამჟამად ყველა ეგრედ წოდებული “ქრისტიანე” ეშვებს. მათ ეგონათ, რომ იესომ თქვა: ღმერთი ვარ. მაგრამ იესომ მიუგო მათ: “განა თქვენს რჯულში არ წერია, რომ “მე ვთქვი თქვენ ღმერთები ხარ?” თუ ღმერთები უწოდა მათ... მას ეუბნებით: ღმერთს გმობო, რაკი ვთქვი: ღვთის ძე ვარ-მეთქი?” იესოს ფაქტიურად მოჰყავს ციტატა 82 ფსალმუნიდან, სადაც ისრაელის მსაჯულნებს “ღმერთებს” უწოდებდნენ.

როგორც ნაჩვენები იყო, ღმერთის სრული სახელი ძველებრაელურ ენაზე “იელოვა ელოხიმია”, რაც ნიშნავს “გამოვაშკარავდები ძლევამოსილთა ჯგუფში”. ძლევამოსილთა ჯგუფი – ჭეშმარიტი მორწმუნეები არიან, ამ ცხოვრების ვიწრო გაგებით, და უფრო ვრცელ გაგებით ღვთის სასუფეველში. ყველაფერი ეს მშვენივრად არის გამოსახული ეს 64:4 და 1 კორ 2:9 ლექსების შედარებაში: “უკუნითიდან არ სმენიათ, ყური არ მოუკრავთ, თვალს არ უხილავს სხვა ღმერთი შენს გარდა, რომელიც ასე მოქცეოდეს თავის მოიმედეს”. პავლეს მოჰყავს ეს ციტატა 1 კორ 2:9, 10: “მაგრამ, როგორც წერია: “რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს”. ნაწყვეტი ეს 64 ამბობს, რომ ვერავინ, გარდა ღმერთისა, ვერ გაიგებს იმას, რაც მოუმზადა მან მორწმუნეებს; მაგრამ 1 კორ 2:10 ამტკიცებს, რომ ყველაფერი ეს ჩვენ უკვე ვიხილეთ; ასე რომ ამ გაგებით ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ “ღმერთი”: არა თვით ღმერთი, არამედ ღმერთის გამომჟღავნება მის სახელში ნათლობის შედეგად და ჭეშმარიტების შემეცნებით.

იესო და ღვთის სახელი

არ არის გასაკვირი, რომ იესომ, როგორც ღვთის ძემ უნდა ატაროს ღვთის სახელი. მას შეეძლო ეთქვა: "მე მოვედი მამის ჩემის სახელით" (იოან 5:43). თავისი თავმდაბლობის გამო, იესო ამაღლდა და ღმერთმა "მისცა მას სახელი უზენაესი ყოველი სახელისა". სახელი იეღოვა (იახვე) – თვით ღმერთის სახელია (ფილ 2:9). აი რატომ ჩვენ ვკითხულობთ იესოს სიტყვებს გამოცხ 3:12: "და დავაწერ მას (მორწმუნეს) სახელს ჩემი ღმერთისას... და ჩემს ახალ სახელს". განკითხვის დღეს იესო მოგვცემს ჩვენ ღვთის სახელს. იგი დაარქმევს მას "ჩემს ახალ სახელს". უნდა გავითვალისწინოთ, რომ იესომ თავის გამოცხადება მოგვცა ამაღლების რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც ნათქვამია ფილ 2:9. ამიტომ მას შეუძლია უწოდოს ღვთის ახალ სახელს "ჩემი ახალი სახელი", სახელი, რომელიც მას საბოლოოდ მიეცა. ახლა ჩვენ შეგვიძლია სწორედ გავიგოთ ეს 9:6 ლექსები, სადაც ნათქვამია: "ეწოდა სახელად საკვირველი, მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა..." ეს – წინასწარმეტყველებაა, რომ იესო ატარებს ღვთის ყველა სახელს, რომ იგი იქნება ღვთის გამოცხადების სრული გამომჟღავნება. ამიტომაც მას უწოდეს "ემანუელი", რაც ნიშნავს "ჩვენთან ღმერთია", თუმცა პირადად ის ღმერთი არ იყო.

თავი 1: საკითხები

1. რა გვეხმარება ჩვენ ღმერთის მიმართ რწმენის გამაგრებაში?
   ა) ეკლესიაში სიარული
   ბ) ლოცვით ბიბლიის შესწავლა
   გ) საუბარი ქრისტიანებთან
   დ) ბუნებით დატკბობა

2. რომელი ქვემოთ მოცემული მტკიცებებისაგან ყველაზე სწორედ განსაზღვრავს ღმერთს?
   ა) იდეა ჩვენს გონებაში
   ბ) სულის დაქროლვა ატმოსფეროში
   გ) ღმერთი არ არსებობს
   დ) რეალური, მატერიალური პიროვნება

3. ღმერთი – ეს:
   ა) ერთობაა
   ბ) სამებაა
   გ) უამრავი ღმერთი – ერთშია
   დ) არ არსებობს მისი რაიმე განსაზღვრა

4. რას ნიშნავს ღმერთის სახელი "იეღოვა ელოხიმი"?
   ა) ის, რომელიც იქნება
   ბ) ის, ვინც გამოაშკარავდება ძლევამოსილთა ჯგუფში
   გ) დიადი
   დ) ძალა

5. რას ნიშნავს სიტყვა "ანგელოზი"?
   ა) კაცისებური
   ბ) ფრთებიანი
   გ) მაცნე
   დ) დამხმარე

6. შეუძლიათ თუ არა ანგელოზებს ცოდვის ჩადენა?

7. რა გარწმუნებთ თქვენ ყველაზე ძალიან ღმერთის არსებობაში?

თავი 2

ღვთის სუღლი

2.1 ღვთის სული: განსაზღვრა

რადგან ღმერთი – რეალური პიროვნებაა, რომელსაც გააჩნია გრძნობები და ემოციები, მოსალოდნელია, რომ მას აქვს რაღაც ხერხი გვაცნობოს თავისი სურვილები და მოახდინოს გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე. ღმერთი ამ ყველაფერს აკეთებს თავისი სულის მეშვეობით. თუ გვსურს გავიცნოთ ღმერთი და დავამყაროთ მასთან აქტიური კავშირი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენს ღვთის სული და როგორ მოქმედებს იგი.

საკმაოდ ძნელია სწორედ განსაზღვრო სიტყვა "სული". მაგალითად, თუ თქვენ ბრუნდებით ქორწილიდან, თქვენ შეგიძლიათ თქვათ: "იქ ნამდვილად კეთილი სული სუფევდა!" ამ სიტყვებით თქვენ გინდათ გვაცნობოთ, რომ ქორწილში კარგი ატმოსფერო იყო, ყველაფერმა ჩეიარა როგორც საჭიროა, ხალხი კარგად გამოიყურებოდა და ა. შ. ამგვარი სხვადასხვა ასპექტები ქმნიან ქორწილის "სულს". ამის მსგავსად, ღვთის სული აერთიანებს ყველაფერს ღმერთზე. ძველებრაელური სიტყვა, რომელიც ძველ აღთქმაში ნათარგმნია როგორც "სული", ნიშნავს "სუნთქვას" ან "ძალას". ამრიგად, ღვთის სული არის მისი "სუნთქვა", თვით ღმერთის არსება. სიტყვა "სულის" გამოყენების მაგალითებს ჩვენ მოგიყვანთ მე-5 ნაწილში.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ ადამიანის ფიქრები გამოისახება მის საქმეებში (იგავნი 23:7; მათ 12:34). დაფიქრება ჩვენს ქცევებზე ამტკიცებს ამას. ჩვენ თავდაპირველად ვფიქრობთ რაიმეს შესახებ, შემდეგ ვმოქმედებთ. ჩვენი "სული", ან ზრახვა გამომჟღავნდება ჩვენს საქციელში. მაგალითად, როდესაც ჩვენ გვშია და ვხედავთ ბანანს, "სულის" სურვილი ცოცხლდება მოქმედებაში – ჩვენ ვიშვერთ ხელს და ვიღებთ ბანანს, ვფცქვნით მას და ვჭამთ. ეს
უბრალო მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ძველებრაელური სიტყვა "სული" ნიშნავს როგორც სუნთქვას, ასევე ძალას. ჩვენი სული ეკუთვნის ჩვენს ფიქრებს და, ესე იგი, ჩვენს ქცევას, რომელიც

ამჟღავნებს ჩვენს სურვილს. ღვთის სული იგივეა, მაგრამ განუზომლად დიდი მაშტაბით. ეს ძალაა, რომლის მეშვეობით ღმერთი გამოხატავს თავის არსებობას, თავის ხასიათსა და განზრახვას.

ღვთის ძალა

უამრავი ნაწყვეტი აშკარად გვიჩვენებს, რომ ღვთის სული – მისი ძალაა. სამყაროს შესაქმნელად "სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი" (დაბ 1:2, 3). ღვთის სული იყო მისი ძალა, რომლის მეშვეობით ყველაფერი (მაგალითად, ნათელი) შეიქმნა. "მისი სულით გაბრწყინდა ცა, განგმირა მისმა ხელმა გაქცეული გველი" (იობ 26:13). "უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით – მთელი მისი საკრებულო" (ფსალმ 33:6). ამიტომ, ღვთის სული აღწერილია როგორც:

მისი სუნთქვა;
მისი სიტყვა;
მისი მარჯვენა.

აქედან გამომდინარე, ეს – მისი ძალაა, რომლითაც ის ყველაფერს ასრულებს, ასევე მორწმუნეებიც იბადებიან ღვთის ნებით (იოან 1:13), ესე იგი, მისი სულით. მისი ნება ამოძრავებს სულს. სამყაროს შექმნის შესახებ ვკითხულობთ: "გაუშვებ შენს სულს – წარმოიქმნებიან და განაახლებ პირს მიწისას" (ფსალმ 104:30). ეს სული/ძალა ყოველივეს ბურჯია, ასევე როგორც შექმნის საშუალება. იობს, ადამიანს, რომელიც დაიღალა ამ ცხოვრებისაგან,

სხვა წინასწარმეტყველი ახსენებდა: "თუ თავისკენ მიაბრუნა თავისი სული და უკანვე წაიღო თავისი სუნთქვა, ერთიანად გაწყდება ყოველი ხორციელი და მიწად მოიქცევა ადამიანი" (იობ 34:14, 15). დათრგუნვილ მდგომარეობაში მყოფი დავითი ღმერთს ევედრებოდა მხარ დაჭერას თავისი სულით, რათა შეენარჩუნებინა სიცოცხლე (ფსალმ 51:12).

ნაწილში 4.2 ჩვენ ვიხილავთ, რომ ის, რაც გვშველის ჩვენ ცხოვრების განმავლობაში – სულია. ჩვენში "სიცოცხლის სუნთქვაა" (დაბ 7:22), რომელიც მოგვცა ღმერთმა დაბადებისას (ფსალმ 104:30, შდ. ებრ 12:9). ეს ქმნის მას "ყოველი ხორციელის სულთა ღმერთად" (რიცხ 27:16, შდ. ებრ 12:9). რადგანაც ღმერთი ცხოვრებისეული ძალაა, მისი სული ყველგან იმყოფება. დავითმა აღიარა, რომ სადაც არ უნდა გამგზავრებულიყო, ღმერთი, თავისი სულის მეშვეობით, არ განეშორებოდა მას. აქედან გამომდინარე, ღვთის სული – საშუალებაა, რომლის მეშვეობით ღმერთი ყველგან იმყოფება, თუმცა პირადად თვითონ ცაშია.

> "შენთვის ცნობილია, როდის ვჯდები და ვდგები; გაგებული გაქვს ჩემი ზრახვანი შორიდან... საით წავუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი? ავწიო ფრთენი განთიადისა, დავსახლდე ზღვის კიდეზე, – იქაც შენი ხელი (ე. ი. სულის მეშვეობით) წამიძღვება და შემივრდომებს მარჯვენა შენი" (ფსალმ 139:2, 7, 9, 10).

ამ საკითხის სწორი გაგება ამჟღავნებს ღმერთს, როგორც ძლიერ, აქტიურ არსებას. უამრავი თაობა გაიზარდა ბუნდოვანი რწმენით ღმერთისადმი, მაგრამ სინამდვილეში "ღმერთი" მხოლოდ იდეაა მათ გონებაში. ჭეშმარიტი ღმერთისა და მისი რეალურ დასწრებას ჩვენს ირგვლივ თავისი სულის მეშვეობით, ათვისებას შეუძლია სრულიად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა ცხოვრებაზე. დავითმა წარმოსთქვა ამის შესახებ: "უჩვეულია ჩემთვის გასაგებად. აღზევებულია, ვერ შეწვდები მას" (ფსალმ 139:6). ამ ცოდნასთან ერთად გვიჩნდება პასუხისმგებლობა; ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ფიქრები და მოქმედება სრულიად ნათელია ღმერთისათვის. ჩვენ უნდა შევიცნოთ ეს, როდესაც განვიხილავთ ჩვენს მდგომარეობას მის წინაშე და ვიფიქრებთ ნათლობის მიღების შესახებ. ღვთის დიდებული სიტყვები, რომელიც მან იერემიას

უთხრა, ჩვენც გვეკუთვნის: "სამალავშიც რომ დაიმალოს კაცი, ვერ დავინახავ? ამბობს უფალი. განა მე არ ვავსებ ცასა და მიწას? ამბობს უფალი" (იერემ 23:24).

წმიდასული

ღვთის სული – ზოგადი გაგებაა; იგი – მისი გონება და ხასიათია, აგრეთვე მისი ძალა, რომლის მეშვეობით ის ახორციელებს თავის ფიქრებს. "როგორც იქცევა (ადამიანი), ისე არ ფიქრობს." (იგავ 23:7); ესე იგი ღმერთი – მისი ფიქრებია, ამ შემთხვევაში ის მისი სულია (იოან 4:24), თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთი პიროვნება არ არის. (იხ. გადახვევა 1). იმისათვის, რომ ჩავწვდეთ ღვთის სულის სივრცეს, ჩვენ მივიჩნევთ მას "სულიწმიდათ". ტერმინი "სულიწმიდა" გამოყენებულია ძირითადად ახალ აღთქმაში. საქმეები 2 აღწერილია წმიდასულის მოფენა მოციქულებზე ორმოცდაათობის დღეს. იგივე არის ნათქვამი იოველ წინასწარმეტყველის მიმართ (საქ 2:17). ძველ აღთქმაში ტერმინთან "წმიდასული" გამოყენებულია ეკვივალენტური ფრაზები "ღვთის სული" ან "უფლის სული". ლექსში ლუკ 4:1 ნათქვამია, რომ "სულიწმიდით აღვსილი იესო დაბრუნდა იორდანედან"; იმავე თავში იესო ამბობს ამის შესახებ, როგორც ეს 61 აღთქმის შესრულებაზე: "უფლის სულია ჩემზე". მიაქციეთ ყურადღება, როგორ უთანასწორდება წმიდასული ღვთის ძალას შემდეგ ნაწყვეტებში:

- "სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგიჩრდილებს შენ" (ლუკ 1:35).
- "სულიწმიდის ძალით... სასწაულებისა და ნიშნების ძალით, ღმერთის სულის ძალით" (რომ 15:13, 19).
- "სახარება ჩვენი თქვენდა მიმართ იყო... ძალითა და სულით წმიდითა" (1 თეს 1:5).
- წმიდასულის აღთქმაზე მოციქულებს გამოეცხადათ, როგორც "შემოსვა ძალით მაღლით" (ლუკ 24:49).
- "სცხო ღმერთმა სულით წმიდითა და ძალით იესო..." (საქ 10:38).

პავლეს შეეძლო განემტკიცა თავის ქადაგება ღვთის ძალის გამომჟღავნებით. "და სიტყვა ჩემი და ქადაგება... სულისა და ძალის გამოვლინებით" (1 კორ 2:4).

2.2 ღვთივსულიერება

ჩვენ განვსაზღვრეთ ღვთის სული როგორც მისი ძალა, ფიქრები და ხასიათი, რომლებსაც იგი ამჟღავნებს წმიდასულის მეშვეობით. წინამავალ ნაწილში ჩვენ ავღნიშნეთ, თუ როგორ შექმნა სამყარო ღვთის სულმა: "მისი სულით გაბრწყინდა ცა" (იობ 26:13) – სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ, რათა შეექმა სამყარო (დაბ 1:2).

ამავე დროს ჩვენ ვკითხულობთ "უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა" (ფსალმ 33:6). წიგნში "დაბადება" ღმერთის სიტყვის ქვეშ იგულისხმება სამყაროს შემქმნელი. ამიტომაც სული ღვთისა ისახება მის სიტყვებში – როგორც ჩვენი ფიქრი და სურვილი ჩვენს სიტყვებში. იესომ ბრძნულად თქვა: "გულის სისავსისგან მეტყველებს ბაგე" (მათ 12:34). ამის გამო, თუ გვსურს გავუწიოთ

კონტროლი ჩვენს სიტყვებს, უნდა დავიწყოთ ფიქრებისაგან. ღვთის სიტყვა – მისი სულის ანარეკლია. ღმერთმა მიაღწია თავისი სულის გამომჟღავნებას დაწერილ სიტყვებში ღვთივსულიერების მეშვეობით. ამ ტერმინის ფუძე სიტყვა "სულია": –

ღვთივ – სული – ერება

"სული" ნიშნავს "სუნთქვას". სიტყვა "ღვთივსულიერება" თავისი მნიშვნელობით უახლოვდება სიტყვას "შთაგონება". ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა, ვინც წერდა ბიბლიას იყო შთაგონილი ღმერთის მიერ. პავლე მოციქული მიმართავდა ტიმოთეს თხოვნით

არ დაევიწყა, რომ ბიბლიის სასწაული ღმერთის სიტყვაშია და რომ იგი გვიამბობს ჩვენ ყველაფერს რაც უნდა ვიცოდეთ ღმერთზე: –

> "რადგან შენ ხომ ბავშვობიდანვე იცი საღვთო წერილები, რომელთაც ძალუძთ შენი დაბრძენება სახსნელად ქრისტე იესოს რწმენაში. მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში. რათა სრყლყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისათვის განმზადებული" (2 ტიმ 3:15-17).

თუ ღვთივსულიერ წერილს შეუძლია მოგვცეს ამდენი ცოდნა ღმერთზე, მაშინ არ გვესაჭიროება რაღაც "შინაგანი შუქი (ნათელი)", რომ ვიცოდეთ ღმერთზე სიმართლე. მაგრამ რამდენჯერ უთქვამს ხალხს თავიანთ პირად გრძნობებზე, როგორც ღმერთის ცოდნის წყაროს შესახებ! თუ ღმერთის სიტყვის მიღება სრულიად საკმარისია ადამიანისათვის მის ქრისტიანულ ცხოვრებაში, მაშინ არ არის აუცილებელი რაიმე სხვა რწმენის ძებნა. თუ კი ასეთი აუცილებლობა არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის სიტყვა არ მოგვეფინა ჩვენ, თუმცა პავლე ამბობდა, რომ ეს ასე იქნება. საჭიროა გარკვეული რწმენა, რომ გვეჭიროს ბიბლია და ვიცოდეთ, რომ ეს ნამდვილად ღვთის სულის სიტყვა არის. ისრაელიანები საფუძვლიანად დაინტერესებულნი იყვნენ ღვთის სიტყვით, როგორც ამჟამად ბევრი "ქრისტიანე". ჩვენ უნდა ყურადღებით მოვეპყროთ პავლეს სიტყვებს:

> "ვინაიდან სახარება ჩვენც გვეუწყა, როგორც მათ (ისრაელიანებს უდაბნოში); მაგრამ მათთვის სარგებლობა არ მოუტანია მოსმენილ სიტყვას, ვინაიდან არ შეერწყა მსმენელთა რწმენას" (ებრ 4:2).

იმის მაგიერ, რომ ღვთის სიტყვის/სულის სრულ რწმენას მივაღწიოთ, ჩვენთვის უფრო მიმზიდველია მოკლე და პირდაპირი სულიერი გზა: ვიფიქროთ, რომ ღვთის ძალა თვითონ უეცრად განგვანათლებს ღმერთისათვის მისაღებად, ვიდრე ვიგრძნოთ ტკივილი ჩვენი ცხოვრების შეგნებულ მიტანის მორჩილებაში ღმერთის სიტყვისადმი და მივცეთ მას უფლება ნამდვილად მოახდინოს გავლენა ჩვენს გულებზე.

უამრავი "ქრისტიანე" არ არის დარწმუნებული ღმერთის მიერ შთაგონებულ საღმრთო წერილში. ისინი ფიქრობენ, რომ ბევრი რამ ბიბლიაში არის მხოლოდ ბრძენი ხალხის პირადი აზრი. მაგრამ პეტრე უარყოფს ამგვარ ვარაუდს: –

> "ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა და კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას... ეს იცოდეთ უპირველესად, რომ წერილს არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება. ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისაგან წარმოთქვამდნენ მას" (2 პეტ 1:19-21).

<u>ბიბლიის მწერლები</u>

მტკიცე რწმენას წერილის სრულიად ღვთივსულიერებაში აქვს დიდი მნიშვნელობა. ბიბლიის ავტორები იმყოფებოდნენ წმიდასულის გავლენის ქვეშ, ამიტომ მათი სიტყვები მათი საკუთრება არ იყო. რადგანაც ღვთის სიტყვა ჭეშმარიტი (იოან 17:17) და სასარგებლოა სამხილებლად და გამოსასწორებლად (2 ტიმ 3:16). ნათელია, რომ უამრავი ხალხი თავს არიდებს მას, რადგანაც ჭეშმარიტება ტკივილს ანიჭებს. მოციქული იერემია ხედავდა დიდ უკმაყოფილებას, როდესაც წარმოსთქვამდა ღმერთის მიერ შთაგონილ სიტყვებს. მან მიიღო გადაწყვეტილება არ ჩაეწერა და არ გამოექვეყნა ღვთის მიერ მიღებული სიტყვები. მაგრამ,

რადგანაც ამ სიტყვების დაწერა არის ღვთის ნება და არა ადამიანის სურვილი, მას არ ჰქონდა არჩევანი. "ყოველდღე საცინლად მაგდებენ, ყველა მამასხრებს... ვიფიქრე: დავივიწყებ მას და აღარ ვილაპარაკებ-მეთქი მისი სახელით, მაგრამ ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში ძვლებამდე გამიტანა, ვცდილობდი გამეძლო, მაგრამ ვერ შევძელი" (იერემ 20:7, 9). ამგვარად, ბალაამი მზად იყო დაეწყევლა ისრაელი, მაგრამ ღვთის სულმა ინება, რომ მას დაელოცა იგი (რიცხ 24:1-13; შდ. რჯლ 23:5).

გვაკვირვებს ხალხთა რაოდენობა, რომლებთაც ღმერთმა შთააგონა თავისი სიტყვის ქადაგება, თუმცა დროთადრო მათი სურვილის გარეშე. აი ზოგიერთი მათგანი:

მოსე (გამ 4:10)
ეზეკიელი (ეზეკ 3:14)
იონა (იონ 1:2, 3)
პავლე (საქ 18:9)
ტიმოთე (1 ტიმ 4:6-14)
ბალაამი (რიცხ 22-24)
ელიჰუ (იობ 32:6-20)

ეს ყველაფერი ადასტურებს 2 პეტ 1:19-21 ნათქვამ სიტყვებს, რომ ღვთის სიტყვა – ხალხის პირადი აზრის გამოხატვა არ არის, არამედ ღვთივსულიერების ნაყოფია.

ეს აზრი შეგვიძლია დავამტკიცოთ იმ ფაქტით, რომ ბიბლიის ავტორები ბევრს ვერ იგებდნენ, მაგრამ შეგნებულად წერდნენ. ისინი "იძიებდნენ" სწორ ახსნას, რადგან "გამოეცხადა, რომ თვით მათ კი არა, თქვენ მოგმსახურებოდათ ის, რაც ეხლა გეუწყათ" (1 პეტ 1:9-12). სიტყვები, რომლებსაც ისინი იძიებდნენ ფაქტიურად მათი საკუთარი არ იყო და ისინი თვითონ ცდილობდნენ გაეგოთ მათი აზრი. შემდეგი ნაწყვეტები უსათუოდ ამტკიცებენ ამას: დანიელ (დან 12:8-10); ზაქარია (ზაქ 4:4-13); პეტრე (საქ 10:17). თუ ეს ხალხი მხოლოდ ნაწილობრივ იყო შთაგონილი, მაშინ ჩვენ

არ გვეცოდინება ღვთის სიტყვა და სული. თუ კი ის, რასაც წერდნენ იყო ღვთის სიტყვა, მაშინ ბიბლიის ავტორები იმყოფებოდნენ სრულიად ღვთის სულის გავლენის ქვეშ. რწმენა, რომ წმიდა წერილი მთლიანად მოდის ღმერთისაგან, გვიწვევს ჩვენ წერილის კითხვისაკენ და მორჩილებისაკენ. "ხალისია შენი ნათქვამი ფრიად და შენს მორჩილს უყვარს იგი" (ფსალმ 119:140).

აქედან გამომდინარე, ბიბლიის წიგნები ღვთის ნაწარმია და არა მწერლების შემოქმედება. ამას ადასტურებს ასევე ახალი აღთქმის დამოკიდებულება ძველი აღთქმის წერილებთან:

- "დავითის პირით იწინასწარმეტყველა სულმა წმიდამ..." (საქ 1:16. ასე მოჰყავდა პეტრეს ციტატა ფსალმუნებიდან: შდ. ებრ 3:7).
- "კარგად თქვა სულმა წმიდამ თქვენი მამების მიმართ ესაია წინასწარმეტყველის პირით" (საქ 28:25 – ამრიგად, პავლე ციტირებას უკეთებდა ესაიას). ლუკა 3:4 ნათქვამია "ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა წიგნზე" და არა მხოლოდ "ესაია წინასწარმეტყველის წიგნზე".

ამრიგად, ადრეული ქრისტიანები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ბიბლიის ავტორებს. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მათი სიტყვები იწერებოდა ღვთის სულის შთაგონებით. წიგნის ამ ნაწილს დავასრულებთ ლექსებით, რომლებშიც აშკარად ჩანს, რომ ღვთის სული გვევლინება მის მიერ დაწერილ სიტყვებიდან:

- იესომ გარკვევით განაცხადა: "სიტყვები, რომლებსაც თქვენ გეუბნებით... სული არის" (იოან 6:63); ის ლაპარაკობდა ღმერთოს შთაგონებით (იოან 17:8; 14:10).
- ჩვენ აღგვწერენ, დაბადებულს როგორც სულისაგან (იოან 3:3-5), ასევე ღმერთის სიტყვისაგან (1 პეტ 1:23).

– "... რომ არ ესმინათ რჯული და სიტყვები, რომლებიც მოავლინა ცაბაოთ უფალმა თავისი სულით, წინანდელ წინასწარმეტყველთა პირით" (ზაქ 7:12).
– "გადმოგაღვრით ჩემს სულს, გამოგიცხადებთ ჩემს სიტყვებს" (იგავ 1:23) – ეს სიტყვები აიგივებენ ღმერთის სიტყვის გაგებას მის სულის მოქმედებასთან ჩვენზე – წიგნის კითხვა გაგების გარეშე უშედეგოა, რადგანაც ღმერთის სული არ გვევლინება.

ღმერთის სიტყვის ძალა

რადგანაც ღმერთის სული არამარტო მისი ხასიათი, არამედ მისი ძალაა, რომლის მეშვეობით ის გამოხატავს თავის ფიქრებს, მოსალოდნელია, რომ ღმერთის სული-სიტყვა, გარდა დინამიური ძალისა, ამჟღავნებს მის გონებას. ამ ძალის სწორი შეფასება გვაიძულებს გამოვიყენოთ იგი. ამ მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უხერხულობის გრძნობა შერბილდება ჩვენი ცოდნით, რომ ღმერთის სიტყვის მიღება და დაჯერება გვაძლევს ჩვენ ძალას, რომელიც გვჭირდება ხსნისათვის. თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, პავლე წერდა:

> "არა მრცხვენია ქრისტეს სახარების გამო, რადგან იგია ძალა ღმერთისა, ყველა მორწმუნის მხსნელი" (რომ 1:16).

ამიტომ ბიბლიის შესწავლა და ჩვენს ცხოვრებაში გამოყენება არის დინამიური პროცესი. ის სრულიად არ შეესაბამება თეოლოგების ცივ, აკადემიურ მიდგომას და ასევე ქრისტიანულ "მოხერხებულ" რწმენას, როდესაც მოკლედ არის მოყვანილი ბიბლიის რამდენიმე ნაწყვეტი ყოველგვარი გაგებისა და გამოყენების გარეშე. "ცოცხალია სიტყვა ღმრთისა, ქმედითი", "თავისი ძალის სიტყვით" (ებრ 4:12; 1:3). "ღმერთის სიტყვა... რომელიც მოქმედებს კიდეც თქვენში – მორწმუნეთა შორის" (1 თეს 2:13). თავისი სულის მეშვეობით, ღმერთი აქტიურად მოქმედებს ჭეშმარიტ მორწმუნეთა გონებაზე ყოველდღიურად.

სახარების ძირითადი ალთქმა ღმერთის ძალაშია; და თუ თქვენ მისცემთ ნებას მას იმოქმედოს, ის მოახდენს გავლენას თქვენს ცხოვრებაზე და გადაგაქცევთ ღვთის ბავშვათ (2 პეტ 1:4). პავლეს ქადაგება "სულისა და ძალის გამოვლინებით" იყო (1 კორ 2:4).

ჩვენს ირგვლივ არის ხალხი, რომლებსაც ღმერთის სიტყვის რწმენა მხოლოდ ნახევრად აქვთ. ამგვარად, ისინი საუბრობენ თავისი რწმენის შესახებ, მაგრამ არ აღიარებენ ღმერთის არსებობას, როგორც რეალურ პიროვნებას. ისინი უარყოფენ წერილის ღვთივსულიერებას, და ამით უარყოფენ ღმრთის ძალას. ამ დროს ვიხსენებთ ლექსებს 2 ტიმ 3:5: "რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ", ესე იგი სახარების ძალა და სიტყვა. ჩვენს ფუნდამენტობას დასცინის სამყარო. ასევე იყო პავლესთან და მის მოქადაგებელთა ჯგუფთან: "ვინაიდან სიტყვა ჯვრის შესახებ სისულელეა მათთვის, რომელნიც იღუპებიან, ხოლო ჩვენთვის, რომელნიც გადავრჩებით, ღვთის ძალაა" (1 კორ 1:18). ყველაფერი ამის გათვალისწინების შემდეგ, ნუთუ არ შეუძლია ყველა ჩვენთაგანს ეჭიროს ხელში ბიბლია უფრო მეტი პატივისცემით და იკითხოს იგი გაგების და მორჩილების უფრო დიდი სიყვარულით?

2.3 წმიდასულის ნიჭი

სხვადასხვა დროს ღმერთი გადასცემდა ხალხს თავის წმიდასულს. მაგრამ ეს არასოდეს არ ხდებოდა "სუფთა ჩეკის" სახით, ხალხს არ ეძლეოდა საშუალება გააკეთოს ყველაფერი, რაც უნდა. წმიდასულის გამოყენება ყოველთვის ხდებოდა გარკვეული მიზნით. თავის მისიის შესრულების შემდეგ, წმიდასული უკან იღებოდა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ წმიდასული ღმერთის განზრახვების განსახორციელებლად მოქმედებს. მისი განზრახვა კი ხშირად უშვებს ხანმოკლე ტანჯვას ხალხის ცხოვრებაში, რათა განახორციელოს თავისი ხანგრძლივი მიზანი (იხ. ნაწილი 6.1). აქედან გამომდინარე, წმიდასული ყოველთვის არ იხმარება ხალხთა

ტანჯვის შესამსუბუქებლად. მისი ნებისმიერი შემსუბუქება მიზნათ ისახავს ღმერთის ფიქრების გამომჟღავნებას. ზემოთ მოცემული სიტყვები სრული საწინააღმდეგოა ამჟამად გავრცელებულ დამოკიდებულებასთან წმიდასულის მიმართ. ისახება აზრი, რომ ქრისტეს რწმენას მოაქვს ფიზიკური შემსუბუქება, მაგალითად, განკურნა დაავადებისაგან. ამით შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ ასეთ მობრძოლ ქვეყანაში, როგორიც უგანდა არის აღინიშნება იმ ხალხთა რისხვის ზრდა, რომლებიც ამტკიცებენ განკურვნის ნიჭის ფლობას და როგორც გვიჩვენებს ისტორია ასეთი მოვლენები ყოველთვის ემთხვევა კაცობრიობის გაჭირვების ხანს. ეს თავის თავად გვაეჭვებს სულის ქონლობის ახლანდელ მტკიცებაში.

ბევრი "ქრისტიანი" ამბობს, რომ აქვს საოცარი სულიერი ნიჭი, მაგრამ როდესაც ეკითხები მათ მიზნის შესახებ, შეიმჩნევა დაბნეულობა. ღმერთი მოაფენდა თავის სულს რაღაც გარკვეულ მიზნისათვის. აქედან გამომდინარე, ხალხი, რომლებსაც ნამდვილად ჰქონდათ სულიერი ნიჭი, იცოდნენ როსთვის გამოეყენათ იგი და ამიტომ ისინი აღწევდნენ სრულ წარმატებას. მათგან განსხვავებით იმ ხალხს, რომლებიც ამჟამად ამტკიცებენ სულიერი ნიჭის არსებობას, აქვს უამრავი ნაკლი.

ქვემოთ მოცემული ყველა მაგალითი გვიჩვენებს იმ მიზეზებს და მიზნებს, რომლის გამო ხალხს ეფინებოდა სულის ნიჭი. ნიჭის მფლობელებს არ შეეძლოთ გამოეყენათ იგი თავისი შეხედულებების თანახმად. რადგანაც ჩვენ ვსაუბრობთ ღვთის სულზე, წარმოუდგენელია, რომ ხალხს გამოეყენა ნიჭი თავის ინტერესებში. ნიჭი ეძლეოდათ ღმერთის გარკვეული სურვილის განსახორციელებლად (შდ. ეს 40:13).

– ადრინდელ ისტორიაში ისრაელიანებმა მიიღეს მითითება გააეკეთებინათ რთული სავანე, რომელშიც შეინახებოდა საკურთხეველი და სხვა წმიდა აკსესუარები. დაწვრილებითი მითითება მოცემული იყო იმის შესახებ, თუ როგორ გაეკეთებინათ ნივთები ღმერთის თაყვანისმცემლობისათვის. ამ

ყველაფრის შესასრულებლად ღმერთმა მოაფინა თავისი სული გარკვეულ ხალხს. ისინი "მე ავავსე სიბრძნის სულით, გაუწყონ შესამოსელი აარონს..." და ა. შ. (გამ 28:3).

- ერთერთი მათგანი, ბეცალიელი, იყო აღვსილი "ღვთის სულით, სიბრძნით, გონიერებით, ცოდნით და ყოველი ხელოვნებით, რომ შეეძლოს ოქროს... დამუშავება, მოსაოჭველი თვლების გათლა, ხის კვეთა ხელოვნურ ნივთთა დასამზადებლად" (გამ 31:3-5).
- რიცხვებში 11:14-17 ნათქვამია, რომ ღმერთმა აიღო მოსეზე მოფენილი სულის ნაწილი და გადასცა ისრაელის უხუცესებს, რათა მათ სწორედ განესაჯად ადამიანთა უბედურებები და ამით დახმარებოდნენ მოსეს. მოსეს სიკვდილის წინ წმიდასული გადავიდა იესო ნავეს ძეზე, რომ მას სათანადოთ ეხელმძღვანელა ღვთის ხალხით (რჯლ 34:9).
- დროთა განმავლობაში, როდესაც ისრაელიანები შევიდნენ თავის ქვეყანაში და სანამ ტახტზე ავიდოდა პირველი მეფე (საული), მათი მსაჯულნი მართავდნენ. ამ პერიოდში მათ ხშირად ავიწროებდა მტერი. მსაჯულთა წიგნში ნათქვამია, რომ ღვთის სული მოეფინა ზოგიერთ მსაჯულს, რათა ეხსნათ ისრაელიანები მტრისაგან. ასეთ მსაჯულთა რიცხვს ეკუთვნიან ღოთენიელი (მსაჯ 3:10), გედეონი (მსაჯ 6:34) და იფთახი (მსაჯ 11:29).
- სხვა მსაჯულს, სამსონს, სული მოეფინა, რათა მოეკლა ლომი (მსაჯ 14:5, 6), დაეხოცა ოცდაათი კაცი (მსაჯ 14:19) და გაეწყვიტა თოკები, რომლებითაც მას ხელები ჰქონდა შეკრული (მსაჯ 15:14). ეს "წმიდასული" იყო მოფენილი სამსონზე გარკვეული მიზნის მისაღწევათ და შემდეგ წაერთვა მას.
- როდესაც ღმერთს სურდა რაიმე განსაკუთრებული ეთქვა თავის ხალხისათვის, რომელიმე ადამიანი ივსებოდა სულით და აცხადებდა ღვთის სიტყვას. როდესაც მიმართვა თავდებოდა, სული სტოვებდა იმ ადამიანს და ამიერიდან ის კაცი მეტყველებდა საკუთარი სიტყვებით. ერთერთი მაგალითი: –

> "ღვთის სულმა მოიცვა ზაქარია... და თქვა: ასე ამბობს ღმერთი: რატომ არღვევთ უფლის მცნებებს?" (2 ნეშტ 24:20).

სხვა მაგალითები მოცემულია ლექსებში ნეშტ 15:1, 2 და ლუკ 4:18, 19.

აქედან გამომდინარე, ღვთის სულის გამოყენების ნიჭი არ იყო გარკვეულ მიზნისათვის:

- გადარჩენის უზრუნველყოფა;
- ის, რაც გრძელდება მთელი ცხოვრება;
- მითიური ძალა ჩვენში;
- ის, რაც სარგებლობას გვაძლევს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს უამრავი საეჭვო საკითხი ღვთის სულის ნიჭის შესახებ. ასე ზოგიერთი ხალხი აცხადებს, რომ მათ მოეფინა ღვთის სული და უამრავ დარბაზებში მქადაგებელნი მორწმუნე ხალხის წინაშე აჩვენებენ სტაფილოს, რომელიც თითქოს იღებს "წმიდა ნიჭს". უნდა დაისვას კითხვა: "როგორია ეს ნიჭი?" ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანმა არ იცოდეს ზუსტად როგორი ნიჭი მიეცა. სამსონს მიეცა ლომის მოკვლის სულიერი ნიჭი (მსაჯ 14:5, 6), როდესაც ის იდგა მხეცის წინაშე. მან ზუსტად იცოდა რისთვის მიეცა ეს ნიჭი. ეს ეპიზოდი უპირისპირდება იმ ხალხს, რომლებიც ამბობენ, თითქოს აქვთ ნიჭი და ვერ იყენებენ მას.

დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ხალხს ჰქონდა ცხოვრებაში რაღაც ემოციური შერყევა ქრისტიანობასთან დაკავშირებით და შემდგომმა გარდატეხვამ დაუტოვა სიახლეს უცნაური გრძნობა. ამის ცოდნით, მათ ხელი სტაცეს ბიბლიის ნაწყვეტებს წმიდასულის ნიჭის შესახებ და გამოიტანეს სათანადო დასკვნა: "ეს ის უნდა იყოს რასაც მე ვგრძნობ" და მოძღვარი კი კმაყოფილი ეხება მათ ნიკაპს და ამბობს: "ზუსტად ეს არის.

დიდება ღმერთს!" შემდეგ მოჰყავთ მაგალითები სხვა ხალხის დასარწმუნებლად ღვთის სულის მიღებაში. ამ პარადოქსის ძირითადი მიზეზი ბიბლიის საკითხების გაუგებრობაშია. ჩვენ უნდა მყარად ვიდგეთ ბიბლიის პრინციპებზე. ღვთის სულის მოქმედების ცოდნა აუცილებელია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ღვთის ძალა მოქმედებს ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ რატომ და როგორ აკეთებს ის ამას? ნამდვილად თუ გვაქვს სულის ნიჭი, როგორც ბიბლიაში აღწერილ ხალხს? თუ ჩვენ ნამდვილად გვინდა შევიცნოთ ღმერთი, უნდა ვაღიაროთ ამ მოვლენის სწორედ გაგების აუცილებლობა.

სულის მოფენის მიზეზები ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ახალი აღთქმის შინაარს სულის ნიჭის შესახებ, რომელიც ადრინდელ ეკლესიაში იყო (ესე იგი, იესო ქრისტეს შემდეგ მცხოვრებ მორწმუნეთა ჯგუფში). ქრისტეს უკანასკნელი დარიგება მოციქულთა მიმართ მთელი ქვეყნის მოვლაში და სახარების ქადაგებაში იყო (მარკ 16:15, 16). და მათ შეასრულეს ეს დარიგება, ისინი ქადაგებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს სიკვდილზე და აღდგომაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაშინ არ იყო ახალი აღთქმა, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს. იმ დროს, როცა ისინი იდგნენ ბაზარში ან სინაგოგასთან და ქადაგებდნენ იესოზე ნაზარეთიდან, მათი მოთხრობა საოცარი იყო – უმწიკვლო ხური ისრაელიდან, რომელიც მოკვდა და შემდეგ აღდგა, როგორც ძველი აღთქმის ქადაგებაში არის ნათქვამი, და ახლა მას სურს, რომ მივბაძოთ. ამავე დროს, სხვა ხალხიც ცდილობდა მიმდევრობის კულტის განვითარებას. მათ სჭირდებოდათ ხერხი, რათა დაემტკიცათ სამყაროსათვის, რომ ქრისტიანების ქადაგება ნამდვილად ღმერთისაგან იყო. ამჟამად ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახალი აღთქმის წერილები, სადაც აღწერილია ქრისტეს მოღვაწეობა და მოძღვრება, წარმოადგენენ ღმერთის მიმართვას. მაგრამ, იმ დროს, როდესაც ბიბლია ჯერ არ იყო შექმნილი, ღმერთმა დართო ნება მქადაგებლებს გამოეყენებინათ მისი წმიდასული თავიანთ სიტყვების ჭეშმარიტების

დასამტკიცებლად. უამრავი პრობლემა ვარ ნახულობდა გადაწყვატილებას; რწმენის გაძლიერებისათვის ცოტა შესაძლებლობა ჰქონდათ. ამ მიზეზების გამო წმიდასულის ნიჭი აძლეოდა მორწმუნეება ღვთივსულიერების მიმართვის სახით, სანამ ეს მიმართვები და ქრისტეს მოძღვრება არ იყო დაწერილი და გამოქვეყნებული. წმიდასულის მოფენის მიზეზები, როგორც ყოველთვის, საკმაოდ ცხადი იყო:

– "ამიტომაც ითქვა: "(იესო) ავიდა ზესკნელს... და უბოძა საბოძვარი ხალხს... რათა სრულეყოთ წმიდანი, მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის ასაშენებლად", ესე იგი, მორწმუნეთათვის (ეფეს 4:8, 12).

– პავლემ მისწერა მერწმუნეებს რომში: "მსურს თქვენი ხილვა, რათა გადმოქცეთ ერთგვარი სულიერი მადლი, თქვენდა განსამტკიცებლად" (რომ 1:11).

სახარების ქადაგების დასამტკიცებლად ნიჭის გამოყენების შესახებ ვკითხულობთ:

– "სახარება ჩვენი თქვენდა მიმართ იყო არა მარტო სიტყვით, არამედ ძალითა და სულით წმიდითა და სრული დარწმუნებით" მოხდენილი სასწაულის მეშვეობით (1 თეს 1:5; შდ. 1 კორ 1:5, 6).

– პავლეს შეეძლო ეთქვა: "უქნია ქრისტეს ჩემს მიერ, წარმართთა დასამორჩილებლად, სიტყვით და საქმით, სასწაულებისა და ნიშნების ძალით, ღმრთის სულის ძალით" (რომ 15:18, 19).

– სახარების მქადაგებლების მიმართ ვკითხულობთ, რომ ისინი მოქმედებდნენ "ღმერთის თანამოწმობით, სასწაულებითა და ნიშნებით, და ნაირგვარი ძალითა და სულის წმიდის განწილვით" (ებრ 2:4).

– კვიპროსზე სახარების ქადაგების აქციას თან ახლდა სასწაულები და იხილა "პროკონსულმა (მმართველმა), რაც მოხდა,

ირწმუნა და უკვირდა უფლის მოძღვრება" (საქ 13:12). სასწაულებმა დაარწმუნა იგი ქრისტეს მოძღვრებაში. იკონიაში ღმერთი ასევე "ემოწმებოდა მათ თავისი მადლის სიტყვით, და იქმოდა მათი ხელით სასწაულებს და ნიშნებს" (საქ 14:3).

მოციქულთა მორჩილება ქადაგების დარიგების მიმართ შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგი სიტყვებით: "ისინი წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან უფლის შეწევნით, რომელიც განამტკიცებდა სიტყვას მათი თანამხლები სასწაულებით" (მარკ 16:20).

<u>განსაკუთრებული საქმეები განსაკუთრებულ დროს</u>

ნიჭი ეძლეოდა ხალხს გარკვეულ დროს გარკვეული მოქმედების შესასრუებლად. ეს ნიჭი გვიჩენებს იმ ხალხის შეცდომას, რომლებიც ამტკიცებდნენ ნიჭის ფლობას მთელი ცხოვრების განმავლობაში. მოციქულნი, პეტრეს ჩათვლით, "აღივსნენ ყველანი სული წმიდით" ორმოცდაათობის დღეს, ქრისტეს ამაღლების შემდეგ (საქ 2:4). ამიტომ მათ შეეძლოთ ესაუბრათ სხვადასხვა ენებზე, რათა ექადაგათ ქრისტიანობის სახარება ხალხისათვის მიმზიდველად. როდესაც ხელისუფლება გამკაცრდა მათ მიმართ "მაშინ პეტრე აღივსო სულით წმიდით" და შეძლო დამაჯერებელი პასუხის გაცემა (საქ 4:8). ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ისინი იმყოფებოდნენ სულის გავლენის ქვეშ და აგრძელებდნენ ქადაგებას, "ყველანი აღივსნენ სულით წმიდით, და იტყოდნენ ღმერთის სიტყვას დაუფარავად" (საქ 4:31).

ყურადღებიანი მკითხველი ალბად შენიშნავს, რომ ლექსებში არ არის ნათქვამი – "უკვე იყვნენ აღვსილნი სულით", როდესაც მოქმედებდნენ. ისინი იყვნენ აღვსილნი სულით გარკვეული მიზნების შესასრულებლად, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ კვლავ მოეფინათ წმიდასული, რათა განეხორციელებინათ შემდეგი საქმეები ღმერთის გეგმაში. ასევე პავლე "აივსო სულიწმიდით" ნათლისღების დროს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ იგი კვლავ "აივსო სულიწმიდით", რათა დაესაჯა უწმიდური ადამიანი

სიბრმავით (საქ 9:17; 13:9). განსაკუთრებული ნიჭის შესახებ პავლე წერდა, რომ ადრინდელ მორწმუნეებს ჰქონდათ იგი "ქრისტეს საბოძვრის ზომისამებრ" (ეფეს 4:7). ბერძნული სიტყვა "ზომა" ნიშნავს "გარკვეულ ნაწილს ან დონეს" (სტრონგის ანბანის მითითება). მხოლოდ იესოს ჰქონდა ნიჭი უზომოდ, ესე იგი ნიჭის გამოყენების საშუალება საკუთარი შეხედულებების მიხედვით (იოან 3:34). ახლა ჩვენ განვიხილავთ იმ სულიერ ნიჭს, რომელიც ხშირად არის ნახსენები ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში.

ქადაგების ნიჭი ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში

ბერძნული სიტყვა "მქადაგებელი" ნიშნავს "ადამიანს, რომელიც ქადაგებს ღმერთის სიტყვას", ესე იგი, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც შთაგონილია იწინასწარმეტყველოს მომავალი მოვლენების შესახებ (იხ. 2 პეტ 1:19-21). ამრიგად, წინასწარმეტყველნი "ჩამოვიდნენ იერუსალიმიდან ანტიოქიაში. და ადგა ერთი მათგანი, სახელად აგაბოს, და იწინასწარმეტყველა სულით, რომ მთელს მსოფლიოში იქნებოდა დიდი შიმშილი, რაც ახდა კიდეც კლავდიუს კეისრის დროს. მაშინ მოწაფეებმა, თვითეულმა საკუთარი შეძლებისამებრ, გადაწყვიტეს დახმარება გაეგზავნათ იუდეაში მცხოვრები ძმებისათვის" (საქ 11:27-29). ამგვარი განსაკუთრებული წინასწარმეტყველება, რომელიც სავსებით ასრულდა რამდენიმე წლის განმავლობაში, ამჟამად თითქმის არ არსებობს. ამავე დროს ადრინდელი მორწმუნეები ისე იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეს ნიჭი ახლავს ერთერთ მათგანს, რომ შეწირეს საკუთარი დრო და ფული, გაჭირვებულების დახმარებისათვის. ამ სახის მაგალითები იშვიათად გვხვდება ახლანდელ აგრეთ წოდებულ "ღვთივსულიერ" ეკლესიებში.

განკურნა

რადგანაც მოციქულნი ქადაგებდნენ სასიხარულო ამბებს ("სახარებას") ღმერთის სასუფეველის დამყარების შესახებ, მათ უნდა დაედასტურებინათ თავისი სიტყვები სასწაულებით, რომლებიც აჩვენებდნენ, თუ როგორი იქნება ის დრო, როცა "აეხილებათ თვალები ბრმებს და ყურების სასმენელნი გაეხსნებათ. მაშინ ირემივით იხტუნებს მკელობელი" (ეს 35:5, 6). უფრო

დაწვრილებით ღვთის სასუფეველზე იქნება ნათქვამი მეხუთე თავში, როდესაც ღვთის სამეფო დამყარდება დედამიწაზე. ასეთი აღთქმა სავსებით ასრულდება და აღარ დაისმევა საკითხი, თუ სად იქნება სასუფეველი. ამიტომ ღვთის სამეფოს დადასტურება უნდა ყოფილიყო დამარწმუნებელი. ამ მიზეზის გამო, უამრავი განკურნება ჩატარებული იყო საზოგადოების წინაშე.

კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს კოჭლი მათხოვარის განკურნება, რომელიც ყოველ დილას მოჰყავდათ და ავჯენდნენ ტაძრის კარებთან. საქმეებში 3:2 ნათქვამია, რომ მას სვამდნენ ყოველდღე და იგი ცნობილი პიროვნება იყო. პეტრეს ნიჭით განკურნებული, ის "წამოხტა, დადგა და გაიარ-გამოიარა, და მათთან ერთად შევიდა ტაძარში, მიდიოდა, მიხტოდა და აქებდა ღმერთს. და იხილა იგი მთელმა ხალხმა, მიმავალი და ღმერთის მაქებარი. და იცნეს, რომ ეს იყო იგი, ვინც მოწყალების სათხოვნად იჯდა ტაძრის მშვენიერ ბჯესთან; და აღივსნენ შიშითა და განცვიფრებით იმის გამო, რაც მას შეემთხვა. და რაკი განკურნებული არ სცილდებოდა პეტრესა და იოანეს, მთელი ხალხი განცვიფრებით გამორბოდა მათკენ" (საქ 3:7-11). შემდეგ პეტრემ დაიწყო საუბარი ქრისტეს ამაღლების შესახებ. კოჭლთან სასწაულის ჩადენის შემდეგ, ხალხი ითვისებდა პეტრეს სიტყვას, როგორც ღმერთისას. ტაძარი "ლოცვის საათის" დროს (საქ 3:1) შევსებული იყო ხალხით, როგორც შაბათობით სავაჭრო დარბაზი. ეს ის ადგილი იყო, რომელიც ღმერთმა აირჩია თავისი სიტყვების ქადაგების დასამტკიცებლად ასეთი ეფექტური და ცხადი სასწაულით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნის ავტორს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება მოცემული კითხვების განხილვაში იმ ხალხთან, რომლებიც ამტკიცებენ სულის ფლობას; ის ასევე ბევრჯერ ესწრებოდა სულის გამომჟღავნების სეანსებს. მაგრამ, ჩემი "პირადი ჩვენება" უამრავ არადამაჯერებელ "განკურნების" შესახებ არ იმსახურებს ბევრ სიტყვებს. ვფიქრობ, რომ ამგვარი ეკლესიების ნებისმიერი პატიოსანი წევრი დამეთანხმება.

მე ბევრჯერ მაქვს ნათქვამი მეგობრებთან – "პენტეკოსტელის" რელიგიურ ორგანიზაციის წევრებთან: "მე მინდა მწამდეს, რომ თქვენ გაქვთ ასეთი დადი ძალა. მაგრამ ღმერთი ყოველთვის აშკარად გვიჩვენებს ვის აქვს მისი ძალა და ვის არა აქვს. მე არ ვთვლი გამართლებულად ვითხოვო თქვენი საშუალებების ჩვენება, იმიტომ რომ შემდეგ მე, შესაძლოა, დავეთანხმები თქვენ დოქტრინას, რომელსაც ამჟამად ვერ შევათავსებ სახარებასთან. მაგრამ ჩემთვის ჯერ არასოდეს არ უჩვენებიათ "სულის და ძალის" გამომჟღავნება.

ჩემი შეხედულებისაგან განსხვავებით ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში ისრაელიანები არ უარყოფდნენ ღვთის სულის ნიჭის ფლობას. ისინი აღიარებდნენ: "იერუსალიმის ყველა მკვდრისათვის ცხადი შეიქმნა, რომ აშკარა სასწაული მოხდა მათ მიერ და არ შეგვიძლია უარყოფა" (საქ 4:16). ის ფაქტი, რომ ხალხი კეთილად არის განწყობილი პენტეკოსტელების მიმართ, ეთანხმება მათ სასწაულების მოხდენის მტკიცებას. ეს საკითხი იმსახურებს ყურადღებიან განხილვას. თუ მხოლოდ ერთი სასწაული გახდა ცნობილი მთელ იერუსალიმში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნამდვილი სასწაული თუ იქნება ჩატარებული ლონდონში ტრაფალგალის მოედანზე ან ნეირობის (კენია) ცენტრალურ პარკში, მთელი მსიფლიო აღიარებს ღვთის ნიჭის მფლობელებს. ამის ნაცვლად, პენტეკოსტელები ელიან მსოფლიოს განცვიფრებას ასეთი მაგალითების შემდეგ: –

– კუჭის წყლულის განკურნება (გარკვეულ ვითარებაში). ითვლება, რომ განკურნების პროცესი დაიწყო ლოცვების შემდეგ;
– დეფორმირებული ნაწილების გასწორება;
– სმენისა და მხედველობის გაუმჯობესება, თუმცა ხშირად დაბრუნება წინანდელ მდგომარეობაში;
– დეპრესიის მოხსნა.

ამ მაგალითებს უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი. როცა სასწრაფო დახმარების მანქანას მოჰყავს საავადმყოფოს პაციენტები ოსბორნის რელიგიურ განკურნების ცენტრში (კენია), მძღოლების წინაშე დგება ეთიური დილემა – დარჩნენ თუ დაბრუნდნენ, და თუ ისინი რჩებიან, მოწმენი ხდებიან, რომ პაციენტმა ვერ მიიღო შველა.

მიუხედავად ამისა, უამრავი აფიშა იწვევს ხალხს განკურნების წარმოდგენაზე: "მოდით სასწაულის მოლოდინში!" ფსიქოლოგების თვალსაზრისით, სცენა მოწყობილია თვითშთაგონების ჩატარების შესამსუბუქებლად და ა. შ. მაგრამ არსად ახალ აღთქმაში არ ესაჭიროება ასეთი ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენის მოხდენა სასწაულის ჩატარებისას. ამგვარი ფსიქოლოგიური გავლენა ხერხდება ლოცვების უაზრო გამეორებით, დოლის რიტმისა და აგზნებული მუსიკის ქვეშ. რასაკვირველია, ამ დროს არავინ ფიქრობს ღმერთზე ან სხვა რამეზე – რადგანაც ყველაფერი ირევა თავში. ამ წიგნის ავტორს შეუძლია გაიხსენოს რამდენიმე ასეთი კრება, რომელსაც იგი დაესწრო სხვადასხვა ადგილას და ის ყოველთვის განიცდიდა საშინელ თავისტკივილს, ბრძოლისაგან შეინარჩუნოს ნათელი, რაციონალური, ბიბლიური გონება ტაშისა და დოლის რიტმის თავდავიწყების ცდუნების წინაშე. ყველაფერი ეს გამოიყურებოდა როგორც აუცილებელი პრელუდია პენტეკოსტელთა "სასწაულისათვის" და ამტკიცებს, რომ ამგვარი განკურნება ღვთის სულის გამომჟღავნების კი არა, არამედ ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შედეგია.

ამისგან განსხვავებით, პეტრეს შეეძლო გამოეყენა სასწაულის ნამდვილი ნიჭი ავადმყოფების განსაკურნებლად, როდესაც ისინი იწვნენ ქუჩაში (საქ 5:15); პავლემ გამოიყენა ნიჭი ურწმუნო პროკონსულისა და წარმართების წინაშე (საქ 14:8-13). ყველა სასწაული განხორციელებული იყო ხალხის წინაშე და მას არ ეფარებოდა რაიმე სხვა მანიფესტაცია. ეს იყო ღმერთის ძალის ნამდვილი გამოვლინება მისი მსახურების მეშვეობით. ამგვარი ეფექტი მოახდინა ქრისტეს ერთერთმა სასწაულმა: "უკვირდა

ყველას, და ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: არასდროს ამგვარი რამ არ გვინახავსო" (მარკოზ 2:12).

ენები

მოციქულებმა, რომელთა რიცხვიდანაც ზოგიერთი იყო უბრალო მეთევზე, მიიღეს აღთქმა მოიარონ მსოფლიო და იქადაგონ სახარება (მარკ 16:15, 16). ალბად მათი პირველი რეაქცია იყო ასეთი: "მე ხომ არ ვიცი ენები!" მათ არ შეეძლოთ ეთქვათ: "სკოლაში ენების სწავლა არ მეხერხებოდა", რადგანაც მათ არასოდეს უვლიათ სკოლაში. მათი გარეგნობის გამო, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი "უწიგნური და უბირო კაცნი არიან" (საქ 4:13). შედარებით განათლებულ მქადაგებლებსაც (მაგალითად, პავლესათვის) ენის პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ქადაგებისათვის ენის ცოდნას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა (ახალი აღთქმა დაწერილი არ იყო). ამ სირთულის გადასალახად, მათ მიეცათ უცხო ენებზე ლაპარაკისა და გაგების ნიჭი (მარტივად რომ ვთქვათ, "კილო"). როგორც ჩანს, არსებობს დიდი სხვაობა "კილოებისა" და "ახლადდაბადებულ ქრისტიანთა" ქადაგებას შორის, რომელსაც ისინი კითხულობენ გაურკვეველი ხმებით და უწოდებენ კილოს. ამ საკითხის გასარკვევად უნდა ავღნიშნოთ, რომ ბიბლიური სიტყვა "კილო" ანუ "დიალექტი" ნიშნავს უცხო ენებს".

ებრაელურ ორმოცდაათობის დღის დღესასწაულზე, ქრისტეს ამაღლების შემდეგ, მოციქულნი "აღივსნენ ყველანი სულით წმიდით, და სხვადასხვა ენებზე ალაპარაკდნენ... შემოკრიბა მთელი სახლი (ნიჭის საზოგადო გამომჟღავნება) და შეძრწუნდა. ვინაიდან თითოეული ისმენდა, როგორ მეტყველებდნენ მის საკუთარ ენაზე. უკვირდა ყველას და განცვიფრებული ეუბნებოდნენ ერთმანეთს: განა ყველა ესენი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველნი არ არიან? როგორღა ვისმენთ სათითაოდ ჩვენს საკუთარ ენას, რომელშიაც დავიბადეთ? პართელნი და მიდიელნი... ვისმენთ, როგორ ღაღადებენ ისინი ჩვენი ენით ღმერთის სიდიადეს. და უკვირდა ყველას" (საქ 2:4-12). საეჭვოა ხალხს უკვირდეს და განცვიფრებულნი იყვნენ

ახლანდელი მქადაგებლების მოსმენით, რომლებიც არწმუნებენ მას ნიჭის ფლობაში და საუბრობენ ისე გაურკვევლად, რომ იწვევენ მხოლოდ სარკაზმს და გულგრილობას. როგორც აღნიშნულია საქმე 2, სიტყვები "კილო" და "ენა", გარკვეული მნიშვნელობის გარდა ახალი აღთქმის სხვა წიგნებში აღნიშნავენ "უცხო ენებს". ფრაზა "რომი, ხალხი და ენები" გვხვდება ხუთჯერ გამოცხადებაში, როდესაც საუბარი მიდის დედამიწის ხალხზე (გამოცხ 7:9; 10:11; 11:9; 13:7; 17:15). ბერძნული სიტყვა "ენის" მნიშვნელობით ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში (სახელად "სეპტუაგინტი") გამოიყენება "უცხო ენების" მნიშვნელობით (იხ. დაბ 10:5; რჯლ 28:49; დან 1:4).

თავი 1 კორ 14-ში მოცემულია მითითება ენების გამოყენების შესახებ. ლექსი 21 ასხვაფერებს ესაიას ლექს 28:11, რომელშიც ნათქვამია, როგორ გამოიყენება ეს ნიჭი ისრაელიანების წინააღმდეგ: "რჯულში სწერია: "სხვა ენებით და სხვათა ბაგეებით დაველაპარაკები ამ ხალხს..." ესაიას ლექსი 28:1 პირველ რიგში ეკუთვნის ისრაელის ოკუპანტებს, რომლებიც ელაპარაკებიან მის ხალხს მათთვის უცხო ენაზე ("სხვა ენებით"). "ენებისა" და "ბაგეების" თანასწორობა ნიშნავს, რომ "ენები" – უცხო ენებია. თავში 1 კორ 14 მოცემულია უამრავი მითითება ამის შესახებ. ეს თავი წარმოადგენს პავლეს კრიტიკას ნიჭის არასწორედ გამოყენების თაობაზე, რაც ხშირად ხდებოდა ადრინდელ ეკლესიაში. ეხლა ჩვენ შევეცდებით გაუწიოთ მოკლე კომენტარი ამ საბაბს.

ლექსი 37 ძირითადია: –

> "თუ ვინმეს თავისი თავი ეგონოს წინასწარმეტყველი, ანდა სულიერი, დაე, გაიგოს, რომ რასაც გწერთ თქვენ, უფლის მცნებაა".

თუ ვინმე განაცხადებს თავისი სულიერების შესახებ, მან უნდა აღიაროს, რომ ნიჭის გამოყენების მითითება ღმერთით იძლევა.

დღეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არ ასრულებს ამ დარიგებას აშკარად გვიჩვენებს საკუთარ უპატივცემლობას ღვთივსულიერ სიტყვისადმი.

ლექსები 14:11-17: –

> "ამიტომ, თუ ხმის მნიშვნელობა არ ვიცი, უცხო ვიქნები მოლაპარაკისათვის, ხოლო მოლაპარაკე – უცხო ჩემთვის. ასევე თქვენც, როცა ეშურებით სულიერ ნიჭებს, ეცადეთ იუხვოდ ეკლესიის აღსაშენებლად. ამიტომ ილოცოს ენით მოლაპარაკემ, რათა განმარტოს კიდეც. ვინაიდან, როცა ენით ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, ჩემი გონება კი უნაყოფოა. მაშ, რა ვქნათ? ვილოცებ სულით და გონებითაც ვილოცებ. ვიგალობებ სულით და გონებითაც ვიგალობებ. ვინაიდან, თუ სულით აკურთხებ, როგორ იტყვის ამინს შენს მადლობაზე უმეცართაგანი ვინმე, თუ არ ესმის, რას ამბობ შენ? აი, შენ კეთილად სწირავ მადლს, მაგრამ სხვა არ შენდება".

ამიტომ, უაზროა საუბარი იმ ენაზე, რომელიც დამსწრებლებს არ ესმით. ლაპარაკი ფეტიშირებულ ენაზე გამორიცხულია, რადგანაც შეუძლებელია წარმოთქვა "ამინ" ლოცვის ბოლოს, რომელიც არავის არ ესმის. გახსოვდეთ, რომ "ამინ" ნიშნავს "დაე იყოს ასე", ესე იგი, "მე სრულიად ვეთანხმები ლოცვაში ნათქვამს". როგორც აღნიშნავდა პავლე, საუბარი ენაზე, რომელიც არ ესმის შენ ძმებს – არ არის შეგონება. მახსოვს შემთხვევა, როდესაც ბილი გრეხემის ციტადელთან რიგდებოდა ბროშურები ქრისტიანობაში დაბრუნების მოწოდებით. გაღიზიანებული ქალი ცდილობდა დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ ჩემი ქრისტედელფიანური დოქტრინა – "ეშმაკისებურია". თითქმის ათი წუთის განმავლობაში ის სისულელეს ლაპარაკობდა ათ ენაზე. რასაკვირველია, მე ვერ

შევიცვლიდი აზრს ასეთი "შთაგონებით". ზუსტად ამ მეთოდის წინააღმდეგ გვაფრთხილებს პავლე.

ლექსი 18: –

> "ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით".

რადგანაც პავლე ქრისტეს მოძღვრების ქადაგებისათვის ბევრს მოგზაურობდა, მას ყველაზე ძალიან სჭირდებოდა უცხო ენების ცოდნა".

ლექსი 19: –

> "მაგრამ მირჩევნია ეკლესიაში ხუთი სიტყვა ვთქვა ჩემი გონებით, რათა სხვებსაც ვასწავლო, ვიდრე ათი ათასი სიტყვა ენებით".

ეს ძალზე მარტივია. მოკლე წინადადება ქრისტეს შესახებ ინგლისურ ენაზე იქნება ჩემთვის უკეთესი, ვიდრე უცხო ენაზე ქადაგების საათები.

ლექსი 22: –

> "ამიტომ ენა მორწმუნეთათვის კი არ არის ნიშანი, არამედ ურწმუნეთათვის და წინასწარმეტყველება ურწმუნოთათვის კი არ არის, არამედ მორწმუნეთათვის".

ენების ცოდნა ამიტომ სჭირდებოდათ ძირითადად ურწმუნეთათვის სახარების ქადაგების დროს. ამჟამად "ენების" ცოდნის პრეტენდენტების უმრავლესობა მორწმუნეთა ჯგუფშია. იგრძნობა ისეთი ხალხის უკმარისობა, რომლებიც შეძლებდნენ საუბარს უცხო ენაზე სახარების პოპულარიზაციის მიზნით. 1990-ან წლების დასაწყისში იყო ქრისტეს მოძღვრების ქადაგების

საშუალება აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ (ეგრედ წოდებულ) "სახარებისეულ" ეკლესიას უნდა გაევრცელა თავისი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე, ენების ბარიერის გამო! უეჭველად, ენების ნიჭი გამოგვადგებოდა, თუ მას მფლობელი ეყოლებოდა. თვით რეინარდ სერბერი, რომელიც ქადაგებს უამრავ ხალხთა წინაშე, ქალაქ კამპალაში (უგანდა) ესაუბრებოდა ხალხთა ჯგუფს თარჯიმნის მეშვეობით.

ლექსი 23: –

> "და აი, მთელი ეკლესია ერთად შეიკრიბება და ყველანი ილაპარაკებენ ენებით, და შემოვლენ უმეცარნი და ურწმუნონი, განა არ იტყვიან, შეშლილები ხართო?"

ეს ნამდვილად ასეა. მუსულმანები და ურწმუნოები მასხარად იგდებენ დასავლეთი აფრიკის ენების მცოდნე პრეტენდენტებს მათი გაურკვეველი ქცევების გამო. ნებისმიერ ქრისტიანეს, რომელიც თვალს ადევნებს პენტეკოსტელთა კრებებს, შეუძლია იფიქროს, რომ მის წინაშე გიჟები არიან.

ლექსი 27: –

> "თუ ვინმე ლაპარაკობს ენებით, ილაპარაკოს ორ-ორმა, ან დიდი-დიდი სამმა, ერთიმეორის მიყოლებით, და ერთმა განმარტოს".

მხოლოდ ორ ან სამ ადამიანს შეეძლო საუბარი სხვადასხვა ენებზე ნებისმიერი მსახურობის დროს. არ არის სასურველი, რომ აუდიტორიაში საუბარი მიდიოდეს სამ ენაზე მეტად, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ერთი წინადადების ორჯერ გადათარგმნა. თუ ენის ნიჭი იქნებოდა კრებაზე ლონდონის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც დაესწრებოდნენ ფრანგი და გერმანელი ტურისტები, მაშინ ორატორები დაიწყებდნენ გამოსვლას შემდეგნაირად:

მოძღვარი (ინგლისურად): *Good evening.*
ფრანგი ორატორი: *Bon soir.*
გერმანელი ორატორი: *Guten abend.*

რასაკვირველია, მათ უნდა ელაპარაკათ რიგ-რიგობით. ერთდროულ საუბრის დროს შეიქმნებოდა გაუგებრობა. მაგრამ, "რამოდენიმე ენაზე მოლაპარაკე" ხალხის ბუნებიდან გამომდინარე, ზუსტად ასეთი გამოსვლები იმართება, როდესაც რამდენიმე ადამიანი საუბრობს ერთდროულად. მე დაკვირვებული ვარ, როცა ერთი ადამიანი იწყებს ლაპარაკს, მაშინვე სხვებიც შეუერთდებიან მას.

ენების ნიჭი ხშირად იყო გამოყენებული ქადაგების დროს, ამიტომ ღმერთის მიმართვა მოლაპარაკეს შეეძლო ეთქვა უცხო ენაზე (ენის ნიჭის მეშვეობით). ამგვარი ორი ნიჭის გამოყენების მაგალითს ვხვდებით საქ 19:6. მაგრამ, თუ ლონდონის კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ინგლისელები და ფრანგი სტუმრები, ორატორს ექადაგა ფრანგულ ენაზე, ინგლისელებს "ვერ შეაგონებდა". ამიტომ ენის თარგმნის ნიჭი უნდა არსებობდეს, რათა ყველამ გაიგოს სიტყვა; ჩვენ მაგალითში უნდა გაკეთებულიყო თარგმანი ფრანგულ ან ინგლისურ ენაზე. ამრიგად, თუ ვინმეს დაესვა კითხვა ფრანგულად, ორატორი ვერ გაიგებდა მას თარჯიმნის გარეშე, რადგანაც მას აქვს მხოლოდ ფრანგულ ენაზე საუბრის ნიჭი. ენის თარგმნის ნიჭი კი დაეხმარებოდა მას. თარგმნის ნიჭის მქონე ადამიანის დასწრების გარეშე, ენის ნიჭი ვერ გამოიყენება: "...და ერთმა განმარტოს. თუ არ არის განმმარტებელი, მაშინ გაჩუმდეს ეკლესიაში" (1 კორ 14:27, 28).
როცა ბევრი თანამედროვე პრეტენდენტი "ენების" ცოდნაზე ლაპარაკობს ისე, რომ მას ვერავინ ვერ უგებს თარჯიმნის გარეშე, ეს პავლეს მითითებების დაუმორჩილებობის აშკარა დემონსტრაციაა.

ლექსები 32, 33: –

> "წინასწარმეტყველთა სულები ემორჩილებიან წინასწარმეტყველთ. ვინაიდან ღმერთი უწესრიგობის კი
> არ არის, არამედ მშვიდობისა, როგორც წმიდათა ყველა ეკლესიაში".

აქედან გამომდინარე, წმიდასულის ნიჭის ფლობა არ ნიშნავს, რომ ამ ნიჭს მიჰყავს ადამიანი ნორმალური გონების რეალობიდან: სული არის ადამიანის ობიექტი, რომელსაც მოეფინა ნიჭი და არა ძალა, რომელიც იპყრობს ადამიანს და აძლევს მას თავისუფლებას ქცევებში. ხშირად არასწორედ თვლიან, რომ დემონები და "ბოროტი სულები" ეფინებათ ურწმუნოებს, წმიდასული კი მორწმუნეებს. მაგრამ სულიერი ძალა, რომლის შესახებ ნათქვამია 1 კორ 14:32 ექვემდებარება მფლობელის კონტროლს. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვით, წმიდასულის ძალა ავსებდა მოციქულებს გარკვეულ დროს და გარკვეული მიზნით. მიმართვა ნიჭის ფლობელებს გამოიყენონ იგი ღმერთის ზრახვების თანახმად (ლექსი 33) ამჟამად ალბათ ხვდება "პენტეკოსტელთა" ეკლესიების ყრუ ყურებს.

ლექსი 34: –

> "თქვენი ქალები ეკლესიაში დუმდნენ, რადგანაც ლაპარაკი კი არა აქვთ ნაბრძანები, არამედ მორჩილება, როგორც ამბობს რჯულიც".

ხაზგასმულია, რომ ქალმა არ უნდა გამოიყენოს წმიდასულის ნიჭი ეკლესიაში მსახურობის დროს. მოსალოდნელია, რომ ამ რეკომენდაციას არ დაეთანხმებიან, რადგანაც ამჟამად რახრახობის ახსნა ემოციური აღელვებით შეიძლება. ქალი, ბავშვი, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს შეპყრობილი ამით და ამიტომ აღიქვამს წამოძახილებს როგორც "უცხო ენას".

ახლანდელ ეკლესიებში ქალის მნიშვნელობა "ქადაგებისას" არ შეესაბამება 34 ლექსის დარიგებას. სასაცილო და უპასუხისმგებლოა იმის მტკიცება, რომ პავლეს ქალები სძულდა. შემდეგი ლექსი უარყოფს ამას: "თუ ვინმეს თავისი თავი ეგონოს წინასწარმეტყველი, ანდა სულიერი, დაე, გაიგოს, რომ რასაც გწერთ თქვენ, უფლის მცნებაა" (1 კორ 14:37), – და არა პირადათ პავლესი. ნებისმიერმა მორწმუნემ სერიოზულად უნდა მიიღოს 1 კორ 14 თავში მოცემული დარიგება. ამის უარყოფა სახარების მიმართ ნიშნავს რწმენის უქონლობის აღიარებას. ადამიანი, რომელსაც გააჩნია ამგვარი შეხედულებები არ მიიღებს ამ დარიგებას როგორც ღმერთისას. ამის მტკიცების ლოგიკა – ძლიერია. ამ ყველაფრის ცოდნით როგორ შეგიძლიათ იყოთ ამგვარი ეკლესიის წევრი ან გქონდეთ კავშირის სურვილი მის მომხრეებთან?

2.4 ნიჭის ამოღება

ღვთის სულის ნიჭი კვლავ გამოყენებული იქნება მორწმუნეებით არსებული სამყაროს შესაცვლელად ღვთის სასუფეველზე ქრისტეს დაბრუნების შემდეგ. ამიტომ ნიჭს ეწოდება "ძალნი მომავალი საუკუნისა" (ებრ 6:4, 5) და იოველი (იოვ 2:26-29) აღწერს სულის ნიჭის დიდძალ მოფენას ისრაელიანების მონანიების შემდეგ. ის ფაქტი, რომ ნიჭი მიეცემა მორწმუნეებს ქრისტეს დაბრუნებისას, ამტკიცებს, რომ ამჟამად ნიჭი არავის არ ეკუთვნის. ამ დროს ყველა ქრისტიანე, ვინც მიიღო სახარება და რეალურად უყურებს სამყაროს მოვლენებს, ხვდება, რომ ქრისტეს დაბრუნება ახლო მომავალში განხორციელდება (იხ. დანართი 3). არსებობს ბიბლიის წინასწარმეტყველება, რომ პირველი საუკუნის რაღაც პერიოდში, როცა ხალხს ჰქონდა ნიჭი, და ქრისტეს მეორე მოსვლის შორის, ნიჭი ამოღებული იქნება: –

> "წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება. ვინაიდან

> ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ. და როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივი განქარდება" (1 კორ 13:8-10).

პირველ საუკუნეში არსებული სულის ნიჭი ამოღებული უნდა ყოფილიყო, "როცა სრულყოფილი მოვა". ეს არ ნიშნავს ქრისტეს მეორე მოსვლას, რადგანაც მაშინ ნიჭი დაბრუნებული იქნება. ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი როგორც "სრულყოფილი", ნიშნავს "რაღაც მთლიანს და დამთავრებულს", რაც შეუპირისპირდება უცოდვილს. ეს "რაღაც მთლიანი" ნაწილობრივ ცვლის ცოდნას, რომელიც ადრინდელ ქრისტიანებს ჰქონდათ როგორც წინასწარმეტყველთა ნიჭი. გახსოვდეთ, რომ წინასწარმეტყველება – ღმერთის სიტყვის ქადაგების ნიჭი იყო; და ეს სიტყვა ამჟამად ბიბლიას შეადგენს.

ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში საშუალო მორწმუნემ იცოდა მხოლოდ ნაწილი იმ ახალ აღთქმისა, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს. მას გაუგია წინასწარმეტყველების მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა და ისინი ცხოვრების სხვადასხვა პრაქტიკულ მხარეს ეკუთვნოდა. მან იცოდა იესოს ცხოვრების მოკლე აღწერილობა და, შესაძლოა, წაიკითხა ერთი თუ ორი პავლეს მიმართვა.

როგორც კი წინასწარმეტყველების სიტყვა დაიწერა და იყო ბრუნვაში, შეწყდა ამ ნიჭის ფლობის აუცილებლობა. ის, რაც დასრულდა და შეცვალა სულის ნიჭი, ჩამოყალიბებული ახალი აღთქმა არის: –

> "მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში. რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი, ყოველი კეთილი საქმისათვის განმზადებული" (2 ტიმ 3:16, 17).

ეს სრულყოფილი ანუ სავსე არის ბიბლია. და რადგანაც მთელი ბიბლია – ღვთივსულიერია და დაწერილი, ეს "სავსე" დამყარდა და წმიდასულის ნიჭი ამოიღო. ლექსები ეფესელთა მიმართ (4:8-14) შეესაბამება ამ მტკიცებას, რათა ახსნას თავსატეხი: –

> "ამისათვის ამბობს: "ავიდა (იესო) მაღლობზე (ცაზე)... ნიჭები უბოძა ადამიანს... ქრისტეს სხეულის აღსაშენებლად, ვიდრე ყველანი მივაღწევდეთ რწმენის ერთიანობას (ესე იგი, ერთრწმენას) და ღვთის ძის შემეცნებას სრულ კაცად... რათა აღარ ვიყოთ ბალღები, რომელთაც არყევს და იტაცებს მოძღვრების ყოველგვარი ქარი".

პირველი საუკუნის ნიჭი უნდა მოფენილიყო სრულქმნილი და მწიფე ადამიანის არსებობისათვის; ლექსებში 2 ტიმ 3:16, 17, ვკითხულობთ "რათა სრულყოფილი იყოს ღვთის კაცი" "მთელი წერილის" მიღების მეშვეობით. რადგანაც მთელი წერილი უკვე არსებობს, სხვადასხვა ეკლესიებით წაყენებულ უამრავ დოქტრინებს არ გააჩნია რეალური გამართლება. არსებობს მხოლოდ ერთი ბიბლია, რადგანაც "შენი სიტყვა ჭეშმარიტებაა" (იოან 17:17), მისი ფურცლების შესწავლით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ "რწმენის ერთიანობას" (ე. ი., ჭეშმარიტებას, როგორც ნათქვამია ეფეს 4:13). ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა მიაღწიეს ამ ერთ რწმენას. ამ გაგებით ისინი "სრულნი" არიან ("სრულყოფილნი"), როგორც დაწერილი ღვთის სიტყვის შედეგი. მიაქციეთ ყურადღება ნიჭის მადლის ფლობის და სულიერი ბავშვობის შედარებას ეფეს 4:14; და წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებით, როგორ უნდა ამოღებული იყოს ნიჭი. იგივეა ნათქვამი 1 კორ 13:11. ასე რომ აურზაურის შექმნა სულიერი ნიჭის ფლობის გამო არ არის სულიერი სრულქმნილების ნიშანი. ყველა მკითხველმა უნდა გამოიტანოს დასკვნა, რომ საჭიროა ღვთის სიტყვის შესწავლა და უპასუხოს ამას თავმდაბალი მორჩილებით.

<u>სულის ფლობის თანამედროვე მიჩემება</u>

უნდა გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა იმ ხალხის შესახებ, რომლებიც თვლიან, რომ წმიდასულის ფლობელნი არიან: –

– თანამედროვე "ლაპარაკს ენებზე" აქვს მოკლე მარცვლების ხშირი გამეორების ტენდენცია, მაგალითად, "ლალა, ლალა, ლალა; შამა, შამა; იესო, იესო..." ეს არ არის რომელიმე ენასთან დაკავშირებული სინტაქსისი. როდესაც ადამიანს ესმის უცხო ენა, ის ჩვეულებრივ გებულობს, რის შესახებ საუბრობენ. მას ესმის სიტყვების დამახასიათებელი გამოთქმა, თუმცა, შესაძლოა, არ ესმის ამ სიტყვების აზრი. მაგრამ თანამედროვე "ლაპარაკი ენებზე" არ გამოიყოფა ამით. აქ არ არის ის დარიგება, რომელიც პირველი საუკუნის ნიჭის მიზანი იყო.
– ზოგიერთი პენტეკოსტელი ამტკიცებს, რომ ლაპარაკი ენებზე – "ხსნისათვის" საჭირო ნიშანია და ამიტომ ის აუცილებელია ახალი რწმენის მიღების ყველა შემთხვევაში. ეს სიტყვები უპირისპირდება ადრინდელი ეკლესიების აღწერილობას, რომლებშიც ისინი, ვიზეც მოფენილი იყო სხვადასხვა ნიჭი ედარებოდნენ სხვადასხვა ორგანოს. ყველა არ იყო ხელი და ფეხი და ყველას არ ჰქონდა რაიმე ნიჭი, მაგალითად, ენების. 1 კორ 12:17, 27-30 ლექსები გვიხსნიან ამას: –

> "თუ მთელი სხეული თვალია, სადღაა სმენა? თუ ყველაფერი სმენაა, სადღაა ყნოსვა? თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე – მისი ასოები. დააყენა ღმერთმა ეკლესიაში, პირველად მოციქულები, მეორედ – მქადაგებელნი, მესამედ მოძღვარნი, მერე კურნებათა ნიჭები, შეწევნანი, მართვანი, სხვადასხვა ენები. ყველა მოციქულია? ყველა მქადაგებელია? ყველა მოძღვარია? ყველას ძალთა მოქმედება აქვს? ყველას აქვს განკურნებათა ნიჭი? ყველანი ლაპარაკობენ ენებით? ყველანი განმარტავენ?"

იგივეა ნათქვამი ამავე თავში ცოტა ადრე: –

> "ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით. ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს – განკურნებათა ნიჭი იმავე სულით. ზოგს – სასწაულთმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება. ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს. რადგან, როგორც სხეული ერთია, მაგრამ მრავალი ასო აქვს, და სხეულის ყველა ასო, თუმცა ბევრნი არიან, ერთი სხეულია, ასევეა ქრისტეც" (1 კორ 12:8-12).

ასეთ სიცხადის იგნორირება შეუძლებელია.

სხვა მნიშვნელოვან მომენტად პენტეკოსტელთა შესახებ გამოიყენება მაგალითი, როდესაც ფილიპე ნათლავდა წყალში რწმენის ახლადმიღებულ ხალხს, და მათ არ მიიღეს სულისწმიდის ნიჭი, რადგანაც მხოლოდ ამის შემდეგ პეტრე და იოანე მივიდნენ მათთან და "ილოცეს მათთვის, რომ მიიღოთ სულიწმიდა... მაშინ დაასხეს ხელები მათ და მათაც მიიღეს სულიწმიდა. როცა სიმონმა, დაინახა, რომ მოციქულთა ხელების დასხმით ეძლეოდათ სულიწმიდა..." (საქ 8:4-18). შესაძლოა, რომ სულის ნიჭის გადაცემა იწარმოებოდა მხოლოდ ხელის დადებით, რაც ამჟამად ხშირად არ გვხვდება თანამედროვე პრეტენდენტების მხრიდან. სხვა პენტეკოსტელებს (ორმოცდაათიანებს) მიაჩნიათ, რომ სხვადასხვა ენებზე ლაპარაკი ხსნის გარანტი არ არის. ამით მჟღავნდება სერიოზული თეოლოგიური უთანხმოება მათ შორის, ვინც გვარწმუნებს ნიჭის ფლობას. ასე, ზოგიერთ "ღვთივსულიერს" სწამს, რომ ღმერთის სასუფეველი დედამიწაზე იქნება, სხვები კი ფიქრობენ – ზეცაზე. კათოლიკური "ღვთივსულიერნი" გვიმტკიცებენ, რომ წმიდასული უბრძანებს მათ გააღმერთონ

მარიამი და პაპა, ამავე დროს "ღვთივსულიერი" პენტეკოსტელები აცხადებენ, რომ მათზე მოფენილი წმიდასული აიძულებს მათ მოეპყრონ პაპას, როგორც ანტიქრისტეს და გაკიცხონ კათოლიკური მოძღვრება. მაგრამ იესო ამბობდა, რომ ისინი, ვისაც მიეცა ნუგეშისმცემელი, ესე იგი, წმიდასული, იქნებიან მიმართულნი "ყოველ ჭეშმარიტებაში... იმ დღეს არაფერს მკითხავთ... ნუგეშისმცემელი... ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს" (იოან 16:13, 23; 14:26). მათ შორის, ვისაც მიეცა ნუგეშისმცემელი არ უნდა იყოს მკვეთრი შეუთანხმებლობა მოძღვრებაში და იმავე დროს ამ შეუთანხმებლობის არსებობა გვიჩვენებს, რომ სერიოზულად არ უნდა მოვეპყროთ იმ ხალხს, ვინც აცხადებს მის (ნუგეშისმცემელის) ფლობას. ასეთი პრეტენდენტების მოუხერხებლობა ახსნან თავიანთი სარწმუნოება ბიბლიურად, გვიჩვენებს, რომ ნუგეშისმცემელი არ მართავს მათ მთელი ჭეშმარიტებით.

– ზოგიერთი ხალხი ენებზე ლაპარაკს ანიჭებს დიდ ყურადღებას, რაც არ შეესაბამება ბიბლიურ დებულებებს. სულის ნიჭის სიაში, რომელიც მოცემულია ეფეს 4:11 იგი არც არის აღნიშნული. ეს ნიჭი იხსენება მხოლოდ დაწვრილებითი სიის ბოლოს 1 კორ 12:18-30 ლექსებში. ახალ აღთქმაში მხოლოდ სამ ადგილას გვხვდება მითითება ამ ნიჭის გამოყენების შესახებ (საქ 2:4; 10:46; 19:6).

თანამედროვე ღვთივსულიერ ქრისტიანთა მიჩემება, რომლებიც ლაპარაკობენ სხვადასხვა ენებზე და სასწაულებს ქმნიან, უნდა განიხილოს ამ თავში ნათქვამი სულის ქმნილების გათვალისწინებით. ძირითადი დასკვნა ამგვარი უნდა იყოს: რაც არ უნდა თქვას ამ ხალხმა თავიანთ მოღვაწეობის შესახებ, ეს არ შეიძლება იყოს სულის მოფენის შედეგი. ვინც არ უნდა გამოვიდეს ნიჭის ფლობის განცხადებით, მან უნდა საკმაოდ ბევრი იცოდეს, რომ პასუხი გასცეს აქ მოყვანილ ბიბლიურ მოსაზრებებს.

მაგრამ, საჭიროა გაიცეს პასუხი იმ კითხვაზე, თუ რატომ ხდება ნაწილობრივი განკურნების და "ენებზე" ლაპარაკის შემთხვევები (კერპთმსახურობის გაგებით).

აღიარებულია, რომ ხალხი სარგებლობს ტვინის მცირე ნაწილით, ზოგიერთი მონაცემებით მხოლოდ 1%. ასევე დადგენილია, რომ ტვინს შეუძლია განახორციელოს თითქმის "ფიზიკური" კონტროლის ხეულზე. ასე თვითშეგნებით, რომ ცეცხლი არ სწვავს, ინდუსები დადიან მასზე შიშველი ფეხებით. განსაკუთრებული შთაგონების დროს ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი ტვინის შესაძლებლობიდან ბევრად დიდი პროცენტი და მივაღწიოთ ჩვენი სხეულის ისეთ ფიზიკურ გაცემას, რომელიც ბევრად აჭარბებს მიღებულ საშუალებებს. ასე აღელვების მდგომარეობაში, ჯარისკაცს ბრძოლის დროს რამდენიმე საათის განმავლობაში შეუძლია არ შეამჩნიოს, რომ მას მოწყვეტილი აქვს ხელი. დიდი რელიგიური რწმენის დროს, რომელსაც ახლავს გარკვეული მუსიკა, ღვთივსულიერი ხელმძღვანელის გავლენის ქვეშ, სრულიად შესაძლებლოა ასეთი მოვლენები, რომლებიც ნორმალური ადამიანის წარმიდგენას არ ექვემდებარება. სასწაულები, რომლის შესახებ საუბრობენ დღევანდელი "ქრისტიანები" – ამ რიგის გამონაკლისია. ასე შამანის თაყვანისმცემლები სარგებლობენ იმავე ხერხით, რომელიც გამოყენებულია სხვა ენაზე ლაპარაკის დროს. მახმადიანებს ასევე შეუძლიათ დაადასტურონ თანამედროვე ქრისტიანების სასწაულები. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სულის ნიჭის მოფენა ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში ხორციელდებოდა ჭეშმარიტი ქრისტიანობის ცხად აღმატებულებაში სხვა რელიგიებთან. ფაქტი, რომ ახლანდელი ქრისტიანობის თანამედროვე "სასწაულები" ემსგავსება სხვა რელიგიების "სასწაულებს" ამტკიცებს ისეთი წმიდასულის ნიჭის დაუსწრებლობას, რომელიც ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში იყო.

ისლამის ტრიუმფალურ სვლას აფრიკის დიდ ნაწილში არ ექნებოდა ადგილი, თუ "ქრისტიანები" ქმნიდნენ რეალურ

სასწაულებს იმავე მაშტაბით და იმავე ძალით, როგორც ეს პირველ საუკუნეში ხდებოდა. და ის, ვისაც ნამდვილად ექნებოდა წმიდასულის ნიჭის "ნუგეშისმცემელი", მოახდენდა უმეტესსაც "ვიდრე იესო ჰქმნიდა" (იოან 14:12, 16). აზრი, რომ ქრისტიანები შასძლებდნენ სასწაულის შექმნას თუ მათ უფრო მეტი რწმენა ექნებოდათ, იწვევს გარკვეულ ეჭვებს. კითხვა ამგვარად ისმევა: ან მათ აქვთ ნუგეშისმცემლის სასწაული ნიჭი ან არა. და თუ ისინი ამტკიცებენ მის ფლობას, ისინი შეჰქმნიდნენ "უმეტესსაც" (იოან 14:12) და არა შეძლებდნენ შექმნას!

2.5 ბიბლია – ერთადერთი ავტორიტეტი

ზემოთ მოცემულ თავში ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ღმერთის სული ეკუთვნის მის გონებას, განზრახვას და ძალას, რომლის მეშვეობით ის აწარმოებს თავის ქმნილებებს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სული აშკარად ამჟღავნებს თავს ღმერთის სიტყვის ფურცლებზე. თანამედროვე ქრისტიანების უმრავლესი პრობლემა ამის სრული გაუგებრობით არის გამოწვეული. რადგანაც ძნელია იმის გაგება, რომ ასეთი დიდი ძალა არის ჩადებული მხოლოდ ერთ წიგნში, გვინდა ვიფიქროთ, რომ ბიბლიის გარდა არსებობს ღმერთის გამოცხადების რაღაც სხვა ფორმაც. იმის გამო, რომ ჩვენი უკურნებელი ბუნება (იერემ 17:9) მიიჩნევს ღმერთის სიტყვას საკმაოდ ბუნდოვნად (იოან 17:17), ბევრი ხალხი ცდუნებაშია ჰქონდეთ გამოცხადების სხვა ფორმა, უფრო მიმზიდველი ადამიანის გონებისათვის. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი ამის შესახებ: –

სარწმუნოება (ეკლესია)	**გამოცხადების სხვა ფორმები**	**ამ ფორმის უპირატესობა / მიმზიდველობა ადამიანისათვის**
იეღოვას	საგუშაგო კოშკის	არ არის აუცილებელი ფიქრი

მოწმეები	საზოგადოების პუბლიკაციები, რომლებიც ღვთივსულიერად ითვლებიან.	ბიბლიის სწორი ინტერპრიტაციის შესახებ. ყველიფერზე არის გაცემული პასუხი.
რომული კატოლიციზმი	პაპასა და მღვდელების მოსაზრებების გამოთქმა, რომლებიც, მათი თქმით, ღმერთის გონების ანარეკლი არიან.	ბიბლიის კითხვა აუცილებელი არ არის. წარსულში კატოლიციზმი მხარს არ უჭერდა და უგრძალავდა ამას. ხალხის სიტყვების რწმენა და არა ძალის მოხმარება ამ სიტყვების ჭეშმარიტების დასადასტურებლად.
მორმონები	მორმონთა წიგნი	გამორიცხავს იმ ბიბლიურ დოქტრინების რწმენის აუცილებლობას, რომლებიც რთულია ასათვისებელად. მორმონთა წიგნი იძლევა უნივერსალური ხსნის საშუალებას. იმავე დროს ბიბლიაში ნათქვამია იმ ხალხის შესახებ, რომლებიც ცოცხლობენ და კვდებიან იმედის გარეშე, რადგანაც არ იყვნენ მოწოდებულნი სახარების სასწავლელად.
ღვთივსულიერი	“შინაგანი	მათ სწამთ, რომ ნებისმიერი

ქრისტიანობა	სინათლე", მათი აზრით, წმიდასულია.	მათი გრძნობა ჭეშმარიტია და თვლიან, რომ ღმერთის სული მართავს და შთააგონებს მათ გზებზე, რომლებიც ბიბლიას არ უკავშირდებიან.

ეს ყველაფერი ხაზს უსმევს ბიბლიის, როგორც ღმერთის სიტყვის, საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობას. კითხვაზე: "რატომ არის ერთი ბიბლია, მაგრამ ბევრი ეკლესია?" უნდა გაიცეს პასუხი კითხვით, როგორ იღებს ყოველივე ეკლესია ღმერთის სულის გამოცხადების სხვა ფორმას, ესე იგი, მის ნებას, მოძღვრებას და მოსაზრებას, გარდა იმისა, რაც ნათქვამია ამის შესახებ ბიბლიაში. თუ თქვენ გსურთ იპოვოთ ერთი ჭეშმარიტი ეკლესია, ერთი ჭეშმარიტი რწმენა და ერთი ჭეშმარიტი ნათლობა (ეფეს 4:4-6), მიმართვა თქვენსკენ უნდა იყოს ნათელი და ხმაძლიერი: "უკან ბიბლიისაკენ!"

გადაწვევა 4: წმიდასული – პიროვნებაა?

წიგნის ნაწილებში 2.1 და 2.2 დამტკიცებულია, რომ ღმერთის სული ეკუთვნის მის ძალას, რომელიც ასახავს მის "გონებას" საკმაოდ ვრცლად. რადგანაც ღმერთის სული მოქმედებს როგორც ღმერთის პიროვნება და არსების ზუსტი ანარეკლი, ზოგიერთი ხალხი ამბობს, რომ ღმერთის სული პიროვნებაა, რომელიც თვით ღმერთია. ზემოთ მოყვანილი ნაწილების ყურადღებიანი განმეორებითი კითხვა გვიჩვენებს, რომ ღმერთის სული მისი გონება და ძალაა და, აქედან გამომდინარე, გონება და ძალა არავითარ შემთხვევაში პიროვნებად არ იქნებიან. ელექტრობა – უხილავი ძალაა, რომელიც აძლევს შედეგს ელექტრობით მმართველ ადამიანს; მაგრამ მას არ შეუძლია იყოს პიროვნება. სიყვარული – ადამიანის ხასიათის გამომჟღავნებაა, მაგრამ ის არასოდეს გახდება პიროვნებად. ღმერთის სული შედგება მის სიყვარულისაგან, როგორც მისი ხასიათის ნაწილისაგან და

შეუძლია ეკუთვნოდეს მის ძალას, მაგრამ მას არ შეუძლია იყოს მისგან დამოუკიდებელი პიროვნება.

უმეტეს "ქრისტიანების" დიდი შეცდომა (რომ სული პიროვნებაა) არის "სამების" რწმენა. ამ დოქტრინის მიხედვით არსებობს სამი ღმერთი, რომლებიც რაღაცნაირად წარმოადგენენ ერთა და იმავეს – ღმერთი მამა, წმიდასული და იესო. იგივე ხალხი ამტკიცებს, რომ ღმერთი პიროვნება არ არის და იმავე დროს აცხადებენ, ღმერთი სული – პიროვნებაა და ამით უშვებენ წინააღმდეგობას. არსებობს საფუძვლიანი მიზეზი გვწამდეს, რომ "სამება" იყო ქრისტიანობაში გადმოტანილი წარმართული იდეა და ამიტომ ეს სიტყვა არ გვხვდება ბიბლიაში. სამების იდეის მიღების შემდეგ, ქრისტიანები იძულებულნი იყვნენ გამოეტანათ დასკვნა, რომ ღმერთის სული/ძალა – პიროვნებაა და ასევე ღმერთი არის, თუმცა ღმერთი არც არის. როდესაც ქრისტიანებს იჭერენ ამ წინააღმდეგობაზე, ისინი ადვილად გამოდიან მდგომარეობიდან განაცხადავ, რომ ღმერთი – იდუმალია და ჩვენ ყველაფერი ლოგიკური დასკვნის გარეშე უნდა ვირწმუნოთ. ამასთანავე ისინი მხარს უვლიან ახალ აღთქმაში ნათქვამს ღმერთის საიდუმლობის შესახებ, რომელიც იესო ქრისტეს საქმეებში და სიტყვებში ამჟღავნებს თავს: –

> "ვინაიდან არა მსურს, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო" (რომ 11:25).
> "იესო ქრისტეს ქადაგებისამებრ, დაფარული საიდუმლოს გამოცხადებით" (რომ 16:25).
> "გეტყვით თქვენ საიდუმლოს..." (1 კორ 15:51).
> "გვაუწყა რა თავისი ნების საიდუმლო" (ეფეს 1:9; 3:3).
> პავლეს ქადაგება იყო "ვიქადაგოთ სახარების საიდუმლო" (ეფეს 6:19; კოლ 4:3).
> "საიდუმლოსი, რომელიც... ახლა გაეხილათ მის წმიდებს" (კოლ 1:26).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად არ არსებობს საიდუმლო ძირითადი დოქტრინების შესახებ, და მხოლოდ სიბნელეში მყოფი ადამიანი, საუბრობს საიდუმლოზე. ნუთუ არ ღელავს ასეთი ადამიანი იმაზე, რომ გამოცხადებაში აღწერილი ცრუ რელიგიების სისტემა, რომელსაც "ბაბილონი" ჰქვია – "საიდუმლოა" (გამოცხ 17:15)? ძირითადი აზრი იმასშია, რომ ეს სისტემა აცხადებს თავის რწმენას საიდუმლოდ, მაგრამ ნამდვილ მორწმუნეებს ესმით იქ ნათქვამი ქალის საიდუმლო (გამოცხ 17:7).

შეგვიძლია, რასაკვირველია, მოველოდოთ ასეთ ბუმდოვან ახსნას იმ ხალხისაგან, რომელიც ამყარებენ ღმერთის გაგებას სუბიექტურ შთაბეჭდილებებზე, ან რაღაც გარკვეული სულიერი ძალის მოქმედებაზე მათ გონებაზე. თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ თავმდაბალი ღმერთის სიტყვის მიმართ, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი შესაძლებლობა, რათა გამოვავლინოთ მისი აღთქმა. ბიბლიაში მოხსენებული სახარების არც ერთი მქადაგებელი არ ხმარობდა ამგვარ გამოთქმას: "ეს – სრული საიდუმლოა და თქვენ ვერ შეძლებთ მის გაგებას". ამის ნაცვლად, ვკითხულობთ მიმართვას გამოვიყენოთ გონება და გავაკეთოდ ლოგიკური დასკვნა წმიდა წერილიდან.

ბიბლიის ძირითადი დებულებების შესახებ (რომლებსაც ჩვენ ასევე განვიხილავთ ამ წიგნში), პავლე "ელაპარაკებოდა მათ წერილებიდან, უხსნიდა და უმტკიცებდა, რომ ქრისტე უნდა დატანჯულიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო" (საქ 17:2, 3). ეს სისტემატიური, ლოგიკური ბიბლიური მტკიცებაა, რომელიც სრულყოფილს ხდის და თვითონ წინადადებაც იწყება სიტყვებით: "პავლე, თავისი ჩვეულებრისამებრ... უმტკიცებდა..." ეს იყო მისი ჩვეულებრივი სტილი (იხ. ასევე საქ 18:19). ამის შესაბამისად, კორინთოში პავლე "ყოველ შაბათს საუბრობდა სინაგოგაში და არწმნებდა იუდეველებს... მაგრამ რაკი ისინი ეწინააღმდეგებოდნენ..." (საქ 18:4-6). ხალხი რწმენის მისაღებად უსმენდა ბიბლიიდან მოყვანილ პავლეს მტკიცებებს; და აქ იყო

ამგვარი ფრაზები, როგორიცაა "იესოს მოლანდება კელიაში", "აუღწერელმა გრძნობამ ამიტაცა", "ერთხელ საღამოს შევხვდი უფალს".

მიაქციეთ ყურადღება ასევე იმას, რომ ღვთივსულიერი წერილი მოგვიწოდებს ლოგიკისაკენ და რაციონალიზმისაკენ. და ამავე დროს მიგვითითებს, რომ "ისინი ეწინააღმდეგებოდნენ". ამის მსგავსად, ანტიოქიაში, პავლე და ბარნაბა "ესაუბრებოდნენ (ღმერთის სიტყვაზე) და არწმუნებდნენ" (საქ 13:43). შემდეგ ისინი იკონიაში გაჩერდნენ, სადაც "ისე ილაპარაკეს, რომ უამრავმა იუდეველმა და ბერძენმა ირწმუნა" (საქ 14:1). როდესაც ამის შემდეგ პავლე განიკიცხეს, იგივე ლოგიკა აგრძელებდა მომავლის იმედის შთაგონებას: "ის ლაპარაკობდა სამართლიანობაზე, თავშეკავებისა და მომავალ განკითხვაზე" ისეთი გულში ჩამწვდომ სიცხადით, რომ ცინიკური მსაჯული "შეშინდა" (საქ 24:25). რადგნაც ჩვენი საუბარი ეყრდნობა მტკიცებებს, უნდა მივცეთ ჩვენი იმედისა და დოქტრინის ბიბლიური დადასტურება: –

> "მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ" (1 პეტ 3:15).

საუბარი მშვიდი ხმით ვიღაცის პირად გამოცდილებაზე – არ არის სახარების იმედის დამტკიცება. ხანგრძლივი მითითება პირად მოწმობაზე, როგორც უმრავლესი ქრისტიანის ქადაგების საშუალება, ხაზს უსმევს მათ "იმედზე" "არგუმენტირებული პასუხის" უქონლობას. მთელი ლექსიკონი გაჩნდა ქრისტიანელთა შორის, რათა მიეცეთ საშუალება "გამოიყენონ ის, რაც ღმერთმა გააკეთა შენს ცხოვრებაში" და ა. შ. ასეთი ანეკდოტები მძაფრად უპირისპირდებიან პავლეს სიტყვებს: "ჩვენ თავს კი არ ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესოს, უფალს" (2 კორ 4:5); – და ეს ადამიანისაგან, რომელიც ყველაზე მეტად ესაუბრებოდა იესოს.

ჩვენი რწმენის მიღების ლოგიკურმა, ბიბლიურად დასაბუთებულმა ხერხმა, უნდა შექმნას მოდელი ჩვენთვის უფრო ვრცელი ნათესაობრივი კავშირისათვის ღმერთთან. როგორც ყველასათვის, ასევე ჩვენთვის სამაგალითო არიან პირველი ქრისტიანები, რომლებიც პრობლემების გადასაჭრელად გონებას იყენებდნენ (საქ 6:2). ახალი აღთქმის მიმართვებში გამოიხატება რწმენა, რომ მკითხველები მიიღებენ ხელმძღვანელად ბიბლიურ ლოგიკას. ამგვარად, იმის მიხედვით, თუ როგორი იყვნენ მოსეს რჯულით მცხოვრები მღვდელმთავრები, ჩვენ შეგვიძლია დაწვრილებით შევიტყოთ ყველაფერი ქრისტეს საქმიანობის შესახებ (ებრ 5:3). ღმერთის სწორუპოვარი სიყვარულის ქრისტესადმი მოთხრობის შემდეგ, პავლე მოგვიწოდებს, რომ ჩვენი ‘‘გონივრული (ბერძნულად **logikos,** ესე იგი, ლოგიკური) მსახურობა’’ მთლიანად შეეწიროს მას საპასუხოთ (რომ 12:1). სიტყვა ‘‘**logikos**’’ იწარმოება სიტყვისაგან **‘‘logos’’,** რომელიც ითარგმნება, როგორც ‘‘სიტყვა’’ ღმერთის სიყვის გაგებით. აქედან გამომდინარე, ჩვენი ლოგიკური პასუხი ბიბლიის თერმინებზე ასევე უნდა იყოს წარმოქმნილი ღმერთის სიტყვიდან. ამრიგად, არ არის ლოგიკური მტკიცება ღმერთის სულის შესახებ, როგორც პიროვნებაზე, რომელიც არ არის ღმერთი და ამავე დროს ღმერთია. და პასუხი, რომ ეს ყველაფერი საიდუმლოა და ლოგიკას არ ექვემდებარება ბიბლიურ თერმინებში, მიუღებელია. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ლოგიკური დასკვნის გამოტანას წმიდა წერილიდან, მაშინ ბიბლიის შესწავლა ამაოა; და ბიბლიის აუცილებლობაც არა არის, რადგან ის მხოლოდ საინტერესო ან გასართობი ლიტერატურული ნაწარმოებია. მგონი ეს ყველაფერი არის ქრისტიანელების უამრავ წიგნის თაროებზე.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი, ვისაც სწამს, რომ ღმერთის სული პიროვნებაა, ცდილობს მისცეს ამ დებულებას ბიბლიური ახსნა. მოყვანილია ლქსები, რომელშიც ღმერთის სული აღწერილია, როგორც პიროვნება, მაგალითად, როგორც ‘‘ნუგეშისმცემელი’’ (იოან 14:16) ან მითითებულია, რომ სული ‘‘დანაღვლიანებულია’’.

წიგნის ნაწილში 4.3 ჩვენ ვახსენეთ, რომ ადამიანის "სულს" შეუძლია იყოს შეშფოთებული (საქ 17:16), დამძიმებული (დაბ 41:8) ან გახარებული (ლუკ 10:21) ადამიანის "სულზე", ესე იგი, მის არსებობაზე, მის გონებაზე და განზრახვებზე, რომელიც იწვევს მოქმედებას, ამბობენ როგორც განცალკევებულ პიროვნებაზე. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ მიიღება სიტყვასიტყვით. ღმერთის სულზეც შეგვიძლია ვისაუბროთ ამგვარად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიბლიაში ხშირად არის გამოყენებული გასულიერების ენა, როდესაც საუბარი აბსტრაქტურ მოვლენებს ეხება. მაგალითად, იგავნი 9:1 სიბრძნის შესახებ ნათქვამია, როგორც ქალზე. ეს გვიჩვენებს, როგორი იქნებოდა ადამიანი ბრძნულად რომ ემართა საქმეები. სიბრძნე არ შეიძლება არსებობდეს ადამიანის გონების გარეშე, და ამიტომ გამოყენებულია ამგვარი გასულიერება. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ნათქვამია გადახვევა 5: "გასულიერების პრინციპი".

გადახვევა 5: გასულიერების პრინციპი

ზოგიერთი ადამიანი, შესაძლოა, ძნელად აითვისებს ეშმაკის გასულიერების ახსნას, რადგანაც ის ასე ხშირად არის ნახსენები ბიბლიაში, რომ იქმნება შთაბეჭდილება თითქოს იგი პიროვნებაა და ეს ფაქტი შეცბუნებს ხალხს. მაგრამ ეს ადვილად შეგვიძლია ავხსნათ იმით, რომ ბიბლიის თავისებურებაა უსულო საგნების და აბსტრაქტული მოვლენების გასულიერება, მაგალითად ასეთების, როგორიცაა სიბრძნე, სიმდიდრე, ცოდვა, ეკლესია და მხოლოდ ეშმაკთან შემთხვევაში რაღაც ფანტასტიკური თეორიები შეიპარება. შემდეგი მაგალითები მოყვანილია ილუსტრაციის მიზნით: –

<u>სიბრძნის გასულიერება.</u> "ბედნიერია ის კაცი, ვინც ჰპოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან <u>მისი</u> შეძენა ცვჯობს ვერცხლის შეძენას და <u>მისი</u> მოსავალი – ხალას ოქროს. მარგალიტებზე უფრო ძვირფასია და შენგან სანატრელი არაფერი შეედრება <u>მას</u>" (იგავ 3:13-15).

“სიბრძნემ სახლი აიშენა, მისი შვიდი ბოძი გათალა” (იგავნ 9:1).

ეს ლექსები, როგორც წიგნის თავების სხვა ნაწილები, გვიჩვენებენ, რომ სიბრძნე გასულიერებულია როგორც ქალი, მაგრამ ამის გამო არავის არ უჩნდება აზრი, რომ სიბრძნე – სიტყვასიტყვით ქალია, რომელიც მოგზაურობს დედამიწაზე. ყველას ესმის, რომ სიბრძნე ყველასათვის სასურველი თვისებაა.

სიმდიდრის გასულიერება. ”არავის არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე დაამციროს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონსაც” (მათ 6:24).

აქ სიმდიდრე შედარებულია ბატონებს. უამრავ ხალხს აქვს სურვილი მიიღოს სიმდიდრე და ამ გზით გახდეს მისი ბატონი. იესო აქ გვეუბნევა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვაკეთოთ ეს და იმავე დრის ვემსახუროთ ღმერთს. დარიგება საკმაოდ უბრალო და მოქმედია, მაგრამ არავინ არ წარმოიდგენს, რომ სიმდიდრე – ადამიანია, რომელსაც მამონი ჰქვია.

ცოდვის გასულიერება. “... ყველა ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა” (იოან 8:34). “ცოდვა მეფობდა სიკვდილით” (რომ 5:21). “ნუთუ არ იცით, რომ ვისაც თქვენ თავს მისცემთ მონებათ მორჩილებისათვის, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის” (რომ 6:16).

როგორც სიმდიდრესთან შემთხვევაში, ცოდვა შედარებულია აქ ბატონს, და ის ვინც ცოდვას იდენს – მისი მონაა. არც ერთი გონიერი მკითხველი არ მიიღებს პავლეს სიტყვებს ისე, თითქოს ცოდვა – ადამიანია.

სულის გასულიერება. "როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს" (იოან 16:13).

აქ იესო აცნობს მოციქულებს, რომ ისინი მიიღებენ წმიდასულის ძალას, რაც ნამდვილად მოხდება ორმოცდაათობის დღეს, როგორც ნათქვამია საქ 2:3-4: "და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით", რომელმაც მისცა მათ სასწაული საქმეების ძალა. წმიდასული არ იყო პიროვნება, ეს იყო ძალა, მაგრამ როცა იესო ამბობდა მასზე, იგი ხმარობდა ნაცვალსახელს "ის".

სიკვდილის გასულიერება. "შევხედე, და აჰა, ფერმოხდილი ცხენი და მისი მხედარი, რომლის სახელი სიკვდილია" (გამოცხ 6:8).

ისრაელის ხალხის გასულიერება. "კვლავ აგაშენებ და აშენებული იქნები, ისრაელის ქალწულო, კვლავ შეამკობ შენს დიარებას..." (იერემ 31:4). "ცხადად მომესმა, რომ წუხს ეფრემი: "ხსჯიდა და დასჯილი ვარ შენგან, როგორც გაუხედნელი მოზვერი. მომაქციე და მოვიქცევი, რადგან შენ ხარ უფალი, ჩემი ღმერთი" (იერემ 31:18).

ამ ლექსების შინაარსი გვიჩვენებს, რომ წინასწარმეტყველი მიმართავს ისრაელის ხალხს და არა ეფრემს, როგორც ადამიანს. ისრაელის ხალხი სულიერდება ამ შემთხვევაში როგორც დიდი ბრიტანეთი, როდესაც მას "ბრიტანეთს" ან "ჯონ ბულს" უწოდებენ. ასეთი ქალი და კაცი არ არსებობს, მაგრამ როდესაც ეს დასახელება გვხვდება წიგნში ან სურათებზე, ყველამ იცის, რომ მის მაგიერ იგულისხმება დიდი ბრიტანეთი.

ქრისტეს მორწმუნეთა გასულიერება. "ვიდრე ყველანი მივაღწევდეთ რწმენის ერთიანობას და ღვთის ძის შემეცნებას სრულ კაცად, ქრისტეს სისავსის ასაკის ზომას" (ეფეს 4:13). "ერთია სხეული" (ეფეს 4:4). "თქვენ კი ქრისტეს სხეული ხართ, ხოლო ცალ-ცალკე მისი ასოები" (1 კორ 12:27). "... ქრისტე არის ეკლესიის თავი და ის არის სხეულის მაცხოვარი" (ეფეს 5:23). "ის (ქრისტე) არის ეკლესიის სხეულის თავი... ახლა კი ვხარობ ჩემი ტანჯვებით თქვენს გამო და ჭირს რაც ქრისტეს დააკლდა, ვავსებ საკუთარი ხორცით მისი სხეულისათვის, რომელიც ეკლესიაა" (კოლ 1:18, 24). "ვინაიდან თავგამოდებული ვარ თქვენს მიმართ ღვთიური თავგამოდებით, რადგან დაგნიშნეთ თქვენ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე (2 კორ 11:2). "... მოვიდა კრავის ქორწილი, და მისმა სასძლომ თავი გაინზადა" (გამოცხ 19:7).

ყველა ეს ლექსი ეკუთვნის ხალხთა ერთობას, რომლებიც ჭეშმარიტად ქრისტიანები იყვნენ და რომლებსაც ზოგჯერ უწოდებდნენ "ეკლესიას", თუმცა ეს არ უნდა აგერიოთ რომელიმე თანამედროვე ეკლესიასთან! ნამდვილი მორწმუნეები, ესე იგი, ისინი ვისაც სწამს ბიბლიის დოქტრინები, "წმიდა ქალწულები" არიან და ამით აღნიშნავენ იმ ცხოვრების სიწმიდეს, რომლითაც უნდა იცხოვრონ; და სხეულს, რომელიც სათანადოა, რადგანაც როგორც ბუნებრივ სხეულს უამრავი ფუნქცია აქვს, ასევე ჭეშმარიტ ეკლესიას აქვს დიდი პასუხისმგებლობა და ახორციელებს სხვადასხვა ფუნქციებს. როდესაც ეკლესიას უწოდებენ "სხეულს", ეს არავის არ ერევა რომელიმე პიროვნებასთან. ხალხი ასევე არ მიიჩნევს ეშმაკს ან სატანას რომელიმე ზეციერ "ურჩხულად" ან დაცემულ ანგელოზად, თუ სიტყვები სწორედ იყო ნათარგმნი ან თუ მამაკაცსა და ქალს არა აქვთ მიღებული წარსული დღეების ცრუ ეკლესიებიდან ცრუ იდეები.

ადაპტირებულია რობერტ რობერტსის წიგნიდან "ქრისტიანობის ცდომილება".

გადახვევა 6: კალვინიზმი

რამდენიმე ასეული წლის წინ კალვინმა ჩვენი ცხოვრების წინასწარდანიშნულების იდეა წამოაყენა, რომლის მიხედვით ჩვენი კეთილი ნების გადაწყვეტილებებს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა ჩვენს ხსნისათვის – ჩვენ წინასწარ ვართ განკუთვნილი ან ხსნისათვის, ან განკიცხისათვის. ეს აზრი გადაისახა რამდენიმე თანამედროვე იდეათ:

– ყოველი ღონის ხმარებას ბიბლიის ან რელიგიის სწავლისათვის არავითარი აზრი არა აქვს, რადგანაც თუ ჩვენ გვეკუთვნისხსნა, ჩვენ გადავრჩებით ნებისმიერ შენთხვევაში.

– არსებობს ეშმაკი, რომელიც გვაიძულებს ცოდვის ჩადენას და შემოაქვს ჩვენ ცხოვრებაში პრობლემები ჩვენი ნების გარეშე. ეს ცრუ დებულება განხილულია მეექვსე თავში.

– არ არის აუცილებელი თხოვო ღმერთს შველა ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევებში, მაგალითად, მოგზაურობის დროს უსაფრთხოების დაცვა, რადგანაც ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული. მსოფლიოში არსებობს ანდაზური გამოთქმა,

რომელიც ხშირად გვესმის აეროპორტებში: "თუ თქვენი რეისი უნდა გაემგზავროს, ის გაემგზავრება".

– სახარისებული ეკლესია ასწავლის, რომ შეუძლებელია ირწმუნო ბიბლია ან გაიგო იგი, წმიდასულის დაძალების გარეშე.

არსებობს უამრავი ბიბლიური მიზეზი უარყო ამგვარი ფილოსოფია:
– უაზრო ხდება ღმერთის მორჩილების კონცეპცია. ბიბლიაში ნათქვამია, რომ ჩვენ უნდა დავიცვად ღმერთის დარიგება და მოვიქცეთ ისე, რომ მას უხაროდეს და არა წუხდეს. თუ ღმერთი გაიძულებს მორჩილებას, ამ კონცეპციის მითითებას

აზრი ეკარგება. ქრისტე სთავაზებს ხსნას "ყველა მისი მორჩილისათვის".

– ებრაელთა მიმართ მე-11 თავში ნათქვამია, რომ ღმერთის ჩარევა ჩვენს ცხოვრებაში და შემდგომი ჩვენი ხსნა შეესაბამება ჩვენს რწმენას. ცხოვრების მძიმე წუთებში ღმერთისაკენ მიმართულ ლოცვით ბიბლიურ მაგალითებს ეკარგება აზრი, თუ კი ყველაფერი წინასარ განსაზღვრულია. ამის მსგავსად, ჩვენი ხსნის იდეა, როგორც რწმენის შედეგი, უაზრო ხდება.

– ნათლობა – ხსნის წინაპირობაა (მარკ 16:16; იოან 3:3-5). ეს უარყოფილია კალვინისტებით. თუმცა ხსნა შესაძლოა მხოლოდ ქრისტეს საქმეების გამო (2 ტიმ 1:10), და არ არის აბსტრაქტული კონცეპციის განსაზღვრის ნაშთი. ჩვენ შეგნებულად უნდა დავუახლოვდეთ მას ნათლობის მეშვეობით. რომაელთა მიმართ 6:15-17 ნათქვამია ჩვენი მბრძანებლების შეცვლაზე, გადასვლაზე ცოდვილ ცხოვრებისაგან მორჩილების ცხოვრებაზე. "ვისაც თქვენს თავს მისცემთ მონებად მორჩილებისათვის, მისი მონები ხართ". ეს ენა მორჩილებისათვის თავის განწირვის შესახებ აშკარად მეტყველებს ჩვენს ნებაზე, უეჭველ განსაზღვრულობის საწინააღმდეგოდ. საკუთარი თავის მიცემა იწარმოება მთელი გულით სახარების სწავლების მორჩილების შესაბამისად (რომ 6:17).

– ღმერთისათვის არ იქნებოდა აუცილებელი სიტყვის თქმა, თუ ჩვენ საბოლოოდ განსაზღვრული ვყოფილიყავით. ქადაგების აუცილებლობაც არ იქნებოდა; თუმცა ბიბლია, როგორც დარიგებებში, ასევე მაგალითებშიც გვიჩვენებს, რომ სიტყვის ქადაგების მეშვეობით იხსნება მამაკაცი და ქალი. "ხსნის სიტყვა" (საქ 13:26) უნდა მოვიდეს ხალხთან.

– ჩვენ განგვსჯიან ჩვენი საქმეების მიხედვით (გამოცხ 22:12). რატომ, თუ კი ჩვენი ნების ქცევებს არა აქვს მნიშვნელობა

ხსნისათვის? პავლემ თქვა, რომ ებრაელებმა ღმერთის სიტყვის უარყოფით განიკიცხეს თავი, როგორც მუდმივი ცხოვრების ულირსულნი (საქ 13:46). მათ განიკიცხეს თავი და ღმერთი არ ჩაერია. თუ ღმერთი განსაზღვრავს ზოგიერთს ხსნისაკენ, სხვებს დაგმობისაკენ, ესე იგი ის აიძულებს ზოგიერთს ცოდვის ჩადენას. ადამის ცოდვის გამო "სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, რადგან ყველამ შესცოდა" (რომ 5:12). ამიტომ ცოდვის საზღაურად, ხალხი სიკვდილით არის დასჯილი (რომ 6:23) და არა იმიტომ, რომ ღმერთმა აიძულა ისინი ცოდვილნი ყოფილიყვნენ ადამის ცოდვამდე.

– 1 კორ 10 და ასევე ბიბლიის სხვა ნაწილებში ნათქვამია ამ ხალხის შესახებ წარსულში, როდესაც მათ ჰქონდათ ნათესაობრივი კავშირი ღმერთთან, მაგრამ შემდეგ მოსცილდნენ მას. "რწმენის მოსწყდომის" (გალ 5:4) ეს ფაქტი ნიშნავს ხსნის სისტემის უქონლობას, სადაც, როგორც კალვინისტები ამტკიცებენ, "ერთხელ ხსნილი – მუდმივად ხსნილია". ჩვენ შეგვიძლია ვიხსნათ თავი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვირწმუნებთ სწავლებას (1 ტიმ 4:16).

– იესო ამბობდა, ღმერთის სიტყვის გაგება ჩვენ ნებაზე არის დამოკიდებული. "წამკითხველმა გაიგოს" (მათ 24:15). ამრიგად, ჩვენ თვითონ ვცდილობთ ავითქვათ სიტყვა, ჩვენ არავინ არ გვაიძულებს მის გაგებას. ამ სიტყვებისა და ქრისტეს სიტყვების შორის არის დიდი მსგავსება: "ვისაც ყურნი აქვს, ისმინოს" ანუ გაიგოს. ეს სიტყვები ედარება ღვთის სიტყვის კითხვას. ღვთის სული აშკარავდება მისი სიტყვის მეშვეობით, ამიტომ იესოს შეეძლი ეთქვა, რომ მისი შთაგონილი სიტყვა – "სულია" (იოან 6:63). წარმოუდგენელია, რომ ღმერთის სულმა იმუშაოს ადამიანზე, მისი სიტყვების გარეშე, რათა დაიმორჩილოს იგი.
– "მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი" (გამოცხ 22:17) – ასე მეტყველებს

სახარება ყველასთვის, ვინც გამოეხმაურება მის ცხოვრების სიტყვას.

გადაწვევა 7: "და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს" (საქ 2:38)

ორმოცდაათობის დღეს პეტრემ თავისი გამოსვლა დაასრულა 38 ლექსით, სადაც მოუწოდებდა ნათლობისა და სულიწმიდის ნიჭის მისაღებად. წმიდასულის ნიჭი იმიტომ არის აღნიშნული, რომ მოციქულნი თვითონ სარგებლობდნენ ენების ნიჭით, რათა აეხსნათ ხალხისათვის, რომ ისინი ასრულებენ იოველის წინასწარმეტყველებას სასწაული ნიჭის შესახებ (საქ 2:16-20).

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პეტრე დაპირდა ისრაელიანებს, რომლებიც მას უსმენდნენ, სულის ნიჭს. ხალხის უმეტესობა იუდეველნი იყვნენ (საქ 2:5). იოველის წინასწარმეტყველება ნიჭის მოფენაზე ეხებოდა, უპირველეს ყოვლისა, იუდეველებს. ამიტომ პეტრემ ამგვარად მიმართა მათ: "თქვენ გეკუთვნით აღთქმა, და <u>თქვენს შვილებს</u> (საქ 2:39). მას მხედველობაში ჰქონდა იოველის წინასწარმეტყველება, რომ სული მოეფინა ისრაელიანებს და <u>მათ შვილებს</u> (საქ 2:17; შდ. იოველ 2:28-32). აქ ასევე შეიძლება ითქვას, რომ ნიჭის მოფენის აღთქმა ეკუთვნოდა ორ თაობას – მათ, ვინც უსმენდა პეტრეს და მათ შვილებს.

ჩვენ გიჩვენეთ, რომ პირველი საუკუნის ბოლოს (ესე იგი, პეტრეს სიტყვის დაახლოებით 70 წლის შემდეგ) ნიჭმა შეწყვიტა თავისი არსებობა. ეს ასევე დამტკიცებულია ისტორიული მონაცემებით. იმ ორი თაობის დროს ნიჭი ასევე წარმართელებს ჰქონდათ: "თქვენ გეკუთვნით აღთქმა, და თქვენს შვილებს და ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი ღმერთი ჩვენი" (საქ 2:39). მიაქციეთ ყურადღება – წარმართელები აღწერილნი არიან, როგორც "ყველა შორეული" (შდ. ეფეს 2:14-17).

მაგრამ გვაქვს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ საქმეების მე-2 თავში აღწერილი მოვლენები წარმოადგენენ აღთქმის მხოლოდ პატარა ნაწილს, რომლის შესახებ ნათქვამია თავში იოველ 2. მთავარი წინასწარმეტყველების განხორციელება მოხდება მაშინ, როდესაც ისრაელში შეიჭრება მტრის ჯარი, როდესაც ის დამარცხებული იქნება (იოველ 2:20) და ამის შემდეგ ისრაელიანნი მოინანიებენ და იცხოვრებენ ღმერთთან ბედნიერ ურთიერთობაში (იოველ 2:27). "ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს..." (იოველ 2:28). სანამ ეს პირობები არ შესრულდება, ჩვენ ვერ მოველოდებით იოველის სხვა სიტყვების განხორციელებას, გარდა იმ მოვლენებისა, რომლებიც მოხდა ორმოცდაათობის დღეს და აღწერილია საქ 2 თავში.

სულის ნიჭის მიღების აღთქმა ნათლისღების შემდეგ, შესაძლოა, ჩვენც გვეკუთვნოდეს. სული ერთია, მაგრამ მას შეუძლია თავის გამომჟღავნება სხვადასხვა გზებით (1 კორ 12:4-7; ეფეს 4:4). პირველ საუკუნეში ეს ხდებოდა ნიჭის საშუალებით. ახლა კი, როდესაც იგი ამოღებულია, სრულიად კანონიერია ვიხილოთ "სულის ნიჭის" აღთქმის განხორციელება სხვა საშუალებითაც. "წმიდასულის ნიჭი", შესაძლოა, ეკუთვნოდეს "ნიჭს, რომელიც არის წმიდასული" ან "ნიჭს, რომელის შსახებ მეტყველებს წმიდასული", ესე იგი, პატიებისა და ხსნის ნიჭს. არსებობს ნიჭის განხორციელების უამრავი სხვა მაგალითი. "ღვთის შემეცნება" (კოლ 1:10) შესაძლოა ნიშნავდეს შემეცნებას, რომელიც ღმერთს აქვს ან შემეცნებას ღმერთის შესახებ. "ღვთის სიყვარული" და "ქრისტეს სიყვარული" (1 იოან 4:9; 3:17; 2 კორ 5:14) შეიძლება ნიშნავდეს ღმერთისა და იესოს სიყვარულს ჩვენს მიმართ ან ჩვენ სიყვარულს მათ მიმართ. "ღვთის სიტყვა" შეიძლება ნიშნავდას სიტყვას ღმერთზე ან სიტყვას, რომელიც მოვიდა ღმერთისაგან.

ამიტომ, წმიდასულის ნიჭი შესაძლოა ეკუთვნოდეს ნიჭს, რომელსაც წმიდასული აკეთებს შესაძლოს და რომლის შესახებაც

მეტყველებს, და ასევე ნიჭს, რომელიც შედგება წმიდასულის ძალისაგან.

<u>პატიება – სულის ნიჭია?</u>

ლექსებში რომ 5:16 და 6:23 ხსნა აღწერილია როგორც "ნიჭი" და ამით ედარება სიტყვა "ნიჭს" ლექსებში საქ 2:38. სინამდვილეში, ლექსში 2:39 მოყვანილია სიტყვები იოველ 2:32 ხსნის შესახებ, თითქოს ეს სულის ნიჭია. პეტრეს მითითება იმ "შორეულების" ნიჭის აღთქმაზე შეესაბამება ეს 57:19 სიტყვებს: "მშვიდობა, მშვიდობა შორებელთ". ეფეს 2:8 ნიჭი ასევე აღწერილია როგორც ხსნა და რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ ნათქვამია: "ვინაიდან მისი მეშვეობით ორივეს გვაქვს ერთი სულით (ნიჭით) მისადგომი მამასთან" (2:18). ეს ასევე მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ლექსები ეფეს 2:13-17 შეესაბამება ეს 57:19 ლექსებს: "ოდესღაც შორს მყოფნი, ახლობლები გახდით ქრისტეს სისხლით. ვინაიდან ის არის ჩვენი მშვიდობა... მოვიდა და გახარათ მშვიდობა თქვენ – შორებელთ და ახლობელთ".

ეს 30:1 ლექსში განიკიცხებიან ისრაელიანნი, რადგანაც პატიებას ეძებენ საკუთარი გზით, და არა ღვთის სულის ნიჭით: "ზრახვას რომ იზრახავენ, მაგრამ არა ჩემის სულისას, რათა ცოდვა მიუსართონ ცოდვას". ეს 44:3 ლექსში ისრაელის პატიების უკანასკნელი დღე არის აღწერილი ასეთი სიტყვებით: "რადგან წყალს მივუღვრი ურწყულს და ნაკადულებს – გამომშრალ მიწას; ჩემს სულს მივუღვრი შენს ნატამალს და ჩემს კურთხევას – შენს შთამომავლებს". აბრაამის შთამომავლების კურთხევა ხდება ქრისტეს მეშვეობით (საქ 3:25, 26), რომელიც შედარებულია სულის მოფენას ისრაელიანებზე. აქ ნათლად ითვისება სიტყვები იოველ 2 და საქ 2 ლექსებიდან. გალ 3:14 ყველაფერი ეს შეჯამებულია ამგვარად: "რათა აბრაამის კურთხევა პატიება ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე, რომ სულის აღთქმა მივიღოთ რწმენით". 1კორ 6:11 ნათქვამია ჩვენი ცოდვების განბანვის შესახებ "ჩვენი ღმერთის სულით". რომაელთა მიმართ აღნიშნულია თანასწორობა ჩვენს შორის, ვინც "მივიღეთ მადლი...

შერიგებას... სული" (1:5; 5:11; 8:15) და ამით ნაჩვენებია კავშირი სულის ნიჭისა ("მადლის") და პატიების შორის. ძნელია არ დააფასო ახალი აღთქმის გამომეტყველება და ძველი აღთქმის იდეები, იმის ცოდნით, რომ მათი პირველი მკითხველები ისრაელიანები იყვნენ. მოსეს ხუთტომეულში და იესოს ნავეს ძის წიგნში არაერთხელ არის აღნიშნული ღმერთის აღთქმის შესახებ – მისცეს თავის ხალხს მიწა – "მიწას, რომელსაც უფალი ღმერთი შენი მოგცემს საკუთრებად". ეს ფრაზა ხშირად გვხვდება ძველ აღთქმაში. ახალ აღთქმაში სიტყვა "მიწას" ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა "ხსნა", აქედან გამომდინარე, ღმერთის ნიჭი ამჟამად პრესპექტივაშია ცოდვის პატიებასთან ერთად.

პეტრე მოუწოდებდა და იუდეველებს მოენანიათ ნიჭის მიღებამდე, ამას კი მოსდევდა პირადი ლოცვის კითხვა. არსებობს საფუძველი გვჯეროდეს, რომ სულის ნიჭი – ლოცვაზე პასუხის აღწერის საშუალებაა. მიცემა "კეთილ მისაცემელთა მთხოვნელებს" ლოცვაში – იგივეა, რაც წმიდა სულის (ნიჭის) მიცემა (მათ 7:11; შდ. ლუკ 11:13). ერთგვარმნიშვნელოვნად არის ნათქვამი ფილ 1:19: "ხსნა იქნება თქვენი ლოცვითა და იესო ქრისტეს სულის შეწევნით". 1 იოან 3:24 ასევე ნათქვამია, რომ სული მოგვეცემა როგორც შედეგი ჩვენი მორჩილების დარიგებისადმი; და 22 ლექსში აღნიშნულია, რომ მისი დარიგებების დაცვა ჩვენი თხოვნების შესრულებაა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ნდობა განაპირებულია იმით, თუ როგორ ისმენს ღმერთი ჩვენს ლოცვებს (1 იოან 5:14) და ასევე სულის ფლობით (1 იოან 3:21, 24; 4:13). როგორც ჩანს ეს გამოთქმები შეესაბამება ერთმანეთს. ბერძნული სიტყვა **"charis"**, ნათარგმნი როგორც "მადლი", ხშირად გამოიყენება ღმერთის ნიჭთან დაკავშირებით. "მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ უფლის იესოს მადლით (ნიჭით) გადავრჩებით" (საქ 15:11). ამავე დროს სიტყვა "მადლი" დაკავშირებულია ლოცვაზე პასუხთან (მაგალითად, გამ 33:12; 34:9; რიცხ 32:5; ფსალმ 84:11; 2 კორ 12:9; ებრ 4:16; იაკ 4:6; შდ. ლქ. 3). ლექსში ზაქ 12:10 ნათქვამია "წყალობისა და შეწყალების სულის" ისრაელიანებზე

გადმოღვრის შესახებ უკანასკნელ დღეს. ამით შეჯამებულია ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ლოცვა სულის ნიჭის მიღების მიზეზია პატიების გაგებით და, რომ სულის მოფენა ლოცვაზე საპასუხოდ ხდება, რომელიც დამტკიცებულია ისრაელიანების მონანიებით პირველი საუკუნის უკანასკნელ დღეებში. იმავე გაგებით პავლე ამბობს "ღვთის ნიჭზე და მოწოდებაზე" მონანიებისათვის და პატიებისათვის (რომ 11:29).

<u>ნუგეშისმცემელი</u>

ასეთივე მიდგომა შეიძლება იყოს გამოყენებული ნუგეშისმცემელის აღთქმის მიმართ, რომელიც აღწერილია იოან 14 და 16 თავებში. თავდაპირველად ეს ეკუთვნოდა სასწაულ ძალებს, რომლებიც ეძლეოდათ მოციქულებს, რათა მათ მიეღოთ აღთქმა პირველ რიგში. ეს ასევე შესაძლია გვეკუთვნოდეს ჩვენ ჩვეულებრივი გაგებით. სასწაული ძალები უნდა დახმარებოდათ მოციქულებს სახარების წერილების დაწერაში. ნიჭი "გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს" (იოან 14:26). სიტყვა "გაგახსენებთ" თავის თავად ზღუდავს სასწაული ელემენტის ფარგლებს ნუგეშისმცემელის აღთქმაში მოციქულთა მიმართ, რომლებიც იესოსთან ერთად ცხოვრობდნენ. ამავე დროს, როგორც უკვე ავღნიშნეთ ნაწილში 2.5 "ნუგეშისმცემელის" აღთქმის ენა გამოიყენება ასევე სრულიად დაწერილ ბიბლიის ძალის მიმართ. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს და ასევე სულის სხვა აღთქმები განხორციელებული იყვნენ ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში სასწაულის სახით, მაგრამ ამჟამად ისინი ჩვენ გვეკუთვნიან როგორც სულის გამომჟღავნება ბიბლიაში დაწერილ ღმერთის სიტყვაში.

რასაკვირველია, მართალია, რომ ღმერთის სული გამოაშკარავდებოდა წარსულში დაწერილი სიტყვის მეშვეობით, მაგრამ ეს იყო მხოლოდ <u>ნაწილობრივი</u> აღთქმა იმ "სრულყოფილთან" შედარებით, რომელიც ჩვენ გვაქვს დაწერილ ღმერთის სიტყვაში (1 კორ 13:9-13). აქედან გამომდინარე, არარსებობდა რაიმე სხვა აღთქმა ღმერთისაგან ახალ აღთქმის

დაწერისა და ნიჭის ამოღების შემდეგ. მტკიცება მორმონების და ასევე სხვა წიგნებში, რომ ბიბლია არ წარმოადგენს მთლიან აღთქმას, უსაფუძვლოა. სულის ნიჭის უქონლობა ამჟამად ამტკიცებს, რომ ბიბლია სრულიად დაწერილია. და თუ ჩვენ გვინდა ღმერთის მთელი აღთქმის გამოყენება, ჩვენ უნდა ვისარგებლოდ მისი ყოველივე ნაწილით, როგორც ძველი ასევე ახალი აღთქმით. მხოლოდ მაშინ ღვთის კაცი იქნება ისეთივე სრული, როგორც ღმერთის სიტყვაში გამომჟღავნებული ღმერთი.

გადახვევა 8: "მორწმუნეებს კი თან ახლდებათ ასეთი ნიშნები" (მარკ 16:17)

ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი მორწმუნე მიიღებს ნიჭს. მაგრამ ეს ამტკიცებს ძალიან ბევრს – "გველებს აიყვანენ და, თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან, არ ავნებთ; ავადმყოფებს ხელებს დაასხამენ და განიკურნებიან ისინი" (მარკ 16:18). ეს არ არის იმის აღთქმა, რაც თეორიულად შესაძლოა მოხდეს, თუ მორწმუნეს საკმარისად სწამს; ეს იყო აღთქმა იმის შესახებ, რასაც მორწმუნეები იზამენ. თუ ამგვარი სასწაულები არ ხდება ამჟამად, ესე იგი ამ ლექსის აღთქმა არ ვრცელდება ჩვენზე. თქვენ შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ ეჭირა პავლეს შხამიანი გველი ხელში და არ იყო ნაკბენი (საქ 28:3-7). ეს ადასტურებდა იმას, რომ მისი ქადაგება ღმერთისაგან იყო.

ყველა ღვთივსულიერ ქრისტიანისაგან, ვინც აცხადებს წმიდასულის მოფენის შესახებ, ბოლო ასი წლის განმავლობაში არავის რეალურად არ დაუმტკიცებია ამ ძალის გამოყენება. თუ ყველა მორწმუნეს არ შეუძლია ამგვარი სასწაულის ჩადენა, ეს აღთქმა შეუძლებელია განხორციელდეს ამჟამად. ეს ამტკიცებს ჩვენ დასკვნას სულის მიმართ. ეს ნიჭი ჰქონდათ ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნის ქრისტიანებს, მაგრამ წმიდასულის ნიჭი ამოღებული იყო ახალი აღთქმის წმიდა წერილის დაწერის შემდეგ.

მარკ 16 ბოლო ლექსი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მორწმუნეებს "მოყოლილი" სასწაულები, სპეციალურად დანიშნული იყო სახარების სიტყვის დასამტკიცებლად: "მორწმუნეებს კი თან ახლდებათ ასეთი ნიშნები... ისინიც წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან. უფალი შეეწეოდა მათ და განამტკიცებდა სიტყვას თანამდევი ნიშნებით." (მარკ 16:17, 20). მაგრამ როგორც კი ეს სიტყვა სრულიად დაიწერა, ისე როგორც გვაქვს ახალ აღთქმაში, გაქრა ნიშნების აუცილებლობა.

შენიშვნა: წმიდასულის ნიჭის დაუფლების მტკიცებები ისე არის გავრცელებული, რომ 1989 წელს შედგა ორი საზოგადო განხილვა ღვთივსულიერი ქრისტიანების მოძღვრების ჯონ ლაილიკასისა და ორი ქრისტედელფიანების ჯონ ალფრი და ამ სტროფების ავტორის შორის. განხილული იყო თემა: "არსებობენ ამჟამად წმიდასულის ნიჭის მფლობელები?" მოსაწვევები გაგზავნილი იყო დიდი ბრიტანეთის უამრავ ეკლესიებში. ამის შედეგად კრებას ესწრებოდა 1000 ადამიანი. უნდა ვაღიაროთ, რომ იყო წარმოდგენილი დღევანდელ დროში ნიჭის ფლობის საუკეთესო "მტკიცება". პროტოკოლის კოპია შეგიძლიათ შეიძინოთ შემდეგ მისამართზე: The Christadelphians, 49 The Woodfields, South Croydon, Surrey CR2 0HJ

თავი 2: საკითხები

1. რომელი ქვემოთ მოყვანილი სიტყვებიდან ასოცირდება სიტყვა "სულთან"?
   ა) ძალა
   ბ) წმიდა
   გ) სუნთქვა
   დ) მტვერი

2. რა არის წმიდასული?
   ა)პიროვნება
   ბ)ძალა
   გ) ღმერთის ძალა, მიმართული სპეციალური მიზნის განსახორციელებლად
   დ) სამების ნაწილი

3. როგორ იყო დაწერილი ბიბლია?
   ა) ხალხი გადმოსცემდა საკუთარ აზრებს
   ბ) ხალხი წერდა იმას, რასაც ფიქრობდა ღმერთზე
   გ) ღვთივსულიერი ხალხის მეშვეობით, ღმერთის სულით
   დ) მისი ზოგიერთი ნაწილი ღვთივსულიერია, დანარჩენი კი – არა

4. რომელი ქვემოთ მოცემული მტკიცებებისაგან გვიჩვენებს სულის ნიჭის მოფენის მიზეზებს?
   ა) რათა დაემტკიცათ სახარების ზეპირი ქადაგება
   ბ) უფრო ფართო გავრცელებისათვის ადრინდელი ეკლესიისა
   გ) რათა აეძულად ხალხი მართლმორწმუნე ყოფილიყვნენ
   დ) რათა გადაერჩინათ მოციქულნი სირთულეებისაგან

5. საიდან შეგვიძლია გავიგოთ ღმერთის ჭეშმარიტება?
   ა) ნაწილობრივ ბიბლიიდან, ნაწილობრივ საკუთარი ფიქრებიდან

ბ) ბიბლიის კითხვის გარდა, წმიდასულისაგან, რომელიც გვესაუბრებოდა ჩვენ
გ) მხოლოდ ბიბლიიდან
დ) მღვდელებისაგან

6. დაასახელეთ პირველი საუკუნის რამოდენიმე სულის ნიჭი ჩვენს ერამდე.

7. როდის იყვნენ ისინი ამოღებულნი? შეიძლება თუ არა მათი ფლობა ამჟამად?

8. როგორ შეიძლება მოქმედებდეს წმიდასული ჩვენს ცხოვრებაში ამჟამად?6

თავი 3

ღმერთის აღთქმა

3.1 ღმერთის აღთქმა: წინასიტყვაობა

ამრიგად, მეცადინეობების დროს, ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით ვისაუბრეთ ღმერთის არსებობაზე და მის საქმიანობაზე. ჩვენ გავარკვიეთ მთელი რიგი რთული საკითხებისა. ეხლა ჩვენ შევეცდებით ობიექტურად განვიხილოთ ის, რაც "აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ" (იაკ 1:12; 2:5) მისი მცნებების დაცვისათვის (იოან 14:15).

ღმერთის აღთქმა ძველ აღთქმაში წარმოადგენს ქრისტიანულ იმედს. ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, როდესაც წყდებოდა მისი ბედი სამსჯავროს წინაშე, პავლე ამბობდა მომავალ მადლზე, რომლის გამო ის მზად იყო დაეკარგა ყველაფერი ცხოვრებაში: "და ახლა ვდგავარ სამსჯავროს წინაშე აღთქმის იმედის გამო, რომელიც ღმერთმა მისცა ჩვენს მამებს... სწორედ იმ იმედისათვის მდებენ ბრალს" (საქ 26:6, 7). მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა სახარების ქადაგებაში – "აღთქმა, რომელიც მამებს მისცა", ღმერთმა განახორციელა იესოს აღდგენით (საქ 13:32). პავლემ თქვა, რომ ღვთის აღთქმის რწმენამ მისცა მას მკვდრეთით აღდგომის (საქ 26:6-8, შდ. 23:8), იესოს მეორე მოსვლის, განკითხვისა და ღვთის სასუფევლის დამყარების იმედი (საქ 24:25; 28:20, 31).

ეს ყველაფერი მარხავს მიფს იმაზე, რომ ძველი აღთქმა – ისრაელის ისტორიის ნაწყვეტია, რომელიც არ მეტყველებს მარადიული სიცოცხლის შესახებ. მაგრამ 2000 წლის წინ ღმერთის გადაწყვეტილება – გვიბოძოს ჩვენ მარადიული სიცოცხლე იესოს მეშვეობით – არ იყო მოულოდნელი. ეს განზრახვა მას ჰქონდა თავიდანვე: –

> "საუკუნო სიცოცხლის იმედით, რომელიც აღუთქვა უტყუარმა ღმერთმა უწინარეს საუკუნეთა. ხოლო თავის დროზე გამოაცხადა თავისი სიტყვა ქადაგებაში,

> რომელიც მომენდო მე ჩვენი მაცხოვარი ღვთის ბრძანებით" (ტიტ 1:2, 3).
>
> "რადგან სიცოცხლე გამოჩნდა და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ, და გაუწყებთ თქვენ ამ საუკუნის სიცოცხლეს, რომელიც იყო მამასთან და გამოგვეცხადა ჩვენ" (1 იოან 1:2).

რადგანაც მარადიული სიცოცხლის მიცემა ხალხისათვის ღმერთს ჰქონდა განზრახული სამყაროს შექმნიდან, ჩვენ ვთვლით ნაკლებად დამაჯერებელს, რომ მას არ ჰქონდა ნათქვამი ამის შესახებ ხალხთან ურთიერთობაში, რომელიც 4000 წლის განმავლობაში ჰქონდა, როგორც აღნიშნულია ძველ აღთქმაში. ფაქტიურად, ძველ აღთქმაში უამრავი წინასწარმეტყველება და აღთქმა არის იმედზე, რომელიც ღმერთმა მოამზადა თავს ხალხისათვის. ამიტომ, ჩვენი ხსნისათვის საჭიროა ღმერთის აღთქმის გაგება. მით უმეტეს, რომ პავლემ შეახსენა მორწმუნეებს ეფესოში, რომ მანამ, სანამ ისინი გაიგებდნენ ამის შესახებ. ისინი იყვნენ "ქრისტეს გარეშე, ისრაელის კრებულისგან გაუცხოებულნი, აღთქმის მცნებათა უცხოები, არ გაგაჩნდათ იმედი და უღმერთონი იყავით წუთისოფელში" (ეფეს 2:12). საეჭვოა, რომ წარმართთა ქცევა აძლევდა მათ რაიმე იმედს და ცოდნას ღმერთზე. ამასშია ღმერთის აღთქმის გაუგებრობის დიდი მნიშვნელობა, რომლის შესახებ ძველ აღთქმაში ნათქვამია – ფაქტიურად, "არ ჰქონდეს იმედი და იყო სამყაროში უღმერთო". გახსოვდეთ, რომ პავლე განსაზღვრავდა ქრისტიანულ იდეას, როგორც "აღთქმის იდეას.., რომელიც ღმერთმა მისცა ჩვენს მამებს" (საქ 26:6).

სამწუხაროდ, მხოლოდ რამოდენიმე ეკლესია აქცევს ყურადღებას ძველი აღთქმის ამ ადგილებს. "ქრისტიანობა გადაისახა" ახალი აღთქმის საფუძვლზე დამყარებულ რელიგიად, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ის იყენებს ლექსების პატარა ნაწილს. იესომ აშკარად თქვა ამის შესახებ:

> "თუ (ისინი) მოსესა (ესე იგი, მის დაწერილ ბიბლიის პირველ ხუთ წიგნს) და წინასწარმეტყველთ არ მოუსმენენ, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არ ირწმუნებენ" (ლუკ 16:31).

ზოგიერთი თვლის, რომ მათთვის საკმარისია მხოლოდ ქრისტეს აღდგომის რწმენა (შდ. ლუკ 16:30), მაგრამ იესომ თქვა, რომ ეს არ კმარა ძველი აღთქმის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. იესომ ახსნა, რომ მისი ჯვრის ცმის შემდეგ მოციქულთა რწმენის დაკარგვა გამოწვეული იყო უყურადღებობით ძველი აღთქმის მიმართ:

> "მან უთხრა: ჰოი, უგუნურნო და გულით მძიმენო, ყველაფრის ამის სარწმუნებლად, რასაც წინასწარმეტყველები ამბობდნენ, განა ასე არ უნდა დატანჯულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში? დაიწყო მოსედან და <u>ყველა</u> წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ <u>ყოველ</u> წერილში მის შესახებ ნათქვამს" (ლუკ 24:25-27).

მიაქციეთ ყურადღება მის ხაზგასმას, რომ <u>მთელი</u> ძველი აღთქმა მეტყველებს მასზე. საქმე იმასში კი არ არის, რომ მოციქულებს არასოდეს წაუკითხავთ და გაუგიათ ძველი აღთქმის სიტყვა, არამედ ამასშია, რომ მათ არ ესმოდათ მისი ღრმა აზრი. რწმენის გასამტკიცებლად საჭიროა ღმერთის სიტყვის სწორი გაგება და არა
მხოლოდ მისი კითხვა. ებრაელები ფანატიურად ექცეოდნენ ძველი აღთქმის კითხვას (საქ 15:21), მაგრამ რადგანაც ისინი ვერ იგებდნენ მის კავშირს იესოსთან და სახარებასთან, მათ ფაქტიურად არ სწამდათ ძველი აღთქმა და ამიტომ იესომ თქვა: –

> "თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, მეც მიწამებდით, ვინაიდან მან დაწერა ჩემს შესახებ. ხოლო თუ მისი

> დაწერილისა არ გწამთ, როგორ იწამებთ ჩემს სიტყვას?" (იოან 5:46, 47).

მიუხედავად ბიბლიის კითხვისა, ისინი უბრალოდ ვერ ხედავდნენ რეალურ უწყებას იესოზე, თუმცა მათ იზიდავდა ხსნის აზრი. იესოს უნდა ეთქვა მათთვის: –

> "იკვლევთ წერილებს (ესე იგი, წაიკითხეთ ყურადღებით – შდ. საქ 17:11), რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ" (იოან 5:39).

და ეს შესაძლოა შეემთხვეს უამრავ ხალხს, ვისაც აქვს ძველი აღთქმის ზედაპირული ცოდნა: რადგანაც მათი ცოდნა წერილების შემთხვევითი წაკითხვით არის შეძენილი. ქრისტესი და სახარების საოცარი სიტყვები ღმერთის სასუფეველის შესახებ კვლავ ეპარებათ მათ. წიგნის ამ ნაწილით ვცდილობთ გამოვიყვანოთ ასეთი ხალხი ამგვარ მდგომარეობიდან ძველი აღთქმის ძირითადი აღთქმების რეალური აზრის ახსნით: –

– ედემის ბაღში,
– ნოეს მიმართ,
– აბრაამის მიმართ,
– დავითის მიმართ.

ამ აღთქმების აღწერა მოცემულია ბიბლიის ხუთ წიგნში (დაბადება – მეორე რჯული), რომლებიც დაწერილი იყვნენ მოსეთი და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების მიერ. ქრისტიანული სახარების ყველა ელემენტი არის აქ მოყვანილი. პავლემ ახსნა, რომ მის ქადაგებას არაფერი ახალი არ შემოაქვს, "იმაზე მეტი, რასაც წინასწარმეტყველნი და მოსე ამბობდნენ, რომ ასე უნდა მომხდარიყო, რომ ქრისტე უნდა წამებულიყო და მკვდართაგან პირველი აღმდგარიყო, რომ ნათელი ეუწყებინა ამ ხალხისა და წარმართებისათვის" (საქ 26:23).

უდიდეს ქრისტიანეს, პავლეს იმედი უნდა ჩვენი იმედი იყოს; ისევე, როგორც იგი იყო სინათლეთ მისი ცხოვრების ბოლოში, ეს ყველა

სერიოზულ ქრისტიანეს უნდა ჰქონდეს. ამ მაგალითით შთაგონილნი ჩვენ ახლა შეგვიძლია "გამოვიკვლიოთ წერილები".

3.2 აღთქმა ედემში

ამაღელვებელი მოთხრობა კაცის დაცემის შესახებ მოყვანილია "დაბადების" მე-3 თავში. გველი დაწყევლილი იყო ღმერთის სიტყვის არასწორი მეტყველებისათვის და ევას ცდუნებაში შეყვანისათვის. დაუმორჩილების გამო კაცი და ქალი დასჯილი იყვნენ. მაგრამ იმედის სხივი გადის ამ ბნელ სურათში, როდესაც ღმერთი მიმართავს გველს:

> "მტრობას (სიძულვილს, წინააღმდეგობას) ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცის შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლის შორის; ის (დედაკაცის თესლი) თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე" (დაბ 3:15).

ეს ლექსი საკმაოდ ლაკონიურია; ჩვენ შევეცდებით განვსაზღვროთ მისი სხვადასხვა სიტყვები. სიტყვა "თესლი" იგულისხმებს შთამომავალს ან ბავშვს, მაგრამ ის ასევე შეიძლება ეკუთვნოდეს გარკვეულ "თესლთან" დაკავშირებულ ხალხს. მოგვიანებით ჩვენ ვიხილავთ, რომ აბრაამის "თესლი" იესო იყოს (გალ 3:16), მაგრამ თუ ჩვენ ვიქნებით ქრისტეში ნათლობის მეშვეობით, მაშინ ჩვენ გავხდებით თესლი (გალ 3:27-29). სიტყვა "თესლი" ასევე ნიშნავს თესლის იდეას (1 პეტ 1:23). ნამდვილ თესლს აქვს მამის დახასიათება. ამიტომ, გველის თესლი ეკუთვნის თესლს, რომელსაც აქვს ნათესაობრივი მსგავსება გველთან, ის: –

– ამახინჯებს ღმერთის სიტყვას
– ცრუის
– სხვა შეჰყავს ცოდვაში.

ღმერთი და სიკვდილი

მე-6 თავში ჩვენ შევიტყობთ, რომ აქ არ იგულისხმება სიტყვასიტყვით ადამიანი, რომელიც იდენს ამას, მაგრამ ჩვენში არის

– "ჩვენი ძველი კაცი" სხეული (რომ 6:6)

– "მშვინვიერი ადამიანი" (1კორ 2:14)

– "ძველი კაცი, მაცდური გულისთქმებით გახრწნილი" (ეფეს 4:22)

– "ძველი ადამიანი მისი საქმეებითურთ" (კოლ 3:9).

ეს ცოდვილი "ადამიანი", რომელიც ჩვენშია, არის ბიბლიური "ეშმაკი", გველის თესლი.

ქალის თესლი ნიშნავს განსაკუთრებულ ინდივიდუალურ პიროვნებას – "შენ კი (გველის თესლი) ქუსლს უგესლავდე" (დაბ 3:15). ეს ადამიანი მუდმივად დაანგრევს გველის თესლს, ესე იგი, ცოდვას – ის "თავს გიჭეჭყავდეს". დარტყმა გველის თავში სასიკვდილო დარტყმას ნიშნავს, რადგან მისი გული თავშია. ერთადერთი ადამიანი, რომელიც იყო შესაძლო კანდიდატი ქალის თესლზე – უფალი ჩვენი იესო ქრისტეა.

> "ახლა კი გამოჩნდა ჩვენი მხსნელიქრისტე იესოს გამოცხადებით, რომელმაც გააბათილა (ჯვარზე) სიკვდილი (და, აქედან გამომდინარე, ცოდვის ძალა – რომ 6:23), და სახარებით გაანათლა სიცოცხლე და უკვდავება" (2 ტიმ 1:10).
>
> "ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებაში და ცოდვის გამო მსჯავრი დასდო ცოდვას

ხორცში", ესე იგი, ბიბლიურ ენაში, გველის თესლს" (რომ 8:3).
იესო "გამოჩნდა, რათა იტვირთოს ჩვენი ცოდვები" (1 იოან 3:5).

"და დაარქმევ მას სახელად იესოს ("მხსნელს"), ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან" (მათ 1:21).

იესო დედაკაცისაგან იშვა (გალ 4:4); ის იყო მარიამის შვილი, მაგრამ მისი მამა ღმერთი იყო. ამ გაგებით, იგი ქალის თესლი იყო, თუმცა შექმნილი იყო ღმერთის მიერ ისეთი ხერხით, როგორითაც არ არის შექმნილი არც ერთი სხვა ადამიანი. ქალის თესლი შესაძლოა იყოს დროებით გაჭეჭყილი ცოდვით, გველის თესლით – "შენ კი ქუსლს უგესლავდე" (დაბ 3:15). გველის კბენა ქუსლში წარმოადგენს დროებით ჭრილობას გველის თავში დარტყმასთან შედარებით. ჩვენი მეტყველების უამრავ გამოთქმას აქვს ბიბლიური ფესვები: ასე სიტყვები "ჩაარტყი თავში" იესოს წინასწარმეტყველებაზე არის დაყრდნობლი. გველის თესლის, ცოდვის განკიცხვა განხორციელებული იყო ქრისტეს ჯვარზე ცმით. მიაქციეთ ყურადღება, რომ ზემოთ მოყვანილი ლექსები ამბობენ იესო ქრისტეს გამარჯვების შესახებ წარსულში. აქედან გამომდინარე, იესოს დროებითი ჭრილობა ქუსლში მიგვითითებს მის სიკვდილის შესახებ სამი დღის განმავლობაში. მისმა აღდგომამ დაამტკიცა, რომ ეს დროებითი ჭრილობა იყო იმ სასიკვდილო დარტყმასთან შედარებით, რომელიც მან ცოდვას მიაყენა. საინტერესოა, რომ არაბიბლიური ისტორიული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ჯვარცმის მსხვერპლი ქუსლით იყო მილურსმული ხის ბოძზე. ამრიგად, იესო "ქუსლში იყო ნაგესლი" სიკვდილის მეშვეობით. ეს 53:4, 5 ლექსებში ნათქვამია, ჯვარზე გაკვრით "იყო დაჭრილი" ღმერთის მიერ. ეს უშუალოდ ეკუთვნის დაბ 3:15 წინასწარმეტყველებას, რომელშიც ნათქვამია, რომ იესო დაჭრილი იქნება გველის თესლით. ღმერთი ქმნიდა ბოროტების მეშვეობით, რომლიც უნდა ქრისტეს გამოეცადა. ეს აღწერილია აქ,

როგორც ქრისტეს ტანჯვის მიმნიჭებელი (ეს 53:10). ასევე ღმერთი ქმნიდა ბოროტების მეშვეობით, ყოველივე თავისი შვილის გამოსაცდელად.

კონფლიკტი დღეს

შესაძლოა თქვენ დაგებადოთ კითხვა: "თუ იესომ გააბათილა ცოდვა და სიკვდილი (გველის თესლი), რატომ არსებობს ამგვარი მოვლენები დღემდე?" პასუხი იმასშია, რომ ჯვარზე იესომ გააბათილა ცოდვის ძალა საკუთარ თავში: დაბ 3:15 წინასწარმეტყველება ქადაგებს, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტზე იესოსა და ცოდვის შორის.

ამჟამად ეს ნიშნავს, რომ რადგანაც იესო მოგვიწოდებს შეუერთდეთ მის გამარჯვებას, ესე იგი საბოლოოდ ჩვენც შეგვიძლია დავამარცხოდ ცოდვა და სიკვდილი. თუმცა მორწმუნეებიც ასევე მიდრეკილნი არიან ცოდვისაკენ და სიკვდილისაკენ ქალის თესლთან კავშირის გამო ქრისტეში ნათლობის მეშვეობით (გალ 3:27-29), მათ შეუძლიათ მიიღონ პატიება და ხსნილნი იყვნენ სიკვდილისაგან, რომელიც ცოდვის შედეგია. ამრიგად, იესომ გააბათილა სიკვდილი პრესპექტივაში (2 ტიმ 1:10); და მხოლოდ მაშინ, როდესაც განხორციელდება ღმერთის განზრახვა ქრისტეს ათასწლეული მეფობის დასასრულს, ხალხი ფაქტიურად მოკვდავი აღარ იქნება: "ვინაიდან მან უნდა იმეფოს, ვიდრე თავის ფეხქვეშ მოაქცევდეს თავის ყველა მტერს. ხოლო უკანასკნელი მტერი, რომელიც განქარდება, სიკვდილია" (1 კორ 15:25, 26).

თუ ჩვენ მივიღებთ ნათლობას "ქრისტეს სახელში", ასეთი აღთქმა იესოზე, როგორიც დაბ 3:15, ასევე ჩვენც მოგვეკუთვნება. ამიერიდან ეს არ იქნება მხოლოდ ბიბლიის საინტერისო ადგილი; ეს წინასწარმეტყველება და აღთქმა უშუალოდ ჩვენთვისაა. როგორც ქალის თესლი, ჩვენ ასევე განვიცდით ცოდვის გამარჯვებას ჩვენზე. თუ ღმერთი არ დაბრუნდება ჩვენი ცხოვრების

განმავლობაში, ჩვენ ასევე ვიქნებით დაჭრილი ქუსლში და მოვკვდებით, როგორც ქრისტე. მაგრამ, თუ ჩვენ ნამდვილად ქალის თესლი ვართ, ეს "ჭრილობა" დროებითი იქნება. ის, ვინც იღებს ნათლობას ქრისტეს სახელით წყალში ჩაშვების საშუალებით, უკავშირდება მის სიკვდილს და აღდგომას, რომელსაც წყლიდან გამოსვლა ასახავს (იხ. რომ 6:3-5).

თუ ჩვენ ნამდვილად წარმოვადგენთ ქალის თესლს, ჩვენი ცხოვრება განახორციელებს დაბ 3:15 ნათქვამს – ყოველთვის იქნება კონფლიქტის ("ბრძოლის") გრძნობა ჩვენში, სწორისა და არასწორის შორის. პავლე მოციქულმა აღწერა თითქმის შიზოფრენიული კონფლიქტი, თავის თავისა და მასში ცოდვის მძონვარების შორის (რომ 7:14-25).

ქრისტეს სახელით ნათლობის შემდეგ, ჩვენში მყოფ ცოდვასთან კონფლიქტი გაიზრდება ჩვენი ცხოვრების განმავლობაში. ერთი მხრიდან იგი რთულია – რადგან ცოდვის ძალა დიდია. მაგრამ, მეორე მხრიდან, ეს კონფლიქტი უმნიშვნელოა, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ქრისტეს სახელში ვართ, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა მასთან ბრძოლაში. მიაქციეთ ყურადღება, რომ მორწმუნენი აღწერილნი არიან როგორც ქალი ეფეს 5:23-32, ესე იგი, ქალის თესლის გამო ჩვენ თითქოს ქალს წარმოვადგენთ.

ისე, როგორც ქალის თესლი წარმოადგენს იესოს და ხალხს, რომელიც ცდილობს იქონიოს მისი დახასიათება, ასევე გველის თესლი წარმოადგენს ცოდვას (ბიბლიურ "ეშმაკს") და იმ ხალხს, ვინც არ მალავს ცოდვასა და გველის ხასიათს. ასეთი ხალხი გამოხატავს უყურადღებობას ან ამახინჯებს ღმერთის სიტყვას. ასეთ საქციელს მიჰყავს ეს ხალხი ღმერთისაგან მოშორებით, რაც ადამსა და ევას მოუვიდათ. რადგანაც ფაქტიურად ებრაელებმა მიიყვანეს იესო სიკვდილამდე, ესე იგი ქალის თესლს უკბინეს ქუსლზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი გველის თესლის პირველ მაგალითს წარმოადგენდნენ. ამას ამტკიცებენ იესო და იოანე ნათლისმცემელი:

ღმერთი და სიკვდილი

> “როცა იოანემ დაინახა მისკენ მოსანათლავად მომავალი მრავალი ფარისეველი და სადუკეველი (ებრაელთა ჯგუფი, რომელმაც გაკიცხა იესო), უთხრა მათ: იქედნეთა ნაშობნო (გველი)! ვინ შთაგაგონათ მომავალ რისხვას გაქცეოდით?” (მათ 3:7).
>
> “მაგრამ იესო, ხვდებოდა რა მათ (ფარისეველთა) ფიქრებს, უთხრა... იქედნეთა ნაშობნო, როგორ შეგიძლიათ ილაპარაკოთ კეთილი, როცა ბოროტები ხართ?” (მათ 12:25, 34).

სამყაროს, თვით რელიგიურ სამყაროსაც კი გააჩნია გველის ამგვარი დახასიათება. მხოლოდ იესოს სახელით მონათლულ ხალხს აქვს ქალის თესლთან კავშირი; ყველა დანარჩენი კი სხვადასხვა დონით წარმოადგენენ გველის თესლს. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, თუ როგორ ექცეოდა იესო გველის წარმომადგენელ ხალხს: –

– ის უქადაგებდა მათ სიყვარულითა და ნამდვილი თანაგრძნობით და ამავე დროს

– ის არ აძლევდა უფლებას მათ გზებსა და ფიქრებს გავლენა მოეხდინათ მათზე, და

– მან გამოამჟღავნა საკუთარი ცხოვრების მაგალითზე ღმერთის მოსიყვარულე ხასიათი.

და, მიუხედავად ამისა, მათ ეჯავრებოდათ იესო. ისინი ეჭვიანობდნენ მის მორჩელების სურვილზე ღმერთის მიმართ. მისი ოჯახი (იოან 7:5; მარკ 3:21) და ახლო მეგობრებიც (იოან 6:66) დაბრყოლებებს უქმნიდნენ მას, ზოგიერთი კი საერთოდ

სცილდებოდა. პავლემ იგივე განიცადა და იგი უჩივიდა იმათ, ვინც ოდესღაც ნებისმიერ გარემოში მასთან ერთად იყო: –

> "ნუთუ თქვენი მტერი გავხდი, ჭეშმარიტებას რომ გელაპარაკებით?" (გალ 4:16).

ჭეშმარიტება არასოდეს არ არის პოპულარული; მისი ცოდნით და ცხოვრებით ისე, როგორც საჭიროა, ჩვენ ყოველთვის შევიქმნით რამენაირ პრობლემას: –

> "და როგორც მაშინ ხორციელად შობილი სდევნიდა სულით შობილს (ღვთის ცოცხალი და მარადიული სიტყვის მიერ – 1 პეტ 1:23), ასევეა ახლაც" (გალ 4:29)

თუ ჩვენ ნამდვილად შევუერთდით ქრისტეს, ჩვენ უნდა განვიცადოთ მისი ზოგიერთი ტანჯვა, რათა შეგვეძლოს მისი საზღაურის გაზიარება. და პავლე ასევე გვაძლევს ამის მაგალითს: –

> "სარწმუნოა სიტყვა: თუ მასთან (ქრისტესთან) დავიხოცეთ, მასთან ერთად ვიცოცხლებთ; თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ... ამიტომ ყოველივეს ვითმენ" (2 ტიმ 2:10-12).

> "მე (იესოს) თუ მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას... მაგრამ ყოველივე ამას ჩემი სახელის გამო გიზამენ" (იოან 15:20, 21).

> ვინაიდან მონათლულები ვართ უფლის იესოს სახელით (საქ 2:38; 8:16).

ამ ლექსების კითხვის დროს იბადება სურვილი თქვა: "ეს თუ ისაა, რაც უკავშირდება იესოსა და ქალის თესლს, მე ვამჯობინებ არ

დავუკავშირდე ამას". მაგრამ რასაკვირველია, ჩვენგან არ მოითხოვენ შეუძლებელს. თუმცა თვითგანწირვა აუცილებელია ქრისტესთან შეერთებისათვის; ჩვენი კავშირი მასთან მოგვიტანს ჩვენ ისეთ

ჯილდოს, "რომ ტანჯვა, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით შეუდარებელია იმ დიდებასთან, რომელიც ჩვენშია". ახლაც კი მისი თვითგანწირვა ეხმარება ჩვენს ლოცვებს, ცხოვრებისეული სირთულეების გადასალახათ ხაზგასმულია ქრისტედელფიანურ ბიბლიებში: –

> "სარწმუნო ღმერთი, რომელიც არ დაუშვებს, რომ თქვენს შესაძლებლობაზე მეტად გამოიცადოთ, არამედ განსაცდელში გამოსავალსაც მოგცემთ, რომ შესძლოთ გადატანა" (1კორ 10:13).
>
> "ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე წუთისოფელს" (იოან 16:33).
>
> "ამაზე რაღა ვთქვათ? თუ ღმერთი ჩვენთვის არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?" (რომ 8:31).

3.3 ალთქმა ნოეს მიმართ

კაცობრიობის ისტორიის განვითარებისას, ადამისა და ევას ცხოვრების შემდეგ, ადამიანი უფრო და უფრო უზნეო ხდებოდა. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ ცივილიზაციამ მორალური დეგრადაციის სტადიას მიაღწია, და მაშინ ღმერთმა გადაწყვიტა გაენადგურებინა ყოველი ხორციელი ნოეს ოჯახის გარდა (დაბ 6:5-8). ღმერთმა უბრძანა ნოეს აეშენებინა კიდობანი, რომელშიც იგი თავისი ოჯახით და ასევე ყველა სახის ცხოველების წარმომადგენლებით იცხოვრებდა წყალდიდობის დროს. უნდა

ავღნიშნოთ, რომ ბიბლიაში აღწერის გარდა ამ წარღვნის შესახებ არსებობს საკმარისი რაოდენობის მეცნიერული მონაცემები. მოაქციეთ ყურადღება, რომ დედამიწა არ იყო განადგურებული: დაიღუპა კაცობრიობის უზნეო საზოგადოება, "მოისპო ყოველი ხორციელი, რაც კი იძვროდა ამქვეყნად" (დაბ 7:21). იესომ (მათ 24:37) და პეტრემ (2 პეტ 3:6-12) იხილეს ნოეს დროის გამართულ განკითხვაში იმ განკითხვის პირველსახე, რომელიც ქრისტეს მეორე მოსვლის დროს მოხდება. ასე ნოეს დროინდელი უზნეო კაცობრიობა შედარებულია თანამედროვე სამყაროსთან.

ხალხის დიდ ცოდვიანობისა და ასევე ჩვენი პლანეტის თვითგანადგურების პროგრამაში შესვლის გამო იზრდება ჩვენი დედამიწის განადგურების რწმენა. ასეთი მსჯელობა გვიჩვენებს ბიბლიის სრულიად უცოდნილობას, რომ ღმერთი ამჟღავნებს ყურადღებას ჩვენი პლანეტის საქმიანობის მიმართ და რომ იესო ქრისტე დაბრუნდება ახლო მომავალში, რათა დაამყაროს ღვთის სასუფეველი დედამიწაზე. ეს აღთქმა არ განხორციელდება, თუ ადამიანს მოეცემა თავისი პლანეტის განადგურების საშუალება. ნაწილში 4.7 და მე-5 თავში მოყვანილია მტკიცებები, რომ ღმერთის სასუფეველი დედამიწაზე <u>იქნება</u>. ამჟამად მოყვანილია რამოდენიმე ნაწყვეტი ბიბლიიდან დედამიწისა და მზის სისტემის გაუნადგურებლობის დასამტკიცებლად: –

– "მოაწყო ცასავით ტაძარი თვისი, დედამიწასავით სამუდამოდ დააფუძნა" (ფსალმ 78:69).

– "ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე" (ეკლ 1:4).

– "მზეო და მთვარევ... შუქურვარსკვლავნო... ცანო ცათანო... მან... დააყენა ისინი უკუნითი უკუნისამდე, კანონი მისცა და არავინ გადაუხვევს" (ფსალმ 148:3-6).

– "აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც ზღვა არის წყლებით დაფარული" (ეს 11:9; რიცხვ 14:21) – წარმოუდგენელია, რომ

ღმერთი და სიკვდილი

ღმერთმა დართოს დედამიწას განადგურების ნება. ეს აღთქმა ჯერ განხორციელებული არ არის.
– "არის ღმერთი, რომელმაც მიწა გამოსახა და შექმნა; მან დაამყარა იგი, დასასახლებლად გამოსახა" (ეს 45:18). თუ ღმერთმა შექმნა დედამიწა, რათა მისი განადგურება დაენახა, მისი ქმნილება ამაო ყოფილა.

მაგრამ დავუბრუნდეთ წიგნს "დაბადება", რომელშიც ღმერთმა აღუთქვა ყველაფერი ნოეს. როდესაც ნოემ დაიწყო ცხოვრება წარღვნის შემდეგ შექმნილ ახალ სამყაროში, მას, როგორც ჩანს, ჰქონდა სხვა საყოველთაო ნგრევის შიში. ყოველთვის, როდესაც იწყებოდა წვიმა წარღვნის შემდეგ, ეს აზრი არ ასვენებდა მას. ამიტომ ღმერთმა მისცა აღთქმა, რომ ეს არასოდეს განმეორდება: –

> "აჰა, გიდებთ აღთქმას თქვენ... გიდებთ აღთქმას (მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ღმერთი მოკვდავ ადამიანის მიმართ იყენებს ნაცვალსახელს "მე"), რომ აღარ აღგვის ხორციელს წარღვნა და აღარ მოვა წარღვნა ქვეყნის დასაღუპავად" (დაბ 9:9-12).

ეს აღთქმა ცისარტყელით იყო დამტკიცებული: –

> "როდესაც ქვეყანას ღრუბლით დავღრუბლავ და გამოჩნდება ღრუბლებში ცისარტყელა (ჩემი), მაშინ გავიხსენებ აღთქმას ჩემსა და თქვენს შორის, ყოველ ხორციელ სულდგმულს შორის... ეს იყოს ნიშანი ჩემი აღთქმისა" (დაბ 9:13-17).

ასე რომ ეს არის მუდმივი აღთქმა ღმერთისა, ხალხისა და დედამიწის ცხოველთა შორის, აქედან გამომდინარე, ქვეყანაზე ყოველთვის იქნებიან ადამიანები და ცხოველები. ეს თავის თავად ამტკიცებს, რომ ღმერთის სასუფეველი იქნება უფრო დედამიწაზე, ვიდრე ცაზე.

ამრიგად, აღთქმა ნოეს მიმართ წარმოადგენს სასუფეველის სახარების საფუძველს; ის გვიჩვენებს თუ რამდენად დიდ ყურადღებას ანიჭებს ღმერთი ჩვენს პლანეტას და როგორ ატარებს გულში მარადიული ცხოვრების განზრახვას. მას რისხვის დროსაც კი ახსოვს თანაგრძნობა (აბაკ 3:2), მისი სიყვარული ისეთია, რომ ის ცხოველთა სამყაროს ქმნილებებზეც კი ზრუნავს (1 კორ 9:9; შდ. იონ 4:11).

3.4 აღთქმა აბრაამის მიმართ

სახარება, რომელსაც იესო და მოციქულნი ქადაგებდნენ, ძირითადათ არ განსხვავდება იმისაგან, რომელიც აბრაამმა იცოდა. ღმერთმა ყველაფერი ეს "წინასწარ ახარა აბრაამს" წერილის მეშვეობით (გალ 3:8). თუ ჩვენ გვეცოდინება რა იყო ნათქვამი აბრაამის მიმართ, ჩვენ გვექნება საფუძვლიანი წარმოდგენა ქრისტიანულ სახარებაზე. ამის გარდა არსებობს სხვა მითითება, რომ "სახარება" არ არის ისეთი, როგორიც იესოს დროს იყო: –

– "და ჩვენ გახარებთ, რომ აღთქმა, რომელიც მამებს მისცა, ღმერთმა შეგვისრულა" (საქ 13:32).

– "პავლე, იესო ქრისტეს მონა, მოწოდებული მოციქული, ამორჩეული ღვთის სახარებისათვის, რომელიც წინასწარ აღთქმული ჰქონდა თავის წინასწარმეტყველთა მიერ (მაგალითად, აბრაამის, – დაბ 20:7) წმიდა წერილებში" (რომ 1:1, 2).

– "რადგან იმიტომ ეხარათ მკვდართაც" (1 პეტ 4:6) – ესე იგი, მორწმუნეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოკვდნენ ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნემდე.

ღმერთი და სიკვდილი

– "ვინაიდან სახარება ჩვენც გვეუწყა, როგორც მათ" (ებრ 4:2) – ესე იგი, ისრაელიანებს უდაბნოში.
აღთქმას აბრაამის მიმართ აქვს ორი ძირითადი თემა: 1) აბრაამის თესლი (განსაკუთრებული შთამომავლების) შესახებ და 2) მიწაზე, რომელიც ღმერთმა აღუთქვა აბრაამს.

ეს ყველაფერი განხილულია ახალ აღთქმაში და ჩვენ განზრახვასთან თანახმად მივცეთ ბიბლიას საშუალება თვითონ ახსნას თავის თავი, ჩვენ გავაერთიანებთ ორივე აღთქმის მოძღვრებას, რათა გადმოგცეთ სრული წარმოდგენა ღმერთის აღთქმაზე აბრაამის მიმართ.

თავდაპირველად აბრაამი ცხოვრობდა ქალაქ ურეში, რომელიც ამჟამად ერაყში იმყოფება. თანამედროვე არქეოლოგია მიგვითითებს ცივილიზაციის მაღალ დონეზე, რომელიც მიღწეული იყო აბრაამის დროს. განვითარებული იყო: საბანკო სისტემა, მოქალაქური მომსახურება და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აბრაამი ცხოვრობდა ამ ქალაქში, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. მაგრამ შემდეგ მას
მოუწოდა ღმერთმა – მოსცილებულიყო აწყობილ ცხოვრებას და გამგზავრებულიყო მოგზაურობაში აღთქმულ ქვეყნისაკენ. მაგრამ არ იყო სრულიად ნათელი სად იმყოფება და რას წარმოადგენს ეს ქვეყანა. საერთო ჯამში, ეს იყო მოგზაურობა 1500 მილი (2400 კმ) მანძილით. ეს იყო ქანაანთა მიწა – თანამედროვე ისრაელი.

აბრაამს, ცხოვრების განმავლობაში, ღმერთი რამდენჯერმე ეცხადებოდა, რათა განუმეორებინა და გაეფართოვა თავისი აღთქმა. ეს აღთქმა წარმოადგენს ქრისტეს სახარების საფუძველს. როგორც ნამდვილი ქრისტიანები, ჩვენ აღვიქვამთ მოწოდებას აბრაამის მიმართ, მოვცილდეთ წარმავალ საქმეებს, ვიცხოვროთ ღმერთის სიტყვის რწმენით და მივიღოთ ღმერთის აღთქმა ისეთი, როგორიც არის. ჩვენ კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ განიხილა აბრაამმა აღთქმა მოგზაურობის დროს. "რწმენით იყო,

რომ დაემორჩილა აბრაამი მოწოდებას, წასულიყო ქვეყანაში (ქანაანი), რომელიც მემკვიდრეობით უნდა მიეღო, და ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა" (ებრ 11:8).
როცა ჩვენ ვფიქრობთ ღმერთის აღთქმის შესახებ, ჩვენც ზუსტად არ ვიცით, რას წარმოადგენს ღვთის სასუფეველის აღთქმული ქვეყანა. მაგრამ ჩვენი რწმენა ღმერთის სიტყვისადმი ისეთი უნდა იყოს, რომ ჩვენ ხალისიანად დავმორჩილდეთ.

აბრაამი მომთაბარე წარმართი იყო, რომელსაც არაფერი არ დარჩენია, როგორც გამოეყენებინა ამ აღთქმით წარმოდგენილი შემთხვევა. მისი წრე და გარემო ბევრად არ განსხვავდებოდა ახლანდელისაგან. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი აბრაამის ადგილას, როგორ გაგვიჭირდებოდა ასეთი ძნელი და ამაღელვებელი გადაწყვეტილების მიღება, რათა მიგვებაძა ღმერთის აღთქმას, და შორს გავმგზავრებულიყავით. ეს გამოიწვევდა თანამშრომლების გაოცებას, მეზობლების არაორაზროვან შეხედულებას ("იგი რელიგიაში გადავარდა!")... ეს ყველაფერი ნაცნობი იყო აბრაამისათვის. დიდი ნებისყოფა და საღი აზროვნება იყო საჭირო სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და განსახორციელებლად. ამ სიძნელეების გადასალახი ერთადერთი საშუალება – აღთქმის სიტყვები იყო. მან, როგორც ჩანს, დაიმახსოვრა ისინი და ყოველდღე ფიქრობდა მათ მნიშვნელობაზე.

ასეთივე რწმენის გამომჟღავნებით ჩვენ შეგვიძლია დავიმსახუროთ ისეთივე პატივისცემა, როგორიც აბრაამს ჰქონდა – გვეწოდოს ღმერთის მეგობრები (ეს 41:8), შევიცნოთ იგი (დაბ 18:17) და გვქონდეს ღმერთის სასუფეველში მარადიული ცხოვრების მყარი იმედი. ასევე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ქრისტეს სახარება აბრაამის აღთქმაზე არის დამყარებული. რომ ჭეშმარიტად გვწამდეს ქრისტიანული მიმართვა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ აღთქმა, რომელიც ღმერთმა მისცა აბრაამს. ყურადღებით უნდა ვიკითხოთ ღმერთისა და აბრაამის დიალოგები. ამის გარეშე ჩვენი რწმენა არ იქნება ჭეშმარიტი.

ღმერთი და სიკვდილი

<u>დედამიწა</u>

1) "წადი შენი ქვეყნიდან... იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ" (დაბ 12:1).

2) "გაუდგა გზას (აბრაამი) ნეგებიდან და იარა ბეთილამდე (ისრაელის ცენტრალური ნაწილი)... უთხრა უფალმა აბრაამს... აახილე თვალი და გაიხედე ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ. მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისათვის მომიცია სამარადისოდ... ადექი და კიდით კიდემდე მოიარე ეს ქვეყანა, რადგანას შენთვის მომიცია იგი" (დაბ 13: 3, 14, 15, 17).

3) "ამ დღეს დაუდო უფალმა აღთქმა აბრაამს და უთხრა: შენი შთამომავლობისთვის მიმიცია ეს ქვეყანა ეგვიპტის მდინარიდან დიდ მდინარამდე – ევფრატის მდინარამდე" (დაბ 15:18).

4) "მოგცემ შენ და შენ შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად" (დაბ 17:8).

5) "ვინაიდან აბრაამს და მის თესლს არა რჯულით, არამედ რწმენის სიმართლით მიეცა აღთქმა ყოფილიყო წუთისოფლის მემკვიდრე" (რომ 4:13).

ჩვენ ვიხილეთ აბრაამის მიმართ აღთქმის გაძლიერება: –

1) არსებობს ქვეყანა, რომელშიც მე მინდა, რომ შენ წახვიდე.

2) "მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისათვის მომიცია სამარადისოდ". მიაქციეთ ყურადღება, რომ მარადიული ცხოვრების აღთქმა მოცემულია რომანტიკური შარავანდედის გარეშე; ადამიანი – მწერალი წარმოსთქვამდა ამ

სიტყვებს, უეჭველად, მეტი ემოციური გამოხატულებითა და შთაგონებით.

3) აღთქმული ქვეყნის ტერიტორია განსაზღვრული იყო უფრო კონკრეტულად.
4) აბრაამს არ უნდა მოელოდა აღთქმის განხორციელება მისვე ცხოვრებაში; იგი ჩათვლილი უნდა ყოფილიყო "უცხოელად", თუმცა მოგვიანებით მარადიულად იცხოვრებდა იქ. აქედან გამომდინარე, იგი მოკვდება და შემდეგ აღდგება აღთქმის მისაღებად.

5) შთაგონების მდგომარეობაში მყოფმა პავლემ გაიაზრა აღთქმა აბრაამის მიმართ, როგორც მთელი ქვეყნის მემკვიდრეობის დასტური.

წერილი არღვევს თავის ჩვეულებრივ ფარგლებს და გვახსენებს, რომ აბრაამმა ვერ მიაღწია აღთქმის განხორციელებას თავისივე ცხოვრებაში: –

> "რწმენით იყო, რომ შეეხიზნა (იგულისხმება ცხოვრების დროებითი ფორმა) აღთქმულ ქვეყანას, როგორც უცხოს, და კარვებში მკვიდრობდა" (ებრ 11:9).

ის ცხოვრობდა როგორც უცხოელი, შესაძლოა, იმავე გაუბედავობისა და დაურწმენებლობის ფარული გრძნობით, რომელიც ემიგრანტს გააჩია. თავისივე შთამომავლებთან ერთად, ისააკთან და იაკობთან (რომლებსაც ასევე ეკუთვნის აღთქმა) "რწმენაში დაიხოცნენ ესენი ყველანი და ვერ მიიღეს აღთქმულნი, მხოლოდ შორიდან უყურებდნენ მათ და უხაროდათ, აღიარებდნენ, რომ უცხონი და ხიზნები არიან ამ ქვეყანაზე" (ებრ 11:13). აღნიშნეთ ოთხი მომენტი: –

– აღთქმის ცოდნა, – რასაც ჩვენც ვაკეთებთ ბიბლიის შესწავლით.

ღმერთი და სიკვდილი

– "მათ უხაროდათ", – თუ აბრაამს სიხარულის გრძნობა გაუგრძელდა რაღაც დროის პერიოდით, რამდენად ხანგრძლივი იქნება ის ჩვენთვის?

– "რწმენაში დაიხოცნენ ესენი", – ისინი ქრისტეში მონათლულნი იყვნენ (გალ 3:27-29).

– ჩვენი ცხოვრების წესით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ეს სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ – არ არის ჩვენი ნამდვილი სახლი, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ მომავალი საუკუნის მოსვლის იმედით.

თუ ჩვენ გავიზიარებთ ამ ყველა დებულებებს, მაშინ აბრაამი ჩვენთვის გმირი და ცხოვრების მაგალითი იქნება. საბოლოო აღიარება, რომ აღთქმა მომავალში განხორციელდება, მოვიდა მოხუც და დაბერებულ კაცთან, როცა მოკვდა მისი ცოლი. ფაქტიურად მან იყიდა აღთქმული მიწის ერთი მტკაველი, რათა დაემარხა მეუღლე (საქ 7:16). ღმერთმა "არ მისცა არავითარი მემკვიდრეობა დედამიწაზე", ფეხის დასადგმელი ადგილიც კი, მაგრამ აღუთქვა, რომ მისცემდა სამფლობელოდ მას (საქ 7:5).

ახლანდელი აბრაამის თესლი ასევე გრძნობს რაღაც შეუსაბამებლობას როცა ყიდულობს ან იჯარით იღებს მიწას ჩვენთვის აღთქმულ სამარადისო საკუთრებად ქვეყანაზე!
მაგრამ ღმერთი იცავს თავის აღთქმას. უნდა მოვიდეს ის დღე, როდესაც აბრაამი და ყველანი, ვისაც მიეცა აღთქმა, საზღაურს მიიღებენ. ლექსები ებრ 11:13, 39, 40 ამტკიცებენ ამას: –

> "რწმენაში დაიხოცნენ ესენი ყველანი და ვერ მიიღეს აღთქმულნი... იმიტომ, რომ წინასწარ გაითვალისწინა ღმერთმა ჩვენთვის მეტი სიკეთე, რათა ისინი უჩვენოდ არ განსრულებულიყვნენ".

ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე მიიღებს ჯილდოს ერთა და იმავე დროს, ესე იგი, განკითხვის დღეს (2 ტიმ 4:1, 8; მათ 25:31-34; 1 პეტ 5:4). აქედან გამომდინარე, განკითხვისათვის აბრაამი და სხვები აღთქმის მცოდნენი უნდა აღდგნენ.

თუ მათ არ მიიღეს აღთქმულნი და მიიღებენ ყველაფერს განკითხვის დროს ქრისტეს დაბრუნებისას, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი ამჟამად იმყოფებიან შეუგნებელ მდგომარეობაში ქრისტეს მოლოდინში. და ამავე დროს ევროპის ყველა ეკლესიაში აბრაამი გამოსახულია ცაში, სადაც ხარობს, რათა უკვე მიიღო საზღაური რწმენაში ცხოვრების გამო. ათასობით ხალხი წლების განმავლობაში ხედავს ამ სურათებს და რელიგიურად აღითქვამს მათ. გექნებათ თუ არა თქვენ ბიბლიაზე დამყარებული სიმამაცე გამოხვიდეთ მათ რიგებიდან?

<u>თესლი</u>

როგორც იყო ნათქვამი ნაწილში 3.2, თესლის აღთქმა ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, იესოს და შემდეგ იმათ, ვინც "ქრისტეში" იმყოფება, და ამიტომ აბრაამის თესლად ითვლება: –

1) "გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ... კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა" (დაბ 12:2, 3).

2) "ქვიშასავით ურიცხვს გავხდი შენს შთამომავლობას; თუ ვინმე შესძლებს ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც დაითვლება... მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისათვის მომიცია სამარადისოდ" (დაბ 13:15, 16).

3) "აჰხედე ცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა... ამდენი იქნება შენი შთამომავლობა... შენი შთამომავლობისთვის მიმიცია ეს ქვეყანა" (დაბ 15:5, 18).

4) "მოგცემ შენ და შენს შტამომავლობას... ქანაანის მთელ ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები" (დაბ 17:8).

5) "გიმრავლებ შთამომავლობას ცის ვარსკვლავებივით და ზღვის ქვიშასავით; დაიმკვიდრებს შენი შთამომავლობა შენს მტერთა ქალაქებს; იკურთხებიან შენი შთამომავლობის წყალობით ქვეყნიერნი" (დაბ 22:17, 18).

და კვლავ აბრაამის "თესლის" გაგება თანდათან იზრდება: –

1) მისთვის ნათქვამი იყო, თუ როგორ ეყოლება უთვალავი შთამომავლობა და რომ მისი "თესლის" მეშვეობით კურთხეული იქნება მთელი ქვეყანა.

2) მოგვიანებით იყო ნათქვამი, რომ მისი თესლი გაიზრდება და იქცევა დიდ ხალხად. და ამ ხალხს მასთან ერთად ექნება მარადიული ცხოვრება მიწაზე, რომელშიც იგი მივიდა, ესე იგი, ქანაანთა ქვეყანაში.

3) შემდეგ, ნათქვამი იყო, რომ მისი თესლი ვარსკვლავებივით უთვალავი გახდება. ეს ნიშნავს, რომ მას ეყოლება ბევრი სულიერი შთამომავალი (ვარსკვლავები ცაში), ისევე, როგორც ბუნებრივი შთამომავალი (როგორც "ქვიშა").

4) წინა აღთქმულებებს თან ახლდათ დამატება, რომ ხალხს, რომელიც მისი თესლის ნაწილი გახდება, ექნება პირადული ნათესაობრივი კავშირი ღმერთთან.

5) თესლი დაამარცხებს საკუთარ მტრებს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ თესლის მეშვეობით "კურთხევას" მიიღებს დედამიწის ყველა ხალხი. ბიბლიაში კურთხევის ქვეშ

ხშირად იგულისხმება ცოდვების პატიება. საბოლოოდ ეს არის ის კურთხევა, რომელიც სურს მიიღოს ღმერთის მოყვარე ყველა ადამიანმა. ამიტომ ჩვენ ვკითხულობთ ამგვარ ლექსებს: "ნეტარია, ვისაც ეპატია დანაშაული, ვისი ცოდვებიც დაიფარა" (ფსალმ 32:1); "კურთხევის სასმისი" (1 კორ 10:16) – ეს ღვინის სასმისი წარმოადგენს ქრისტეს სისხლს, რომლის მეშვეობით შესაძლოა პატიების მიღება.

ერთადერთი აბრაამის შთამომავალი, რომელმაც მოუტანა სამყაროს ცოდვების პატიება, რასაკვირველია, იესო იყო, და ახალ აღთქმაში მოცემულია აბრაამის მიმართ აღთქმის მტკიცე დასტური: –

> "ხოლო აბრაამს ეთქვა (ღმერთის მიერ) ეს აღთქმანი და მის თესლს. არ თქმულა: "შენს თესლთ" – როგორც მრავალზე, არამედ როგორც ერთზე: "შენს თესლს", რომელიც არის ქრისტე" (გალ 3:16).

> "აღუთქვა ღმერთმა ჩვენს მამებს, როცა უთხრა აბრაამს: შენს თესლში იკურთხებიაო დედამიწის ყოველი მოდგმა! ღმერთმა აღადგინა რა თავისი მსახური, პირველად თქვენ მოგივლინათ თქვენს საკურთხევლად, რათა მოგაქციოთ ყოველი თქვენი ბოროტი საქმიდან" (საქ 3:25, 26).

მოაქციეთ ყურადღება, თუ როგორ მოჰყავს პეტრეს ციტატა და განმარტავს სიტყვებს დაბ 22:18: –

> თესლი = იესო
> კურთხევა = ცოდვების პატიება

აღთქმა იმის შესახებ, რომ იესო, როგორც აბრაამის თესლი, დაამარცხებს თავის მტრებს, საკმაოდ შეესატყვისება ამ მოვლენებს, თუ ჩვენ განვიხილავთ ამ აღთქმას, როგორც ქრისტეს გამარჯვებას ბოროტებაზე – ღვთის ხალხის უდიდეს მტერზე.

ღმერთი და სიკვდილი

<u>თესლთან შეერთება</u>

ახლა ნათელი უნდა იყოს, რომ აბრაამი სწორედ იგებდა სახარების ძირითად ელემენტებს. ძირითადი აღთქმა ეკუთვნის აბრაამს და მის თესლს – იესოს. რა შეიძლება ითქვას სხვაზე? აბრაამის პირდაპირი შთამომავალიც კი ყოველთვის არ უერთდებოდა თესლს (იოან 8:39; რომ 9:7). მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ იესოს ნაწილი, რათა აღთქმა თესლის მიმართ ჩვენ გვეკუთვნოდეს. ამას შეგვიძლია მივაღწიოთ იესოს სახელში ნათლობით (რომ 6:3-5). ჩვენ ხშირად ვკითხულობთ მისი სახელით ნათლიბის შესახებ (საქ 2:38; 8:16; 10:48; 19:5). არ არის გამონაკლისი გალ 3:27-29 ლექსებიც: –

> "ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით. უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც დედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში (ნათლობის მეშვეობით). და თუ ქრისტესნი ხართ (მისი სახელში ნათლობით), მაშ, აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი" – დედამიწაზე მარადიული ცხოვრების მიღების აღთქმა ქრისტეს მეშვეობით "კურთხეული" პატიების საშუალებით. აქედან გამომდინარე, ნათლობით ქრისტეში და თესლში, ჩვენ მივიღებთ ასეთივე აღთქმას. და ამიტომ რომ 8:17 ლექსში ჩვენ გვეწოდა "ქრისტეს თანამემკვიდრენი".

გახსოვდეთ, რომ კურთხევა უნდა მოეფინოს დედამიწის ყველა კუთხის ხალხს თესლის მეშვეობით. და თესლი უნდა გახდეს ქვეყნის ხალხის ჯგუფად, როგორც ქვიშა ზღვის პირას და ვარსკვლავები ცაში. ეს განაპირებულია იმით, რომ მათ პირვლებმა მიიღეს კურთხევა, რათა თესლის ნაწილი გამხდარიყვნენ. ამრიგად,

თესლს (მხოლობითი რიცხვი) "შთამომავლობა ემსახუროს... მოუთხრობს თაობებს უფლის შესახებ" (ფსალმ 22:31).

ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოდ აბრაამის მიმართ აღთქმის ორივე ნაწილი:

1) დედამიწა
აბრაამი და მისი თესლი, იესო, და ასევე ყველა, ვინც იესოშია, დაიმკვიდრებს ქანაანის ქვეყანას და გაფართოების გზით – მთელ წუთისოფელს და მარადიულად იცხოვრებს იქ. ამ ცხოვრებაში ისინი არ მიიღებენ მიწას, მაგრამ მიიღებენ მას უკანასკნელ დღეს, როდესაც იესო დაბრუნდება.

2) თესლი
უპირველეს ყოვლისა, ეს იესო იყო. მისი მეშვეობით დაიმარცხება კაცობრიობის ყველა ცოდვა ("მტერი"), ასე რომ პატიების კურთხევა გავრცელებული იქნება მთელ სამყაროში.

ქრისტეს სახელში ნათლობის გზით ჩვენ მისი თესლის ნაწილი ვხდებით.

ასეთივე ორი ზოლი გამოსახულია ახალი აღთქმის ქადაგებაში და არ გვაოცებს იმის ხშირი მოხსენება, რომ ხალხი იღებს ნათლობას, როდესაც იგებს ამის შესახებ. ეს იყო და არის საშუალება, რომლითაც აღთქმა შესაძლოა ჩვენც გვეკუთვნოდეს. ახლა ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რატომ მოხუცმა პავლემ სიკვდილის წინაშე განსაზღვრა თავისი იმედი, როგორც "ისრაელის სასოებისათვის" (საქ 28:20): ჭეშმარიტი ქრისტიანული იმედი – ეს თავდაპირველი ებრაელური იმედია. ქრისტეს სიტყვები: "ხსნა იუდეველთაგანაა" (იოან 4:22) უნდა ნიშნავდეს ჩვენთვის ასევე აუცილებლობას გავხდეთ სულიერი ებრაელები, რათა შეგვეძლოს სარგებლობის გამოტანა ქრისტეს მეშვეობით ხსნის აღთქმიდან, რომელიც ებრაელთა მამებს ეკუთვნოდა.

ღმერთი და სიკვდილი

ჩვენ ვკითხულობთ, რომ ადრინდელი ქრისტიანები ქადაგებდნენ: –

1) "ახარებდა ღვთის სასუფეველსა და

2) იესო ქრისტეს სახელს" (საქ 8:12).
ეს ორი საკითხი ახსნილი იყო აბრაამისათვის სხვა დასახელებების ქვეშ:-

1) აღთქმა დედამიწის შესახებ და

2) აღთქმა თესლის შესახებ.

მიაქციეთ ყურადღება, რომ სიტყვა "ახარებს" ღვთის სასუფეველსა და იესოს სახელს შეჯამებულია, როგორც "ქადაგება ქრისტეზე" (საქ 8:5, შდ. ლექსი 12). ეს ყველაფერი ხშირად აღითქვება როგორც შემდეგი მტკიცება: "იესოს უყვარხართ! ოღონდ კი თქვით, რომ თქვენ გწამთ მისი სიკვდილი თქვენს გამო და გადარჩებით". მაგრამ სიტყვა "ქრისტე" აშკარად აჯამებს დებულებების რიგს მასზე და მის მომავალ სასუფეველზე. ქადაგებას სასუფეველზე, რომელიც აბრაამს მოეცა, ჰქონდა დიდი მნიშვნელობა სახარების ადრინდელ ქადაგების დროს.
კორინთოში პავლე "სამი თვე გაბედულად საუბრობდა და ირწმუნებოდა ღვთის სასუფეველის შესახებ" (საქ 19:8); ეფესოში ის ასევე "ქადაგებდა ღვთის სასეფეველს" (საქ 20:25), და რომში მისი გედის სიმღერა ასეთივე იყო: "დილიდან საღამომდე არწმუნებდა მათ და უმოწმებდა ღვთის სასუფეველზე და იესოს შესახებ უდასტურებდა მოსეს რჯულიდან და წინასწარმეტყველთაგან" (საქ 28:23). და ფაქტი, რომ პავლეს შეეძლო ამდენი ესაუბრა, ადასტურებს იმას, რომ სახარების ძირითადი დებულებები სასუფეველზე და იესოზე არ იყო მხოლოდ ამ ფრაზის წარმოთქვა: "ირწმუნეთ იესო". ღმერთის აღთქმა აბრაამის მიმართ ბევრად დაწვრილებითი იყო, ვიდრე ეს ფრაზა, და

ის რაც მან აღუთქვა აბრაამს ფაქტიურად შეადგენს სახარების საფუძველს.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნათლობა იესოს სახელით თესლის ნაწილად გაგვხდის და აქედან გამომდინარე, აღთქმის მემკვიდრეთა თანამოზიარეთ (გალ 3:27-29). მაგრამ მხოლოდ ნათლობა საკმარისი არ არის აღთქმული ხსნის მისაღებად. ჩვენ უნდა დავრჩეთ თესლში, ქრისტეში, რათა მივიღოთ აღთქმა თესლის მიმართ. ნათლისღება მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს; ჩვენ მხოლოდ შევედით მორბენალთა რიგში და უნდა გავირბინოთ მთელი დისტანცია ბოლომდე.

გახსოვდეთ, რომ აბრაამის თესლში ყოფნა არ ნიშნავს, რომ ჩვენ ღმერთისათვის მისაღებნი ვართ. ისრაელიანები აბრაამის თესლნი არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გადარჩებიან ნათლობისა და ქრისტეში ცხოვრების დასტურის გარეშე (რომ 9:7, 8; 4:13, 14). იესომ უთხრა მათ: "ვიცი, რომ აბრაამის შთამომავალნი ხართ, მაგრამ ჩემს მოკვლას ცდილობთ... თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქმეებს გააკეთებდით" (იოან 8:37, 39), ესე იგი, ღმერთისა და ქრისტეს რწმენით (იოან 6:29).

"თესლს" უნდა ჰქონდეს თავისი წინაპარის დახასიათება. თუ ჩვენ გვსურს ვიყოთ აბრაამის თესლი, ჩვენ უნდა არა მარტო მოვინათლოთ, არამედ უნდა გვქონდეს ღმერთის აღთქმის მიმართ დიდი რწმენა, როგორც მას ჰქონდა. ამიტომ მას ჰქვია "ყველა წინადაუცვეთელი მორწმუნის მამა... ვინც მიჰყვება რწმენის კვალს" (რომ 4:11, 12). "ამიტომ, გაიგეთ (ესე იგი, მიიტანეთ გულთან ახლოს), რომ ვინც რწმენისაგან არიან, აბრაამის შვილები არიან" (გალ 3:7).

ნამდვილი რწმენა უნდა გამოიხატებოდეს საქმეში, სხვაგვარად ღმერთის თვალებში ეს არ არის რწმენა (იაკ 2:17). პირველ დადასტურება, რომ ჩვენ ნამდვილად გვწამს იმ აღთქმის, რომელიც ამჟამად შევისწავლეთ, იქნება ჩვენი ნათლობა. მაშინ ეს აღთქმა

პირადად ჩვენზე გავრცელდება (გალ 3:27-29). ამრიგად, ნამდვილად თუ გვწამს ღმერთის აღთქმა? ეს კითხვა ჩვენ უნდა განუწყვეტლივ დავუსვათ საკუთარ თავს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ძველი და ახალი აღთქმა

ახლა ნათელია, რომ აღთქმა აბრაამის მიმართ ავჯამებს ქრისტეს სახარებას. მნიშვნელოვანი აღთქმის სხვა რიგს შეადგენს ის აღთქმა, რომელიც ღმერთმა ებრაელებს მისცა მოსეს რჯულის კონტექსტში. იქ ნათქვამია, რომ თუ ებრაელები დაემორჩილებიან რჯულს, მაშინ ცხოვრებაში ფიზიკურად კურთხეულნი იქნებიან (რჯლ 28). მარადიული ცხოვრების პირდაპირი დაპირება ამ აღთქმათა ჯგუფში არ არის. ასე რომ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ორი "აღთქმის" არსებობა:

1) აბრაამს და მის თესლს, რომლებიც მეტყველებენ პატიებასა და მარადიულ ცხოვრებაზე ღმერთის სასუფეველში ქრისტეს მეორე მოსვლის დროს. ეს ასევე აღთქმული იყო ედემში და დავითის მიმართ.

2) ებრაელი ხალხის მიმართ მოსეს სიცოცხლის დროს აღთქმული იყო მშვიდობა და ბედნიერება, თუ ხალხი დაემორჩილება კანონს ანუ რჯულს, რომელიც ღმერთმა მოსეს მისცა.

ღმერთმა აღუთქვა აბრაამს პატიება და მარადიული ცხოვრება სასუფეველში, მაგრამ ეს შესაძლო იყო მხოლოდ იესოს მსხვერპლის მეშვეობით. ქრისტეს სიკვდილმა ჯვარზე დაადასტურა აღთქმა აბრაამის მიმართ (გალ 3:17; რომ 15:8; დან 9:27; 2 კორ 1:20), ამიტომ მის სისხლს უწოდებენ "სისხლი ახალი აღთქმისა" (მათ 26:28). უნდა გვახსოვდეს, რომ იესო გვარიგებდა ჩვენ რეგულარულად მიგვეღო ღვინის სასმისი, რომელიც მის სისხლს სიმბოლურად გამოხატავს (იხ. 1 კორ 11:25). "ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში" (ლუკ 22:20). არ არის საჭირო

“პურის გატეხვა” იესოსა და მისი საქმეების მოსახსენებლად, თუ ჩვენ არ გვესმის ეს.

ქრისტეს მსხვერპლმა შესაძლო გახადა პატიება და მარადიული ცხოვრება ღვთის სასუფეველში; ამით მან დაამტკიცა აღთქმა აბრაამის მიმართ: “ესოდენ უმჯობესი აღთქმის თავდებიც იესო გახდა” (ებრ 7:22). ლექსში ებრ 10:9 ნათქვამია, რომ იესო აუქმებს პირველ აღთქმას და ამტკიცებს მეორეს. სიტყვასიტყვით ასეა ნათქვამი: “ის აუქმებს პირველს, რათა დაადგინოს მეორე”. ეს ამოწმებს იმას, რომ იესომ აბრაამის მიმართ აღთქმის დადასტურებით გააუქმნა მოსეს აღთქმის მოქმედება. ზემოთ მოხსენებულ ლექსებში ნათქვამია, რომ თავისი სიკვდილით იესომ დაამყარა ახალი აღთქმა და ამის შემდეგ ძველმა აღთქმამ შეწყვიტა თავისი არსებობა (ებრ 8:13). ეს იმას ნიშნავს, რომ თუმცა აღთქმა ქრისტეს შესახებ ადრე იყო დადებული, ის მთლიანად არ მოქმედებდა მის სიკვდილამდე. იესოს სიკვდილის შემდეგ ამ აღთქმას ეწოდა ახალი აღთქმა, ძველისაგან განსხვავებით, ესე იგი, ძველი აღთქმისაგან. მოსეს მეშვეობით დადებული ძველი აღთქმის მიზანი – ქრისტეს საქმეების წინასწარმეტყველება და აღთქმის მიმართ რწმენის მნიშვნელობის ხაზგასმა იყო (გალ 3:19, 21).

თავის მხრივ რწმენა ქრისტეში ხაზს უსმევს მოსეს რჯულის სიმართლეს (რომ 3:31). პავლემ ორიგინალურად შეაჯამა ეს ამგვარი სიტყვებით: “რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესაკენ, რათა გავმართლებულიყავით რწმენით” (გალ 3:24). ზუსტად ამ მიზნით შენარჩუნებული იყო მოსეს რჯული და იგი ახლაც გვჭირდება ჩვენ შესასწავლად.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამი პირველივე კითხვის დროს რთულია გასაგებად; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ეს შემდეგნაირად: –

> აღთქმა ქრისტეს შესახებ აბრაამის მიმართ – ახალი აღთქმა.

ღმერთი და სიკვდილი

> აღთქმა ისრაელიანების მიმართ რჯულის შესახებ, რომელიც მოცემულია მოსეს მეშვეობით – ძველი აღთქმა.
>
> ქრისტეს სიკვდილი. ძველი აღთქმის მოქმედების დასასრული (კოლ 2:14-17); ახალი აღთქმის ძალაში შესვლა.

აქედან გამომდინარე, ასეთი მოვლენები, როგორიცაა ეკლესიის შეწერა ათეულით, შაბათის დაცვა და ა.შ. აუცილებელი აღარ არის (იხ. ნაწილი 9.5). ახალი აღთქმა დადებული იქნება ისრაელის ხალხთან, როცა ისინი მიიღებენ ნათლობას და ქრისტეს (იერემ 31:31, 32; რომ 9:26, 27; ეზეკ 16:62; 37:26). თუმცა, რასაკვირველია, ნებისმიერ ებრაელს, რომელიც მოინათლება იესოს სახელით, შეუძლია მაშინვე გაიზიაროს ახალი აღთქმა (რომელშიც ებრაელები არ არიან გამოყოფილნი არაებრაელებისაგან: გალ 3:27-29).

ძველი და ახალი აღთქმის სწორი გაგება დაგვეხმარება ღმერთის აღთქმის მოქმედების წარმოსახვაში. სკეპტიკოსები უსამართლოდ ცილს სწამენ ადრინდელ ქრისტიანელ მქადაგებლებს იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ დამაჯერებელი საბუთები. ამის საპასუხოდ პავლემ თქვა, რომ ქრისტემ თავისი სიკვდილით დაადასტურა ღმერთის აღთქმა, და იმედი, რომლის შესახებ ისინი ქადაგებენ, ეს წუთიერი კი არა, მუდმივი წინადადებაა.

"მოწმეა ღმერთი, რომ ჩვენი სიტყვა თქვენს მიმართ არ ყოფილა ჰოც და ასეც, ვინაიდან ძე ღვთისა იესო ქრისტე, რომელსაც თქვენ შორის ვქადაგებდით ჩვენ... არ იყო ჰოც და არაც, არამედ ჰო იყო მასში, რადგან ღვთის ყველა აღთქმანი მასში ჰო არის და მისით ითქმის ამინი" (2 კორ 1:17-20).

უეჭველად ეს ბოლოს უღებს ასეთ პოზიციას, როგორიცაა: "ნუ, მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერში არის რაღაც ჭეშმარიტი?.."

3.5 აღთქმა დავითის მიმართ

აბრაამის მსგავსად, დავითს და ღმერთის აღთქმის სხვა მიმღებელს არ ჰქონდა მსუბუქი ცხოვრება. დავითი უმცროსი იყო დიდ ოჯახში. ისრაელში ქრისტეს დაბადებამდე 1000 წლის წინ ეს ნიშნავდა, რომ ის ცხვრებს მწყემსიდა და უფროს ძმების ბრძანებებს ასრულებდა (1 მეფ 15-17). ამ დროის განმავლობაში მას ჰქონდა ღმერთის ისეთი რწმენა, როგორიც მრავალ ხალხს არა აქვს.

დადგა დღე, როდესაც ისრაელიანებს უნდა მიეღოთ აგრესიული მეზობლების – ფილისტიმლების – გამოწვევა. ებრაელებს უნდა გამოეყოთ თავის გარემოდან ისეთი ადამიანი, რომელიც შეძლებდა ბრძოლას გოლიათთან, ფელისტიმელთა ჩემპიონთან. წარდგენილი პირობის თანახმად, გამარჯვებული უხელმძღვანელებდა დამარცხებულ ხალხს. ღმერთის დახმარებით დავითმა დაამარცხა გოლიათი, თუმცა ბრძოლობდა მხოლოდ შურდულით და ქვებით. ამ გამარჯვებამ დავითს ისეთი პოპულარობა მოუტანა, რომ მეფეს (საულის) სახელგანთქმულობას გადააჭარბა. მაგრამ "სასტიკია ჯოჯოხეთივით შური" (ქებ 8:6) – ეს სიტყვები ადასტურებენ საულის შემდეგ საქციელს, რომელიც 20 წლის განმავლობაში დევნიდა დავითს, როგორც ვირთხას ჩრდილოეთი ისრაელის უდაბნოში, რათა მოეკლა იგი.

საბოლოოდ დავითი მეფე გახდა და გადაწყვიტა აეშენებინა ტაძარი ღმერთისათვის, რათა გადაეხადა მადლობა ღმერთისთვის. მაგრამ ღმერთმა უთხრა დავითს, რომ მისი ძე სოლომონი ააშენებს ტაძარს, ხოლო დავითმა აიშენოს სახლი (2 მეფ 7:4-13). შემდეგ მიეცა დაწვრილებითი აღთქმა, რომელშიც შედიოდა ბევრი რამ, რაც ნათქვამი იყო აბრაამის მიმართ: –

ღმერთი და სიკვდილი

> “როცა დრო მოგივა და შენს მამა-პაპასთან განისვენებ, მე აღვადგენ შენს შემდგომად ნაშიერს, შენი საზარდულიდან გამომავალს, და მეფობას განვუმტკიცებ. ის ააშენებს სახლს ჩემი სახელისთვის და მე გავამტკიცებ მისი მეფობის ტახტს სამარადისოდ. მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის. თუ დააშავებს, გავწკეპლავ კაცთა წესით და ვცემ ადამიანთა ჩვეულებით. არ წაერთმევა მას ჩემი წყალობა, როგორც წავართვი საულს, რომელიც ჩამოგაცილე. მტკიცედ იდგება მისი სახლი და სამეფო სამარადისოდ ჩემს წინაშე; მყარი იქნება მისი ტახტი სამარადისოდ” (ლქ. 12-16).

ჩვენი წინა მეცადინეობებიდან ვიცით, რომ “თესლი” იესო იქნება, მისი აღწერა, როგორც ღვთის ძის (2 მეფ 7:14) ადასტურებს ამას, ასევე როგორც ბიბლიის სხვა ადგილები: –

– “მე ვარ დავითის ფესვი და შთამომავალი”, თქვა იესომ (გამოცხ 22:16).

– “თავის ძეზე (იესოზე), რომელიც დავითის თესლისაგან იშვა ხორციელად” (რომ 1:3).

– “მისი (დავითის) შთამომავლობისაგან ღმერთმა აღთქმისამებრ აღუდგინა ისრაელს მაცხოვარი იესო” (საქ 13:23).

– ანგელოზმა უთხრა მარიამს მისი შვილის იესოს შესახებ: “დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს. და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული” (ლუკ 1:32, 33).

ეს აღთქმა დავითის თესლის შესახებ (2 მეფ 7:13) იესოსაც ეკუთვნის.

ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ, რომ იესო თესლი იყო. ახლა მივაქციოთ ყურადღება მნიშვნელოვანი საკითხების რიგს: –

– "შენს შემდგომად ნაშიერს, შენი საზარდულიდან გამომავალს... მე მამა ვიქნები მისთვის, ის კი შვილი იქნება ჩემთვის..." "...ნაყოფისაგან შენი მუცლისა დავსვამ შენს ტახტზე" (2 მეფ 7:12, 14; ფსალმ 132:11). იესო, როგორც თესლი, სიტყვასიტყვით დავითის სხეულის შთამომავალი იყო, და ამავე დროს ღმერთი იყო მისი მამა. ამის განხორციელება შესაძლო იყო მხოლოდ ქალწულის მიერ შობის გზით, როგორც არის ნათქვამი ამის შესახებ ახალ აღთქმაში. იესოს დედა მარიამი იყო დავითის შთამომავალი (ლუკ 1:32), მაგრამ მისი მამა ადამიანი კი არა, ღმერთი იყო. რათა იესო ჩაესახა მარიამს, მან ზეგავლენა მოახდინა მის მუცელზე წმიდასულის მეშვეობით. ანგელოზი ამბობს ამის შესახებ: "ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ" (ლუკ 1:35). "ქალწულით შობა" აღთქმის განხორციელების ერთადერთი საშუალება იყო.

– "ის ააშენებს სახლს ჩემი სახელისთვის" (2 მეფ 7:13). ეს ფრაზა ნიშნავს, რომ იესო აუშენებს ღმერთს ტაძარს, – როგორც სიტყვასიტყვით, ასევე სულიერად. ეზეკ 40:48 მოცემულია დაწვრილებითი აღწერა იმ ტაძრის, რომელიც აშენდება იერუსალიმში ოქროს საუკუნეს (ღმერთის სასუფეველის პირველი ათასწლეული დედამიწაზე ქრისტეს მეორე მოსვლის შემდეგ). ღვთის "სახლი" – სახლია, რომელშიც იცხოვრებს ღმერთი. ლექსებში ეს 66:1, 2 ნათქვამია ასევე, რომ ღმერთი მოგვევლინება მისი სიტყვის მიმართ მორჩილ ხალხთა გულებში დასამყარებლად. ამიტომ იესო აშენებს ჭეშმარიტი მორწმუნეებისაგან ღმერთისათვის სულიერ ტაძარს, რომელშიც იგი იცხოვრებს. აქ საჭიროა გავიხსენოთ პეტრეს სიტყვები იესოს შესახებ, როგორც ღმერთის ტაძრის ქვაკუთხედ ლოდზე (1 პეტ 2:4-8) და ქრისტიანებზე, როგორც ცოცხალ ქვებზე, რომლებთაგანაც აშენდება ტაძარი (1 პეტ 2:5).

– "მე გავამტკიცებ მისი (ქრისტეს) მეფობის ტახტს სამარადისოდ... მტკიცედ იდგება მისი (დავითის) სახლი და სამეფო... მყარი იქნება მისი ტახტი სამარადისოდ" (2 მეფ 7:13, 16; შდ. ეს 9:6, 7). აქედან გამომდინარე, ქრისტეს სამეფო

დამყარდება ისრაელში – დავითის სასუფეველში. ეს ნიშნავს, რომ მომავალი ღვთის სასუფეველი ისრაელის სამეფოს აღდგენა იქნება. (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ნათქვამია ნაწილში 5.3). ამ აღთქმის შესასრულებლად, ქრისტე იმეფებს დავითის "ტახტზე" ან მისი მართვის ადგილზე. სიტყვასიტყვით ეს იერუსალიმში უნდა მოხდეს. ეს კიდევ ერთი მტკიცებაა, რომ ამ აღთქმის განსახორციელებლად სასუფეველი დედამიწაზე იქნება დამყარებული.

– სიტყვები: "მტკიცედ იდგება მისი სახლი და სამეფო სამარადისოდ" (2 მეფ 7:16) გვაძლევენ საფუძველს ვიფიქროთ, რომ დავითი ქრისტეს მარადიული მეფობის დამყარების მოწმე იქნება. ეს ირიბი აღთქმა იყო, რომ იგი აღდგება, რათა თვითონ იხილოს სამეფოს დამყარება, რომელსაც ქრისტე მართავდა იერუსალიმიდან.

ეს აღთქმა დავითის მიმართ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გასაგებად. დავითი სიხარულით ამბობდა, რომ ეს "საუკუნო აღთქმა... განა მისგან არ აღმოცენდება ყოველი ჩემი გამარჯვება და ყოველი ჩემი ნატვრა?" (2 მეფ 23:5). ეს ჩვენ გამარჯვებასაც ეკუთვნის; მთელი ჩვენი სურვილი ამ აღთქმის ჩვენზე მოფენაშია. საჭიროა კიდევ ერთხელ განვიხილოთ ამ დოქტრინების მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, ქრისტიანობა ამ საოცარი ჭეშმარიტების სრულიად საპირისპირო დოგმებს ქადაგებს: –

– თუ იესო არსებობდა ფიზიკურად როგორც პიროვნება თავის დაბადებამდე, მაშინ აღთქმას, რომ იესო დავითის თესლი იქნება ან მისი შთამომავალი, საფუძველი არ ექნებოდა.

– თუ ღმერთის სასუფეველი ცაში დამყარდება, იესო ვერ შეძლებს დავითის სამეფოს აღდგენას ისრაელში, და ასევე ვერ შეძლებს მეფობას დავითის ტახტიდან ან მისი მართვის ადგილიდან. ეს ყველაფერი დედამიწაზე იყო, და ამიტომ ამის აღდგენა ასევე დედამიწაზე უნდა მოხდეს.

<u>ასრულდა თუ არა აღთქმა სოლომონში?</u>

დავითის ძემ სოლომონმა შეასრულა დავითის მიმართ აღთქმის რაღაც ნაწილი. მან აუშენა ღმერთს ტაძარი (3 მეფ 5-8) და მას ძალზე აყვავებული სამეფო ჰქონდა. მეზობელი ხალხის მართველები უგზავნიდნენ სოლომონს თავის წარმომადგენლებს, რათა დაედასტურებინათ პატივისცემა (3 მეფ 10), ხოლო ტაძრისაგან სულიერი მადლი გამოდიოდა. სოლომონის მეფობა დავითის მიმართ აღთქმის მეტ განხორციელებას პირდებოდა, რომელიც ქრისტეს მეფობის დროს გამომჟღავნდება.

ზოგიერთი ხალხი ამტკიცებს, რომ აღთქმა დავითის მიმართ სრულიად განხორციელდა სოლომონში, მაგრამ ამ პოზიციას არ ადასტურებენ შემდეგი ფაქტები: –

– ახალი აღთქმის უამრავი ჩვენება გვეუბნევა, რომ "თესლი" ქრისტე იყო, და არა სოლომონი.

– "თესლის" მეფობა მარადიული უნდა იყოს, სოლომონის თესლი კი ასეთი არ იყო.

– დავითი აღიარებდა, რომ აღთქმა მარადიულ ცხოვრების შესახებ იყო და მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მის ოჯახთან: "... განა ასეთი არ არის ჩემი სახლი უფლის წინაშე? რადგან მან დამიდო საუკუნო აღთქმა" (2 მეფ 23:5).

– დავითის თესლი არის მესია, ცოდვისგან მხსნელი (ეს 9:6, 7; 22:22; იერემ 33:5, 6, 15; იოან 7:42). მაგრამ მოგვიანებით სოლომონი მოსცილდა ღმერთს (3 მეფ 11:1-13; ნეემ 13:26) თავისი უამრავი უცხოელი მეუღლეების გამო.

გადახვევა 9: ცის და მიწის ნგრევა (გამოცხ 21:1; 2 პეტ 3:6-12)

რადგანაც ღმერთის განზრახვა თავისი სამეფოს დედამიწაზე დამყარებაშია (იხ. თავი 6 და ნაწილი 4.4), წარმოუდგენელია, რომ მან გაანადგუროს ჩვენი პლანეტა. ნაწილში 4.3 ნათქვამია,

რომ მან არაერთხელ აუთხრა არ ჩაედინათ ეს. ზემოთ მოყვანილი მითითებები ცისა და მიწის ნგრევის შესახებ უნდა გავიგოთ გადატანითი მნიშვნელობით.

ნაწყვეტი პეტრეს მიმართვისაგან გვაჩვენებს იგივეობას ნოეს დროს განკითხვისა და იმის შორის, რაც მოხდება "უფლის დღეს" მომავალში. "და რომ მაშინდელი წუთისოფელი წარღვნის წყლით მოისპო. ხოლო ახლანდელი ცა და მიწა... გამზადებულია საცეცხლოდ განკითხვის დღისათვის" (2 პეტ 3:6, 7). პეტრე აღნიშნავს სხვაობას წყლისა, როგორც განადგურების აგენტისა, და ცეცხლის შორის, რომელიც გამოყენებული იქნება ქრისტეს მეორე მოსვლის დროს. "ცა და მიწა" ნოეს დროს არ იყო სიტყვასიტყვით განადგურებული, მაგრამ მოისპო "ყოველი ხორციელი", რომელიც ცოდვილი იყო (დაბ 7:21; შდ. 6:5, 12). "ცა და მიწა", აქედან გამომდინარე, ნიშნავენ საგანთა სისტემას ან ადამიანის ორგანიზაციას. ის, ვინც არასწორედ იგებს ამ ნაწყვეტს არ აქცევს ყურადღებას ზემოთ მოყვანილ სიტყვებს "ცის" ნგრევის შესახებ. არ არის აუცილებელი მისი გაგება სიტყვასიტყვით, – რადგანაც ეს ღმერთის ადგილსამყოფელია (ფსალმ 123:1), სადაც არ არსებობს ცოდვა (აბაკ 1:13; ფსალმ 65:4, 5) და ისინი ახარებენ ღმერთის დიდებას (ფსალმ 19:1). თუ სიტყვები ცის ნგრევის შესახებ უნდა ავითქვათ გადატანითი მნიშვნელობით, მაშინ ეს ასევე "მიწასაც" ეკუთვნის.

შემდეგი ნაწყვეტები გვიჩვენებენ, რომ ბიბლიის სხვა ნაწილში გამოყენებული სიტყვები "ცა და მიწა", არ უნდა მივიღოთ სიტყვასიტყვით, რადგანაც ისინი დედამიწაზე არსებულ საგანთა სისტემას ეკუთვნიან: –

– "შევხედე ქვეყანას და, აჰა, უსახურო და უდაბურია; ცას და – არა აქვს ნათელი... რადგან ასე ამბობს უფალი: გაუდაბურდება მთელი ქვეყანა (ისრაელი)... ამაზე იგლოვებს დედამიწა და მაღლა ცა დაბნელდება" (იერემ 4:23-28). ეს მომავალი განკითხვის ქადაგებაა "ცასა და მიწაზე" და ასევე ისრაელის ხალხის შესახებ.

ამ ყველაფრის გამო იგლოვებს (გადატანითი მნიშვნელობით) "ცა და მიწა".

– მოსე მიმართავდა ისრაელიანებს: "გაიგონე, ცაო, სიტყვას ვამბობ! ისმინე, მიწავ, ჩემი სათქმელი" (რჯლ 32:1). აქ ხაზგასმულია ორი კატეგორიის ხალხის არსებობა, რომლებსაც იგი მიმართავდა: 1) "შტოების უხუცესები" და 2) "ისრაელის მთელი საკრებულო" (რჯლ 31:28, 30). უხუცესები უთანასწორდებიან "ცას", უბრალო ხალხი კი "მიწას".

– ესაია ასევე იწყებდა თავის წინასწარმეტყველებას: "ისმინე, ცაო, ყური მიგდე, მიწავ... ისმინე უფლის სიტყვა, თქვე სოდომის მთავრებო! ყურადიღეთ ჩვენი ღვთის რჯული, თქვე გომორელებო" (ეს 1:2, 10). აქ ასევე აშკარავდება იგივეობა ცასა და მთავრების შორის; მიწისა და ხალხთა შორის.

– "გამოიძახებს ცას ზევიდან და დედამიწას თავისი ხალხის სამსჯავროზე" (ფსალმ 50:4). ეს ლექსი თვითონვე მეტყველებს საკუთარ თავზე.

– "რადგან დაითრო ცაში ჩემი მახვილი; აჰა, დაეშვება ედომზე... უფლის მახვილი სავსეა სისხლით... აქვს უფალს... დიდი ხოცვა ედომის მიწაზე" (ეს 34:5, 6). ამ ლექსში "ცა" უთანასწორდება ედემს. და, აქედან გამომდინარე, წინა წინასწარმეტყველება, თითქოს "დალპება ცის მთელი მხედრობა" (ეს 34:4) ეკუთვნის ედემის განადგურებას.

– ცა და მიწა, რომელთა შესახებ ეს 13 ლექსში ნათქვამია, როგორც დანგრეულზე, ეკუთვნის ბაბილონის ხალხს. ბაბილონის შესახებ ღმერთი ამბობს: "შევაზანზარებ ცას და შეირყევა დედამიწა თავისი ადგილიდან... შეიქნებიან დევნილი ქურციკებივით... ყველა თავის ხალხს მიაშურებს, ყველა თავის ქვეყნისკენ გაიქცევა" (ეს 13:13, 14). აქ ცისა და მიწის შერყევა უთანასწორდება ხალხთა გაქცევას.

ამ ყველაფრის ცოდნით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი აღთქმის მითითება განახლებულ ცასა და მიწის შესახებ ქრისტეს

დაბრუნების დროს მიეკუთვნება იმ ორგანიზაციის ახალ სისტემას, რომელიც შეიქმნევა ღმერთის სასუფეველის დამყარებისას.

უფრო ყურადღებიანი კითხვა წერილის 2 პეტ 3 ამტკიცებს ამას. ახლანდელი "ცისა და მიწის" დასასრულის აღწერის შემდეგ მე-13 ლექსი აგრძელებს: "ხოლო ჩვენ მისი აღთქმისამებრ მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე". აქ მოყვანილია ღმერთის აღთქმა, რომლის შესახებ ნათქვამია ეს 65:17 ლექსში: "რადგან, აჰა, შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას". დანარჩენ ნაწილში ეს 65 მოცემულია ცხოვრების ორგანიზაციის ახალი სისტემის აღწერა დედამიწაზე: "შევქმნი იერუსალიმს სამხიარულოდ... არ ააშენებენ სხვის საცხოვრებლად... ჭაბუკივით მოკვდება ასი წლის კაცი (ესე იგი, ცხოვრება უფრო ხანგრძელი იქნება)... მგელი და კრავი ერთად დაიწყებენ ძოვას" (ეს 65:18-25). ეს აღთქმა აშკარად ეკუთვნის მომავალ ღვთის სასუფეველს დედამიწაზე – ახალ "ცასა და მიწას", რომლებიც შეცვლიან ახლანდელ არასრულ ყოფილ ქმნილებებს.

გადაწვევა 10: "ბრიტანული ისრაელიზმის" მიჩემება

ხ. უ. არმსტრონგის ორგანიზაციის "უბრალო სიმართლეს" მომხრენმა წამოაყენეს იდეა იმის შესახებ, რომ აბრაამის აღთქმა უკვე განხორციელდა ინგლისელ და ამერიკელ ხალხთა შორის, რომლებიც, მათი აზრით, ეფრემი და მანასია არიან. "ბრიტანული ისრაელიზმის" მოძრაობის წევრები თვლიან, რომ ინგლისის მეფეები და დედოფლები წარმოშობით იუდას შტოსაგან არიან, რომელიც მეფე დავითისაგან იწყებოდა. საკუთარი თეორიის გასამართლებლად, მათ უნდა გამოეტანათ დასკვნა, რომ ებრაელები უარყოფილნი იყვნენ როგორც ღვთის ხალხი, და მათ ნაცვლად ბრიტანეთის ხალხი იყო ამორჩეული.

მესამე თავში მოყვანილი დებულებების თანახმად, ცხადია, რომ ამ მიჩემებას არ გააჩნია ბიბლიური საფუძველი. ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ ამგვარი მსჯელობის მცდარობას:

– "ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას" (რომ 3:23), აქედან გამომდინარე, ქრისტე მოკვდა, რათა მიეცა ყველა ერის ხალხს ხსნის საშუალების მიღება. თუ ჩვენ მივიღეთ ნათლობა ქრისტეს სახელით, არავითარი მიშვნელობა არა აქვს რომელ ერს ვეკუთვნით (გალ 3:27-29). ჩვენ მივიღეთ დარიგება გვექადაგა სახარება ხალხისათვის და მოგვენათლა ის ხალხი, ვისაც სწამს მისი (მარკ 16:15, 16). ამრიგად, ახალი ისრაელი არა მარტო ბრიტანელი, არამედ ყველა ერის ხალხისაგან შედგება.

– ბრიტანელი და ამერიკელი ხალხის წარმოშობის დადასტურება ძნელია, რადგან ისინი წარმოადგენენ მსოფლიოს კუთხისაგან ხალხის ნარევს. და ის ფაქტი, რომ ვიღაცა დაიბადა ამ ქვეყანაში, სრულიად არ ნიშნავს, რომ იგი ღმერთის მიერ არის ამორჩეული.

– ბრიტანელი ისრაელიანები ამტკიცებენ, რომ აბრაამის თესლის მიმართ აღთქმული კურთხევა, უკვე განხორციელდა ბრიტანეთის ხალხში, მიუხედავად მათი მორჩილებისა ღმერთისადმი. მაგრამ ეს უპირისპირდება არაერთხელ განმეორებულ პრინციპს, რომ ღვთის კურთხევა მოეფინება ხალხს მხოლოდ მათი მორჩელების პირობით. ლევიანნეს 26 და მეორე რჯულის 28 თავებში ხაზგასმულია, რომ კურთხევა მოეფინება ისრაელიანებს, თუ ისინი დაემორჩილებიან მის სიტყვას, ხოლო დაუმორჩილების გამო დაწყევლილი იქნებიან. იმის მტკიცება, რომ ღმერთმა აკურთხა ბრიტანელები მათი დაუმორჩილებლობის მიუხედავად, ამ პირობის დარღვევას ნიშნავს, რომლის თანახმად მოქმედებს ღმერთი.

– მტკიცება, რომ ღმერთმა უარყო თავისი ისრაელის ხალხი და გაცვალა ისინი ბრიტანელებზე, უპირისპირდება რომ 11:1, 2: "ნუთუ ღმერთმა უარყო თავისი ხალხი? არამც და არამც. რადგან

ღმერთი და სიკვდილი

მეც (პავლე) ისრაელი ვარ, აბრაამის თესლისაგან... არ უარუყვია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნო".

– ღვთის სასუფეველი წარსულში ისრაელის სამეფო იყო (2 ნეშტ 9:8). იგი დაცემული იყო თავისი დაუმორჩილებლობის გამო, მაგრამ სამეფო აღორძინდება (ეზეკ 21:25-27). იგი დაბრუნდება იერუსალიმში (მიქ 4:8), როდესაც იესო დაიმკვიდრებს დავითის ტახტს (ლუკ 1:32).

– ისრაელის ხალხი კვლავ შეიკრიბება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან: "გამოვიყვან ისრაელიანებს სახლებიდან, რომლებთანაც არინ წასული, გამოვკრებ მათ ყოველი მხრიდან და მოვიყვან მათ თავიანთ მიწაზე, ერთ ხალხად გავხდი მათ ქვეყანაში, ისრაელის მთებზე" (ეზეკ 37:21, 22). ეს აღთქმა სრულდება ამჟამად, ებრაელები უბრუნდებიან თავიანთ მიწას. მათი სრული დაბრუნება კი მოხდება მეფობის დროს, რომელიც, როგორც გვიჩვენებს ებრაელების დაბრუნების ტემპი, ახლო მომავალში დამყარდება.

<u>შენიშვნა:</u> ის, ვინც დაინტერისდა ამ საკითხით, შეუძლია მიიღოს უფასოდ გამომცემლისაგან ბროშურა "ბრიტანული ისრაელიზმის გამოკვლევა".

ღმერთი და სიკვდილი

თავი 3: საკითხები

1. ღმერთის აღთქმებისაგან რომლები წინასწარმეტყველებენ ცოდვისა და სიწმიდის შორის ბრძოლის შესახებ?

ა) აღთქმა ნოეს მიმართ
ბ) აღთქმა ედემში
გ) აღთქმა დავითის მიმართ
დ) აღთქმა აბრაამის მიმართ.

2. ქვემოთ მოცემულ ჩამონათვლიდან, რომელი ეკუთვნის აღთქმას ედემში?

ა) გველის თესლი ლიუციფერია
ბ) ქრისტე და წმიდანი ქალის თესლნი არიან
გ) გველის თესლი დროებით იყო დაჭრილი ქრისტეს მიერ
დ) ქალის თესლი იყო დაჭრილი ქრისტეს სიკვდილით.

3. სად დამკვიდრდება აბრაამის თესლი მარადიულად?

ა) ცაში
ბ) იერუსალიმში
გ) დედამიწაზე
დ) ზოგიერთი ცაში, ზოგიერთი დედამიწაზე.

4. ქვემოთ მოცემულისაგან, რა უთხრა ღმერთმა დავითს?

ა) რომ მისი შთამომავალი მარადიულად იმეფებს
ბ) რომ მისი "თესლი" იმეფებს ცაში
გ) რომ თესლი ღმერთის ძე იქნება

დ) რომ მისი თესლი, იესო, დაბადებამდე იცხოვრებს ცაში.

5. როგორ შეგვიძლია გავხდეთ აბრაამის თესლი?

6. დაინგრევა თუ არა დედამიწა სამუდამოდ?

7. ღმერთის რომელი აღთქმა ადასტურებს თქვენ პასუხს მე-6 საკითხზე?

8. განმარტეთ აღთქმა ედემში, რომლის შესახებ ნათქვამია დაბ 3:15.

თავი 4

ღმერთი და სიკვდილი

4.1 ადამიანის ბუნება

ხალხთა უმრავლესობა ცოტა დროს უთმობს ფიქრს სიკვდილის ან საკუთარი ბუნების შესახებ, რომელიც საბოლოო ჯამში სიკვდილის მიზეზია. ამგვარი ანალიზის უქონლობას მოჰყვება თვითშემეცნების უქონლობა და, აქედან გამომდინარე, ხალხი მისდევს ცხოვრების დინებას და იღებს გადაწყვეტილებებს თავისი ბუნებრივი სურვილების შესაბამისად. მაგრამ, ყველა ადამიანი სულის სიღრმეში აღიარებს ცხოვრების წარმავლობას და ადრე თუ გვიან მას მოუწევს შეხვედრა სიკვდილთან. "რა არის თქვენი სიცოცხლე? ნისლი, რომელიც ერთხანს გამოჩნდება, მერე კი გაქრება" (იაკ 4:14). "ყველანი დავიხოცებით და მიწაზე დაღვრილი წყალივით აღარ შევგროვდებით" (2 მეფ 14:14). "ბალახივით შეიცვლება: დილას ჰყვავის და ფერს იცვლის (ჩვენი სიყმაწვილე), საღამოს ჭკნება და ხმება" (ფსალმ 90:6). მოსე აღიარებდა ამას და მიმართავდა ღმერთს თხოვნით: "ჩვენი დღეების დათვლა გვასწავლე, რათა შევიძინოთ სიბრძნე გულისა" (ფსალმ 90:12) და, ჩვენი არსებობის არახანგრძლივობის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ცხოვრების სიბრძნე როგორც პირველი რიგის პრიორიტეტი.

ხალხი არაერთგვაროვნედ ეპყრობა ფიქრს სიკვდილზე. ზოგიერთი კულტურა ცდილობდა წარმოედგინა სიკვდილი და ადამიანის დასაფლავება, როგორც მისი ცხოვრების ნაწილი და ამით შეამსუბუქებდა დანაკლისის მწუხარებას. ბევრმა "ქრისტიანემ" გამოიტანა დასკვნა, რომ ადამიანს გააჩნია "უკვდავი სული" ან რაღაც უკვდავი ნაწილაკი, რომელიც გადაიტანს სიკვდილს და გაემგზავრება საზღაურის ან სასჯელის მისაღებად. რადგან სიკვდილი კაცობრიობის ძირითადი ტრაგედია და პრობლემაა, მოსალოდნელია, რომ ადამიანის გონება იპოვის გამოსავალს ამ სულიერი წუხილის შესამსუბუქებლად. ამიტომ, არ არის გასაკვირი, სიკვდილისა და ადამიანის ბუნების შესახებ უამრავი მცდარი თეორიების გავრცელება. ჭეშმარიტების გასაგებად უნდა მივმართოთ ბიბლიას. გვახსოვდეს, რომ პირველი ტყუილი,

რომლის შესახებ ნათქვამია ბიბლიაში, იყო გველის ტყუილი ედემის ბაღში. ღმერთის აშკარა დარიგების მიუხედავად, რომ ადამიანი "მოკვდება", თუ ცოდვას ჩაიდენს (დაბ 2:17), გველმა უთხრა: "არ მოკვდებით" (დაბ 3:4). სიკვდილისა და დასასრულის უარყოფის ეს ცდა გახდა დამახასიათებელი ყველა ცრუ რელიგიისათვის.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რას ამბობს ბიბლია ადამიანის შექმნის შესახებ, რათა აღვიქვათ ჩვენი ბუნება. ამ შემთხვევის აღწერა მოცემულია საკმაოდ უბრალო ენით და არ ტოვებს არავითარ ეჭვს საკითხში, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ბუნება (იხ. გადახვევა 18 "დაბადება"-ს წიგნში ნათქვამის შესახებ). "გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან... რადგან მტვერი (მიწის) ხარ და მტვრადვე მოიქცევი" (დაბ 2:7; 3:19). აქ არაფერია ნათქვამი ადამიანის უკვდავების შესახებ; სიკვდილის შემდეგ არც ერთი მისი ნაწილი არ იცოცხლებს.

ბიბლიაში არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ ადამიანი ძირითადად შედგება მიწის მტვრისაგან: "ჩვენ თიხა ვართ" (ეს 64:8); "კაცი მიწისაგანაა, მიწური" (1 კორ 15:47); ხალხი, "მტვერში რომ უდგათ საფუძველი" (იობ 4:19); აბრაამი ვარაუდობდა, რომ იგი "მტვერი და ნაცარია" (დაბ 18:27). როდესაც ღმერთის დარიგება დაირღვა ედემში, უფალმა "განდევნა ადამი... არ გაიწოდოს ახლა ხელი და არ მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ იცოცხლოს" (დაბ 3:24, 22). თუ ადამიანს გააჩნია რაღაც უკვდავი ნაწილაკი, ეს ყველაფერი ზედმეტი იქნებოდა.

<u>უკვდავება გარკვეული პირობით</u>

სახარებაში არაერთხელ არის ნათქვამი, რომ ადამიანს შეუძლია მოიპოვის საშუალება მარადიული სიცოცხლისა და უკვდავების მისაღებად ქრისტეს მეშვეობით. ეს უკვდავების მიღების ერთადერთი გზაა, რომლის შესახებ ქადაგებს ბიბლია და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერ აზრს ადამიანის მარადიული სიცოცხლის

შესახებ, რომელიც შეგნებულად იტანჯება საკუთარი ცოდვების გამო, არ გააჩნია ბიბლიის მხარდაჭერა. უკვდავების მიღების ერთადერთი გზა – ღმერთის მცნებებისადმი დამორჩილებაშია; მხოლოდ მორჩილ ხალხს ექნება მარადიული სიცოცხლე, როგორც საკუთარი წმიდანობის ჯილდო.

შემდეგი ნაწუვეტები ამტკიცებენ, რომ უკვდავება გარკვეული პირობით არის განსაზღვრული და, რომ ადამიანს არ გააჩნია იგი ნებისმიერ შემთხვევაში: –

– "ახლა კი გამოჩნდა ჩვენი მხსნელი ქრისტე იესოს გამოცხადებით, რომელმაც გააბათილა სიკვდილი და სახარებით გაანათლა სიცოცხლე და უკვდავება" (2 ტიმ 1:10; 1 იოან 1:2).

– "თუ არ შეჭამთ ხორცს და არ შესვამთ კაცის ძის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს", რომ მივცე "საუკუნო სიცოცხლე" (იოან 6:53, 54). იოანეს სახარების მე-6 თავში მოცემულია ქრისტეს სიტყვები, რომ ის არის "ცოცხალი პური" და მხოლოდ სწორ ქცევაში მის მიმართ შეიძლება იყოს უკვდავების იმედი (იოან 6:47, 50, 51, 57, 58).

– "ღმერთმა მოგვანიჭა (მორწმუნეებს) საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია" (1 იოან 5:11). არ არსებობს უკვდავების იმედი იმ ხალხისათვის, ვინც "ქრისტეში" არ იმყოფება. მხოლოდ ქრისტეს მეშვეობით შესაძლოა უკვდავების მიღება. იგი – მარადიული სიცოცხლის წინამძღვარია (საქ 3:15). ის "მარადიული ხსნის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის" (ებრ 5:9). ამიტომ, უკვდავება ქრისტეს შრომას უკავშირდება.

– ჭეშმარიტი მორწმუნე ცდილობს მიიღოს უკვდავება და საზღაურის სახით მარადიული სიცოცხლის ნიჭს მიიღებს, მაგრამ

ეს ნიჭი არ ეძლევა ადამიანს დაბადებისამებრ (რომ 2:7; 6:23; იოან 10:28). ჩვენი სხეული "უკვდავებით უნდა შეიმოსოს", ქრისტეს დაბრუნებისას (1 კორ 15:53). ამრიგად, უკვდავება აღთქმულია, ხოლო ამჟამად იგი არავის არ გააჩნია (1 იოან 2:25).

– მხოლოდ ღმერთს გააჩნია უკვდავება (1 ტიმ 6:16).

4.2 სული

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, რომ ადამიანს აქვს "უკვდავი სული" ან რაღაც უკვდავი ნაწილაკი. ახლა ჩვენ შევეცდებით მოვაცილოთ გაუგებრობა სიტყვა "სულის" გარშემო.

ძველებრაელურ და ბერძნულ ენებში სიტყვა, ნათარგმნი როგორც "სული", შესაძლოა აღნიშნავდეს შემდეგს: –

სხეული
სუნთქვა
გონება
გული
ჭკუა
პიროვნება
თვითონ

ამიტომ სიტყვა "სული" ეკუთვნის პიროვნებას, სხეულს ან თავის თავს. განთქმული ფრაზა "იხსენით ჩვენი სულები" (**SOS**) ნიშნავს "გვიხსენით სიკვდილისაგან!" როგორც ჩანს სიტყვა "სული" აღნიშნავს პიროვნებას ("შენ, თქვენ") ან იმის შეჯამებას, რასაც ადამიანის პიროვნება წარმოადგენს. ნათელი ხდება, რომ ბიბლიის უამრავი თანამედროვე გამოცემა იშვიათად სარგებლობს სიტყვა "სულით" და თარგმნის მას სიტყვებით "შენ, თქვენ" ან "პიროვნება, ადამიანი". ღმერთის მიერ შექმნილი პირუტყვები, ეს – "სულდგმული... ყოველი სულდგმული, მცურავი" (დაბ 1:20, 21). ძველებრაელური სიტყვა "**nephesh**" ნათარგმნია აქ როგორც

“სულდგმული”. ამავეს ვხედავთ მაგალითში დაბ 2:7: “... და იქცა ადამი ცოცხალ არსებად”. აქედან გამომდინარე, ადამიანი ცოცხალი არსებაა, ხოლო პირუტყვი – სულდგმული. ერთადერთი განსხვავება კაცობრიობისა და ცხოველთა შორის ადამიანის გონებაშია; ის ღმერთის ანარეკლია (დაბ 1:26; იხ. ნაწილი 1.2). გარდა ამისა, ზოგიერთი ხალხი მოწოდებულია შეიცნოს სახარება, რომლის მეშვეობით მათ მიეცემა უკვდავების იმედი (2 ტიმ 1:10). სიკვდილის ბუნების შესახებ არ არის განსხვავება კაცთა და პირუტყვთა შორის.

“კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს... ყოველივე (ესე იგი, კაცი და პირუტყვი) ერთ ადგილს მივა (სამარეში); ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა” (ეკლ 3:19, 20). ღვთივსულიერი მწერალი ეკლესიასტე ღმერთს დახმარებას თხოვდა, რათა ხალხს გაეგო, რომ ისინი თავის თავად პირუტყვნი არიან (ეკლ 3:18). რასაკვირველია, ბევრნი დამამცირებლად ჩათვლიან იმის აღიარებას, რომ ბუნებით ჩვენ პირუტყვნი ვართ და ვცხოვრობთ იმავე თვითდამცველობის ინსტინქტით. ლექსში ეკლ 3:18 ნათქვამია, რომ თმერთი “გამოცდის” ადამიანს იმავე ფიქრით, რომ ის თავისთავად მხოლოდ პირუტყვია; ესე იგი, ვინც საკმაოდ თავმდაბალია გაიგებს ამ ჭეშმარიტებას, ვინც კი ვერ გაიგებს – ის ვერ გაივლის ამ “გამოცდას”. მეოცე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში გავრცელდა ჰუმანიზმის ფილოსოფია – იდეა, რომ ხალხი მნიშვნელოვანია. მოგვიწევს რთული ამოცანის გადაჭრა, რათა გავანთავისუფლოდ ჩვენი გონება ჰუმანიზმის გავლენისაგან. ამაში დაგვეხმარება შემდეგი ლექსები: “არამედ სრული ამაოებაა ყოველი ძე ხორციელი” (ფსალმ 39:5). “მომავალი კაცი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს” (იერემ 10:23).

ერთერთი ძირითადი ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ ვიცით, გვაცნობს, რომ საბოლოოდ ყველა ხალხი კვდება, ყველა ცოცხალი არსება კვდება, აქედან გამომდინარე, “სულიც”. იგი

სრულიად უპირისპირდება რაიმე უკვდავს. არ არის საკვირველი, რომ ბიბლიის სიტყვების ერთი მესამედი, ნათარგმნი როგორც "სული", უკავშირდება სიკვდილსა და სულის განადგურებას. თვით ფაქტი, რომ სიტყვა "სული" ამგვარად არის გამოყენებული, გვიჩვენებს რომ მას არ შეუძლია იყოს უკვდავი და გაუნადგურებელი: –

– "ცოდვილი სული უნდა მოკვდეს" (ეზეკ 18:4).

– "უფრო მეტად იმის გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია გეენაში და სხეულისაც" (მათ 10:28). სხვა მითითება სულის სიკვდილის შესახებ გვხვდება ლექსებში: ეზეკ 22:27; იგავნ 6:32; ლევ 23:30.

– ყოველი "სულიერი", რომელიც ქალაქ საცორში იყო, მახვილით დაიღუპა (იესო 11:11; შდ. იესო 10:30-39).

– "... დაიხოცა ყოველი სულდგმული" (გამოცხ 16:3; შდ. ფსალმ 78:50).

– მოსეს რჯული გვარიგებს, რომ ნებისმიერი "სული", რომელიც დაარღვევს უფლის მცნებებს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან (მაგ., რიცხვ 15:27-31).

– მითითებას იმის შესახებ, რომ სული მიდრეკილია მახეში გაბმისაკენ, აქვს აზრი მხოლოდ მაშინ, როდესაც გათვალისწინებულია სულის სიკვდილი (იგავნ 18:7; 22:25; იობ 7:15).

– ქრისტემ "სასიკვდილოდ გაწირა თავი", ასე რომ მისი "სული" ან ცხოვრება ცოდვის გამოსასყიდი იყო (ეს 53:10, 12).

ის, რომ "სული" ეკუთვნის უფრო ადამიანს ან სხეულს, ვიდრე რაღაც ნაწილაკს ჩვენში, ნაჩვენებია უამრავ ლექსში, რომელშიც

გამოყენებულია ეს სიტყვა. ქვემოთ მოცემულია ამის მაგალითები: –

– "ადიდე, სულო ჩემო, უფალი და მთელო შიგნეულობავ ჩემო – მისი წმიდა სახელი. ადიდე, სულო ჩემო, უფალი და ნუ დაივიწყებ მის ქველმოქმედებას" (ფსალმ 103:1, 2).

– "ვისაც სურს სული შეინარჩუნოს, იგი დაკარგავს მას; ხოლო ვინც ჩემი... გულისთვის დაკარგავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას" (მარკ 8:35). ეს ამტკიცებს იმ დებულებას, რომ სული არ ეკუთვნის რაიმე ნაწილს ჩვენში, აქ სიტყვა "სული" (ბერძნულად "**psuche"**) ნიშნავს მხოლოდ ვიღაცის ფიზიკურ ცხოვრებას და ამიტომ ამგვარად არის ნათარგმნი.

4.3 ადამიანის სული

სამწუხაროდ, უამრავი ხალხი ვერ გრძნობს სხვაობას სიტყვების სულისა და სიმშვინველის შორის. ეს დამძიმებულია იმ ფაქტიდ, რომ ბევრ ენებზე და ბიბლიის თარგმანში ინგლისურ სიტყვებს "სული" და "სიმშვინველი" აქვს მხოლოდ ერთი ეკვივალენტი. სული, რომელიც ეკუთვნის ძირითადად ადამიანის კონსტუქციას, შესაძლოა ზოგჯერ ეკუთვნოდეს ასევე სიმშვინველესაც. მაგრამ არსებობს სხვაობა "სულისა" და "სიმშვინველის" მნიშვნელობის შორის; როგორც ეს ბიბლიაში არის გამოყენებული; სიმშვინველესა და სულს შეუძლიათ "გაყოფა" (ებრ 4:12).

ძველებრაელური და ბერძნული სიტყვები, რომლების აღნიშნავენ "სულს" ("**Ruach"** და **"Pneuma",** შესაბამისად) შესაძლოა ამგვარად ითარგმნებოდნენ: –

სიცოცხლე
სული
გონება

ქარი
სუნთქვა

ჩვენ უკვე განვიხილეთ თემა "სული" ნაწილში 2.1 ღმერთი იყენებს თავის სულს ბუნებრივი ქმნილების შესანარჩუნებლად, ადამიანის ჩათვლით. ამიტომ, ადამიანში მყოფი ღვთის სული არის სიცოცხლის ძალა. "სხეულია მკვდარი სულის გარეშე" (იაკ 2:26). "გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა (სული) და იქცა ადამი ცოცხალ არსებად" (დაბ 2:7). იობი ამბობს "ღვთის სულზე", რომ იგი "მიდგას ნესტოებში" (იობ 27:3; შდ. ეს 2:22). აქედან გამომდინარე, სიცოცხლის სუნთქვა გვეძლევა დაბადებისას და რჩება ჩვენში მანამ, სანამ სხეული ცოცხალია. როდესაც ღვთის სული ამოიღება რაიმესაგან, ეს რაიმე იმ წამსვე იღუპება, რადგან სული სიცოცხლის ძალაა. თუ ღმერთმა "თავისკენ მიაბრუნა თავისი სული და უკანვე წაიღო თავისი სუნთქვა, ერთიანად გაწყდება ყოველი ხორციელი და მიწად მიიქცევა ადამიანი; თუ გაგება გაქვს მოისმინე ეს " (იობ 34:14-16). ბოლო წინადადებაში იგრძნობა, რომ ადამიანი ძნელად აღიქვამს თავისი არსებობის რეალურ ბუნებას.

სიკვდილის ჟამს, როდესაც ღმერთი გვართმევს თავის სულს, კვდება არა მარტო ჩვენი სხეული, არამედ ჩვენი გონების დასასრულიც. დავითს ესმოდა ეს და მას სწამდა ღმერთის და არა ასეთი სუსტი არსების, როგორიც ადამიანია. ფსალმუნში 146:3-5 ნათქვამია ჰუმანიზმის შესახებ: "იმედს ნუ დაამყარებთ მთავრებზე, ადამის ძეზე, რომელსაც არ შეუძლია შველა. ამოუვა სული, დაუბრუნდება თავის მიწას (მტვერს, რომლისაგანაც შექმნილნი ვართ); იმ დღეს გაქრება (ყველა) მისი ფიქრები. ნატარ არის, ვისიც შემწეა ღმერთი იაკობისა" (ფსალმ 146:2-5).

სიკვდილთან ერთად "მიიქცეოდეს მტვერი მიწად როგორც იყო, და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა" (ეკლ 12:7). ადრე ჩვენ დაგიმტკიცეთ, რომ ღმერთი ყველგან იმყოფება თავისი

სულის მეშვეობით. ამ მნიშვნელობით "ღმერთი არის სული" (იოან 4:24). როდესაც ჩვენ ვკვდებით, "ჩვენ ვსუნთქავთ უკანასკნელად" იმ

გაგებით, რომ ჩვენში მყოფი ღვთის სული გვტოვებს ჩვენ. ეს სული იწოვება ღვთის სულში, რომელიც ყველგან არის; ასე რომ ჩვენი სიკვდილით "სული უბრუნდება ღმერთს".

სიკვდილის ასეთივე პროცესი ემართებათ პირუტყვებს. ხალხსა და პირუტყვებს გააჩნიათ ერთი და იგივე სული ან ცხოვრებისეული ძალა. "კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორესას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს" (ეკლ 3:19). აღწერა ხალხისა და პირუტყვების, რომლებსაც აქვთ ერთი და იგივე სული, და კვდებიან ერთი და იმავე სიკვდილით, მოცემული თხრობის დროს იმის შესახებ, თუ როგორია ხალხი და პირუტყვი, რომლებსაც ჰქონდათ ერთი სიცოცხლის სუნთქვა ღმერთისაგან (დაბ 2:7; 7:15), დაიღუპვნენ ერთი სიკვდილით წარღვნის დროს: "მოისპო ყოველი ხორციელი, რაც კი იძვროდა ამქვეყნად, ფრინველი, პირუტყვი, მხეცი და ყოველი ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომელი, და ყოველი ადამიანი. ყველაფერი რასაც კი სიცოცხლის სუნთქვა ჰქონდა ნესტოებში, ყველაფერი რაც ხმელეთზე იყო, მოკვდა. აღიგავა ყოველი არსება, რაც კი მიწის პირზე იყო" (დაბ 7:21-23).

მიაქციეთ ყურადღება სიკვდილისა და წარღვნის შედარებას ფსალმუნში 90:5. "დაბადების" მეშვიდე თავში მოცემული აღწერა აშკარად გვიჩვენებს, რომ ადამიანი ძირითადად ეკუთვნის იმავე კატეგორიას, რომელსაც "ყოველი ხორციელი... ყველაფერი რასაც კი სიცოცხლის სუნთქვა ჰქონდა". ეს განპირობებულია იმით, რომ მას გააჩნია იგივე სული, რაც პირუტყვებს.

4.4 სიკვდილი არის შეუგნებელი მდგომარეობა

ჩვენი ცოდნისაგან სულისა და სიმშვინველის შესახებ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მკვდარი ადამიანი იმყოფება სრულიად შეუგნებელ მდგომარეობაში. ბიბლიაში ნათქვამია, რომ ღმერთის წინაშე პასუხისმგებლებს მოეკითხებათ მათი საქმეები გამო (მალ 3:16; გამოცხ 20:12; ებრ 6:10), მაგრამ აქ არ არის ნათქვამი, რომ მკვდარ ადამიანს აქვს გონება. ძნელია არ დაეთანხმო შემდეგ მტკიცებებს ზემოთ ნათქვამის შესახებ: –

– "ამოუვა სული (ადამიანს), დაუბრუნდება თავის მიწას; იმ დღეს (მომენტს) გაქრება (ყველა) მისი ფიქრი" (ფსალმ 146:4).

– "მკვდრებმა კი არაფერი იციან... წარხდა მათი სიძულვილიც, შურიც და ტრფობაც" (ეკლ 9:5, 6). შავეთში არც სიბრძნეა, არც საფიქრალი (ეკლ 9:10), ამიტომ არც გონება.

– იაკობი ამბობს, რომ სიკდილის შემდეგ იქნება "როგორც არ ყოფილი" (იობ 10:19). იგი განიხილავს სიკვდილს როგორც თვითდავიწყებულ, შეუგნებელ მდგომარეობას და არსებობის სრულ შეჩერებას, როგორც ეს იყო მის დაბადებამდე.

– ადამიანი კვდება ისევე, როგორც პირუტყვი. თუ ადამიანის გონება დაამარცხებდა სიკვდილს, პირუტყვებიც შეძლებდნენ ამის გაკეთებას. მაგრამ, როგორც სახარება, ასევე მეცნიერებაც დუმს ამის შესახებ.

– ღმერთს "უწყის აგებულება ჩვენი, ახსოვს, რომ მტვერი ვართ ჩვენ. ბალახივით არის დღენი კაცისა, ველის ყვავილივით აყვავდება.

ქარი გადაუქროლებს და – აღარ არის, და ველარავინ იცნობს მის ნაალაგევს" (ფსალმ 103:14–16).

ის, რომ სიკვდილი შეუგნებელი მდგომარეობაა მართლმორწმუნეთათვისაც ადასტურებს ფაქტი, რომ ღმერთის მონები მუდმივად მიმართავდნენ მას ცხოვრების გაგრძელების ლოცვით, რადგანაც იცოდნენ, რომ სიკვდილის შემდეგ ვერ შეძლებენ ღმერთის ქება-დიდებას, რადგან სიკვდილი – შეუგნებელი მდგომარეობაა. ამის მაგალითს წარმოადგენენ ხიზკიაჰუმ (ეს 38:17-19) და დავითი (ფსალმ 6:4, 5; 30:9; 39:13; 115:117). სიკვდილი არაერთხელ ნახსენებია როგორც ძილი და დასვენება მართლმორწმუნე და ცოდვილ ხალხისათვის (იობ 3:11, 13, 17; დან 12:13). საკმარისი რაოდენობის მტკიცებებთა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბიბლია არ ადასტურებს ხალხურ თქმულებებს იმის შესახებ, რომ მართლმორწმუნე სიკვდილის შემდეგ მიემგზავრება ცაში ჯილდოს მისაღებად. სიკვდილის და ადამიანის ბუნების ჭეშმარიტ შესწავლას მოჰყვება დამშვიდების დიდი გრძნობა. ყველა ტანჯვის შემდეგ ადამიანისათვის საფლავი სრული თავდავიწყების ადგილია. მათთვის, ვინც არ სცნობდა ღმერთის დარიგებებს და მოთხოვნილებებს, ეს თავდავიწყების მდგომარეობა მუდმივია. მათ წინაშე არასდროს აღარ წარსდგება ეს ცხოვრება შეუსრულებელი სურვილებითა და ამაო იმედებით.

ბიბლიის შესწავლისას არსებობს ჭეშმარიტების აღმოჩენის გარკვეული სისტემა; მაგრამ, ჩვენდა სამსუხაროდ, შეცდომების სისტემაც არსებობს ხალხის რელიგიურ მოსაზრებაში, რომელიც განპირობებულია უყურადღებო დამოკიდებულებით ბიბლიისადმი. ადამიანის უიმედო მისწრაფვამ – მიიღოს მარადიული სიცოცხლე – დაარწმუნა იგი უკვდავი სულის არსებობაში. როგორც კი ადამიანი მივიდა დასკვნამდე, რომ მასში არსებობს რაღაც უკვდავი ნაწილაკი,
იგი დაფიქრდა იმის შესახებ, თუ სად მიდის ეს ნაწილაკი მისი სიკვდილის შემდეგ. ყოველივე ამან, განაწყო ადამიანი იმ შეხედულებაზე, რომ სიკვდილის მოახლოებისას ცოდვილ და მართლმორწმუნე ხალხთა ბედის შორის უნდა იყოს სხვაობა.

აქედან გამომდინარე, უნდა არსებობდეს ადგილი სადაც მიემგზავრებიან "წმინდა უკვდავი სულები". და ამ ადგილად მან ცა ამოირჩია, "ცოდვილ უკვდავ სულებისათვის" კი სხვა ადგილი, რომელსაც ჯოჯოხეთი დაარქვა. ზემოთ ჩვენ გიჩვენეთ, რომ ბიბილიის მიხედვით "უკვდავი სული" არ არსებობს.
სხვა ცრუ იდეებია: –

1. სიკვდილის დროს ჩვენი ცხოვრების ჯილდო "ჩვენი უკვდავი სულის" გამგზავრება გარკვეულ ადგილზეა.

2. მართლმორწმუნეთა და ცოდვილთა გაყოფა სიკვდილის დროს ხდება.

3. მართლმორწმუნეთა ჯილდო, მათი ცაში გამგზავრებაა.

4. თუ ყველას გააჩნია "უკვდავი სული", მაშინ ყველა უნდა მიემგზავრებოდეს ცაში ან ჯოჯოხეთში.

5. ცოდვილი "სულები" მიემგზავრებიან სასჯელის მისაღებად ჯოჯოხეთში.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ ყველა ზემოთ მოცემული დებულება. ანალიზსში ჩვენ არ ვცდილობთ გავცეთ მხოლოდ უარყოფითი პასუხი. ჩვენ გვსურს გამოვხატოთ ის სიმართლე, რომელიც ბიბლიაშია და რომელიც შეადგენს მნიშვნელოვან ნაწილს ადამიანის ბუნების მიმართ.

4.5 აღდგომა

ბიბლიაში ხაზგასგასმულია, რომ მართლმორწმუნეთა საზღაური ქრისტეს მოსვლისას მათი აღდგომა იქნება (1 თეს 4:16). პირველ რიგში ქრისტე აღადგენს მკვდრებს და განიკითხავს მათ. თუ "სული" ცისკენ მიემგზავრება ადამიანის სიკვდილის შემდეგ, მაშინ აღდგომა აუცილებელი არ იქნებოდა. პავლემ განაცხადა, რომ თუ

არ იქნებოდა მკვდრეთით აღდგომა, უაზრო იქნებოდა ჩვენი თავმდაბლობა ღმერთის მიმართ (1 კორ 15:32). რასაკვირველია, იგი არ იტყოდა ამას, თუ დარწმუნებული ყოფილიყო, რომ "სული" სიკვდილის შემდეგ ცისკენ მიემგზავრება. მაგრამ მას სწამდა, რომ ადაიანის ერთადერთი ჯილდო მისი სხეულის აღდგომა იქნება. ქრისტე გვამხნევებდა, რომ ჩვენ უმწიკვლო ცხოვრებისათვის მივიღებთ საზღაურს "აღდგომისას" (ლუკ 14:14).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიბლიაში არ არის ნათქვამი სხეულის ფორმის არსებობის შესახებ – ეს ეხება ღმერთს, ქრისტეს, ანგელოზებსა და ადამიანებს. დაბრუნებისას ქრისტე"ჩვენ დამდაბლებულ სხეულს გარდაქმნის თავისი დიდების სხეულის მსგავსად" (ფილ 3:21). ასე რომ ამჟამად მას გააჩნია სხეულის ფორმა, რომელიც სულით მოქმედებს, და არა სისხლით, ჩვენც ამგვარი ფორმის მფლობელნი გავხდებით. განკითხვაზე ჩვენ მივიღებთ საზღაურს საკუთარი ცხოვრების შესაბამისად (2 კორ 5:10). ის, ვინც ცხოვრობდა ხორციელი ცხოვრებით დარჩება ჩვეულებრივ მოკვდავ სხეულში, რომელიც შემდეგ დაიშლება და ფერფლად გადაიქცევა; ხოლო, ის კი ვინც ცდილობდა ეცხოვრა სულიერად, საზღაურად მარადიულ სიცოცხლეს მიიღებს. სახარებაში ნათქვამია: "ვინც სულისთვის თესავს, სულისგან მოიმკის მარადიულ სიცოცხლეს" (გალ 6:8) სულით საავსე სხეულის სახით.

არსებობს უამრავი დადასტურება, რომ უბიწო ცხოვრების ჯილდო – სხეულის ფორმა იქნება. ამ დებულების მიღებისთანავე ნათელი ხდება აღდგომის მნიშვნელობა. აშკარაა, რომ ჩვენი სხეული შეწყვიტავს არსებობას სიკვდილის შემდეგ. აქედან გამომდინარე, რადგანაც ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს მარადიული სიცოცხლე და უკვდავება სხეულის ფორმით, ესე იგი სიკვდილი შეუგნებელ მდგომარეობას წარმოადგენს იმ მომენტამდე, სანამ ჩვენი სხეული არ აღდგება და მიიღებს ღვთის ბუნებას. მთელი თავი 1 კორ 15 დაწვრილებით მოგვითხრობს აღდგომის შესახებ; იგი წაიკითხული უნდა იყოს განსაკუთრებული ყურადღებით. ლექსები 1 კორ 15:35-

44 გვიხსნიან, რომ როგორც თესავ მარცვალს და იგი შემდეგ იზრდება და იღებს ღმერთის მიერ მიცემულ ფორმას, ასევე მკვდრებიც აღდგებიან და მიიღებენ სულიერ სხეულს. როგორც ქრისტე აღდგა და მისი სხეული უკვდავად იქცა, ასევე მოუვათ მართლმორწმუნეებს (ფილ 3:21). ნათლობის მეშვეობით ჩვენ ვუკავშირდებით ქრისტეს სიკვდილს და შემდეგ აღდგომას და ამით გამოვხატავთ რწმენას, რომ ასევე გავიზიარებთ საზღაურს, რომელიც მან აღდგომისას მიიღო (რომ 6:3-5).

ამჟამად მისი ტანჯვის გაზიარებით, ჩვენ ასევე გავიზიარებთ მის ჯილდოს: "მუდამ სხეულში ვატარებთ (ამჟამად) უფალ იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლეც ჩვენს სხეულში გამოჩნდეს" (2 კორ 4:10). "ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით" (რომ 8:11). ასეთი იმედით ჩვენ "ჩვენი სხეულის გამოსყიდვას" ველით (რომ 8:23) მისი უკვდავების მეშვეობით.

სხეულის არსებობის ამგვარ იმედს ღვთის ხალხი აღიქვამდა უძველესი დროიდან. აბრაამს აღთქმული ჰქონდა ქანაანთა მთელი ქვეყანა მარადიულ სამფლობელოდ (დაბ 13:17; იხ. ნაწილი 3.4). ამ აღთქმის რწმენა უნერგავდა მას აზრს, რომ მისი სხეული მომავალში აღდგება და უკვდავებას მიიღებს.
იობმა აშკარად გამოხატა ამ საკითხის გაგება სიტყვებით, რომ თუმცა საფლავში სხეულს ჭიები შეჭამენ, იგი მაინც მიიღებს საზღაურს სხეულის ფორმით: "მაგრამ ვიცი, ცოცხალია ჩემი გამომხსნელი და საბოლოოდ აღიმართება მიწაზე! და როცა დაიშლება ეს ჩემი კანი, უსხეულმყოფელიც ვიხილავ ღმერთს; და თავად დავინახავ მას და ჩემი თვალები იხილავენ, არა სხვისნი! გული დამელია მკერდში მოლოდინით!" (იობ 19:25-27). ესაიას იმედიც ამგვარი იყო: "გაცოცხლდებიან შენი მკვდრები, აღდგებიან გვამები" (ეს 26:19).

მსგავს სიტყვებს ვკითხულობთ იესოს მეგობრის, ლაზარეს სიკვდილის აღწერაში. იმის ნაცვლად, რომ დაამშვიდოს

მიცვალებულის დები და თქვას რომ ლაზარეს სული ცისკენ მიემართა, იესო ამგვარად ქადაგებს აღდგომის შესახებ: "აღდგება შენი ძმა". ლაზარეს დამ უპასუხა: "უთხრა მას მართამ: ვიცი, რომ აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღეს" (იოან 11:23, 24). ეს პასუხი ადასტურებს ადრინდელი ქრისტიანების ძლიერ რწმენას აღდგომისადმი. როგორც იობს, ასევე მართას ესმოდა, რომ სიკვდილი არ აღებს ცაში კარებს სიცოცხლისათვის. იგი ფიქრობდა აღდგომაზე "უკანასკნელ დღეს". უფალი გვპირდება: "ყველა ვინც უსმენს მამას და სწავლობს, ჩემთან მოდის... და მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს" (იოან 6:44, 45).

4.6 განკითხვა

ბიბლიის სწავლება განკითხვის შესახებ წარმოადგენს ერთი რწმენის ერთერთ ძირითად პრინციპს, რომელიც უნდა სწორედ აღვიქვათ ნათლობის მიღებამდე (საქ 24:25; ებრ 6:2). წმიდა წერილში ხშირად არის ნახსენები "განკითხვის დღე" (მაგ., 2 პეტ 2:9; 3:7; 1 იოან 4:17; იუდა 6); ის დრო, როდესაც ვინც კი ცნობდა ღმერთს, მიიღებს საზღაურს. "ჩვენ ხომ ყველანი წარვდგებით ღვთის სამსჯავროს წინაშე" (რომ 14:10); "ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე" (2 კორ 5:10).

დანიელ წინასწარმეტყველმა იხილა სიზმარში ქრისტეს მეორე მოსვლა განკითხვის დღის დადგენის შემდეგ, რომელიც ტახტით იყო გამოსახული (დან 7:9-14). იგავნი გვეხმარებიან წვრილმანების გაგებაში. სახარებაში მოყვანილია იგავი კაცზე, რომელმაც მოუხმო თავის მონებს და მისცა ფული (ტალანტი), რათა გაეგო თუ როგორ მოიხმარენ მას ისინი მისი წასვლის შემდეგ (მათ 25:14-29). იგავი მეთევზეებზე ადარებს სახარების მოწოდებას ბადესთან, რომლის მახეში სხვადასხვა ხალხია გაბმული; შემდეგ მეთევზეები განასხვავებენ კარგ თევზს ცუდისაგან (შდ. განკითხვის დღე) (მათ 13:47-49). ეს ძალზე მარტივად შეგვიძლია ავხსნათ: სამყაროს

დასასრულს გამოჩნდებიან ანგელოზები და გადაარჩევენ მართლებს და ცოდვილებს.

ზემოთ ნათქვამიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქრისტეს დაბრუნების შემდეგ, გარკვეულ ადგილს და გარკვეულ დროს გაიმართება მათი კრება, ვინც მოწოდებული იყო სახარების შესასწავლად. ამ კრებაზე შედგება მათი შეხვედრა ქრისტესთან, და ყველა იქ მყოფი ჩააბარებს საკუთარი ცხოვრების ანგარიშს. იესო ქრისტე ამოარჩევს უფლის სასუფეველში საცხოვრებლად ღირსეულნს. მხოლოდ ამ მომენტში მართლმორწმუნენი მიიღებენ საზღაურს. ამაზე ნათქვამია იგავში თხებისა და ცხვრების შესახებ: "ხოლო, როცა მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, მაშინ დაჯდება თავისი დიდების ტახტზე (დავითის ტახტზე იერუსალიმში, ლუკ 1:32, 33). შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი და გამოარჩევს ერთიმეორისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ხოლმე თხებს ცხვრებისაგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ და თხებს – მარცხნივ. მაშინ ეტყვის მეფე, თავის მარჯვნივ მდგომთ: "მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი" (მათ 25:31-34).

ღვთის სასუფეველის დამკვიდრება, აბრაამის აღთქმის გაზიარება – მართალთა საზღაურია. მაგრამ ეს ყველაფერი ქრისტეს მოსვლისას განკითხვის შემდეგ მოხდება. ამიტომ, შეუძლებელია აღთქმის მიღება ქრისტეს მოსვლამდე. აქედან გამომდინარე, ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მის აღდგომამდე, მორწმუნეებს არ გააჩნიათ შეგნებული არსებობა, რადგან შეუძლებელია იარსებო სხეულის გარეშე.

არაერთხელ გამეორებული ბიბლიური პრინციპი იმაში შედგება, რომ <u>როცა</u> ქრისტე დაბრუნდება, <u>მაშინ</u> მივიღებთ საზღაურს და არა ადრე:

– "და <u>როდესაც</u> მწყემსმთავარი (იესო) გამოჩნდება, თქვენ მიიღებთ დიდების უჭკნობ გვირგვინს" (1 პეტ 5:4; შდ. 1:13).

– "ამრიგად, გამოწმებ ღვთისა და ქრისტეს იესოს წინაშე, რომელიც განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს თავისი მოსვლითა და თავისი სასუფეველით... ახლა კი მომელის მე სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს <u>იმ დღეს</u> უფალი, მართალი მსაჯული" (2 ტიმ 4:1, 8).

– უკანასკნელ დღეს მესიის დაბრუნებისას, "მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს (შდ. დაბ 3:19), ზოგი საუკუნო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო გმობისთვის და შერცხვენისთვის" (დან 12:2).
– როდესაც ქრისტე მოვა განკითხვაზე, "მკვდრები მოისმენენ ღვთის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხლდებიან... სიავის მქნელნი კი – სამსჯავროს აღდგომისთვის" (იოან 5:25-29).

– "აჰა, მოვალ (მე, იესო) მალე და ჩემი საზღაური ჩემთან არის, რათა თითოეულს მისი საქმეებისაებრ მივუზღა" (გამოცხ 22:12). ჩვენ არ გავემგზავრებით ცისკენ საზღაურის მისაღებად – ქრისტე მოგვიტანს ციდან ჯილდოს, ყველას საკუთარი საქმეების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ყოველივე ჩვენთაგანს აქვს განკუთვნილი საზღაური ცაში, რომელსაც მივიღებთ ქრისტეს მეორე მოსვლისას. ამრიგად, აბრაამის მიმართ აღთქმა ქვეყნის "დამკვიდრების" შესახებ უნდა გავიგოთ ამრიგად, "რომელიც ცაშია შენახული თქვენთვის, ღვთის ძალაში, რწმენის მეშვეობით დაცულებო ხსნისათვის, რომელიც მზადაა უკანასკნელ ჟამს გამოსაცხადებლად" (1 პეტ 1:4, 5).

ზემოთ ნათქვამის სწორი გაგება გვაძლევს საშუალებას ზუსტად გადმოქცეთ იოან 14:2, 3 ნაწყვეტის აზრი, რომელიც ხშირად არასწორედ არის ახსნილი: "მე (იესო) მივდივარ, რათა ადგილი

მოგიმზადოთ. როდესაც წავალ და ადგილს მოგიმზადებთ (შდ. საზღაური "რომელიც ცაშია შენახული"), ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ". სხვა ნაწყვეტებში იესო ამბობს, რომ დაბრუნდება, რათა მიუძღოს თითოეულს საქმეებისამებრ (ებრ 22:12), და ჩვენ ვიცით, რომ ეს განკითხვის დღეს მოხდება. იგი იმეფებს "უკუნისამდე" დავითის ტახტზე იერუსალიმში (ლუკ 1:32, 33). იგი გაატარებს მარადისობას დედამიწაზე, და სადაც იგი იქნება – ღვთის სასუფეველში დედამიწაზე, ჩვენც იქ ვიქნებით. მისი აღთქმა "წაგვიყვანოს თავისთან", აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ავხსნათ, როგორც დაპირება, რომ განკითხვის დღეს ის ჩვენ მიგვიღებს. ბერძნული სიტყვა "მიღება" გვხვდება ასევე ლექსში მათ 1:20 იოსიბეს შესახებ, რომელმაც გადაწყვიტა "მიეღო" მარიამი ცოლად. ამრიგად, არ არის აუცილებელი ეს ნიშნავდეს ფიზიკურ მოძრაობას იესოს მიმართ.

რადგანაც საზღაურის გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება მხოლოდ იესოს დაბრუნებისას განკითხვის დროს, როგორც ცოდვილნი ასევე მართლმორწმუნენიც შემდეგ გაემგზავრებიან ერთა და იმავე ადგილას, ესე იგი, სამარეში. სიკვდილი არავის არ გამოყოფს. შემდეგი ნაწყვეტები ამას ამტკიცებენ: –

– იონათანი მართლმორწმუნე იყო, საული კი ცოდვილი, მაგრამ ისინი "სიკვდილშიც განუყრელნი არიან!" (2 მეფ 1:23).

– "შეერთო თავის ხალხს" აბრაამი ან თავის წინაპრებს, რომლებიც კერპმსახურნი იყვნენ (დაბ 25:8; იესო 24:2).

– ბრძენ კაცსა და უგუნურს ერთი და იგივე ბედი აქვთ – სიკვდილი (ეკლ 2:15, 16).

ეს ყველაფერი მძაფრ უთანხმოებაშია ხალხურ "ქრისტიანობასთან". მათი სწავლება იმის შესახებ, რომ მართლმორწმუნე სიკვდილის შემდეგ ცისკენ მიემგზავრება, უაზროს ქმნის აღდგომას და

განკითხვას. მაგრამ ჩვენ ვიხილეთ, რომ ეს მოვლენები მნიშვნელოვანია ღმერთის ხსნის გეგმაში. გავრცელებული იდეის შესაბამისად, სიკვდილის შემდეგ მართლმორწმუნე საზღაურის სახით ცისკენ მიემგზავრება, მას ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველწლიურად მისდევენ სხვები. მაგრამ ეს უპირისპირდება ბიბლიის სწავლებას, რომელიც ქადაგებს, რომ ყველა მართლმორწმუნე მიიღებს საზღაურს ერთდროულად: –

– ცხვრები გამოეყოფებიან თხებს განკითხვის დროს. და, როგორც კი დასრულდება განკითხვა, ქრისტე ეტყვის ყველა ცხვარს, რომელიც მის მარჯვენა მხარეს შეიკრიბება: "მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან, თქვენთვის გამზადებული სასუფეველი" (მათ 25:34). ამრიგად, ყველა ცხვარი დაიმკვიდრებს სასუფეველს ერთა და იმავე დროს (შდ. 1 კორ 15:52).

– "მკის" დადგომისას, როდესაც ქრისტე დაბრუნდება, შედგება განკითხვა, ყველა ვინც შრომობდა სახარების მიხედვით "ერთად გაიხარებს" (იოან 4:35, 36; შდ. მათ 13:39).

– ლექსში გამოცხ 11:18: "მკვდრების განკითხვის ჟამი" განსაზღვრულია როგორც დრო, როდესაც ღმერთი აძლევს "საზღაურს მონებს... წმიდებს და მათ, რომელთაც შენი სახელის ეშინიათ", ესე იგი, ყველა მორწმუნეს ერთდროულად.

თავში ებრ 11 ჩამოთვლილია ძველი აღთქმის ბევრი მართლმორწმუნე. იმავე დროს მეთერთმეტე ლექსში ნათქვამია, რომ "რწმენაში დაიხოცნენ ესენი ყველანი და ვერ მიიღეს აღთქმულნი", აბრაამის მიმართ ხსნის შესახებ ღვთის სასუფეველში შესვლის გზით (ებრ 11:8-12). აქედან გამომდინარე, ეს ხალხი არ მიემგზავრებოდა თითოეული ცისკენ საზღაურის მისაღებად. ამის მიზეზი აღწერილია ლექსებში 39, 40; მათ "ვერ მიიღეს აღთქმული, იმიტომ, რომ წინასწარ გაითვალისწინა ღმერთმა ჩვენთვის მეტი სიკეთე, რათა ისინი უჩვენოდ არ

განსრულებულიყვნენ". საზღაურის მიღების შეფერხება განპირობებულია იმით, რომ ღმერთის გეგმა ითვალისწინებს ყველა მართლმორწუნეთა "სრულყოფილებას" ერთდროულად. ეს გამოეცხადებათ მათ იესოს დაბრუნებისას განკითხვის დროს.

4.7 განსამრჯელის ადგილი ცა თუ დედამიწა?

ყველა მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ფიქრობს, რომ ცა და არა დედამიწა იქნება ღვთის სასუფეველის ადგილსამყოფელი, აუცილებელია შემდეგი მომენტების ათვისება: –

– ლოცვაში მორწმუნენი თხოვენ ღვთის სასუფეველის დამყარებას (ესე იგი, ისინი ლოცულობენ ქრისტეს მოსვლაზე), რომ ღვთის ნება განხორციელდეს როგორც ცაში, ასევე დედამიწაზე (მათ 6:10). ამგვარად, ჩვენ ვლოცულობთ დედამიწაზე ღვთის სასუფეველის დადგენის შესახებ. სამწუხაროდ, ათასობით ხალხი უაზროდ წარმოთქვამს ლოცვის სიტყვებს, სრულიად დარწმუნებული, რომ ღვთის სასუფეველი უკვე დამყარებულია ცაში და დედამიწა დანგრეული იქნება.

– "ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას" (მათ 5:5), – აქ არ არის ნათქვამი, რომ მათ სული ცისკენ გაემგზავრება. ეს ასევე ეკუთვნის 37 ფსალმუნს, რომელშიც ნათქვამია, რომ საზღაურს მართლები დედამიწაზე მიიღებენ. და იმავე ადგილას, სადაც ცოდვილებს ჰქონდათ დროებითი უპირატესობა, მართლმორწმუნენი მარადიულ ცხოვრებას მიიღებენ და დაიმკვიდრებენ იმავე ქვეყანას, სადაც ცოდვილნი მეფობდნენ (ფსალმ 37:34, 35). "ხოლო თავმდაბალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას... მის მიერ ნაკურთხნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას... მართალნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას და იარსებებენ მასზე უკუნისამდე" (ფსალმ 37:11, 22, 29). მარადიული ცხოვრება ქვეყანაზე (აღთქმულ ქვეყანაში), ნიშნავს ცაში ცხოვრების შეუძლებლობას.

– დავითი "აღესრულა და დაიკრძალა... დავითი ხომ არ ამაღლებულა ზეცად" (საქ 2:29, 34). პეტრემ ახსნა, რომ ამის ნაცვლად ეს იმედი ქრისტეს დაბრუნებისას მკვდრეთით აღდგომაშია (საქ 2:22-36).

– დედამიწა – მოედანია ღმერთის შრომისათვის კაცობრიობასთან ართად: "ცა-ცად უფლისათვის, ხოლო ქვეყანა მისცა ადამის ძეთ" (ფსალმ 115:16).

– ლექსში გამოცხ 5:10 ნათქვამია, რომ მართლები გასცემენ პასუხს განკითხვის დღეს: "(ქრისტე) შეუქმენი ისინი სუფევად და მღვდლებად ჩვენს ღმერთს, და იმეფებენ დედამიწაზე". ეს შეხსენება ღვთის სასეფეველის შესახებ დედამიწაზე განსხვავებულია ბუნდოვან იდეისაგან, რომ ჩვენ დავიწყებას მივეცემით სადღაც ცაში.

– დანიელის წინასწარმეტყველება მეორე და მესამე თავებში, ქადაგებს პოლიტიკური ხელისუფლების გადავარდნის შესახებ, რომელსაც საბოლოოდ ღვთის სასუფეველი შეცვლის. სასუფეველი "<u>ცისქვეშეთის</u> ყველა სამეფოს დიდება" იქნება და შეავსებს "მთელ დედამიწას" (დან 7:27; 2:35; შდ. ლქ. 44). ეს მარადიული სამეფო "ცისქვეშეთის... უზენაესის ერს მიეცემა" (დან 7:27); და ამიტომ მათი საზღაური იქნება მარადიული ცხოვრება სამეფოში, რომელიც დედამიწაზე ცის <u>ქვეშ</u> დამყარდება.

4.8 პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე

თუ კი ადამიანს გააჩნია "უკვდავი სული" მას უნდა ჰქონდეს ადგილი თავისი მუდმივი ბედის გასატარებლად. ამ ადგილსამყოფელს იგი იღებს საზღაურის სახით. ჩვენ გიჩვენეთ, რომ ბიბლიის შესაბამისად, ადამიანი პირუტყვს ჰგავს, არავითარი უკვდავების ნიშანდობლობის გარეშე. მაგრამ ზოგიერთ ხალხს აღთქმული ჰქონდა ღვთის სასუფეველში მარადიული სიცოცხლის

პრესპექტივა. რასაკვირველია, ყველა ადამიანი, ვინც კი ცხოვრობდა, არ აღდგება; როგორც პირუტყვი, ადამიანი ცოცხლიბს, კვდება და ფერფლად იქცევა. მაგრამ, რადგანაც დადგება განკითხვის დღე, როდესაც ზოგი განიკიცხება, ზოგი კი მიიღებს მარადიულ სიცოცხლეს, უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კაცობრიობის შორის იქნება ხალხთა გარკვეული კატეგორია, რომელიც აღდგება გასამრჯელის მისაღებად.

აღდგება თუ არა მოკვდავი დამოკიდებულია მის პასუხისმგებლობაზე განკითხვის წინაშე. ძირითადი კითხვა ამგვარი იქნება, როგორ ეპყრობოდა იგი ღმერთის სიტყვის ცოდნას. ქრისტემ ახსნა: "მას, ვინც მე უარყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მსაჯული. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს" (იოან 12:48). ისინი, ვინც არ სცნობდნენ ქრისტეს სიტყვას და, აქედან გამომდინარე, არ ჰქონდა საშუალება მიეღო ან უარი ეთქვა მასზე, არ აგებენ პასუხს განკითხვის წინაშე.

"ისინი, ვინც რჯულის გარეშე (ესე იგი, ღმერთის სიტყვის ცოდნის გარეშე) შესცოდეს, რჯულის გარეშე დაიღუპებიან. ხოლო ისინი, ვინც რჯულით შესცოდეს, რჯულით განიკითხებიან" (რომ 2:12). ამრიგად, ვინც არ იცოდა ღმერთის მოთხოვნილება, დაიღუპება როგორც პირუტყვი, ხოლო ვინც იცოდა ღმერთის დარიგება და არღვევდა მას, განიკითხებიან და, აქედან გამომდინარე, აღდგებიან, რათა წარმოდგნენ განკითხვის წინაშე.

ღმერთი თვლის, რომ "რჯულამდეც იყო ცოდვა წუთისოფელში, მაგრამ, თუ რჯული არ არის, ცოდვა არ ითვლება... ცოდვა ურჯულოებაა (ესე იგი, ღმერთის რჯულის დარღვევა)... რჯულით შეიცნობა ცოდვა" (რომ 5:13; 1 იოან 3:4; რომ 3:20). როგორც ჩანს, ღვთის რჯულის ცოდნის გარეშე, "ცოდვა არ ითვლება" და ამიტომ, მსგავსი ცოდვილნი აღდგებიან და არ განიკიცხებიან. აქედან გამომდინარე, ისინი მკვდრეთით დარჩებიან, როგორც პირუტყვნი ან მცენარე. "ადამიანი, რომელიც... არ გაეგება,

დამსგავსებულია დასაკლავ პირუტყვს" (ფსალმ 49:21). "ცხვრებივით ჩაყრიან ჯოჯოხეთში... საფლავია მათი სადგომი" (ფსალმ 49:15).

ღმერთის გზის ცოდნა გვქმნის პასუხისმგებლად ჩვენი საქციელის გამო და წარმოადგენს აუცილებლობას ჩვენი აღდგომისადმი. უნდა გვახსოვდეს, რომ არა მარტო მართლები ან მონათლულნი აღდგებიან, არამედ აღდგება ყველა, ვინც სცნობს ღვთის სიტყვას. ეს თემა ხშირად მეორდება წმიდა წერილში: –

– იოან 15:22 გვიჩვენებს, რომ სიტყვის ცოდნას მოჰყვება პასუხისმგებლობა: "მე (იესო) რომ არ მოვსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა. ახლა კი არა აქვთ პატიება თავიანთი ცოდვებისათვის". რომ 1:20-21 ასევე ამბობს, რომ ღვთის უცოდნილობის გამო "მათ პატიება არა აქვთ".

– "ყველა განისწავლება ღვთის მიერ... მე (ქრისტე) მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს" (იოან 6:44, 45).

– ღმერთი მხოლოდ აკვირდება მათ, ვინც არ იცის მისი გზები და ელის პასუხს იმათგან, ვინც სცნობს მას (საქ 17:30).

– "ხოლო მონა, რომელმაც იცოდა თავისი ბატონის ნება და არ მოამზადა ან არ მოიქცა მისი ნებისამებრ, მაგრად იცემება. ხოლო რომელმაც არ იცოდა და ისე მოიქცა, რომ ცემა დაიმსახურა, ნაკლებად იცემება (მაგალითად, მკვდრეთით დარჩება). ყველას, ვისაც მეტი მიეცა, მეტს მოსთხოვენ, და ვისაც მეტს მიანდობენ, მას მეტსაც მოჰკითხავენ" (ლუკ 12:47, 48), – ასე, უფალო, რამდენად მეტს?

– "ამიტომ, ვინც სიკეთის ქმნა იცის და არ ქმნის, ეს ცოდვად ეთვლება მას" (იაკ 4:17).

– ისრაელიანების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე მის აღთქმაში საკუთარ თავზე შედგებოდა (ამოს 3, 2).
– პასუხისმგებლობის შესახებ სწავლების შედეგად "უმჯობესი იქნებოდა არ შეეცნოთ სიმართლის გზა (ვინც მოგვიანებით მოსცილდა ღმერთს), ვიდრე შეეცნოთ და უკუქცეულიყვნენ მათთვის გადაცემული წმიდა მცნებისაგან" (2 პეტ 2:21). სხვა გამოთქმები ამ თემის შესახებ გვხვდება წმიდა წერილის შემდეგ ნაწილებში: იოან 9:41; 3:19; 1 ტიმ 1:13; ოს 4:14; რჯლ 1:39.
ღვთის ცოდნა გვქმნის ჩვენ პასუხისმგებლად გასამრჯელის წინაშე და, აქედან გამომდინარე, ის, ვისაც არ აქვს ეს ცოდნა, არ აღდგება, რადგანაც რა აუცილებელია განიკითხო ის, ვისაც ცოდნა არ გააჩნია და "დამსგავსებულია დასაკლავ პირუტყვს" (ფსალმ 49:21). არსებობს უამრავი მტკიცება, რომ ყველა არ აღდგება ვინც ცხოვრობს: –

– ბაბილონის მაცხოვრებლები "არ გამოიღვიძებენ" სიკვდილის შემდეგ, რადგანაც მათ არ იცოდნენ ღვთის სიტყვა (იერემ 51:39; ეს 43:17).

– ესაია ახალისებდა საკუთარ თავს: "უფალო, ღმერთო ჩვენო! შენს გარდა სხვა მეუფენი გვბატონობდნენ (ბაბილონელები და ფილისტიმელები), მაგრამ მხოლოდ შენში ვახსენებთ შენს სახელს. მკვდრები არიან და არ გაცოცხლდებიან; აჩრდილები აღარ აღდგებიან, რადგან შენ დასაჯე და მოსპე ისინი. მათი სახსენებელი წარხოცე (ეს 26:13, 14). მიაქციეთ ყურადღება გამეორებას, რომ ისინი არ აღდგებიან: "არ გაცოცხლდებიან... აღარ აღდგებიან (კვლავ)... მათი სახსენებელი წარხოცე". ამისაგან განსხვავებით ისრაელიანებს ჰქონდათ აღდგომის პრესპექტივა, რადგან მათ შეიცნეს ღმერთი: "გაცოცხლდებიან შენი (ისრაელის) მკვდრები, აღდგებიან გვამები!" (ეს 26:19).

– ისრაელის ღვთის ხალხის ხსენების დროს აღნიშნულია, რომ ქრისტეს დაბრუნებისას "მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო

გმობისთვის და შერცხვენისთვის" (დან 12:2). ამრიგად "მრავალი", მაგრამ ყველა ებრაელი არ აღდგება, როგორც ღმერთით არჩეული ხალხი. ისინი, ვინც საერთოდ არ ცნობს ღმერთს "დაეცემიან და ველარ ადგებიან", რადგან ისინი ვერ შეძლებენ "უფლის სიტყვის" ჰპოვას. (ამოს 8:12, 14).

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიცით, რომ: –

1. ღვთის სიტყვის ცოდნას მოაქვს პასუხისმგებლობა მის წინაშე.

2. მხოლოდ პასუხისმგებლობის მქონე აღდგებიან და განიკითხებიან.

3. ისინი, ვინც არ ცნობდნენ ღმერთს, მკვდრები დარჩებიან, როგორც პირუტყვნი.

ეს დასკვნები ძლიერ დარტყმას ანიჭებენ ადამიანის სიამაყეს და, ბუნებრივია, ჩვენთვის რთულია მათი რწმენა: მილიონობით ხალხი, როგორც ამჟამად მცხოვრები, ასევე ადრეც, მაგრამ სახარების ცოდნის გარეშე; გონებით დაავადებულნი; ბავშვები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაზრდა, რათა გაეგოთ სახარება; უველა ეს ხალხი არ სცნობდა ღმერთს და ამის გამო ვერ წარსდგება მის წინაშე. ეს იმას ნიშავს, რომ მათი მშობლების სულიერი სტატუსის მიუხედავად, ისინი არ აღდგებიან. ეს სრულიად უპირისპირდება ჰუმანიზმის იდეალებს და ყველა ჩვენ ბუნებრივ სურვილსა და გრძნობას. მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტი დამორჩილება ღმერთის სიტყვის სიმართლის მიმართ გამრავლებული თავმდაბლურ აზრზე საკუთარი ბუნების შესახებ, მიგვიყვანს ჩვენ ჭეშმარიტების მიღებისადმი. კაცობრიული ცხოვრების ფაქტების მიუკერძოებელი შესწავლა სახარების დახმარების გარეშე ასევე მიგვიყვანს ჩვენ დასკვნამდე, რომ არ არსებობს მომავალი ცხოვრების იმედი ზემოთ ხსენებულ ხალხთა ჯგუფების მიმართ.

ჩვენი კითხვები ღმერთის გზების შესახებ საკმაოდ უადგილო იქნება: "ვინ ხარ შენ, ადამიანი, რომ ეკამათები ღმერთს?" (რომ 9:20). ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ ჩვენი გაუგებრობა, მაგრამ არასოდეს არ უნდა ვადანაშაულოთ უფალი უსამართლობაში. აზრს, რომ ღმერთს შეიძლება არ ვუყვარდეთ და ცდებოდეს ჩვენს მიმართ, მოჰყვება დასკვნა, რომ ყოვლის შემძლე ღმერთი, მამა და შემქმნელი უსამართლოდ გვეპყრობა. ამის შესახებ სასარგებლოა გადავიკითხოთ ლექსები 2 მეფ 12:15-24, სადაც ნათქვამია, თუ როგორ დაკარგა მეფე დავითმა თავისი შვილი, და როგორ ევედრებოდა ღმერთს შვილზე, როცა იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და იმავე დროს დავითი რეალურად უყურებდა სიკვდილის გარდაუვალობას: "ვიდრე ბავშვი ცოცხალი იყო, ვმარხულობდი და ვტიროდი; ვიფიქრე, ვინ იცის, იქნებ შემიწყალოს უფალმა და გადაარჩინოს – მეთქი ბავშვი. ახლა, როცა მკვდარია, რისთვის ვიმარხულო? როგორ შევძლებ მის დაბრუნებას... ის კი აღარ დამიბრუნდება". მაშინ დავითმა ანუგეშა ცოლი და მალე მათ გაუჩნდათ მეორე შვილი.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ბევრნი, როდესაც იგებენ ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპს, კარგავენ სურვილს შიცნონ მეტი მის შესახებ, მათ ეშინიათ პასუხისმგებლობის. მაგრამ, გარკვეულ დონემდე ასეთი ხალხი უკვე აგებს პასუხს ღმერთის წინაშე, რადგანაც ღმერთის სიტყვის ცოდნამ მისცა მათ იმ ფაქტის გაგება, რომ ღმერთი მონაწილეობს მათ ცხოვრებაში და სთავაზებს რეალურ ნათესაობრივ კავშირს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ "ღმერთი სიყვარულია", მას "არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს... მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე" (1 იოან 4:8; 2 პეტ 3:9; იოან 3:16). ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვიყოთ მის სასუფეველში.

ამგვარ პატივს და პრივილეგიას უსათუოდ მოჰყვება პასუხისმგებლობა. მაგრამ, იგი არ წარმოადგენს მძიმე მოვალეობას; თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი, ჩვენ მივხვდებით, რომ მისი ხსნის

წინადადება არა ავტომატიური ჯილდოა გარკვეული შრომის გამო, არამედ ყველაფერ შესაძლოს გაკეთების სურვილია, რათა მივიღოთ მარადიული სიცოცხლის სიხარული მისი საოცარი ხასიათის გაგებით.

რადგანაც ჩვენ გვესმის და ვაფასებთ ღმერთის მოწოდებას მისი სიტყვის საშუალებით, ჩვენ ვიგებთ, რომ იმ დროს, როდესაც ხალხში ვართ, უფალი გვაკვირდება ჩვენ და ელის თავისი სიყვარულის საპასუხო ნიშანს. არასოდეს არ მოგვცილდება ეს მოსიყვარულე თვალი, ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ცოდნას მის შესახებ. ამის ნაცვლად ჩვენ უნდა გვიხაროდეს მასთან სიახლოვე და ისე ვირწმუნოთ მისი სიყვარულის დიდება, რომ ყოველთვის გვქონდეს სურვილი ვიცოდეთ უფრო მეტი მის შესახებ. ჩვენმა სიყვარულმა ღმერთის გზების მიმართ და ცოდნის სურვილმა უნდა გადააჭარბოს ჩვენ ბუნებრივ შიშს მის სიწმიდურის მიმართ.

4.9 ჯოჯოხეთი

ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ჯოჯოხეთი წარმოადგენს ადგილს, სადაც ხდება ცოდვილი "უკვდავი სულების" დასჯა ან მათი წამება, ვინც უარყოფილი იქნება განკითხვის დღეს. ჩვენი რწმენის მიხედვით, ბიბლია გვასწავლის, რომ ჯოჯოხეთი არის საფლავი, საითკენაც სიკვდილის შემდეგ ყველა მიემგზავრება.

ძველებრაელური სიტყვა **"sheol",** ნათარგმნი როგორც "ჯოჯოხეთი", ნიშნავს დაფარულ ადგილს. ასე რომ, სიტყვა "ჯოჯოხეთის" კითხვის დროს ჩვენ არ აღვიქვავთ მის ზუსტ და ვრცელ თარგმანს. ბიბლიურად ეს "დაფარული ადგილი" ან "ჯოჯოხეთი" – საფლავია. არსებობს უამრავი მაგალითი, რომელიც ამტკიცებს, რომ მკვიდრი სიტყვა **"sheol"** ითარგმნება როგორც "საფლავი". ამრიგად, ბიბლიის ზოგიერთი თანამედროვე გამომცემლები იშვიათად ხმარობენ სიტყვა "ჯოჯოხეთს", და თარგმნიან მას უფრო ზუსტი სიტყვით "საფლავი". რამდენიმე

მაგალითმა, სადაც ნაჩვენებია, რომ სიტყვა "**sheol"** ითარგმნება როგორც "საფლავი", უნდა უარყონ ხალხური წარმოდგენა ჯოჯოხეთზე, როგორც ადგილზე, სადაც დანთობილია ცეცხლი და ხდება ცოდვილთა წამება: –

– "დაე, შერცხვნენ ბოროტნი და დადუმდნენ ქვესკნელში" (საფლავში-**sheol** [ფსალმ 31:18]) ისინი არ იკივლებენ აგონიაში.

– "ღმერთი დაიხსნის ჩემს სულს ჯოჯოხეთისაგან" (**sheol** [ფსალმ 49:16]) ესე იგი, დავითის სული ან სხეული აღდგება საფლავიდან ანუ "ჯოჯოხეთიდან".

იმის რწმენა, რომ ჯოჯოხეთი – ცოდვილთა სასჯელის მიღების ადგილია, რომლისაგანაც ისინი ვერ გამოვლენ, არ შეესაბამება ამ ლექსს; მართლმორწმუნეს შეუძლია ჯოჯოხეთში (საფლავში) შესვლა და დაბრუნება, ლექსი ოს 13:14 ამტკიცებს ამას: "ჯოჯოხეთის ხელიდან გამოვისყიდი მათ, სიკვდილისგან ვიხსნი". ამავეს ვხედავთ კორ 15:55 აღდგომის შესახებ ქრისტეს მოსვლისას. ამის მსგავსად, მეორე აღდგომის გათვალისწინებით (იხ. ნაწილი 5.5) "და სიკვდილმა და ჯოჯოხეთმა დააბრუნეს მკვდრები, რომლებიც იყვნენ მათში" (გამოცხ 20:13). მიაქციეთ ყურადღება სიკვდილთან იგივეობას, ესე იგი, საფლავთან და ჯოჯოხეთთან (იხ. ასევე ფსალმ 6:5, 6). ხანას სიტყვები 1 მეფ 2:6 საკმაოდ გასაგებია: "უფალი აკვდინებს და აცოცხლებს (აღდგომის საშუალებით), დაამდაბლებს **(sheol)** და აამაღლებს".

იმის გათვალისწინებით, რომ "ჯოჯოხეთი" საფლავია, უნდა ვიფიქროთ, რომ მართლმორწმუნე ხსნილნი იქნებიან მარადიული სიცოცხლისათვის აღდგომის მეშვეობით. ამრიგად, სრულიად შესაძლებელია, შესვლა "ჯოჯოხეთში" ან სამარეში და შემდეგ გამოსვლა. ამის უმაღლესი მაგალითი იესომ გვიჩვენა, რომელიც "მიტოვებული არ არის ჯოჯოხეთში და მის ხორცს არ უხილავს ხრწნილება" (საქ 2:31), რადგან იგი აღდგა. აღნიშნეთ იგივეობა სიტყვებს შორის "სული" ქრისტესი და მისი "ხორცი" ან სხეული.

სიტყვები იმის შესახებ, რომ მისი სული არ იყო მიტოვებული ჯოჯოხეთში, მეტყველებს იმაზე, რომ მან გაატარა იქ რამოდენიმე ხანი, დაზუსტებით კი: სამი დღე. ის, რომ ქრისტე იყო "ჯოჯოხეთში" ამტკიცებს, რომ ეს არ არის ის ადგილი, საითკენაც ცოდვილნი მიემგზავრებიან.

როგორც კარგი, ასევე ცუდი ხალხი, მიემგზავრება "ჯოჯოხეთში", ესე იგი, სამარეში; იესოს "მიეცა სამარხო ბოროტეულთა გვერდით" (ეს 53:9). ამასთანავე, არსებობს სხვა მაგალითებიც, სადაც მართლმორწმუნენი მიემგზავრებიან ჯოჯოხეთში, ესე იგი, სამარეში. ასე იაკობი "ამბობდა: მგლოვიარე ჩავალ ჩემს შვილთან (იოსიბესთან) შავეთში" (ჯოჯოხეთში [დაბ 37:35]).

ღმერთის ერთერთი პრინციპიური დებულებაა, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია (რომ 6:23; 8:13; იაკ 1:15). ზემოთ ჩვენ გიჩვენეთ, რომ სიკვდილი შეუგნებელი მდგომარეობაა. მას მოჰყვება სრული განადგურება და არა მუდმივი წამება (მათ 21:41; 22:7; მარკ 12:9; იაკ 4:12), – ეს ასეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ხალხთა სიკვდილი წარღვნის დროს (ლუკ 17:27, 29), და როგორც ისრაელიანები იღუპებოდნენ უდაბნოში (1 კორ 10:10). ორივე შემთხვევაში ცოდვილნი კვდებოდნენ. ამიტომ შეუძლებელია, რომ ცოდვილნი დასჯილი ყოფილიყვნენ მარადიული ტანჯვითა და წამებით.

ჩვენ ასევე გიჩვენეთ, რომ ღმერთი ცოდვას დანაშაულად არ აღიქვამს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ ვიცით მისი სიტყვა (რომ 5:13). ის, ვინც იმყოფება ამგვარ მდგომარეობაში მკვდრეთით დარჩება. სასჯელი, რომელსაც ცოდვილი იღებს – სიკვდილია. აქედან გამომდინარე, გასამრჯელზე, ქრისტეს მოსვლის შემდეგ, მათ გამოეცხადებათ საზღაური და შემდეგ ისინი კვლავ მოკვდებიან და ამჯერად სამუდამოდ. ეს იქნება "მეორე სიკვდილი", რომლის შესახებ ნათქვამია გამოცხ 2:11; 20:6. ეს ხალხი ერთხელ უკვე მოკვდა. ისინი შემდეგ აღდგებიან და განიკითხებიან ქრისტეს

დაბრუნების დროს და შემდეგ მეორედ დაისჯებიან სიკვდილით, რომელიც, როგორც მათი პირველი სიკვდილი, შეუგნებელ მდგომარეობას წარმოადგენს. ეს სიკვდილი მარადიული იქნება. ცოდვის სასჯელი ამ გაგებით "მარადიული" იქნება, ესე იგი სიკვდილს ბოლო არ გააჩნია. ეს მუდმივი სასჯელია. ამგვარ გამოთქმის მაგალითს ვხვდებით რჯლ 11:4, სადაც მოცემულია ფარაონის ჯარის განადგურება ზღვაში ღმერთის მიერ, რომლის შედეგად ეს ჯარი არასდროს შეაწუხებს ისრაელს: "თავზე დაანთქა მეწამული ზღვის წყლები... და დაღუპული ჰყავს ისინი დღემდე უფალს (ღმერთს)".

ძველი აღთქმის დროსაც კი მორწმუნეებს ესმოდათ, რომ უკანასკნელ დღეს იქნება აღდგომა, რომლის შემდეგ ცოდვილი კაცი დაბრუნდება სამარეში. იობი 21:30, 32 აშკარად მეტყველებდა: "ბოროტი კაცი, გარიდებულია რისხვის დღეს (ესე იგი, აღდგება)... სასაფლაოზე წაასვენებენ (შემდეგ)". ქრისტეს დაბრუნების შესახებ ერთერთ იგავში ნათქვამია მის წინაშე დახოცის შესაძლებლობაზე (ლუკ 19:27). ეს არ შეესაბამება ცოდვილთა მარადიულ არსებობის იდეას გონების შენარჩუნებით და მუდმივი წამებით. ნებისმიერ შემთხვევაში ეს უგუნური სასჯელი იქნებოდა – <u>მარადიული</u> წამება 70 წლის განმავლობაში. ღმერთს არ უხარია ცოდვილთა დასჯა; აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ იგი არ დაადებს მათ მარადიულ სასჯელს (ეზეკ 18:23, 32; 33:11; შდ. 2 პეტ 3:9).

გარიყული ქრისტიანელები ხშირად აკავშირებდნენ "ჯოჯოხეთს" ტანჯვისა და ცეცხლის იდეასთან. ეს უპირისპირდება ბიბლიის სწავლებას ჯოჯოხეთის (სამარეს) შესახებ. "ცხვრებივით ჩაყრიან ჯოჯოხეთში; სიკვდილი მწყემსავს მათ" (ფსალმ 49:14). ამ ლექსში იგულისხმება, რომ სამარეში ადამიანი მშვიდ დავიწყებას მიეცემა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს სული და სხეული სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯოჯოხეთში, მას არ უხილავს ხრწნილება (საქ 2:31). თუ ჯოჯოხეთი ადგილია, სადაც ცეცხლი ანთია, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ეზეკ 32:26-30 გამოხატულია

მეზობელი ხალხის ჯარის სამარეში მშვიდი ყოფნის სურათი: "ყველანი წინდაუცვეთელნი არიან მახვილით განგმირულნი... რომლებიც ჩასულნი არიან შავეთში (ჯოჯორეთში) თავიანთი საომარი საჭურველით, მახვილები თავქვეშ რომ აქვთ ამოდებული... და წვანან... მახვილით განგმირულებთან ერთად ... საფლავად ჩამავლებთან ერთად". ეს ჩვეულებას ეკუთვნის, როცა დაღუპულ მეომარს ასაფლავებდნენ იარაღთან ერთად. ამგვარად აღწერილი "ჯოჯოხეთი" უბრალოდ სამარეა. ეს მეომრები, რომლებიც ჯერ კიდევ ჯოჯოხეთში წვანან (ესე იგი, საფლავებში) საეჭვოა, რომ ამტკიცებდნენ იდეას, სადაც ჯოჯოხეთი ცეცხლად არის წარმოდგენილი.

იონას შემთხვევის აღწერა ასევე უპირისპირდება ამას. როდესაც თევზმა გადაყლაპა იგი ცოცხლად, "ლოცვა აღუვლინა იონამ უფალს, თავის ღმერთს, თევზის სტომაქიდან. თქვა: ჭირში მყოფმა შევღაღადე უფალს... ქვესკნელის (ჯოჯოხეთის) მუცლიდან შველა ვითხოვე" (იონა 2:2, 3). აქ "ქვესკნელის მუცელი" (ჯოჯოხეთი) თევზის სტომაქთან არის შედარებული. სინამდვილეში თევზის სტომაქი "დაფარული ადგილი" იყო, რაც წარმოადგენს სიტყვა **"sheol"**-ის სრულ მნიშვნელობას, რომელიც ნათარგმნია როგორც "ჯოჯოხეთი". გასაგებია, რომ არ იყო ცეცხლოვანი ადგილი და იონა გამოვიდა "ქვესკნელის მუცლიდან", როცა თევზმა ხმელეთზე გადმოანთხია იგი. ეს ქრისტეს აღდგომის ჯოჯოხეთიდან (სამარედან) წინასწარმეტყველება იყო – იხ. მათ 12:40.

<u>მეტაფორიული ცეცხლი</u>

მაგრამ ბიბლიაში ხშირად არის გამოყენებული მარადიული ცეცხლის გამოსახულება ღმერთის რისხვის საჩვენებლად ცოდვის მიმართ, რომელსაც მიჰყავს კაცი სრულ განადგურებისაკენ საფლავში. სოდომი დასჯილი იყო "საუკუნო ცეცხლით" (იუდა ლქ. 7), ესე იგი, ის სრულიად განადგურებული იყო მასში მცხოვრებთა ცოდვების გამო. ამჟამად ეს ქალაქი ნანგრევებშია, რომლებიც მკვდარ ზღვაში არიან ჩაძირულნი; არავითარი ალით ის

არ არის შემოვლილი, რაც უნდა ყოფილიყო, თუ გამოთქმას "მარადიული ცეცხლი" ავიქვამდით სიტყვასიტყვით. ამის მსგავსად, იერუსალიმიც იმყოფებოდა ღმერთის რისხვის მარადიული ცეცხლის საშიშროების ქვეშ, ებრაელთა ცოდვების შედეგად: "თუ არ გამიგონებთ... მაშინ ცეცხლს წავუკიდებ მის კარიბჭეებს და ცეცხლი შეჭამს იერუსალიმის სასახლეებს და არ ჩაქრება" (იერემ 17:27). რადგანაც იერუსალიმი მომავალი სამეფოს აღთქმული დედა-ქალაქია (ეს 2:2-4; ფსალმ 48:2), ღმერთი არ ითვალისწინებდა, რომ ჩვენ გავიგებდით ამ გამოთქმას სიტყვასიტყვით. იერუსალიმის დიდი სახლები ცეცხლში იწოდა (2 მეფ 25:9), მაგრამ ეს ხანძარი მარადიულად არ გრძელდებოდა.

ამგვარად, ღმერთმა დასაჯა ედომი ცეცხლით, რომელიც "არ ჩაქრება არც დღე, არც ღამე; უკუნისამდე იდინებს კვამლი, თაობიდან თაობამდე უკაცრიელი იქნება... ბუკიოტი და ყურანი დაიბუდებენ მასში... მის დარბაზებში ეკალი ამოვა" (ეს 34:9-15). იმის გათვალისწინებით, რომ ცხოველებსა და მცენარეებს შეეძლოთ არსებობა დანგრეულ ედომში, სიტყვები მარადიული ცეცხლის შესაზებ უნდა ეკუთვნოდეს ღმერთის რისხვას და სრულ განადგურებას. არაერთხელ ღმერთის რისხვა იერუსალიმისა და ისრაელის ცოდვების გამო, შედარებული იყო ცეცხლთან: "გადმოინთხევა ჩემი რისხვა და ბრაზი ამ ადგილზეო (იერუსალიმზე)... აბრიალდება და არ ჩაქრება" (იერემ 7:20; სხვა მაგალითები გვხვდება იერემიას გიდებაში 4:11 და 2 მეფ 22:17).

ცეცხლი ასევე შედარებულია ღმერთის განკითხვასთან: "რადგან მოდის დღე, თონესავით ავარვარებული და ყველა ამპარტავანი და ავისმოქმედი ჩალა იქნება და გადაბოგავს მათ მომავალი დღე" (მალ 4:1). როდესაც ჩალას ან ადამიანის სხეულს ცეცხლი სწვავს, იგი ფერფლად იქცევა. შეუძლებელია, რომ ადამიანის სხეული მარადიულად იწოდეს. სიტყვები "მარადიული ცეცხლი" არ შეესაბამება სიტყვასიტყვით მარადიულ წამებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ "ჯოჯოხეთი ჩაყრილ იქნება ცეცხლის ტბაში" (გამოცხ 20:14). ეს იმას ნიშნავს, რომ ჯოჯოხეთი არ არის

“ცეცხლის ტბა”; იგი წარმოადგენს სრულ განადგურებას. გამოცხადებაში სიმბოლურად ნათქვამია, რომ სამარე დაინგრევა, რადგან ქრისტეს ათასწლოვანი განგებლობის ბოლოს (ოქროს საუკუნეს) სიკვდილი აღარ იარსებებს.

ჯოჯოხეთი

ახალ აღთქმაში გამოყენებულია ორი ბერძნული სიტყვა, რომლებიც ნათარგმნია როგორც “ჯოჯოხეთი”. **“Hades”** ეკვივალენტი არის ძველებრაელური სიტყვა “**sheol”**, რომლის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ. **“Gehenna”** – სანაგვეს დასახელებაა, რომელიც იერუსალიმის საზღვრებს იქით მდებარეობს. იქ სწვავდნენ სხვადასხვა ნარჩენებს.

როგორც საკუთარი სახელი, ესე იგი, რეალური ადგილის დასახელება, იგი არ უნდა გადათარგმნილიყო. **“Gehenna”** ძველებრაელური სიტყვის **“Ge-ben-Hinnom”** არამეული ეკვივალენტია. ეს იყო ადგილი იერუსალიმის მახლობლად (იესო 5:8), რომელიც ქრისტეს დროს იხმარებოდა, როგორც ნარჩენების სანაგვე. მკვდარ სხეულებს ცეცხლში აგდებდნენ და ეს ცეცხლი მარადიულად ენთო, ასე რომ ჯოჯოხეთი სრულ განადგურებისა და უარყოფის სიმბოლოდ იქცა.

უნდა კვლავ აღვნიშნოთ, რომ ყველაფერი ცეცხლში ჩაგდებული არ რჩებოდა იქ სამუდამოდ – სხეული ფერფლად იქცეოდა. “ჩვენი ღმერთი (იქნება) მჭამელი ცეცხლი” (ებრ 12:29) განკითხვის დღეს; ცოდვაზე მისი რისხვის ცეცხლი შთანთქავს ცოდვილებს სრულ განადგურებამდე. ისრაელის ხალხის წინამავალ განკითხვისას ჯოჯოხეთი სავსე იყო ცოდვილთა და ღვთის ხალხის მკვდარი სხეულებით (იერემ 7:32, 33).

თავისი საოცარი გზით უფალმა იესომ გააერთიანა ძველი აღთქმის ყველა ეს იდეა და გამოიყენა სიტყვა “ჯოჯოხეთი”, იგი ხშირად ამბობდა, რომ ისინი, ვინც უარყოფილნი იქნებიან განკითხვის დღეს

მის დაბრუნებისას, გაემგზავრებიან "ჯოჯოხეთში, დაუშრეტელ ცეცხლში, სადაც მატლი მათი არ კვდება" (მარკ 9:43, 44). ებრაელთა გონებაში ჯოჯოხეთი გამოიძახებს უარყოფისა და სხეულის განადგურების იდეებს. ნათელია, რომ მარადიული ცეცხლი იდეომაა, რომელიც წარმოადგენს ღმერთის რისხვას ცოდვაზე და ცოდვილთა განადგურებას სიკვდილის მეშვეობით.

სიტყვები "მატლი მათი არ კვდება" შეადგენენ ამ იდეომის ნაწილს, რადგან წარმოუდგენელია მატლი, რომელიც არასოდეს არ კვდება. ფაქტი, რომ ჯოჯოხეთი იყო ცოდვილთა წინამავალ საზღაურის ადგილი, ამტკიცებს ქრისტეთი ამ სიტყვის გამოყენების შესაბამისობას.

გადაწვევა 11: განსაწმედელი

რომაელთა კათოლიკური ეკლესია გვასწავლის, რომ ღვთის ხალხის სულებს შეეძლოთ სიკვდილის შემდეგ გამგზავრება განსაწმედელში, რომელიც "ცასა" და "ჯოჯოხეთის" შორის მდებარეობს. ეკლესია ამბობს, რომ ეს ადგილი "განსაწმედათ" არსებობს, მასში სული რამოდენიმე ხანს დაიტანჯება, სანამ ხსნისათვის მზად იქნება. თუ ადამიანი და მისი მეგობრები ილოცებენ, დაანთებენ სანთელს და გაუკეთებენ შესაწირს ეკლესიას – შესაძლებელია შეუმოკლებს სულს ტანჯვის პერიოდს. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს იდეები მცდარია: –

– ბიბლია დუმს ამგვარი ადგილის არსებობის შესახებ.

– ჩვენ გიჩვენეთ, რომ სული უფრო ჩვენ სხეულს ეკუთვნის, ვიდრე რაღაც უკვდავ ნაწილაკს ჩვენში და "ჯოჯოხეთი" სასჯელის მისაღები ადგილი კი არ არის, არამედ სამარეა.

– მართლმორწმუნეებს არასოდეს არ ეძლეოდათ ცაზე ხსნის აღთქმა. ხსნას გასამრჯელის დროს მივიღებთ (მათ 25:31-34; გამოცხ 22:12).

– ყველა მართლმორწმუნე მიიღებს საზღაურს ერთდროულად.
– სიკვდილს სრულიად შეუგნებელი მდგომარეობა მოსდევს და არა აქტიურობა, როგორც განსაწმედელის დოქტრინა ვარაუდობს.

– ჩვენ ვიწმიდებით ცოდვებისაგან ქრისტეს სახელში ნათლობის მეშვეობით და განვამტკიცებთ ჩვენს რწმენას მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჩვენ გვიბრძანებენ "გაწმიდეთ ძველი საფუარი" ცოდვების (1 კორ 5:7); გავიწმიდოთ სინდისი მკვდარი საქმეებისაგან (ებრ 9:14; 2 ტიმ 2:21). ამიტომ ჩვენ უნდა გავიწმიდოთ ამჟამად, ჩვენს ცხოვრებაში, და არა "განსაწმედელში", რომელშიც ჩვენ თითქოს სიკვდილის შემდეგ მოვხვდებით. "ახლაა მოწყალების ჟამი, აჰა, ახლაა ხსნის დღე" (2 კორ 6:2). ჩვენი მორჩილება ღმერთის მიმართ და სულიერი ხასიათის განვითარება ხსნისაკენ მიგვიყვანს (გალ 6:8).

სხვა ხალხის დახმარება ჩვენი ხსნისათვის სანთლების დანთებითა და შესაწირის მეშვეობით სრულიად არ იმოქმედებს. "თავიანთ ძალით და უხვი სიმდიდრით დაიმედებულნი იტრაბახებენ. ძმა დაიხსნით ვერ დაიხსნის კაცს, ვერ მისცემს ღმერთს მის გამოსასყიდს... რომ ცოცხლად დარჩეს სამარადისოდ" (ფსალმ 49:7-9).

გადახვევა 12: სული და გარდასახვა

უხსოვარი დროიდან ადამიანი ცდილობა დაარწმუნოს თავი, რომ სიკვდილი არ წარმოადგენს მისი სიცოცხლის ბოლოს. ამის შედეგად, მას გაუჩნდა რწმენა, რომ სიკვდილის შემდეგ იგი განაგრძობს ცხოვრებას სხვა ადამიანის ან ცხოველის სხეულში.
როგორც ვთქვით, ადამიანის სული ეკუთვნის მის სუნთქვას (სიცოცხლის ძალას) და სიკვდილის შემდეგ უბრუნდება ღმერთს (ეკლ 12:7). ეს იმას ნიშნავს, რომ მისი სული არ დაეხეტება ჩვენს ირგვლივ, როგორც "მოჩვენება" და მას არ შეუძლია სხვა

ადამიანის ან სხეულის ფლობა იმდენად, რომ ადამიანის პიროვნებამ იცხოვროს მასში. "თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა" (2 კორ 5:10). თუ ჩვენი საქციელი და დახასიათება წინამავალი ადამიანის ხასიათის ფუნქცია არის, მაშინ ღვთის განკითხვისა და საზღაურის კონცეპციას ეკარგება ყოველივე აზრი. (გამოცხ 22:12).

სული ღმერთს უბრუნდება ადამიანის სიკვდილისა და გონების სრული დაკარგვის შემდეგ. ამიტომ, მიცვალებულთან კონტაქტის დამყარების ყოველივე ცდა ადასტურებს ბიბლიის სწავლების სრულ გაუგებრობას (იხ. ეს 8:19, 20). ბიბლია აშკარად მეტყველებს, რომ ხალხი არ ბრუნდება სახლში ან ქალაქში სიკვდილის შემდეგ. არ არსებობს არც "სული" და არც "მოჩვენება", რომელიც ადამიანის სიკვდილის შემდეგ ამგვარ ადგილას იმყოფება. ლექსებში იობი 20:7-9 ნათლად არის გამოხატული ეს ფაქტი: "თავისი განავალივით გაქრება საბოლოოდ; იკითხავენ მისი მნახველნი, სად არისო?.. და ვერავის იპოვის... თვალი, რომელიც ხედავდა მას, ველარ იხილავს; ველარც მისი ადგილი იხილავს მას ვერასოდეს". ამას ემსგავსება ლექსები იობ 7:9, 10: "ჩადის შავეთში და ველარ ამოდის, აღარ ბრუნდება თავის სახლში და ველარ ცნობილობს მას მისი ადგილი". ამის აღიარებით ჩვენ ვუარყოფთ ნებისმიერ საუბარს მკვდარი "სულის" მოჩვენების შესახებ. ამგვარი "მოჩვენება" უკეთეს შემთხვევაში მხედველობის სიცრუეა.

გადაწვევა 13: ჩვენი აღდგომის ბუნება

მარადიული ცხოვრება და ღვთიური ბუნება მიეცემა მართლმორწმუნეებს განკითხვის შემდეგ. პირველ რიგში ქრისტე აღადგენს განკითხვის წინაშე პასუხისმგებლემს და, როდესაც ყველა შეიკრიბება, იგი განიკითხავს მათ. რადგან მარადიული ბუნების მიღება განკითხვის დროს გაიმართება, ესე იგი ყველა აღდგენილს თავდაპირველად ჯერ მოკვდავი ბუნება ექნება. თუ მათ

აღდგომისას ექნებოდათ უკვდავი სხეული, განკითხვას, როდესაც ყველას მიეცემა საზღაური, არ ექნებოდა აზრი.

ჩვენ შევალთ ღვთის სასუფეველში განკითხვის დამთავრებისთანავე (მათ 25:34); აქედან გამომდინარე, მართლები არ იმყოფებიან ღვთის სასუფეველში განკითხვამდე. "ხორცსა და სისხლს არ ძალუძს ღვთის სასუფევლის დამკვიდრება (ამიტომ)... ყველანი შევიცვლებით... ვინაიდან, ეს ხრწნადი უხრწნელობით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს" (1 კორ 15:50, 51, 53). აქედან გამომდინარე, ბუნების ცვლა, მოკვდავიდან უკვდავზე, მოხდება განკითხვის ადგილას, თუ ჩვენ დავიმსახურებთ ღვთის სასუფეველში შესვლას.
მაგრამ, ღვთივსულიერი მოციქული პავლე ხშირად მეტყველებდა "აღდგომის" შესახებ "ცხოვრების აღდგომის" გაგებით – მართლმორწმუნეთა აღდგომა, რომლებიც მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს განკითხვის შემდეგ. მან, რასაკვირველია, იცოდა "რომ იქნება მკვდრეთით აღდგომა, როგორც მართალთა, ასე უკეთურთა" (საქ 24:15). მას ესმოდა, რომ პასუხისმგებელნი "კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომისთვის გამოვლენ (სამარედან), სიავის მქმელნი კი – სამსჯავროს აღდგომისთვის" (იოან 5:29).

ამრიგად, პავლე ხშირად ახსენებდა "სიცოცხლის აღდგომას", როდესაც საუბრობდა "აღდგომის" შესახებ. მართლმორწმუნენი გამოვლენ სამარედან "სიცოცხლის აღდგომისას" – შემდეგ ისინი განიკითხებიან და მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს. ეს პროცესი – "სიცოცხლის აღდგომა" არის. არ არის სხვაობა მათ სამარედან "გამოსვლისა" და "სიცოცხლის აღდგომის" შორის. პავლე მეტყველებს საკუთარ მისწრაფებაზე იცხოვროს ქრისტიანული ცხოვრებით, "რათა როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას" (ფილ 3:11). რადგან იგი პასუხისმგებელი იყო, იგი აღდგება, რათა გასცეს პასუხი განკითხვის დროს და მისი მისწრაფვა "მისწვდეს აღდგომას" იმას ნიშნავს, რომ "აღდგომა" ამ შემთხვევაში ეკუთვნის "სიცოცხლის აღდგომას".

სიტყვა "აღდგომის" გამოყენების "ცხოვრების აღდგომის" მნიშვნელობით (შდ. ლუკ 14:14) სხვა მაგალითებს ვკითხულობთ ლექსებში ლუკ 20:35; იოან 11:24; 1 კორ 15:21, 42; ებრ 11:35; გამოცხ 20:6. სიტყვა "აღდგომის" გამოყენება, როგორც ეს 1 კორ 15 თავში არის, გვეხმარება ლექსის 1 კორ 15:52 აზრის გაგებაში – "მკვდრები აღდგებიან უხრწნელად". უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა "მკვდრები" ზოგჯერ (და განსაკუთრებით 1 კორ 15) ეკუთვნის მართლმორწმუნე მკვდრებს, რომლებიც აღდგებიან მარადიული სიცოცხლის მისაღებად: 1 კორ 15:13, 21, 35, 42; 1 თეს 4:16; ფილ 3:11; გამოცხ 14:13; 20:5, 6.

ლექსებში 1 თეს 4:16, 17 გამოხატულია ქრისტეს დაბრუნებასთან დაკავშირებული მოვლენები: –

1. ქრისტე ჩამოდის ციდან ხალხის თანდასწრებით.
2. მკვდრების აღდგებიან.
3. პასუხისმგებელნი, რომლებიც ამ დროს ცოცხალნი იქნებიან, განკითხვაზე მიემგზავრებიან.

მარადიული სიცოცხლის გამოცხადება ყველას შეკრების შემდეგ მოხდება (მათ 25:31, 34; 13:41-43); ამიტომ, უკვდავება არ იქნება გამოცხადებული აღდგომისას, რადგან მას ხალხის შეკრება მოსდევს. ჩვენ გიჩვენეთ, რომ ყველა მართლმორწმუნე მიიღებს საზღაურს ერთდროულად (მათ 25:34; ებრ 11:39-40). ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუ უკვდავება აღდგომისას გამოცხადებულიყო, რადგან იგი ცოცხალ პასუხისმგებლების შეკრების წინამავალი პროცესია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დროის აღთქმა ძალზე ადამიანურია. ღმერთი სრულიად არ უკავშირდება ამას. შესაძლოა ძალიან შორს შევიდეთ მოვლენების ქრონოლოგიურ განხილვაში, რომელიც ქრისტეს მოსვლის შემდეგ მოხდება. აღდგომა და უკვდავების მიღება მოხდება "ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე" (1 კორ

15:52). საჭიროების შემთხვევაში, ქრისტეს დაბრუნებისას, დრო სხვა განზომილებაში იმოძრავებს, ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც განიკითხება. საერთო ბიბლიური პრინციპი იმაში შედგება, რომ ყველა პასუხისმგებელი ჩააბარებს ანგარიშს საკუთარი ცხოვრების შესახებ უფალ იესოს (მათ 25:44 და ა. შ.; ეკლ 3:17; 12:14; ლუკ 12:2, 3; 19:23; ეზეკ 18:21, 22; 1 ტიმ 5:24, 25; რომ 14:11, 12). პასუხისმგებლების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ დრო შეჩერდება, რათა ყველა განიკითხოს დაუყონებლივ და ამასთანავე ინდივიდუალურად. და, რადგანაც დრო შეჩერდება, რათა განკითხვა მოხდეს "ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე", გასაგებია, თუ რატომ ამბობენ აღდგომის შესახებ, როგორც მოვლენაზე, რომლის მეშვეობით მართლებს მიეცემათ მარადიული სიცოცხლე. ლექსებიდან, რომლის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, გამომდინარეობს, რომ მარადიული სიცოცხლე მოგვეცემა განკითხვის დროს და არა აღდგომისამებრ. ამ მიზეზით 1 თეს 4:16 მეტყველებს, რომ მართლები გამოიძახებიან ღვთის საყვირზე და ამავე დროს 1 კორ 15:52 გვაუწყებს იმავე საყვირზე უკვდავებასთან დაკავშირებით. ეს ასევე განმარტავს პავლეს ფიქრს აღდგომის შესახებ, როგორც იდენტიურ გამოძახებას საზღაურის მისაღებად (მაგალითად, ფილ 1:23).

გადაწვევა 14: ამაღლება

"სახარებისეულ" ეკლესიათა შორის არის გავრცელებული რწმენა, რომ ქრისტეს დაბრუნებისას მართლმორწმუნენი ცისკენ გაემგზავრებიან. ეს რწმენა ხშირად უკავშირდება დედამიწის განადგურებას. მეცხრე გადახვევაში განხილულია ამ თვალსაზრისის შეცდომა. ნაწილში 4.7 ჩვენ ასევე ვთქვით, რომ ღვთის სასუფეველი დედამიწაზე დამყარდება. ეს რელიგიური შეცდომა დამყარებულია ლექსების 1 თეს 4:16, 17 არასწორ ახსნაზე: "თვითონ უფალი გადმოვა ციდან... და ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან. შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით, ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა

ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ".

უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არ არის ნახსენები მართლმორწმუნეთა ამაღლება. უწინ ქრისტე ჩამოვა ციდან, ვიდრე მორწმუნენი იხილავენ მას. ქრისტე მარადიულად იმეფებს დავითის ტახტზე იერუსალიმში, და ჩვენ მასთან ერთად ვიქნებით დედამიწაზე. ამიტომ, შეუძლებელია, რომ ჩვენ გავატაროთ მარადისობა მასთან ერთად სადღაც შუა ცაში ჩამოკიდებულნი. "ჰაერი" მიწის ზედაპირისაგან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით მაღლდება და იგი არ ეკუთვნის ცას, სადაც ღმერთი იმყოფება.

ბერძნული ფრაზა, ნათარგმნი სახარებაში როგორც "აღტაცებულნი ვიქნებით", სიტყვასიტყვით ნიშნავს "წაღებულნი ვიქნებით"; ის არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ მიმართულებას. ლექსებში ლევ 6:4 და რჯლ 28:31 ბერძნულ ძველ აღთქმაში (სეპტუაგინტი) ეს ფრაზა გვხვდება მოტაცებულის "წაღების" აღწერისას. იგი ასევე გვხვდება ლექსებში საქ 8:39, 40: "უფლის სულმა ფილიპე წარიტაცა და საჭურისმე ველარ დაინახა იგი... ფილიპე კი აღმოჩნდა აზოტში". აქ აღწერილია, თუ როგორ გადაქროლდა ფილიპე ერთ ადგილიდან მეორეზე.

როდესაც ქრისტე მოვა, ყველა პასუხისმგებელი შეიკრიბება განკითხვის ადგილას; მაგრამ ისინი თვითონ ვერ მიაღწევენ მას. შესაძლოა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გადავინაცვლებით სიტყვასიტყვით ჰაერის მეშვეობით.

იესომ თქვა: "იმ დღესაც, როცა კაცის ძე გამოჩნდება... ორნი იქნებიან ყანაში: ერთს წაიყვანენ, მეორე დარჩება" (ლუკ 17:30, 36). ეს ასევე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ მოულოდნელ წაყვანის შესახებ. მოციქულებმა გულრწფელად ჰკითხეს: "სად უფალო?" ხოლო მან უპასუხა: "სადაც ლეშია, ორბებიც იქვე მოგროვდებიან" (ლუკ 17:37). როგორც ორბები ინსტიქტიურად მოფრინავენ და შემდეგ დედამიწაზე ეშვებიან, სადაც ლეშს პოულობენ, ასევე პასუხისმგებელნიც გადაინაცვლებიან იმ ადგილას, სადაც უფალს შეხვდებიან.

ჩვენ კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი ქრისტეს განკითხვის ადგილის სწავლების მნიშვნელობას. პირველნი პასუხისმგებელნი განიკითხებიან და მათ შორის მართლმორწმუნენი მიიღებენ ჯილდოს. ლექსების თეს 4:16, 17 ზედაპირულ კითხვას შეუძლია მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ ყველა პასუხისმგებელი ცისკენ გაემგზავრება, სადაც მარადიულად დამკვიდრდება ქრისტესთან ერთად. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ პასუხისმგებელნი შეიკრიბებიან განკითხვის ადგილას ჰაერის მეშვეობით და შემდეგ მიიღებენ საზღაურს.

თავი 4: საკითხები

1. რა ხდება სიკვდილის შემდეგ?
   ა) სული ცისკენ მიემგზავრება.
   ბ) ჩვენ ვიმყოფებით შეუგნებელ მდგომარეობაში.
   გ) სული სადღაც ინახება განკითხვის დაწყებამდე.
   დ) ცოდვილნი ჯოჯოხეთში მიდიან, მართლმორწმუნენი კი ცისკენ.

2. რა არის სული?
   ა) უკვდავი ნაწილაკი ჩვენში.
   ბ) სიტყვა, რომელიც ნიშნავს "სხეული, პიროვნება, არსება".
   გ) იგივეა, რაც სიმშვინველე.
   დ) რაღაცა, რაც სიკვდილის შემდეგ ან ცისკენ მიემგზავრება, ან ჯოჯოხეთში.

3. რას წარმოადგენს ადამიანის ბუნება?

4. მოკლედ აღწერეთ ადამიანის ბუნება.

5. მოიყვანეთ ორი ლექსი ბიბლიიდან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიკვდილი შეუგნებელი მდგომარეობაა.

6. რა იცით ქრისტეს განკითხვის ადგილის შესახებ?

7. ვინ აღდგება და განიკითხება?

8. რა არის ჯოჯოხეთი?

თავი 5

ღვთის სასუფეველი

5.1 სასუფეველის განსაზღვრა

წინამავალ თავში ჩვენ გიჩვენეთ, რომ ღმერთის მიზანი შედგება ერთგული ხალხისათვის მარადიული სიცოცხლის მიცემაში ქრისტეს მეორე მოსვლის დროს. ეს მარადიული სიცოცხლე დედამიწაზე იქნება; ღმერთის აღთქმა მის შესახებ არასოდეს არ მეტყველებდა, რომ მართლმორწმუნენი ცისკენ გაემგზავრებიან. "სასუფევლის სახარება" (მათ 4:23) აღთქმული ჰქონდა აბრაამს დედამიწაზე მარადიული სიცოცხლის სახით (გალ 3:8). ღვთის სასუფეველი მაშინ დამყარდება, როდესაც ქრისტე დაბრუნდება და ყველა აღთქმა განხორციელდება. თუმცა ღმერთი ყველა თავისი ქმნილების მეფეა ახლაც კი, იგი ანიჭებს ადამიანს თავისუფლებას საკუთარი ცხოვრების და წუთისოფლის მართვაში საკუთარი სურვილის შესაბამისად. ამრიგად, სამყარო წარმოადგენს "ადამიანის სასუფეველს" (საქ 2:37-44; 4:17).

როდესაც ქრისტე დაბრუნდება, შესრულდება სიტყვები "ამბობდნენ: წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე" (გამოცხ 11:15). მაშინ ღმერთის ნება და სურვილი სრულიად განხორციელდება დედამიწაზე. ამიტომ, იესო გვირჩევს ვილოცოთ ამრიგად: "მოვიდეს სუფევა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა" (მათ 6:10). აქედან, სიტყვები "ღვთის სასუფეველი" იცვლებიან სიტყვებზე "ცათა სასუფეველი" (მათ 13:11; შდ. 4:11). მიაქციეთ ყურადღება, ჩვენ არსად არ ვკითხულობთ სიტყვებს "სასუფეველი ცაზე"; მაგრამ, ცის სასუფეველი დამყარდება დედამიწაზე ქრისტეს დაბრუნებისას. როგორც ანგელოზები სრულიად ემორჩილებიან ღმერთის ნებას (ფსალმ 103:19-21), ასევე იქნება ღვთის სასუფეველში, როდესაც დედამიწაზე დასახლდებიან "ანგელოზთა სწორნი" (ლუკ 20:36) მართლმორწმუნენი.

ქრისტეს მოსვლისას, ღვთის სასუფეველში შესვლა ამ ცხოვრების ყველა ჩვენი ქრისტიანული მწუხარების შედეგი იქნება (მათ 25:34; საქ 14:22); ამიტომ, ჩვენთვის აუცილებელია ამის სწორი

წარმოდგენა. ფილიპეს ქადაგება ქრისტეს შესახებ განსაზღვრულია ამგვარი სიტყვებით "ახარებდა ღვთის სასუფეველსა და იესო ქრისტეს სახელს" (საქ 8:5, 12). პავლეს ქადაგებაში ჩვენ ვიხსენებთ, რომ "ღვთის სასუფეველი" მისი ძირითადი თემა იყო (საქ 19:8; 20:25; 28:23, 31). ამიტომ, პირველი რიგის მნიშვნელობა ღვთის სასუფეველის შესწავლის ჩვენ სრულ გაგებას ენიჭება, რადგან იგი წარმოადგენს სახარების მნიშვნელოვან ნაწილს. "მრავალი ჭირით გვმართებსო ღვთის სასუფეველში შესვლა" (საქ 14:22); ეს – შუქია ჩვენი გვირაბის ბოლოს და იგი გვიწვევს მსხვერპლის შეწირვისაკენ, რომელიც შეადგენს ჩვენს ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას.

ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორს სურდა გაეგო მსოფლიოს მომავალი (იხ. დან 2). სიზმარში მან იხილა დიდი კერპი, რომელიც სხვადასხვა ლითონისაგან იყო შექმნილი. დანიელმა ახსნა ეს ამრიგად, კერპის ოქროს თავი ბაბილონის მეფეს აღნიშნავს (დან 2:38). მის შემდეგ აღდგებიან ისრაელის ირგვლივ ტერიტორიაზე სხვა დიდძალი სამეფოები და საბოლოოდ ისეთი მდგომარეობა შეიქმნევა, რომ "როგორც მისი ფეხის თითები ნაწილობრივ რკინისა იყო და ნაწილობრივ თიხისა, ასევე სამეფოც ნაწილობრივ მტკიცე იქნება და ნაწილობრივ – მყიფე" (დან 2:42).

ამჟამად სამყარო დასახლებულია უამრავი ხალხით, ზოგიერთი მათგანი სუსტია, ზოგი კი – ძლიერი. დანიელმა შემდეგ თქვა, რომ დიდი ქვა მოსწყდება მთას, დაარტყავს კერპს და გაუტეხს მას ფეხებს, თვითონ კი ძლიერ მთად იქცევა და შეავსებს მთელ დედამიწას. ეს ქვა იესოს განსახიერებს (მათ 21:42; საქ 4:11; ეფეს 2:20; 1 პეტ 2:4-8). "მთა", როდესაც იგი შექმნის მას მთელ სამყაროში, წარმოადგენს მარადიულ ღვთის სასუფეველს. იგი დამყარდება იესო ქრისტეს მეორე მოსვლის დროს. ეს წინასწარმეტყველება ამტკიცებს, რომ სასუფეველი ცაზე კი არა, არამედ დედამიწაზე იქნება.

საკითხი იმის შესახებ, რომ სასუფეველი ფაქტიურად სრულიად დამყარდება ქრისტეს მოსვლისას, გაშუქებულია ბიბლიის სხვა ლექსებშიც. ამრიგად, პავლე ამბობდა, რომ იესო განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს "თავისი მოსვლითი და თავისი სასუფეველით" (2 ტიმ 4:1). მიქა 4:1 მხარს უჭერს დანიელის წინასწარმეტყველებას, რომ ღვთის სასუფეველი დიდძალ მთას დაემსგავსება. "უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ მთების თავში დამყარდება უფლის სახლის მთა". შემდეგ მოცემულია დედამიწაზე დამყარებულ სამეფოს აღწერა (მიქ 4:1-4). ღმერთი მისცემს იესოს დავითის ტახტს იერუსალიმში: "და უკუნისამდე იმეფებს... და მის მეფობას არ ექნება დასასრული" (ლუკ 1:32, 33). აქ იბადება კითხვა, თუ როდის დაიწყება იესოს მეფობა დავითის ტახტზე იერუსალიმში. სიტყვები "მის მეფობას არ ექნება დასასრული" ეხმაურებიან სიტყვებს ლექსიდან დან 2:44: "ზეციერი ღმერთი დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა და მისი ხელმწიფე სხვა ხალხში არ გადავა". გამოცხ 11:15 ლექსში ქრისტეს მეორე მოსვლის აღწერის დროს გამოყენებულია ასეთივე ენა: "წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე". ალბად უნდა იყოს რაღაც გარკვეული დრო, როდესაც დაიწყება ქრისტეს განმგებლობა დედამიწაზე. და კვლავ პასუხი ამგვარი იქნება – ეს მოხდება მის დაბრუნებისას.

5.2 ამჟამად სასუფეველი დამყარებული არ არის

არსებობს გავრცელებული აზრი, რომ ღვთის სასუფეველი ამჟამად დამყარებულია, და შედგება მართლმორწმუნეთაგან – "ეკლესიისაგან". თუმცა ჭეშმარიტი მორწმუნენი უკვე "ხსნილნი" არიან და მათ მინიჭებული აქვთ ადგილები სასუფეველში; მაგრამ, აშკარაა, ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ამჟამად სასუფეველში, რადგანაც ქრისტე ჯერ არ დაბრუნებილა მის დასამყარებლად.

6 ღმერთი და ცოდვა

ჩვენი ცოდნიდან გამომდინარე, ნათელია, "რომ ხორცსა და სისხლს არ ძალუძს ღვთის სასუფევლის დამკვიდრება" (1 კორ 15:50). ჩვენ ვართ "სასუფევლის მემკვიდრეები, რომელიც თავის მოყვარულებს აღუთქვა" (იაკ 2:5), რადგან ნათლისღება გვქმნის ჩვენ აბრაამის აღთქმის მემკვიდრეთ, ეს აღთქმა კი სასუფევლის სახარების საფუძველს შეადგენს (მათ 4:23; გალ 3:8, 27-29). ამიტომ არ არის საკვირველი, რომ ბიბლიაში ხშირად გვხვდება ლექსები, რომლებშიც ნათქვამია, რომ აბრაამის აღთქმა მემკვიდრეობის შესახებ განხორციელდება ქრისტეს დაბრუნებისას (მათ 25:34; 1 კორ 6:9, 10; 15:50; გალ 5:21; ეფეს 5:5). თვით ამ ლექსების ენა მეტყველებს, რომ სასუფეველი არ შედგება ახლანდელ მორწმუნეთაგან.

იესომ მოგვითხრო იგავი, რათა გამოემჟღავნა იმ ხალხის შეცდომა, რომლებსაც ეგონათ, რომ "უცბად გამოჩნდებოდა ღვთის სასუფეველი. ამის გამო თქვა: ერთი კეთილშობილი კაცი წავიდა შორეულ ქვეყანაში, რომ მეფობა მიეღო და უკან დაბრუნებულიყო".

თავის დაუსწრებლობის დროს მონებს გარკვეული მითითება მისცა. "როცა მეფობა მიიღო და უკან დაბრუნდა, ბრძანა მისთვის მოეგვარათ ის მონები" და განსაჯა ისინი (ლუკ 19:11-27).
კეთილშობილი კაცი – იესოა, რომელიც "შორეულ ქვეყანაში" ცაში მიემგზავრება სამეფოს მისაღებად. შემდეგ იესო დაბრუნდება, დაამყარებს სამეფოს და განიკითხავს ხალხს. და ეს მისი მეორე მოსვლა იქნება. ამიტომ შეუძლებელია, რომ მონები "ფლობდნენ" სასუფველს ამჟამად, უფლის არ ყოფნის დროს.

ზემოთ ნათქვამი შეგვიძლია დავადასტუროთ ნაწყვეტებით ბიბლიიდან:

– "ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა", მარტივად ახსნა იესომ (იოან 18:36). მაგრამ, მაშინაც კი მას შეეძლო ათქვა: "მეფე ვარ" (იოან 18:37) და ამით ეჩვენა, რომ ახლანდელი ქრისტეს "სამეფო" არ ნიშნავს, რომ იგი უკვე დამყარებულია.

– ქრისტემ უთხრა თავის მოსწავლეებს, რომ იგი ამიერიდან აღარ შესვამს ამ ვაზის ნაყოფისაგან "იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამაჩემის სასუფეველში" (მათ 26:29). აქ აშკარაა, რომ სასუფეველი მომავალშია და ხალხს ესმოდა მისი, როცა "დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ქადაგებდა და ახარებდა ღვთის სასუფეველს" (ლუკ 8:1). "ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღვთის სასუფეველში" (ლუკ 14:15).

– ლუკ 22:29, 30 აგრძელებს ამ თემას: "მეც ისევე აღგითქვით, როგორც მე აღმითქვა მამაჩემმა სასუფეველი, რომ ჭამოთ და სვათ ჩემს სუფრაზე ჩემ სასუფეველში".

– იესომ ახსნა ნიშნები, რომლებიც მის მეორე მოსვლას იწინასწარმეტყველებენ და დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: "ასევე თქვენ, როცა იხილავთ ყოველივე ამის ახდენას, იცოდეთ, რომ ახლოა ღვთის სასუფეველი" (ლუკ 21:31). ეს კატეგორიულად უარყოფს დებულებას სამეფოს არსებობის შესახებ.
– "მრავალი ჭირით გვმართებსო ღვთის სასუფეველში შესვლა" (საქ 14:22). რასაკვირველია, რომ ყველა მორწმუნე გულწრფელად ლოცულობს სასუფევლის <u>მოსვლაზე</u> (მათ 6:10).

– ღმერთის სიტყვებზე საპასუხოდ, რომელიც "მოგიწოდებთ თავისი სასუფევლისა და დიდებისაკენ" (1 თეს 2:12). ჩვენ უნდა <u>მივისწრაფვოდეთ</u> შევიდეთ სასუფეველში სულიერი ცხოვრების მეშვეობით (მათ 6:33).

<u>ჩვენშია ღვთის სასუფეველი?</u>
ამ დამაჯერებელ მოსაზრებების მიუხედავად, მრავალი ქრისტიანე ამყარებს რწმენას დებულებაზე, თითქოს სასუფეველი არსებობს ამჟამად მორწმუნეთა გულებში. ამასთანავე ისინი მხოლოდ ერთ ფრაზას ეყრდნობიან: "თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი". კონტექსტის მიხედვით იესო ესაუბრებოდა ფარისეველებს (ლქ. 20); და ამიტომ სიტყვა "თქვენშია" მათ ეკუთვნის. ისინი,

უეჭველად, არ იყვნენ ქრისტიანები – ღვთის სასუფეველი არ იყო შექმნილი მათ გულებში.

ებრაელებმა გამართეს დიდი საზოგადო წარმოდგენა, რათა დახვედროდნენ მესიას. ამ ნაწყვეტში სიტყვები "ღვთის სსუფეველი" შესაძლოა შეიცვალოს სიტყვით "მესია", რადგან იგი იქნება ამ სასუფეველის მეუფე. როდესაც იესო იერუსალიმში შევიდა ხალხმა წამოიძახა: "კურთხეულ არის უფლის სახელით მომავალი!

კურთხეულ არის ჩვენი მამის, დავითის მომავალი სამეფო" (მარკ 11:9, 10). აქ სიტყვა "სამეფო" უთანასწორდება სიტყვა "მესიას". იოანე ნათლისმცემელი ქადაგებდა, რომ "მოახლოებულია ცათა სასუფეველი, ვინაიდან ეს არის (იესო) ის, რომლის შესახებ (იწინასწარმეტყველა)" (მათ 3:2, 3). როდესაც ფარისევლებმა ჰკითხეს იესოს, თუ "როდის მოვა ღვთის სასუფეველი" მან მიუგო, როდესაც "კაცის ძე" მოვა (ლუკ 17:20-24).

ქრისტემ იხილა მესიის მოსვლის ებრაელთა მოლოდინი; თავისი ძალის უეცარ გამჟღავნების ფიქრში, მათ ვერ შეამჩნიეს მესია – "ღვთის სასუფეველი" – იესოს თავმდაბლურ პიროვნებაში. მან გააფრთხილა ისინი: "ღვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ... ვინაიდან, აჰა, თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი" (ლუკ 17:20, 21).

5.3 ღვთის სასუფეველი წარსულში

ღვთის სასუფეველი მორწმუნეთა მომავალი საზღაურია. როგორც ასეთი, იგი შთააგონებს მათ იცხოვრონ ისე, როგორც იესო ცხოვრობდა, ხანმოკლე ტანჯვის გადალახვით. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ მორწმუნენი მიუძღვნიან საკუთარ ცხოვრებას სურვილს გაიგონ და შეაფასონ მომავალი სამეფოს სასწაულები. ეს

მათი სულიერი მისწრაფვის შედეგი და ღმერთის მიმართ სიყვარულის გამომჟღავნება იქნება.

წმიდა წერილი სავსეა წვრილმანებით ღვთის სასუფეველის შესახებ. ადამიანს მოუწევს მთელი სიცოცხლის შეწირვა, რათა წარმოიდგინოს მხოლოდ რამოდენიმე მათგანი. ერთერთი ხერხი, რომლის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია აღვიქვათ მომავალი სასუფეველის ძირითადი პრინციპები, არის იმის შეგნება, რომ ღვთის სასუფეველი უკვე არსებობდა წარსულში ისრაელის სამეფოს სახით. ასეთივე სამეფო აღდგება ქრისტეს დაბრუნების შემდეგ. ბიბლია უამრავ ინფორმაციას გვაძლევს ისრაელის ხალხზე, რათა შევიტყოთ მომავალი სამეფოს ორგანიზაცია.
ღმერთი ხშირად არის აღწერილი როგორც "ისრაელის მეუფე" (ეს 44:6; შდ. ეს 41:27; 43:15; ფსალმ 48:2; 89:18; 149:2), აქედან გამომდინარე, ისრაელის ხალხი მის სამეფოს წარმოადგენდა. ისრაელიანები გახდნენ ღვთის სამეფოდ სინაის მთაზე, მასთან აღთქმის დადების შედეგად, ეგვიპტიდან გამოსვლისთანავე. ამ აღთქმის დაცვის სურვილთან შესაბამისად, ღმერთმა უთხრა მათ, "ჩემს საკუთრებად გამოგარჩევთ ყველა ხალხისაგან... და წმიდა ერად მეყოლებით" (გამ 19:5, 6). ამრიგად, "როდესაც გამოვიდა ისრაელი ეგვიპტიდან... გახდა... ისრაელი – მისი სამფლობელო" ანუ სამეფო (ფსალმ 114:1, 2). ამგვარი შეთანხმების დადების შემდეგ, ისრაელიანებმა გადაიარეს სინაის უდაბნო და დამკვიდრდნენ ქანაანთა ქვეყანაში. რადგანაც ღმერთი იყო მათი მეუფე, მათ ხელმძღვანელობდნენ "მსაჯულნი" (მაგალითად, გედეონი და ცალმუნაყი) და არა მეფები. ეს მსაჯულნი ადმინისტრატორებად იყვნენ, რომლებიც იღებდნენ განკარგულებებს ციდან. ისინი მართავდნენ ქვეყნის გარკვეულ ნაწილს, და არა მთელ ქვეყანას. ღმერთი ხშირად მოუწოდებდა მათ გარკვეულ მიზნებისაკენ. როდესაც ისრაელიანებმა სთხოვეს მსაჯულ გედეონს გამხდარიყო მათი მეფე, მან მიუგო: "მე ვერ ვიბატონებ თქვენზე... უფალმა იბატონოს თქვენზე" (მსაჯ 8:23).

10 ღმერთი და ცოდვა

უკანასკნელ მსაჯულად – სამუელი იყო. მის დროს ისრაელიანებმა ითხოვეს მეფედ კაცი, რათა ყოფილიყვნენ როგორც ერი მის ირგვლივ (1 მეფ 8:5, 6). მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, ღვთის ჭეშმარიტი ხალხი განიცდიდა ცდუნებას ღმერთთან ნათესაობრივი კავშირის დაუფასებლობის გამო. ეს ძალზე ძლიერი ცდუნებაა ჩვენს სამყაროში. ღმერთი უჩივოდა სამუელს: "მე უარყვეს თავიანთ მეფედ" (1 მეფ 8:7). შემდეგ ღმერთმა გაუგზავნა მეფეთა მთელი რიგი. სულიერად უფრო ნიჭიერნი აღიარებდნენ, რომ ისრაელი ჯერ კიდევ არის ღვთის სასუფეველი, მიუხედავად იმისა, რომ მან უარყო ეს სამეფო. მსაჯულებს ესმოდათ, რომ ისინი მართავდნენ ისრაელით ღვთის სახელით და არა საკუთარი სურვილით. ამ პრინციპის გაგება გვაძლევს სოლომონის მართვის აღწერის საშუალებას, რომელიც ღმერთმა "მოგისურვა, რათა მის ტახტზე დაესვა უფლის, შენი ღმერთის მეფედ" (2 ნეშტ 9:8; 1 ნეშტ 28:5; 29:23). სოლომონის მეთაურობამ მოუტანა ისრაელს მშვიდობა და ააყვავა იგი, ამასთანავე იგი მომავალი ღვთის სასუფეველის განსახიერება იყო. ამიტომ, ხაზგასმულია, რომ სოლომონი ისრაელიანების მეფე იყო და მართავდა მათ ღმერთის სახელით, ასევე, როგორც იესო დაიმყარებს ღვთის ტახტს და იმეფებს ღმერთის სახელით (მათ 27:37, 42; იოან 1:49; 12:13).

უამრავი მორწმუნე მეუფე, რომლის შესახებ ნათქვამია ძველ აღთქმაში, თავისი მეფობით ასახავდა ქრისტეს მომავალ სამეფოს. როგორც სოლომონმა აუგო ტაძარი ღმერთს იერუსალიმში, ასევე მოიქცევა იესო მომავალ სამეფოში (იხ. ეზეკ 40:48). როგორც ხიზკიაჰუმმა და სოლომონმა მიიღეს მეზობელ ხალხისაგან საჩუქრები და პატივისცემის ნიშნები (3 მეფ 10:10) და ააყვავეს კურთხეული ისრაელის მიწა (ეს 37:30), ასევე ეს ყველაფერი ბევრჯერ მეტად გაკეთდება ქრისტეს მეფობის დროს.

<u>ცოლქმრული ცხოვრება</u>

თავისი კარგი საწყისის მიუხედავად, სოლომონი უკვე ახალგაზრდობაში უშვებდა შეცდომებს ცოლქმრულ მოვალეობებთან

დაკავშირებით, რომლებმაც ასაკთან ერთად დააცარიელეს იგი. "მეფე სოლომონს უყვარდა ბევრი უცხოელი ქალი... მოაბელები, ყამონელები, ედომელები... იმ მოდგმის ხალხთა ქალები, რომელთა გამო ნაბრძანები ჰქონდა უფალს ისრაელიანთათვის, ნუ შეხვალთ მათთან და ნურც ისინი შემოვლენ თქვენთან, თორემ უეჭველად მოდრეკენო თქვენს გულებს თავიანთი ღმერთებისკან. მათ მიეწება სოლომონი სიყვარულით... და მიდრიკეს მისი გული ცოლებმა. მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისკენ. ისე წრფელი არ იყო მისი გული უფლისადმი... უკეთურებას სჩადიოდა სოლომონი უფლის თვალში და ისე არ ერთგულებდა უფალს... განურისხდა უფალი სოლომონს... უთხრა უფალმა სოლომონს... გამოგგლეჯ სამეფოს" (3 მეფ 11:1-11).

რწმენის დაცემის პროცესი სოლომონს უგრძელდებოდა მთელი ცხოვრების განმავლობაში. მისმა ურთიერთობამ ქალებთან, რომლებსაც არ აღიარებდა ისრაელის ღმერთი, იქამდე მიიყვანა, რომ ის თაყვანს სცემდა ცრუ ღმერთებს. მისი ცოლების სიყვარულმა იმდენად დააბრმავა, რომ ის აღარ განიხილავდა იმ ღმერთებს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის სულიერ დამახინჯებას. დროთა განმავლობაში, მისი გული სრულიად მოსცილდა ისრაელის ღმერთს. "წრფელი არ იყო მისი გული უფლისადმი", ესე იგი, სინდისი არ ქეჭნიდა ცრუ ღმერთების თაყვანისმცემლობის გამო. ჭეშმარიტ ღმერთთან სულიერი შეთვისების არყოფნა იყო "სიავე ღმერთის თვალებში" და იქამდე მიიყვანა, რომ უფალმა შეწყვიტა ყველანაირი კავშირი სოლომონთან. ისრაელიანებს არაერთხელ გამოეცხადათ, რომ არ მოეყვანათ ცოლი სხვა ტომებიდან (გამ 34:12-16; იესო 23:12, 13; რჯლ 7:3).

ქრისტეს სახელში ნათლობით, ჩვენ სულიერ ქრისტიანებად ვხდებით. თუ ჩვენ მარტონი ვართ, უნდა გავთხოვდეთ ან მოვიყვანოთ ცოლი, რომელიც იზიარებს ჩვენს რწმენას და "უფალში" იმყოფება (1 კორ 7:39), ესე იგი, ქრისტეში. თუ ჩვენ ნათლობის მიღების დროს უკვე შეუღლებულნი ვართ, ჩვენ არ უნდა დავცილდეთ ცოლებს. ჩვენი ცოლქმრული ურთიერთობა ჩვენი

რწმენით არის ნაკურთხი (1 კორ 7:12-14). შეგნებული ქორწინება მათზე, ვინც არ ცნობს ჭეშმარიტ ღმერთს, საბოლოოდ მიგვიყვანს რწმენის უარყოფამდე. სოლომონმა, შესაძლოა, არ დააფასა ღვთის გაფრთხილების მნიშვნელობა ამგვარი ქალების შესახებ: "მიდრეკენო თქვენს გულებს" (3 მეფ 11:2; გამ 34:16). საჭიროა განსაკუთრებული თვითკონტროლი და გულწრფელი მონანიება, რომ არ ვიყოთ გამონაკლისი ამ წესისაგან.

ჩვენ ადრე ვთქვით, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვერ აღიქვავენ ქრისტიანული იმედის ებრაელურ საფუძველს; ისინი არ ცნობენ ისრაელის ჭეშმარიტ ღმერთს. შერეული ქორწინებით ასეთი ხალხი თანდათან სცილდება ჭეშმარიტების დოქტრინებს, რომლებიც ძირითადია ჩვენი ხსნისათვის. ამის გამო, ისააკმა და იაკობმა დიდი ტანჯვით იპოვეს ქალები, რომლებზეც შეეძლოთ დაქორწინება. ისააკი დაქორწილდა 40 წლის ასაკში, იგი საკმაოდ დიდ ხანს ეძებდა თავისი რწმენის საცოლეს. ეზრისა და ნეემიის მწუხარება ებრაელების დაქორწინებაზე არაებრაელებზე ადასტურებს ამ საკითხის მნიშვნელობას (ეზრა 9:12; ნეემ 10:29, 30). ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება ამ საკითხზე იმიტომ, რომ გამოგვეწვია მკითხველებში გარკვეული გამოხმაურება; ცოლქმრული ურთიერთობის შესახებ უფრო დაწვრილებით ნათქვამია ნაწილში 11.3.

<u>განკითხვა</u>

სოლომონის გარიყულობის შედეგად, ისრაელის სამეფო გაიყო ორ ნაწილად: სოლომონის ძე, რობოამი მართავდა იუდას შტოთი, ბენიამინი კი – მენაშეს შტოს ნაწილით, იმ დროს, როდესაც იერობოამი მართავდა დანარჩენ ათ შტოს. ამ ათი შტოთი შედგენილ სამეფოს ისრაელის სამეფო ეწოდა ანუ ეფრემი, ხოლო ორ შტოს იუდას სამეფო. ამ შტოების მოსახლეობის უმრავლესობა სოლომონის უხეირო მაგალითს ბაძავდა – ისინი ამბობდნენ, რომ სწამთ ჭეშმარიტი ღმერთი და ამისთანავე თაყვანს სცემდნენ მეზობელი ხალხის კერპებს. ღმერთმა არაერთხელ მიმართა მათ წინასწარმეტყველთა მეშვეობით, რომ მოენანიათ, მაგრამ ამაოთ.

მაშინ მან დასაჯა ისინი და გააძევა ისრაელის სამეფოდან მათი მტრების ქვეყანაში. ეს მოხდა აშურელთა და ბაბილონელთა მეშვეობით, რომლებიც შემოიჭრნენ ისრაელში და ტყვედ წაიყვანეს მოსახლეობა. "მრავალი წელი თავს იკავებდი მათი გულისთვის, შეაგონებდი შენი სულით – წინასწარმეტყველთა მეშვეობით, მაგრამ ყურს არ უგდებდნენ; ამიტომაც ჩაყარე ისინი ქვეყანათა მეზობელ ხალხების ხელში" (ნეემ 9:30). ისრაელის სამეფო ათი შტოსაგან შედგებოდა, მას არ ჰყავდა კარგი მეფე. იერობოამი, აქაბი, ახაზია და სხვა, როგორც არის ნათქვამი ამის შესახებ მეფეთა წიგნში, კერპთმსახურნი იყვნენ. ისრაელის უკანასკნელი მეფე ჰოშეაყი იყო; მისი მართვის დროს აშურელებმა გაანადგურეს ისრაელიანები და წაიყვანეს ტყვედ ათივე შტო (4 მეფ 17). ამ ტყვეობიდან ისინი არასიდეს დაბრუნებულან.

იუდას ქვეყანაში არსებობდა რამოდენიმე კეთილშობილი მეფე (მაგალითად, ხაზკია, იოშია), მაგრამ უმრავლესობა ცუდი იყო. ხალხთა ცოდვების გამო, ღმერთმა უარყო იუდას ქვეყანა, როგორც თავისი სამეფო, როდესაც ბაბილონელები შეიჭრნენ იუდას ქვეყანაში და ტყვედ წაიყვანეს ბაბილონის მოსახლეობა. იმ დროს ხალხით ცედკიაჰუ მართავდა (4 მეფ 25). ტყვედ აყვანილნი იმყოფებოდნენ ბაბილონში 70 წლის განმავლობაში, რომლის შემდეგ ზოგიერთი მათგანი დაბრუნდა ისრაელში ეზრასა და ნეემიას ხელმძღვანელობის ქვეშ. ამის შემდეგ, მათ არ ჰყავდათ საკუთარი მეფე, მათი მართავდნენ ბაბილონელები, ბერძნები და რომაელები. იესო რომაელთა ბატონობის დროს დაიბადა. იესოს უარყოფის გამო, რომაელები შეიჭრნენ ებრაელთა სამფლობელოში ახ. წ. აღ-ის 70 წლებში და სხვადასხვა ადგილას დაასახლეს ისინი. მხოლოდ 100 წლის წინ ებრაელებმა კვლავ დაიწყეს დაბრუნება ისრაელში და ამით აუწყეს ქრისტეს მოსვლა (იხ. დანართი 3).

ეზეკიელი 21:25-27 ქადაგება ღვთის სასუფეველის დასასრულის შესახებ, როგორც ეს გამომჟღავნდა ისრაელის ხალხზე: "შენ კი, ურჯულო, ბოროტეულო. მთავარო ისრაელისა (ესე იგი,

ციდკიაჰუ), რომელსაც დაუდგა ჟამი... ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოიშორე ჯიღა და მოიხადე გვირგვინი (ესე იგი, დასასრულს უახლოვდება ციდკიაჰუს მეფობა), ყოველთვის ასე არ იქნება... დამხობას, დამხობას, დამხობას ვუწოლხვედრებ და ესეც აღარ იქნება, სანამ ის არ მოვა, ვის ხელშიც არის სამართალი, რომ მას ჩავაბაროთ" (ეზეკ 21:25-27). მთელი წინასრმეტყველება დასტირის ღვთის სასუფეველის დასასრულს (ოს 10:3; გოდ 5:16; იერემ 14:21; დან 8:12-14).

სამჯერ გამეორებული სიტყვა "დამხობა" ლექსებში ეზეკ 21:25-27 ეკუთვნის ნაბუქოდონოსორის, ბაბილონის მეფის სამ შეჭრას ისრაელში. ყურადღებიანი სტუდენტი იხილავს ამ ლექსებში სამეფოს მართვის მაგალითს, ციდკიაჰუს დამხობა ხომ ღვთის სასუფეველის დამხობა იყო (იხ. ნაწილი 5.2). ასე დასრულდა ღვთის სასუფეველი ისრაელის ხალხში: "გავაუქმო ისრაელის მეფობა" (ოს 1:4) და იგი არ იარსებებს მანამ, სანამ არ მოვა ის, ვისაც ეკუთვნის იგი. "მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს... და მის მეფობას არ ექნება დასასრული" (ლუკ 1:32, 33) ქრისტეს დაბრუნებისას. მაშინ განხორციელდება აღთქმა სამეფოს აღდგენის შესახებ.

ძველ აღთქმაში უამრავი ადგილი ღვთის სამეფოს აღდგენას აქვს მინიჭებული. ქრისტეს მოსწავლეებიც იყვნენ ასევე დაინტერესებულნი ამ საკითხით: "ამიტომ შეკრებილნი ეკითხებოდნენ მას: ამ ხანებში ხომ არ აღუდგენ, უფალო, ისრაელის სამეფოს?", ესე იგი "ასრულდება თუ არა ამჟამად ეზეკიელის წინასწარმეტყველება 21:27?" ამაზე იესო ქრისტემ მიუგო, რომ ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ მისი მეორე მოსვლის ზუსტ დროს; ამის შემდეგ ანგელოზებმა დაარწმუნეს ისინი, რომ იესო დაბრუნდება ისევე, როგორც ამაღლდა (საქ 1:6-11).

აქედან გამომდინარე, ღმერთის სამეფოს/ისრაელის აღდგენა მეორე მოსვლისას განხორციელდება. პეტრე ქადაგებდა, რომ უფალი გამოგზავნის "იესო ქრისტეს, რომელიც ზეცამ უნდა მიიღოს (ესე

იგი, ის უნდა იქ დარჩეს) ვიდრე ყველაფერი აღდგებოდეს, რასაც ღმერთი დასაბამიდან ამბობდა თავისი წმიდა წინასწარმეტყველების პირით" (საქ 3:20, 21). მეორე მოსვლა მოიტანს ღვთის სასუფეველის აღდგენას, როგორც ისრაელის ძველ სამეფოს აღორძინებას.

ღვთის სასუფეველის აღდგენა ჭეშმარიტად "ყველა (ღვთის) წმიდა წინასწარმეტყველთა" საერთო თემაა: –

– "და წყალობით დამყარდება ტახტი და რწმენით დავჯდება (იესო) მასზე დავითის კარავში (მეორე მოსვლისას – ლუკ 1:32, 33) მსაჯული... მოსწრაფე სამართლის ქმნაში" (ეს 16:5).

– "მას ჟამს აღვმართავ დავითის დამხობილ კარავს (ესე იგი, დავითის "ტახტს" – ლუკ 1:32, 33), გარღვეულს შეკრავ, დანგრეულს გავამთელებ და ისე აღვადგენ, როგორც ძველ დროში იყო" (ამოს 9:11). უკანასკნელი ფრაზა აშკარად მეტყველებს აღდგენაზე.

– "იქნებიან მისი (ისრაელის) შვილები ძველებურად და მისი კრებული მტკიცედ იდგება ჩემს წინაშე" (იერემ 30:20).

– "უფალი... კვლავ აირჩევს იერუსალიმს" (ზაქ 2:12) და თავისი სამეფოს დედაქალაქად გახდის (შდ. ფსალმ 48:2; ეს 2:2-4).

– "დავაბრუნებ იუდას და ისრაელის წარტყვევნილს და წინანდებურად ავაშენებ მათ... კვლავ გაისმება ხმა სიხარულისა... დავაბრუნებ ქვეყანიდან წარტყვენილებს, როგორც თავიდანვე იყვნენ... კვლავ გაჩნდება (იერუსალიმში) მწყემსთა ბინები, მათი ჯოგის სადგომები" (იერემ 33:7–13).

ამ სამეფოს დამყარებისათვის ქრისტეს დაბრუნება არის ჭეშმარიტად "ისრაელის იმედი", და ეს იმედი ჩვენ ნათლობის მიღებით უნდა გავიზიაროთ.

5.4 ღვთის სასუფეველი მომავალში

წინამავალ მუხლებში ჩვენ მოვიყვანეთ საკმარისი რაოდენობის ახსნა, თუ როდის დამყარდება სასუფეველი. როგორც ვიცით, აბრაამის თესლის მეშვეობით ყველა კუთხის ხალხი მიიღებს კურთხევას, რომ 4:13 ნათქვამია, რომ მთელ სამყაროს დაიმკვიდრებს ის ხალხი, ვინც "აბრაამის" თესლში, ანუ ქრისტეში იმყოფება. დან 2 წინასწარმეტყველი სიმბოლურად ადარებს ქრისტეს მოსვლას პატარა ქვის ვარდნასთან და შემდეგ მის გადიდებასთან მთელი სამყაროს სასუფეველის სახით (შდ. ფსალმ 72:8). ეს იმას ნიშნავს, რომ რომ ღვთის სასუფეველი დამყარებული იქნება არა მხოლოდ იერუსალიმში ან ისრაელის მიწაზე, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, თუმცა ეს მხარე, რასაკვირველია, მისი გული იქნება.

ქრისტეში მაცხოვრებელი ხალხი, ეყოლებიან "სუფევად და მღვდლებად ჩემს ღმერთს, და იმეფებენ დედამიწაზე" (გამოცხ 5:10). ჩვენ ვმართავთ სხვადასხვა რაოდენობის და ზომის ქალაქებსა და სოფლებს, ერთი ათ ქალაქს მართავს, მეორე – ხუთს (ლუკ 19:17). ქრისტე გაგვიზიარებს თავის გამგებლობას დედამიწაზე (გამოცხ 2:27; 2 ტიმ 2:12). "სიმართლით იმეფებს მეფე (იესო) და მთავრები (მორწმუნენი) სამართლიანად იმთავრებენ" (ეს 32:1; ფსალმ 45:16).

ქრისტე მარადიულად იმეფებს აღდგენილ დავითის ტახტზე (ლუკ 32, 33), ესე იგი, ის დავითის ადგილს დაიკავებს, რომელიც იერუსალიმშია. და რადგან იგი გვიხელმძღვანელებს იმ ქალაქიდან, იერუსალიმი მომავალი სამეფოს დედაქალაქი იქნება. და მის ტერიტორიაზე აღორძინდება ტაძარი (ეზეკ 40-48). იმ დროს, როდესაც ხალხი ადიდებს ღმერთს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში (მალ 1:11), ეს ტაძარი მსოფლიო წირვა-ლოცვის ცენტრი იქნება. ხალხი "წლიდან წლამდე ივლიან მეფის, ცაბაოთ უფლის

პატივსაცემად და კარვობის სადღესასწაულად" იერუსალიმის ტაძარში (ზაქ 14:16).

ეს ყოველწლიური თაყვანისმცემლობა იერუსალიმში იყო გამოცხადებული ეს 2:2, 3 "უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ უფლის სახლის მთა (სამეფო – დან 2:35, 44) მთათა სათავეში დადგინდება (ესე იგი, ღვთის სამეფო და ტაძარი ამაღლდება ხალხის სამეფოზე)... და ყოველი ერი მისკენ დაიწყებს დენას. დაიძრება უთვალავი ხალხი და იტყვის: მოდი, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის სახლში; გვასწავლოს თავისი გზები... რადგან რჯული სიონიდან გამოვა და უფლის სიტყვა – იერუსალიმიდან". ასეთია სამეფოს პირველი დღეების სურათი, როცა გავრცელდება ქრისტეს გამგებლობის ცოდნა, და ხალხი ივლის ღვთის სამეფოს "მთისკენ", რომელიც თანდათან გაფართოვდება მთელ სამყაროში. ასე წარმოგვიდგება ჩვენ ჭეშმარიტი დღესასწაული ღვთის გულწრფელი თაყვანისმცემლობის მიმართ.

ჩვენი დღეების ერთერთი უდიდესი ტრაგედიაა, რომ უამრავი ხალხი "თაყვანს სცემს" ღმერთს უფრო პოლიტიკური, საზოგადო, კულტურული ან ეკონომიური თვალსაზრისით, ვიდრე მისი ჭეშმარიტი აღქმით, როგორც მამას და შემქმნელს. სამეფოში იქნება გარდაუვალი სურვილი შეიცნო უფლის გეზი, ამის მიზნით ხალხი დედამიწის ყველა კუთხიდან მივა იერუსალიმში, რათა მიიღოს მეტი ცოდნა ჩვენს შემქმნელზე.

არეულობისა და უსამართლობის ნაცვლად, იქნება მხოლოდ ერთი საერთო კოდექსი – "სიტყვა და რჯული უფლისა", რომელსაც ქრისტე წარმოსთქვამს იერუსალიმში. "ყოველი ერი დაიწყებს მისკენ დენას", რათა პირადათ მოისმინოს იგი; და ღმერთის შემეცნების საერთო სურვილი, ბუნებრივი უთანხმოებით იქნება შერბილებული, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ცალკეულ პიროვნებათა შორის, რომლებმაც მიუძღვეს სიცოცხლე ჩვენი უფალი ღმერთის შემეცნებას. იერუსალიმში <u>მიმდინარე</u> ხალხთა ნაკადის ამგვარი აღწერა, ეს 60:5 ლექსში მოცემულ სურათს

ემსგავსება, სადაც ებრაელები "ყველა... მოვა" არაებრაელებთან ერთად იერუსალიმში ღმერთის თაყვანის საცემად. ეს ყველაფერი სრულიად შეესაბამება ზაქ 8:20-23 ლექსებში აღწერილ სამეფოს წინასწარმეტყველებას: –

> "მოვლენ ხალხები და უამრავ ქალაქთა მცხოვრებნი. ერთი ქალაქის მცხოვრებნი მეორეში წავლენ, იტყვიან: წამო, წავიდეთ სამხვეწროდ უფლის წინაშე და ცაბაოთ უფლის საძიებლადო. მაშინ მეც წავალ. მოვლენ მრავალრიცხოვანი ხალხები და ძლიერი ერები ცაბაოთ უფლის საძიებლად იერუსალიმში... ათი კაცი ყოველი ენის ხალხიდან, მოეჭიდება იუდაელის კალთებს და ეტყვიან: თქვენთან წამოვალთ, რადგან გაგებული გვაქვს, რომ თქვენთან არის ღმერთი".

აქედან გამომდინარე, ებრაელი ხალხი ყველა ხალხის "თავი და არა კუდი" არის (რჯლ 28:13) და ღვთის ხსნის გეგმის ებრაელურ საფუძველს ყველა აღიარებს. მაშინვე შეჩერდება უგულებელყოფა, რომელსაც ამჟამად ქრისტიანელები ამჟავნებენ. ხალხი სიხარულით განიხილავს მოვლენებს და ეტყვის ებრაელებს: "ჩვენ გაგებული გვაქვს, რომ თქვენთან არის ღმერთი". საუბარი სულიერ და არა სხვადასხვა განუსაზღვრელ თემებს შეეხება.

როდესაც ხალხი დიდ ღვთისმოშიშობას გამოიჩენს, ქრისტე "სამართალს განიკითხავს ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს; მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისგან – ნამგლებს, ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს" (ეს 2:4). ქრისტეს სრული ავტორიტეტი და კამათის სამართლიანი გარჩევა იქამდე მიიყვანს, რომ ხალხი ხალისიანად შეცვლის ცეცხლსასროლ იარაღს სამეურნეო მანქანებზე, და შეწყვიტავს ომის ყველანაირ სწავლას. "მის დღეებში გაიფურჩქნება წმიდა" (ფსალმ 72:7) – სულიერება გაიზრდება და პატივისცემას მოიპოვებს ის, ვინც ამჟღავნებს ღვთის ხასიათს, სიყვარულს, მოწყალებას, სამართლიანობას და ა.

შ. შეადარეთ ეს ახლანდელ ქედმაღლობასთან, თავმდაჯერებლობასთან და პატივმოყვარეობასთან.

"მახვილებისაგან სახნისების" ნებაყოფლობითი გამოჭედვა იქნება მეურნეობის ცვლილების დედამიწაზე დიდი ნაწილი. ადამის ცოდვის გამო დედამიწა დაწყევლილი იყო (დაბ 3:17-19), აქედან გამომდინარე, საჭიროა მეტი ძალ-ღონის გამოყენება, მისგან კვების პროდუქტების მისაღებად. სასუფეველში "იქნება სიუხვე პურისა დედამიწაზე, (ადრე უნაყოფო) მთათა მწვერვალზე. მისი ნაყოფი იბიბინებს, ვითარცა ტყე ლიბანისა" (ფსალმ 72:16). "მხვნელი თავს წაადგება მომკელს და ყურძნის მწურავი – მთესველს; ბადაგად დაიღვრებიან" (ამოს 9:13), ამგვარი იქნება დედამიწის ნაყოფის სიუხვე და შემცირდება ედემში გამოცხადებული წყევლა. მკვეთრად გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება მიიზიდავს ხალხს. სასუფეველის წინასწარმეტყველება იმის წარმოდგენას გვაძლევს, თუ როგორ უზრუნველყოფს ხალხი საკუთარ თავს და იცხოვრებს სოფლის პირობებში სასოფლო მეურნეობით დაკავებული: –

> "ყველა თავისი ვაზის და ლელვის ქვეშ იჯდება და არავინ იქნება დამაფრთხობელი" (მიქ 4:4).

თვითუზრუნველყოფა გადალახავს ნაკლებობას, რომელიც მუშა ძალის გამოყენების ნებისმიერ სისტემას გააჩნია. მთელი სიცოცხლის გატარება სხვის გასამდიდრებლად – წარსულის საქმე იქნება.

> "ააშენებენ სახლებს და იცხოვრებენ (თვითონ), ჩაყრიან ვაზებს და მათ ნაყოფს შეჭამენ. არ ააშენებენ სხვის საცხოვრებლად, არ დარგავენ სხვის შესაჭმელად... და თავადვე გაცვეთენ საკუთარი ხელის ქმნილებას ჩემი რჩეულები. ფუჭად აღარ დაშვრებიან..." (ეს 65:21-23).

ესაია 35:1-7 იძლევა შეუდარებელ წინასწარმეტყველებას იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვლება უნაყოფო დედამიწა და მიანიჭებს სიხარულსა და ბედნიერებას იმათ, ვინც მას ამუშავებს, თუ როგორ შეუმსუბუქდება ხალხს შრომა და მაშინ სულიერად მდიდარი იქნება მათი ცხოვრება. "მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება... აყვავდება და გაიხარებს, იქნება ლხენი და სიხარული... რადგან ამოხეთქავს უდაბნოში წყალი და ტრომალზე – ნიაღვრები. დასიცხული მიწა ტბორად გადაიქცევა და ხრიოკები წყაროს თვლებად." გაქრება მარადიული მტრობა ცხოველთა შორის: "მგელი და კრავი ერთად დაიწყებენ ძოვას" და "ბავშვები ითამაშებენ ასპიტთან" (ეს 65:25; 11:6-8).

ისევე, როგორც შემცირდება დედამიწის წყევლა, შემცირდება კაცობრიობის წყევლაც. გამოცხ 20:2, 3 სიმბოლურად არის ნათქვამი ეშმაკის შესახებ (ცოდვასა და მის შედეგზე), რომელიც "შეიბოჭება" ათასი წლით. სიცოცხლე ხანგრძელი იქნება, თუ ადამიანი ასი წლის ასაკში გარდაიცვლება, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდათ ჩაითვლება (ეს 65:20). ქალი ნაკლებად დაიტანჯება მშობიარობის დროს (ეს 65:23). "მაშინ აეხილებათ თვალები ბრმებს და ყრუებს სასმენელნი გაეხსნებათ. მაშინ ირემივით იხტუნებს მკელობელი და მუნჯის ენა იგალობებს" (ეს 35:5, 6). ეს ყველაფერი სასწაული ნიჭის მადლით მოხდება, რომელიც კვლავ მოეფინება ხალხს (შდ. ებრ 6:5).

მაგრამ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღვთის სამეფო წარმოადგენს სამოთხეს ტროპიკულ კუნძულზე, სადაც მართლმორწმუნე უდარდებლად იარსებებს. სამეფოს ძირითადი დანიშნულება უფალი ღმერთის დიდებაში შედგება იქამდე, სანამ დედამიწა არ აღივსება მისი დიდებით, "როგორც ზღვა არის წყლით დაფარული" (აბაკ 2:14). ეს არის ღმერთის საბოლოო მიზანი: "ცოცხალი ვარ მე (და ყოველთვის იცოცხლებს სახელი ჩემი) და სავსეა უფლის დიდებით მთელი ქვეყანა" (რიცხვ 14:21). ღმერთის დიდება იმას ნიშნავს, რომ მაცხოვრებლები აღიქვავენ, ადიდებენ და გადაიღებენ მის ატრიბუტებს. ამრიგად, "თავმდაბალნი დაიმკვიდრებენ ქვეყნიერებას

(სამეფოს) და დაამდებიან დიდი (სულიერი) მშვიდობით" (ფსალმ 37:11), და არა მხოლოდ სიამოვნებას მიიღებენ მსუბუქი ცხოვრებით. "ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი... გაძღებიან" მით სასუფეველში (მათ 5:6). სამეფოში მარადიული სიცოცხლის ფლობის აზრი ხშირად გამოიყენება როგორც "სტაფილო" ხალხში ინტერესის გამოსაწვევად ქრისტიანობისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ფლობა სასუფეველში ჩვენი მყოფის შემთხვევითი მიზეზი იქნება. ნამდვილი მიზეზი კი ღმერთის დიდებაშია. ამ წიგნის ავტორისათვის სიცოცხლე ათი წლის განმავლობაში სავსებითი სრულყოფის შეგრძნებით და აზრითი კავშირით ღმერთთან გადალახავს ამ ცხოვრების სირთულეებსა და ცვალებადობას. მხოლოდ იმის წარმოდგენა, რომ ასეთი საოცარი მდგომარეობა მარადიულად გაგრძელდება, შფოთავს ჩვენს გონებას.

სხვადასხვა ფიზიკური მხრიდანაც რომ განვიხილოთ, ჩვენი მიზანი ღვთის სასუფეველში ცხოვრება იქნება, ამასთანავე მატერიალური უზრუნველყოფის და მიწიერი უპირატესობის აბუჩად აგდება. იმის ნაცვლად, რომ განეწყოდ ახლო მომავალზე, ქრისტე გვირჩევდა: "უწინარეს ძლიეთ ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ" (მათ 6:30-34). ყველაფერი, რასაც ჩვენ ამჟამად წარმოვიდგენთ და რისკენაც მივესწრაფვით, ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩვენს საბოლოო მიზანთან შედარებით – ვიმყოფებოდეთ ღვთის სასუფეველში.

ჩვენ ვცდილობთ გავანვითაროდ სიყვარული ღვთის ხასიათისადმი, და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს ვიყოთ მის სასუფეველში. ჩვენ გვინდა ვიყოთ მარადიულად წმიდა და სულაც იმიტომ კი არა, რომ გვსურს თავის არიდება სიკვდილისაგან და მარადიული ადვილი ცხოვრება.

მაგრამ, ხშირად სახარების იმედი იმგვარად წარმოგვიდგება, რომ პასუხობს ადამიანის პატივმოყვარეობას. რასაკვირველია, სასუფეველში ჩვენი სიცოცხლის იმედი იცვლება დღეთიდღე. ჩვენ გთავაზობთ შემდეგ იდეალს – პირველი პრიორიტეტი სახარების

შესწავლაში და მისადმი მორჩილებაშია, რომელიც ნათლობის მიღებაში გამოიხატება. იმედი, რომელსაც ის გვაძლევს, და ჩვენი ღვთის სასუფეველში ცხოვრების ჭეშმარიტი გულისწადილი მხოლოდ იმატებს ნათლისღების შემდეგ.

5.5 ქრისტეს ათასწლოვანი განმგებლობა

ყურადღებიანი მკითხველი შესაძლოა გვკითხავს: "არ გამოიყურება ღვთის სასუფეველის აღწერა საკმაოდ ადამიანურად?" ხალხი სამეფოში ასევე იმრავლებენ (ეს 65:23) და ავსებული იქნება მათი დღეები (ეს 65:20). ისინი იკამათებენ და ქრისტე განსჯის მათ. ასევე, ისინი დაამუშავებენ დედამიწას, რათა იცხოვრონ, თუმცა ეს შრომა შედარებით მსუბუქი იქნება. ეს ყველაფერი არ შეესაბამება იმას, რაც ჩვენ გვესმის სამეფოს შესახებ, როგორც ადგილზე, სადაც მართლმორწმუნეს ექნება მარადიული სიცოცხლე, ღვთის ბუნება, სადაც ისინი ანგელოზებს დაემსგავსებიან, რომლებიც არ მრავლდებიან (ლუკ 20:35, 36). პასუხი იმაში შედგება, რომ ეს სასუფეველის პირველი ნაწილი 1000 წელი გაგრძელდება (იხ. გამოცხ 20:2-7). ამ პერიოდის განმავლობაში დედამიწაზე ხალხის ორი ჯგუფი იარსებებს: –

> 1. წმიდანი – ისინი, ვინც ქრისტეში ცხოვრობდნენ და ვისაც მარადიული სიცოცხლე მიენიჭება განკითხვის დროს. მიაქციეთ ყურადღება, რომ "წმიდა" ადამიანი არ ნიშნავს "გამოძახებულ" ადამიანს და ეკუთვნის ნებისმიერ მორწმუნეს.
>
> 2. ჩვეულებრივი მოკვდავი ხალხი, რომლებსაც არ ეცოდინებათ სახარება ქრისტეს დაბრუნებისას, ესე იგი, ისინი არ აგებენ პასუხს გასამრჯელოს წინაშე.

განკითხვაზე, ღვთის ბუნების მიღებისთანავე, წმინდანი აღარ მოკვდებიან და აღარ გამრავლდებიან. რაც შეეხება ხალხის მეორე

ჯგუფს, ისინი ცოცხლებად დარჩებიან. მართლმორწმუნენი საზღაურად ჩვენს ღმერთს სუფევად და მღვდლებად ეყოლებიან და იმეფებენ დედამიწაზე (გამოცხ 5:10), ისინი უხელმძღვანელებენ მათ, ვინც არ სცნობდა სახარებას ქრისტეს მეორე მოსვლის დროს. "ქრისტეში" მყოფი, ჩვენ გავიზიარებთ საზღაურს, ესე იგი, ვიმეფებთ: "ვინც გაიმარჯვებს... მას მივცემ ხელმწიფობას წარმართებზე, – დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით... ისევე, როგორც მე მივიღე ჩემი მამისაგან" (გამოცხ 2:26, 27).

უადგილო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა ქრისტეს იგავი ფულისა და ქალაქების შესახებ – ერთგულმა მონებმა მიიღეს ბატონისაგან ათიდან ხუთამდე ქალაქები სასუფეველში (ლუკ 19:12-19). ღვთის გეზის ცოდნა მაშინვე არ ვრცელდება დედამიწაზე; ხალხი იერუსალიმში ივლის, რათა მიიღოს მეტი ცოდნა ღმერთის შესახებ (ეს 2:2, 3). გაიხსენეთ, თუ როგორ იზრდებოდა დედამიწაზე (ღვთის სასუფეველის წარმომადგენელი) მთა (დან 2:35, 44). წმინდანებს დაევალებათ ცოდნის გავრცელება ღმერთისა და მის სასუფეველის შესახებ.

როდესაც წინათ ისრაელი ღვთის სამეფო იყო, მღვდლების მოვალეობაში ღმერთზე ქადაგება შედიოდა (მალ 2:5-7). ამ მიზნით ისინი ბინავდებოდნენ ისრაელის სხვადასხვა ქალაქებში. მომავალში აღდგენილ სამეფოში წმინდანები მიიღებენ მღვდლების ამ მოვალეობას (გამოცხ 5:10).

თუ ქრისტე მოვა დღეს:

1. აღდგებიან მოკვდავი პასუხისმგებელნი და ცოცხალ პასუხისმგებლებთან ერთად განკითხვაზე მოყვანილნი იქნებიან.

2. პასუხისმგებელნი, რომლებიც ცოდვას იდენდნენ, სიკვდილით დაისჯებიან, მართლმორწმუნენი კი მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს.
3. მართლმორწმუნენი გაუძღვებიან იმ ხალხს, ვინც ცოცხლად დარჩება, მაგრამ ღმერთის წინაშე ის პასუხისმგებელი არ იქნება.

ისინი შეაცნობენ მათ სახარებას, "სუფევად და მღვდლებად" (გამოცხ 5:10).

4. ეს 1000 წელი გაგრძელდება. ამ დროის განმავლობაში ყველა მოკვდავი შეიცნობს სახარებას, და აქედან გამომდინარე, ღმერთის წინაშე პასუხისმგებელი გახდება. ეს ხალხი ბევრად ბედნიერი იქნება და დიდხანს იცხოვრებს.

5. ათასწლოვანი გამგებლობის ბოლოს სასუფეველში ქრისტესა და წმინდანების საწინააღმდეგო შეჯახება მოხდება. ამ ავჯანყებას ღმერთი ჩაახშობს (გამოცხ 20:8, 9).

6. ვინც 1000 წლის განმავლობაში მოკვდება შემდეგ აღდგება და გასამრჯელის მისაღებად გაემგზავრება (გამოცხ 20: 5, 11-15).

7. ცოდვილნი მათ შორის მოსცილდებიან, მართლმორწმუნენი კი ჩვენ შემოგვიერთდებიან და მიიღებენ მარადიულ სიცოცხლეს.

ასრულდება ღვთის მიზანი დედამიწის მიმართ. სამყარო დასახლდება უკვდავი, მორწმუნე არსებებით. პრაქტიკაზე განხორციელდება ღვთის სახელი "იეღოვა ელოხიმი", რაც ნიშნავს "ის ვინც გამომჟღავნდება ძლევამოსილთა ჯგუფში". აღარ იარსებებს დედამიწაზე ცოდვა, და აქედან გამომდინარე, სიკვდილი. მაშინ განხორციელდება აღთქმა, იმის შესახებ, რომ გველის თესლი სამუდამოდ განადგურდება თავის გაჭეჭყვით (დაბ 3:15). "ქრისტე იმეფებს ვიდრე თავის ფეხქვეშ მოაქცევდეს თავის ყველა მტერს. ხოლო უკანასკნელი მტერი, რომელიც განქარდება, სიკვდილია. იმიტომ, რომ ყოველივე დაუმორჩილა მის მეხქვეშ... და როცა ყოველივე მას (ღმერთს) დაუმორჩილებს, მაშინ თვით ძეც დამორჩილდება იმას, ვინც ყოველივე მას დაუმორჩილა, რათა ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში" (1 კორ 15:25-28).

ეს იქნება "დასასრული, როცა მეფობას (ქრისტე) გადასცემს უფალსა და მამას" (1 კორ 15:24). ის, რაც ამის შემდეგ, ესე იგი,

როცა "ღმერთი ყველაფერი ყველაფერში იქნება", მოხდება, ჩვენ არ ვიცით. ჩვენ ვიცით, რომ გვექნება მარადიული სიცოცხლე, ღვთიური ბუნება და ვადიდებთ ღმერთს. დანარჩენის შესახებ, რაც ქრისტეს ათასწლოვანი განმგებლობის შემდეგ მოხდება, ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. "ღვთის სასუფეველის სახარების" სიტყვების გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი მკითხველის ხსნისათვის. შეგვიძლია ჩვენ გთხოვოთ, კიდევ ერთხელ გადაიკითხოთ ეს თავი და ასევე აქ მითითებული ნაწყვეტები ბიბლიიდან?

ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვცხოვრობდეთ მის სასუფეველში. მთელი მისი განზრახვა შედგება იმით, რომ ჩვენ მივიღოთ აქტიური მონაწილეობა სამეფოში და არ შემოვიფარგლოთ მისი საშუალებების თხრობით. ნათლობა გვაახლოვებს აღთქმასთან სასუფეველის შესახებ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ნათლობის მიღება და მის შემდეგ გატარებული რამოდენიმე წელი მოგვცემს ჩვენ მარადიული სიცოცხლის მიღების საშუალებას. მაგრამ ჩვენი რწმენა ღვთის სიყვარულის მიმართ მყარი უნდა იყოს. როგორიც არ უნდა იყვნენ ჩვენი ხანმოკლე პრობლემები, ჩვენ არ უნდა გვქონდეს წმიდა წერილის მოწოდების უარყოფის საფუძვლიანი მიზეზი, ასე არ არის?

> "თუ ღმერთი ჩვენთვის არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?" (რომ 8:31).
>
> "ახლანდელი ტანჯვარი არაფერია იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც გამოვლინდება ჩვენს მიმართ" (რომ 8:18).
> "ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის" (2 კორ 4:17).

გადაწვევა 15: სამეფოს დაზუსტება

ლიტერატურული აღწერა, რომელიც ძველ აღთქმაში გვხვდება, ხშირად დაცინვას იწვევს თეოლოგებისა და უამრავ სხვა კონფესიების წევრების მხრიდან. ისინი ამბობენ, რომ აღწერილობის ენა საკმაოდ პირობითია და გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ საზღაურის მისაღებად შესაძლოა იყოს არჩეული სხვა ადგილი, და არა დედამიწა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი პლანეტა ცეცხლში (ალში) დაიღუპება.

ბიბლიის შესწავლის ძირითადი წესი მისი შინაარსის დაზუსტებით მიღებაშია, თუ არ გააჩნია აშკარად გამოხატული მითითება, რომ გარკვეულ ადგილებს სულიერი მიმართულება აქვს. მაგალითად, გამოცხადების პირველი ლექსი გვაცნობს, რომ მოვლენა სიმბოლურია (გამოცხ 1:1). თვით თხრობის ენაც გვაძლევს განწყობას მივიღოთ აღწერილი ნაწყვეტი, როგორც რეალური, თუ როგორც სიმბოლური. ასე, როდესაც ვკითხულობთ, რომ "მთვრალივით ბარბაცებს დედამიწა" (ეს 24:20), სრულიად აშკარაა, რომ ეს დედამიწის სიმბოლური აღწერა არის. და პირიქით, როცა მიმავალ სასუფეველზე მიდის საუბარი გამოყენებულია მარტივი ენა, რათა დაზუსტებით გავიგოთ ყველაფერი.

ხალხის უნიჭობის გამო, რომ ერწმუნათ ღვთის სასუფეველის დამყარება დედამიწაზე, იყო დამუშავებული თეორიები, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ ბიბლიის სწავლებას. ეს თეორიები სულიერი, თუ ზეციური სამეფოს შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი და ზოგადი არის. ამიტომ, მძიმედ აღვიქვავთ მათ. სინამდვილეში, თუ მკელობლების განკურნა ან უდაბნოს ნაყოფიერ მიწად ქცევა სიმბოლურია, უნდა ვკითხოთ: "რისგან შედგება მათი სიმბოლიზმი?"

ქვემოთ მოცემულ ნაწყვეტებში ღვთის სამეფოს შესახებ. თუ ჩვენ არ ვართ დარწმუნებულნი მათ რეალობაში, მაშინ არ გვცოდნია სასუფევლის სახარება და ამიტომ არ უნდა მოველოდოთ ადგილს.

შემდეგი ნაწყვეტები ამას ადასტურებენ: –

– "ღმერთი, რომელმაც მიწა გამოსახა და შექმნა; მან დაამყარა იგი, საუკაცრიელოდ არ შეუქმნია, დასახლებლად გამოსახა" (ეს 48:18). დედამიწის გამოსახვას აზრი ამაო იქნებოდა, თუ ღმერთი დააპირებდა მის განადგურებას; მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ღმერთის მიზანი ამ მიწის უკვდავი ხალხით დასახლებაშია.

– "ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე" (ეკლ 1:4).

– "და დააყენა ისინი (მზის სიტემის პლანეტები) უკუნითი უკუნისამდე, კანონი მისცა და არავინ გადაუხვევს" (ფსალმ 148:6).

სამეფოს ხანდძლივობა 1000 წლით, როგორც ნათქვმია გამოცხ 20:4, ასევე სიტყვასიტყვით უნდა მივიღოთ, რათა დავიცვათ შესაბამისობა ამ პერიოდის წინასწარმეტყველების სხვა სიტყვებთან. გამოცხადებაშიც კი არ უნდა აღვიქვათ ყველაფერი იგავურად. ამის მაგალითი მესამე პირზე მითითებაა. ყველაზე უფრო შესანიშნავია სამეფოს აღწერა გამოცხ 4:4-9, როგორც შაბათი დღე დასვენებისა, მაგრამ, "უფლისათვის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი" (2 პეტ 3:8). ექვსი "დღის" შემდეგ, რომელთაგანაც თითოეული ათასი წელი გრძელდება, ღმერთის ურთიერთობაში დედამიწასთან ათასწლოვანი სამეფოს შაბათის "დღე" მოვა.

სამყაროს შექმნის ბიბლიურ თარიღთან შესაბამისად 6000 წელი (ესე იგი, 6 "დღე") 2000 წელში შესრულდება (იმის გათვალისწინებით, რომ სამყარო იყო შექმნილი ქრისტეს დაბადებამდე 4000 წლის წინ). ეს იმას ნიშნავს, რომ ათასწლოვანი სამეფო დაახლოებით ჩვენი ერის 2000 წელს დაიწყება. ასე რომ, ყველასათვის დრო შეზღუდულია. მოახლოებული ქრისტეს დაბრუნების პრესპექტივასთან დაკავშირებით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლო მომენტი ამ ხანმოკლე ცხოვრებაში, რათა მოვემზადოთ მის მოსვლისათვის.

გადაწვევა 16: მოკლე ცნობები ისრაელის ისტორიიდან

<u>აბრაამიდან მოსემდე</u>

<u>აბრაამი</u> გამოძახილი იყო ქალაქ ურიდან. პირველი ებრაელი. ღმერთმა აღუთქვა მას და მის თესლს ქანაანის ქვეყანა. მან არ მიიღო ეს აღთქმა თავის სიცოცხლეში.

<u>ისაკი</u>. აბრაამი მზად იყო შეეწირა საკუთარი შვილი ისაკი. რადგან აბრაამი მორწმუნე იყო, ღმერთმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა მას თავისი აღთქმა. ისაკი მზად იყო დამორჩილებოდა მამას სიკვდილის მიღებაში. ეს ფაქტი ქრისტეს გამოჩენის მაუწყებელია. აღთქმა ისაკს გაუმეორდა (დაბ 26:3-5).

<u>იაკობი</u> – ისაკის ძე. აღთქმა ასევე მას გაუმეორდა. ჰყავდა 12 ვაჟი: რუბენი იყო უფროსი, ბენიამინი კი უმცროსი. მესამე შვილისაგან, ლევისაგან შთამომავლები მღვდლები იყვნენ. იოსები ისაკის საყვარელი შვილი იყო.

<u>იოსები</u>. ბავშვობაში ორჯერ იხილა სიზმარი, რომელშიც საკუთარი ძმებით მართავდა. როდესაც მან მოუყვა ძმებს სიზმრის შესახებ, მათ შეიძულეს იგი და მონად გაყიდეს ეგვიპტეში. დროთა განმავლობაში, იგი ეგვიპტეს მართველი გახდა და ხორბლის დიდი მარაგი მოაგროვა შემდეგი შვიდი წლის შიმშილობის გადასატანად. შიმშილით სიკვდილისაგან ხსნის მიზნით, იაკობი და მისი შვილები საცხოვრებლად ეგვიპტეში იოსებესთან გაემგზავრნენ. ისინიც და მათი შთამომავლებიც გოშენის მხარეში ცხოვრობდნენ. ებრაელები გამრავლდნენ ეგვიპტეში და ფარაონი მათ დევნიდა, სანამ ეგვიპტელების მონად არ გახადა.

<u>მოსე</u> ამ დროს დაიბადა. სიკვდილისაგან გადასარჩენად, დედამ მდინარეს პირას იგი ლერწმის კალათში ჩააწვინა. ფარაონის

ქალიშვილმა დაინახა ბავშვი და იშვილა იგი. როდესაც მოსე გაიზარდა, მან ეგვიპტელი მოკლა, რომელიც ებრაელს სცემდა. ამ ამბავის შემდეგ მან მიდიანის ქვეყანას შეაფარა თავი, სადაც ითორის ცხვრებს მწყემსიდა. ერთხელ მინდორში მას ღმერთი წარმოუდგა ცეცხლის ბუჩქის სახით. ღმერთმა უბრძანა მოსეს ფარაონთან წასულიყო და ებრაელების განთავისუფლება ეთხოვა. მოსე სასწაულებს ქმნიდა, რათა დაემტკიცებინა, რომ ის ღმერთის მიერ არის გამოგზავნილი. მაგრამ ფარაონი არ უშვებდა ისრაელიანებს. მაშინ ღმერთმა ეგვიპტეს ათი უბედურება გამოუგზავნა: გომბეშოები, წყვიადი, სეტყვა და, საბოლოოდ, ეგვიპტელი ყოველი პირმშო-ბიჭის სიკვდილი. ყველა ებრაელურმა ოჯახმა ამ დღეს კრავი დაკლა და მისი სისხლი წაუსვა სახლის ორთავე წირთხლს და კარისთავს. ეს იმას ნიშნავს, რომ იესოს სისხლს შეუძლია გვიხსნას სიკვდილისაგან. ეს დღე გახდა ცნობილი როგორც აღდგომის დღესასწაული.

<u>გამოსვლა</u>. საბოლოოდ ებრაელებს დართეს ეგვიპტის მიტოვების ნება. ისინი ღვთის ანგელოზს მიჰყავდა დღისით ღრუბლის სვეტში, ღამით კი ცეცხლის სვეტში. ფარაონის ჯარი დევნიდა მათ წითელ ზღვამდე. ზღვა სასწაულად გადაიშალა "რათა გაეტარებინა ხალხი, ამის შემდეგ კი დაბრუნდა პირველყოფილ მდგომარეობაში და დაახჩო ეგვიპტელები. ისრაელიანებმა გადაიარეს უდაბნო ქანაანის აღთქმულ ქვეყნისაკენ მიმართულებით. ღმერთმა მისცა მათ დასალევი წყალი კლდისაგან და ყოველ დილით უგზავნიდა პურს მანანას სახით. როდესაც მათ სინაის მთას მიაღწიეს, უფალმა ათი მცნება და მოსეს რჯული მიანიჭა მათ. შემდეგ ისინი გამოვიდნენ უფლის სამეფოდან. მათ ევალებოდათ განსაკუთრებული სავანეს შექმნა, სადაც ლოცვით მიმართავდნენ ღმერთს. უფალმა მისცა მათ მღვდელები და მღვდელმთავრები შესაწირის მისაღებად. სავანეს ყველა ელემენტი იესო ქრისტეს მაუწყებელი იყო.

<u>აღთქმული ქვეყანა</u>. საბოლოოდ ისრაელიანებმა მიაღწიეს მას. გაგზავნეს 12 მსტოვარი, რათა გაეგოთ შესაძლოა თუ არა ამ მიწის ფლობა. ათი მათგანი დაბრუნდა და თქვა, რომ მიწა ძალზე

რთულია ფლობისათვის. სხვა ორმა მსტოვარმა – იესო ნოვეს ძემ და ქალებმა – სიმართლე თქვს ქანაანის ქვეყნის შესახებ და ურჩიეს მისი ფლობა. ისინი მეტყველებდნენ, თუ ისრაელიანებს გააჩნიათ უფლის აღთქმის რწმენა, მათ უნდა დაეუფლონ ამ მიწას. მაგრამ ხალხმა ათ მსტოვარს დაუჯერა და ამით ღმერთის რისხვა გამოიწვია. ამის შემდეგ ისინი მოგზაურობდნენ უდაბნოში 40 წლის განმავლობაში, სანამ არ მოკვდა ყველა, ვინც 20 წელზე უფროსი იყო ეგვიპტიდან გამოსვლისას.

იესო ნოვეს ძე მოსეს მოადგილე იყო. მან მიიყვანა ისრაელიანები ქანანის ქვეყანაში. პირველი ქალაქი, რომელიც მათ აიღეს, იეროხონი იყო, სადაც რახაბი ცხოვრობდა. შემდეგ მათ დაიპყრეს ქალაქ ჰაღაი.

მსაჯულნი. როდესაც ისრაელიანები დამკვიდრდნენ დედამიწაზე, მათ მსაჯულნი მართავდნენ; მაგრამ მათი ნამდვილი მეფე ღმერთი იყო. მსაჯულთა შორის იყვნენ გედეონი, იფთახი და სამსონი. ისინი ყველანი ანთავისუფლებდნენ ისრაელიანებს მტრებისაგან, რომლებიც მათი ცოდვების გამო ღმერთის მიმართ, ხშირად ეჭრებოდნენ. ისრაელის ისტორია სავსეა მათი ღმერთისადმი დაუმორჩილებლობის მაგალითებით, რომელთა გამოც ისინი დასჯილი იყვნენ. ამის შემდეგ ისრაელიანებმა მოინანიეს ცოდვები ღმერთის წინაშე და მან იხსნა ისინი მტრებისაგან, მაგრამ შემდეგ მათ კვლავ ჩაიდინეს ცოდვა. უკანასკნელი მსაჯული სამუელი იყო. მის დროს ისრაელიანებმა უარი თქვეს ღმერთზე, როგორც მათ მეფეზე და მოითხოვეს მეფედ ადამიანი.

მეფეები. პირველი მეფე, საული, თავდაპირველად კარგი ადამიანი იყო. მაგრამ, დროთა განმავლობაში, უზნეო გახდა. იგი არ ემორჩილებოდა ღმერთის დარიგებებს და დევნიდა დავითს. საულის სიკვდილის შემდეგ მეფედ დავითი გახდა. იგი ისრაელის ერთერთი საუკეთესო მეფე იყო. ღმერთმა მას დიდძალი აღთქმა მისცა. მის შემდეგ მეფედ მისი ვაჟი სოლომონი დანიშნეს. კარგი საწყისის შემდეგ იგი მოსცილდა ჭეშმარიტ რწმენას. თავისი უთვალამი

ცოლების გამო, რომლებიც მან მეზობელ ხალხისაგან აიყვანა. მისი სიკვდილის შემდეგ სამეფო ორ ნაწილად გაიყო: ათმა შტომ ისრაელის სამეფო შეადგინა, რომლის პირველი მეფე იერობოამი იყო. სხვა ორმა შტომ, იუდასი და ბენიამინის, იუდას სამეფო შექმნეს, რომლის პირველი მეფე რობოამი გახდა.

ისრაელის სამეფოს (10 შტო) არ ჰყოლია კარგი მეფე. ამ სამეფოს მაცხოვრებლები არ ემორჩილებოდნენ ღმერთს. იგი უგზავნიდა მათ წინასწარმეტყველებს, რომლებიც არწმუნებდნენ მიენანიათ, მაგრამ ხალხი არ უსმენდა მათ. ამიტომ, აშურელები შეიჭრნენ მათ ქვეყანაში და წაიყვანეს ტყვედ. შემდეგ ტყვეები დასახლდნენ მთელ მსოფლიოში. იუდას სამეფოს (2 შტო) ჰყავდა მხოლოდ რამოდენიმე პატიოსანი მეფე (მაგალითად, ასა, ხიზკია), მაგრამ ისინი კვლავ არ ემორჩილებოდნენ ღმერთს. ამიტომ ამ სამეფოში შესაჯრელად ბაბილონელები იყვნენ გამოგზავნილნი, რომლებმაც 70 წლით ბაბილონში ტყვედ აიყვანეს მოსახლეობა. ამის შემდეგ მათ საერთოდ არ ჰყავდათ მეფე. 70 წლის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ ისრაელში ეზრა, ნეემიასა, იესო ნოვეს ძისა (რომელიც ამ დროს მღვდელი იყო) და ზურუბაბელის ხელმძღვანელობით. უკანასკნელი შემდეგ მათი მეთაური გახდა. თავდაპირველად ისრაელიანები სპარსელებით მართავდნენ, შემდეგ ბერძნებით და საბოლოოდ რომაელებით. როდესაც იესო ქრისტე დაიბადა, ისინი რომის მეთაურობის ქვეშ იმყოფებოდნენ. იმის გამო, რომ ებრაელებმა უარყეს იესო, ღმერთმა გაგზავნე რომაელები იერუსალიმის გასანადგურებლად ახ. წ. აღ-ის 70 წელში, და საბოლოოდ ყველა ებრაელი გაიდევნა ისრაელის მიწიდან.

ბოლო ათწლეულში ებრაელებმა ისრაელში დაბრუნება დაიწყეს, რაც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების ნაწილის განხორციელებაა. ისრაელის სამეფოს აღორძინება იესოს დაბრუნებისა და ისრაელის სამეფოს აღდგენის როგორც ღვთის სასუფეველის უეჭველი ნიშანია.

თავი 5: საკითხები

1. ქვემოთ მოყვანილი მტკიცებებიდან, რომელი შეესაბამება ღვთის სასუფეველის დამყარების ჟამს?
   ა) იგი მარადიულად არსებობდა.
   ბ) ქრისტეს დაბრუნებისას.
   გ) პირველი საუკუნის ორმოცდაათობის დღეს.
   დ) მორწმუნეთა გულებში რწმენის მიღების დროს.

2. არსებობდა თუ არა ღვთის სასუფეველის წარსულში? თუ არსებობდა, რის სახით?

3. როგორ დასრულდა იგი?

4. რა არის ათასწლოვანი განმგებლობა?
   ა) მადლიერების გრძნობა ჩვენს გულებში.
   ბ) ზეცაზე მორწმუნეთა მეფობა 1000 წლის განმავლობაში.
   გ) დედამიწაზე ეშმაკის მეფობა 1000 წლის განმავლობაში
   დ) დედამიწაზე მომავალი ღვთის სამეფოს პირველი ათასწლეული.

5. როგორი იქნება სამეფო?

6. რას იზამენ ახლანდელი მორწმუნენი ათასწლოვან სასუფეველში?
   ა) უხელმძღვანელებენ მოკვდავ ხალხს.
   ბ) მართავენ ზეციდან.
   გ) ჩვენ არ ვიცით.
   დ) იცხოვრებენ სხვა პლანეტაზე.

7. შეტყობინება ღვთის სასუფეველის შესახებ ნაქადაგები იყო:
   ა) მხოლოდ ახალ აღთქმაში.
   ბ) მხოლოდ იესოთი და მოციქულებით.
   გ) როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში
   დ) მხოლოდ ძველ აღთქმაში.

თავი 6

ღმერთი და ცოდვა

6.1 ღმერთი და ცოდვა

უამრავ ქრისტიანულ სექტების წევრებს და ასევე სხვა ხალხს, რომელიც სხვა რელიგიებს მისდევს, სწამს ურჩხულის, სახელად სატანას, არსებობა, რომელიც პრობლემებს გვიქმნის და ასევე პასუხს აგებს ჩვენი ცოდვების გამო. ბიბლია აშკარად გვასწავლის, რომ ანგელოზებს არ შეუძლიათ ცოდვის ჩადენა. თუ ჩვენ გულწრფელად გვწამს ეს დებულება, მაშინ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სამყაროში არ არსებობს ფრიადბუნებრივი არსება, რომელიც შეძლებს ღმერთთან შეპირისპირებას. ხოლო თუ ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი არსება <u>ნამდვილად</u> არსებობს, ამით ჩვენ ეჭვი შეგვაქვს ღმერთის უპირატესობაში. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი სწორი გაგება უნდა განიხილოს, როგორც განსაკუთრებული დოქტრინა. ლექსი ებრ 2:14 მეტყველებს, რომ იესომ გაანადგურა ეშმაკი თავისი სიკვდილით; ამიტომ, თუ ჩვენ არ გვექნება სწორი წარმოდგენა სიკვდილზე, ჩვენ ვერ შევძლებთ იესოს ბუნებისა და საქმეების გაგებას.

საერთოდ სამყაროში, და განსაკუთრებით ეგრედ წოდებულ "ქრისტიანულ" სამყაროში, არსებობს იდეა, რომ სხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო ღმერთისაგან მოდის, ხოლო ცუდი – ეშმაკისაგან ანუ სატანისაგან. ეს იდეა ახალი არ არის, იგი დამახასიათებელია არა მარტო ქრისტიანობის გარიყულთათვის. ბაბილონელებს, მაგალითად, სწამდათ ორი ღმერთის არსებობა – სიკეთის, სინათლის ღმერთისა და ბოროტი, ბნელი ღმერთის. ისინი თვლიდნენ, რომ ეს ღმერთები განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს. სპარსეთის მეფეს, კიროსს, ასევე სწამდა ამის. ამიტომ ღმერთმა უთხრა მას: "მე უფალი ვარ და მეტი არავინაა, <u>არ არის</u> ღმერთი <u>ჩემს გარდა</u>... ნათელის გამომსახველი და ბნელის შემქმნელი, მშვიდობისმყოფელი და ჭირის შემქმნელი. მე ვარ უფალი, ამის ყოვლის შემოქმედი" (ეს 45:5-7, 22). ღმერთი ქმნის სამყაროს, იგი ქმნის ბოროტებასა და უბედურებებს. ამ გაგებით ღმერთი – ავტორია, "ჭირის" შემქმნელი. და ამ გაგებით არსებობს სხვაობა "ჭირისა" და ცოდვის შორის, რომელსაც ადამიანი იდენს. ცოდვა

სამყაროში ცოდვილ ადამიანთან ერთად შემოვიდა; იგი არ იყო შეყვანილი ღმერთის მიერ (რომ 5:12).

ღმერთმა უთხრა კიროსს და ბაბილონის მაცხოვრებლებს: "... არ არის (სხვა) ღმერთი ჩემს გარდა". ძველებრაელური სიტყვა "el", ნათარგმნი როგორც "ღმერთი" ძირითადად "ძალასა და ძალის წყაროს" ნიშნავს. ღმერთი ამბობს, რომ არ არსებობს ძალის წყარო მის გარდა. და ამიტომ ჭეშმარიტ მორწმუნეს არ შეუძლია მიიღოს სატანის ანუ ეშმაკის იდეა.

<u>ღმერთი: უბედურების შემოქმედი</u>

ბიბლიას გააჩნია უამრავი მაგალითი, თითქოს ღმერთს შემოაქვს "ჭირი" ხალხთა ცხოვრებაში. ამოს 3:6 აღნიშნავს, თუ ქალაქში არსებობს ბოროტება, ღმერთმა დაუშვა იგი. მაგალითად, თუ ქალაქში მიწისძვრა მოხდა, ხალხი ხშირად აბრალებს ამას "ეშმაკს". მაგრამ ჭეშმატიტ მორწმუნეს უნდა ესმოდეს, რომ ამის პასუხისმგებელი <u>ღმერთია</u>. ასე, მიქ 1:12 მეტყველებს: "უბედურებამ ჩამოაღწია უფლისგან იერუსალიმის კარიბჭემდე". იობის წიგნში ვკითხულობთ, თუ როგორ იობმა, ერთგულმა ადამიანმა, დაკარგა ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გააჩნდა. წიგნი გვასწავლის, რომ "ბოროტების" გამოცდილება ადამიანის ცხოვრებაში არა პროპორციულია მის მორჩილებისადმი ანუ დაუმორჩილებისადმი ღმერთის მიმართ. იობი აღიარებდა, რომ "უფალმა მომცა, უფალმა წაიღო" (იობ 1:21). მან არ თქვა: "უფალმა მომცა და ეშმაკმა წამართვა". მან უპასუხა თავის ცოლს: "სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა" (იობ 2:10). წიგნის დასასრულს ახლობლებმა "ანუგეშეს... იმ განსაცდელის გამო, რაც უფალმა მოუვლინა მას" (იობ 42:11; შდ. 19:21; 8:4). ამრიგად, ღმერთი ბოროტების წყაროა იმ მნიშვნელობით, რომ ის არის ჩვენი ცხოვრების პრობლემების საბოლოო გადამწყვეტი.

"რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი... თუ თქვენ ითმენთ წვრთნას... მაგრამ შემდგომში სიმართლის მშვიდობიან ნაყოფს აძლევს მას, ვინც მის მიერ განისწავლა" (ებრ 12:6-11). ეს სიტყვები ამტკიცებენ, რომ იმ გამოცდილებებს, რომლებსაც

ღმერთი გვიგზავნის, საბოლოოდ ჩვენ სულიერ ზრდისაკენ მივყევართ. ღვთის სიტყვა საკუთარ თავს შეუპირისპირდებოდა, თუ იტყოდა, რომ უფალი გვაიძულებს ცოდვისა და უსამართლობის ჩადენას, და ამასთანავე შემოაქვს ისეთი პრობლემები ჩვენს ცხოვრებაში, რომლებიც "სიმართლის მშვიდობიან ნაყოფის" განვითარებისაკენ მიმართულნი არიან. ორთოდოქსალური იდეა ეშმაკის შესახებ ქმნის სერიოზულ პრობლემას. ამ შემთხვევაში დიდ სირთულეს გაგებისათვის ის ნაწყვეტები წარმოადგენენ, რომლებიც ადამიანის სატანასთან მიყვანაზე მეტყველებენ, "რათა სული გადარჩეს", ან "რათა ისწავლონ (ხალხმა), რომ აღარ დაგმონ" (1 კორ 5:5; 1 ტიმ 1:20). თუ ეშმაკი რეალურად ისეთი არსება არის, რომელიც აიძულებს ხალხს ცოდვის ჩადენას და ახდენს <u>უარყოფით</u> სულიერ გავლენას, მაშინ რატომ ეს ნაწყვეტები მეტყველებენ მასზე <u>დადებითად</u>? პასუხი იმაში შედგება, რომ "სატანას" ანუ ცხოვრების სირთულეებს, ხშირად დადებით სულიერ შედეგამდე მივყევართ.

თუ ჩვენ გვწამს, რომ ბოროტება ღმერთისაგანაა, ჩვენ ვერ შევძლებთ ლოცვას თხოვნით ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად. თუ იგი არ აკეთებს ამას, მაშინ ჩვენ ვიცით, რომ ბოროტება ღმერთმა გამოგვიგზავნა სულიერი ზრდისათვის. თუ ჩვენ გვწამს სატანის ან ეშმაკის არსებობა, რომელიც ქმნის ჩვენს პრობლემებს, მაშინ ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი საშუალება მასთან ურთიერთგაგების. ძალღონის დანაკლისი, ავადმყოფობა, უეცარი სიკვდილი ან უბედურება — უნდა მიღებული იყოს როგორც წარუმატებლობა. თუ ეშმაკი ძლიერ, ცოდვილ ანგელოზს წარმოადგენს, იგი ჩვენზე ბევრად ძლიერი იქნება, და ჩვენ არავითარი არჩევანი არ გვექნება, გარდა იმისა, რომ დავემორჩილოთ მას. და პირიქით, ჩვენ ვანუგეშებთ თავს, რომ ღმერთის მეთაურობით "ყველაფერი (ცხოვრებაში) ეწევა სასიკვდილოდ" (რომ 8:28). ამიტომ, მორწმუნეთა ცხოვრებაში არ აქვს ადგილი ასეთ გაგებას, როგორიც "წარმატებაა".

ცოდვის წარმოშობა

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოდვა ჩვენგან გამომდინარეობს და ჩვენს ცოდვაში ჩვენვე ვართ დამნაშავე. რასაკვირველია, უფრო სასიამოვნო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ჩადენილ ცოდვებზე. ეს თუ ნამდვილად ასე ყოფილიყო, ჩვენ შევძლებდით თავისუფლად ცოდვის ჩადენას და გავიმართლებდით თავს იმით, რომ ჩადენილზე პასუხისმგებელი ეშმაკია. არ არის საკვირველი, რომ ცოდვილნი ხშირად იმართლებენ თავს იმით, რომ შეცდომის ან დანაშაულის ჩადენის მომენტში მათ ეშმაკი მართავდა, და, თითქოს, მათ არ შეუძლიათ საკუთარი საქციელის პასუხისმგებელნი იყვნენ. სრულიად საფუძვლიანია, რომ ამგვარი მომიზეზება სერიოზულად არ მიიღება, და ცოდვილნი იღებენ "საზღაურს".

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ "ცოდვის საზღაური სიკვდილია" (რომ 6:23); თუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენ არ ვაგებთ პასუხს და პასუხისმგებლობა ეშმაკს ევალება, მაშინ სამართლიანმა ღმერთმა უნდა დასაჯოს ეშმაკი და არა ჩვენ. მაგრამ ჩვენ საკუთარ ცოდვების გამო, ჩვენ განგვსჯიან და ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ თვითონ ვაგებთ პასუხს მათზე. ეშმაკის დანაშაულის აზრს ჩვენი ცოდვების გამო მიზნად აქვს დასახული ჩვენი პასუხისმგებლობის მოხსნა. კიდავ ერთი მაგალითი, რომელიც ხსნის ბიბლიის სწავლებას კაცობრიობის ცოდვილ ბუნებაზე ხალხთა უარყოფის მიზეზს.

"<u>არაფერია</u> ადამიანის გარეთ ისეთი, რასაც მასში შესვლით შეეძლოს მისი წაბილწვა... ვინაიდან ადამიანის გულიდან გამოდის ბოროტი ზრახვანი, სიძვანი, ქურდობანი, მკვლელობანი... ამპარტავნობა და უგუნურობა. ყველა ეს ბოროტება შიგნიდან გამოდის და ბილწავს ადამიანს" (მარკ 7:15-23). ჩვენს გარეთ, რაღაც ცოდვის სუბსტანციის არსებობა, რომელიც ჩვენში შემოდის და გვაიძულებს ცოდვის ჩადენას, არავითარი კავშირი არ გააჩნია ქრისტეს მოძღვრებასთან. <u>შიგნიდან,</u> ადამიანის გულიდან, გამოდის <u>ყველა</u> ცოდვილი აზრი. ამიტომ წარღვნის დროს ღმერთმა თქვა: "ბოროტებისაკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი

სიყრმიდანვე" (დაბ 8:21). იაკობი გვეკითხება: "თუ არა თქვენივე გულისთქმათაგან" (იაკ 4:1). ყველა ჩვენთაგანს გააჩნია პირადი, დამახასიათებელი ცდუნება. ისინი ჩვენი ცოდვილი სურვილებით არიან შექმნილნი და მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნიან. სწორად ამბობენ, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მტრები.

წერილი რომაელთა მიმართ მეტყველებს, ძირითადად ცოდვაზე: მასში განხილულია ცოდვის წარმოშობა და მისი გადალახვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მიმართვაში იშვიათად გვხვდება შეხსენება ეშმაკზე ან სატანაზე, პავლე არ იხსენებს მათ, როდესაც ცოდვის წარმოშობაზე საუბრობს. იგივე შეიძლება იყოს ნათქვამი ეშმაკის კონცეპციაზე ახალ აღთქმაში. თუ ნამდვილად არსებობს არსება, რომელიც აიძულებს ადამიანს ცოდვის ჩადენას, მაშინ მასზე არაერღვევ იქნებოდა ნათქვამი ძველ აღთქმაში. მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ღრმა და არა ორაზროვანი დუმილია. მსაჯულთა ან ისრაელიანების უდაბნოში ყოფნის პერიოდის აღწერა გვიჩვენებს, რომ ებრაელებმა იმ დროს უამრავი ცოდვა ჩაიდინეს. მაგრამ ღმერთი არ აფრთხილებდა მათ არავითარ ძლიერ არსებაზე ან ძალაზე, რომელსაც შეეძლო დაეძალებინა ცოდვის ჩადენა. ამის ნაცვლად იგი მოუწოდებდა მათ მის სიტყვისაკენ, რათა არ ყოფილიყვნენ თავიანთი სხეულის გავლენის ქვეშ (მაგ., რჯლ 27:9, 10; იესო 22:5).

პავლე ჩიოდა: "ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში, არ იმყოფება კეთილი... არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს... ხოლო თუ იმას ვაკეთაბ, რაც არა მსურს, მე კი აღარ ვაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული" (რომ 7:18-20). იგი არ სდებს ჩადენილი ცოდვის დანაშაულს სხვა არსებაზე, რომელსაც ეშმაკი ჰქვია. იგი ამბობს თავის ცოდვილ ბუნებაზე, როგორც ცოდვის რეალურ წყაროზე: "მე კი არ გავაკეთებ, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია დამკვიდრებული. ამრიგად, ვპოულობ ამ რჯულს (ჩამში) კეთილის გაკეთება მსურს და ბოროტი გვერდით მიწევს" (რომ

7:20, 21). პავლე აღნიშნავს, რომ სულიერის საწინააღმდეგო წარმოიშობა იქიდან, რასაც ის "ცოდვა, რომელიც ჩემშია" უწოდებს. ყოველი მოაზროვნე და სულიერად დავჯილდოებული ადამიანი ამავე თვითშეცნებამდე მივა. უნდა ვთქვათ, რომ ასეთმა სწორუპოვარმა მორწმუნემ, როგორიც პავლეა, არ განიცადა თავისი ბუნების შეცვლა ქრისტიანობაში გადასვლისას, და არ იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომეშიც ვერ შეძლებდა ცოდვის ჩადენას. თანამედროვე "სახარებისეული მოძრაობის" წევრები ამტკიცებენ, რომ ისინი ამგვარ მდგომარეობაში იმყოფებიან და ამავე დროს პავლეს "დაუხსნელთა" რიგში სვავენ რომ 7:15-21. ეს ლექსები მათი მიჩემების ძირითად სირთულეს ადასტურებენ. სხვა უეჭველად მართლმორწმუნე ადამიანი, დავითი, ასევე გამოხატავდა ზრუნვას თავისი ბუნების მუდმივი ცოდვიანობის შესახებ: "რადგან ვიცი ჩემი დანაშაული და ცოდვა მუდამ თვალწინ მიდგას" (ფსალმ 51:5).

ბიბლია საკმაოდ ზუსტად მეტყველებს ადამიანის ბუნების ფუნდამენტალურ ცოდვიანობაზე. თუ მას სწორედ აღვიქვამთ, არ იქნება იმ არსების წარმოდგენის აუცილებლობა, რომელიც ადამიანური ბუნების გარეთ იმყოფება და ჩვენს ცოდვებზე აგებს პასუხს. იერემ 17:9 ამბობს, რომ ადამიანის გული იმდენად უზნეო და მაცდურია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი ცოდვის ზუსტი ზომები. შეუძლებელია უფრო ნათლად თქვა, ვიდრე ეკლ 9:3 ნათქვამია: "ადამიანის ძეთა გილებიც აღსავსეა სიბოროტით". ეფეს 4:18 ამგვარად არის ახსნილი ადამიანის ღმერთისაგან ბუნებრივი მოცილების მიზეზი: "<u>თავიანთი</u> უმეცრებისა და <u>გულქვაობის</u> გამო". სულიერად ბრმა და უმეცრო გულების გამო, ჩვენი აზროვნება გვაშორებს ღმერთს. ამის თანახმად ჟრერს სიტყვები, გალ 5:19 "ხორცის საქმეების" შესახებ; ეს ჩვენი საკუთარი სხეული, ჩვენი ყოფიერება და ბუნება გვაიძულებენ ცოდვის ჩადენას. არც ერთი ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი არ ხსნის ცოდვის წარმოშობას ჩვენში, როგორც ეშმაკის შეტანილს. დაბადებიდანვე ჩვენ გაგვაჩნია ცოდვილი ტენდენციები, რომლებიც ადამიანის ხასიათის ძირითად ნაწილს შეადგენენ.

6.2 ეშმაკი და სატანა

სიტყვა "სატანა" წარმოადგენს გადაუთარგმნელ ძველებრაელურ სიტყვას, რომელიც "მოპირისპირეს" ნიშნავს; ამავე დროს სიტყვა "ეშმაკი" არის ბერძნული სიტყვის "**diabolis**" თარგმანი, რაც "ცრუს, მტერსა და ცრუმბრალდებელს" აღნიშნავს. თუ ჩვენ გვწამს, რომ სატანა და ეშმაკი არსებობენ და ჩვენი ცოდვების პასუხისმგებელნი არიან, მაშინ როდესაც არ უნდა შეგვხვედრილიყვნენ ეს სიტყვები ბიბლიაში, ჩვენ მათ ცოდვილ ადამიანს დავუკავშირებდით. ამ სიტყვების ბიბლიური გამოყენება გვიჩვენებს, რომ მათგან წარმოიშვება ჩვეულებრივი ხალხის აღმწერი ზედსართავი სახელები. ეს ფაქტი დაუშვებელს ხდის იმ აზრს, რომ სიტყვები სატანა და ეშმაკი, როგორც ისინი ბიბლიაში არიან გამოყენებულნი, ეკუთვნიან ჩვენში მყოფ ცოდვილ პიროვნებას ან არსებას.

<u>სიტყვა "სატანა" ბიბლიაში</u>

3 მეფ 11:14 ვკითხულობთ: "გაუჩინა უფალმა მტერი (იგივე ძველებრაელური სიტყვა, რომელიც სხვა ადგილებში ნათარგმნია როგორც "სატანა") სოლომონს: ედომელი ჰადადი"; და შემდეგ: "კიდევ გაუჩინა მას უფალმა მტერი (სხვა სატანა)... ისრაელის მტერი (სატანა) იყო ის" (3 მეფ 11:23, 25). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთმა გაუჩინა ფრიადბუნებრივი პიროვნება ან ანგელოზი, რომელიც სატანა (მტერი) იქნებოდა სოლომინისათვის; იგი ჩვეულებრივ ხალხს უჩენდა. მათ 16:22, 23 აღწერილია სხვა მაგალითი. პეტრე ცდილობდა დაერწმუნა იესო არ წასულიყო იერუსალიმში სიკვდილის მისაღებად. იესო მობრუნდა და უპასუხა პეტრეს: "მომცილდი სატანავ! ჩემი საცდური ხარ, ვინაიდან ფიქრობ არა იმაზე, რაც ღვთიურია, არამედ იმაზე, რაც ადამიანურია". ასე, პეტრეს სატანა ეწოდა. აქ კრისტალურად

ნათელია, რომ ქრისტე ანგელოზს ან ეშმაკს არ ესაუბრებოდა, როდესაც ამბობდა ამ სიტყვებას; იგი პეტრეს მიმართავდა.

რადგან სიტყვა "სატანა" მოპირისპირეს აღნიშნავს, მაშინ კარგ ადამიანს და თვით ღმერთსაც კი შესაძლოა ეწოდოს "სატანა". არსებითად, ეს სიტყვა არავითარ ცოდვას არ წარმოადგენს. ცოდვის ელფერი, რომელიც სიტყვა "სატანა"-ს გააჩნია, ნაწილობრივ იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ჩვენი ცოდვილი ბუნება თვითონ არის ჩვენი მოწინააღმდეგე და "სატანა". ეს ელფერი ასევე შეესაბამება ხალხის ენაში ამ სიტყვის გამოყენებას ცოდვასთან დაკავშირებით. ღმერთსაც კი შეუძლია იყოს ჩვენთვის სატანა, რადგან მას შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში განსაცდელი. მაგრამ, თუ ჩვენ ვუწოდებთ ღმერთს "სატანას", ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თვითონ "ცოდვილია".

"მეფეთა" და "ნეშტთა" წიგნები ასევე გვაძლევენ ამ ეპიზოდების აღწერას; ოთხი ნაწყვეტი სახარებიდან ერთა და იმავე ფაქტზე მეტყველებს, მაგრამ ამისთვის განსხვავებულ სტილისტიკურ ხერხებს მიმართავს. ლექსში 2 მეფ 24:1 ნათქვამია, რომ ღმერთმა დაავალა დავითს ისრაელის მოსახლეობის აღწერა. ამ მოვლენის შესაბამისი აღწერა 1 ნეშტ 21:1 მოცემულია ამგვარად: "სატანა ადგა ისრაელზე და ისრაელის აღრიცხვის სურვილი აღუძრა დავითს". ერთ ნაწყვეტში ნათქვამია, რომ ღმერთმა აიძულა დავითს აღწერა ჩაეტარებინა, ხოლო სხვა ნაწყვეტში, სატანა გზავნის მას. ერთერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ აქედან შედგება იმაში, რომ ღმერთი დავითის მიმართ "სატანის" ან მოწინააღმდეგის სახით გამოდიოდა. იგივე გაუკეთა ღმერთმა იობს, როდესაც გაუგზავნა საცდელი ცხოვრებაში. იობმა თქვა მასზე ამგვარად: "მტარვალად მექეცი, შენი ძლიერი მკლავით მებრძვი" (იობ 30:21); ფაქტიურად იობმა თქვა: "შენ მოქმედებ ჩემს წინააღმდეგ როგორც სატანა".

<u>სიტყვა "ეშმაკი" ბიბლიაში</u>

იგივე სიტყვა "ეშმაკს" ეხება. იესომ თქვა: "თორმეტი (მოციქული) არ აგირჩიეთ? ერთი თქვენგანი ეშმაკია". იგი იუდა ისკარიოტელზე

მეტყველებდა, რომელიც ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანი იყო. ის არ საუბრობდა რქებიან პიროვნებაზე ან, ეგრედ წოდებულ, სულზე. სიტყვა "ეშმაკი" ეკუთვნის აქ ცოდვილ ადამიანს. 1 ტიმ 3:11 სხვა მაგალითს გვაძლევს. მღვდლების ცოლები არ უნდა იყვნენ "ცილისმწამებლები". აქ პირველადი ბერძნული სიტყვა არის "**diabolis**", რომელიც სხვა ადგილებში არის ნათარგმნი როგორც "ეშმაკი". ასე პავლე აფრთხილებს ტიტეს, რომ ეკლესიაში ხანში შესული ქალები "ცილისმწამებლები" ანუ "ეშმაკნი" არ უნდა იყვნენ (ტიტ 2:3). იგივე მან ტიმოთეს უთხრა (2 ტიმ 3:1, 3): "უკანასკნელ დღეებში... <u>ადამიანები</u> იქნებიან... მგმობელნი (ეშმაკნი)". ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ფრიადადამიანებად იქცევიან, მაგრამ ისინი ბევრად ცოდვილნი იქნებიან. სრულიად ნათელია, რომ სიტყვები "ეშმაკი" და "სატანა" არ ეკუთვნიან დაცემულ ანგელოზს ან სხვა ცოდვილ არსებას.

<u>ცოდვა, სატანა და ეშმაკი</u>

სიტყვები "სატანა" და "ეშმაკი" ჩვენში მყოფ ბუნებრივ ცოდვილ მიდრეკილებების გამოსახატად გამოიყენებიან, რის შესახებ ჩვენ ვისაუბრებთ ნაწილში 6.1. ეს ჩვენი ძირითადი "სატანა" ან მოწომააღმდეგე არის. ეს სიტყვები ასევე შესაძლოა იყოს გამოყენებული გასასულიერებლად, და ამ შემთხვევაში ისინი აღნიშნავენ "ეშმაკს", როგორც ჩვენს მოწინააღმდეგეს, ცილისმწამებელს. ეს – ისაა, რასაც წარმოადგენს ჩვენი ბუნებრივი "ადამიანი" – ნამდვილი ეშმაკი. კავშირი ეშმაკისა და ჩვენში მყოფ ცოდვილ სურვილებს შორის, აშკარად არის გამოხატული რამოდენიმე ნაწყვეტში. "რაკი ბავშვები (ჩვენ) სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც (იესო) ეზიარა მათ, რათა (თავისი) სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი" (ებრ 2:14). აქ ნათქვამია ეშმაკზე, როგორც სიკვდილის პასუხისმგებელ არსებაზე, მაგრამ "ცოდვის საზღაური სიკვდილია" (რომ 6:23). ამიტომ, ცოდვა და ეშმაკი ერთმნიშვნელოვან გაგებით იხმარებიან. ამის მსგავსად, იაკ

1:14 მეტყველებს, რომ ჩვენს ცოდვილ სურვილებს ცდუნებაში შევყავართ და ისინი ცოდვისაკენ მოგვიწოდებენ და, აქედან გამომდინარე, სიკვდილისაკენ; ებრ 2:14 აღნიშნავს, რომ ეშმაკს სიკვდილი მოაქვს. ამავე ლექსში ნათქვამია, რომ იესოს ჩვენი ბუნება ჰქონდა ეშმაკის განადგურებლად. ეს კონტრასტულად უპირისპირდება რომ 8:3: "ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებაში (ესე იგი, ჩვენ ადამიანურ ბუნებაში) და ცოდვის გამო მსჯავრი დასდო ცოდვას ხორცში". აქ ნაჩვენებია, რომ ეშმაკი და ცოდვისაკენ მიდრეკილება, რომელიც ჩვენ ადამიანურ ბუნებას გააჩნია, არსებითად ერთი და იგივეს წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ იესო ასეთივე ცდუნებას განიცდიდა, როგორც ჩვენ. ეშმაკის შესახებ სწავლების გაუგებრობა იესოს ბუნებისა და საქმეების ჩვენ არასწორ წარმოდგენას აღნიშნავს. მხოლოდ იმიტომ, რომ იესოს ჩვენი ადამიანური ბუნება, "ეშმაკი" გააჩნდა, ჩვენ შეგვიძლია ხსნის იმედი ვიქონიოთ (ებრ 2:14-18; 4:15). ბიბლიური ეშმაკის, თავისი საკუთარი ბუნების სურვილების გადალახვით, იესომ შეძლო ეშმაკის განადგურება ჯვარზე (ებრ 2:14). თუ ეშმაკი პიროვნება ყოფილიყო, მაშინ იგი ვერ იარსებებდა. ებრ 9:26 მეტყველებს, რომ ქრისტე "გამოჩნდა თავისი მსხვერპლით ცოდვის აღსაკვეთად". ებრ 2:14 აიგივებს ამას დებულებასთან, რომ თავისი სიკვდილით ქრისტემ ეშმაკი გაანადგურა. იესომ თავისი სიკვდილით გააუქმა "ცოდვის სხეული" (რომ 6:6), ესე იგი, ადამიანის ბუნება, ცოდვა, რომელიც ჩვენ სხეულებში მჟღავნდებოდა.

"ცოდვის ჩამდენი ეშმაკისგან არის" (1 იოან 3:8), იმიტომ რომ ცოდვა არის ჩვენი საკუთარი ცოდვილი სურვილების დათმობის შედეგი (იაკ 1:14, 15), რომლებსაც ბიბლია "ეშმაკს" უწოდებს. "ამისათვის გამოჩნდა ძე ღვთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმენი" (1 იოან 3:8). თუ ჩვენ არ ვცდებით მსჯელობის დროს, რომ ეშმაკი ჩვენ ცოდვილ სურვილებს წარმოადგენს, მაშინ ამ ცოდვილი სურვილების შედეგი ცოდვაა, ეს შეესაბამება 1 იოან 3:5: "იგი (იესო) გამოჩნდა, რათა იტვირთოს ჩვენი ცოდვები". ეს ჩვენ დასკვნას ამტკიცებს, რომ "ჩვენი ცოდვები" და "ეშმაკის საქმე" –

ერთი და იგივეა. საქ 5:3 ეშმაკისა და ჩვენი ცოდვების კავშირის სხვა მაგალითს გვაძლევს. პეტრემ უთხრა ანანიას: "რატომ აღავსო ჩენი გული სატანამ, რომ მოგეტყუებინა სულიწმიდა?" ჩვენი გულის ავსება რაიმეთი იგივეა, რაც ჩვენი გულის ავსება სატანით. თუ ჩვენ თვითონ ვავსებთ გულს რაიმეთი, მაგალითად, ცოდვილი გეგმით, მაშინ ის იღებს საწყისს ჩვენში. თუ ქალში ნაყოფი ჩაისახა, იგი მის გარეშე არ არსებობს, ის მასში ვითარდება. იაკ 1:14, 15 იმავე გაგებას იყენებს, რათა აღწეროს თუ როგორ "გულისთქმა ჩასახავს და შობს ცოდვას. ჩადენილი ცოდვა კი შობს სიკვდილს". ფსალმ 109:6 ადარებს ცოდვილ ადამიანს ეშმაკთან: "დააყენე მის მიმართ ბოროტი და ეშმაკი დადგეს მის მარჯვნივ", ესე იგი, უბრძანებდეს მას (შდ. ფსალმ 110:1).

გასულიერება

მაგრამ თქვენ სრულიად საფუძვლიანად შეგიძლიათ თქვათ: "ეს საუბარი ეშმაკზე ისე მიმდინარეობს, თითქოს იგი ადამიანი იყოს!" და ეს მართალი იქნება. ებრ 2:14 მეტყველებს მასზე, როგორც სიკვდილის სახელმწიფოს მქონეზე. ბიბლიის ზედაპირული კითხვაც კი გვიჩვენებს, რომ მასში ხშირად მოქმედებს გასულიერების იდეა, საუბარი აბსტრაქტულ გაგების შესახებ, როგორც ადამიანზე. ასე, იგავნ 9:1 ნათქვამია ბრძენი ქალის შესახებ, რომელმაც ააშენა სახლი, ხოლო რომ 6:23 ცოდვა სულიერდება მოლარეს სახით, რომელიც სიკვდილით იძლევა საზღაურს. უფრო დაწვრილებით ეს საკითხი განხილულია გადახვევა 5. ეშმაკი, **"diabolis**" ხშირად წარმოადგენს ჩვენს ცოდვილ სურვილებს. მაგრამ შეუძლებელია ადამიანს ჰქონდეს აბსტრაქტული "სატანიზმი". ადამიანის გულში ჩასახულ ცოდვილ სურვილებს არ შეუძლიათ არსებობა ადამიანისაგან დამოუკიდებლად; ამიტომ "ეშმაკი" სულიერდება. ცოდვა ხშირად გამოდის ბატონის სახით (მაგ., რომ 5:21; 6:6, 17; 7:3). აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ "ეშმაკი" ასევე სულიერდება; და ამასთანავე "ცოდვას" ეკუთვნის. ამრიგად, პავლე მეტყველებს ჩვენზე, როგორც ჩვენს სხეულში მყოფ გაორებულ

პიროვნებაზე (რომ 7:15-21), სადაც სხეულის ადამიანი, "ეშმაკი", ებრძვის სულიერ ადამიანს.
მაგრამ სრულიად გასაგებია, რომ ჩვენში სიტყვასიტყვით არავითარი მობრძოლე პიროვნება არ არსებობს. ჩვენი ბუნების ეს ცოდვილი ნაწილი გასულიერებულია სიტყვით "ბოროტი" წიგნში მათ 6:13, ბიბლიური ეშმაკის მნიშვნელობით. 1 კორ 5:13 იგივე "ბოროტის" აღმნიშვნელი სიტყვა ნათარგმნია, როგორც "უკეთური" და ამით ნაჩვენებია, რომ როდესაც ადამიანი უთმობს ცოდვას, ესე იგი, თავის "უკეთურს", იგი თვითონვე "ბოროტი" ანუ "ეშმაკი" ხდება.

<u>"ეშმაკი" და "სატანა" პოლიტიკურ კონტექსტში</u>

სუტყვები "ეშმაკი" და "სატანა" გამოიყენება ასევე ცოდვილ და მანკიერ სამყაროს აღწერაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. კაცობრიობის საზოგადო, პოლიტიკურ და ფსევდო-რელიგიურ იერარქიების შესახებ შესაძლოა ისაუბრო "ეშმაკის" მნიშვნელობით. ეშმაკი და სატანა ახალ აღთქმაში ხშირად ეკუთვნიან ებრაელურ და რომაულ სისტემების პოლიტიკურ და საზოგადო ხელისუფლებას. ასე ჩვენ ვკითხულობთ ეშმაკის შესახებ, რომელიც აგდებს მორწმუნეებს საპყრობილეში (გამოცხ 2:10); აქ იგულისხმება რომაული ხელისუფლება, რომელიც სვამს მორწმუნეს ციხეში. ამავე კონტექსტში ჩვენ ვკითხულობთ პერგამის ეკლესიის შესახებ, რომელიც სატანას ტახტის მახლობლად მდებარეობს, ესე იგი, აქ საუბარია რომაული კოლონიის მართველობის ადგილსამყოფელის შესახებ, რომელიც პერგამში იყო და სადაც ასევე მორწმუნეთა ჯგუფი იმყოფებოდა. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სატანას თვითონ, თუ იგი არსებობდა, პირადად ჰქონდა ტახტი პერგამში.

ინდივიდუალური ცოდვა განისაზღვრება როგორც ღმერთის რჯულის დარღვევა ცალკეულ ადამიანით (1 იოან 3:4). მაგრამ ცოდვა, გამოხატული კოლექტიურად, როგორც პოლიტიკური და საზოგადო ძალა ღმერთის წინააღმდეგ, არის უფრო ძლიერი, ვიდრე ინდივიდუალური. ამ კოლექტიურ ძალას, რომელიც ზოგჯერ გამოიხატება ძლიერი არსებით, ეშმაკს უწოდებენ. ამ გაგებით

ირანი და სხვა ისლამური ქვეყანა უწოდებენ შეერთებულ შტატებს "დიდძალ სატანას", ესე იგი, მათი კურსის პოლიტიკურ და რელიგიურ მიმართულების დიდ მოწინააღმდეგეს. ეს ერთერთი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ სიტყვები "ეშმაკი" და "სატანა" ხშირად გამოყენებულია ბიბლიაში.

დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ ამ საკითხის შესახებ, უფრო ვიდრე სხვა რომელიმეზე, მნიშვნელოვანია ჩვენი გაგების დაყრდნობა საერთო დასკვნაზე, გამოტანილ მთელ ბიბლიიდან, და არა რამდენიმე ლექსიდან, რომელიც შეიცავს წარმავალ ფრაზებს, გავრცელებულ აზრის შესახებ ეშმაკზე. წიგნის ნაწილები 6.1 და 6.2 სასარგებლოა გადავიკითხოთ. მათში მოკლედ არის გადმოცემული ის შეხედულება, რომელიც გვაძლევს ყველა ნაწყვეტის, ეშმაკისა და სატანის შესახებ სწორ გაგებას. ეს სიტყვები შესაძლოა იხმარებოდეს ჩვეულებრივ ზედსართავ სახელების შესაქმნელად ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ცოდვას ეკუთვნოდეს, რომელიც ჩვენი ადამიანური ბუნების დანაშაულია. განმარტების დროს, ზოგიერთი ძალზე დამახინჯებული ნაწყვეტები, რომლებიც მოყვანილნი არიან გავრცელებული თქმულებების მხარდასაჭერად, განიხილება ამ თავის ბოლოს მოცემულ გადახვევაში.

6.3 დემონები

წინამავალ ორ სტატიაში ჩვენ აგიხსენით, თუ რატომ არ გვწამს სატანისა და ეშმაკის არსებობა, როგორც პიროვნების ან ურჩხულის. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ბუნებაში ასეთი არსების არყოფნის შესახებ, აქედან გამომდინარეობს დასკვნა ასევე დემონების არყოფნაზე, რომლებიც, როგორც ხალხში ითვლება, ეშმაკის მსახურნი არიან. უამრავი ხალხი ფიქრობს, რომ ღმერთი

მხოლოდ სიკეთეს გვიკეთებს ცხოვრებაში, ხოლო ეშმაკებსა და დემონებს ბოროტება მოაქვთ.

ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთი არის მთელი ძალის წყარო (იხ. სტატია 6.1) და რომ იგი აგებს პასუხს როგორც სიკეთეზე, ასევე სიავეზე ჩვენს ცხოვრებაში: –

> "ნათლის გამომსახველი და ბნელის შემქმნელი, მშვიდობისმყოფელი და ჭირის შემქმნელი. მე ვარ უფალი, ამის ყოვლის შემოქმედი" (ეს 45:7).
>
> "უბედურებამ ჩამოაღწია უფლისგან იერუსალიმის კარიბჭემდე" (მიქ 1:12).
>
> "თუ ახმიანებულა ბუქი ქალაქში და ხალხს არ შეშინებია? თუ მომხდარა ქალაქში უბედურება უფლის უნებურად?" (ამოს 3:6).

ამიტომ, როდესაც ჩვენ ცხოვრებაში სირთულეები გვხვდება, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ღმერთისაგან არიან და არ უნდა ვადანაშაულოთ ეშმაკი და დემონები. იობმა ბევრი კარგი დაკარგა ღმერთის მიერ ნაკურთხი, მაგრამ ის არ ამბობდა: "ეს ეშმაკმა წაიღო ყველაფერი, რაც ღმერთმა მომცა". პირიქით, თქვენ მხოლოდ მოუსმინეთ რა თქვა მან: –

> "უფალმა მომცა, უფალმა წაიღო; კურთხეულ იყოს უფლის სახელი" (იობ 1:21).
>
> "სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა!" (იობ 2:10).

და თუ ჩვენ ვიცით, რომ ყველაფერი, რაც გვეძლევა, ღმერთისაგანაა, მაშინ როდესაც ცხოვრებაში სირთულეები გაგვიჩნდება, ჩვენ შეგვიძლია ლოცვის სახით ვთხოვოთ ღმერთს აგვაცილოს ისინი, და თუ იგი მას არ აგვისრულებს, ესე იგი მან

გამოგვიგზავნა ისინი ჩვენი ხასიათის გასაუმჯობესებლად და ჩვენ უკეთეს მომავლისათვის:

"შვილო, უფლისგან წვრთნას ნუ უგულებელყოფ და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ. რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი (ის, და არა ეშმაკი); სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს. თუ თქვენ ითმენთ წვრთნას, ღმერთი გექცევათ, როგორც შვილებს. ვინაიდან, განა არის ასეთი შვილი, რომელსაც მამა არ წვრთნიდეს? ხოლო თუ დარჩებით წვრთნის გარეშე, რაც ყველასთვის საზიაროა, მაშინ თქვენ ბუშები ყოფილხართ და არა შვილები" (ებრ 12:5-8).

<u>ღმერთი: ყოვლისშემძლეობის წყარო</u>

ღმერთი ყოვლისშემძლეობის წყაროა. ძველებრაელური სიტყვა, ნათარგმნი როგორც ღმერთი, სინამდვილეში შემძლეობას ნიშნავს:

> "მე უფალი ვარ და მეტი არავინაა, არ არის ღმერთი ჩემს გარდა" (ეს 45:5);
>
> "განა არის ჩემს გარდა ღმერთი? არ არის სხვა კლდე, არავინ ვიცი" (ეს 44:8);
>
> "ღმერთია უფალი (შენი), რომ სხვა არავინ არის მის გარდა" (რჯლ 4:35).

ამგვარი ლექსები ხშირად გვხვდება ბიბლიაში. რადგან ღმერთი – ყოვლისშემძლეობის წყაროა და ის ერთადერთი ღმერთია, მაშინ, როგორც ის ხშირად გვახსენებს, ის – შურისმგებელი ღმერთია (მაგ., გამ 20:5; რჯლ 4:24).

ღმერთი ხდება შურისმგებელი როდესაც მის ხალხს სხვა ღმერთების სწამს და როდესაც ისინი ამბობენ: "შენ – ძლიერი

ღმერთი ხარ, ყოვლის შემძლე ღმერთი, მაგრამ ჩვენ გვწამს შენს გარდა კიდევ რამოდენიმე ღმერთის არსებობა, თუნდაც ისინი არ არიან შენსავით ყოვლისშემძლენი". ასეთივე შეცდომა ისრაელიანებს მოუვიდათ. ძველ აღთქმაში ბევრი ადგილი არის მინიჭებული იმის ასაღწერად, თუ როგორ აწყეინეს ღმერთს ებრაელებმა თავისი რწმენით სხვა ღმერთისადმი. ბიბლიიდან აშკარაა, რომ დემონები, რომელთა არსებობა ხალხს სწამს, იმ ცრუ ღმერთების მსგავსნი არიან, რომლებისაც ისრაელიანებს სწამდათ.

<u>დემონები – კერპები არიან</u>

პირველ წერილში კორინთელთა მიმართ პავლე განმარტებს, თუ რატომ არ უნდა ჰქონდეთ ქრისტეანელებს არავითარი საერთო კერპთაყვანისმცემლობასთან ან სწამდეთ ამგვარი რამ. ბიბლიურ დროს ხალხს სწამდა, რომ დემონები – პატარა ღმერთები არიან, რომლებსაც უნდა თაყვანი სცე, რათა გადალახო ცხოვრებისეული სირთულეები. ამ მიზნით, ისინი დემონების ფიგურებს ქმნიდნენ, რომლებიც კერპებივით იყვნენ და მათ ემსახურებოდნენ. ამიტომ პავლე ურთიერთშემცვლელად იყენებს მიმართვაში სიტყვებს "ეშმაკი" და "კერპი": –

"რასაც ისინი სწირავენ, ეშმაკს სწირავენ და არა ღმერთს. მე კი არ მინდა, რომ ეშმაკთა ზიარნი იყოთ... ხოლო თუ ვინმე გეტყვით: ეს ნაკერპავიაო, ნუ შეჭამთ მთქმელის გამო და სინდისის გამო..." (1 კორ 10:20, 28). ამრიგად, კერპი და ეშმაკი ფაქტიურად ერთი და იგივე არის. მიაქციეთ ყურადღება პავლეს სიტყვებს, რომ ისინი "ეშმაკს სწირავენ და არა ღმერთს", და რადგანაც მხოლოდ ერთი ღმერთია, ეშმაკს არ გააჩნია რეალური ძალა, იგი – ღმერთი არ არის. ეს აზრი სავსებით არის გამოხატული 1 კორ 8:4: -

"ამგვარად, ნაკერპავების საჭმელად გამოყენების შესახებ ვიცით, რომ კერპი (ეშმაკის ეკვივალენტი) <u>არაფერია წუთისოფელში და არ არსებობს ღმერთი, გარდა ერთისა".</u>

კერპი ან ეშმაკი საერთოდ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი ღმერთი მსოფლიოში ან მისი ძალა. შემდეგ პავლე აგრძელებს (ლქ. 5, 6):-
"და თუ კიდევ არიან <u>ეგრედ წოდებული</u> ღმერთები ან ცაში, ან დედამიწაზე (რადგან არის მრავალი ღმერთი და მრავალი უფალი), <u>ჩვენ კი</u> (მორწმუნეებს) ერთი მამა ღმერთი გვყავს, რომლისგანაც არის ყოველი (როგორც კარგი, ასევე ავი)". ამჟამად არსებობს ხალხი, რომლებსაც სწამთ დემონების (ეშმაკების) არსებობა – ერთერთ მათგანმა სამსახური დააკარგინა, მეორე – ცოლის წასვლის მიზეზი გახდა.

შემდეგ მტკიცებას, რომ ხალხს ახალი აღთქმის პერიოდში სწამდა ეშმაკნი ანუ "ღმერთები", ვპოულობთ საქ 17:16-18. აქ ნათქვამია, რომ პავლე ქადაგებდა ათენში, რომელიც "კერპებით სავსე ქალაქი იყო". ათენის მოსახლეობა თაყვანს სცემდა სხვადასხვა ღმერთებს. როდესაც ხალხმა გაიგო, რომ პავლე სახარებას ქადაგებს, თქვა: "ეტყობა, უცხო (ესე იგი, ახალ) ღმერთზე (ეშმაკზე) ქადაგებსო, რაკი იესოსა და აღდგომას ახარებდა მათ". ხალხს ეგონა, რომ "იესო" და "აღდგომა" – ახალი ეშმაკნი ან კერპები არიან. თუ თქვენ განაგრძობთ ამ თავის კითხვას, თქვენ იხილავთ პავლეს ქადაგებას ამ ხალხის მიმართ. ლექსში 22 იგი ამბობს: "ძალიან მორწმუნენი ხართ" (სიტყვასიტყვით: სრულიად სწირავთ თავს ეშმაკებს) და მან აუხსნა, რომ ღმერთი არ იმყოფება მათ კერპებში და დემონებში. არ დაგავიწყდეთ, რომ ღმერთი – ყოვლისშემძლეობის ერთადერთი წყაროა. თუ იგი არ იმყოფება დემონებში, ესე იგი მათ არავითარი ძალა არ აქვთ, რადგან ჩვენს სამყაროში არ არსებობს სხვა რომელიმე ძალის წყარო; აქედან გამომდინარე, დემონები არ არსებობენ.

<u>ძველ აღთქმაში ეშმაკნი (დემონები) კერპები იყვნენ</u>

ძველ აღთქმაში დაბრუნებისას, ჩვენ ვპოულობთ უფრო მეტ მტკიცებებს, რომ "ეშმაკი" იგივეა, რაც კერპი. ფსალმ 106:36-39

მეტყველებს ისრაელიანების შეცდომის შესახებ და ქანაანის კერპები ეშმაკს ადარებს: –

“ემსახურებოდით (ისრაელიანები) მათ კერპებს, რომლებიც მახედ გადაიქცნენ მათთვის. შესწირეს თავიანთი ძენი და ასულნი ეშმაკებს, დაღვარეს სისხლი უცოდველი, თავიანთ ძეთა და ასულთა სისხლი, რომელიც შესწირეს ქანაანის კერპებს... შეიბილწნენ თავიათი საქმეებით და იმრუშეს თავიანთი მოქმედებით”.

სრულიად გასაგებია, რომ ეშმაკნი – ეს კერპების მეორე დასახელებაა. ღმერთი ამბობს, რომ ეშმაკის მსახურობით, ისრაელიანები “შეიბილწნენ თავიათი საქმეებით... თავიანთი მოქმედებით”, იმიტომ რიმ მათი რწმენა ადამიანის წარმოსახვის შედეგი იყო და კერპები, რომლებიც მათ შექმნეს, მათი საკუთარი ხელების საქმე იყო. ამრიგად, მათ ვისაც სწამს ეშმაკის არსებობა, არსებითად სწამს ის, რაც ხალხმა მოიგონა, და არა ის, რასაც ღმერთი გვასწავლის.

რჯლ 32:15-14 აღწერს ღმერთის რისხვას, როდესაც მის ხალხს დემონები სწამს: “გააჯავრეს (ისრაელიანებმა) უცხო ღმერთებით და სისაძაგლეებით (თავიანთი) გააღიზიანეს. მსხვერპლს სწირავდნენ ეშმაკებს, არა ღმერთს, ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდნენ, ახლებს, ახალმოსულთ, რომელთა შიში არ ჰქონია თქვენს მამა-პაპას... თქვა (უფალმა): დავუმალავ ჩემს სახეს... რადგან გადაგვარდა ეს მოდგმა, არ შერჩათ სიმტკიცე შვილებს. გამაჯავრეს არაღმერთით, გამაღიზიანეს თავიანთი ამაოებით... ზედიზედ დავატეხ უბედურებებს, მათზე დავხარჯავ ჩემს ისრებს”. ამრიგად, ღმერთი უწოდებს ეშმაკს კერპს, სისაძაგლესა და ამაოებას, ესე იგი აძლევს მას ისეთ დასახელებებს, რომლებიც არ აღნიშნავენ არსებას. ეშმაკის რწმენა ღმერთის რწმენის არყოფნას გვიჩვენებს. რასაკვირველია, ძნელი დასაჯერებელია, რომ ღმერთი სიკეთის გარდა ბოროტებასაც გვიგზავნის ცხოვრებაში. უფრო ადვილია იმის ფიქრი, რომ თითქოს ბოროტებას სხვა გვიგზავნის. რადგან ჩვენ ვამბობთ, რომ ბოროტება ღმერთისაგან მოდის, ჩვენ

უნდა გვწამდეს, რომ ღმერთი აიღებს უკან ამ სიავეს ანუ, რომ ეს სიავე საბოლოოდ ჩვენთვის განუზომლად დიდი მადლი იქნება.

ეშმაკნი (დემონები) ძველ აღთქმაში

მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გვკითხოთ: "რას იტყვით იმ ნაწყვეტების შესახებ ძველ აღთქმაში, რომლებიც აშკარად მეტყველებენ ეშმაკზე?"

ერთი დებულება სრულიად ნათელი უნდა იყოს: ბიბლია არ უპირისპირდება საკუთარ თავს; იგი წარმოადგენს ყოვლისშემძლე ღმერთის სიტყვას. თუ ჩვენ გვეუბნევიან, რომ ღმერთი გვიგზავნის პრობლემებს და რომ ის მთელი ძალის წყაროა, მაშინ ბიბლია ვერ იტყვის, რომ დემონები – პატარა ღმერთები არიან, რომლებიც ღმერთს უპირისპირდებიან და ამავე დროს უბედურებებსა და განცდებს გვიქმნიან. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სიტყვა "ეშმაკი" ძველ აღთქმაში გვხვდება მხოლოდ ოთხჯერ და ისიც კერპთმსახურობის კონტექსტში, მაგრამ ახალ აღთქმაში იგი გაცილებით ბევრჯერ გვხვდება. ჩვენ ამ ფაქტს იმას ვუკავშირებთ, რომ სახარების დაწერის პერიოდში ხალხში გავრცელებული იყო თქმულება, რომლის მიხედვით ნებისმიერი გაუგებარი ავადმყოფობა ეშმაკს ბრალდებოდა. თუ ეშმაკნი ნამდვილად არსებობენ და გააჩნიათ კავშირი ჩვენ პრობლემებთან, ამის შესახებ ნათქვამი იქნებოდა ძველ აღთქმაში უფრო ხშირად. მაგრამ ამ კონტექსტში ჩვენ სრულიად არ ვკითხულობთ ეშმაკზე.

ეშმაკნი (დამონები) ახალ აღთქმაში

როდესაც ვკითხულობთ ეშმაკის განდევნის შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ ხალხი, რომლებშიც ეშმაკი იყო ჩასახებული, მკურნალობდა იმ დროს გაუგებარ სენისაგან. ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში მცხოვრებ ხალხს ჰქონდა მიდრეკილება წარმოსახული ეშმაკის დადანაშაულება ყველაფერში, რასაც ვერ აღიქვამდნენ. რადგან გონებრიული დაავადება ამ დროის სამედიცინო ცოდნის დონის ხალხისათვის გაუგებარი იყო, ასეთ სხეულებზე ამბობდნენ,

როგორც "ეშმაკისეულთზე". ძველი აღთქმის დროს ხალხზე გონებრიული გადახრებით მეტყველებდნენ, როგორც ბოროტი და უწმიდური სულის გავლენიანზე (მსაჯ 9:23; 1 მეფ 16:14; 18:10). ახალი აღთქმის პერიოდში სიტყვები ბოროტი სულის/ეშმაკის ფლობის შესახებ ეკუთვნოდა გონებრიული დაავადების მქონე ხალხს. კავშირი ეშმაკსა და სენის შორის ნაჩვენებია შემდეგ ლექსებში: "მრავალი ეშმაკეული მოიყვანეს მასთან (იესოსთან) და მან სიტყვით განდევნა სულები და ყველა სნეული განკურნა. რათა აღსრულდეს ესაია წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს: " მან აიღო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნეულებანი" (მათ 8:16, 17). ასე რომ კაცობრიობის სენი და უძლურება – იგივეა, რაც "ეშმაკისა" და "ბოროტი სულის" ხელისუფლების ქვეშ ყოფნა.
ხალხს იესო შეშლილი ეგონა და ამბობდნენ, რომ ეს იმიტომაა, რადგან მასში ეშმაკი იმყოფება: "ეშმაკეულია იგი და შეშლილი" (იოან 10:20; 7:19, 20; 8:52).

<u>სენით დაავადებულთა განკურნა</u>

"ეშმაკისეულის" განკურნის შემდეგ ხალხი თავის "საღ გონებას" უბრუნდებოდა. "ეშმაკეულივით" ყოფნა ნიშნავდა გონებრიულ დაავადებას.

სახარებაში ნათქვამია, რომ "ეშმაკისეულს" შეეძლო განკურნა და ამასთანავე სიტყვა "ეშმაკეული" სენის აღწერის სხვა ხერხს გამოხატავს. ლუკ 10:9 ვკითხულობთ, რომ იესომ უბრძანა თავის სამოცდაათ მოციქულს "სნეულთა განკურნა", რაც მათ შეასრულას. როდესაც დაბრუნდნენ თქვეს: "უფალო, შენი სახელით ეშმაკებიც კი გვემორჩილებიან". აქ ეშმაკნი კვლავ სენს უტოლდებიან. ზოგჯერ მოციქულნი მკურნალობდნენ იესოს სახელით (საქ 3:6; 9:34).

<u>თავისი დროის ენა</u>

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ახალ აღთქმაში "ეშმაკისეული" ხალხის აღსაწერად გამოიყენება თავისი დროის ენა იმ შემთხვევაში, თუ მათ გონებრიული დაავადება ან სენი გააჩნიათ,

რომელსაც ვერავინ ვერ იგებს. ბიბლია იმ ენით არის დაწერილი, რომლის გაგება ხალხისათვის სირთულეს არ წარმოადგენს. ჩვენ ენაში არსებობს სიტყვა "მთვარეული" გონებით დაავადებულ ადამიანის აღსაწერად. სიტყვასიტყვით ეს "მთვარით განგმირულ" ადამიანს აღნიშნავს. მრავალი წლის წინ ხალხს სწამდა, რომ თუ სავსე მთვარის დროს ადამიანი სახლის ფარგლებს გარეთ იმყოფება, იგი, შესაძლოა, მთვარით იყოს განგმირული და გონებით დაავადებული გახდეს. ამჟამად ჩვენ ვხმარობთ სიტყვა "მთვარეულს" შეშლილი ადამიანის აღსაწერად. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვწამს, თითქოს შეშლილობა მთვარეს გავლენის შედეგია.

თუ დავუშვებთ, რომ ამ სიტყვებს ორი ათასი წლის შემდეგ წაიკითხავენ და წარმოვიდგენთ, რომ იესო არ დაბრუნდება იმ დროისათვის, მაშინ შესაძლოა ხალხმა დაიჯეროს, რომ ჩვენ გვწამდა ადამიანის შეშლილობა მთვარის გამო. მაგრამ ისინი არ იქნებიან მართალნი, რადგან ჩვენ მხოლოდ ვხმარობთ ჩვენი დროის ენას, როგორც ამას იესო აკეთებდა ორი ათასი წლის წინ. ამრიგად, ჩვენ ვსაუბრობთ ისეთ დაავადებაზე, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, მაგალითად, "წმიდა ვიტას ცეკვა", რომელიც "ცეკვას" სრულიად არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ ჩვენი დროის ენას ვხმარობთ, რათა ეს დაავადება ამგვარი სიტყვებით დავასახელოდ. ნათელია, რომ იესო ქრისტე არ დაბადებულა 25 დეკემბერს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თანამედროვე მწერლები იყენებენ სიტყვას "შობა", როდესაც ამ დღის შესახებ საუბრობენ, თუმცა მე არ მწამს, რომ ჩვენ ეს დღე უნდა აღვნიშნოთ როგორც ქრისტეს შობის დღე. კვირის დღეების დასახელება აგებულია წარმართ კერპთთაყვანისმცემლობაზე – მაგალითად, "კვირა" მზის თაყვანისმცემლობის დღეს აღნიშნავს, "შაბათი" – პლანეტა სატურნის თაყვანისმცემლობის დღეა, "ორშაბათს" მთვარეს ემსახურებოდნენ და ა. შ. ამ სიტყვების გამოყენება არ ნიშნავს იმ ხალხთა წარმართულ რწმენის გაზიარებას, რომლებმაც თავდაპირველად შექმნეს ჩვენი თანამედროვე ენა.

ეზეკიელის დროს არსებობდა მითი, რომ ისრაელის მიწას მოაქვს უბედურება თავის მოსახლეობისათვის. ეს არ არის სწორე, მაგრამ ღმერთი თითქოს იზიარებს ისრაელიანების აზრს და იყენებს ამ ხალხში გავრცელებულ იდეას: "ასე ამბობს უფალი ღმერთი: რაკი გაუბნებიან: კანისმჭამელი და შენი ხალხის შვილმკვდარმყოფელი ხარო, ამიტომ კაცს აღარ შეჭამ... ამბობს უფალი ღმერთი" (ეზეკ 36:13, 14). იმ დროს გავრცელებული იყო თქმულება, რომ ზღვა – დიდი ურჩხულია, რომელსაც სურს დედამიწის ჩაყლაპვა. თუმცა ეს შეცდომაა, ბიბლია ხშირად ახსენებს ამის შესახებ, რათა დაეხმაროს მკითხველებს წარმოდგენილი იდეის გაგებაში (იხ. იობ 7:12; ამოს 9:3; იერემ 5:22; ფსალმ 89:10; აბაკ 3:10; მათ 14:24; მარკ 4:37-39). აშურელთა მითოლოგიაში ზღვის მშფოთარე ურჩხულს რაჰაბი ერქვა, იგივე სახელი ჰქონდა ზღვის ურჩხულს ეგვიპტეში ეს 51:9. რადგან ბიბლია – ღვთივსულიერი წერილია, შეუძლებელია, რომ იგი მხოლოდ ასახავდეს იმ დროს წარმართობის მიმართულებას. შესაძლოა ღმერთი შეგნებულად მიმართავდა ამ თქმულებებს, რათა ეჩვენა ჩვენთვის, რომ იგი ერთადერთი ძლევამოსილი წყაროა და რომ მის ნებას ყველაფერი შეუძლია. ამრიგად, ღმერთმა გამოასწორა ერთადერთი შეცდომა იმის შესახებ, რომ სამყაროში თითქოს არსებობენ ძალები, რომლებიც მას არ ექვემდებარებიან და ამის შედეგად ბოროტებას ქმნიან. ამავე დროს ბიბლია არ სცილდება თავის ჩარჩოებს და არ განიკიცხავს თქმულებებს ზღვაში მცხოვრებ ურჩხულის შესახებ.

ამის სხვა მაგალითს ვხედავთ ელვისა და ჭექა-ქუხილის აღწერაში, რომლებიც "გაქცეულ გველს" ედარებიან (იობ 26:13). ეს, ეტყობა, იმ დროის წარმართულ თქმულებას ეკუთვნის. ასეთი ნაწყვეტები არ უარყოფენ ამგვარი აზროვნების მცდარობას და არ შეიცავენ მეცნიერული ახსნის ცდებს. ასეთივე იყო ქრისტეს დამოკიდებულება იმ დროს არსებულ რწმენისადმი ეშმაკის მიმართ. მისი საოცარი საქმეები აშკარად მეტყველებენ, რომ ღმერთის ძალა აბსოლუტურად სრულია და არ უკავშირდება ადამიანის ცრუ რწმენას, ეგრედ წოდებულ, "ეშმაკთა" მიმართ. მათ, ვისაც სწამს, რომ ახალ აღთქმში "ეშმაკის" აღწერა ადასტურებს მის

არსებობას, უნდა აღიარონ, რომ ზღვა ნამდვილად ურჩხულია, ხოლო ელვა კი – დიდი გველი. აქ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ბიბლია თავისი დროის ენით არის დაწერილი, მაგრამ ის არ ამტკიცებს რწმენას, რომელიც შეადგენს ენის საფუძველს. როგორც უკვე ვთქვით, ასეთი განსაკუთრება დამახასიათებელია ჩვენი საკუთარი ენისათვის. ბიბლია ამ ყველაფერს ძირითადი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად აკეთებს, რომლის შესახებ ნათქვამი იყო წიგნის ნაწილებში 6.1 და 6.2, რომ ღმერთი – ყოვლისშემძლეა, რომ ის ყველა ჩვენი უბედურებების პასუხისმგებელია, რომ ცოდვა ჩვენგან იწარმოება და რომ ყველაფერი ზემოთნათქვამი ამტკიცებს ღმერთის სიდიადეს ჩვენს ხსნაში. ეგრედ წოდებული, "მაღალი კრიტიკოსები" განუწყვეტლივ მიგვითითებენ ენათა კავშირზე წერილისა და თქმულებების შორის, რომლებიც არსებობდნენ ბიბლიაში ნახსენებ კულტურის დროს. ეს სრულიად გასაგებია, რადგან ბიბლია ადგილობრივ თქმულებებზე მითითებულ ენით არის დაწერილი. ამის მიზანია იმის აღნიშვნა, რომ იეღოვა ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთია, შეუდარებლად დიადი, ვიდრე ყველა ადამიანური თქმულება, რომლიც მათთვის ცნობილი იყო, ვინც პირველად კითხულობდა წინასწარმეტყველთა შთაგონილ სიტყვას.

როდესაც ფიქრობ ამის შესახებ, ძალაუნებურად გაოცდები თავისი დროის ენის მაგალითების გამოყენებით ბიბლიაში. ზოგიერთი მათგანი ქვემოთ არის მოყვანილი: –

– ფარისევლებმა ბრალი დასდეს იესოს, რომ იგი ცრუ ღმერთის ბელზებულის ძალით ქმნიდა სასწაულებს. იესომ თქვა: "თუ მე ბელზებულით ვდევნი ეშმაკებს, თქვენი ძენი ვიღათი დევნიან?" (მათ 12:27). 4 მეფ 1:3 აშკარად მეტყველებს, რომ ბელზებული ფილისტიმელთა ცრუ ღმერთი იყო. მაგრამ იესომ არ თქვა: "ნახეთ, 4 მეფ 1:3 ნათქვამია, რომ ბელზებული ცრუ ღმერთია, ამიტომ თქვენი ბრალდება სწორი არ არის". არა, იესო ისე ქადაგებდა,

თითქოს ბელზებული რეალურად არსებობდა, რადგან მას სურდა, რომ მისი სიტყვები აღიქვას იმ ხალხმა, რომელთა მიმართ იყო ქადაგებდა. ასევე იესო ეშმაკის განდევნის შესახებ საუბრობდა. ის არ ამტკიცებდა, "რომ ისინი არ არსებობდნენ", იგი უბრალოდ სახარებას ქადაგებდა იმ დროის ენით.

– იესო ქრისტეს დროს ებრაელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აბრაამის შთამომავლები არიან და თავს მართლმორწმუნედ თვლიდნენ. იესო მათ როგორც "მართლმორწმუნეებს" ექცეოდა და უთხრა: "ვიცი, რომ აბრაამის შთამომავალნი ხართ" (იოან 8:37). მაგრამ მას არ სწამდა მათი მართლმორწმუნეობა, რის შესახებ იგი ხშირად საუბრობდა, ხოლო ლექსში იოან 8:39-44 იესომ პირდაპირ თქვა, რომ ისინი აბრაამის შთამომავალნი არ იყვნენ. ასე რომ, იესო იღებდა ხალხის რწმენას, მაგრამ ჭეშმარიტებას პრაქტიკაზე ამჟღავნებდა. თქვენ იხილეთ ღმერთის დამოკიდებულება წარმართთა სარწმუნოებასთან, რომელიც ახალი აღთქმის დაწერის დროს არსებობდა. ასევე ეპყრობოდა ქრისტე ეშმაკებს. მისი ღმერთით კურთხეული საოცარი საქმეები სრულიად აშკარად მეტყველებენ, რომ სენი ღმერთის მიერ არის გამოგზავნილი და არა სხვა რომელიმე ძალით და მხოლოდ ღმერთს გააჩნია მათი განკურნების ძალა.

– პავლეს ბერძნული პოეტების ციტატები მოჰყავდა, რათა გაეკრიტიკა ისინი, ვისაც სწამდა მათი (ტიტ 1:12; საქ 17:28). აქ ჩვენ ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ პავლეს დამოკიდებულება შესაწირის ადგილის მიმართ, რომელზეც ეწერა: "უცნობ ღმერთს", ესე იგი, რომელიმე წარმართულ ღმერთს, რომელიც შესაძლოა არსებობდა, მაგრამ ათონის მოსახლეობა მას არ ცნობდა (საქ 17:22, 23).

– ეფეს 2:2 ნათქვამია: "ჰაერის ძალთა მთავრის" შესახებ. ეს არაორაზროვანი ჩაკრული სიტყვაა მითოლოგიურ ზოროასტრის შესახებ, რომლის კონცეპცია სწამდა პავლეს მკითხველებს. პავლე მეტყველებს, რომ ოდესღაც ისინი "ჰაერის ძალთა მთავრის" ნებით ცხოვრობდნენ. ამავე ლექსში ეს "მთავარი" განსაზღვრულია

როგორც ადამიანში "მოქმედი სული (გონების დამოკიდებულება)". ადრე მათ ზეციერი სულიერი მთავრის იდეა სწამდათ. ამჯერად პავლე აღნიშნავს, რომ ხელისუფლება, რომელსაც ისინი ფორმალურად დაემორჩილნენ, მათი საკუთარი ცრუ წარმოსახვის ნაყოფი იყო. ამრიგად, წარმართული თქმულებების შესახებ მოციქულები მეტყველებდნენ აშკარა უარყოფის გარეშე და ამავე დროს გვაჩვენებდნენ ჭეშმარიტებას ცოდვის მიმართ.

– 2 პეტ 2:4 მეტყველებს ქვესკნელში მიმართებულ ცოდვილ ხალხთა შესახებ. ქვესკნელი მიწისქვეშა სამყაროს მითოლოგიური ადგილი იყო. მაგრამ პეტრე აქ არ აკეთებს შესწორებას, პირიქით, იგი იყენებს ამ სიტყვას, როგორც სრული განადგურებისა და ცოდვის საზღაურის სიმბოლოს. ამის მსგავსად, ქრისტე ხმარობს თავის ქადაგებაში სიტყვას "ჯოჯოხეთი".

<u>მართალია რო ეშმაკნი სენის მიზეზნი არიან?</u>

ყველამ, ვისაც სწამს ეშმაკის არსებობა, უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა: "ჩემი სენი ეშმაკით ხომ არ არის გამოწვეული?" თუ თქვენ გწამთ, რომ ეშმაკნი, რომლის შესახებ ახალ აღთქმაში არის ნათქვამი, ჩვენ გარშემო მყოფი ღმერთები არიან და მოაქვთ უბედურება, თქვენ ამ კითხვას დადებითად უპასუხებთ. მაგრამ, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ეშმაკის მიერ გამოძახილი უამრავი ავადმყოფობა ემორჩილება წამალს და განიკურნება? კლასიკურ მაგალითს მალარია წარმოადგენს. უამრავ ხალხს აფრიკაში უკანასკნელ წლებამდე სწამდა, რომ მალარიას ეშმაკი იწვევს, მაგრამ ჩვენ ვიცით რომელ წამლით შეგვიძლია განვკურნოთ იგი. თუ თქვენ იტყვით, რომ როდესაც ეშმაკი ხედავს პატარა ყვითელ აბებს თქვენს ყელში იგი შეშინდება გაქრება? ზოგიერთი სენი, რომელსაც იესო განკურნავდა და რომლებიც აღწერილნი არიან, როგორც ეშმაკის ფლობის შედეგი, განისაზღვრება როგორც ეპილეფსია და ტეტანუსი. ორივე დაავადება წამლებით იმკურნება.

ჩემი მეგობარი ქალაქ კამპალას (უგანდა) მახლობლად განლაგებულ სოფლიდან ჩამოვიდა. მან მოგვიყვა, რომ იმ სოფლის მაცხოვრებლებს სწამდათ, რომ მალარიას ეშმაკი იწვევს, მაგრამ როგორც კი იხილეს თუ როგორ უშველათ წამლებმა, მათ შეწყვიტეს ეშმაკის რწმენა. მაგრამ, თუ ადამიანი ცერებრიული მალარიით იყო დაავადებული (რომელიც შეშლილობას იწვევს), ისინი კვლავ ეშმაკს ადანაშაულებდნენ. ახლომდებარე ქალაქიდან ჩამოსულმა ექიმმა შესთავაზა ძლიერი საწინააღმდეგო წამალი, მაგრამ მათ უარყეს იგი და თქვეს, რომ რაღაც განსაკუთრებულია საჭირო ეშმაკთან ბრძოლაში. მოგვიანებით ექიმი დაბრუნდა და უთხრა: "მე მაქვს ეშმაკთა საწინააღმდეგო წამალი". დაავადებულმა სიამოვნებით მიიღო წამალი და გამოკეთდა. ექიმს არ სწამდა ეშმაკის, მაგრამ მან იმ ხალხის ენა გამოიყენა, რათა გადაერჩინა ავადმყოფი, ასევე როგორც "დიდი ექიმი", უფალი იესო მოქმედებდა 2000 წლის წინ.

გადაწვევა 17: ჯადოქრობა (ექიმბაშობა)

ეს სტატია დაწერილია ძირითადად აფრიკელი და სამყაროს სხვა კუთხებში მცხოვრებ მკითხველთათვის, სადაც ჯადოქრობა ჩვეულებრივი ცხოვრების ყოველდღიური ნორმაა. ყველა სტუდენტი, რომელიც ეცნობა ბიბლიას, აღიარებს, რომ ჯადოქრობა და აფრიკელი ექიმბაშების დახმარების თხოვნა არ შეესაბამება ჭეშმარიტების შენარჩუნებას. მაგრამ მე მესმის, რომ ექიმბაშები უფრო ხელმისაწდომნი არიან, ვიდრე ექიმები, რადგან მათი აშკარა წარმატება დაავადებულთა კანკურნაში იზიდავს ადგილობრივ მოსახლეობას. ჩვენ განვიხილავთ ამ პრობლემას ლოგიკური, ბიბლიური თვალსაზრისით. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომლის გამო ჩვენ შევძლებთ დავამარცხოთ ცდუნება და არ მივმართოდ ამ ხალხს.

<u>ჯადოქრების (ექიმბაშების) დაჩემება</u>

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჯადოქრების დაჩემების ანალიზის ჩატარება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მათი

წარმატება გაზვიადებულია. მათი მკურნალობა არასოდეს არ ტარდება სახალხოთ, რომ ყველამ იხილოს იგი. თუ მათი მკურნალობა ნამდვილად წარმატებიანი ყოფილიყო, ისინი საავადმყოფოში იმუშავებდნენ და მათი დანახვა მთელ სამყაროში შესაძლებელი იქნებოდა. არასოდეს არ არის ცნობილი იმ დაავადებულთა რეალური მდგომარეობა, რომლებმაც მათი მკურნალობა გამოსცადეს.

იმ ხალხმა, რომელიც ცდუნებაშია და მიდის ჯადოქრებთან, უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა, გააჩნია თუ არა მათ ძალის გარკვეული მტკიცება, ესე იგი, უხილავთ თუ არა საკუთარი თვალებით (და არა მხოლოდ გაუგონიათ) ისეთი ადამიანის შესახებ, რომელიც მიდიოდეს ჯადოქართან მოკვეთილი ხელით და ბრუნდებოდეს განკურნილი? ამგვარი სახის მტკიცება საჭიროა ჯადოქრების უეჭველობაში დასარწმუნებლად. რჯლ 13:1-3 ამ შემთხვევაში უფრო მტკიცედ მეტყველებს: ისრაელიანები ასწავლიდნენ, რომ თუნდაც წინასწარმეტყველმა ან ნათელმხილველმა წარმოადგინოს ნიშანი ან სასწაული, ხალხს არ უნდა სწამდეს მისი, სანამ იგი სიტყვებით არ დაამტკიცებს ერთგულებას ჭეშმარიტ სწავლებისადმი, რომელიც ღვთის სიტყვას შეესაბამება. ნათელია, რომ როგორც ბიბლიაში წერია, ჯადოქრებს არ სწამთ ჭეშმარიტება, ამიტომ არ უნდა მივენდოთ ცდუნებას და ვიფიქროთ, რომ მათ რეალური ძალა გააჩნია, რადგან ნებისმიერი ძალა ღმერთისაგანაა (რომ 13:1; 1 კორ 8:4-6). შემდეგ, რა სახის სენს მკურნალობენ ისინი? ამჟამად აღიარებულია, რომ ადამიანი სარგებლობს ტვინის მხოლოდ ერთი პროცენტით. მისი დანარჩენი ნაწილი ჩვენ არ გვექვემდებარება (უეჭვალად, ღვთის სასუფეველში ადამიანი ისარგებლებს მთელი ტვინით). ჩვენ არ ვიცით, რომ ტვინს შეუძლია მოახდინოს ფიზიკური გავლენა სხეულზე. როგორც ცნობილია, ფსიქოლოგები განკურნებდნენ სისხლის დაავადებებს პაციენტების ინტენსიური შეგნებით, რომ მათ სისხლს კარგი შემადგენელი ნაწილები აქვს და ნორმალურად

ცირკულირებს. ექიმები ფიქრობენ, რომ ზოგჯერ აქვს ადგილი ისეთ განკურნას, რომელიც არ არის დამოკიდებული ორთოდოქსალურ მედიცინაზე. სტრესურ გავლენას ჩვენს ტვინზე შეუძლია გამოიწვიოს კუჭის წყლული და თავის ტკივილი. ტვინის დამშვიდებით ან გარკვეული ვარჯიშის ჩატარებით, შესაძლოა ამ ტკივილის მოხსნა. მაგრამ თუ ადამიანს მოკვეთილი აქვს ხელი, არავითარი ვარჯიში არ უშველის მას. ამიტომ ჯადოქრებს (ექიმბაშებს) შეუძლიათ, როგორც ჩანს, ისეთი სენის განკუნება რომელიც ჩვენი გონების კონტროლის ქვეშ იმყოფება. რადგან ჩვენ სავსებით არ ვიცით, როგორ მუშაობს ჩვენი ტვინი, ჩვენ გვგონია, რომ ამგვარი შესაძლებლობა ჯადოქრებს აქვთ. მაგრამ ეს ასე არ არის, მხოლოდ ადამიანის გონებაზე გავლენით, მათ შეუძლიათ მიაღწიონ გარკვეულ შედეგს მკურნალობაში.

<u>ძალის წყარო</u>

მთელ ძალას ღმერთი გვანიჭებს. ყველაფერი, კარგი თუ ცუდი, მათ რიცხვში დაავადებაც, მისგან არის და არა ჯადოქრებისგან. ამის შესახებ ბევრია ნათქვამი წმიდა წერილში: ეს 45:5-7; მიქ 1:12; ამოს 3:6; გამ 4:11; რჯლ 32:39; იობ 5:18. ყველა ეს ადგილი ყურადღებიან კითხვას მოითხოვს. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ დაავადების შემთხვევაში ჩვენ უნდა ლოცვით მივმართოთ ღმერთს და ამასთანავე მივიღოთ ექიმით დანიშნული წამლები. თუ ჩვენ დახმარებისათვის მივმართავთ ექიმბაშებს, უნდა ვიცოდეთ, რომ მივმართავთ იმ ხალხს, ვინც მართავს "ბნელი ძალებით", რომლებიც, როგორც ისინი ამტკიცებენ, მათ ეხმარება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ძალები სინამდვილეში არ არსებობენ. დახმარებისათვის ჯადოქრებისკან მიმართვა, ღმერთის ყოველშემძლეობის ურწმუნოების გამომჟღავნებაა. ეს იმის აღიარებაა, რომ სხვა ძალები, რომლებიც ჯადოქრებს ექვემდებარებიან, გვიგზავნიან დაავადებებს.

ღმერთი ძალიან წუხს, როდესაც ხალხი ამგვარად ფიქრობს, რადგან მან იცის, რომ მხოლოდ მას შეუძლია სენის მოვლენა და რომ მხოლოდ ის არის ყოვლისშემძლე. ისრაელიანებს სწამდათ ღმერთი, მაგრამ მათ ასევე სწამდათ სხვა ძალების არსებობა, რომლებიც მოქმედებდნენ მათ ცხოვრებაში, და თაყვანს სცემდნენ

კერპებს. ასეთ დამოკიდებულებამ ისე გააჯავრა ღმერთი, რომ მან გააგდო ისინი თავისი ხალხის გარემოდან (რჯლ 32:16-24). ღმერთისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სავსებით არ გვწამს იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიად არ გვწამს. საუბარი ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ და ამავე დროს სხვა ძალების არსებობის აღიარება და ჯადოქრებისათვის გავლენის მოხდენის უფლების მიცემა – იგივეს ნიშნავს, რაც ისრაელიანები აკეთებდნენ წარსულში. გრძელი და სევდიანი ისტორია ისრაელიანების კერპთმცემლობის "ჩვენს დასარიგებლად არის დაწერილი". ჩვენ საერთოდ არ უნდა გვქონდეს ურთიერთობა მათთან, ვისაც ამ ძალების სწამს. "რა აქვს საერთო ნათელს ბნელთან? რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღვთის ტაძარი... ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით, ამბობს უფალი... ვიქნები თქვენთვის მამა და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი" (2 კორ 6:14-18). თუ ჩვენ ნამდვილად ვაღიარებთ ეშმაკთა შესახებ თქმულებების სიცრუეს და ვცდილობთ მოვცილდეთ მათ, მაშინ ჩვენ ვიღებთ საოცარ რწმუნებას, რომ ჩვენ ნამდვილად ღმერთის შვილნი ვართ. მშობელი ინსტიქტურად ზრუნავს თავის შვილზე, მისი ავადმყოფობის დროს. ნუთუ რთულია გავაერთიანოთ ჩვენი რწმენა აზრით, რომ ჩვენი ზეციერი მამა გაცილებით მეტს გააკეთებს ჩვენთვის?

ფაქტია, რომ ჯადოქრებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა მხოლოდ მათზე, ვისაც სწამს მათი ძალის. ამრიგად, ადამიანს, რომელმაც დაკარგა სიყვარული, შეუძლია მივიდეს მედიუმთან ("სულებისა" და ხალხის შუამავალთან) ან ჯადოქართან და სთხოვოს შეხვედრა მიცვალებულთან. მაშინ მედიუმი სთხოვს კლიენტს დახუჭოს თვალები და ნათლად წარმოიდგინოს იმ ადამიანის სახე. კლიენტს შეუძლია გაამახვილოს ყურადღება სურათზე, რომელიც კარგად ახსოვს. შემდეგ მედიუმი წაიკითხავს კლიენტის ფიქრებს და ოდნავ გაზვიადებულად ისაუბრებს იმ ადამიანზე, როგორც ცოცხალზე. ამის შემდეგ კლიენტი რწმუნდება, რომ მედიუმმა ნამდვილად

იხილა მიცვალებული. მიაქციეთ ყურადღება, რომ არასოდეს არ არის მტკიცე დარწმუნება, თითქოს ეს ადამიანი ცოცხალია. და თუ კლიენტი არ დაემორჩილება მედიუმს ან არ ირწმუნებს, არავითარი შედეგი არ იქნება.

"ჯადოქრები", რომლებიც ჩვეულებრივად უხსნიდნენ ფარაონს და ნაბუქოდონოსორს მათ სიზმრებს, ვერ შეძლებდნენ თავიანთი ადგილების შენარჩუნებას, თუ ამგვარ წარმატებას არ მიაღწევდნენ. უეჭველად, ისინი აზრთა კითხვის ტექნიკით სარგებლობდნენ. მაგრამ, თუ ღმერთი ერეოდა იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომელთანაც მათ საქმე ჰქონდათ, როგორც ეს ფარაონისა და ნაბუქოდონოსორის შემთხვევაში ხდებოდა, ჯადოქრები კარგავდნენ ძალას და სიზმრის ახსნის უნარს. იგივე შეემთხვა ბალაამს, როდესაც იგი გარკვეული დონის ჯადოქარი გახდა. ბალაკს, მოაბელთა მეფეს სწამდა ბალაამის წყევლის შესაძლებლობის. იგი აძლევდა მას დიდძალ ფულად გასამრჯელს სამსახურისთვის და თან ამბობდა, რომ მან იცის, თუ ვისაც დაწყევლის იგი, ის ნამდვილად წყეულია (რიცხვ 22:6). მაგრამ ბალაამმა აღმოაჩინა, რომ მან დაკარგა წყევლის უნარი, როდესაც ისრაელიანებს შეეჯახა. ნათელია, რომ ასეთი ხალხი კარგავს ძალას, როცა საქმე აქვთ ჭეშმარიტი ღმერთის მორწმუნე ხალხთან, მიუხედავად იმ ცნობილობისა, რომელიც მათ სხვა ხალხთან წარმატების გამო გააჩნიათ.

<u>ბიბლია ჯადოსნობის (ექიმბაშობის) შესახებ</u>

ამის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში შედგება, რომ თუ ჩვენ ჯადოქართან (ექიმბაშთან) მისვლის ცდუნებაში ვართ, ჩვენ უნდა მისი სრული რწმენა გვქონდეს. არავითარი აზრი არა აქვს ამ ხალხთან სიარულს, თუ ჩვენ მხოლოდ ვიმედოვნებთ ჯამრთველობის გაუმჯობესების მიღებას. მაგრამ მათი და სხვა ძალების არსებობის სრული რწმენა ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიად არ გვჯერა ჭეშმარიტი ღმერთის ძლევამოსილება. და თუ ჩვენ ნამდვილად გვწამს ზემოთ ნახსენები წერილი ფარაონის, ბალაამისა და ნაბუქოდონოსორის შესახებ, მაშინ ჩვენ ვერ შევძლებთ ჯადოქართან მისვლას იმ რწმენით, რომელიც აუცილებელია

დახმარების მიღებისათვის. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, რომლებშიც ჩანს, რომ ჯადოქრებს არ გააჩნიათ ძალა ღვთის ხალხზე, რომლებსაც ჩვენ ნათლობით წარმოვადგენთ.

ჯადოქრობას პავლე "ხორცის საქმეს" უწოდებს და იმავე კატეგორიას მიეკუთვნება, როგორც ცდომილება (ცრუ სწავლება), სიძვე და უწმიდურება (გალ 5:19-21) იგი ამბობდა: "გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ". ეს პავლეს ქადაგების ყველაზე ემოციური ნაწილი იყო. მოსეს რჯულში ნათქვამია, რომ ყველა ჯადოქარი, ვინც შელოცვას ხმარობს (ჯადოქრების აღმნიშვნელი სხვა სიტყვა) და მათ, ვისაც ცეცხლში გაჰყავს თავისი შვილები, დაუყონებლივ უნდა მოკვდეს (რჯლ 18:10, 11; გამ 22:18). მათ, ვინც გაატარეს თავისი შვილები ცეცხლში, არ იყვნენ ნამდვილი ჯადოქრები. ჯადოქრები და კერპთმსახურნი ამბობდნენ, რომ ბავშვების ბოროტისაგან დაცვისათვის, უნდა გაატაროთ ისინი ცეცხლში. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც ჯადოქრები, ასევე ისინიც, ვინც მათ მიმართავდა დახმარების თხოვნით, უნდა მომკვდარიყვნენ. ახალ აღთქმასთან შესაბამისად, ასეთი საქციელის სასჯელი ღვთის სამეფოსაგან განდევნა იქნება. ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯადოქრებს მივმართოთ. ჩვენს ქრისტეს სახელით ცხოვრებაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად სერიოზულად უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: "ნამდვილად თუ სურს ღმერთს, რომ მე ჩავიდინო ეს? გავაკეთებდი იმავეს, თუ ჩემს გვერდში იესო ყოფილიყო?" ღმერთის მიერ ჯადოქრობის აშკარა განკიცხვის შედეგად, მე ვფიქრობ, რომ გარკვეულ პასუხად ამ საკითხზე სიტყვა "არა" იქნება. ღმერთს არ უნდა, რომ ჯადოქრობას მივმართავდეთ. სამუელმა განსაზღვრა ჯადოქრობა, როგორც "ურჩობა" (ძველებრაელურ ენაში – სიტყვა "პროვოკაცია") ღმერთის სიტყვის მიმართ (1 მეფ 15:23). ჭეშმარიტად, წარმოუდგენელია ძლევამოსილის პროვოცირება, როგორც ამას ისრაელიანები

აკეთებდნენ თავიანთ კერპებისა და ჯადოქრობის რწმენით (რჯლ 32:16-19). ღმერთი აღნიშნავს, რომ მან უბრძანა ისრაელიანებს ქანაანთა განდევნა მათი რწმენისა და ჯადოქრობის გამო; მაგრამ ამის ნაცვლად ისინი თვითონვე დაუკავშირდნენ მათ პრაქტიკაზე (რჯლ 18:9-14). ამარიგად, მონათლულ მორწმუნეთაგან შედგენილ ახალი ისრაელის გამო, ჩვენ არ უნდა ჩავიდინოთ ის, რაც ბიწიერ სამყაროში ხდება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ შევძლებთ აღთქმული ქვეყნის სამეფოს დამკვიდრებას. უადგილოა თვით აზრიც კი, რომ მისი მფლობელნი ჯადოქრები იქნებიან. თუ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჯადოქრობის გავლენა ჩვენზეც გამომჟღავნდება, მაშინ ჩვენ ნამდვილად ვსარგებლობთ მათი. გვაკურთხოს ღმერთმა ამ ბნელ წარმართულ სამყაროში უკანასკნელი დღეების გატარებაში მისი სამეფოს სინათლის, ჭეშმარიტებისა და სიდიადის მიმართულებით.

> "იმის გამო, რომ მათ არ შეიწყნარეს ჭეშმარიტების სიყვარული თავის სახსნელად... გაუგზავნის მათ ღმერთი მცდარ ქადაგებას, რათა იწამონ სიცრუე... ხოლო ჩვენ ყოველ ჟამს უნდა ვუმადლოდეთ ღმერთს თქვენი გულისათვის, უფლის მიერ საყვარელო ძმებო... მაშ ასე, ძმებო, მტკიცედ იდექით და გეპყრათ გადმოცემები, რომლებიც გისწავლიათ ჩვენი სიტყვით თუ წერილით. ხოლო თავად ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ და ჩვენმა ღმერთმა და მამამ, რომელმაც შეგვიყვარა და მოგვამადლა მარადიული ნუგეში და კეთილი იმედი, ანუგეშოს თქვენი გულები და განგამტკიცოთ ყოველ კეთილ საქმესა და საიტყვაში" (2 თეს 2:10-17).

გადაწვევა 18: რა მოხდა ედემში?

> **"უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი**

აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნებელნი" (დაბ 3:4-5).

საყოფაცხოვრებო აზრი: მცდარად ითვლება, რომ გველი – ცოდვილი ანგელოზია, სახელად "სატანა". ზეციდან განდევნილი ცოდვის გამო, იგი დაეშვა დედამიწაზე და ევა შეაცდინა.

ჩვენი კომენტარი:

1. ნაწყვეტი – "გველის" შესახებ მეტყველებს. სიტყვები "სატანა" და "ეშმაკი" საერთოდ არ გვხვდება წიგნში "დაბადება".
2. გველი არასოდეს არ არის ნახსენები, როგორც ანგელოზი.

3. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ წიგნში "დაბადება" არ არის ნათქვამი ჯოჯოხეთიდან განდევნილ არსებაზე.

4. ცოდვის საზღაური სიკვდილია (რომ 6:23). ანგელოზებს არ შეუძლიათ სიკვდილი (ლუკ 20:35-36) და, აქედან გამომდინარე, ცოდვის ჩადენა. მართლმორწმუნენიც საზღაური იმაში შედგება, რომ ისინი ანგელოზთა სწორნი იქნებიან და არ მოკვდებიან (ლუკ 20:35-36). თუ ანგელოზები შეძლებდნენ ცოდვის ჩადენას, მაშინ მართლმორწმუნენიც ჩაიდენდნენ ცოდვას და სიკვდილით დაისჯებოდნენ, რაც მათვის მარადიული ცხოვრების შეუძლებლობას ნიშნავს.

5. მოქმედი პირები აქ არიან: ღმერთი, ადამი, ევა და გველი. სხვა არავინ არ არის ნახსენები. არ არსებობს არავითარი საბუთი იმის დასადასტურებლად, რომ ვიღაც შეიჭრა გველში და აიძულა ჩაედინა ის, რაც მან ჩაიდინა. პავლემ თქვა: "გველმა თავისი მზაკვრობით აცდუნა ევა" (2 კორ 11:3). უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: "რაკი ეს ჩაიდინე..." (დაბ 3:14). თუ "სატანამ" გამოიყენა გველი, რატომ არ არის იგი ნახსენები და რატომ არ იყო იგი ასევე დასჯილი?

6. ადამმა ევა დაადანაშაულა თავის ცოდვაში: "მან მომცა იმ ხილის ნაყოფი" (დაბ 3:12). ევამ გველი დაადანაშაულა: "გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე" (დაბ 3:13). გველმა არ დასდო ბრალი ეშმაკს – მან არ გაიმართლა თავი.
7. თუ ვიტყვით, რომ გველებს ამჟამად არ გააჩნიათ ხმა და ეჭვს შევიტანთ ედემის ბაღში ნაამბობში, უნდა გვახსოვდეს, რომ: –

ა) ერთხელ ვირი აიძულეს ელაპარაკა ადამიანთან (ბალაამთან): "უტყვი ვირი ადამიანის ხმით ალაპარაკდა და ალაგმა წინასწარმეტყველის სიშმაგე" (2 პეტ 2:16)
და

ბ) "გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა" (დაბ 3:1). წყევლამ, როგორც ჩანს, მეტყველების უნარი დააკარგვინა.

8. როდესაც ღმერთმა შექმნა გველი (დაბ 3:1), სხვა არსება, რომელსაც "სატანას" უწოდებენ, არ გადაისახა მასში. თუ ჩვენ ვეჭვობთ ამის შესახებ, მაშინ ჩვენ ვუშვებთ ერთი ადამიანის მეორეში გარდასახვის და მართვის საშუალებას. მაგრამ ეს იდეა წარმართულია, და არა ბიბლიური. თუ ვიტყვით, რომ ღმერთს არ უნდა შეექმნა გველი იმ დიდი ცოდვის გამო, რომელიც მან ადამისა და ევას მიმართ ჩაიდინა, მაშინ უნდა გავიხსენოთ, რომ ცოდვა სამყაროში ადამიანმა შემოიტანა (რომ 5:12), ამიტომ გველი უზნეო იყო და მეტყველებდა იმის შესახებ, რასაც ხედავდა და არ აგებდა პასუხს ღმერთის წინაშე. აქედან გამომდინარე, მას არ ჩაუდენია ცოდვა.

ზოგიერთი ვარაუდობს, თითქოს ლექსები დაბ 3 თავში ეკუთვნიან სერაფიმეს. მაგრამ, ძველებრაელურ სიტყვას, რომელიც ნათარგმნია, როგორც "გველი", არავითარი კავშირი არა აქვს სიტყვასთან "სერაფიმე". ამ უკანასკნელი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა "ცეცხლოვანი" არის, და რიცხვ 21:8 იგი ნათარგმნია როგორც "სპილენძის გველი", მაგრამ ეს ის სიტყვა არ არის,

რომელიც დაბ 3 ნათარგმნია სიტყვა "გველით". სპილენძი – ცოდვის სიმბოლოა (მსაჯ 16:21; 2 მეფ 3:34; 4 მეფ 25:7; 2 ნეშტ 33:11; 36:6). ამრიგად, სიტყვა "გველი" შესაძლოა უკავშირდებოდეს ცოდვის იდეას, და არა ცოდვილ ანგელოზს.

<u>მოცემული სტატიის განმარტება:</u>

1. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წიგნის "დაბადება" პირველ თავებს არ გააჩნიათ ეჭვის მიტანის საფუძველი სამყაროს შექმნისა და ადამიანის ცოდვის ჩადენის შესახებ. "გველი", სიტყვასიტყვით, გველი იყო. ფაქტი, რომ ჩვენ ამჟამად ვხედავთ მუცელზე ფოფხავ გველს, ცოდვის საზღაურის შედეგად (დაბ 3:14), ადასტურებს ამას. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იტანჯება მამაკაცი და დედაკაცი წყევლისაგან, რომელიც მათ მოევლინათ იმავე დროს. ჩვენს წარმოსახვაში ადამი და ევა, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით, მამაკაცი და დედაკაცი იყვნენ, რადგან შეგვიძლია მათი შედარება ახლანდელ კაცსა და ქალთან, რომლებსაც უკეთესი პირობები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, პირველი გველიც ასევე სიტყვასიტყვით ქვეწარმავალი იყო, თუმცა გაცილებით გონიერი, ვიდრე ახლანდელი გველები.

2. შემდეგი მაგალითები ამტკიცებენ, რომ "დაბადების" წიგნის პირველი თავები უნდა მივიღოთ სიტყვასიტყვით: –

– იესო ეპყრობოდა ადამისა და ევას შექმნის აღწერას, როგორც თავისი შეუღლებისა და გაყრის სწავლების საფუძველს (მათ 19:5-6). არ არსებობს არავითარი შეტყობინება, რომ ამას იგი იგავურად აღიქვამდა.

"ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა; ადამი კი არ შემცდარა (გველის მეშვეობით), არამედ დედაკაცი შეცდა და დანაშაული ჩაიდინა" (1 ტიმ 2:13-14). ასევე პავლეც კითხულობდა "დაბადებას" სიტყვასიტყვით. და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია,

ადრე მან დეწერა, რომ "გველმა თავისი მზაკვრობით აცდუნა ევა" (2 კორ 11:3). მიაქციეთ ყურადღება, რომ პავლე არ ამბობს, თითქოს "ეშმაკმა" აცდუნა ევა.

– არსებობს რო საერთოდ რაიმე დამოწმება, რომ სამყაროს შექმნისა და ცოდვის ჩადენის აღწერა იგავურად უნდა მივიღოთ? დაბ 1 თანახმად, სამყარო ექვსი დღის განმავლობაში შეიქმნა. ის, რომ ეს ნამდვილად დღეები იყო, და ყოველივე 24 საათს შეიცავდა, მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ყველაფერი სხვადასხვა დღეებში შექმნილი ვერ იარსებებდა ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად.

ხოლო ის, რომ ისინი არ იყვნენ 1000 წლის ან მეტი პეიოდით, ის ფაქტი ადასტურებს, რომ ადამი იყო შექმნილი მეექვსე დღეს, მაგრამ მეშვიდე დღეს მოკვდა 930 წლის ასაკში (დაბ 5:5). თუ მეშვიდე დღე 1000 წლის პერიოდი ყოფილიყო, მაშინ ადამი 1000 წელზე მეტი იქნებოდა, როცა მოკვდა.

3. რადგანაც გველი დაწყევლილი იყო მუცელზე ფოფხვით (დაბ 3:14), ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უწინ მას ფეხები ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ იგი ყველა ცხოველზე ცბიერი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ გველს ცხოველთა ცხოვრების ისეთი წესი ჰქონდა, რომელიც ადამიანურს ემსგავსებოდა, თუმცა იგი ცხოველი იყო – ერთერთი "ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩნია" (დაბ 3:1, 14).

4. შესაძლოა, გველმა გასინჯა იმ ხის ნაყოფი, რაც მის მზაკვრობას ახსნიდა. ევამ "დაინახა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე... და საამური სანახავი იყო" (დაბ 3:6). როგორ უნდა სცოდნოდა მას ეს, თუ არასოდეს არ უნახია ამ ნაყოფის ჭამის შედეგი მათ ცხოვრებაში, ვინც უკვე გასინჯა იგი? შესაძლოა, ევამ რამდენჯერმე ესაუბრა გველს. პირველი სიტყვები, რომლებიც გველმა უთხრა მას ამგვარი იყო: "მართლა გითხრათ ღმერთმა?.." (დაბ 3:1). სიტყვა "მართლა" ადასტურებს იმას, რომ ეს

წინამავალი საუბარის გაგრძელება იყო, რომლის შესახებ "დაბადებაში" არ არის ნათქვამი.

გადაბრუება 19: ლიუციფერი

"როგორ ჩამოემხე ციდან, მთიებო, ძეო განთიადისა! მიწას დაენარცხე, ხალხთა მტარვალო! გუშინ ამბობდი: ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილო კალთებზე" (ეს 14:12-14).

<u>საყოფაცხოვრებო აზრი:</u> მიღებულია იმის ფიქრი, თითქოს ლიუციფერი თავის დროს ძლევამოსილი ანგელოზი იყო, რომელმაც ცოდვა ჩაიდინა და ამიტომ განიდევნა დედამიწაზე, სადაც ბოროტებას ქმნის ღვთის ხალხის მიმართ.

<u>ჩვენი კომენტარი:</u>

1. სიტყვები "ეშმაკი", "სატანა" და "ანგელოზი" ამ თავში არ გვხვდება. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ბიბლიის ზოგიერთ გამოცემაში არის სიტყვა "ლიუციფერი" (ბიბლიაში ქართულ ენაზე ამ სიტყვის ნაცვლად მოყვანილია სიტყვები "მთიებო, ძეო განთიადისა". შენიშვნა მთარგმნელის).

2. არ არსებობს არავითარი დადასტურება, რომ ეს 14 თავში მოცემულია ედემის ბაღში მომხდარი მოვლენის აღწერა. თუ ასეთი დადასტურება არსებობს, რატომ დაგვტოვეს გაუგებრობაში "დაბადების" წიგნის დაწერის შემდეგ 3000 წლის განმავლობაში, სანამ გვითხრეს, თუ რა მოხდა სინამდვილეში?

3. ლიუციფერზე ნათქვამია, როგორც მატლებით დაფარულზე (ლქ. 11) და ხალხით დაცინულზე (ლქ. 16), იმიტომ რომ მას არ გააჩნია არავითარი ძალა, ზეციდან განდევნის შემდეგ (ლქ. 5-8). ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ფიქრისათვის, რომ ლიუციფერი ამჟამად დედამიწაზეა და ხალხს აცდუნებს.

4. რატომ სჯიან ლიუციფერს მისი სიტყვების გამო: "ცად ავხდები" (ლქ. 13), თუ იგი იქ უკვე იყო?

5. ლიუციფერი გახრწნილია სამარეში: "შავეთს ჩაინთქვა შენი დიდება... და ზედ ჭიაღუა გახურავს" (ლქ 11). რადგან ანგელოზებს არ შეუძლიათ სიკვდილი (ლუკ 20:35, 36), ესე იგი, ლიუციფერს არ შეუძლია იყოს ანგელოზი.

6. ლექსებს 13 და 14 აქვთ კავშირი ლექსებთან 2 თეს 2:3, 4, რომლებიც მეტყველებენ "ურჯულო კაცის" შესახებ. ამრიგად, ლიუციფერი უფრო ადამიანს ეკუთვნის, ვიდრე ანგელოზს.

<u>მოცემული სტატიის განხილვა:</u>

1. ბიბლიის ახალი საერთაშორისო გამოცემა (**N.I.V.**) და ასევე სხვა თანამედროვე გამოცემა გადმოსცემს თავებს ეს 13-23 ტექსტს, როგორც სხვადასხვა ხალხს დავალებული "ტვირთის" სერია, მაგალითად, ბაბილონში ან ეგვიპტეში მცხოვრებ. ეს 14:4 ამგვარად განსაზღვრავს განხილული ლექსების კონტექსტს: "წარმოთქვამ ამ იგავს ბაბილონის მეფეზე..." ამრიგად, წინასწარმეტყველება ბაბილონის მეფეს ეკუთვნის, რომელიც აღწერილია როგორც "ლიუციფერი". მისი დაცემის შემდეგ "შენი შემხედვარი... ჩაფიქრდება: ეს ის კაცია, მიწას რომ არყევდა?... (ლქ. 16). აქედან გამომდინარე, ლიუციფერი აშკარად განისაზღვრება როგორც ადამიანი.

2. რადგანაც ლიუციფერი კაცი-მეფე იყო, მაშინ "მიწის მთავარნი... ყველანი ალაპარაკდნენ და გეტყვიან: შენც ჩვენსავით დაუძლურდი, ჩვენ დაგვემსგავსე" (ლქ. 9, 10). აქედან გამომდინარე, ლიუციფერი იყო ისეთივე მეფე, როგორც ნებისმიერი სხვა.

3. ლექსი 20 მეტყველებს, რომ ლიუციფერის თესლი დაიღუპება, ხოლო ლექსი 22 ამბობს, რომ ბაბილონის თესლი აღმოიფხვრება. ასე, ლიუციფერისა და ბაბილონის თესლები უტოლდებიან ერთმანეთს.

4. გახსოვდეთ, რომ ეს იგავი "ბაბილონის მეფეზეა" (ლქ. 4). სიტყვა "ლიუციფერი" ნიშნავს "განთიადის ვარსკვლავს", ესე იგი, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს. იგავში ეს ვარსკვლავი ამაყად იღებს გადაწყვეტილებას: "ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ" (ლქ. 13). ამპარტავნობის გამო ეს ვარსკვლავი განდევნილი იყო დედამიწაზე. იგი ასახავდა ბაბილონის მეფეს. დან 4 თავი აღწერს, თუ როგორ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორი ათვალიერებდა თავის აშენებულ დიდძალ სამეფოს და ფიქრობდა, რომ მან თვითონ, თავისი ძალებით, დაიპყრო და დაიმორჩილა სხვა ტომები. იგი არ აღიარებდა ღმერთის წვრილს მის წარმატებაში. "შენი სიდიადე (სიამაყე) გაიზარდა და ზეცას მისწვდა" (ლქ. 19) და ამის გამო "მოკვეთეს იგი კაცთაგან; ხარების მსგავსად ბალახის ჭამა დაიწყო; მისი სხეული ზეცის ცვარ-ნამით სველდებოდა, ისე რომ თმები არწივის ბუმბულივით გაუხდა, ფრჩხილები კი – ფრინველის კლანჭებივით" (ლქ. 30). ადამიანთა სამყაროში ერთერთ ასეთ ძლევამოსილის მოულოდნელი დაცემა შეშლილის მდგომარეობამდე, ისეთი დრამატიული მოვლენა იყო, რომ იგავის მიზეზი გახდა ზეციდან დედამიწაზე დაცემულ განთიადის ვარსკვლავის შესახებ. ვარსკვლავი – ძლიერი ხალხის სიმბოლოა, როგორც ნათქვამია, მაგალითად, დაბ 37:9; ეს 13:10 (ბაბილონის მმართველების მიმართ), დან 8:10 (შდ. ლქ. 24). ზეცად ამაღლება და ციდან დაცემა ბიბლიური მეტაფორაა, რომელიც ხშირად გამოიყენება გაძლიერებულ სიამაყისა და დაშვების შესაბამისად – იხ. იობ 20:6; იერემ 51:53 (ბაბილონის შესახებ), გოდ 2:1; მათ 11:23 (კაპერნაუმის შესახებ). "შენ კი,

კაპერნაუმო, განა ცამდე ამაღლდები? ჯოჯოხეთამდე (სამარემდე) დაეშვები".

5. ლექსი 17 ბრალს სდებს ლიუციფერს იმაში, რომ იგი "ქვეყანას რომ უდაბნოდ აქცევდა, ქალაქებს ანგრევდა და თავის ტყვეებს შინ არ აბრუნებდა". ყველაფერი ეს ბაბილონის სამხედრო პოლიტიკაზე მეტყველებს – მთელი გეოგრაფიული რეგიონების საფუძვლამდე განადგურება (როგორც ეს იერუსალიმთან მოხდა), ტყვეების წაყვანა სხვა ქვეყნებში და მათი დაბრუნების აკრძალვა (როგორც ეს ებრაელების მიმართ იყო განხორციელებული), ახალი ქალაქების აღორძინება და ხარკის გადახდა ოქროთი დაბეჩავებულ ხალხისაგან. აქ გამოიყოფა ის მომენტი, რომ თავისი საქმეების გამო ლიუციფერი არ იყო დიდებაში დამარხული, როგორც სხვა მეფეები (ლქ. 18, 19). ამით ხაზი ესმევა აზრს, რომ იგი მხოლოდ ადამიანი-მეფე იყო და სხვა მოკვდავი ხალხის მსგავსად, მის სხეულს დაკრძალვა ესაჭიროებოდა.

6. ლექსი 12 მეტყველებს, რომ ლიუციფერი "ციდან ჩამოემხო", რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგი ხე იყო. აქ იგრძნობა კავშირი დან 4:8-16, სადაც ნაბუქოდონოსორი და ბაბილონი მოჭრილ ხეს არიან შედარებულნი.

7. ხშირად წინასწარმეტყველებაში ბაბილონი და აშურეთი ემსგავსებიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ლექსი 25 მოგვითხრობს აშურეთის მეფის დაცემის შესახებ: "როგორც გადავწყვიტე, ისე მოხდება, შევმუსრავ აშურს..." წინასწარმეტყველება ბაბილონის დაცემის შესახებ (ეს 47) ეხმაურება წინასწარმეტყველებას აშურეთის განადგურების შესახებ (ნაუმ 3:4, 5, 18; სოფ 2:13, 15). ლექსი 2 ნეშტ 33:11 ამბობს, რომ "აშურის მეფეს მხედართ – მთავრებმა შეიპყრეს მენაშე, დაატყვევეს, ბორკილები დაადეს და ბორკილ დადებული ბაბილონს წაიყვანეს", და ამით რეპრესიური ზომების ჩატარების იდენტიურობას გვიჩვენებს.

ამოს 5:27 ნათქვამია, რომ ისრაელიანები "დამასკის იქით" გადასახლდნენ, ესე იგი, აშურეთში, ხოლო სტეფანი ციტირებს

ამრიგად "ბაბილონის იქით" (საქ 7:43). ეზრა 6:1 აღწერს ბაბილონის მეფის დარიოს მოქმედებას ტაძრის მშენებლობის დასასრულის მიმართ. ებრაელები მადლობას უხდიდნენ ღმერთს იმის გამო, რომ მან "გული მოაბრუნებინა მათკენ აშურის მეფეს" (ეზრა 6:22). აქ ასევე მჟღავნდება მოვლენათა მემკვიდრეობა. წონასწარმეტყველება ეს 14 და ასევე ესაიას სხვა მრავალი წინასწარმეტყველება, სრულიად შეესაბამება აშურელთა ჯარის შეჭრის კონტექსტს ეზეკიას დროს და ლექსი 25 აღწერს აშურელთა დამარცხებას. ლექსი 13 ადვილი გასაგებია, მასში მოთხრობილია იერუსალიმის ალყაში შეპყრობა აშურელთა მიერ, მათი ქალაქში შესვლის მისწრაფება და ტაძრის აღების სურვილი საკუთარი ღმერთისათვის. წინათ აშურის მეფეს თიგლათფალისარს, იგივეს ჩადენა სურდა (2 ნეშტ 28:20, 21). ლექსში ეს 14:13 ამგვარად არის ნათქვამი ამ ფაქტის შესახებ: "გულში ამბობდი: ცად ავხდები (ტაძრისა და კიდობანის სიმბოლო – 3 მეფ 8:30; 2 ნეშტ 30:27; ფსალმ 20:2, 6; 11:4; ებრ 7:26) და დავჯდები საკრებულო მთაზე (საკრებულო მთაზე იყო ტაძარი) ჩრდილო კალთებზე" (იერუსალიმში – ფსალმ 48:1, 2).

გადაწვევა 20: იესოს ცდუნება

მათ 4:1-11: "მაშინ სულმა წაიყვანა იესო უდაბნოში ეშმაკისაგან გამოსაცდელად. ორმოც დღეს და ორმოც ღამეს იმარხულა. ბოლოს მოშივდა. მიუახლოვდა მას მაცდური და უთხრა: "თუ შენ ღვთის ძე ხარ, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ". ხოლო მან მიუგო პასუხად: "დაწერილია, რომ არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პურიდან მომდინარე ყოველი სიტყვით". მაშინ წაიყვანა იგი ეშმაკმა წმიდა ქალაქში და დააყენა ტაძრის ქიმზე. უთხრა მას: "თუ

ღვთის ძე ხარ, გადაიგდე თავი ძირს, ვინაიდან დაწერილია: თავის ანგელოზებს უბრძანებს შენზე და ისინი ხელში აყვანით გატარებენ, რათა ქვას ფეხი არ წამოკრა". იესომ უთხრა მას: "არ გამოსცადო უფალი, ღმერთი შენი". ისევ წაიყვანა იგი ეშმაკმა ძალიან მაღალ მთაზე, უჩვენა წუთისოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება. უთხრა მას: "ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თაყვანს მცემ". მაშინ იესომ უთხრა: "გამვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე". მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა და, აჰა, ანგელოზები მიეახლნენ და ემსახურნენ მას".

<u>საყოფაცხოვრებო აზრი:</u> ეს ნაწყვეტი გვიჩვენებს, რომ არსება, სახელად "ეშმაკი", ცდილობდა იესოს ცდუნებაში შეყვანას, მოუწოდებდა გარკვეულ საქციელისაკენ მაცდურ სიტუაციებში.

<u>ჩვენი კომენტარი:</u>

1. იესო იყო "ჩვენსავით გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა" (ებრ 4:15) და "ყოველი ცდება თავისი გულისთქმით, რომელიც წარიტაცებს და აცდუნებს მას" (იაკ 1:14). ჩვენ "ეშმაკი" გვაცდუნებს ჩვენივე გულისთქმით, ასევე როგორც იესოს. მაგრამ ჩვენ არ გვაცდუნებს ეშმაკი, რომელიც მოულოდნელად ამოგვიდგა მხარში და მოგვიწოდებს ცოდვისაკენ – ცოდვა და ცდუნება "შიგნიდან გამოდის" (მარკ 7:21).

2. ცდუნება, როგორც ჩანს, არ უნდა მივიღოთ სიტყვასიტყვით.

– მათ 4:8 მეტყველებს, რომ იესო აყვანილი იყო საკმაოდ მაღალ მთაზე, რათა ეხილა წუთისოფლის ყვალა სამეფო და მათი დიდება. მაგრამ, არ არსებობს იმდენად მაღალი მთა, რომ მის მწვერვალოდან მთელი სამყარო იხილო. ნუთუ შესაძლოა იესოს დაენახა მთელი წუთისოფელი ყველაზე მაღალ მთიდან, თუ ჩვენი დედამიწა მრგვალია? არ არსებობს დედამიწაზე ისათი წერტილი,

საიდანაც შესაძლოა სამყაროს ყველა ნაწილის დანახვა ერთდროულად.

– შედარება თავების მათ 4 და ლუკ 4 გვიჩვენებს, რომ ცდუნება სხვადასხვა მიმდევრობით არის აღწერილი. შემდეგ, მარკ 1:13 გვეუბნევა, რომ იესო "უდაბნოში ორმოცი დღე იყო და სატანისგან იცდებოდა", ამავე დროს მათ 4:2, 3 ნათქვამია, რომ მან "ორმოც დღეს და ორმოც ღამეს იმარხულა. ბოლოს მოშივდა. მიუახლოვდა მას მაცდური..." რადგან წმიდა წერილი შეუძლებელია უპირისპირდებოდეს საკუთარ თავს, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს ცდუნება არაერთხელ განმეორდა. ამის ნათელი მაგალითია ცდუნება – პურად აქციო ქვები. სრულიად შესაძლოა, რომ ცდუნება იესოს გონებაში მოხდა. რადგან მას ჩვენი ბუნება ჰქონდა, კვების უკმარისობამ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე შესაძლოა იმოქმედა მასზე გონებრიულად და ფიზიკურად და, აქედან გამომდინარე, მას შეეძლო ადვილად წარმოედგინა ამგვარი რამ. შიმშილს შეუძლია ბოდვა გამოუწვიოს ადამიანს (შდ. 1 მეფ 30:12). პურსა და ქვების მსგავსებას იესო იხსენებს მათ 7:9. უეჭველია, რომ მოლანდება ხშირად ეწეოდა იესოს, მაგრამ იგი დევნიდა მას სიტყვებით წმიდა წერილიდან.

– შესაძლოა, რომ იესო უყვებოდა სახარების მწერლებს თავისი ცდუნებების შესახებ. განცდილის სიღრმავეს შესაქმნელად იგი ხმარობდა მეტაფორას, რომელიც ჩვენ მათ 4 და ლუკ 4 გვხვდება.

– შეუძლებელია, რომ ეშმაკს წაეყვანა იესო უდაბნოში და იერუსალიმის ქუჩებზე და შემდეგ ტაძრის მწვერვალზე, სადაც ისინი ერთად იდგნენ ცნობათმოყვარე ებრაელების თვალწინ. იოსიბე თავის ხეტიალის შესახებ ამის მსგავს არაფერს ამბობდა, რათა, როგორც ჩანს, არ გამოეწვია გონებების დიდი აღელვება. თუ იესოს ცდუნება რამდენიმეჯერ ჩატარდა 40 დღე-ღამის განმავლობაში, და ასევე ამ დროის პერიოდის ბოლოსაც (ამას კი

ადგილი ორჯერ მაინც ჰქონდა, იმის გათვალისწინებით, რომ აღწერილი მოვლენები ერთმანეთს არ ემთხვევა), მაშინ გაუგებარია, როგორ ასწრებდა იესო ამ ყველაფერს: მისულიყო უახლოეს მაღალ მთასთან (ეს ალბად მთა ჰერმონი იყო, ისრაელის ჩრდილოეთის მხარე), ასულიყო მის მწვერვალზე, შემდეგ კვლავ ქვემოთ ჩამოსულიყო, დაბრუნებულიყო უდაბნოში და შემდეგ ისევ ყველაფერი გაემეორებინა? ყველა მისი ცდუნება უდაბნოში მოხდა. იქ იგი ორმოცი დღე იმყოფებოდა, რომლის განმავლობაში განუწყვეტლივ ეშმაკის ცდუნებას განიცდიდა (იგი მხოლოდ ბოლოს გაქრა – მათ 4:11). თუ იესო უდაბნოში ცდუნებას ყოველ დღე განიცდიდა, ესე იგი, იესო არ სტოვებდა უდაბნოს, რათა მისულიყო იერუსალიმში და მაღალ მთაზე ასულიყო. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ყველაფერი სიტყვასიტყვით მომხდარიყო.

– თუ ეშმაკი ფიზიკური პიროვნებაა, რომელსაც არ გააჩნია ღმერთის სიტყვის შიში და რომელიც მხოლოდ ხალხის ცდუნებით არის დაინტერესებული, მაშინ რატომ უკითხავდა იესო მას ნაწყვეტებს წმიდა წერილიდან, რომ დაემარცხებინა იგი? ხალხთა თქმულების მიხედვით, ეს არ გააგდებდა ეშმაკს. მიაქციეთ ყურადღება, იესოს ყოველთვის მოჰყავდა სიტყვები ბიბლიიდან. თუ იესოს გულში ცოდვილი აზრები იყვნენ ეშმაკად, მაშინ გასაგებია, რომ ღმერთის სიტყვის გახსენებით იგი დაძლევდა ამ ცოდვილ სურვილებს. ფსალმ 119:11 ძალზე შეესაბამება ამ ადგილს, იგი წინასწარმეტყველებს იესოს განცდებს უდაბნოში: "გულში ჩავიმარხე შენი სიტყვები, რათა არ შევცოდო".

<u>მოცემული სტატიის განხილვა:</u>

1. იესომ იორდანში ნათლისღების შემდეგ, მიიღო ღვთის სულის ძალა (მათ 3:16). როგორც კი იესო გამოვიდა წყლიდან სულმა წაიყვანა იგი უდაბნოში გამოსაცდელად. ეს ცდუნება მის გონებაში იყო, რადგან მას გააჩნდა სასწაულების ქმნის ნიჭი, ქვებს აქცევდა პურად და ა. შ. თუ ადამიანს შეეთავაზებინა ეს მისთვის და იესოს სცოდნოდა, რომ ეს ადამიანი ცოდვილია, იგი გაცილებით ადვილად

გადაიტანდა ამ ცდუნებებს, ვიდრა იმას, რომელიც მის გონაბაში იბადებოდა.

2. სამეფოს დამორჩილების ცდუნება უფრო ძლიერი იქნებოდა, თუ თვით იესოს სურვილი ყოფილიყო. მისი გონება წმიდა წერილით იყო გატაცებული და ასეთ შიმშილობით გამოწვეულ გაუწონასწორებულ მდგომარეობაში, მას შეეძლო არასწორედ აეხსნა ნაწყვეტები ბიბლიიდან, რათა გაემართლებინა თავი ამ გარემოდან გამოსვლის იოლი გზის არჩევაში. მაღალ მთაზე მდგომ ეზეკიელმა იხილა მომავალი სამეფო (ეზეკ 40:2), ხოლო იოანმა "წმიდა იერუსალიმი" იხილა "დიდსა და მაღალ მთიდან" (გამოცხ 21:10), იესომ სამყაროს სამეფო დაინახა ისეთი, როგორიც იგი მომავალში იქნებოდა (ლუკ 4:5). ესე იგი, როდესაც "წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი" (გამოცხ 11:15). შესაძლოა, ამ დროს იგი ფიქრობდა მოსეზე, მის ორმოცწლიან ხეტიალზე უდაბნოში, ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ იხილა მან აღთქმული ქვეყანა (სამეფო) ნევოს მთიდან. დანიელი ხაზს უსმევდა (დან 4:17, 25, 32; 5:21), რომ "უზენაესი ხელმწიფობს კაცთა სამეფოზე და ვისაც უნდა იმას აძლევს მეფობას". იესომ იცოდა, რომ მხოლოდ ღმერთს და არა სხვა ვინმეს, შეეძლო მიეცა მისთვის სამეფო. ამიტომ, მისთვის დიდი ცდუნება არ იქნებოდა, თუ ცოდვილ სამყაროს ღვთის სამეფოს დაპირდებოდა, რადგან მან იცოდა, რომ მხოლოდ ღმერთს გააჩნია ამის ძალა. იმავე დროს იესოსთვის ცნობილი იყო ღმერთის სურვილი – მისცეს მას სამეფო. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სამეფოს მაშინვე აღების წინადადება "ეშმაკისაგან" იყო, რომელიც იესოში ივლდა. მას შეეძლო ფიქრი იმის შესახებ, რომ ღმერთმა მიანიჭა საკუთარი მომავლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღები ძალა (იოან 5:26, 27), რომ მასზე იყო დამოკიდებული თავისი სიცოცხლის განწირვა და უკან აღება (იოან 10:18), თუმცა, საბოლოოდ, მთელი ძალაუფლება მას გადაეცა მისი სიკვდილისა და აღდგომის შემდეგ (მათ 28:18).

3. წმიდა წერილის ცოდნით, იესოს შეეძლო დაენახა მსგავსება თავისი და ელიას შორის, რომლის ეთიკურმა შეხედულებებმა ვერ გაუძლეს გამოცდას უდაბნოში ორმოცი დღის გატარების შემდეგ (3 მეფ 19:8), და მოსეს შორის, რომელმაც დაკარგა ქვეყნის მემკვიდრეობის უფლება უდაბნოში ორმოცი წლის გატარების შემდეგ. იესო უდაბნოში ორმოცდღიური ხეტიალის შემდეგ ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა პირისპირ შეხვდა დამარცხების რეალურ შესაძლებლობას. მოსე და ელია დაიჩაგვრნენ ადამიანური სისუსტის და არა "ეშმაკის" გამო. ეს იგივე ადამიანური სისუსტე იყო, სატანისა და მოწინააღმდეგეს სახელით, რომელმაც აცდუნა იესო.

4. "უთხრა მას ეშმაკმა: თუ ღვთის ძე ხარ ..." (ლუკ 4:3). როგორც ჩანს, ეს მარადიული ცდუნება იყო ქრისტეს გონებაში – შეკითხვის დასმა ნამდვილად თუ არის იგი ძე ღვთისა, რადგან, როგორც სხვა დანარჩენი ხალხი ფიქრობდა, იგი იოსიბეს ძე იყო (ლუკ 3:23; იოან 6:42), ანუ უკანონოთ დაბადებული (როგორც იოან 9:29 ვარაუდობს) და საეკლესიო ოფიციალური საბუთები მეტყველებენ მასზე, როგორც იოსიბეს ძეზე (მათ 1:1, 16; ლუკ 3:23). ფრაზა, "როგორც ფიქრობდნენ" (ლუკ 3:23), ნიშნავს "რჯულის შესაბამისად". იგი დედამიწაზე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც არ ჰყავდა ადამიანური მამა. ფილ 2:8 გამოთქმულია წინადადება, რომ იესო ზოგჯერ ფიქრობდა, რომ იგი ნამდვილად ისეთივე ადამიანია, როგორებიც ჩვენ ვართ და რომ ფიქრი საკუთარ თავზე, როგორც ღვთის ძეზე ან თავისი ბუნების გაუგებრობა – ცდუნებაა.

5. იესოს ცდუნებებს ღმერთი უწევდა კონტროლს, რათა სულიერად აღეზარდა იგი. ნაწყვეტები, რომლებიც იესოს მოჰყავდა თავის გასამაგრებლად ცოდვილი სურვილების ("ეშმაკის") წინაშე, მეორე რჯულის იმავე ნაწილიდან იყვნენ, რომელიც უდაბნოში მყოფ ისრაელიანებზე მოგვითხრობს. იესო აშკარად ხედავდა მსგავსებას საკუთარ მდგომარეობასა და მათ შორის: –

<u>მეორე რჯული, თავი 8</u> <u>მათ 4/ლუკ 4</u>

ლექსი 2

"მოჰყავდა ეს ორმოცი წელი უფალს, შენს ღმერთს, რომ მოეთვინიერებინე, გამოეცადა, რომ სცოდნოდა, რა გიდევს გულში, დაიცავდი თუ არა მის მცნებებს".

"სულმა წაიყვანა იესო უდაბნოში" და იმყოფებოდა იგი იქ "ორმოც დღეს და ორმოც ღამეს". იესომ განიცადა ცდუნება. მან გადალახა იგი ციტატებით წმიდა წერილიდან, რომელიც მის გულში იყო (ფსალმ 119:11).

ლექსი 3

"გათვინიერებდა, გამშევდა და გაჭმევდა მანანას... რათა მიმხვდარიყავი, რომ მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით".

"ბოლოს (იესოს) მოშივდა". იოან მეექვსე თავში იესო მანანას უწოდებს ღვთის სიტყვას, რომლით იგი ცხოვრობდა უდაბნოში. იესომ შეიცნო, რომ სულიერად ღვთის სიტყვით ცოცხლობდა. მან უპასუხა: "დაწერილია, რომ არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან მომდინარე ყოველი სიტყვით".

ლექსი 5

"შეიგნე, როგორც კაცი წვრთნის თავის შვილს, ასევე უფალი, შენი ღმერთია შენი გამწვრთნელი".

როგორც ჩანს, იესო ეჭვობდა საკუთარი განცდების შესახებ. ღმერთი სჯიდა თავის ძეს იესოს (2 მეფ 7:14; ფსალმ 89:32).

ასე იესომ გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ვიკითხოთ და აღვიქვათ სიტყვა. მან გაიზიარა ისრაელიანების მდგომარეობა, როდესაც ისინი უდაბნოში იმყოფებოდნენ და ამიტომ იმას აკეთებდა, რაც მათი გამოცდილებიდან შეიცნო.

გადაწვევა 21: ომი ცაში

> **გამოცხადება 12:7-9:** ”შეიქმნა ცაში ომი: მიქაელი და მისი ანგალოზები ებრძოდნენ გველეშაპს. შეებრძოლნენ გველეშაპი და მისი ანგელოზები, მაგრამ ვერ გაუძლეს და აღარც ადგილი აღმოჩნდა მათთვის ცაში. გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი. და მისი ანგელოზებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად”.

საყოფაცხოვრებო აზრი:

ეს ერთერთი ყველაზე ცნობილი ნაწყვეტია, რომელიც გამოიყენება იმ აზრის დასასაბუთებლად, თითქოს ცაში მომხდარ ანგელოზთა შორის ავჯანყების შედეგად ეშმაკი და მისი ანგელოზები განდევნილნი იყვნენ დედამიწაზე, სადაც ამჟამად გველის სახით უბედურებებსა და ცოდვებს ქმნიან.

ჩვენი კომენტარი:

1. ყველაფერი, რაც ამ თავში შევიტყეთ, უნდა გამოვიყენოთ მოცემული ნაწყვეტის გარჩევისათვის. ჩვენ ვთქვით, რომ ანგელოზები ცოდვას არ იდენენ, და ცაში ავჯანყება შეუძლებელია. ამრიგად, ეს ნაწყვეტი ისე უნდა ავიქვათ, რომ არ დარჩეს აზრი ცოდვილ ანგელოზთა არსებობის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ ისინი გვაიძულებენ ცოდვის ჩადენას, რადგან, როგორც ჩვენ ვიცით, ცოდვა შინაგანად ჩვენშია, და არა ჩვენს გარეთ (მარკ 7:20-23).

2. საუბარი გველის განდევნაზე ციდან ნიშნავს იმ აზრის დაშვებას, თითქოს იგი იქ იმყოფებოდა განდევნის მომენტამდე. მაგრამ, ნამდვილი გველი ედემში იყო შექმნილი ღმერთით მიწის მტვრისაგან (დაბ 1:24-25). არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეშმაკი ციდან ჩამოვიდა და გველში შევიდა.

3. მიაქციეთ ყურადღება, აქ არ არის ნათქვამი, რომ ანგელოზები ცოდვილობდნენ ან ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებულან, საუბარი მხოლოდ ცაში ომს ეხება.

4. დრამატიული მოვლენის შემდეგ, რომელიც აღწერილია ლექსებში 7-9, მე-10 ლექსში ნათქვამია: "მომესმა დიდი ხმა, რომელიც ლაპარაკობდა ცაში: ახლა დადგა ჩვენი ღვთის ხსნა, ძალა და მეფობა და მისი ქრისტეს ხელმწიფება, ვინაიდან გადმოგდებულ იქნა ჩვენი ძმების ცილისმწამებელი, რომელიც ცილს სწამებდა მათ დღე და ღამე ჩვენი ღვთის წინაშე". თუ ყველაფერი, რაც ნათქვამია ლექსებში 7-9 სამყაროს შექმნამდე მოხდა, ადამისა და ევას გამოჩენამდე, მაშინ როგორ შეგვიძლია იმის თქმა, რომ სატანის დაცემის შემდეგ ღვთის სამეფო დამყარდა? ადამის ცოდვის შემდეგ, კაცობრიობამ თავისი მონობის, ცოდვისა და ტანჯვის ისტორია დაიწყო – მდგომარეობა, რომელსაც ვერ უწოდებ "ხსნას" და ღმერთის სამეფოს. ნათქვამია, რომ ეშმაკი გამოგდებული იყო დედამიწაზე და ამ მიზეზით ცაში სიმხიარულე იყო. რატომ უნდა იყოს მხიარულობა, თუ მისი მოსვლა დედამიწაზე კაცობრიობის ცოდვისა და ტანჯვის საწინდარი იყო. თუ მის დაცემას დედამიწაზე მივიღებთ არა სიტყვასიტყვით, არამედ მხატვრულად, ხელისუფლების დაკარგვის სახით (როგორც ეს 14:12; იერემ 51:53; გოდ 2:1; მათ 11:23), მაშინ მასში მეტი აზრი იქნება. თუ ეს ყველა მოვლენა ადამის გაჩენამდე მოხდა ან მის ცოდვამდე, როგორ შეძლებდა ეშმაკი "ჩვენი ძმების" დევნას, როდესაც ისინი არც კი არსებობდნენ?

5. არ არსებობს არავითარი მითითება, რომ ეს ყველაფერი ედემის ბაღში მოხდა. მნიშვნელოვანი შენიშვნა არის გაკეთებული გამოცხ 1:1 და 4:1, სადაც ნათქვამია, რომ გამოცხადება წინასწარმეტყველებაა, რომელიც "უნდა მოხდეს მალე". ამიტომ, ეს ედემში მომხდარის აღწერა კი არ არის, არამედ

წინასწარმეტყველებაა იმის შესახებ, თუ რა მოხდა პირველი საუკუნის შემდეგ, როცა იესოს გამოცხადება მიეცა. და ის, ვინც ნამდვილად პატივისცემით ეპყრობა ღვთის სიტყვას, ხვდება, რომ ეს დებულება უკვე უარყოფს ყველა ცდას – მივაკუთვნოთ გამოცხ 12 ლექსები ედემის ბაღს. საჭიროა ასევე გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რატომ ეშმაკის იგივეობა და იმისა, რაც ედემის ბაღში მოხდა, ბიბლიის ბოლოს არის მოცემული.

6. "გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი" (გამოცხ 12:9). გველეშაპს "ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა" (ლქ. 3). ამიტომ, სიტყვასიტყვით, იგი გველი არ იყო. ის, რომ მას "ძველი გველი" ეწოდება, გვიჩვენებს მისი დახასიათების მსგავსებას ედემის გველის დახასიათებასთან, იმ მხრივ, რომ იგი მატყუარა იყო. ასევე, სიტყვა "სიკვდილის ნესტარია ცოდვა" (1 კორ 15-56) არ ნიშნავს სიტყვასიტყვით, რომ სიკვდილი – გველია. რასაკვირველია, სიკვდილს გააჩნია საერთო დახასიათება გველთან ცოდვასთან კავშირის გამო.

7. ეშმაკი გადმოგდებული იყო დედამიწაზე "დიდი მძინვარებით, რადგან იცის, რომ დრო მცირეღა დარჩა" (ლქ. 12). თუ ეშმაკი გადმოგდებული ყოფილიყო ედემში, მას ექნებოდა შესაძლებლობა დაეტანჯა ხალხი მთელი ცხოვრების განმავლობაში და მას არც კი ექნებოდა "დრო მცირეღა", დედამიწაზე ტანჯვის შესაქმნელად.

8. როგორ შეეძლო ეშმაკს "მთელი წუთისოფლის" მაცდური (ლქ. 9) ყოფილიყო იმ მომენტამდე, სანამ გადმოგდებული იქნა ციდან, თუ ადამის გამოჩენამდე სამყაროში არავინ არ იყო?

9. ლექსში 4 ნათქვამია: "მისმა (გველეშაპის) კუდმა ციდან წამოათრია ვარსკვლავების მესამედი და მოისროლა დედამიწაზე". თუ ამ სიტყვებს სერიოზულად მივიღებთ, საერთო აზრით კი "გამოცხადებაში" ყველაფერი უნდა სიტყვასიტყვით მივიღოთ, მაშინ გველეშაპის რეალური ზომა წარმოუდგენელია – მთელი სამყაროს მესამედი (ან მზის სისტემის მაინც) დაეთავსა მის კუდზე. დედამიწაზე არ მოიძებნება ასეთი უზარმაზარი არსების დასატევი

ადგილი. მზის სისტემის ვარსკვლავთა უმრავლესობა მოცულობით ჩვენ დედამიწაზე ბევრად დიდია, აქედან გამომდინარე, როგორ დაეშვებოდა მისი მესამედი დედამიწაზე. წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი მოხდა ან მოხდება ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნის შემდეგ, როდესაც ეს აღთქმა მოგვეცა.

10. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გასაგები ხდება, რომ გამოცხ 12 თავში (და მთელ წინასწარმეტყველებაში) აღწერილი მოვლენები შეუძლებელია განხორციელდნენ სიტყვასიტყვით. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ გამოცხადების დასაწყისში ნათქვამია, რომ ეს წერილი უნდა მივიღოთ, როგორც აღმნიშვნელი, ესე იგი, ის მოცემულია ნიშნებისა და სიმბოლების ენით (გამოცხ 1:1). მეთორმეტე თავში ნათქვამის თითქოს წინასიტყვაობის სახით, ლექსი 12:1 აღწერს მომდევნო მოვლენებს, როგორც "დიდ ნიშანს".

11. დედამიწაზე ეშმაკის საქმეების აღწერაში არ გვაქვს მითითება, რომ იგი პროვოცირებდა ხალხს ცოდვაზე. ლექსებში 12-16 ნათქვამია, რომ ეშმაკის დედამიწაზე დაშვებისთანავე, იგი დაიმარცხა თავისი ბილწი საქმეების ჩატარების ცდებში.

12. ნაწყვეტის შინაარსის გასაგებად ერთერთი ძირითადი საკითხი – ცაში ომის დადასტურების საკითხია და ასევე გამოიყენება თუ არა აქ სიტყვა "ცა" იგავურად. ჩვენ უკვე აგიხსენით, რომ სიტყვა "ცა" შესაძლოა აღნიშნავდეს ხელისუფლების ადგილსამყოფელს. გამოცხადება – სიმბოლური წიგნია, და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ პოზიციით უნდა განვიხილოთ მოცემული საკითხი.
დედაკაცი, რომელსაც "ემოსა მზე. მის ფერხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით" (ლქ. 1). ყველა ეს ზეციური სხეული და ასევე ცაში აყვანილი დედაკაცი, შეუძლებელია სიტყვასიტყვით არსებობდნენ. მას არ შეუძლია ნამდვილად ჩაცმული იყოს მზით და ჰქონდეს ვარსკვლავები თავზე, რომელთაგანაც თითოეული დედამიწის ზომის არის.

სხვა ნიშანი გამოჩნდა ცაში – წითელი გველეშაპი (ლქ. 3). ჩვეულებრივ ცა აქ მიიღება რეალურად, მაგრამ რატომ უნდა იყოს ასე, თუ ეს იგივე ცა არის, რომლის შესახებ იყო ნათქვამი (ლქ. 1). მეოთხე ლექსში ნათქვამია, რომ გველეშაპის "კუდმა ციდან წამოათრია ვარსკვლავების მესამედი და მოისროლა დედამიწაზე". ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დედამიწისა და ვარსკვლავების რეალური მოცულობის გამო, ეს არ შეესაბამება რეალურ ვარსკვლავებსა და ზეცას. ღვთის სამეფო დედამიწაზე უნდა დამყარდეს (დან 2:44; მათ 5:5), რაც შეუძლებელი იქნება, თუ დედამიწა მასზე დაცვენილ უზარმაზარ ვარსკვლავებით იქნება განადგურებული.

დედაკაცმა ცაში "შვა ძე", რომელიც "ატაცებულ იქნა... ღმერთთან და მის ტახტთან" (ლქ. 5). ღვთის ტახტი ცაში იმყოფება. თუ დედაკაცი უკვე იყო ცაში, მაშინ რატომ მისი ბავშვი უნდა "ატაცებულ იქნას" ზეცად? ალბად, იგი რაღაც სიმბოლო იყო დედამიწაზე, თუმცა ირიბულად "ცაშიც" იყო. შემდეგ იგი "გაიქცა უდაბნოში" (ლქ. 6). თუ დედაკაცი მხატვრულ ცაში იმყოფებოდა, მაშინ უდაბნოც ცაში უნდა იყოს. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ დედაკაცი ცაში რაღაც სიმბოლურ ადგილზე იმყოფებოდა და შემდეგ დეამიწაზე დაეშვა, სიტყვასიტყვით ან სიმბოლური მნიშვნელობით სადღაც უდაბნოში.

შემდეგ გადავდივართ 7 ლექსთან: "შეიქმნა ცაში ომი". რადგან სხვა დანარჩენ მითითებებს ცის შესახებ გამოცხ 12 ჰქონდა სიმბოლური მნიშვნელობა, ესე იგი ომიც ცაში იყო. და ეს ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო, რადგან რეალურ ცაში შეუძლებელია ავჯანყება ან ცოდვა (მათ 6:10; ფსალმ 5:4, 5; აბაკ 1:13).

ამ სტიქონების მწერალი ზოგჯერ ეკითხება მათ, ვისაც სწამს ორთოდოქსალური იდეა ეშმაკის შესახებ: "შეგიძლიათ წამიყენოთ მოკლე უწყება ეშმაკზე ბიბლიის ნაწყვეტების თქვენი ინტერპრიტაციის შესაბამისად?" პასუხი საკმაოდ

სხვადასხვაგვარია. ორთოდოქსალური სწავლების შესაბამისად, პასუხი ამგვარი უნდა იყოს:

ა) ეშმაკი ანგელოზი იყო ცაში, რომელიც გამოაგდეს ედემის ბაღში. დაბ 1 თავში იგი განდევნილი იყო დედამიწაზე.
ბ) მგონი, იგი დაეშვა დედამიწაზე და იქორწილა დაბ 6 თავში.
გ) ამბობენ, რომ იობის დროს მას შეეძლო ყოფნა როგორც ცაში, ასევე დედამიწაზე.
დ) ეს 14 დაწერის დროისათვის, იგი უკვე განდევნილი იყო ციდან დედამიწაზე.
ე) ზაქ 3 თავში იგი კვლავ ცაში იყო.
ვ) მათ 4 იგი ისევ დედამიწაზეა. ის "გამოგდებული" იყო იესოს სიკვდილის დროს, "ამ სამყაროს ბატონის გადმოგდების" გავრცელებულ აზრთან შესაბამისად.
ზ) ეშმაკის დაცემის შესახებ გვაქვს წინასწარმეტყველება გამოცხ 12 თავში.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ხალხთა წარმოდგენასთან შესაბამისად, ეშმაკის განდევნა ციდან მისი ცოდვების გამო, არ შეეფერება სინამდვილეს, იმის გათვალისწინებით, რომ მასზე საუბრობენ, როგორც ცაში მყოფზე მისი განდევნის ყოველივე შემთხვევის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ როგორც "ცა", ასევე ეშმაკიც აღწერილია მეტაფორის საშუალებით.

<u>მოცემული სტატიის განხილვა:</u>

1. ამ თავის დაწვრილებითი გადმოცემის ცდა აღვნიშნელი მოცულობის ჩარჩოებში არ თავსდება. ამ ლექსების სრული ახსნა ითხოვს "გამოცხადების" მთელი წიგნის გაგებას.

2. კონფლიქტი სიმბოლურ ცაში, ესე იგი, ხელისუფლების ადგილსამყოფელში, იყო ორ გამეფებულ ჯგუფთა შორის, ყოველივე თავის მიმდევრებითა და ანგელოზებით. გახსოვდეთ, რომ ეშმაკი და სატანა ხშირად ასოციაციით უკავშირდებიან რომაელურ ან ებრაელურ სისტემებს.

3. ის, რომ ეშმაკი-გველეშაპი წარმოადგენს პოლიტიკური ხელისუფლების რომელიმე ასპექტს იმით მჟღავნდება, რომ მას "თავებზე შვიდი ჯოღა" ჰქონდა (ლქ. 3). ლექსები გამოცხ 17:9, 10 ამგვარად მეტყველებენ გველეშაპზე: "აქ საჭიროა გონება, რომელსაც სიბრძნე აქვს", ეს იგი, არ ეცადოთ მიიღოთ ეს ურჩხული ცოცხალ არსებად. "შვიდი თავი შვიდი მთაა... მეფენიც შვიდნი არიან". ერთერთი მათგანი, რომელიც "მცირე ხანს დარჩება", როგორც ჩანს, უკავშირდება ეშმაკს-გველეშაპს, რომელსაც "დრო მცირეღა დარჩა" გამოცხ 12:12.

თავი 6: საკითხები

1. საბოლოოდ ვინ აგებს პასუხს ჩვენს პრობლემებზე და უბედურებებზე?
   ა) ღმერთი
   ბ) შემთხვევა
   გ) ცოდვილი არსებები სატანის სახელით
   დ) ცოდვილი არსებები ეშმაკის (დემონის) სახელით

2. ვინ აგებს პასუხს ჩვენს ცოდვის ჩადენის ცდუნებაზე?
   ა) ჩვენი საკუთარი ადამიანური ბუნება
   ბ) ღმერთი
   გ) ცოდვილი სულები
   დ) ცოდვილი არსება სატანის სახელით

3. რას ნიშნავს "ეშმაკი" როგორც სიტყვა?
   ა) ცოდვას
   ბ) გველს
   გ) ცრუ მბრალდებელს / ცილისმწამებელს / მტერს
   დ) ლიუციფერს

4. რას ნიშნავს "სატანა" როგორც სიტყვა?
   ა) ცოდვილი
   ბ) მოპირისპირე
   გ) მხეცი
   დ) ეშმაკთა (დემონების) მეფე

5. შესაძლოა სიტყვა "სატანა" კარგ ხალხს ეკუთვნოდეს?

6. რას შეიძლება ეკუთვნოდნენ სიტყვები "სატანა" და "ეშმაკი" იგავურად?

7. როგორ უნდა ავიქვათ სიტყვა "ეშმაკი" ("დემინი"), რომლის შესახებ ნათქვამია ახალ აღთქმაში?

ა) ცოდვილი ანგელოზები

ბ) დაავადება

გ) თავისი დროის ენა დაავადებების აღმნიშვნელი, რომლებიც ხალხთა აზრით, ეშმაკით იყვნენ გამოძახილნი

დ) სულები

8. რა გესმით სიტყვა "გველის" ქვეშ ედემის ბაღში?

კარი 2:

“რომელიც აბარებს...
იესო ქრისტეს სახელს”
(საქ 8:12)

თავი 7

იესოს ფარმოშობა

7.1. ძველი აღთქმის ქადაგება იესოს შესახებ

მესამე თავში ახსნილი იყო, როგორ მოიყარა თავი იესო ქრისტეზე ღმერთის ჩანაფიქრმა ხალხის ხსნის შესახებ. აღთქმაში, რომელიც მან ევას, აბრაამსა და დავითს მისცა, ნათქვამი იყო იესოზე, როგორც მათ პირდაპირ შთამომავალზე. სინამდვილეში, მთელი ძველი აღთქმა ქრისტეს მოსვლას წინასწარმეტყველებს. მოსეს რჯული, რომელიც ისრაელიანებს უნდა დაეცვათ ქრისტეს გამოჩენამდე, მიზნად ისახავდა ამ მოვლენის წინასწარმეტყველებას: "რჯული იყო ჩვენი წარმართველი ქრისტესაკენ" (გალ 3:24). ასე, ებრაელურ აღდგომის დროს უნდა დაეკლათ უმანკო კრავი (გამ 12:3-6). ეს კრავი ქრისტეს მსხვერპლს წარმოადგენდა: "ღვთის კრავი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას" (იოან 1:29; 1 კორ 5:7). უმანკო და საღი მდგომარეობა, რომელიც საჭირო იყო შესაწირ პირუტყვებისთვის, ადასტურებს ქრისტეს უმწიკლო ხასიათს (გამ 12:5, შდ. 1 პეტ 1:19).

ძველი აღთქმის ფსალმუნნი და წინასწარმეტყველება სავსეა იმ წინასწარმეტყველებით, თუ როგორი იქნება მესია. განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი მის სიკვდილს ანიჭებენ. მესიის სიკვდილიანობის იდეის აღიარების იუდეველთა უარყოფა შესაძლოა განპირობებული იყოს მხოლოდ უყურადღებობით ამ წინასწარმეტყველების მიმართ. ზოგიერთი მათგანი ქვემოთ არის მოცემული:

ძველი აღთქმის ქადაგება	**განხორციელება ქრისტეში**
"ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! სად მიმატოვე"?(ფსალმ 22:1).	ასეთივე სიტყვები წარმოთქვა ქრისტემ ჯვარზე (მათ 27:46).
"მე კი მატლი ვარ და არა კაცი, სიძრახისი ადამიანთა და საძულველი ერისა. ყველა, ვინც მხედავს, მე დამცინის; მქურდავენ და თავს გააქნევენ.	ისრაელიანები ძრახავდნენ და დასცინოდნენ იესოს (ლუკ 23:35; 8:53), ისინი თავს აქნევდნენ (მათ 27:39), და ამბობდნენ ამას, რადგანაც იგი

ამბობენ: "ღმერთზე მინდობილს იგი დაიხსნის, ის გადაარჩენს, თუ ნებავს იგი"(ფსალმ 22:7-9).	ჯვარზე გაკრული იყო (მათ 27:43). ეს განხორციელდა ქრისტეს წყურვილში ჯვარზე (იოან 19:28).
"ენა სასაზე მიმეკრა... ისინი ჩემი ხელ-ფეხის გასაგმირავად" (ფსალმ 22:16, 17).	ხელ-ფეხის განგმირვა ჯვარცმის ფიზიკურ ხერხს ეკუთვნის.
"ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს ყრიან ჩემს კვართზე" (ფსალმ 22:19).	ამ სიტყვების სრული განხორციელება ნაჩვენებია მათ 27:35.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ფსალმ 22:22 ლექსი განსაკუთრებით შეესაბამება იესოს ლექსს ებრ 2:12.

"შორეული გავხდი ჩემი ძმებისთვის და უცხო – დედაჩემის შვილთათვის. რადგან შენი სახელის შურმა დამღრღნა მე" (ფსალმ 69:9-10).	ეს სიტყვები კარგად აღწერენ იმ განმარტოებულ გრძნობას ებრაელურ ძმებისაგან და საკუთარი ოჯახისაგან (იოან 7:3-5; მათ 12:47-49).
"და აურიეს ჩემს საჭმელში ძირმწარე, და წყურვილის დროს მასვეს ძმარი (ფსალმ 69:22).	ეს ქრისტეს ჯვარცმის დროს მოხდა (მათ 27:34).

ესაია წინასწარმეტყველის მთელი 53 თავი წარმოადგენს არაჩვეულებრივ წინასწარმეტყველებას ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომის შესახებ; ყოველი მისი ლექსი ზუსტად შეესაბამება იმას, რაც სინამდვილეში მოხდა. ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ორი მაგალითი ამ თავიდან:

"კრავივით დასაკლავად	ქრისტეს ღვთის კრავი დუმდა

მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე" (ეს 53:7).

მასზე შექმნილ გასამრჯელის დროს (მათ 27:12-14).

"მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით და მდიდართან ერთად თავის სიკვდილში" (ეს 53:9).

იესო იყო ჯვარზე გაკრული ყაჩაღებთან ერთად (მათ 27:38), მაგრამ დასაფლავებული მდიდარი კაცის სამარეში იყო (მათ 27:57-60).

ამიტომ, არ არის საკვირველი, რომ ახალი აღთქმა გვახსენებს იმას, რომ ძველი აღთქმის "რჯული და წინასწარმეტყველები" ჩვენი ქრისტეს გაგების საფუძველია (საქ 26:22; 28:23; რომ 1:2, 3; 16:25, 26). იესო თვითონ გვაფრთხილებდა, რომ თუ "მოსესა და წინასწარმეტყველთ" არ მოუსმენთ, მას ვერ გავუგებთ (ლუკ 16:31; იოან 5:46-47).

ის ფაქტი, რომ მოსეს რჯული ქრისტეზე მიგვითითებს, ხოლო წონასწარმეტყველები მის შესახებ ქადაგებდნენ საკმარისი მტკიცებაა, რომ იესო ფიზიკურად არ არსებობდა თავის დაბადებამდე. ცრუ დოქტრინა, თითქოს ქრისტე "არსებობდა" დაბადებამდე, ქმნის უსაფუძვლოდ იმ აღთქმას, რომ ის ევას, აბრაამისა და დავითის "თესლი" (შთამომავალი) იქნება. თუ იგი არსებობდა ცაში ამ აღთქმის მიცემამდე, მაშინ ღმერთი მატყუარი იქნებოდა თავის დანაპირებში, რომ ამ ხალხს შთამომავალი ეყოლება, რომელიც მესია <u>იქნება.</u> მათ 1 და ლუკ 3 აღწერილი იესოს გენეალოგია, გვიჩვენებს მის საგვარეულო ნუსხას, რომელიც იმ ხალხამდე ადის, ვისაც ღმერთმა აღთქმა მისცა.

აღთქმა დავითის მიმართ ქრისტეს შესახებ გამორიცხავს მის ფიზიკურ არსებობას ამ აღთქმის მიცემის დროს: "მე <u>აღვადგენ შენს შემდგომად</u> ნაშიერს, შენი საზარდულიდან გამომავალს... მე მამა <u>ვიქნები</u> მისთვის, ის კი შვილი <u>იქნება</u> ჩემთვის" (2 მეფ 7:12, 14).

მიაქციეთ ყურადღება მომავალი დროს გამოყენებას. თუ ცნობილია, რომ ღმერთი იქნება ქრისტეს მამა, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ღვთის შვილი უკვე არსებობდა ამ აღთქმის მიცემის დროს. ფრაზა იმის შესახებ, რომ ეს თესლი: "საზარდულიდან გამომავალი" არის, ადასტურებს, რომ იგი სიტყვასიტყვით დავითის ფიზიკური შთამომავალი იქნება. "შეჰფიცა უფალმა დავითს ჭეშმარიტად... ნაყოფისაგან შენი მუცლისა დავსვამ შენს ტახტზე" (ფსალმ 132:11).

სოლომონი იყო პირველი, ვისაც ამ აღთქმის განხორციელება შეეძლო, მაგრამ რადგან იგი უკვე არსებობდა ფიზიკურად აღთქმის მიცემის დროს (2 მეფ 5:14), მთავარი პირი, ვისაც ეკუთვნის ეს აღთქმა, იყო დავითის ფიზიკური შთამომავალი და ღვთის ძე – ქრისტე (ლუკ 1:31-35).

მომავალი დრო ასევე არის გამოყენებულია წინასწარმეტყველებაში ქრისტეს მიმართ. ლექსში "წინასწარმეტყველს დავუდგენ (ისრაელიანებს) მოძმეთა წრიდან" (რჯლ 18:18), სიტყვა "წინასწარმეტყველი" განისაზღვრება როგორც იესო. "მუცლადიღებს ქალწული (მარიამი) და შობს ძეს, და უწოდებს სახელად: ემანუელს" (ეს 7:14). აშკარაა, რომ ეს ქრისტეს დაბადებით ასრულდა (მათ 1:23).

7.2 დაბადება ღვთისმშობელ ქალწულის მიერ

ქრისტეს ჩასახვის და დაბადების აღწერა განსხვავდება მსჯელობისაგან მის არსებობის შესახებ. ის ხალხი, ვინც იზიარებს "სამების" მცდარ თეორიას, იძულებულია გამოიტანოს დასკვნა, რომ ოდესღაც ცაში სამი არსება იმყოფებოდა და შემდეგ ერთი მათგანი გაქრა და როგორღაც მარიამის მუცელში ჩასახულ ნაყოფად გადაიქცა. როგორც აღვნიშნეთ, წმიდა წერილში ნათქვამია, რომ ნებისმიერი არსება, ღმერთის ჩათვლით არის

ფიზიკური არსება, რომელსაც სხეულის სახე გააჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქრისტემ მოახერხა ფიზიკურად ციდან ჩამოსვლა და მარიამის მუცელში ჩასახვა. ეს რთული თეოლოგია წმიდა წერილის ფარგლების გარეთ იმყოფება. ყველაფერი, რაც ქრისტეზე არის ნათქვამი, არ გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ ამგვარად. ამ ვარაუდის დაუმტკიცებლობა ქმნის დიდ "დაუსწრებელ რგოლს" სამების თეორიაში.

გაბრიელ ანგელოზი გამოეცხადა მარიამს და უთხრა: "დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარქმევ. დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება... უთხრა მარიამმა ანგელოზს: "როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?" (ე. ი. ის ქალწული იყო). ანგელოზმა მიუგო პასუხად: "სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ" (ლუკ 1:31-35).

ორჯერ არის ხაზგასმული, რომ დაბადებისას იესო <u>იქნება</u> ღვთის შვილი. აშკარაა, რომ ღვთის ძე არ არსებობდა შობამდე. კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ უამრავ ნაწყვეტში არის გამოყენებული მომავალი დრო, მაგალითად: "დიდი იქნება". თუ იესო უკვე არსებობდა ფიზიკურად ამ დროისათვის, როდესაც ანგელოზმა უთხრა ეს მარიამს, იგი უკვე დიდი იქნებოდა.

<u>იესოს ჩასახვა</u>

წმიდა სულის (ღვთის სუნთქვის/ძალის) მეშვეობით მარიამმა შეძლო იესოს ჩასახვა სქესობრივი კავშირის გარეშე. ამრიგად, იოსიბე არ იყო იესოს ნამდვილი მამა. უნდა გვახსოვდეს, რომ წმიდა სული ადამიანი არ არის (იხ. თავი 2), იესო ღვთის ძე იყო და არა წმიდასულის. ღვთის სულის გავლენით მარიამზე "წმიდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ" (ლუკ 1:35). სიტყვის "ამიტომ" გამოყენება მეტყველებს, რომ მარიამზე წმიდასულის მოფენის გარეშე, იესო ღვთის ძე, არ იშვებოდა.

ის ფაქტი, რომ იესო მარიამში "ჩაისახა" (ლუკ 1:31) ადასტურებს ასევე იმას, რომ მას არ შეეძლო ფიზიკური არსებობა დაბადებამდე. თუ ჩვენ "ჩავისახავთ" იდეას, იგი ჩვენში იქნება. ასევე იესოც ჩაისახა მარიამში როგორც სხვა დანარჩენი ადამიანი, იგი ჯერ ჩანასახი იყო. იოანეს ყველაზე განთქმული ლექსი (3:16), რომელსაც ბიბლია შეიცავს, მეტყველებს, რომ იესო ღმერთის "მხოლოდშობილი ძე" იყო. მილიონობით ხალხი, ვინც კითხულობს ამ ლექსს, არ ანიჭებს მას კუთვნის ყურადღებას. თუ იესო "მხოლოდშობილი" იყო, ესე იგი მან დაიწყო თავისი "შობა" ("მხოლოდშობილის" უახლესი სიტყვა) მარიამში ჩასახვის დროს. ვინაიდან იესოს მამა ღმერთი იყო, ნათელია, რომ იგი მასზე უფროსია – ღმერთი უკუნითი უკუნისამდეა (ფსალმ 90:2), მას არ გააჩნია საწყისი და ამიტომ შეუძლებელია იესო თვით ღმერთი იყოს (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ნათქვამია 8 თავში).

მნიშვნელოვანია, რომ იესო "გაჩენილი" იყო ღმერით და არა შექმნილი, როგორც თავდაპირველად ადამი. ეს იესოსა და ღმერთის ახლო კავშირს ახსნის – "ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი" (2 კორ 5:19). ის ფაქტი, რომ იესო გაჩენილი იყო ღმერთით, და არა მიწის მტვრისაგან შექმნილი, ასევე გვეხმარება მისი ბუნებრივი მიდრეკილების ახსნაში – განაგრძოს საკუთარი მამის-ღმერთის გზები.

ესაია წინასწარმეტყველი ლექსში 49:5 ადარებს ქრისტეს სამყაროს სინათლეს. ეს წინასწარმეტყველება იესომ განახორციელა (იოან 8:12). ქრისტემ თქვა: "უფალი, მუცლიდანვე ჩემი გამომსახველი თავის მორჩილად" (ეს 49:5). ამრიგად, ქროსტე წმიდასულის მეშვეობით "გამოსახული" იყო მარიამის მუცელში. აშკარაა, რომ მარიამის მუცელი ქრისტეს ფიზიკური საწყისის ადგილი იყო.

როგორც აღვნიშნეთ სტატიაში 7.1, ფსალმ 22 ქადაგებს ქრისტეს ფიქრებზე, როდესაც იგი ჯვარცმული იყო. ის ფიქრობდა: "შენ (ღმერთო) გამომიყვანე დედის მუცლიდან... შენით ვიმედოვნებდი

დაბადებიდან: დედის მუცლიდან შენ ხარ ჩემი ღმერთი" (ფსალმ 22:10, 11). სიკვდილის წინ ქრისტემ გაიხსენა თავისი წარმოშობა – დედამისის, მარიამის მუცელში იყო შექმნილი ღმერთის ძალით. სახარებაში მარიამის აღწერა, როგორც ქრისტეს <u>დედის,</u> თავის თავად უარყოფს ნებისმიერ აზრს მის არსებობის შესახებ შობამდე.

მარიამი ჩვეულებრივი ადამიანი იყო და მისი მშობლები ნორმალური ხალხი იყვნენ. მარიამის ნათესავმა შვა იოანე ნათლისმცემელი, ჩვეულებრივი ადამიანი (ლუკ 1:36). რომაული კათოლიკური ეკლესიის მტკიცება იმის შესახებ, რომ მარიამს არ ჰქონდა უბრალო ადამიანური ბუნება ნაშნავს იმას, რომ ქრისტე არ იქნებოდა არც "ადამიანის ძე" და არც ღმერთის. ეს ტიტულები ხშირად გვხვდება ახალ აღთქმაში. იგი იყო "ადამიანის ძე", რადგან ნამდვილი ადამიანური დედა გააჩნდა და ის "ღმერთის ძეც" იყო მარიამზე წმიდასულის გავლენის შედეგად (ლუკ 1:35), ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მამა ღმერთი იყო. ყოველივე ზემოთ ნათქვამი იქნება უგუვებელყოფილი, თუ ვივარაუდებთ, რომ მარიამი ჩვეულებრივი ქალი არ იყო.

"ვინ შექმნის წმიდას უწმიდურისგან? არავინ... რა არის კაცი, რომ სუფთა იყოს? ან მართალი იყოს დიაცის ნაშობი?... და რა განწმედს დიაცის ნაშობს?" (იობ 14:4; 15:14; 25:4). ეს ბოლოს უღებს ნებისმიერ ეჭვს მარიამისა და იესოს წმიდანობის მიმართ.

მარიამს, "ქალად დაბადებულს", რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანური მშობლები გააჩნდა, ჩვენი უწმიდური ბუნება ჰქონდა, რომელიც მან იესოს გადასცა (გალ 4:4). სიტყვები იმის შესახებ, რომ იესო "დედაკაცისაგან <u>იშვა</u>" კვლავ ამტკიცებენ, რომ ქრისტე ფიზიკურად ვერ იარსებებდა, მის მიერ დაბადებული რომ არ ყოფილიყო.

სახარებაში ხაზგასმულია მარიამის ადამიანური არსი. ქრისტეს სამჯერ მაინც უნდა ესაყვედურა მარიამისთვის მასში სულიერი აღქმის უქონლობის გამო (ლუკ 2:49; იოან 2:4). იგი ყველაფერს ვერ იგებდა, რასაც მას იესო ეუბნეოდა (ლუკ 2:50). ამას უნდა

მოველოდოთ ადამიანური ბუნების მქონე ქალისაგან, რომლის შვილი ღვთის ძე იყო და ამიტომ სულიერად უფრო ამთვისებელი, ვიდრე იგი, თუმცა მასაც გააჩნდა ადამიანური ბუნება. იოსიბეს ჰქონდა სქესობრივი კავშირი მარიამთან ქრისტეს დაბადების შემდეგ (მათ 1:25). ამიტომ არ გაგვაჩნია საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათ არ ჰქონდათ ნორმალური ცოლქმრული ურთიერთობა იმის შემდეგ.

ქრისტეს "დედისა და ძმების" გახსენება მათ 12:46, 47 მეტყველებს იმის შესახებ, რომ იესოს შემდეგ მარიამს სხვა შვილებიც ჰყავდა. იესო მისი სიყრმის შვილი იყო. კათოლიკურ სწავლებას იმის შესახებ, რომ მარიამი ქალწულად დარჩა და შემდეგ ცაში ამაღლდა, არ გააჩნია ბიბლიის მხარდაჭერა. როგორც ნებისმიერი მოკვდავი ადამიანი, მარიამიც ხანში შევიდა და მოკვდა. ამის გარდა, იოან 3:13 ვკითხულობთ: "არავინ ასულა ცაში". ის ფაქტი, რომ ქრისტეს ადამიანის ბუნება ჰქონდა (იხ. ებრ 2:14-18; რომ 8:3) ნიშნავს, რომ მის დედას ასეთივე ბუნება ჰქონდა, თუმცა მის მამას იგი არ გააჩნდა.

7.3 ქრისტეს ადგილი ღვთის გეგმაში

ღმერთი არ აგებს თავის გეგმებს ნაჩქარებად და არ აპირებს მათ შეცვლას დროთა განმავლობაში. მას სამყაროს შექმნიდან უკვე ჰქონდა მზად გეგმა (იოან 1:1). და თავიდანვე მის გეგმაში იყო ვაჟის ყოლის სურვილი. ახალი აღთქმა აშუქებს ქრისტეში ხსნის ღვთის გეგმას სხვადასხვა მხრიდან.

ჩვენ ხშირად აღვნიშნავდით, რომ ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველთა ქადაგებაში და მოსეს რჯულში, განუწყვეტლივ აშკარავდება ღმერთის განზრახვა ქრისტეში. თვით სამყარო ღმერთმა იმიტომ შექმნა, რომ იცოდა, მას ძე ეყოლებოდა. ეს ქრისტეში გადიან ღმერთით შექმნილი კაცობრიობის ისტორიის საუკუნეები (ებრ 1:2). აქედან გამომდინარე, ღვთის აღთქმა

ხალხისადმი, მრავალი წლის მანძილზე მოქმედი, როგორც ნათქვამია ამის შესახებ ძველ აღთქმაში, სავსეა ქრისტეზე მითითებით.

ჩვენთვის ძნელია წარმოვიდგინოთ ქრისტეს სიდიადე და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ღმერთისათვის. მართალია, რომ ქრისტე არსებობდა თავიდანვე ღმერთის ფიქრებში, მაგრამ ფიზიკურად იგი მარიამით შობის შემდეგ გაჩნდა. ლექსები ებრ 1:4-7, 13, 14 აღნიშნავენ, რომ ქრისტე არ იყო ანგელოზი, მაგრამ თავის მოკვდავ ცხოვრებაში იგი ანგელოზებზე არანაკლებად დიადი იყო (ებრ 2:7). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახარებაში ნათქვამია, რომ არსებობის ერთადერთი ფორმა სხეულის სახით არსებობაა, ამიტომ ქრისტე შობამდე არ არსებობდა როგორც "სული". ლექსში 1 პეტ 1:20 ქრისტეს შობის შესახებ ნათქვამია, როგორც "წუთისოფლის შექმნამდე იყო წინასწარ განწესებული, მაგრამ უკანასკნელ დროს მოევლინა თქვენი გულისათვის".

ქრისტეს ცენტრალური ადგილი დაეთმო სახარებაში, "რომელიც წინასწარ აღთქმული ჰქონდა თავის წინასწარმეტყველთა მიერ წმიდა წერილებში თავის ძეზე, რომელიც დავითის თესლისგან იშვა ხორციელად, განწესებულზე ღვთის ძედ ბაღში სიწმიდის სულით, მკვდრეთით აღდგომისათვის" (რომ 1:1-4). საბოლოოდ, თხზულება ქრისტეზე ამგვარად გამოიყურება:

1. წინასწარმეტყველება ძველ აღთქმაში, ე. ი., ღვთის გეგმაში;

2. ფიზიკურად იშვა ქალწულისაგან, დავითის თესლით;

3. თავისი უმწიკვლო ხასიათის გამო ("სიწმიდის სულს"), რომელიც თავის მოკვდავ ცხოვრების განმავლობაში მჟღავნდება,

4. იგი აღდგა და გამოცხადდა ღვთის ძედ ღვთივსულიერ მოციქულთა ქადაგებაში.

<u>ღვთის განჭვრეტა</u>

თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთმა იცის ყველაფერი, რაც მომავალში მოხდება, მაშინ ჩვენთვის ბევრად ადვილი იქნება ქრისტეს ყოფნის გაგება ღვთის გეგმაში სამყაროს შექმნიდან. ღმერთს სრული განჭვრეტა გააჩნია. მას შეუძლია იფიქროს და ისაუბროს ნივთებზე, როგორც რეალურებზე, თუმცა ისინი ამჟამად არ არსებობენ (რომ 4:17). ამიტომ მას შეუძლია თქვას: "დასაბამითვი ვაცხადებ მომავალს და ძველიდანვე, რაც ჯერ არ მომხდარა. ვამბობ: აღსრულდება ჩემი განზრახული და ყოველ სურვილს ავასრულებ" (ეს 46:10).

ღვთის სიტყვამ თავიდანვე იწინასწარმეტყველა ქრისტეს შესახებ. იგი ყოველთვის იმყოფებოდა ღვთის გეგმაში და სრულიად გასაგებია, რომ ოდესღაც ქრისტე ფიზიკურად უნდა დაბადებულიყო. ღმერთმა განახორციელა თავისი აღთქმა ქრისტეში. ღვთის განჭვრეტის სიზუსტე გამოსახულია მის სიტყვაში. ბიბლიურ ებრაელურ ენაში არსებობს ეგრედ წოდებული, "ქადაგების სრულყოფილი დრო". იგი იყენებს წარსულ დროს ღმერთით აღთქმულ მომავალ მოვლენების აღსაწერად. ამასთანავე, ახლანდელი დრო შესაძლოა გამოყენებული იყოს მომავლის მნიშვნელობით, მაგალითად: "თქვა ღმერთმა: აჰა (ეს არის) ღვთის სახლი" (1 ნეშტ 22:1), როდესაც ტაძარი მხოლოდ აღთქმული იყო. დავითს ისეთი რწმენა ჰქონდა ღმერთის სიტყვის აღთქმისადმი, რომ მან გამოიყენა ახლანდელი დრო მომავლის მნიშვნელობით. ღმერთი დარწმუნებული იყო, რომ განახორციელებდა თავის აღთქმას აბრაამისადმი, და თქვა: "შენი შთამომავლობისთვის მიმიცია ეს ქვეყანა" (დაბ 15:18), ეს იმ დროს იყო ნათქვამი, როდესაც აბრაამს თესლიც კი არ გააჩნდა.

თესლის გაჩენამდე (ისააკი/ქრისტე) ღმერთი დაპირდა: "მე დაგაყენე მრავალი ერის მამად" (რომ 4:17). ფაქტიურად, ღმერთი საუბრობდა იმაზე, რაც არ არსებობდა, როგორც განხორციელებულზე.
ერთერთი ქადაგების დროს ქრისტემ თქვა, რომ ღმერთმა "ყველაფერი მას (ქრისტეს) მისცა ხელთ" (იოან 3:35), თუმცა ამ

სიტყვების წარმოთქმის დროს ეს ამგვარად არ იყო. "ყოველივე დაუმორჩილე მის (ქრისტეს) ფეხთა ქვეშ... ახლა კი ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს" (ებრ 2:8).

ღმერთი მეტყველებდა თავისი ხსნის გეგმაზე იესოს მეშვეობით "დასაბამიდან თავის წმიდა წინასწარმეტყველთა პირით" (ლუკ 1:70). იმის გამო, რომ ეს ხალხი დაკავშირებული იყო ღვთის გეგმასთან, მათ შესახებ ისე არის ნათქვამი, თითქოს ისინი არსებობდნენ დასაბამიდან, თუმცა ეს სინამდვილეში ასე არ იყო. ამის ნაცვლად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასწარმეტყველნი თავიდანვე იყვნენ ღვთის გეგმაში. ამის პირველი მაგალითი – იერემია წინასწარმეტყველია. ღმერთმა უთხრა მას: "ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე; ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი წმიდა გყავი, ხალხების ქადაგად დაგადგინე" (იერემ 1:5). ასე რომ, ღმერთმა ყველაფერი იცოდა იერემიას შესახებ მის დაბადებამდე. ამის მსგავსად, ღმერთს შეეძლო ეთქვა სპარსეთის მეფე კიროსზე მის დაბადებამდე, იმ სიტყვების წარმოთქმით, რომლებიც უკვე მის არსებობას ნიშნავდნენ (ეს 45:1-5). ლექსები ებრ 7:9, 10 წარმოადგენენ ამ ენის სხვა მაგალითს – ისაუბრო იმ ხალხის არსებობაზე, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან.

ასევე, როგორც იერემიაზე და სხვა მქადაგებლებზე საუბრობდნენ, როგორც უკვე არსებულებზე მათ დაბადებამდე ღვთის გეგმაში მონაწილეობის გამო, ასევე მორწმუნეთა შესახებ ამბობენ, როგორც მაშინ არსებულებზე. აშკარაა, რომ ფიზიკურად ჩვენ მაშინ არ ვარსებობდით, არამედ მხოლოდ ღმერთის ფიქრებში. ღმერთმა ჩვენ გვიხსნა და მოგვიხმო "წმიდა მოწოდებით... თავისი ნებითა და მადლით, რომელიც მოგვეცა ჩვენ ქრისტე იესოში, საუკუნეთა უწინარეს" (2 ტიმ 1:9). ღმერთმა "ამოგვარჩია ჩვენ მასში (ქრისტეში) სოფლის შექმნამდე... წინასწარ განსაზღვრა ჩვენი შვილება... თავისი ნება – სურვულისამებრ" (ეფეს 1:4, 5). თვით იდეა იმის შესახებ, რომ ხალხი წინასწარ ცნობილი იყო ღმერთისათვის და იყვნენ "აღნიშნულნი" ხსნისათვის, ამტკიცებს, რომ ისინი არსებობდნენ ღმერთის ზრახვებში დასაბამიდან (რომ 8:27; 9:23).

ამ ყველაფრის ცოდნით, არ არის გასაკვირი, რომ ღვთის გეგმის განხორციელებაში ქრისტეს შესახებ უნდა გვესაუბრა როგორც მყოფ ღმერთის ზრახვებში, თუმცა ფიზიკურად იგი არ არსებობდა. იგი "წუთისოფლის დასაბამიდან დაკლული კრავი" იყო (გამოცხ 13:8). იესო მაშინ სიტყვასიტყვით არ მოკვდა. იგი "ღვთის კრავი" იყო, რომელიც მსხვერპლმიტანილი იყო ჯვარზე 4000 წლის შემდეგ (იოან 1:29; 1 კორ 5:7). ამრიგად, როგორც იესო არჩეული იყო დასაბამიდან (1 პეტ 1:20), ასევე მორწმუნენიც იყვნენ არჩეულნი (ეფეს 1:4; იგივე ბერძნული სიტყვა "ამორჩეული" გამოიყენება ამ ლექსებში).

7.4 "თავდაპირველად იყო სიტყვა" (იოან 1:1-3)

"თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა" (იოან 1:1-3). ეს ლექსები, თუ მათ სწორედ გავიგებთ, ადასტურებენ და აფართოვებენ უკანასკნელ ნაწილში მოცემულ დასკვნებს. მაგრამ, ამ ნაწყვეტს უამრავი ხალხი არასწორედ აღიქვამს. ამ ნაწყვეტიდან გამომდინარე, ისინი თლიან, რომ იესო არსებობდა ცაში თავის დაბადებამდე. ამ ლექსების სწორი გაგება უკავშირდება იმ აზრს, რომელიც "სიტყვაში" არის ჩადებული. შეუძლებელია, რომ იგი უშუალოდ ადამიანს ეკუთვნოდეს, იმიტომ რომ ადამიანს არ შეუძლია იყოს "ღმერთთან" და ამასთანავე იყოს ღმერთი. ბერძნული სიტყვა **"logos**", რომელიც ნათარგმნია აქ როგორც "სიტყვა" არ ნიშნავს "იესოს". იგი, ჩვეულებრივ, ითარგმნება როგორც "სიტყვა", მაგრამ ამავე დროს შესაძლოა ნათარგმნი იყოს როგორც:

ანგარიში
მიზეზი
უწყება
დოქტრინა

განზრახვა
ქადაგება
ანდაზური თქმა
ცნობა
ამბავი

"<u>თავდაპირველად</u>"

"**Logos",** შესაძლოა, ეკუთვნოდეს შინაგან აზრს, რომელიც სიტყვებში გამოიხატება და ასევე სხვა უწყების მეშვეობით. თავდაპირველად ღმერთს ჰქონდა **"logos".** ერთადერთი მიზანი ქრისტეს შესახებ იყო. ჩვენ გიჩვენეთ, თუ როგორ ასახავს ღვთის სული თავის ფიქრებს მოქმედებაში, აქედან გამომდინარეობს კავშირი მისი სულისა და სიტყვის შორის (იხ. სტატია 2.2). როგორც ღვთის სულმა დაამუშავა თავისი გეგმა ხალხის მიმართ და შთააგონა თავდაპირველად წერილობითი სიტყვა, ასევე იდეა ქრისტეს შესახებ გამოვლენილი იყო საქმეებში და სიტყვებში. ქრისტე ღვთის "**logos"**-ი იყო და ამიტომ ღვთის სული გამორიცხავდა ღვთის გეგმას ქრისტეზე ყველა მის მოქმედებაში. ეს განმარტებს ძველ აღთქმაში მყოფ უამრავ შემთხვევებს ქრისტეს შესახებ. მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტე, როგორც პიროვნება, არ იყო "სიტყვა". სიტყვა ღვთის ხსნის გეგმას ნიშნავდა ქრისტეს მეშვეობით. "**Logos**" ("სიტყვა") ხშირად არის გამოყენებული იმის მიმართ, თუ რა არის ნათქვამი სახარებაში ქრისტეს შესახებ, მაგალითად, "უფლის სიტყვა" (კოლ 3:16; შდ. მათ 13:19; იოან 5:24; საქ 19:10; 1 თეს 1:8 და ა. შ.). მიაქციეთ ყურადღება, რომ **"logos"** უფრო ქრისტეს სწავლებას ეკუთვნის, ვიდრე მას პირადად. როდესაც ქრისტე იშვა, ეს "სიტყვა" სხეულისა და სისხლის ფორმად იქცა – "სიტყვა იქცა ხორცად" (იოან 1:14). იესო პირადად იყო "ხორცად ქცეული სიტყვა", და არა მხოლოდ "სიტყვა"; პირადად იგი "სიტყვად" იქცა მარიამისაგან დაბადების მეშვეობით.

გეგმა ან მიმართვა ქრისტეს შესახებ ღმერთს სამყაროს დასაბამიდან ჰქონდა, მაგრამ აშკარად იგი გამოისახა ქრისტეს პიროვნებაში და სახარების თხზულებებში ახ. წ. აღ-ის პირველ

საუკუნეში. ამრიგად, ღმერთი გვაძლევდა თავის სიტყვას ქრისტეს მეშვეობით (ებრ 1:1, 2). არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ ქრისტე ხმარობდა ღვთის სიტყვებს და ქმნიდა სასწაულებს ღვთის სიტყვის მითითებით, რათა გამოემჟღავნა თვით ღმერთი (იოან 2:22; 3:34; 7:16; 10:32, 38; 14:10, 24).

პავლე დაემორჩილა ქრისტეს მითითებას – ექადაგა სახარება "ყველა ხალხისათვის": "იესო ქრისტეს ქადაგების მიხედვით, იმ საიდუმლოს გამოცხადებით, რომელიც უკუნითიდან მიდუმებული იყო, ხოლო ახლა გაცხადებულია... ეუწყა ყველა ერს" (რომ 14:24, 25; შდ. 1 კორ 2:7). მარადიული სიცოცხლე ადამიანისათვის შესაძლო გახდა მხოლოდ ქრისტეს საქმეების გამო (იოან 3:16; 6:53), მაგრამ უკვე თავდაპირველად ღმერთს ჰქონდა გეგმაში მარადიული სიცოცხლის მიცემა ხალხისათვის, რადგან მან იცოდა, რომ ამის გამო იესომ განწირა თავი. ამ მსხვერპლის სრული გამოცხადება მოხდა იესოს დაბადებისა და სიკვდილის შემდეგ: "საუკუნო სიცოცხლის იმედით, რომელიც აღუთქვა უტყუარმა ღმერთმა უწინარეს საუკუნეთა. ხოლო თავის დროზე გამოაცხადა თავისი სიტყვა ქადაგებაში" (ტიტ 1:2, 3). ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ღვთის წინასწარმეტყველების შესახებ, საუბრობენ როგორც ყოველთვის არსებულებზე (ლუკ 1:70). იმ გაგებით, რომ "სიტყვა", რომელსაც ისინი წარმოსთქვამდნენ, ღმერთს ჰქონდა სამყაროს დასაბამიდან.

იესოს იგავები ამჟღავნებდნენ უამრავ გამოცხადებას და ამასთანავე იგი ახორციელებდა ქადაგებას საკუთარი თავის შესახებ: "იგავებით გავხსნი ჩემს პირს. ვიტყვი, რაც დასაბამიდან დაფარულია" (მათ 13:35). ამაში შედგება ის აზრი, რომ "სიტყვა იყო ღმერთთან... თავდაპირველად", რათა "ხორცად ქცეულიყო" ქრისტეს დაბადებით.

"<u>სიტყვა იყო ღმერთი</u>"

განვიხილოთ ახლა საკითხი იმის შესახებ, თუ რა აზრი არის ჩადებული ფრაზაში "სიტყვა არის ღმერთი". ჩვენ ვმჟღავნდებით ჩვენს გეგმებში და ფიქრებში. მაგალითად: "მე ლონდონს

მივემგზავრები". ეს წინადადება წარმოადგენს "სიტყვას" ან უწყებას, რომელიც ჩემს განზრახვას გამოხატავს, იმიტომ რომ ეს არის ჩემი განზრახვა. ასევე უნდა გავიგოთ ღმერთის გეგმაც ქრისტეში. "როგორც იქცევა, ისე არ ფიქრობს" (იგავ 23:7) და როგორც ღმერთის ფიქრია, ისეთივეა თვითონ. ღვთის სიტყვა ან ფიქრი არის თვით ღმერთი: "სიტყვა არის ღმერთი". ამის გამო, არსებობს მჭიდრო კავშირი ღმერთისა და მის სიტყვის შორის: პარალელიზმი, ფსალმ 29:8 ლექსის მსგავსად, ჩვეულებრივია: "ხმა უფლისა უდაბნოს შეარყევს; შეარყევს უფალი კადეშის უდაბნოს". წინასწარმეტყველთა ქადაგებაში ხშირად გვხვდება ამგვარი მტკიცება: "არ გესმოდათ ჩემი, ამბობს უფალი" (იერემ 25:7). ფაქტიურად ეს ღვთის სიტყვები ნიშნავენ: "თქვენ არ უსმენდით ჩემს სიტყვებს, რომელსაც წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ". დავითმა აღიქვა ღვთის სიტყვები, როგორც ლამპარი და სინათლე (ფსალმ 119:105), მაგრამ ამასთანავე ასე უპასუხა: "უფალო ჩემო, ლამპარო ჩემო! უფალი ბნელს მინათებს" (2 მეფ 22:29) და ამით გამოხატა ანოლოგია ღმერთისა და მის სიტყვის შორის. ამიტომ ნათელია, რომ ღვთის სიტყვა სულიერდება და იღებს მნიშვნელობას "ის თვითონ", ესე იგი, ნათქვამია როგორც პიროვნებაზე, თუმცა ეს სინამდვილეში ასე არ არის (იხ. გადახვევა 5 "გასულიერების პრინციპი").

ღმერთი თვით ჭეშმარიტებაა (იოან 3:33; 8:26; 1 იოან 5:10) და ამიტომ, ღვთის სიტყვა ასეთივე ჭეშმარიტებაა (იოან 17:17). ამ გზით იესო აიგივებს თავის თავს საკუთარ სიტყვებთან ისე მჭიდროთ, რომ იგი ასულიერებს თავის სიტყვებს: "მას, ვინც მე უარყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მსაჯული. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, გასჯის მას უკანასკნელ დღეს" (იოან 12:48). იესო მეტყველებს თავისი სიტყვის შესახებ, თითქოს იგი ფაქტიური პირი იყოს, ესე იგი, ის თვითონ. მისი სიტყვები გასულიერებულია, რადგან საკმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იესოსთან. ამგვარად, ლექსებში 1:1-3 ღვთის სიტყვა გასულიერებულია როგორც პირი, ესე იგი, თვით ღმერთთან. ასე სიტყვის მიმართ ჩვენ გვეუბნევიან: "ყოველივე მის მიერ შეიქმნა" (იოან 1:3). მაგრამ, "ღმერთმა შექმნა" ყველაფერი

თავისი სიტყვით (დაბ 1:1). ამის გამო, ღვთის სიტყვის შესახებ ამბობენ ისე, თითქოს იგი თვით ღმერთი ყოფილიყო. აქედან უნდა გამოვიტანოთ ღვთისმოსავი აზრი, რომ ღვთის სიტყვის მეშვეობით, რომელიც ჩვენს გულებშია, ღმერთს შეუძლია მჭიდრო კავშირი ჩვენთან.

დაბ 1 ლექსებიდან გამომდინარეობს, რომ თავისი სიტყვის მეშვეობით ღმერთი იყო შემოქმედი, და არა პირადად ქრისტე. ღვთის სიტყვით ყველაფერი შეიქმნა, და არა ქრისტეთი (იოან 1:1-3). "უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით – მთელი მისი საკრებულო (ესე იგი, ვარსკვლავები)... რადგან მან თქვა – შეიქმნა" (ფსალმ 33:6, 9). ამჟამადაც კი, ყველაფერი ბუნებაში მისი სიტყვით იქმნება: "წარმოავლენს თავის სიტყვას დედამიწაზე, ანაზდეულად გაიქცევა ნათქვამი მისი. წარმოგზავნის თოვლს, მატყლივით... გადმოუშვებს სიტყვას... და გადმოდინდება წყალი" (ფსალმ 147:15-18).

რადგან ღვთის სიტყვა მის შემიქმედ ძალას წარმოადგენს, ღმერთმა გამოიყენა იგი იესოს ჩასასახათ მარიამის მუცელში. სიტყვამ, ღვთის გეგმამ, რომელიც პრაქტიკაზე მისი წმიდა სულით ხორციელდება (ლუკ 1:35), წარმოქმნა ქრისტეს ჩასახვა. მარიამმა აღიარა ეს თავისი პასუხით, როდესაც შეიტყო ქრისტეს მომავალი ჩასახვის შესახებ, ამგვარი სიტყვებით: "შეყოს შენი სიტყვისამებრ" (ლუკ 1:38).

როგორც აღვნიშნეთ, ღვთის სიტყვა/ღვთის სული ღმერთის განზრახვას გამოხატავს, რომლის შესახებ ნათქვამია ძველ აღთქმაში. ამ ფაქტის უეჭველობა ნაჩვენებია საქ 13:27, სადაც იესო უტოლდება ძველი აღთქმის ქადაგების სიტყვას: "(ებრაელებმა) არ იცნეს იგი, არ იცნეს მათ წინასწარმეტყველთა ხმაც". როდესაც ქრისტე იშვა, ღვთის სიტყვა (სული) განხორციელდა იესო ქრისტეს პიროვნებაში. მოციქული იოანე შთაგონებით მეტყველებდა, რომ ღვთის გეგმა მარადიული სიცოცხლის შესახებ ქრისტეში გამოისახება, რომელსაც

მოციქულნი ფიზიკურად ხედავდნენ და რომელთანაც მათ ურთიერთობა ჰქონდათ. იოანემ აღიარა, რომ მათ მოუსინჯავთ ღვთის სიტყვა, მთელი მისი ხსნის გეგმა ქრისტეში (1 იოან 1:1-3). თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია ფიზიკურად ვიხილოთ ქრისტე, ჩვენ შეგვიძლია გავიხაროთ იმით, რომ მისი სწორი გაგებით ჩვენ შევძლებთ ღვთის განზრახვის გაგებას და ვირწმუნებთ მარადიულ სიცოცხლეს (1 პეტ 1:8, 9). ჩვენ უნდა დავუსვათ საკუთარ თავს საკითხი: "ნამდვილად <u>ვიცნობთ</u> თუ არა ქრისტეს?" არ არის საკმარისი იმის აღიარება, რომ ოდესღაც არსებობდა კეთილი ადამიანი სახელად იესო. მხოლოდ ბიბლიის სისტემატიური შესწავლით ლოცვასთან ერთად შესაძლოა მისი გაგება, როგორც ჩვენი მხსნელის და ნათესაობრივი კავშირის დამყარება მასთან ნათლობის მიღებით.

გადაბვევა 22: ისტორიული იესო

თუ, როგორც ზოგიერთი ამტკიცებს, არ არსებობს იმის დასტური, რომ იესო ნაზარეთელი ოდესღაც არსებობდა, მაშინ რთულია თვით ქრისტიანობის არსებობის ახსნა. საჭიროა უზარმაზარი ხალხთა რაოდენობის გამოკითხვა, რათა შევხვდეთ ისეთ ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ მილიონობით ხალხი უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე თავისი რწმენის საფუძვლად მიიჩნევს ადამიანს, რომელიც არასოდეს არ არსებობდა და რომ ამ კაცის რწმენა მათ გაავრცელეს მთელ სამყაროში, დევნისა და სიკვდილის მიუხედავად. ქრისტიანები და ებრაელები ჩვეულებრივ ეთანხმებიან იმას, რომ მაჰმადი ოდესღაც ცხოვრობდა, თუმცა ისინი უარყოფენ მის სწავლა-დარიგებას. სინამდვილეში, ჩვენ ვეთანხმებით იმ ფაქტს, რომ ყველაზე ცნობილი ისტორიული მოღვაწე ცხოვრობდა, განსაკუთრებული მტკიცებების გარეშე. ხშირად კეთდება ფართოდ ცნობილ ისტორიულ მოვლენების ანალიზი კონკრეტულ მტკიცებებთან ერთად, რომლთა უარყოფა საკმაოდ რთულია (მაგალითად, გასტინგის ბრძოლა 1066 წელს).

ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ხალხი უარყოფს იესოს არსებობას, მეტყველებს ზომაგადასულ რეაქციაზე, სურვილზე – მოძებნო ხელსაყრელი საშუალება არ გაუწიო ანგარიში მისი მისიონერობის მიღების მიზეზებს. ეს განსაკუთრებით ჭეშმარიტად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრინდელ ებრაელებს სწამდათ ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში მცხოვრებ კაცის, სახელად იესოსი. შემდეგი ისტორიული მტკიცებები იესოს არსებობის შესახებ არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ როგორც ხალხის თეოლოგიური გამოგონება. მოცემულ ნაწილში უამრავი საინტერესო ინფორმაციაა, რომელიც გადმოღებულია ჰარი ჰაბერმასის წიგნიდან "ძველი მოწმება იესოს ცხოვრების შესახებ".

1) რომაეული ისტორიკოსი ტაციტი თავის ორ ცნობილ წიგნში ახ. წ. აღ-ის პირველი საუკუნის შემდეგ ("ანალები" და "ისტორიები") ახსენებდა იესოსა და ქრისტიანებს. იგი წერდა "ანალებში" (დაახლოებით 115 წელს ახ. წ. აღ-ის), რომ ხალხთა კლასს, რომელიც სძულდა მდაბიო ხალხს მათი ზიზღის გამო, "ქრისტიანობა" ეწოდათ. ქრისტე, რომლის სხეულიდან წარმოიშვა ეს წოდება, სასიკვდილოდ იყო განწირული პილატეს მეფობის დროს.

ამ წიგნის შესაბამისად, იმპერატორი თიბერი მეფობდა 14-დან 37 წლამდე ახ. წ. აღ-ის, და ზუსტად ამ პერიოდის განმავლობაში ქრისტე სიკვდილით იყო დასჯილი. ტაციტი წერდა, რომ ქრისტიანების რწმენა "გავრცელებული იყო არა მარტო იუდეაში, პირველ წყაროში (ამ იდეების), არამედ რომშიც. შემდეგ იგი აღწერს, თუ როგორ სასტიკად სძულდა მას ქრისტიანები, რომელთაგან უმრავლესობა სიკვდილით დაისაჯა რომში. ეს ყველაფერი შეესაბამება ახალი აღთქმის წერილს იმის შესახებ, რომ იესოსი და მის მოციქულთა სწავლება ჩაისახა იუდეაში და შემდეგ გავრცელდა მთელ რომის იმპერიაში, თუმცა წინააღმდეგობას ხვდებოდა.

2) სხვა რომაელი ისტორიკოსი, სუტონი, ამგვარად წერდა კლავდიის მართველობის დროს (41-54 წ. ახ. წ. აღ-ის), რომ ებრაელები რომში ქრისტეს მიერ აღზნებულნი განუწყვეტლივ ქმნიდნენ აურზაურს, ხოლო მან (კლავდიმ), განდევნა ისინი ქალაქიდან. საქ 18:2 ნათქვამია, რომ ებრაელურ ცოლქმრულ წყვილს აკილასა და პრისკილას უნდა დაეტოვათ რომი ებრაელთა დევნის გამო.

შემდეგ სუტონი წერს ქრისტიანების დევნის შესახებ ნეროსის მართველობისას, თითქოს რომში დიდი ხანძრის შემდეგ... სასჯელი მიიღეს ასევე ქრისტიანებმა, სექტამ, რომელიც ქადაგებდა ახალ და ბოროტ რწმენას. ეს მითითება "ქრისტიანების" სახელწოდების ჯგუფის არსებობის შესახებ პირველ საუკუნეში ახ. წ. აღ-ის გვაძლევს საფუძველს ვისაუბროთ ამ საუკუნეში მცხოვრებ ადამიანზე, ქრისტეზე.

3) ფ.ფ. ბრიუსი ("ქრისტიანობის წარმოშობა", გვ. 29) აქცევს ყურადღებას ქრისტიანობის მოხსენების შესახებ აღმოსავლურ ხმელთაშუა ზღვის ისტორიის წიგნში, რომელიც დაწერილი იყო ახ. წ. აღ-ის 52 წ. ტალასის მიერ. სხვა ნაწარმოებში ("დოკუმენტები ახალი აღთქმის შესახებ", გვ. 113) ბრიუსი საუბრობს ტალასის მიერ ნახსენებ ადამიანის შესახებ სახელად იული აფრიკანი, რომელმაც დასცინა წვდიადის აღწერას იესოს ჯვარცმის დროს, და ახსნა ეს მოვლენა, როგორც მზის დაბნელება. ეს მეტყველებს ქრისტეს ჯვარცმის შესახებ, რომელიც მოხდა რამდენიმე წლით ადრე, სანამ იგი დაწერდა თავის ისტორიას ახ. წ. აღ-ის 52 წ.

4) რომის სახელმწიფო მოღვაწე, პლინიუმი, იხსენებს პირველი საუკუნის წლებში ქრისტიანების სახელწოდების ხალხთა აქტიური ჯგუფის არსებობას. იგი ისე აღწერდა მათ მსახურობის დროს, თითქოს მათ ჩვევად ჰქონდათ შეხვედრები გარკვეულ დღეს, გათენებამდე და ქრისტეს ჰიმნის ლექსების წარმოთქმა ("პლინიუმის წერილები, მელმოტის თარგმანი, ტომი 2, X:96).

რომის იმპერატორები ტრაიანი და ადრიანი საუბრობდნენ საკუთარი პრობლემების შესახებ ქრისტიანებთან ურთიერთობაში (იხ. "პლინიუმის წერილები", ტ. 2, X:97 და ევსიბე "ეკლესიესტური ისტორია" IV:IX, შესაბამისად). ამ ჯგუფის არსებობა ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში და მათი განსაკუთრებული სულგრძელობა დევნის დროს, ადასტურებს იმას, რომ ისინი პირველ საუკუნეში მცხოვრებ, რეალურ ისტორიულ პიროვნების მიმდევრები იყვნენ.

5) ტალმუდი, ებრაელთა საღმრთო წიგნი, სინედრიონში 43ა იხსენებს ქრისტეს სიკვდილს. ითვლება, რომ ტალმუდის ეს ნაწილი ეკუთვნის ამ წიგნის ადრინდელ პერიოდს (ესე იგი, ახ. წ. აღ-ის 70-200 წ.წ.). მასში აღნიშნულია, რომ აღდგომის დღეს იესო ჩამოახრჩეს. მისი სიკვდილის წინ, ორმოცი დღით ადრე, მაუწყებელმა ხმამაღლა განაცხადა: "მას ჩაქოლვას უპირებენ, იმიტომ რომ იგი ჯადოქარია და მოუწოდებს ისრაელიანებს რჯულგანდგომილობისაკენ. ყველა, ვისაც შეუძლია რაიმეს თქმა მის სასარგებლოდ, გამოვიდეს და განაცხადოს". მაგრამ, რადგან არაფერი არ მოხდა მის დასაცავად, იგი აღდგომისას ჩამოახრჩეს.

სიტყვა "ჩამოახრჩეს" უნდა გავიგოთ, როგორც "ჯვარცმა" – ამ მნიშვნელობით იგი იხმარება ახალ აღთქმაში (გალ 3:13; ლუკ 23:39). ამ ნაწყვეტში წერია, რომ ებრაელებს სურდათ იესოს ჩაქოლვა (როგორც ჩანს, მოსეს რჯულის შესაბამისას?), მაგრამ აღნიშნულია, რომ სინამდვილეში იგი ჩამოახრჩეს. ამის ახსნა ახალ აღთქმაში არის მოცემული, სადაც მითითებულია, რომ ებრაელებს უნდა დაეცვათ რომის რჯული იესოს სიკვდილის განაჩენის განსახორციელების შესახებ, ესე იგი, ჩამოხრჩობის მეშვეობით.

სინედრიონში 43ა ნათქვამია ასევე, რომ იესოს ხუთი მოსწავლე განიკიცხა და სიკვდილის განაჩენი მიუსაჯეს. აქ ასევე აღნიშნულია, რომ ებრაელებს ტრადიციულად სწამდათ ისტორიული იესოს არსებობა. სინედრიონში 1066 ნათქვამია ასევე,

რომ იესო 33 წლის იყო, როცა მოკვდა, რაც სრულიად შეესაბამება ახალ აღთქმას. მეიერს (“პირველი აღდგომა”; გვ. 117, 118) მოჰყავს ამონაწერი მეხუთე საუკუნეს ებრაელური საბუთიდან “ტოლედოტ იესუ”, რომელშიც დადასტურებულია, რომ მოციქულნი ცდილობდნენ იესოს სხეულის მოპარვას მისი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მებაღემ, სახელად იუდამ, შეიცნო მათი გეგმები და გადაიტანა იესოს სხეული სხვა ადგილას, მოგვიანებით კი ებრაელებს გადასცა. უსტინ მარტერი წერდა ახ. წ. აღ-ის 150 წ., რომ ებრაელები გზავნიდნენ შიკრიკებს, რომლებიც აცხადებდნენ იესოს სხეულის ქურდობის შესახებ (“დიალოგი ტრიფოსთან”, გვ. 108), ხოლო ახ. წ. აღ-ის 200წ. ასეთივე უწყება მოჰყავდა ტერტილიანს (“სანახაობის შესახებ”, გვ. 30). ამრიგად, ეს მონაცემები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ჩვენი ერის პირველი საუკუნეების ებრაელებს სწამდათ იესოსი და მკვლელობის.

6) მეორე საუკუნეში მოღვაწე, ბერძნული დრამატურგი ლუსიანი დასცინოდა ქრისტიანებს, რომლებიც დღემდე აღმერთებენ ჯვარცმულ ადამიანს (ლუსიან, “რომში მცხოვრებ უცხოელის სიკვდილი”, გვ. 11-13, “ლუსიანის შრომები”, ტომი 4, თარგმანი ფაურელისა და ფაულერისა).

7) პირველი საუკუნის ყველაზე ცნობილი ისტორიკოსი იოსიბე იყო. წიგნში “სიძველეთა ძეგლები” იგი ახსენებს იაკობს, “ძმას იესოსი, რომელსაც ქრისტე ერქვა”. ამ წიგნის სხვა ნაწილში იგი მეტყველებს იესოს შესახებ ისეთი სიტყვებით, რომლებიც შეესაბამებიან მის აღწერილობას ახალ აღთქმაში: “ამ დროს იყო იესო, ბრძენი ადამიანი... რადგან იგი ის იყო, ვინც სასწაულს ქმნიდა... ის ქრისტე იყო... ის გამოუცხადდა მათ მესამე დღეს, როგორც ღვთის წინასწარმეტყველი და ქადაგებდა ამ და სხვა ათი ათას სასწაულ მოვლენაზე საკუთარი თავის შესახებ”. ეს ნაწყვეტი იმდენად დაზუსტებულ აღწერას გვაძლევს, რომ ზოგიერთი მიიჩნევს მას ტექსტის ინტერპრიტაციად. ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში მცხოვრებ იესო ნაზარეთელის არსებობის დასადასტურებლად მეტყველებენ შემდეგი მონაცემები:

– ევსიბე (“ეკლესიესტური ისტორია”, 1:XI) ციტირებს იოსიბეს ამ თავს.

– პატივცემული მეცნიერები მხარს უჭერენ ამ პირველ კითხვას, როგორც ორიგინალურს და შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ეს თავი იგივე სტილით არის დაწერილი, როგორც იოსიბეს ნაწარმოების დანარჩენი ნაწილი (იხ. დანიელ როპსი “იესოს თანამედროვეთა დუმილი”, გვ. 21; ჯ.ნ.დ. ანდერსონი “ახალი აღთქმის საბუთი”, გვ. 108, 109).

– არ არსებობს ტექსტური მტკიცება, რომ ეს ნაწყვეტი ინტერპრიტაციას წარმოადგენს.

– პროფესორი შლომო პაინსი ამტკიცებს, რომ აღმოჩენილია იოსიბეს ნაწარმოების არაბული გამოცემა, რომელიც თითქმის უეჭველად ორიგინალს წარმოადგენს. იქ გვხვდება მოყვანილი ნაწყვეტი, მაგრამ იესოს აღდგომის და მისიანური მოღვაწეობის მტკიცების გარეშე, რომელიც მოყვანილია ზემოთ მითითებულ ნაწყვეტში. ეს საკმაოდ დასაბუთებულად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იოსიბე ებრაელი იყო. პაინსი პირველად საუბრობდა თავისი აღმოჩენის შესახებ 12 თებერვალს 1972წ. გაზეთში “ნიუ-იორკ თაიმსი”, სადაც მოიყვანა განხილული ნაწყვეტი იესოს შესახებ არაბული გამოცემიდან: “ამ დროს იქ ბრძენი ადამიანი იმყოფებოდა, სახელად იესო. მისი საქციელი მოსაწონი იყო, იგი ცნობილი იყო, როგორც კეთილშობილი. უამრავი ხალხი ებრაელებსა და სხვა ერთა შორის მისი მოსწავლე გახდა. პილატემ მიუნიჭა მას ჯვარცმა და სიკვდილი. მისმა მოსწავლეებმა არ უარყეს მისი სწავლება; ისინი ამბობდნენ, რომ იგი გამოეცხადა მათ ჯვარცმის სამი დღის შემდეგ და რომ ცოცხალი იყო; შესაბამისად, იგი მესია იყო, რომლის შესახებ წინასწარმეტყველნი სასწაულს ქადაგებდნენ”. ეს აღწერა ემთხვევა ახალ აღთქმაში ნათქვამს იესოს შესახებ.

გადაბვევა 23: "მე ზეციდან ჩამოვედი"

"ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს... მე ზეციდან ჩამოვედი" (იოან 6:33, 38).

ეს და ამის მსგავსი სხვა სიტყვები არასწორედ იხმარება იმ ცრუ იდეის დასასაბუთებლად, თითქოს იესო ფიზიკურად არსებობდა ზეცაში დაბადებამდე. მაგრამ აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგ მომენტებს:

1. სამების მორწმუნენი აღიქვამდნენ ამ გამოთქმას სიტყვასიტყვით საკუთარი დოქტრინის დასადასტურებლად. მაგრამ, თუ ჩვენ მივეპყრობით მათ ამგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაღიარებთ იესოს არსებობას ზეცად, რაც უაზროს ხდის მის სიტყვებს მარიამის მუცელში ჩასახვის შესახებ. იოან 6:60 ზეციერ მანანას შესახებ მეტყველებს: "ვის შეუძლია მისი მოსმენა?" და ამით გვაცნობს, რომ სიტყვები მანანას შესახებ უნდა მეტაფორიულად მივიღოთ.

2. იოან 6 თავში იესო გვიხსნის, რომ მანანა მას გამოხატავს. სიტყვები იმის შესახებ, რომ მანანა ღმერთის მიერ იყო გამოგზავნილი ნიშნავს, რომ მის დედამიწაზე გამოჩენაზე ღმერთი აგებს პასუხს, ფიზიკურად კი იგი არასოდეს მოსცილებია ცას. ანოლოგიურად უნდა მივიღოთ სიტყვები ქრისტეს ზეციდან ჩამოსვლის შესახებ. იგი შექმნილი იყო დედამიწაზე წმიდასულის მეშვეობით, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა მარიამზე (ლუკ 1:35).

3. იესო ამბობს: "პური, რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი" (იოან 6:57). სამების მომხრენი ამტკიცებენ, რომ ზეციდან იესოს "ღვთის" ნაწილი ჩამოვიდა. მაგრამ იესო ადასტურებს, რომ მისი "ხორცი" – ზეციდან ჩამოსული პურია. ამრიგად, ის აკავშირებს ზეციერ პურს საკუთარ თავთან, როგორც "ადამიანის ძესთან" (იოან 6:62), და არა "ღმერთ-ძესთან".

4. იგივე ნაწყვეტი იოან 6 თავში შეიცავს მნიშვნელოვან მტკიცებას იმის შესახებ, რომ იესო ღმერთის ტოლი არ იყო. სიტყვები "მე მომავლინა ცოცხალმა მამამ" (იოან 6:57) ადასტურებენ, რომ იესო არ უთანასწორდებოდა ღმერთს; ხოლო სიტყვები "მე მამით ვცოცხლობ" (იოან 6:57) საეჭვოა, რომ "ერთიან მარადისობას" ამტკიცებდნენ, რომლის შესახებ სამების თაყვანისმცემლები ქადაგებენ.

5. შეგვიძლია ვიკითხოთ "როგორ და როდის "ჩამოვიდა" იესო ზეციდან? სამების მორწმუნენი ხმარობენ სიტყვებს იოან 6 თავიდან იმის "დასამტკიცებლად", რომ იესო დაბადებისას ჩამოვიდა ზეციდან (ლქ. 33, 50). იესოს ღვთის ნიჭის შესახებ, ქრისტემ თქვა: "მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან" (ლქ. 32). იმ დროს, როდესაც იესო წარმოთქვამდა ამ სიტყვებს, იგი უკვე "ჩამოსული" იყო, ღმერთმა გამოგზავნა იგი. ამის გამო, მას შეეძლო ეთქვა საკუთარი თავის შესახებ წარსული დროის ზმნის გამოყენებით: "მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული" (ლქ. 51). მაგრამ ის ასევე მეტყველებს ზეციდან "ჩამოსული" პურის შესახებ, თავისი ჯვარცმის ფორმით. "პური, რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი, რომელსაც წუთისოფლის სიცოცხლისათვის გავცემ" (ლქ. 51). ამრიგად, იესო ამბობს, რომ იგი უკვე ჩამოვიდა ზეციდან, რომ იგი "მოვლენის" პროცესში იმყოფება და ჯერ კიდავ უნდა "ჩამოვიდეს" საკუთარ სიკვდილში. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ "ჩამოსვლა" არა მარტო ქრისტეს შობას, არამედ ღმერთის გამომჟღავნებასაც ეკუთვნის. ახალ აღთქმაში ეს დამტკიცებულია მითითებით ღმერთის "ჩამოსვლის" შესახებ და სიტყვა "ჩამოსვლას" იგივე მნიშვნელობა გააჩნია, რომლის შესახებ ჩვენ ამჟამად ვსაუბრობდით. ასე ღმერთმა იხილა თავისი ხალხის ტანჯვა ეგვიპტეში და "ჩამოვიდა" მის გადასარჩენათ მოსეს მეშვეობით. მან ასევე იხილა ხალხის მონური დამოკიდებულება ცოდვისადმი და "ჩამოვიდა" ანუ გამოამჟღავნა თავი იესოს გამოგზავნით, რათა ეხსნა ხალხი.

გადაწვევა 24: იესომ შექმნა დედამიწა?

“ვინც არის უხილავი ღვთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა, ვინაიდან მისით (იესოთი) შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და დედამიწაზეა, ხილული და უხილავი: საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი – ყველაფერი მის მიერ და მისთვის არის შექმნილი. იგი არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას. ის არის ეკლესიის სხეულის თავი. ის არის დასაბამი, პირმშო მკვდართაგან...” (კოლ 1:15-18). ეს – ბიბლიის ტიპიური ნაწყვეტია იმ ნაწყვეტების რიცხვთა შორის, რომლებიც ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს იესომ შექმნა დედამიწა.

1. მაგრამ ბიბლიაში არსებობს სხვა მრავალი ნაწყვეტი, რომელიც ადასტურებს, რომ იესო დაბადებამდე არ არსებობდა. “დაბადების” წიგნი აშკარად გვაუწყებს, რომ ღმერთი იყო შემოქმედი. ხოლო, თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ შემოქმედი იესო იყო, ამით ჩვენ გავათანასწორებთ იესოს ღმერთთან. ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება იმ ლექსების ახსნა, რომლებიც ღმერთისა და იესოს სხვაობაზე მეტყველებენ (იხ. მაგ., ამ წიგნის ნაწილი 8.2).

2. იესო <u>პირმშო</u> იყო, რაც სათავეს ნიშნავს. არ არსებობს იმის დამოწმება, რომ იესო დედამიწის შექმნამდე იყო ღვთის პირმშო. 2 მეფ 7:14 და ფსალმ 89:27 მსგავსი ლექსები ქადაგებენ, რომ დავითის შთამომავალი ღვთის პირმშო <u>იქნება</u>. აშკარაა, რომ იგი არ არსებობდა ამ ნაწყვეტის დაწერის დროს. იესო გახდა “ღვთის ძედ ძალაში... მკვდრეთით აღდგომისათვის” (რომ 1:4). ღმერთმა “აღგვიდგინა იესო”, როგორც მეორე ფსალმუნში წერია: “ჩემი ძე ხარ, <u>დღეს</u> გშობე შენ” (საქ 13:32, 33). ასე იესო ღვთის პირმშო გახდა აღდგომის მეშვეობით. აღნიშნეთ, რომ მამისაგან მარჯვენა მხარეს მდგომი ძე მისი პირმშო არის (დაბ 48:13-16) და ქრისტე, აღდგომის შემდეგ, ღმერთის მარჯვენა მხარეს იყო ამაღლებული (საქ 2:34; ებრ 1:3).

3. ამ გაგებით იესო აღწერილია, როგორც "პირმშო მკვდართაგან" (კოლ 1:18), ფრაზით, რომელიც უტოლდება სიტყვებს "პირმშო ყოველი ქმნილებისა" (კოლ 1:15). ამიტომ იესო ამბობს საკუთარ თავზე, რომ იგი არის "პირმშო მკვდართაგან... დასაბამი ღვთის ქმნილებისა" (გამოცხ 1:5; 3:14). იესო პირველი უკვდავი იყო უკვდავ ქალთა და კაცთა შორის, რომელთა აღდგომა და ღვთის უკვდავ შვილებათ დაბადება, შესაძლო გახდა იესოს სიკვდილისა და აღდგომის მეშვეობით (ეფეს 2:10; 4:23, 24; 2 კორ 5:17). "გამოცოცხლდებიან ქრისტეში (ყველა მორწმუნენი). და თითოეული თავისი წესით: პირმშო – ქრისტე, ხოლო შემდეგ ქრისტესნი, მისი მოსვლისას" (1 კორ 15:22, 23). ეს იგივე იდეა არის, რაც კოლ 1. იესო პირმშო იყო, რომელიც მკვდართაგან აღდგა და უკვდავება მიიღო. იგი პირველი იყო ახალი არსება და შეჯმარიტი მორწმუნე მას მიბაძავს მის დაბრუნებისას.

4. არსება, რომლის შესახებ ნათქვამია კოლ 1 თავში, წარმოადგენს ახალ ქმნილებას, და არა იმას, რომლის შესახებ ქადაგებს "დაბადების" წიგნი. იესოს საქმეების მეშვეობით "შეიქმნა ყოველი... საყდარნი და უფლებანი" და ა. შ. პავლე არ ამბობს, რომ იესომ შექმნა ყველაფერი, რაც ბუნებაშია, მაგალითად, მდინარე, მთა, ფრინველი და ა. შ. ამ ახალი არსების ელემენტს შეადგენს ის საზღაური, რომელიც ჩვენ ღვთის სასუფეველში გვექნება.

"საყდარნი, უფლებანი" და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ მორწმუნენი იქცევიან "სუფევად და მღვდლებად ჩვენს ღმერთს, და იმეფებენ დედამიწაზე" (გამოცხ 5:10). ყოველივე ეს იესოს საქმეების მეშვეობით გახდა შესაძლო, "ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი, რაც <u>ცაშია</u>" (კოლ 1:16). ეფეს 2:6 ვკითხულობთ მორწმუნეთა შესახებ, რომლებიც "ცათა შინაც დაგვსხა ქრისტე იესოში". ამრიგად, ეს ლექსი მეტყველებს იმის შესახებ, რომ იესოს გამო შესაძლებელი გახდა მაღალი სულიერი მდგომარეობა, რომელიც ჩვენ როგორც ამჟამად, ასევე მომავალში გვექნება. "ცა და მიწა" შეიცავს ყოველივეს, რაც აუცილებელია "მისი (იესოს) ჯვრის სისხლით"

შესარიგებლად (კოლ 1:16, 20) და ამით გვიჩვენებს, რომ ყოველივე, რაც "ცაშია" ეკუთვნის მორწმუნეებს, რომლებიც ამჟამად "ცათა შინა" სხედან, "ქრისტე იესოში".

5. სიტყვები იმის შესახებ, რომ ქრისტე "პირმშოა ყოველი ქმნილებისა", მის ადგილსამყოფელს აღნიშნავენ ღმერთის გვერდით. ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩვენი "ყოველი ქმნილება", რომელთა შესარიგებლად იგი გამოჩნდა. ლექსი მათ 21:31 ამის დამახასიათებელი მაგალითია: "მებაჟეები და მეძავები თქვენზე (ცოდვილ ებრაელებზე) წინ შევლენ ღვთის სასუფეველში". სინამდვილეში, ებრაელები, რომლებსაც იესო ესაუბრებოდა, ვერ შევლენ ღვთის სასუფეველში (ლუკ 13:28; მათ 8:12; 21:43). ასე რომ აქ საუბარი არ მიმდინარეობს სამეფოში მართლმორწმუნეთა შესვლის შესახებ მათზე ადრე დროის გაგებით. სიტყვები იმის შესახებ, რომ იესო არის "პირმშო ყოველი ქმნილებისა" არ ნიშნავს, რომ იგი "ყოველი ქმნილების უწინ იყო", როგორც ეს სამების მომხრეებს სჭირდებათ ამ ნაწყვეტის ინტერპრიტაციის დროს. ბერძნული სიტყვა, რომელიც ნიშნავს "წინათ" 1 პეტ 4:8 ითარგმნება როგორც "უპირველეს ყოვლისა".

გადახვევა 25: "სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ" (იოან 8:58)

ეს სიტყვები ხშირად არასწორედ გამოიყენება იმის სასწავლებლად, რომ იესო აბრაამის წინ არსებობდა. მაგრამ, უფრო ბევრითი გამოკვლევა ამჟღავნებს ამის საპირისპიროს:

1. იესო არ ამბობს: "სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვიყავი". ის აბრაამის აღთქმული შთამომავალი იყო და ჩვენ უაზროს გავხდით ღვთის აღთქმას, თუ ვიტყვით, რომ იესო ფიზიკურად აბრაამის დაბადებამდე არსებობდა.

2. იოან 8:58 მოყვანილი სიტყვები წარმოადგენენ საუბარს ქრისტესა და იუდეველთა შორის აბრაამის შესახებ. მათთვის

აბრაამი უდიდესი ადამიანი იყო. ბერძნული სიტყვა "**pro",** ნათარგმნი როგორც სიტყვა "სანამ", უფრო ქრისტეს ეკუთვნის, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე აბრაამს, და არა დროს. ჩვენ კვლავ შეგვიძლია მივუთითოთ მათ 21:31 ლექსზე, რომელშიც ნაჩვენებია სიტყვის "სანამ" გამოყენება ბიბლიაში. იესომ თქვა: "მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ (ცოდვილ ებრაელებზე) შევლენ ღვთის სასუფეველში". სინამდვილეში, ებრაელები არ იქნებიან სასუფეველში (ლუკ 13:28; მათ 8:12; 21:43). ამ საუბრის დროს იესოს მიმართ პატივისცემა უნდა გამოგვეხატა, და არა აბრაამის. ქრისტე ამბობს: "მე <u>ახლა</u> უფრო მთავარი ვარ, ვიდრე აბრაამი იყო". მაგრამ იოან 8:59 გამოყენებული სიტყვა "სანამ" შესაძლოა დროსაც დავუკავშიროთ, ესე იგი, სანამ, მანამ აბრაამი ცხოვრობდა, ქრისტე ღვთის გეგმაში უკვე იყო და ეს გეგმა მას დასაბამიდან ჰქონდა. და რადგან იესო აბრაამზე "უწინ" იყო, სიტყვა "უწინ" მისი მნიშვნელობის გაგებით.

3. ამის დამტკიცებას იოან 8:56 ლექსი შეიცავს: "აბრაამს, მამათქვენს, უხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს. იხილა და გაიხარა". როგორც წერილში არის ნათქვამი, აბრაამმა მხოლოდ ერთხელ გაიცინა და გაიხარა. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც მას მისი თესლის აღთქმა მიეცა. საბოლოოდ ის მიხდა, რომ აღთქმა იესოს ეკუთვნოდა (დაბ 17:17). აბრაამმა განჭვრეტა იესო თავოსი აღთქმის საშუალებით. გულის სიღრმეში მან განიკიცხა იესოს მომავალი მსხვერპლის შეწირვა: "მთაზე უფალი <u>გამოჩნდა</u>" (დაბ 22:14). ზუსტად ამ გაგებით იესო მეტყველებს აბრაამის შესახებ, თითქოს მან <u>იხილა</u> იგი. აღთქმის გათვალისწინებით, იესოს შეეძლო ეთქვა: "სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ". როგორც ავხსენით ნაწილში 3.1, იესოს ესმოდა, რომ ღვთის აღთქმა აბრაამის მიმართ ამჟღავნებდა გეგმას მის შესახებ, რომელიც ღმერთმა სამყაროს დასაბამიდან იცოდა. ეს აღთქმა პირველი საუკუნის ებრაელების თვალწინ განხორციელდა, როდესაც ისინი იესოს ირგვლივ იდგნენ.

4. ამტკიცებენ, რომ იესო ხშირად ახსენებდა ღვთის სახელს, როდესაც ამბობდა: "მე ვარ". ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გადახვევა 3, რომ როგორც იესოს, ასევე სხვა დანარჩენ მოკვდავ ხალხს შესაძლოა <u>მოჰქონდეს</u> ღვთის სახელი და ამასთანავე ეს არ ნიშნავდეს, თითქოს ისინი თვით ღმერნი არიან. მაგრამ შესაძლოა, რომ იესო ამ შემთხვევაში მხოლოდ ზმნა "ყოფნას" ახლანდელ დროს ხმარობდა. ასეთივე სურათი რამდენიმე ლექსის ქვემოთ გვხვდება იოან 9:9. იესომ განკურნა უსინათლო, თვალი აუხილა. გაკვირვებული ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა, იყო რო ეს სინამდვილეში ის უსინათლო, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. "ერთნი ამბობდნენ: ეს სწორედ ისააო, სხვებმა თქვეს: არა, მაგრამ იმას ჰგავსო. მან კი თქვა: "მე ვარ". ალბად შენიშნეთ, რომ ბიბლიაში გამოყოფილია სიტყვა "მე". ეს იმას ნიშნავს, რომ ბერძნულ ტექსტში ეს სიტყვა არ გვხვდება, იგი მთარგმნელებით არის დამატებული. განკურნილი უსინათლო ამბობს: "მე ვარ", ესე იგი, როგორც იესო ამბობს იოან 8:58. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ქრისტეს სიტყვები "მე ვარ" მეტყველებენ იმის შესახებ, რომ იგი ღმერთია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ განკურნილი უსინათლო ამბობდა საკუთარ თავზე, როგორც ღმერთზე. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ღვთის სახელი სინამდვილეში ნიშნავს "მე ვარ, რომელიც ვარ" ანუ უბრალოდ "მე ვარ".

გადახვევა 26: "მელქისედეკი"

ბიბლიის შემსწავლე უამრავი ხალხი გულით წარმოსთქვამს "ამინს" პეტრეს ლექსების შემდეგ: "როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ პავლემაც მოგწერათ მისთვის მინიჭებული სიბრძნით... ყველა წერილშიც, რომლებშიც ზოგი რამ ისე ძნელად გასაგებია, რომ უმეცარნი და უმტკიცონი, სხვა წერილების მსგავსად ამახინჯებენ საკუთარი თავის დასაღუპად" (2 პეტ 3:15, 16). ეს, რასაკვირველია, ეკუთვნის ძველებრაელურ ენაზე ნათქვამ პავლეს სიტყვებს მელქისედეკის შესახებ. ის თვითონ აღიარებდა, რომ საუბრობს იმის შესახებ, რაც რთულია გასაგებად და რომლის აღქმა მხოლოდ კარგად მომზადებულ მორწმუნეს შეუძლია (ებრ

5:10, 11, 14). მაგრამ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ლექსების გასაგებად აუცილებელია ბიბლიის სწავლების საფუძვლიანი ცოდნა; ასევე არ უნდა გადავაჭარბოთ მელქისედეკზე ნაწყვეტის მნიშვნელობა იმ ხალხისათვის, ვინც ეცნობა წმიდა წერილს.

"მელქისედეკი, სალიმის მეფე, უზენაესი ღვთის მღვდელი, შეეგება აბრაამს, მეფების განადგურების შემდეგ დაბრუნებულს, და აკურთხა იგი", რომლის შესახებ ნათქვამია, რომ იგი "უმამო, უდედო, უგვარმტომო, არც დღეთა დასაბამი აქვს, არც სიცოცხლის დასასრული, ღვთის ძის მსგავსად, რჩება მღვდლად სამუდამოდ" (ებრ 7:1, 3). ამ სტროფებიდან ზოგიერთს გამოაქვს შემდეგი დასკვნა, რომ იესო არსებობდა თავის დაბადებამდე და, აქედან გამომდინარე, ადამიანური მშობლები არ გააჩნდა.
იესოს ჰყავდა მამა (ღმერთი), დედა (მარიამი) და წარამომავლობა (იხ. მათ 1; ლუკ 3 და შდ. იოან 7:27). ამიტომ, მელქისედეკს არ გააჩნია მისადმი პირადი ურთიერთობა. ამის გარდა, მელქისედეკი "ღვთის ძის მსგავსად" (ებრ 7:3), თვით იესო არ იყო, მაგრამ მასთან გარკვეული მსგავსება გააჩნდა, რომელსაც ავტორი წვრთნის მიზნით იყენებს. "მელქისედეკის მსგავსად დგება სხვა მღვდელი" იესო (ებრ 7:15), რომელიც მღვდელი გახდა "მელქისედეკის წესით" (ებრ 5:5, 6).

ძველებრაელური ენა მელქისედეკის შესახებ შეუძლებელია ავიქვათ სიტყვასიტყვით. თუ მელქისედეკს სინამდვილეში არ გააჩნდა არც მამა და არც დედა, მაშინ მას მხოლოდ ღმერთი ჰყავდა. იგი – ერთადერთი ადამიანია, რომელსაც დასაბამი არ ჰქონდა (1 ტიმ 6:16; ფსალმ 90:2). მაგრამ ამას ებრ 7:4 ლექსი უპირისპირდება, რომელშიც ნათქვამია: "რაოდენ დიდია იგი (ადამიანი)", და ასევე ის გარემო, რომ ხალხმა იხილა იგი (ხოლო ღმერთის ხილვა შეუძლებელია) და მისი მსხვერპლშესაწირი ღმერთისადმი. თუ მას ადამიანს უწოდებენ, მაშინ მას სიტყვასიტყვით მშობელიც უნდა ჰყავდეს. ხოლო ის ფაქტი, რომ იგი "უმამო, უდედო, უგარმტომო" არის შეგვიძლია ავხსნათ იმით, რომ მისი გენეალოგია და მშობლები დაფიქსირებულნი არსად არ იყვნენ. დედოფალ ესთერის

მშობლების შესახებ ასევე არავითარი ცნობა არ გვქონდა და მისი წარმომავლობაც ამგვარად არის აღწერილი. მარდოქაი იყო აღმზრდელი ესთერის, "თავის ბიძაშვილის, რადგან არც მამა ჰყავდა მას, არც დედა... როცა დედ-მამა დაეხოცა, იშვილა იგი მარდოქაიმ" (ესთ 2:7).

წიგნში "დაბადება" მოცემულია მასში წარმოდგენილი ყველა პერსონაჟის დაწვრილებითი წარმომავლობა. მაგრამ მელქისედეკი მის მშობლებზე ყოველგვარი განცხადების გარეშე წაგვიდგება; და ასევე მოულოდნელად ქრება. ამასთანავე, უეჭველია, რომ იგი ღრმა პატივისცემას იმსახურებს; აბრაამიც კი უხდიდა მას ათეულს და მისგან კურთხევას იღებდა, რაც აშკარად გვიჩვენებს მელქისედეკის უპირატესობას (ეფეს 7:2, 7).
პავლე არ აკეთებდა გონებრივ ვარჯიშს წმიდა წერილთან. პირველ საუკუნეში არსებობდა რეალური პრობლემა, რომელიც მელქისედეკის მოსაზრებებს შეეძლო გადაეწყვიტა. ებრაელები ამგვარად მსჯელობდნენ:

"თქვენ, ქრისტიანები, გვეუბნევით, რომ იესო ამჟამად შესაძლოა ჩვენი მღვდელი იყოს. მაგრამ მღვდელს გარკვეული წარმომავლობა უნდა გააჩნდეს, რომელიც დაადასტურებს, რომ იგი ლევის მუხლიდან არის. და, ამის გარდა, თქვენ თვითონ უშვებთ, რომ იესო იუდას მუხლიდან იყო (ებრ 7:14). სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმძღვანელი და მაგალითი აბრაამია (იოან 8:33, 39) და ჩვენ ვერ ვცემთ პატივს იესოს".

ამ სიტყვებს პავლემ უპასუხა: "მაგრამ გახსოვდეთ მელქისედეკი. წიგნი დაბადება გვიჩვენებს, რომ ამ დიდ მღვდელს არ გააჩნდა წარმომავლობა; და მესია, როგორც მეფე, ასევე მღვდელი უნდა იყოს და მღვდელობა მელქისედეკის მსგავსი უნდა იყოს (ებრ 5:6; შდ. ფსალმ 110:4). აბრაამი თავისი მდგომარეობით მელქისედეკზე ქვემოთ დგას, ასე რომ თქვენ უნდა გადაიტანოთ ყურადღება აბრაამიდან იესოზე და შეწყვიტოთ წარმომავლობის კითხვა (იხ. 1 ტიმ 1:4). თუ თქვენ იფიქრებთ მელქისედეკისა და იესოს

მსგავსებაზე (ე. ი., მათი ცხოვრების წვრილმანებზე), მაშინ თქვენ უკეთესად გაიგებთ ქრისტეს საქმეებს".

ჩვენ შეგვიძლია ეს გაკვეთილი გამოვიყენოთ.

თავი 7: საკითხები

1. გაიხსენეთ ორი ქადაგება ძველ აღთქმიდან იესოს შესახებ.

2. არსებობდა თუ არა იესო თავის დაბადებამდე?

3. რა გაგებით შეგვიძლია ვისაუბროთ იესოს არსებობის შესახებ მის დაბადებამდე?
   ა) როგორც ანგელოზზე
   ბ) როგორც სამების ნაწილზე
   გ) როგორც სულზე
   დ) მხოლოდ ღმერთის ფიქრებში და განზრახვებში.

4. შემდეგი მტკიცებებიდან რომელია სწორი მარიამის მიმართ?
   ა) ის უმწიკვლო და უცოდველი ქალი იყო
   ბ) ის ჩვეულებრივი ქალი იყო
   გ) მასში ჩაისახა იესო წმიდასულის მეშვეობით
   დ) ამჟამად იგი გადასცემს ჩვენს ლოცვებს იესოს.

5. იესომ შექმნა რო დედამიწა?

6. როგორ გესმით იოან 1:1 სიტყვები: "თავდაპირველად იყო სიტყვა?" რას ისინი <u>არ</u> აღნიშნავენ?

7. რატომ მიგაჩნიათ, რომ აუცილებელია დარწმუნებული იყო იესოს ფიზიკური არსებობის საკითხში მის დაბადებამდე?

თავი 8

იესოს ბუნება

8.1 იესოს ბუნება: წინასიტყვაობა

ქრისტიანულ მოსაზრებაში უდიდეს ტრაგედიათ, როგორც ჩანს, ის ფაქტი იქცა, რომ ქრისტემ ვერ მიიღო კუთვნილი პატივისცემა და ამაღლება ცოდვებზე გამარჯვებით, რომელსაც მან თავისი იდეალური ხასიათის გამო მიაღწია. ფართოდ გავრცელებული "სამების" რწმენა თვით ღმერთად ქმნის იესოს. იმის შეგნება, რომ ღმერთს არ შეუძლია განსაცდელში ჩავარდნა (იაკ 1:13) და არა აქვს ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა, მიგვყავართ იმის გაგებისაკენ, რომ ქრისტეს არ ესაჭიროებოდა ბრძოლა ცოდვის წინააღმდეგ. ამის გამო, ცხოვრება დედამიწაზე ფიქცია იქნებოდა. იგი გაატარებდა ადამიანურ ცხოვრებას, მაგრამ რეალური სულიერი გრძნობისა და ადამიანისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ პრინციპების გარეშე, რადგან ისინი მას პირადად არ შეეხებოდნენ.

არსებობს სხვა უკიდურესება, ასეთი ჯგუფები, როგორიც მორმონები და იეღოვას მოწმენი არიან, არ ანიჭებენ გარკვეულ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ქრისტე ღმერთის მხოლოდშობილი ძე იყო. როგორც ასეთი, მას არ შეეძლო ანგელოზი ან იოსიბეს ღვიძლი შვილი ყოფილიყო. ზოგიერთნი გამოხატავენ აზრს, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში იესოს ისეთივე ბუნება ჰქონდა, როგორც ადამს ცოდვის ჩადენამდე. ბიბლია არ ადასტურებს ამ თვალსაზრისს; გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამი ღმერთმა მიწის მტვრისაგან შექმნა, როცა იესო ღვთისაგან ქალწულ მარიამის მიერ იშვა. ამრიგად, თუმცა იესოს არ გააჩნდა მამა-ადამიანი, იგი ჩვენს მსგავსი იყო. ბევრნი ვერ წარმოიდგენენ, რომ ჩვენი ცოდვილი ბუნების მქონე ადამიანს შეეძლო უმწიკვლო ხასიათი ჰქონოდა. ეს ფაქტი ქმნის გარკვეულ სირთულეს ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენის მიღებაში.

არ არის ადვილი იმის რწმენა, რომ ჩვენი ბუნების მქონე ქრისტე, ხასიათით უცოდველი იყო და <u>ყოველთვის</u> ამარცხებდა ცდუნებას. საჭიროა სახარებაში ნათქვამი მის უმწიკვლო ცხოვრების გააზრება და წაკითხვა ბიბლიის უამრავი სწავლების, რომლებიც უარყოფენ,

რომ იგი ღმერთი იყო, რათა რეალური ქრისტეს გაგებას და რწმენას მივაღწიოთ. რასაკვირველია, უფრო ხელსაყრელია იმის წარმოდგენა, რომ იგი თვით ღმერთი იყო და ამის გამო სრულყოფილი. მაგრამ ამგვარი თვალსაზრისი ამცირებს იმ გამარჯვების სიდიადეს, რომელიც ქრისტემ ადამიანური ბუნებისა და ცოდვის დამარცხებით მოიპოვა.

მას ადამიანური ბუნება გააჩნდა და, როგორც ჩვენ, ცოდვისკენ მიდრეკილებაც ჰქონდა (ებრ 4:15), მიუხედავად ამისა, მან, ღმერთის წყალობით, გადალახა ისინი. ღმერთი ხალისიანად ეხმარებოდა მას, რადგან: "ღმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი" (2 კორ 5:19).

8.2 სხვაობა ღმერთისა და იესოს შორის

უნდა აღვნიშნოთ საერთო სახარების იმ ადგილების, რომლებშიც ნათქვამია, რომ "ღმერთი ქრისტეშია" და ნაწყვეტების შორის, რომლებშიც ხაზგასმულია ქრისტეს ადამიანობა. ეს ნაწყვეტები შეუძლებელს ხდიან იმ იდეის მტკიცებას, თითქოს იესო თვით ღმერთი იყო, "ჭეშმარიტი ღმერთი", როგორც შეცდომით ამტკიცებს სამების დოქტრინა. ბიბლიაში სიტყვა "სამება" არ გვხვდება. მეცხრე თავში ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრებთ, თუ როგორ დაამარცხა ქრისტემ ცოდვა. მაგრამ ახლა მოდით ერთხელაც გავიხსენოთ, რომ ხსნა რეალურ იესო ქრისტეს სწორ აღქმაზე არის დამოკიდებული (იოან 3:36; 6:53; 17:3). როგორც კი ჩვენ გავიზიარებთ მის გამარჯვებას ცოდვასა და სიკვდილზე, ჩვენ შევძლებთ ნათლობის მიღებას, რათა შევუერთდეთ მის ხსნას.

ღმერთისა და იესოს ნათესაობრივ კავშირის ერთერთ ყველაზე ნათელ განსაზღვრას ვხვდებით 1 ტიმ 2:5: "ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთისა და კაცთა შორის შუამავალი კაცი ქრისტე იესო". სიტყვების განხილვიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

– არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი და, შეუძლებელია, რომ იესო იყოს ღმერთი; თუ მამა – ღმერთია და იესოც ღმერთია, მაშინ არსებობს ორი ღმერთი. მაგრამ "ერთი მამა ღმერთი გვყავს" (1 კორ 8:6). ამიტომ, "მამა-ღმერთი" – ერთადერთი ღმერთია. შეუძლებელია, იყოს ცალკეული არსება, რომელსაც "ძე ღმერთი" ეწოდება, როგორც ამას სამების ცრუ დოქტრინა ამტკიცებს; ძველი აღთქმა ასევე უწოდებს იეღოვას ერთადერთ ღმერთს, როგორც მამას (მაგ., ეს 63:16; 64:8).

– ამ ერთადერთი ღმერთის გარდა არსებობს შუამავალი – კაცი, ქრისტე იესო – "... ერთია ღმერთისა და კაცთა შორის შუამავალი". ამ ნაწყვეტში აღნიშნულია ღმერთისა და იესოს სხვაობა.

– ქრისტე, როგორც "შუამავალი" დამაკავშირებელ წევრს წარმოადგენს. ცოდვილი ადამიანის და უცოდველი ღმერთის დამაკავშირებელი წევრი შეუძლებელია თვით უცოდველი ღმერთი იყოს. იგი ცოდვილ ადამიანურ ბუნების მქონე უმწიკვლო ადამიანი უნდა იყოს. ფრაზა "კაცი ქრისტე იესო" ანადგურებს ნებისმიერ ეჭვს ამ ახსის ჭეშმარიტებაში. მიუხედავად იმისა, რომ პავლე წერდა ქრისტეს შესახებ მისი აღდგომის შემდეგ, იგი არ უწოდებდა მას "ღმერთს იესო ქრისტეს".

– ახალ აღთქმაში რამდენჯერმე გვახსენებენ, რომ "ღმერთი კაცი არ არის" (რიცხ 23:19; ოს 11:9) და ამასთანავე ქრისტეს "კაცის ძე"-ს ან "კაცს იესო ქრისტეს" უწოდებენ. იგი "უზენაესის ძე" იყო (ლუკ 1:32). თუ ღმერთს "უზენაესს" ვუწოდებთ, ესე იგი, მხოლოდ მას გააჩნია უკიდურესი უმაღლესობა. თუ იესოს "უზენაესის ძეს" უწოდებთ, ე. ი., იგი პირადათ თვით ღმერთი არ არის. მამისა და ძეს შესახებ სიტყვების გამოყენება, როდესაც საუბარი ღმერთისა და იესოს ეხება, ამოწმებს, რომ ეს სიტყვები ერთსა და იმავეს არ აღნიშნავენ. მიუხედავად იმისა, რომ ძეს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული მსგავსება მამასთან, შეუძლებელია იგი ერთდროულად მამაც იყოს.

ამასთანავე არსებობს ღმერთისა და იესოს სხვაობის მთელი რიგი, რომლებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ იესო არ იყო ღმერთი:

ღმერთი	იესო
"ღმერთი არ იცდება" (იაკ 1:13).	ქრისტე "ჩვენსავით გამოცდილია ყველაფერში" (ებრ 4:15).
ღმერთს არ შეუძლია სიკვდილი – იგი თავისი ბუნების მიხედვით უკვდავია (ფსალმ 90:2; 1 ტიმ 6:16).	ქრისტე სამი დღის განმავლობაში იყო მკვდარი (მათ 12:40; 16:21).
ადამიანი ვერასოდეს ვერ იხილავს ღმერთს (1 ტიმ 6:16; გამ 33:20).	ხალხს უნახია იესო და შეხებით შეუგრძნია იგი (1 იოან 1:1).

ცდუნების დროს ჩვენ არჩევანის წინაშე ვდგევართ, ჩავიდინოთ ცოდვა თუ დავემორჩილოთ ღმერთს. ხშირად ჩვენ არ ვემორჩილებით ღმერთს და პირველ შემთხვევას ვირჩევთ. ქრისტეს წინაშეც ასეთივე არჩევანი იდგა, მაგრამ იგი ყოველთვის მორჩილებას გამოხატავდა. მაგრამ მას ჰქონდა ცოდვის ჩადენის საშუალება, მაგრამ იგი არასოდეს შემცდარა. ღმერთს არ გააჩნია ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა. ჩვენ ვიხილეთ, რომ ქრისტე დავითის თესლისგან იყო (2 მეფ 7:12-16). ლექსი 14 მეტყველებს ქრისტეთი ცოდვის ჩადენის შესაძლებლობაზე: "თუ დააშავებს, გავწკეპლავ".

8.3 იესოს ბუნება

სიტყვა "ბუნება" იმას ეკუთვნის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ. პირველ თავში ჩვენ გიჩვენეთ, რომ ბიბლია მხოლოდ ორ ბუნების შესახებ მეტყველებს – ღვთის ბუნებაზე და ადამიანის ბუნებაზე. თავისი ბუნებით ღმერთი არის უკვდავი, უცოდველი და ა. შ. ნათელია, რომ სიცოცხლის დროს ქრისტეს არ გააჩნდა ღმერთის ბუნება. აქედან გამომდინარე, მას სავსებით ადამიანის ბუნება ჰქონდა. სიტყვა "ბუნების" ჩვენი განსაზღვრიდან გამომდინარე, ქრისტეს არ შეეძლო ერთდროულად ორი ბუნები ფლობა. მნიშვნელოვანია, რომ ქრისტე, ჩვენს მსგავსად, გამოიცადა (ებრ 4:15) და მხოლოდ მათი გადალახვის შესაძლებლობით მან მოიპოვა პატიება ჩვენთვის. ჩვენი მანკიერი სურვილები ჩვენგან იღებენ საწყისს (მარკ 7:15-23), ჩვენ ადამიანურ ბუნებისაგან (იაკ 1:13-15). ამიტომ, აუცილებელი იყო, რომ ქრისტეს ადამიანური ბუნება ჰქონოდა და ამასთანავე შეეძლო ცდუნების გაძლება და დამარცხება.

ებრაელთა მიმართ (2:14-18) ყოველივე ეს ამრიგად არის გამოხატული:

> "რაკი ბავშვები (ჩვენ) სისხლისა და ხორცის (ადამიანის ბუნების) მოზიარნი არიან, თავადაც (ქრისტე) ეზიარა მათ; რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის... ეშმაკი... ვინაიდან, ანგელოზებს კი არ ღებულობს, არამედ აბრაამის თესლს (ბუნებას) ღებულობს. ამიტომ იგი ყველაფერში უნდა დამსგავსებოდა ძმებს, რათა ყოფილიყო მოწყალე და ერთგული მღვდელმთავარი... ხალხის ცოდვების შესაწყნარებლად. ვინაიდან, როგორც თვითონ იტანჯა და გამოიცადა, ისე შეუძლია დაეხმაროს განსაცდელში მყოფთ".

ამ ნაწყვეტში განსაკუთრებით ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ იესოს ადამიანის ბუნება ჰქონდა: "<u>თავადაც ეზიარა მათ</u>" (ებრ 2:14). ლექსი ებრ 2:16 აღნიშნავს, რომ ქრისტეს არ ჰქონდა ანგელოზთა ხასიათი, რადგან იგი აბრაამის თესლი იყო და მორწმუნეთა ხსნისათვის მოვიდა. ამის გამო ქრისტეს ესაჭიროებოდა ადამიანის

ბუნება. იგი ყველაფერში უნდა "დამსგავსებოდა ძმებს" (ებრ 2:17), რათა ღმერთს მისი მსხვერპლის მეშვეობით მოეცა ჩვენთვის პატიება. აქედან გამომდინარე, საუბარი იმის შესახებ, რომ იესოს არ ჰქონდა სავსებით ადამიანის ბუნება, მის არცოდნას ნიშნავს.

თუ მონათლული მორწმუნე ცოდვას იდენს, მას შეუძლია ლოცვით ქრისტეში მიმართოს ღმერთს და აღიაროს თავისი ცოდვა. ღმერთი ითვალისწინებს, რომ ქრისტეც გამოიცდებოდა, მაგრამ იგი სრულყოფილი იყო, ხალხი კი არა. ამის გამო "ღმერთს ქრისტეში" შეუძლია თქვენი პატიება (ეფეს 4:32). ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ქრისტე ჩვენსავით გამოიცადა და მას ჩვენი ბუნება უნდა ჰქონოდა, რათა ეს შესაძლებელი ყოფილიყო. ებრ 2:14 ლექსი აშკარად მეტყველებს, რომ ამისათვის ქრისტეს "სისხლისა და ხორცის" ბუნება ჰქონდა. "ღმერთი არის სული" (იოან 4:24) ბუნებით და, თუმცა მას ფიზიკური სხეულიც გააჩნია, როგორც "სულს" მას არ აქვს "ხორცი" (ლუკ 24:39). ის ფაქტი, რომ ქრისტეს "სხეულის" ბუნება ჰქონდა, ნიშნავს, რომ სიცოცხლის განმავლობაში მას ღვთის ბუნება არ გააჩნდა.

ხალხის წინამავალი ცდები, იცხოვრონ ღმერთის სიტყვით, უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ, "ღმერთმა მოავლინა თავისი ძე ცოდვილი ხორცის მსგავსებაში და ცოდვის გამო მსჯავრი დასდო ცოდვას ხორცში" (რომ 8:3).

"ცოდვა" სურვილის დამაკმაყოფილებლობის ბუნებრივ მიდრეკილებას ეკუთვნის. ჩვენ უკვე ავირჩიეთ ეს გზა და მივყვებით მას, ხოლო "ცოდვის საზღაური სიკვდილია". ამ რთულ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, ადამიანს ესაჭიროება დახმარება. თვითონ უნიჭო გამოდგა სრულყოფილობისათვის; სხეულს არ შეუძლია ცოდვის გამოსყიდვა. მაშინ ღმერთი ჩაერია და თავისი ძე მოავლინა, რომელსაც ჩვენი "ცოდვილი ხორცი" ჰქონდა ცოდვისაკენ ასეთივე მიდრეკილებით, როგორც ჩვენ. სხვა ნებისმიერი ადამიანისაგან განსხვავებით, ქრისტემ გაუძლო ყველა ცდუნებას, თუმცა მას შეეძლო ცოდვა ჩაედინა და

დამარცხებულიყო. ლექსი რომ 8:3 აღწერს ქრისტეს ბუნებას ცოდვილი ხორცით. ამ ლექსამდე პავლე ამბობდა, რომ სხეულში "არ იმყოფება კეთილი" და სხეული არ ემორჩილება ღმერთს (რომ 7:18-23). ამის გამო, უფრო დიდ აღტაცებას იწვევს სიტყვები ქრისტეს "ცოდვილი სხეულის" შესახებ (რომ 8:3). და მხოლოდ იმიტომ, რომ მან შეძლო სხეულის დამორჩილება, ჩვენს წინაშე გაიხსნა ჩვენი სხეულის ხსნის გზა. იესოს მშვენივრად ესმოდა საკუთარი ბუნების ცოდვილობა. ერთხელ მას "კეთილი მოძღვარი" უწოდეს. პასუხად იესომ მიუგო: "რატომ მიწოდებთ მე კეთილს? არავინ არის კეთილი, გარდა ერთისა – ღმერთისა" (მარკ 10:17, 18). სხვა შემთხვევაში ქრისტეს სასწაული საქმეების მოწმეემმა მის სიდიადე ირწმუნეს. მაგრამ ამ ფაქტმა არ მოახდინა არავითარი შთაბეჭდილება იესოზე, "ვინაიდან ყველას იცნობდა. არც სჭირდებოდა, რომ ვინმეს დაემოწმებინა ადამიანის შესახებ, რადგან იცოდა რა იყო ადამიანში" (იოან 2:23-25). რადგან ქრისტე იცნობდა ადამიანის ბუნებას, მას არ სურდა, რომ ხალხს პირადად შეექოთ იგი, რადგან იცოდა, რომ ცოდვილი ბუნება გააჩნდა.

8.4 იესოს ადამიანობა

სახარება შეიცავს უამრავ მაგალითს, რომლებშიც იესოს ადამიანური ბუნება ვრცლად არის აღწერილი. ნათქვამია, რომ ერთხელ იგი დაქანცული იყო და ჩამოჯდა, რათა ჭიდან წყალი დაელია (იოან 4:6). სხვა შემთხვევაში, ლაზარეს სიკვდილის დროს "აცრემლდა იესო" (იოან 11:35). მაგრამ ყველაზე მეტად იესოს ადამიანობაზე მეტყველებენ ლექსები მისი უკანასკნელი ტანჯვის შესახებ: "ახლა შფოთავს ჩემი სული და რა ვთქვა?" აღიარა მან, როდესაც ღმერთს მიმართა ლოცვით ჯვარზე სიკვდილის ხსნისაგან (იოან 12:27). იგი "ლოცულობდა და ამბობდა: "მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი; მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ" (მათ 26:39). ეს იმას ადასტურებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქრისტეს "სურვილი" განსხვავდებოდა ღმერთის "სურვილისაგან".

მთელი ცხოვრების განმავლობაში ქრისტე ემორჩილებოდა ღვთის ნებას და ემზადებოდა ჯვარზე უკანასკნელი საცდელისათვის. "ჩემით არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ და ჩემი სამსჯავრო სამართლიანია, რადგან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას" (იოან 5:30). ეს სხვაობა ღმერთისა და ქრისტეს შორის ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იესო არ იყო ღმერთი.

ითვლება, რომ ცხოვრების განმავლობაში იზრდება ჩვენი ცოდნა ღმერთის შესახებ. და ამ მხრივ იესო ჩვენთვის მაგალითია. მას არ ჰქონდა ღმერთის სრული შეცნობა, მან ჩვენზე მეტი არ იცოდა. ბავშვობიდან "იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი (ესე იგი, სულიერი ზრდა, შდ. ეფეს 4:13), და მადლი ღმერთთან და კაცთან" (ლუკ 2:52). "ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით" (ლუკ 2:40). ამ ორ ლექსიდან გამომდინარე, ქრისტეს ფიზიკური ზრდა უტოლდება მის სულიერ ზრდას. თუ "ძე არის ღმერთი", როგორც აფანასიანური სარწმუნოება ამტკიცებს "სამების" მიმართ, მაშინ ყველაფერი ზემოთ ნათქვამი შეუძლებელია. თავისი სიცოცხლის ბოლოს ქრისტემ თქვა, რომ მან არ იცის თავისი მეორე მოვლენის ზუსტი დრო, თუმცა მამამ იცის (მარკ 13:32).

დროის რომელიმე პერიოდის განმავლობაში ჩვენ უნდა დავემორჩილოთ ღმერთის ნებას. ქრისტესაც ასევე უნდა გაევლო ეს პროცესი. "თუმცა ძე იყო, მან ტანჯვის მეოხებით ისწავა მორჩილება. და იგი სრულქმნილი (ესე იგი, სულიერად ძლიერი), მარადიული ხსნის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის", ესე იგი, მისი სრული სულიერი ზრდის შედეგად (ებრ 5:8, 9). ლექსები ფილ 2:7, 8 (იხ. ასევე გადახვევა 27) იგივეს ქადაგებენ იესოს სულიერი ზრდის პროცესის შესახებ, რომელიც მისი ჯვარცმით დასრულდა. მან "წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება... დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე". აქ გამოყენებული ენა ამტკიცებს, რომ იესო შეგნებულად ხდებოდა სულ უფრო და უფრო თავმდაბალი და საბოლოოდ ღმერთის სურვილისადმი

“მორჩილი გახდა”, რათა სიკვდილი მიეღო. ამრიგად, იესო უმწიკვლო იყო თავისი ტანჯვის სწორი გაგების შედეგად.

აქედან გამომდინარე, იესო შეგნებულად უნდა ყოფილიყო მართლმორწმუნე. ღმერთი არ აუძულებდა მას წმიდანობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მარიონეტი იქნებოდა. ჩვენდამი ქრისტეს სიყვარულის განუწყვეტლივი ხაზგასმა – ფუჭი სიტყვა იქნებოდა, თუ ვიფიქრებთ, თითქოს ღმერთმა აიძულა მას სიკვდილის მიღება (ეფეს 5:2, 25; გამოცხ 1:5; გალ 2:20). თუ იესო ღმერთი ყოფილიყო, მას არ ექნებოდა ამორჩევის უფლება გარდა იმისა, რომ უმწიკვლო ყოფილიყო და ჯვარცმოდა. ის ფაქტი, რომ იესოს ამორჩევის უფლება ჰქონდა, გვაქეზებს ჩვენ მისი სიყვარულის დასაფასებლად.

ღმერთი მოხარული იყო ქრისტეს ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებით, გაეწირა საკუთარი სიცოცხლე: “იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სიცოცხლეს ვწირავ. ვერავინ წამართმევს მას, მაგრამ მე თვით ვწირავ მას” (იოან 10:17, 18). რთულია გონებაში ორი გაგების შეთავსება იმის შესახებ, რომ ღმერთი კმაყოფილი იყო ქრისტეს გადაწყვეტილებით მიეღო სიკვდილი და ამასთანავე, რომ იგი ღმერთი ყოფილიყო, რომელიც ცხოვრობს როგორც ადამიანი და რომელსაც ცოდვილი კაცი სიმბოლური განსახიერება აქვს (მათ 3:17; 12:18; 17:5). ხოლო სიტყვები ღმერთის სიხარულის შესახებ ქრისტეს მორჩილების გამო, ზედმეტად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მას არჩევანი ჰქონდა.

<u>ქრისტეს მისწრაფება საკუთარი ხსნისაკენ</u>

რადგან იესოს ადამიანის ბუნება ჰქონდა, იგი ჩვენსავით იღლებოდა, ავად ხდებოდა და ა. შ. აქედან გამომდინარე, თუ იგი არ მომკვდარიყო ჯვარზე, იგი სხვა ვითარებაში დაიღუპებოდა, მაგალითად, სიბერისაგან. ამის გამო, იესოს ესაჭიროებოდა ხსნა ღმერთის მიერ სიკვდილისაგან. ამის გათვალისწინებით, მან “ძლიერი ღაღადით და ცრემლებით შესწირა ლოცვა და ვედრება

მას, სიკვდილისაგან მისი დახსნის შემძლეს და შესმენილ იქნა იგი" (ებრ 5:7). ის ფაქტი, რომ ქრისტე ევედრებოდა ღმერთს ხსნას, გამორიცხავს იმ ვარაუდს, რომ იგი პირადად ღმერთი იყო. სიტყვები იმის შესახებ, რომ აღდგომის შემდეგ "სიკვდილი <u>აღარ</u> უფლობს მასზე" (რომ 6:9) ადასტურებენ, რომ აქამდე სიკვდილი ეუფლებოდა ქრისტეს. უამრავი ფსალმუნი ქადაგებს იესოს შესახებ.

როდესაც რამდენიმე ლექსი ქრისტეს შესახებ მოყვანილია ფსალმუნიდან ახალ აღთქმაში, შესაძლოა, რომ სხვა ლექსებიც ფსალმუნში მეტყველებენ მასზე. გვაქვს ნაწყვეტების მთელი რიგი, რომლებიც ამოწმებენ ქრისტეს მისწრაფებას ხსნისაკენ ღმერთის მიერ.

ლექსში მათ 4:6 მოყვანილია ფსალმ 91:11, 12 სიტყვები იესოს შესახებ. ხოლო ფსალმ 91:16 ქადაგებს, რომ ღმერთი იხსნის იესოს: "დღეთა ხანგრძლივობით (ესე იგი, მარადიული სიცოცხლით) გავაძღებ და შემწეობას მოვუვლენ ჩემსას".

ფსალმ 69:21 ეკუთვნის ქრისტეს ჯვარცმას (მათ 27:34). მთელი ფსალმუნი აღწერს ქრისტეს ფიქრებს ჯვარზე: "მისმინე ღმერთო... მოუახლოვდი ჩემს სულს, გადაარჩინე... შენმა შველამ, ღმერთო, დამიფაროს მე" (ფსალმ 69:1, 18, 29).

ფსალმ 89 მეტყველებს დავითის აღთქმაზე ქრისტეს მიმართ. ლექსი 89:27 ქადაგებს მის შესახებ: "ის მომიწოდებს: მამაჩემი ხარ, ჩემი ღმერთი და ბურჯი ჩემი <u>ხსნისა</u>".
ქრისტეს ლოცვები ხსნის თხოვნით შეისმინა ღმერთმა. იესოს აღდგომისა და მისი უკვდავების დიდების აღწერა ახალი აღთქმის მნიშვნელოვან თემას შეადგენს:

– "ღმერთმა აღადგინა იესო... იგი წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა ღმერთმა თავისი მარჯვენით (საქ 5:30, 31).
– "ღმერთმა განადიდა თავისი მსახური იესო... რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით" (საქ 3:13, 15).

– "ეს იესო აღადგინა ღმერთმა" (საქ 2:24, 32, 33).
– "იესო თვითონ აღიარებდა ამას, როდესაც ღმერთს დიდებას სთხოვდა" (იოან 17:5, შდ. 13:32; 8:54).

თუ იესო თვით ღმერთი ყოფილიყო, ეს ყველა სიტყვა უადგილო იქნებოდა, რადგან ღმერთი უკვდავია. იესოს არ დასჭირდებოდა ხსნის თხოვნა, თუ იგი ღმერთი ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ ღმერთმა აამაღლა იესო, ამოწმებს ღმერთის უპირატესობას მასზე და სხვაობას მათ შორის. ქრისტეს არ შეეძლო ყოფილიყო "ჭეშმარიტი ღმერთი ორი ბუნებით... ღვთიური და ადამიანური", როგორც ამის შესახებ ინგლისური ეკლესიის პირველი სტატია მეტყველებს. თვით სიტყვის მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ნებისმიერ არსებას შესაძლოა მხოლოდ ერთი ბუნება ჰქონდეს. ჩვენ ვთვლით, რომ საკმარისზე მეტი მტკიცება არსებობს ქრისტეს ადამიანური ბუნების დასადასტურებლად.

8.5 ღმერთისა და იესოს ნათესაობა

ქრისტეს აღდგენის საკითხის განხილვას მოჰყვება ფიქრი ღმერთისა და იესოს ნათესაობრივი კავშირის შესახებ. თუ ისინი "ერთნაირად მარადიულნი" არიან, როგორც ამის შესახებ "სამების" დოქტრინა მეტყველებს, მაშინ მოსალოდნელია, რომ ისინი ერთმანეთის ტოლნი იყვნენ. მაგრამ ჩვენ უკვე საკმარისი რაოდენობის მაგალითი მოვიყვანეთ ამ ვარაუდის უარყოფისათვის. ქრისტესა და ღმერთის შორის დამოკიდებულება ცოლ-ქმრული ურთიერთობის მსგავსია: "ყოველი მამაკაცის თავი – ქრისტეა, ცოლის თავი – ქმარი და ქრისტეს თავი – ღმერთი" (1 კორ 11:3). როგორც ქმარი – ცოლის თავია, ასევე ღმერთიც ქრისტეს თავი არის, რადგან მაგათ, როგორც ცოლ-ქმარს ერთი მიზანი გააჩნიათ. ამრიგად, "ქრისტე კი ღვთისაა" (1 კორ 3:23), ისევე, როგორც ცოლი ეკუთვნის ქმარს.

ხშირად ამბობენ, რომ მამა ღმერთი არის ქრისტეს ღმერთი. ის ფაქტი, რომ ღმერთი აღწერილია, როგორც "ღმერთი და ჩვენი

უფლის, იესო ქრისტეს მამა" (1 პეტ 1:3; ეფეს 1:17) ქრისტეს ამაღლების შემდეგაც კი გვიჩვენებს, რომ ამჟამად მათი ურთიერთობა ისეთივეა, როგორც ქრისტეს მოკვდავ ცხოვრებაში იყო. "სამების" მომხრენი ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ ქრისტეზე საუბრობენ როგორც უმცროსზე, ვიდრე ღმერზე, მისი მოკვდავი ცხოვრების გათვალისწინებით. ახალი აღთქმა ქრისტეს ამაღლების რამდენიმე წლის შემდეგ იყო დაწერილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთზე იქ ნათქვამია, როგორც ღმერთზე და იესოს მამაზე. იესო კვლავ უწოდებს მამას თავის ღმერთს.

ახალი აღთქმის ბოლო წიგნი "გამოცხადება" დაწერილი იყო დაახლოებით ქრისტეს ამაღლებისა და დიდების 30 წლის შემდეგ, თუმცა მასში ნათქვამია ღმერთზე, როგორც "ღვთისა და თავისი მამისათვის" (გამოცხ 1:6). ამ წიგნში ამაღლებული იესო მიმართავს მორწმუნეებს. იგი ამრიგად მეტყველებს "ღვთის ტაძარში... ჩემი ღვთის სახელს... ჩემი ღვთის ქალაქი" (გამოცხ 3:12). ეს ადასტურებს იმას, რომ იესო ახლაც კი ფიქრობს მამაზე, როგორც თავის ღმერთზე და ამიტომ იგი (იესო) არ არის ღმერთი.

თავისი მოკვდავი ცხოვრების განმავლობაში იესო ასევე ეპყრობოდა თავის მამას. იგი მეტყველებდა ამაღლებაზე "მამაჩემთან და მამათქვენთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერთთან" (იოან 20:17).

ჯვარზე იესომ სავსებით გამოხატა თავისი ადამიანობა: "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?" (მათ 27:46). ამ სიტყვების გაგება შეუძლებელი იქნებოდა, თუ ისინი ღმერთს წარმოეთქვა. ის ფაქტი, რომ იესო ლოცულობდა "ღაღადით და ცრემლებით" ამჟღავნებს მათი ურთიერთობის ბუნებას (ებრ 5:7; ლუკ 6:12). ნათელია, რომ ღმერთს არ შეუძლია მიმართოს ლოცვით საკუთარ თავს. ეხლაც კი ქრისტე ლოცულობს ჩვენი სახელით (რომ 8:26; შდ. 2 კორ 3:18).

ჩვენ უკვე გიჩვენეთ, რომ თავისი მოკვდავი ცხოვრების განმავლობაში, ღმერთისა და ქრისტეს ურთიერთობა ძირითადად არ განსხვავდება მათ ურთიერთობისაგან ამჟამად. ქრისტე ღმერთს როგორც თავის მამასა და უფალს უყურებდა; ასეთივე ურთიერთობა არის შენარჩუნებული ამჟამად, ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემდეგ. დედამიწაზე ცხოვრების დროს ქრისტე ღმერთის მონა იყო (საქ 3:13, 26; ეს 42:1; 53:11). მონა პატრონის ნებას ასრულებს და არავითარ შემთხვევაში არ უტოლდება მას (იოან 13:16). ქრისტე აღნიშნავდა, რომ მისი ძალა და ნება არ იყო მისი საკუთარი, არამედ ღმერთისაგან მიღებული: "ჩემით არაფრის გაკეთება არ შემიძლია... რადგან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას" (იოან 5:30, 19).

გადაბმული 27: თუმცა ღვთის ხატება იყო

"იესო... თუმცა ღვთის ხატება იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას, არამედ წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება" (ფილ 2:6-7). ეს ლექსები იმის დასამტკიცებლად გამოიყენება, რომ იესო ღმერთი იყო, მაგრამ დაბადებისას ადამიანის განსახიერება მიიღო. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ უნდა ვუარყოთ მეშვიდე და მერვე თავებში მოყვანილი მტკიცებები. ჩვენი აზრით ერთ ნაწყვეტს არ შეუძლია დაუპირისპირდეს ბიბლიის მთელ შინაარს. მნიშვნელოვანია, რომ ეს თითქმის <u>ერთადერთი</u> ლექსია, რომელიც შესაძლოა "სამების" მხარდასაჭერად იყოს მოყვანილი – თუ როგორ გადაისახა იესო, რომელიც ღმერთი იყო ზეცად, მარიამის ბავშვად. ქვემოთმოყვანილ ანალიზში ჩვენ შევეცდებით ზემოთმოყვანილი ნაწყვეტის განხილვას.

1. ლექსები ფილ 2:5-11 შეიცავენ "სამების" იდეის საწინააღმდეგო დამახასიათებელ ფრაზებს:

ა) "ამიტომ <u>ღმერთმაც</u> აღამაღლა იგი (იესო) და მისცა მას ყვალა სახელზე უზენაესი სახელი" (ლქ. 9). ამ ლექსიდან გამომდინარე,

იესო არ ამაღლებდა საკუთარ თავს; ეს ღმერთმა გააკეთა. ნათქვამიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იგი ვერ შეძლებდა ამაღლებას იმ დრომდე, სანამ ღმერთმა არ აამაღლა იგი მისი აღდგომისას.

ბ) ქრისტეს საკუთარი თავის დამორჩილების პროცესი და შემდეგი მისი ამაღლება ღმერთით უნდა "მამა ღვთის სადიდებლად" მომხდარიყო (ლქ. 11). აქედან ჩანს, რომ ღმერთი მამა თავისი ძეს თანასწორი არ არის.

2. ყურადღებით უნდა განვიხილოთ ამ ნაწყვეტის შინაარსი. პავლე "უბრალოდ ისე" არაფერს იტყოდა. ლექსში 1:27 იგი აღნიშნავს ჩვენი მდგომარეობის მნიშვნელობას. უფრო დაწვრილებით ამ იდეის შესახებ იგი მეორე თავში საუბრობს: "... იყოთ ერთსულოვანნი, და ერთაზროვანნი... თავმდაბლობით... თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც. რადგან ის აზრები, რაც ქრისტეშია, იყოს თქვენს შორისაც" (ფილ 2:2-5). აშკარაა, რომ პავლე ქრისტესნაირი გონების ფლობის მნიშვნელობაზე მეტყველებდა. მომდევნო ლექსები უფრო იესოს თავმდაბლობის შესახებ მეტყველებენ, ვიდრე ბუნების შეცვლაზე.

3. იესო "ღმერთის ხატება" იყო. ნაწილში 8.3 ჩვენ გაჩვენეთ, რომ იესოს ადამიანის ბუნება ჰქონდა, ამიტომ სიტყვები ღვთიური ბუნების შესახებ მას არ ეკუთვნიან. ამ ნაწყვეტის თარგმანს ბიბლიის ახალ საერთაშორისო გამოცემაში (N.I.V.) გააჩნია სერიოზული შეცდომები. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ "მსუბუქი კითხვისთვის" განკუთვნილ ზოგიერთ თანამედროვე თარგმანს აქვს ბერძნული ტექსტის არასწორედ ახსნის ტენდენცია, რომელიც არ იძლევა ზოგიერთი ლექსის ზუსტ თარგმანს. ფილ 2:5-8 ამის კლასიკური მაგალითია. მაგრამ ჩვენ მიზნათ არ ვისახავთ ბიბლიის პოპულიზაციის მნიშვნელობის შემცირებას.

სიტყვა "ხატება", (ბერძნული სიტყვა "**morphe**") არ გამოიყენება გამოთქმაში "მონის ხატება", რომლის შესახებ ნათქვამია ფილ 2:7

ლექსში. მას ჰქონდა ღმერთის ხატება, მან მიიღო მონის ხატება. მონას ბუნება არ განსხვავდება სხვა ნებისმიერი ადამიანის ბუნებისაგან. კონტექსტის შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ამგვარი ინტერპრეტაციის გაკეთება, რომ თუმცა იესო უმწიკვლო იყო, მისი ფიქრები ღმერთის ფიქრებს ემსგავსებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი საქციელით მას სურდა მონას ხატება მიეღო.

რამდენიმე ლექსის ქვემოთ პავლე მოგვიწოდებს ჩვენ "მის (ქრისტეს) სიკვდილს ვემსგავსოთ" (ფილ 3:10). ჩვენ უნდა გავიაზროთ მისი "**morphe**", ქრისტეს ხატება, რომელიც მან თავისი სიკვდილით გვაჩვენა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა გავიაზროთ ის ბუნება, რომელიც მას მაშინ ჰქონდა, რადგან ჩვენ უკვე გვაქვს ადამიანის ბუნება. ჩვენ არ გვჭირდება საკუთარი თავის შეცვლა, რათა ადამიანის ბუნება გვქონდეს, მაგრამ ჩვენ საკუთარი გონების შეცვლა გვჭირდება, რათა "**morphe**" ან გონებრიული ხატება გაგვაჩნდეს.

ბერძნული სიტყვა "**morphe"** ნიშნავს ხატებას ან მსგავსებას. ხალხზე ნათქვამია, რომ მათ "ღვთისმოსაობის <u>სახე</u> (**morphe)** აქვთ (2 ტიმ 3:5). ლექსი გალ 4:19 წარმოთქვამს: "ვიდრე თქვენში (მორქმუნეებში) <u>გამოისახება</u> ქრისტე". რადგან იესოს უმწიკვლო ხასიათი და ღმეთის მსგავსი იდეალური გონება ჰქონდა, იგი "ღმერთის ხატება" იყო. ამ გაგებით, მას "მტაცებლობად არ გააჩდა" იმის ფიქრი, რომ იგი, "ღმერთის ტოლია". ბიბლიის ახალი საერთაშორისო გამომცემლობა ამ ფრაზის სხვაგვარ თარგმანს გვაძლევს, რომელიც შესაბამისად არ განიხილავდა თავის თანასწორობას ღმერთთან, როგორც რაიმეს, რასაც შეიძლება "მოედო". თუ ეს თარგმანი სწორია, მაშინ იგი სრულიად უარყოფს თეორიას იმის შესახებ, რომ იესო ღმერთი იყო. ბილიის გამოცემის ამ თარგმანის შესაბამისად, იესოს არასოდეს არ უფიქრია ღმერთის თანასწორობა; მან იცოდა, რომ არ არის მისი ტოლი და ემორჩილებოდა მას.

4. ქრისტემ "გაანადგურა თავის თავი (ან, როგორც ბილიის შესწორებულ ინგლისურ გამომცემლობაში არის ნათქვამი **[R.V.],** "გამოაცარიელა თავის თავი"). აქ იგულისხმება მისი ჯვარცმის ქადაგება ეს 53:12: "სასიკვდილოთ გაწირა თავი". იესომ "მონას ხატება" მიიღო მონური დამოკიდებულებით თავისი მოსწავლეებისადმი (იოან 13:14) და განსაკუთრებით დაადასტურა თავისი ჯვარცმით (მათ 20:28). ლექსში ეს 52:14 მოცემულია ქრისტეს ჯვარცმის წამების ქადაგება: "არავინ იყო მასზე მახინჯი კაცთა შორის და მასზე შეურაცხი ადამის ძეთა შორის". ასეთ პროგრესიურ "სიკვდილამდე" თავის დამცირება იყო ისეთი რამ, რაც მის ცხოვრებისა და სიკვდილის დროს ხდებოდა, და არა მის დაბადებისას. ჩვენ გაჩვენეთ, რომ ამ ნაწყვეტის შინაარსი ეკუთვნის ქრისტეს გონებას დედამიწაზე, ადამიანური განსახიერებით და იმას, თუ როგორ იმცირებდა იგი თავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი გონება სრულიად შეესაბამებოდა ღვთისას.

5. თუ ქრისტე ბუნებით ღმერთი იყო, ხოლო შემდეგ დატოვა ზეცა და ადამიანის ბუნება მიიღო, როგორც სამების მომხრენს სურთ ამ ნაწყვეტის ახსნა, მაშინ იესო არ იქნებოდა "ჭეშმარიტი ღმერთი" იმ დროს, როცა დედამიწაზე იმყოფებოდა; მაგრამ, სამების თაყვანისმცემლებს მიაჩნიათ, რომ იგი მაშინაც კი ღმერთი იყო. ეს ყოველივე ამჟღავნებს წინააღმდეგობას, რომელსაც სამების მომხრენი ქმნიან.

6. და საბოლოოდ განვიხილოთ ფრაზა "თუმცა ღვთის ხატება იყო". ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი როგორც "თუმცა" არ ნიშნავს "წარმოშობით, დასაბამიდან". საქ 7:55 ნათქვამია სტეფანეს შესახებ, რომელმაც "აღსავსემ სულიწმიდით, ახედა ცას და დაინახა ღვთის დიდება და... იესო". სტეფანე აღვსილი იყო წმიდასულით იმ დროსაც და მანამდეც, მაგრამ ყოველთვის არ იყო აღვსილი. სხვა მაგალითები შეგვიძლია ვიხილოთ ლუკ 16:23; საქ 2:30; გალ 2:14. ამიტომ, ფრაზა "თუმცა ღვთის ხატება იყო" მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქრისტე მის ხატებაში იყო (გულში). იგი არ ქადაგებს, რომ ის იყო ამ ხატებაში დასაბამიდან.

თავი 8: საკითხვები

1. არსებობს თუ არა ბიბლიაში მითითება იმის შესახებ, რომ ღმერთი – სამებაა?

2. დაასახელეთ სამი სხვაობა ღმერთისა და ქრისტეს შორის.

3. ქვემოთმოყვანილ მტკიცებებიდან, რომელში განსხვავდებოდა იესო ჩვენგან?

ა) ის არასოდეს არ იდენდა ცოდვას.

ბ) ის ღმერთის მხოლოდშობილი ძე იყო.

გ) ის ვერასოდეს შეძლებდა ცოდვის ჩადენას.
დ) ღმერთი აიძულებდა მას წმინდა ყოფილიყო.

4. ქვემოთმოყვანილ მტკიცებებიდან, რომელში ემსგვსება იესო ღმერთს?
ა) მას დედამიწაზე ცხოვრებისას ღმერთის ბუნება ჰქონდა.
ბ) მას ისეთივე უმწიკვლო ხასათი ჰქონდა, როგორც ღმერთს.
გ) მან იცოდა იმდენივე, რამდენიც იცის ღმერთმა.
დ) იგი ღმერთის სრული თანატოლი იყო.

5. ქვემოთმოყვანილ რომელ მტკიცებებში იესო გვემსგავსება ჩვენ?
ა) მას ყველა ჩვენი ცდუნება და ადამიანური განცდა ჰქონდა.
ბ) ბავშვობისას იგი ცოდვას იდენდა.
გ) იგი ხსნისაკენ მიისწრაფვოდა.
დ) მას ადამიანის ბუნება გააჩნდა.

6. ქვემოთმოყვანილ მტკიცებებიდან რომელი არის სწორი?
ა) იესოს უმწიკვლო ხასიათი და უმწიკვლო ბუნება ჰქონდა.
ბ) იესოს ცოდვილი ბუნება, მაგრამ უმწიკვლო ხასიათი ჰქონდა.
გ) იესო როგორც ჭეშმარიტი ღმერთი, ასევე ჭეშმარიტი ადამიანი იყო.
დ) იესოს ადამიანის ბუნება ჰქონდა ცოდვის ჩადენამდე.

7. ჰქონდა თუ არა იესოს ცოდვის ჩადენის საშუალება?

თავი 9

იესოს საქმეები

9.1 იესოს გამარჯვება

წინამავალ თავში ჩვენ განვიხილეთ იესოს ადამიანური ბუნებისა და ცდუნების საკითხი. განსხვავება იესოსა და ჩვენს შორის იმაში შედგება, რომ მან შესძლო ცოდვის სრული დამარცხება. თუმცა მას ცოდვილი ბუნება ჰქონდა, ის ყოველთვის უმწიკვლო ხასიათს ამჟღავნებდა. ჩვენ აღტაცებულნი ვართ ამ სასწაულით და ეს მაგალითი ყოველთვის გაგვამხნევებს ჩვენ. ახალ აღთქმაში არაერთხელ არის ხაზგასმული ქრისტეს უმწიკვლო ხასიათი: –

– იგი იყო "ჩვენსავით გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა" (ებრ 4:15).

– მან "ცოდვა არ იცოდა". "მასში არ არის ცოდვა" (2 კორ 5:21; იოან 3:5).

– მას "არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგებს" (1 პეტ 2:22).

– "წმიდა, უმანკო, გულმართალი, ცოდვილთაგან განრიდებული" (ებრ 7:26).

სახარებაში ნათქვამია, რომ მისი თანამზრახველნი აღიარებდნენ მის ხასიათისაგან გამომავალ უმწიკვლობას, რომელიც მის სიტყვებში და საქციელში აშკარავდებოდა. ასე, პავლეს ცოლმა აღიარა, რომ იგი "მართალი" იყო (მათ 27:19) და არ იმსახურებდა სასჯელს, რომაელმა ასისთავმა, რომელმაც იხილა ქრისტეს წამება ჯვარზე, განაცხადა: "ჭეშმარიტად, მართალი იყო ეს კაცი" (ლუკ 23:47). ადრე იესომ მიმართა ებრაელებს კითხვით: "რომელი თქვენგანი მამხილებს ცოდვის გამო?" (იოან 8:46). ეს კითხვა უპასუხოთ დარჩა.

თავისი უმწიკვლო ხასიათის გამო, იესო ღმერთის ანარეკლი იყო სხეულში (1 ტიმ 3:16). იგი ისე საუბრობდა და იქცეოდა, როგორც

ღმერთი, თუ იგი ადამიანი ყოფილიყო. მაგრამ იგი ღმერთის სრულყოფილი ანარეკლი იყო – უხილავი ღმერთის "ხატება" (კოლ 1:15). ამის გამო, მოკვდავ ხალხისათვის არ არის აუცილებელი ღმერთის ხილვა. როგორც იესომ ახსნა: "ვინც მე მიხილა, მამა იხილა. როგორღა ამბობ, გვაჩვენე მამაო?" (იოან 14:9). ცოდვილ სამყაროში მაცხოვრებლებს, ჩვენთვის რთულია ქრისტეს უსაზღვრო სულიერი უპირატესობის გაგება და იმის წარმოდგენა, რომ ადამიანს შეუძლია ღმერთის ჭეშმარიტების გამოვლინება საკუთარ ხასიათში. ამის შესამოწმებლად უფრო დიდი რწმენის გამოჩენა გვმართებს, ვიდრე უბრალოდ მიღება ამ თეოლოგიური აზრის, თითქოს ქრისტე თვით ღმერთი იყო. აშკარაა, რომ ცრუ დოქტრინები სამებისა და "ქრისტეს ღვთიანობის" შესახებ ძალზე გავრცელებულია, რადგან საკმაოდ ადვილი ასათვისებელია.

იმის გამო, რომ ქრისტეს ჩვენი ბუნება ჰქონდა, იგი უნდა მომკვდარიყო. ის ადამის შთამომავალი იყო მარიამის მეშვეობით, ხოლო ყველა ადამის შვილი მოკვდავია (1 კორ 15:22). ადამის ყველა შთამომავალი მოკვდება მისი ცოდვის გამო, პირადი წმიდანობის მიუხედავად: "მაგრამ სიკვდილი სუფევდა ადამიდან... ერთის (ადამის) დანაშაულით მრავალი გაწყდა... ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი" და, აქედან გამომდინარე, მოკვდავი (რომ 5:14-19; შდ. 6:23). როგორც ადამის შთამომავალი, ქრისტე ცოდვილად იყო "შექმნილი" და, ამის გამო, მოკვდავი იყო, რადგან ადამის ცოდვის გამო ყველა მისი შთამომავალი ცოდვლიდად ითვლებოდა და სიკვდილს იმსახურებდა. ღმერთმა არ შეცვალა ეს პრინციპი და ქრისტეზეც გაავრცელა იგი. ღმერთმა "ვინც ცოდვა არ იცოდა, გახადა ცოდვად ჩვენს გამო" (2 კორ 5:21).

იესოს გარდა, ადამის სხვა შთამომავალიც იმსახურებდა ამგვარ სასჯელს, რადგან ჩვენ ყველა ცოდვილნი ვართ. იესო უნდა მომკვდარიყო და ამით გაეზიარა ადამის შთამომავალთა წყევლა. მაგრამ, რადგან მან პირადად არაფერი ჩაიდინა სიკვდილის

დასამსახურებლად "ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, შეხსნა სიკვდილის ბორკილები, ვინაიდან სიკვდილი მას ვერ დააკავებდა" (საქ 2:24). ქრისტე "განწესებულზე ღვთის ძედ ძალაში სიწმიდის სულით, მკვდრეთით აღდგომისათვის" (რომ 1:4). ამრიგად, თავისი უმწიკვლო ხასიათის გამო, იგი დიდებით აღდგა.

ქრისტე <u>მხოლოდ</u> იმიტომ მოკვდა, რომ ადამიანის ბუნება ჰქონოდა. მან ნებაყოფლობით შეგვწირა თავისი სიცოცხლე, სიკვდილით "ჩვენი ცოდვებისათვის" (1 კორ 15:3) მან თავისი სიყვარული გამოხატა, იცოდა, რომ საკუთარი სიკვდილით ცოდვებისაგან ხსნას გვაძლევდა (ეფეს 5:2, 25; გამოცხ 1:5; გალ 2:20). რადგან იესო უმწიკვლო იყო, მან შეძლო ცოდვის დამარცხება და კაცთა შორის პირველი აღდგა მკვდრეთთაგან მარადიული სიცოცხლის მისაღებად. ამიტომ, ყველას, ვინც ათანასწორებს თავს ქრისტესთან ნათლობისა და მისი ცხოვრების მსგავსობის მეშვეობით, ასეთივე აღდგომისა და საზღაურის იმედი აქვს. ამაში შედგება ქრისტეს აღდგომის საოცარი მნიშვნელობა. ეს – "დარწმუნებაა", რომ ჩვენ აღვდგებით გასამრჯელის მისაღებად (საქ 17:31) და, თუ ნამდვილად მის მსგავსნი ვიქნებით, ასევე მივიღებთ საზღაურად უკვდავებას, "რაკი ვიცით (დარწმუნებით), რომ ვინც აღადგინა უფალი იესო, ჩვენც აღგვადგენს იესოსთან ერთად" (2 კორ 4:14; 1 კორ 6:14; რომ 6:3-5). როგორც ცოდვილნი, ჩვენ სიკვდილს ვიმსახურებთ (რომ 6:23).

მაგრამ ქრისტეს უმწიკვლო ცხოვრების, მისი სიკვდილისა და აღდგომის გამო, ღმერთი <u>მოგვანიჭებს</u> მარადიულ სიცოცხლეს, რაც სრულიად შეესაბამება ყველა მის პრინციპს.

ჩვენი ცოდვების გავლენის მოსახსნელად, ღმერთი "სიმართლეს უთვლის" (რომ 4:6) საკუთარი აღთქმით ხსნის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია, ამიტომ გულწრფელად გვწამს, რომ ღმერთი გვიხსნის და ჩვენ უნდა გვჯეროდეს, რომ იგი ჩვენ წმიდანათ ჩაგვთვლის, თუმცა ასეთები არც ვიყოთ. ქრისტე უმწიკვლო იყო და ჩვენ ნამდვილად ქრისტეში ვიქნებით, ღმერთი შეძლებს მოგვეპყროს ჩვენ როგორც უმწიკვლოებს, თუმცა

პირადად ჩვენ ასეთები არ ვართ. "ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახადა ცოდვად ჩვენს გამო, რათა გავხდეთ ღვთის სამართლიანობა" (2 კორ 5:21), ესე იგი, ქრისტეში ნათლობის მეშვეობით ქრისტიანული ცხოვრება გავატაროთ. ამრიგად, მათთვის, ვინც "ქრისტე იესოშია", იგი "გახდა... სიმართლედ, განწმედად და გამოსყიდვად" (1 კორ 1:30). აქედან გამომდინარე, შემდეგი ლექსი მოგვიწოდებს შევაქოთ ქრისტე მისი დიდი საქმეების გამო: "მასში ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: მართალი იცოცხლებს რწმენით" (რომ 1:17). ამიტომ, ამ სიტყვების გაგება სახარების ცოდნის აუცილებელ ნაწილს შეადგენს.

ყველაფერი ეს შესაძლო გახდა ქრისტეს აღდგომის მეშვეობით. იგი "პირმშო" იყო იმ ხალხთა შორის, ვინც უკვდავებას მიიღებს თავიანთ საქმეების საზღაურად (1 კორ 15:20). ამრიგად, ქრისტეს აღდგომამ შექმნა ღმერთისათვის შესაძლებლობა განეხილა ქრისტეში მორწმუნენი, როგორც წმინდანი, რადგან ისინი მის წმინდანობის ქვეშ იმყოფებიან, ქრისტე "მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენდა გამართლებლად" (რომ 4:25).

შეგნებული, მყარი რწმენა არის საჭირო, რათა ნამდვილად დარწმუნებულნი ვიყოთ ღმერთის განზრახვაში, ჩაგვთვალოს ჩვენ უმწიკვლოდ. ქრისტეს შეუძლია წარმოგვადგინოს ჩვენ განკითხვის დღეს "უბიწონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე", "წმიდები, უბიწონი და უბრალონი" (იუდა ლქ. 24; კოლ 1:22; შდ. ეფეს 5:27). ჩვენი ცოდვილი ბუნებითა და განუწყვეტელი სულიერი წარუმატებლობით ნამდვილად გვჭირდება მტკიცე რწმენა ამ ყველაფრის დასაჯერებლად.

მხოლოდ ნათლობით ქრისტეს სახელში ჩვენ შეგვიძლია ყოფნა "ქრისტეში" და მის წმიდანობის ქვეშ. ნათლობის წესით ჩვენ ვუერთდებით მის სიკვდილსა და აღდგომას (რომ 6:3-5) და ამით განვიტვირთებით ცოდვებისაგან ჩვენი "გამართლების" მეშვეობით (რომ 4:25).

ზემოთ ნათქვამი სასწაული საქმეები ჩვენი გაგების ფარგლებ გარედ დარჩება, თუ არ მივიღებთ ნათლობას. ნათლისღების დროს, ჩვენ ჯვარზე დაღვრილ ქრისტეს სისხლს ვუკავშირდებით; მორწმუნეებმა "გაირეცხეს თავიანთი სამოსი და გაასპეტაკეს ისინი კრავის სისხლით" (გამოცხ 7:14). ხატოვნად რომ ვთქვათ, ისინი ნათელ და წმიდა ბისონს იცმევენ, რომელიც ქრისტეს სიწმიდეს წარმოადგენს (გამოცხ 19:8). შესაძლოა, რომ სპეტაკი სამოსი დაისვაროს ჩვენი ცოდვის გამო (იუდა ლქ. 23); და თუ ჩვენ ამას ნათლობის მიღების შემდეგ ვიზამთ, ჩვენ უნდა კვლავ გავწმიდოთ იგი ქრისტეს სისხლით, ღმერთისადმი პატიების თხოვნით მიმართვით ქრისტეს მეშვეობით.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ნათლობის მიღების შემდეგ ჩვენ უნდა ვეცადოთ იმ კურთხეული მდგომარეობის შენარჩუნება, რომელშიც ვიმყოფებით. საჭიროა რეგულარულად, ყოველდღიურად რამდენიმე წუთი ჩვენი საქმეების განხილვას დავუთმოთ, რომელთაც თანახლავს ლოცვა და პატიების თხოვნა. ამგვარი საქციელით ჩვენ ყოველთვის დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ ნამდვილად მოვხვდებით ღმერთის სასუფეველში. ჩვენ უნდა ვეცადოთ ვიყოთ ქრისტეში ჩვენი სიკვდილისა ან მისი მოვლენის დროს: "არა ჩემი სიმართლით... არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენის მიერ ღვთისმიერი სიმართლე, რწმენის მიხედვით" (ფილ 3:9).

<u>რწმენის</u> არაერთხელ ხაზგასმა გვიჩვენებს, რომ ჩვენ მხოლოდ ჩვენი საქციელის იმედით ვერასოდეს ვერ მივიღებთ ხსნას; ხსნა მადლით მოგვეფინება: "ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები, რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგან კი არ არის არამედ ღვთის ნიჭია, არა საქმეთაგან" (ეფეს 2:8, 9). როგორც გამართლება და წმიდანობა "ნიჭს" წარმოადგენენ (რომ 5:17), ასევე ხსნაც ნიჭია. ჩვენი ქრისტიანული საქმეებით, ჩვენ მადლობას ვუხდით ღმერთს, რაც თვითონ გაგვიკეთა, როდესაც ქრისტეს მეშვეობით მართლმორწმუნეებათ ჩაგვთვალა და ამით ხსნის გზა გაგვინათა. სრულიად არასწორეა იმის ფიქრი, რომ ჩვენ საკუთარი საქმეების

გამო გადავრჩებით. ხსნა – ნიჭია, რომლის ყიდვა შეუძლებელია. ჩვენს შრომაში ჩვენ მხოლოდ სიყვარულსა და დიდ მადლიერებას ვნერგავთ. ნამდვილი რწმენა ქმნის საქმეებს, როგორც გარდაუვალ თანაპროდუქტს (იაკ 2:17).

9.2 იესოს სისხლი

ახალ აღთქმაში ხშირად არის ნათქვამი, რომ ჩვენი გამართლება და ხსნა ქრისტეს სისხლის მეშვეობით მოხდა (მაგ., 1 იოან 1:7; გამოცხ 5:9; 12:11; რომ 5:9). ქრისტეს სისხლის მნიშვნელობის წარმოსადგენად, ჩვენ უნდა ავიქვათ შემდეგი ბიბლიური პრინციპი –

"სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია" (ლევ 17:14). უსისხლოდ სხეული ვერ იცხოვრებს, აქედან გამომდინარე – იგი სიცოცხლის სიმბოლოა. ეს ხსნის ქრისტეს სიტყვების შესაბამისობას: "თუ არ შეჭამთ ხორცს და არ შესვამთ კაცის ძის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში" (იოან 6:53).

ცოდვის საზღაური სიკვდილია (რომ 6:23), ესე იგი, იმ სისხლის დაღვრა, რომელსაც სიცოცხლე მოაქვს. ამ მიზეზის გამო, ისრაელიანებს ყოველთვის უნდა დაეღვარად სისხლი, როცა ცოდვას იდენდნენ, რათა გაეხსენა, რომ ცოდვას სიკვდილი მოსდევს. "თითქოს ყველაფერი, (მოსეს) რჯულის მიხედვით, სისხლით წმიდავდება, და სისხლის დაღვრის გარეშე არ ხდება მიტევება" ცოდვის (ებრ 9:22). ამის გამო, მიუღებელია ადამისა და ევას საქციელი, რომლებიც ლეღვის ფოთლებით იფარებდნენ თავს; ამის ნაცვლად, ღმერთმა კრავი მოკლა და მისი ტყავი მათ მისცა ცოდვის დასაფარად (დაბ 3:7, 21). ამის მსგავსად, ღმერთმა უფრო აბელეს შეწირული პირუტყვი მიიღო, ვიდრე კაინის მიწის ნაყოფი, რადგან ღმერთი იმ პრინციპს აღიარებდა, რომლის მიხედვით, სისხლის დაღვრის გარეშე არ არსებობს პატიება და ღმერთთან დაშვება (დაბ 4:3-5).

ეს მაგალითები ქრისტეს სისხლის განსაკუთრებულ მიშვნელობას ამჟღავნებენ. სამწუხაროდ, არსებობდა წესი, რომლის მიხედვით, აღდგომისას ხალხი, სიკვდილისაგან ხსნის მიზნით, კარზე კრავის სისხლს აცხობდა. ეს სისხლი იესოს სისხლზე მიგვითითებდა, რომლის მეშვეობით ხალხი თავის ცოდვას ფარავს. ქრისტეს დაბადებამდე, მოსეს რჯულის მიხედვით, ებრაელები ცოდვის გამოსასყიდად პირუტყვებს სწირავდნენ. მაგრამ, პირუტყვის ამრიგი სისხლის დაღვრა მხოლოდ აღმზრდელობითი მიზნით ხდებოდა. ცოდვის საზღაური სიკვდილია (რომ 6:23) და შეუძლებელია ადამიანისათვის პირუტყვის მოკვლა საკუთარი სიკვდილის ნაცვლად. შესაწირ პირუტყვს არ გააჩნია სიკეთისა და ბოროტების წარმოდგენა და მას არ შეუძლია ცოდვილი ადამიანის წაღდგენა. "ვინაიდან ვაცთა და კუროთა სისხლით ცოდვების მოსპობა შეუძლებელია" (ებრ 10:4).

იბადება კითხვა: რატომ უნდა შეეწირათ ებრაელებს პირუტყვები, როცა ცოდვას იდენდნენ? პავლე ამგვარად აჯამებს ამ კითხვის სხვადასხვა პასუხებს: "რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესაკენ" (გალ 3:24). ადამიანთა ცოდვების გამო, შესაწირი პირუტყვი უმანკო უნდა ყოფილიყო (გამ 12:5; ლევ 1:3, 10 და ა. შ.). ისინი თითქოს ქრისტეს წარმოადგენდნენ, "უბიწო და უმანკო კრავსა" (1 პეტ 1:19) და ამ პირუტყვთა სახელი ქრისტეს სისხლს განსაზიერებდა. პირუტყვი ცოდვის გამო შესაწირად იღებოდა, რადგან იგი ქრისტეს უმწიკვლო მსხვერპლს წარმოადგენდა. ღმერთმა იცოდა, რომ ქრისტეს ეს მსხვერპლი თან მოყვება. ამ მიზეზით, ღმერთმა შეძლო ქრისტეს მოსვლამდე მცხოვრები ხალხის ცოდვების პატიება. მისი სიკვდილი "პირველი აღთქმის დანაშაულთა გამოსასყიდად მოხდა" (ებრ 9:15), ესე იგი, მოსეს რჯულის შესაბამისად (ებრ 8:5-9). ამ კანონის მიხედვით, ნაწარმოები ყველა შესაწირი ქრისტეს მოსვლასა და მის უმწიკვლო მსხვერპლს ქადაგებდა. იგი "გამოჩნდა თავისი მსხვერპლით ცოდვის აღსაკვეთად" (ებრ 9:26; 13:11, 12; რომ 8:3; შდ. 2 კორ 5:21).

ნაწილში 7.3 ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ ძველი აღთქმა და განსაკუთრებით მოსეს რჯული ქრისტეს მოსვლის შესახებ ქადაგებდა. ამ რჯულის მიხედვით, ღმერთთან დაახლოება მღვდელმთავრებათა მეშვეობით იწარმოებოდა; იგი ღმერთისა და ხალხთა შორის შუამავალი იყო ძველი აღთქმითა და ახალი აღთქმის მეშვეობით ქრისტეს მიერ (ებრ 9:15). "რჯული აყენებს უძლურ ადამიანებს მღვდელმთავრებად, ხოლო ფიცის სიტყვამ... დააყენა ძე უკუნისამდე სრულქმნილი" (ებრ 7:28). რადგან მღვდელმთავრები ცოდვილნი იყვნენ, მათ არ შეეძლოთ ხალხისათვის პატიების მიცემა. ცოდვის გამო შეწირული პირუტყვი, ცოდვილ ადამიანს ვერ წარმოადგენდა. აუცილებელი იყო უმწიკვლო ადამიანი, რომელიც შეძლებდა ცოდვილი ადამიანის წარმოდგენას და ჩადენილი ცოდვის გამო მსხვერპლად შეწირვას. ამრიგად, გვესაჭიროებოდა უმწიკვლო მღვდელმთავარი, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო შუამავალი ჩვენსა და ღმერთის შორის და ასევე, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, გამოიცდებოდა (ებრ 2:14-18).

იესო აბსოლუტურად აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნილებებს – "ასეთი მღვდელმთავარი შეგვფერის ჩვენ: წმიდა, უმანკო, გულმართალი, ცოდვილთაგან განრიდებული" (ებრ 7:26). სახარება ქრისტეს ჩვენს მღვდლად აღიარებს: "ამიტომაც ძალუძს სრულიად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს, ვინაიდან ცოცხალია მუდამ, რათა უშუამდგომლოს მათ" (ებრ 7:25). რადგან ქრისტეს ადამიანის ბუნება აქვს, იგი ჩვენთვის იდეალური მღვდელმთავარია, "მას ძალუძს შეიწყნაროს უმეცრები და გზასაცდენილები, ვინაიდან თვითონაც მოცულია სისუსტით" (ებრ 5:2). ეს გვახსენებს ამგვარ მტკიცებას ქრისტეს მიმართ: "თავადაც ეზიარა" ჩვენ ადამიანურ ბუნებას (ებრ 2:14).

როგორც ებრაელი მღვდელმთავარნი შუამდგომნი იყვნენ მხოლოდ ღვთის ხალხისათვის – ისრაელიანებისათვის, ასევე ქრისტეც მღვდელია მხოლოდ სულიერ ისრაელიანებისათვის – მათთვის, ვინც ქრისტეშია მონათლული და სახარება იცის. იგი – "გვყავს

მღვდელმთავარი ღვთის <u>სახლზე</u>" (ებრ 10:21), რომელიც შედგება იმ ხალხისაგან, ვინც ხელახლად იბადება ნათლობის მეშვეობით (1 პეტ 2:2-5) და სახარების ჭეშმარიტი იმედი გააჩნია (ებრ 3:6). ამიტომ ქრისტეს მღვდელმთავრობის სასწაული უპირატესობის აღტაცებამ უნდა ნათლობის მიღების სურვილი გამოიწვიოს; ამის გარეშე იგი არ იქნება ჩვენი წარმომადგენელი.

ნათლობით ქრისტეში ჩვენ შეგვიძლია მისი წმიდანობით სარგებლობა. სინამდვილეში, ჩვენ გარკვეული პასუხისმგებლობა გვაბარია, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა ვატაროთ. "მისი საშუალებით მუდამ ვწირავდეთ ღმერთს ქების მსხვერპლს, ესე იგი, მისი სახელის აღმსარებალ ბაგეთა ნაყოფს" (ებრ 13:15). ღვთის გეგმა, მოავლინოს ქრისტე, როგორც ჩვენი მღვდელი, იმსახურებს ჩვენს დიდებას და ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვისარგებლოდ ღმერთის შეღწევის საშუალებით ქრისტეს მეშვეობით, რათა ვუმადლიეროთ მას. ებრაელთა მიმართ (10:21-25) მოყვანილია იმ პასუხისმგებლობის ჩამონათვალი, რომელიც ჩვენ ქრისტეს მეშვეობით გაგვაჩნია: "გვყავს მღვდელმთავარი ღვთის სახლზე:

1. მივუახლოვდეთ მას გულმართლად და სრული რწმენით, ბოროტი სინდისისაგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლის სხეულგაბანილნი". ქრისტეს წმიდანობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ნათლობა და არ მივცეთ საკუთარ თავს არასწორი ფიქრების ჩანერგვის უფლება. თუ ჩვენ გვწამს ქრისტეს გამოსასყიდი, ჩვენ უნდა გვწამდეს საკუთარი <u>გამოსასყიდის</u> ღმერთის მიერ მისი შესაწირის მეშვეობით.

2. "მტკიცედ მივყვეთ იმედის აღსარებას". ჩვენ არ უნდა მოვცილდეთ ჭეშმარიტ დოქტრინებს, რომლებმაც ჩვენ ქრისტეს წმიდანობის გაგება მოგვიტანეს.

3. "ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს, წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისათვის. ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს". ჩვენ სიყვარულით უნდა ვიყოთ დაკავშირებულნი

მათთან, ვინც იზიარებს ქრისტეს წმიდანობას. ეს, ძირითადად, საერთო შეკრებვის მეშვეობით იწარმოება, რომლებზეც ქრისტეს მსხვერპლს მოვიხსენიებთ (იხ. ნაწილი 11.3.8).

ამ დებულებების აღიარებამ უნდა აღვავსოს ჩვენ თავმდაბალი რწმენით, რომ ჩვენ ნამდვილად მივიღებთ ხსნას ქრისტეს სახელში ნათლობის მეშვეობით: "აბა, თამამად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის" (ებრ 4:16).

9.3 შესაწირი

ებრაელ მღვდელმთავარს ჯერ საკუთარი ცოდვების შესაწირი უნდა მოეტანა, შემდეგ კი – ხალხის (ებრ 5:1-3). ქრისტეს მსხვერპლს ასეთივე ორმხრივი მიმართულება ჰქონდა. თუმცა პირადად ქრისტეს არავითარი ცოდვა არ ჰქონდა ჩადენილი, მას ადამიანის ბუნება გააჩნდა და სიკვდილისაგან ხსნა სჭირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქრისტემ საკუთარი თავი იმსხვერპლა, ღმერთმა მას ხსნა მიანიჭა. ამრიგად, იესო, როგორც საკუთარი ხსნისათვის, ასევე ჩვენი მომავალი ხსნისათვის დაიღუპა. სახარებაში ეს ფაქტი არაერთხელ არის ხაზგასმული.

ქვემოთ მოცემულია იმ ლექსების ჩამონათვალი, რომლებიც ადასტურებენ, რომ მისი მსხვერპლი როგორც საკუთარი თავის, ასევე ჩვენ გამო იყო მიტანილი. ამ საკითხს მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე საჭირო არის, რადგან მე მიმაჩნია, რომ მოცემული თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი უფლის ადამიანობის გასაგებად. ამ წიგნის კითხვის დასასრულს თქვენ, შესაძლოა, მოინდომოთ ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და ამ შემთხვევაში თქვენ გამოგადგებათ ყველაფერი, რაც ქვემოთ იქნება ნათქვამი.

– მღვდელმთავარი "ვალდებულია შესწიროს ცოდვების გამოსასყიდი მსხვერპლი – ხალხისათვისაც და თავისთვისაც...

ასევე ქრისტეს''-ც ასრულებდა მოსეს მღვდელმთავარის როლს (ებრ 5:3, 5). სიტყვა ''ვალდებულია'' ბერძნულ ენაში ნიშნავს ფინანსურ ვალს – ჩვენი უფლის მიმართ ეს ნიშნავს საკუთარი და ასევე ჩვენი ხსნის ყიდვას. ქრისტეს უნდა ჩაედინა ეს თავისი ადამიანობის გამო (ებრ 5:3). ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას რაღაც პირადი ცოდვა გააჩნდა, რომლის გამოსასყიდი უნდა გადაეხადა. მაგრამ, ეს მომენტი მკვეთრად არ უნდა გამოვყოთ. ჩვენ გამოსყიდულნი ვართ მისი მსხვერპლის სისხლით. იგივე მან საკუთარი თავისთვის გააკეთა.

– ქრისტეს ''არ სჭირდებოდა, როგორც იმ მღვდელმთავრებს, ყოველდღე ჯერ თავისი ცოდვებისათვის შესწიროს მსხვერპლი და შემდეგ ხალხის ცოდვებისათვის. ვინაიდან ეს მან ერთხელ მოიმოქმედა (ებრ 7:27). პავლე აღნიშნავდა მღვდელმთავართა და ქრისტეს ორმხრივ შესაწირს. იგი კვლავ იმეორებს ამას ებრ 9:7 (შდ. ლექსები 12, 25). სხაობა იმაში შედგება, რომ ქრისტემ ეს ერთხელ მოიმოქმედა, მღვდელმთავრებმა კი ყოველწლიურად. თუ სხვაობა იმაში ყოფილიყო, რომ ქრისტეს ემსხვერპლა საკუთარი თავი ხალხისათვის, ეს ხაზგასმული იქნებოდა. მაგრამ, როგორც ნათქვამია, ქრისტეს მსხვერპლი მხოლოდ მისი ''ცოდვების'' გამო იყო მოტანილი, რომლებიც ხალხთა ცოდვებისაგან განცალკევებულნი იყვნენ – მისი ''ცოდვები'' არ იყო ჩვენი ცოდვები. იმის გამო, რომ იესოს უმწიკვლო ხასიათი ჰქონდა, სიტყვა ''ცოდვები'' წარმოადგენს ცოდვილი ადამიანის არსების აღწერის კიდევ ერთ საშუალებას. მეტონიმიის მიხედვით, მიზეზის (ცოდვილი არსების) შესახებ ნათქვამია როგორც შედეგზე. საჭიროა იმის შეხსენება, რომ ჩვენი უფალი უმწიკვლო იყო და მას ცოდვის ჩადენის ბრალს ვერ დავსდებთ.

– ღმერთმა ''საუკუნო აღთქმის სისხლით მკვდრეთით აღადგინა ცხვრის დიდი მწყემსი, ჩვენი უფალი იესო (ქრისტე)'' (ებრ 13:20), ესე იგი ჩვენი უფალი მწყემსი იყო; იგი ასევე ხოცავდა ცხვრებს და ამით საკუთარი სიკვდილი დაიმსახურა, მისი სისხლის მეშვეობით ღმერთმა აღადგინა იგი; აქედან გამომდინარე, ქრისტე როგორც მსხვერპლი, ასევე მღვდელიც იყო.

– ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში (9:9) ნათქვამია: "შენი მეფე (იესო) მოდის შენთან, მართალი და გამარჯვებული". ბიბლიის ინგლისურ გამოცემაში მოყვანილია თარგმანის სხვა ვარიანტი: სიტყვა "გამარჯვებულის" ნაცვლად – მოყვანილია სიტყვა "ხსნილი". ეს კითხვათსხვაობა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საკუთარი თავის ხსნით უფალმა ჩვენ გვიხსნა. ჯვარცმის მხვერპლით იესომ გამოისყიდა საკუთარი არსება და ჩვენც ხსნა მოგვანიჭა.

– ყველა მითითება სისხლის დაღვრის შესახებ პირუტყვთა მსხვერპლის მეშვეობით, ქრისტეს მსხვერპლთან არის დაკავშირებული. საკურთხეველი, ქრისტეს სიმბოლო, წელიწადში ერთხელ სისხლით იყო განწმედილი. (გამ 30:10). ამით ნაჩვენები იყო, თუ როგორ ქრისტე აკურთხებს საკუთარ თავს საკუთარი სისხლით. სინამდვილეშიც, მთელი საკურთხეველი უნდა სისხლით განიბანოს (ებრ 9:23). საკურთხეველს არ ჩაუდენია არავითარი ცოდვა, მაგრამ მასაც სჭირდებოდა განწმედა ცოდვასთან სიახლოვეს გამო. ასევე ჩვენს უფალთანაც იყო. როგორც მღვდელმთავარი წირვის წინ სისხლით უნდა ყოფილიყო მოსხურებული, ასევე ქრისტეც ცაში თავისი წირვის წინ მსხვერპლად უნდა მიეტანა საკუთარი თავი (ლევ 8:23).
ის ფაქტი, რომ ქრისტემ გამოისყიდა თავი, არ ნიშნავს, რომ იგი ცოდვილი იყო. პირადად ცოდვილი მსხვერპლის შეწირვა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მსხვერპლის შემწირავი ცოდვილია.

9.4 იესო, როგორც ჩვენი წარმომადგენელი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირუტყვთა შეწირვა ცოდვილ ხალხს არ წარმოადგენს. იესომ კი ჩვენ წარმოგვადგინა, რადგან "ყველაფერში უნდა დამსგავსებოდა ძმებს" (ებრ 2:17). მას "ეგება სიკვდილი ყველას გულისათვის" (ებრ 2:9). როდესაც ჩვენ ცოდვას ვიდენთ, მაგალითად, როდესაც ვჯავრობთ, ღმერთს

შეუძლია ჩვენი პატიება "ქრისტეში" (ეფეს 4:32). ეს იმიტომ ხდება, რომ ღმერთს შეუძლია ჩვენი შედარება ქრისტესთან, ჩვენს მსგავს ადამიანთან, რომელიც გამოიცადა, მაგრამ ყველა ცდუნებას გაუძლო. ამიტომ, ღმერთს შეუძლია ჩვენი ცოდვის-ჯავრის პატიება, რადგან ჩვენ ქრისტეს წმიდანობის მფარველობის ქვეშ ვიმყოფებით. რაკი ქრისტე ჩვენი წარმომადგენელია, იგი, ამრიგად, ასევე საშუალებაა, რომლის მეშვეობით ღმერთს შეუძლია თავისი მადლის მოფენა და თან წმიდანობის საკუთარი პრინციპის დაცვა.

თუ იესო არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ღმერთიც ყოფილიყო, იგი ჩვენი წარმომადგენელი არ იქნებოდა. ეს ზედმეტი მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ერთ მცდარ თეორიას, მეორე მცდარი თეორია მოჰყვება. ასე, ღვთისმეტყველებმა დაამუშავეს უამრავი რთული თეორია ქრისტეს სიკვდილის ასახსნელად. ქრისტიანობის განდეგილთა გავრცელებული თეორია შემდეგში შედგება: ცოდვებმა ადამიანი მევალე გახადეს ღმერთის წინაშე და მას თვითონ არ შეეძლო საკუთარი თავის გამოსყიდვა. მაშინ ქრისტემ გამოისყიდა ყოველი მორწმუნეს ვალი ჯვარზე დაღვრილ საკუთარი სისხლით. სახარების მქადაგებელნი ამ აზრს ამრიგად გამოხატავენ: "ჩვენ ყველა თითქოს მწკრივზე ვდგევართ კედელთან ეშმაკის მიერ დასახვრეტად. მაშინ იესო ჩაერია. ეშმაკმა იგი მოკლა ჩვენს ნაცვლად, და ამიერიდან ჩვენ თავისუფალნი ვართ".

ასე ოსტატურად დამუშავებულ თეორიებს არ გააჩნიათ ბიბლიის მხარდაჭერა. აშკარაა ცხადი წინააღმდეგობა, რადგან თუ ქრისტე ჩვენს ნაცვლად მომკვდარიყო, ჩვენ აღარ დავისჯებოდით სიკვდილით. მაგრამ, რადგან ჩვენ ადამიანური ბუნება გაგვაჩნია, ჩვენ მოკვდავნი ვართ. ხსნა ცოდვისა და სიკვდილისაგან, საბოლოოდ, განკითხვის დღეს გამოვლინდება, როცა ჩვენ უკვდავებას მივიღებთ. ჩვენ არ მივიღეთ იგი ქრისტეს სიკვდილის დროს. ქრისტეს სიკვდილმა ეშმაკი გაანადგურა (ებრ 2:14) და არა ეშმაკმა მოკლა იგი.

თუ ქრისტე გადაიხდიდა ვალს საკუთარი სისხლით, ჩვენ შევძლებდით ხსნის მოლოდინს, როგორც კუთვნილს. მაგრამ, ხსნა

– ნიჭია, რომელიც ღმერთის მადლითა და პატიებით მოიპოვება და იგი კარგავს უოველივე აზრს, თუ ჩვენ განვიხილავთ ქრისტეს მსხვერპლს, როგორც ვალის გადახდას. ასე გამოდის, თითქოს გაჯავრებული ღმერთი დაწყნარდა, როდესაც იესოს ფიზიკური სისხლი იხილა. მაგრამ, ჩვენი მონანიების დროს, ღმერთი ხედავს თავის ძეს, რომელიც ჩვენი წარმომადგენელია; და ჩვენც ვცდილობთ არა მარტო შევუერთდეთ ქრისტეს სისხლს, არამედ ყველაფერში მივბაძოთ მას. ბევრი "ქრისტიანული" ჰიმნი და სიმღერა შეიცავს უამრავ მცდარ დებულებას ამ დარგში. ყველაზე ცრუ დოქტრინა ინერგება ხალხთა გონებაში მუსიკის მეშვეობით, და არა რაციონალური ბიბლიური სწავლით. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ამგვარი ქადაგების საწინააღმდეგოთ.

სამწუხაროდ, მარტივი სიტყვები: "ქრისტე მოკვდა ჩვენთვის" (რომ 5:8) უხეშად დამახინჯებულნი არიან და ნიშნავენ, თითქოს ქრისტე ჩვენს ნაცვლად მოკვდა. არსებობს ლექსებთა შორის კავშირი შემდეგ თავებში რომ 5 და 1 კორ 15 (მაგალითად, ლექსი 12=1 კორ 15:21; ლექსი 17=1 კორ 15:22). სიტყვები "ქრისტე მოკვდა <u>ჩვენთვის</u>" (რომ 5:8) გათანასწორებულია ფრაზასთან: "ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის", მაგრამ არა მათ "ნაცვლად". ამის გამო, ქრისტეს ძალუძს "გვიშუამდგომლოს" ჩვენ (ებრ 7:25) და არა ჩვენს "ნაცვლად". თანდებული "თვის" ასევე არ ნიშნავს "ნაცვლად" ლექსებში ებრ 10:12 და გალ 1:4.

9.5 იესო და მოსეს რჯული

რადგან იესო უმწიკვლო მსხვერპლი იყო ცოდვებისათვის და იდეალური მღვდელმთავარი, რომელსაც ნამდვილად შეეძლო ჩვენი ხსნა, ქრისტეს სიკვდილის შემდეგ, პირუტყვთა შეწირვის კანონმა შეწყვიტა თავისი არსებობა (ებრ 10:5-14). იმიტომ რომ "მღვდლობის შეცვლასთან ერთად (ლევიანებისაგან ქრისტემდე) საჭიროა რჯულის შეცვლა" (ებრ 7:12). ქრისტე "ხორციელი აღთქმის რჯულის მიხედვით კი არაა მღვდელი (ესე იგი, მღვდელი შესაძლოა მხოლოდ ლევიანნეს შთამომავალი ყოფილიყო), არამედ

უსასრულო სიცოცხლის ძალით", რომელიც მან თავისი უმწიკვლო მსხვერპლის გამო მიიღო (ებრ 7:16). ამიტომ, "ადრინდელი მცნება კი გაუქმდა (ე. ი., მოსეს კანონი) უსუსურობისა და უსარგებლობის გამო. ვინაიდან რჯულმა ვერაფერი სრულყო, მაგრამ შემოდის უკეთესი იმედი (ქრისტეს მეშვეობით) (ებრ 7:18, 19).

ნათელია, რომ ქრისტემ მსხვერპლად შეწირვით ამოიღო "ოთხშაბათის" კანონი, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია არ დავიცვად მისი ნებისმიერი ნაწილი, მაგალითად, დღესასწაულები და შაბათი. მთელი რჯული ქრისტეს მოვლენაზე ქადაგებდა. მისი სიკვდილის შემდეგ, რჯულის სპეციფიკური დანიშნულება დაკარგული იყო, და ამიტომ აუცილებელი არ არის მისი დაცვა შემდგომში.

ახ. წ. აღ-ის პირველი საუკუნის ქრისტიანული ეკლესია განუწყვეტლივ განიცდიდა ზეგავლენას ორთოდოქსალურ ებრაელთა მხრიდან, რომელბიც რჯულის დაცვას მოითხოვდნენ. ახალი აღთქმა არაერთხელ გვაფრთხილებდა წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობის შესახებ. ამის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამჟამად არსებობს რამოდენიმე სექტა, რომელიც რჯულის ნაწილობრივ დაცვაზე მეტყველებს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხსნის მიღების ნებისმიერი ცდა ითვალისწინებს <u>მთელი</u> რჯულის დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ განვიკიცხებით დაუმორჩილებლობის გამო (გალ 3:10).

ადამიანის სხეულში არსებობს ერთი დამახასიათებელი თავისებურება – ხსნისაკენ მისწრაფება საკუთარი საქმეების მეშვეობით; ჩვენ გვსურს ვიფიქროთ, რომ ჩვენ <u>ვქმნით</u> რაიმეს საკუთარი ხსნისათვის. ამ მიზეზის გამო, ეკლესიურ მეათედის აუცილებელი გადახდა, ჯვრის ტარება, ლოცვა გარკვეულ პოზაში – მიღებული ატრიბუტებია უამრავ რელიგიის, ქრისტიანობის ჩათვლით. ხსნა <u>მხოლოდ</u> რწმენით ქრისტეში წარმოადგენს ქრისტიანობაში უნიკალურ დოქტრინას, რომელიც ბიბლიის რწმენას შეიცავს.

ახალ აღთქმაში ხშირად გვხვდება ბიბლიური გაფრთხილება ხსნისათვის მოსეს რჯულის ნებისმიერი ნაწილის დაცვის დაუშვებლობის შესახებ. რჯულის შესაბამისად, ზოგიერთი მქადაგებელი ქრისტიანების წინადაცვეთის აუცილებლობაზე ქადაგებს. ყველა მორწმუნეთა სახელით, იაკობ მოციქულმა განიკიცხა ეს იდეა და თქვა: "რაც ჩვენ არ დაგვივალებია" (საქ 15:24). პეტრე მოციქულმა თქვა მათ შესახებ, ვინც რჯულის მორჩილების აუცილებლობას მოითხოვს, რომ ისინი ცდილობენ "ქედზე დაადგათ მოწაფეებს უღელი, რომლის ტარება ვერც ჩვენმა მამებმა შეძლეს, ვერც ჩვენ. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ უფლის იესოს მადლით (რომელიც რჯულის დაცვას უპირისპირდება) გადავრჩებით" (საქ 15:10, 11). პავლე მოციქული არაერთხელ აღნიშნავდა ამავეს. ასე მან შთაგონილად თქვა: "ადამიანი გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეში რწმენით... რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება... რჯულით ვერავინ გამართლდება... ყოველივესგან, რისგანაც მოსეს რჯულით ვერ შესძელით გამართლება, მასში (ქრისტეში) მართლდება ყველა მორწმუნე" (გალ 2:16; 3:11; საქ 13:39).

გარიყულ ქრისტიანთა ნიშნად ის ფაქტი გამოიყენება, რომ მათი პრაქტიკული საქციელი მოსეს რჯულის დებულებებს შეესაბამება, ამ საკითხის ზემოთ გადმოცემის მიუხედავად, რომ ქრისტიანებმა არ უნდა დაიცვან რჯული, რადგან იგი დასრულებული იყო ქრისტეში. ახლა ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ზოგიერთ ასპექტს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მოსეს რჯული თანამედროვე "ქრისტიანების" მოქმედების საფუძველია:

<u>მღვდლები</u>

კათოლიკური და ინგლისური ეკლესია აშკარად სარგებლობს კაცობრიული წმიდანობის სისტემით. რომაელი კათოლიკები თვლიან პაპას ებრაელ მღვდელმთავრის თანასწორად. მაგრამ, "<u>ერთია</u> ღმერთისა და კაცთა შორის შუამავალი – კაცი ქრისტე იესო" (1 ტიმ 2:5). ამიტომ, შეუძლებელია, რომ პაპა ან მღვდლები ჩვენი შუამავალნი იყვნენ, რადგან, ძველი აღთქმის მიხედვით,

ასეთი შუამავალი მღვდელმთავარი იყო. ქრისტე ამჟამად ჩვენი მღვდელმთავარია ცაში, რომელიც ღმერთს გადასცემს ჩვენს ლოცვებს.

არ გაგვაჩნია იმის ბიბლიური დამოწმება, რომ ავტორიტეტი ასეთი ღვთივსულიერი ბერის, როგორიც, მაგალითად, პეტრე იყო, მომდევარ თაობაზე გადასულიყო და, კერძოდ, პაპაზე. ამ შესაძლებლობის დაშვებისაც კი არ გვაქვს მტკიცება, რომ პირადად პაპა ან მღვდლები წარმოადგენენ მათ, ვისაც პირველი საუკუნის ბერების სულიერი მანტია მოეფინა.

რადგან სულის ნიჭი ამოღებული იყო, ესე იგი ყველა მორწმუნეს თანაბარი მიდგომა გააჩნია ბიბლიის სიტყვა-სულისადმი (იხ. ნაწილები 2.2 და 2.4). ამიტომ, ჩვენ ყველა ძმები ვართ და არავის ჩვენთაგანს არ გააჩნია უპირატესობა. სინამდვილეში, ყველა ჭეშმარიტი მორწმუნენი – ახალი წმიდანობის წევრნი არიან, ქრისტეში ნათლობის მეშვეობით, იმ გაგებით, რომ ისინი არიან "წილხვედრილი ხალხი, რათა გამოაცხადონ მისი სათნოებანი, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი ნათლისკენ გამოგიხმოთ" (1 პეტ 2:9). ამიტომ, ისინი სამეფოს მეფებად და სუფევად იქცევიან, როცა იგი დედამიწაზე დამყარდება ქრისტეს მეორე მოსვლის დროს (გამოცხ 5:10).

კათოლიკოსებს ჩვევად აქვთ "მამა" უწოდონ თავის მოძღვრებს ("პაპაც" ნიშნავს "მამას"). ეს სრულიად უპირისპირდება ქრისტეს სიტყვებს: "ნურც მამას უწოდებთ ნურავის ქვეყანაზედ, ვინაიდან ერთი მამა გყავთ – ზეციერი" (მათ 23:9). სინამდვილეში, ქრისტე გვაფრთხილებდა ნებისმიერი ადამიანის მიმართ სულიერი პატივისცემის გამოხატვის წინააღმდეგ, რომელსაც თანამედროვე მღვდლები მოითხოვენ: "თქვენ კი ნუ გიწოდებენ რაბის, ვინაიდან ერთია თქვენი მოძღვარი – ქრისტე და თქვენ ყველანი ძმები ხართ" (მათ 23:8).

მორთული მანტიის, რომელსაც ეპისკოპოსი და სხვა მღვდელმსახურნი ატარებენ, საფუძველი – სპეციალური სამოსია,

რომელიც მოსეს, მღვდლებსა და მღვდლმთავრებს ეცვათ. ამ სამოსმა განჭვრეტა ქრისტეს უმწიკვლო ხასიათი, მაგრამ, რადგან მოსეს რჯული გაუქმნდა, სამოსის ატრიბუტის დანიშნულებაც უკვე შესრულდა. გული გვტკივა, როცა ვფიქრობთ, რომ ქრისტეს სიდიადის განდიდების სამოსი, ამჟამად მის მქონე ხალხის სადიდებლად გამოიყენება. ზოგიერთ მათგანს არ სწამს ქრისტეს აღდგომის და ღმერთის არსებობა.

<u>მეათედი</u>

იგი ასევე მოსეს რჯულის ნაწილი იყო (რიცხვ 18:21), რომლის განსახორციელებლად ებრაელებს უნდა გადაეხადათ ქონების მეათე ნაწილი ლევიანთა წმიდა ტომისათვის. ჩვენ ვიცით – ამჟამად არ არსებობს ადამიანური წმიდანობა, ამიტომ, არ არსებობს მეათედის გადახდის აუცილებლობა რომელიმე ეკლესიის ბერებისათვის. კვლავ ერთ ცრუ იდეას (მოცემულ შემთხვევაში მღვდლების მიმართ), მოსდევს მეორე (ესე იგი, მეათედი). თვით ღმერთს <u>არ სჭირდება</u> ჩვენი მსხვერპლთა შეწირვა, რადგან იცის, რომ ყველაფერი მას ეკუთვნის (ფსალმ 50:8-13). ჩვენ ვაძლევთ ღმერთს იმას, რაც თვითონ მოგვცა (1 ნეშტ 29:14). ჩვენ ვერ მივიღებთ ხსნას მატერიალური შეწირვის შედეგად, მაგალითად, ფინანსური ფორმით. იმ ნიჭის სამადლიერად, რომელიც ღმერთმა მოგვცა, ჩვენ არამარტო ჩვენი ფულის მეათედი ნაწილი უნდა მივცეთ, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრება. პავლემ გვაჩვენა ამის მაგალითი, როდესაც პრაქტიკულად განახორციელა ის, რის შესახებ ქადაგებდა: "ღვთის მოწყალებელით,
რომ შესწიროთ თქვენი თავი ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად – თქვენი გონივრული მსახურება" (რომ 12:1).

<u>ხორცი</u>

ებრაელთა რჯულმა განსაზღვრა ხორცის ზოგიერთი სახეობა, როგორც უწმიდური. ამჟამად ეს პრაქტიკაზე სრულდება ზოგიერთ სარწმუნოებათა მიერ, განსაკუთრებით ღორის ხორცის მიმართ. იმის შედეგად, რომ ქრისტემ გააუქმნა რჯული ჯვარზე: "ნურავის

განსჯით თქვენს საჭმელისა და სასმელისათვის" (კოლ 2:14-16). ამრიგად, ქრისტეს მოსვლით მოსეს აღთქმა ხორცის მიმართ ამოღებული იყო. იგი ის იყო, რომლის შესახებ "წმიდა" საჭმელი ქადაგებდა.

იესომ ახსნა, რომ ნებისმიერ საჭმელს არ შეუძლია სულიერად წაბილწოს ადამიანი. ამის გაკეთება შეუძლია იმას, რაც გულიდან ამოდის (მარკ 7:15-23). მარკოზმა მოიყვანა იესოს სიტყვები, რომელმაც თქვა, რომ მთელი საჭმელი წმიდაა. პეტრე და პავლე ასევე აღიქვამდნენ ამგვარ სიტყვებს (საქ 10:14, 15). პავლე წერდა: "მე ვიცი და მწამს უფალ იესოში, რომ არაფერია უწმიდური თავისთავად" (რომ 14:14). ადრე მან აღნიშნა, რომ გარკვეული საჭმელის უარყოფა – სულიერი სისუსტის ნიშანია (რომ 14:2).

ჩვენი დამოკიდებულება ხორცისადმი ამგვარია: ის "არ მოგიახლოვებთ ღმერთთან" (1 კორ 8:8). ყველაზე მამხილებელი გარიყულ ქრისტიანთა გაფრხილებაა, "რომლებიც... აიძულებენ თავშეკავებას საკვებისაგან, ღმერთმა რომ შექმნა" (1 ტიმ 4:3). ამის საპასუხოთ პავლემ განაცხადა: "ღვთის გაჩენილი ყოველივე კარგია და არაფერია უარსაყოფი, თუ მადლიერებით იქნება მიღებული" (1 ტიმ 4:4).

9.6 შაბათი

ერთერთი ყველაზე გავრცელებული განუწყვეტლობა თანამედროვე "ქრისტიანული" პრაქტიკისა და მოსეს რჯულის შორის აშკარავდება შაბათის დაცვის იდეაში. ზოგიერთი ჯგუფი ითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ებრაელური შაბათი ისევე, როგორც ეს რჯულში არის განსაზღვრული. მრავალი სხვა თვლის, რომ ქრისტიანებს უნდა ჰქონდეთ კვირის გარკვეული დღე ღვთისმსახურობისათვის და ხშირად ისინი ამ მიზნით კვირას განსაზღვრავენ. პირველი, რაც უნდა გავარკვიოთ – შემდეგია: შაბათი კვირის უკანასკნელი დღე იყო, როდესაც ღმერთი, ექვსი დღის ქმნილების შემდეგ, ისვენებდა (გამ 20:10, 11). კვირა

პირველი დღე იყო კვირის და არაკორექტული იქნებოდა ამ დღის დაცვა, როგორც შაბათის. შაბათი იყო "ნიშნად ჩემსა (ღმერთისა) და თავიანთ (ისრაელიანებს) შორის, რომ სცოდნოდათ, რომ უფალი ვარ, მათი განწმედელი" (ეზეკ 20:12). როგორც ასეთი, იგი არასოდეს არ ყოფილა აუცილებელი არაებრაელებისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ქრისტეს ჯვარზე სიკვდილის გამო, მოსეს რჯულმა შეწყვიტა მოქმედება, ამიტომ, ამჟამად არ არის აუცილებელი შაბათის ან ნებისმიერი სხვა დღესასწაულის დაცვა, მაგალითად, ქრისტეს შობის (კოლ 2:14-17). პავლემ, ქრისტიანებთან მიმართვაში, რომლებმაც კვლავ დაიწყეს მოსეს რჯულის ნაწილის, და მათ რიცხვში შაბათის დაცვა, წარმოთქვა: "ახლა კი, როცა ღმერთი იცანით, უფრო მეტიც, როცა ღმერთმა გიცნოთ, როგორღა უბრუნდებით უძლურ და ღატაკ საწყისებს და გინდათ ხელახლა დაემონოთ მათ? დღეებს იცავთ (ე. ი., შაბათს) თქვენ და თვეებს, ვადებსა და წელიწადებს (ე. ი., ებრაელურ დღესასწაულებს). ვშიშობ, ამაოდ ხომ არ გავისარჯე თქვენს შორის" (გალ 4:9-11). ეს სერიოზული შეხსენებაა მათთვის, ვინც ცდილობს შაბათის დაცვას, როგორც ხსნის საშუალებას. აშკარაა, რომ ამ დღის დაცვას არ აქვს კავშირი ხსნასთან: "ზოგო დღეს დღისგან განარჩევს (ე. ი., სულიერ მნიშვნელობით), ზოგი კი ყველა დღეს <u>ერთნაირად</u> განიკითხავს. ყველა თავის რწმენაში იყოს მტკიცე. ვინც იცავს დღეს უფლისათვის იცავს, და ვინც ჭამს უფლისათვის ჭამს" (რომ 14:5, 6).

ამის გამო ნათელია, თუ რატომ არ ვხვდებით ჩვენ შაბათის დაცვის აღწერილობას. სინამდვილეში, არსებობს სიტყვები, რომლებიც მეტყველებენ, თითქოს ისინი იკრიბებოდნენ "შვიდეულის პირველ დღესვე", ესე იგი, კვირას. "შვიდეულის <u>პირველ</u> დღესვე, როდესაც მოწაფეები შეიკრიბნენ პურის გასატეხად..." (საქ 20:7). ეს იყო ფართოდ გავრცელებული წესი და პავლე ურჩევდა კორინთოში მორწმუნეებს კრებების ჩატარებას "ყოველ ერთშაბათს" (1 კორ 16:2). ყველა მორწმუნე მღვდელად

არის აღწერილი (1 პეტ 2:9), რომლებიც არ იცავდნენ შაბათს (მათ 12:5).

თუ ჩვენ გვჭირდება შაბათის დაცვა, ჩვენ ეს სათანადოთ უნდა გავაკეთოდ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსეს რჯულის ნაწილობრივი დაცვა დამყუპველია, რადგან მას ჩვენი განკიცხვა მოჰყვება (გალ 3:10). ხსნას უფრო ქრისტეს რჯულის დაცვით მივაღწევთ.

ისრაელიანებს აკრძალული ჰქონდათ მუშაობა შაბათს: "ყველა, ვინც კი საქმეს გააკეთებს ამ დღეს, მოკვდება". მათ ასევე ევალებოდათ: "ცეცხლს ნუ დაანთებთ თქვენს საცხოვრებლებში შაბათ დღეს" და ამიტომ დაუშვებელი იყო საჭმლის კეთება ამ დღეს (გამ 35:2, 3; 16:23). კაცი, რომელიც ცეცხლის დასანთობად შეშას შაბათს აგროვებდა, სიკვდილით იყო დასჯილი (რიცხ 15:32-36).

მათ, ვინც ქადაგებდა შაბათის დაცვას, თავისი ოჯახის წევრებიც უნდა დაესაჯათ სიკვდილით წესის დარღვევის შემთხვევაში. ამ დღეს აკრძალულია საჭმლის მზადება, ცეცხლით სარგებლობა და ა. შ. ორთოდოქსალური ებრაელები ამგვარ მაგალითს გვიჩვენებენ: ისინი შენობაში რჩებიან მთელი დღის განმავლობაში, რელიგიური ღონისძიების ჩატარების გარდა და პირადად არ იღებენ მონაწილეობას საჭმლის მზადებაში, ავტომობილის ტარებაში და ა. შ. იმ "ქრისტიანთა" უმრავლესობა, ვინც ცდილობს შაბათის დაცვას ბევრად ჩამორჩება მათ.

ხშირად ამტკიცებენ, რომ შაბათის დაცვა მოსეს რჯულის ათ მცნებებიდან ერთერთია და, თუმცა მოსეს რჯულის დანარჩენმა ნაწილმა შეწყვიტა მოქმედება, ათივე მცნების დაცვის აუცილებლობა მაინც დარჩა. მეშვიდე დღეს ადვენტისტები გამოყოფენ ათ მცნების "მორალურ კანონიდან" და, ეგრედ წოდებული, "წესის კანონიდან", რომელიც ქრისტემ უარყო. მაგრამ, ამგვარი სხვაობის შესახებ არ არის ნათქვამი სახარებაში. როგორც ვთქვით, ძველი აღთქმა მოსეს რჯულს ეკუთვნის,

რომელიც ჯვარზე ახალ აღთქმამ შეცვალა. შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ათივე მცნება, შაბათის მცნების ჩათვლით, ქრისტემ გააუქმნა:

– ღმერთმა "გამოგიცხადათ (ისრაელიანებს) თავისი აღთქმა, რომლის შესრულება გიბრძანათ (ისრაელიანებს). ათი მცნება დაგიწერათ ორ ფიქალზე" (რჯლ 4:13). კვლავ უნდა აღვნიშნოთ, რომ ათ მცნებაზე დამყარებული ეს აღთქმა ღმერთისა და ისრაელის შორის დაიდო, და არა თანამედროვე არაებრაელებთან.

– მოსე ხორების მთაზე ავიდა, რათა მიეღო ფიქალები, რომლებზეც ღმერთმა ათი მცნება დაწერა. მოსემ მოგვიანებით ასე განაცხადა ამის შესახებ: "უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, დაგვიდო აღთქმა ხორებში" (რჯლ 5:2), ესე იგი, ამ ათი მცნების მეშვეობით.

– და "დაწერა (მოსემ) ფიქალებზე აღთქმის სიტყვები, ათი სიტყვა" (გამ 34:28). ზუსტად ეს აღთქმა შეიცავს ეგრედ წოდებულ "რჯულის" წვირლმანებს (გამ 34:27). თუ ვისაუბრებთ ათი მცნების დაცვის აუცილებლობაზე, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვიქნებით ვისაუბროთ მთელ რჯულში მოცემულ ყველა მითითებაზე, ხოლო ეს, უეჭველად, წარმოუდგენელია.

– ებრ 9:4 ნათქვამია "აღთქმის კიდობანის" შესახებ. ათი მცნება ფიქალზე იყო დაწერილი, რომლებიც "ძველ აღთქმას" შეიცავდნენ.

– ქრისტემ გააუქმნა ჯვარზე "ხელწერა, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყო" (კოლ 2:14). ეს ფიქალებზე ათი მცნების ღმერთის ხელწერას ეკუთვნის. ასევე პავლესაც, როდესაც რჯულზე საუბრობდა, რომელიც გაუქმნდა, ხოლო მისი ასოები დაძველდა, მხედველობაში ჰქონდა ფიქალებზე დაწერილი ათი მცნების ასოები.

– ათ მცნებებიდან ერთერთს "რჯულს" უწოდებენ რომ 7:8: "ხოლო ცოდვამ მცნებიდან აიღო საბაბი და ჩემში წარმოქმნა ყოველგვარი სურვილი. ვინაიდან ცოდვა რჯულის გარეშე მკვდარია". წინამავალი ლექსები რომ 7:1-7 ადასტურებენ, რომ რჯული ქრისტეს სიკვდილით გაუქმნდა: "რჯული", ამიტომ, ათ მცნებას შეიცავს.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ძველი აღთქმა და "რჯული" ათ მცნებას შეიცავენ. ეს ყველაფერი გაუქმნდა ახალ აღთქმაში. მაგრამ ათ მცნებიდან ცხრა აღდგენილი იყო შემდგომში. მათი ნომრები 3, 5, 6, 7, 8 და 9 შეგვიძლია ვიპოვოთ მხოლოდ 1 ტიმ, ხოლო ნომრები 1, 2 და 10 – 1 კორ 5. მაგრამ მეოთხე აღთქმა შაბათის შესახებ არსად არ მეორდება ახალ აღთქმაში, როგორც ჩვენთვის აუცილებელი. ქვემოთ მოცემულია ახალი აღთქმის ლექსების ჩამონათვალი, რომელიც ცხრა მცნების აღდგენას ადასტურებს:

1 – ეფეს 4:6; 1 იოან 5:21; მათ 4:10
2 – 1 კორ 10:14; რომ 1:25
3 – იაკ 5:12; მათ 5:34, 35
5 – ეფეს 6:1, 2; კოლ 3:20
6 – 1 იოან 3:15; მათ 5:21
7 – ებრ 13:4; მათ 5:27, 28
8 – რომ 2:21; ეფეს 4:28
9 – კოლ 3:9; ეფეს 4:25; 2 ტიმ 3:3
10 – ეფეს 5:3; კოლ 3:5.

გადაბეჭდვა 28: ჯვარცმა

ქრისტიანობაში ფართოდ არის გავრცელებული რწმენა, რომ იესო ჯვარზე მოკვდა. მაგრამ, ბერძნული სიტყვა "stauros", რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება, როგორც "ჯვარი", ინგლისურ ბიბლიაში ფაქტიურად სვეტს ან ლატანს ნიშნავს. სინამდვილეში, ჯვარცმის სიმბოლო წარმართული წარმოშობისაა. შესაძლოა, ქრისტე თავზე

აწეული ხელებით მოკვდა, და არა ჯვრის ფორმით განლაგებული ხელებით. აწეული ხელები – ღმერთის აღთქმის და დასტურების სიმბოლოა (ეზეკ 20:5, 6, 15; 36:7; 47:14), ასევე როგორც გულწრფელი ლოცვა (გოდ 2:19; 1 ტიმ 2:8; 2 ნეშტ 6:12, 13; ფსალმ 28:2), რომელიც იესომ ჯვარზე წარმოთქვა (ეფეს 5:7). მან ადრე თქვა, რომ როგორც გველი იყო ამაღლებული სვეტზე, როდესაც ისრაელიანები უდაბნოში იყვნენ, ასევე მას საზოგადოთ აამაღლებენ სიკვდილის დროს; ამრიგად, იგი "ჯვარს" სვეტთან აკავშირებს (იოან 3:14).

რომის კათოლიკური ეკლესია დიდ მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯვარს. მაგრამ ამას არ გააჩნია ბიბლიური საფუძველი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჯვარი თილისმად იქცა, ღმერთის ჩვენთან ყოფნის ფიზიკურ სიმბოლოდ. ხალხს ეგონა, რომ ჯვრის ტარებით ღმერთი მასთან იქნება. მაგრამ ეს მხოლოდ სიმბოლოა; ჯვრის ჭეშმარიტი ძალა შედგება ჩვენს გაერთიანებაში ქრისტეს სიკვდილთან რწმენითა და ნათლობით, და არა ჯვრის ფიზიკური ნიშნის წარმოსახვაში.

გადაწვევა 29: ნამდვილად დაიბადა რო იესო 25 დეკემბერს?

ქრისტიანების სხვა დიდი შეცდომა იესოს დაბადების თარიღის სწორ განსაზღვრაშია. მწყემსებს ეძინათ მინდორში, როცა ქრისტე იშვა (ლუკ 2:8). ზამთარში ისინი ვერ შეძლებდნენ მინდორში ძილს. ქრისტე 33,5 წელი ცხოვრობდა და აღდგომის დროს დაიღუპა. აქედან გამომდინარე, იგი ექვსი თვით ადრე აღდგომამდე უნდა დაბადებულიყო, ესე იგი, სადღაც სექტემბრის ან ოქტრომბის თვეში.

25 დეკემბერი თავდაპირველად წარმართთა დღესასწაული იყო. მოციქულთა საქმეებში ნათქვამია, თუ როგორ იყვნენ დევნილნი ქრისტიანები თავიანთი რწმენის გამო. მოციქულნი არაერთხელ

აფრთხილებდნენ, რომ ამის შემდეგ ზოგიერთ ქრისტიანებს ექნებოდათ თქმულებები, რათა ასატანი გახადონ თავიანთი რწმენა მათ ირგვლივ მყოფ წარმართათვის (მაგ., საქ 20:30; 1 იოან 2:18; 2 თეს 2:3; 2 პეტ 2:1-3). 25 დეკემბრის მიღება, როგორც ქრისტიანთა დღესასწაულის, ამის პირველ მაგალითს წარმოადგენს. ნაძვის ხე, ფითრი და ა. შ. – ეს ყველაფერი წარმართთა რიტუალებისათვის გამოიყენებოდა, რომლებიც 25 დეკემბერს იმართებოდნენ.

აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა არ უნდა აღნიშნონ ქრისტეს შობის დღე 25 დეკემბერს. პრაქტიკაზე, ჭეშმარიტი მორწმუნენი გამოიყენებენ უამრავ ხალხურ დღესასწაულს, მაგალითად, შობას, ერთმანეთთან ურთიერთობისათვის, სადაც ეს შესაძო იქნება.

თავი 9: საკითხები

1. რატომ იესოს სიკვდილი, და არა სხვა ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი გვესაჭიროებოდა ხსნისათვის?

2. რატომ პირუტყვთა შეწირვა მოსეს რჯულის მიხედვით არ იყო საკმარისი ცოდვის მოსახსნელად?

3. იყო თუ არა იესო ჩვენი წარმომადგენელი ან შემცვლელი, როდესაც მოკვდა?

4. შემდეგი დებულებებთაგან რომელია სწორი:
   ა) ქრისტე ჩვენს ნაცვლად მოკვდა.
   ბ) ქრისტე ჩვენ წარმოგვადგენდა და ამიტომ ღმერთს შეუძლია ჩვენი პატიება.
   გ) ქრისტე ჩვენს მსგავსი იყო და ამიტომ იგი ჩვენ არ წარმოგვადგენდა.

დ) ქრისტეს სიკვდილი იმას ნიშნავდა, რომ ღმერთი არავის არ დასდებს ბრალს ცოდვის გამო.

5. ჰქონდა თუ არა ქრისტეს რაიმე სარგებლობა საკუთარი სიკვდილისაგან?

6. როდესაც ქრისტე კვდებოდა ჯვარზე,

ა) გააუქმნა თუ არა მან რომელიმე დარიგება მოსეს რჯულიდან, ათი მცნების გარდა?

ბ) გააუქმნა თუ არა მან მოსეს მთელი რჯული ათი მცნების ჩათვლით?

გ) გააუქმნა თუ არა მან მოსეს რჯული ებრაელთა დღესასწაულების გარდა?

დ) მან არავითარი გავლენა არ მოახდინა მოსეს რჯულის სტატუსზე?

7. ვართ თუ არა ვალდებულნი დავიცვათ შაბათი?

8. აგვიხსენით მე-7 საკითხზე თქვენი პასუხის მიზეზი.

თავი 10

ნათლობა უფლის იესოს სახელით

10.1 სიცოცხლისათვის საჭირო ნათლობის მიღების აუცილებლობა

წინამავალ თავებში ჩვენ რამდენჯერმე მოვიხსენიეთ სიცოცხლისათვის საჭირო ნათლობის მიღების აუცილებლობა, როგორც უკანასკნელი საფეხური მორჩილებაში სახარებისადმი. ებრაელთა მიმართ (6:2) ნათქვამია ნათლობის შესახებ, როგორც მოძღვრების ერთერთ მნიშვნელოვან დოგმატზე. ჩვენ ამ საკუთხის განხილვა ბოლოსთვის მხოლოდ იმიტომ შემოვინახეთ, რომ ნამდვილი ნათლობა მხოლოდ ჭეშმარიტების შემეცნების შემდეგ, რომელსაც სახარება შეიცავს, შესაძლოა მოხდეს. ამჟამად ჩვენ შევავსებთ ცოდნას და თუ თქვენ გსურთ შეუერთდეთ იმედს, რომელსაც ბიბლია იძლევა იესო ქრისტეს მეშვეობით, მაშინ ნათლისღება თქვენთვის აუცილებელი იქნება.

"ხსნა იუდეველთაგანაა" (იოან 4:22) შეიცავს იმ გაგებას, რომ ხსნის აღთქმა მხოლოდ აბრაამსა და მის თესლს მიეცა. ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ისე, რომ ეს აღთქმა ჩვენც გვეკუთვნოდეს და აბრაამის თესლის მემკვიდრენი გავხდეთ ქრისტეში ნათლობით (გალ 3:22-29). ამიტომ იესომ აშკარად მიუთითა თავის მიმდევრებს: "გადით მთელ წუთისოფელში და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ სახარება (რომელსაც აბრაამის აღთქმა შეიცავს – გალ 3:8). ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება" (მარკ 16:15, 16). ფიქრი აქ გამოყენებულ კავშირ "და"-ს შესახებ ამჟღავნებს, რომ მხოლოდ რწმენას სახარებისადმი არ შეუძლია ჩვენი ხსნა; ნათლობა არ წარმოადგენს არააუცილებელ დამატებას ქრისტიანულ ცხოვრებაში, იგი ხსნის აუცილებელი პირობაა. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ნათლობა გვიხსნის. ნათლობას უნდა უფლის სიტყვისადმი მორჩილება მოჰყვეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. იესომ გამოყო ეს სიტყვებით: "ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში" (იოან 3:5).

“წყლისაგან” შობა ეკუთვნის ადამიანს, რომელიც გამოდის ნათლობის წყლიდან და ამის შემდეგ იგი კვლავ უნდა იშვას სულისაგან. ეს – გაგრძელების პროცესია: “შობილნი... ღვთის სიტყვის მიერ” (1 პეტ 1:23). ამრიგად, უფლის სიტყვის განუწყვეტლივ მიმდევრობით, ჩვენ კვლავ ვიბადებით სულისაგან (იხ. სტატია 2.2).

ჩვენ “მოვინათლეთ ქრისტეში” (გალ 3:27), უფალ იესოს სახელში (საქ 19:5; 8:16; მათ 28:19). მიაქციეთ ყურადღება, რომ ჩვენ ვიღებთ ნათლობას ქრისტეში, და არა ქრისტედელფიანებში ან რომელიმე სხვა ორგანიზაციის ხალხში. ნათლობის გარეშე ჩვენ არ ვართ “ქრისტეში” და, აქედან გამომდინარე, მისი ხსნა ჩვენზე არ გადმოდის (საქ 4:12). პეტრე აღნიშნავს ამ ფაქტს, როდესაც ადარებს ნოეს კიდობანს ქრისტესთან და ამით აჩვენებს, თუ როგორ იხსნა კიდობანმა ნოე და მისი ოჯახი განკითხვისაგან, რომელიც ცოდვილ ხალხს მოეფინა, ასე ნათლობა ქრისტეში იხსნის მორწმუნეებს მარადიულ სიკვდილისაგან (1 პეტ 3:21). კიდობანში შესული ნოე ემსგავსება ჩვენს შესვლას ქრისტეში ნათლობის მეშვეობით. ყველა, ვინც არ იყო კიდობანში, დაიღუპა წარღვნის დროს. კიდობანთან ყოფნა ან ნოესთან მეგობრობა სრულიად არ ცვლის საქმეს. ხსნის ერთადერთი გზა იყო და არის – ქრისტეში ყოფნა (კიდობანში). აშკარაა, რომ მეორე მოსვლა, რომელიც წარღვნას ედარება (ლუკ 17:26, 27), მოგვიახლოვდა (იხ. დანართი 3). აქედან გამომდინარე, შესვლა ქრისტეში (კიდობანში) ნათლობის მეშვეობით წარმოადგენს დაჟინებით აუცილებლობას. სინამდვილეში, არ გვყოფნის ადამიანური სიტყვა, რათა გადმოგცეთ ეს გადაუდებელი გრძნობა. ნოეს კიდობანში შესვლის ბიბლიური შედარება უფრო მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება.

პირველი ქრისტიანები დაემორჩილნენ ქრისტეს მითითებას, გავიდნენ მთელ წუთისოფელში, სახარებას ქადაგებდნენ და ნათლავდნენ. ამის თხრობა “საქმეების” წიგნში არის მოყვანილი. სიცოცხლისათვის საჭირო ნათლობის მტკიცება შეგვიძლია

ვიპოვოთ იმაში, რომ წიგნში ხაზგასმულია თუ რა სისწრაფით ხალხი იღებდა ნათლობას სახარების შემეცნების შემდეგ (მაგ., საქ 8:12; 36:39; 9:18; 10:47; 16:15). ეს ხაზგასმა ნათელი ხდება დასკვნით, რომ ნათლობის გარეშე სახარების შესწავლა უსარგებლოა; ნათლობა პირველი ნაბიჯია ხსნის გზისკენ. ზოგიერთ შემთხვევაში, სირთულეებისა და სუფთა ადამიანური მიზეზების მიუხედავად, ნათლობა ტარდებოდა და, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ღვთის დახმარებით ხალხმა ეცადოს მათი გადალახვა.

ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც დაანგრია ციხე ფილიპინებზე, განსაზღვრა მკვეთრი გარდატეხვა ციხის ზედამხედველის ცხოვრებაში. პატიმრებს მიეცათ გაქცევის საშუალება, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. ზუსტად მაშინ მისი რწმენა სახარებისადმი ჭეშმარიტი გახდა, რადგან "იმ ღამეს, იმ საათშივე... მაშინვე მოინათლა" (საქ 16:33). ყველაზე ძლიერი მიწისძვრა საბერძნეთში ბოლო 3000 წლის განმავლობაში, მანიაკალური პატიმრების ურდო მზად იყო გასაქცევად და სიკვდილის საშიშროება მოვალეობის შეუსრულების გამო ჩამოაწვა მას და იმავე დროს იგი ნათლად წარმოიდგენდა თუ რა ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე უნდა შეესრულებინა მას მარადიული სიცოცხლის მისაღებად. ყველაფრის მიუხედავად, მან მიიღო ნათლობა. ნათლობის მისაღებად უამრავ კანდიდატებს შეუძლიათ შთაგონილნი იყონ ამ ადამიანის საქციელით. რწმენის ამგვარი საქციელი ამტკიცებს, რომ მან ბრწყინვალედ შეიცნო სახარება, აქედან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამგვარი ჭეშმარიტი რწმენა მხოლოდ ღვთის სიტყვების შეგნებისაგან მოდის (რომ 10:17; შდ. საქ 17:11).

მოციქულთა საქმეებში (8:26-40) მოთხრობილია ეთიოპელი მსახურის შესახებ, რომელიც ბიბლიას ეცნობოდა უდაბნოში ეტლით მოგზაურობის დროს. იქ მას შეხვდა ფილიპე, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა სახარების შინაარსი, ნათლობის მითითებების ჩათვლით. საღად რომ ვიმსჯელოდ, შეუძლებელია ნათლობის

მოთხოვნილებების დაცვა უწყლო უდაბნოში. მაგრამ ღმერთი არ იძლევა განუხორციელებელ მითითებებს. "გზა განაგრძეს და მიადგნენ ერთ წყალს", ესე იგი, ოაზისს, სადაც ნათლობის ჩატარება შეიძლება (საქ 8:36). ეს ეპიზოდი გვიჩვენებს იმ ვარაუდის უსაფუძვლობას, რომ ნათლობა წყლით მხოლოდ იმ მხარეშია შესაძლო, სადაც უამრავი წყალია. ღმერთი ყოველთვის უზრუნველყოფს მისი აღთქმის განხორციელებას.

დრამატიულ მოჩვენებამ, რომელიც ქრისტემ პავლე მოციქულს გაუგზავნა, ისე იმოქმედა მის სინდისზე, რომ მან ნაჩქარევად "მაშინვე... ადგა და მოინათლა" (საქ 9:18). შესაძლოა მას ჰქონდა ნათლობის გადადების ცდუნება, რადგან მაღალი საზოგადო მდგომარეობა ჰქონდა. მაგრამ პავლე მოციქული იღებს სწორ და სწრაფ გადაწყვეტილებას ნათლობის შესახებ და უარყოფს თავის წინანდელ ცხოვრების წესს. მოგვიანებით იგი ამგვარად იხსენებს თავის გადაწყვეტილებებს: "მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, ის წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისათვის. ახლაც ყველაფერი (ესე იგი, ყველაფერი, რაც მას "მოგებად" მიაჩნდა) წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გულისთვის... ვივიწყებ, რაც ჩემს უკან არის (ყველაფერს მის ებრაელურ სხოვრებიდან), და იმას ველტვი, რაც ჩემს წინ არის. ველტვი მიზნისაკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების პატივისაკენ ქრისტე იესოში" (ფილ 3:7, 8, 13, 14). ეს – სპორტსმენის ენაა, რომელიც ფინიშისაკენ მიისწრაფვის. გონებრივი და ფიზიკური ძალების ამგვარ შეკრებვამ უნდა დაახასიათოს ჩვენი ცხოვრება ნათლისღების შემდეგ. უნდა ვიცოდეთ, რომ ნათლობა – მოძრაობის საწყისია ღვთის სამეფოსკენ; ეს არ არის რწმენისა და ეკლესიის ცვლილების სიმბოლო. ნათლობა გვაკავშირებს ჩვენ იესოს ჯვარცმასთან და აღდგომასთან (რომ 6:3-5), ყოველმხრივ საავსე დინამიზმით მოვლენებთან.

დაღლილი, მაგრამ სულიერად მოზეიმე მოხუცი ადამიანი, პავლე იხსენებდა: "არ ვეურჩე ციურ ჩვენებას" (საქ 26:19). ის, რაც ჭეშმარიტი იყო პავლესათვის, ასევე ჭეშმარიტია ყველასათვის,

ვინც იღებს ნათლობას სათანადო წესით: ნათლობა – გადაწყვეტილებაა, რომლის გამო ადამიანი არასოდეს არ ინანებს. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩვენ შევიცნობთ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. არც ისე ბევრი გადაწყვეტილების მიღება გვიწევს ცხოვრებაში, რომელთა შესახებ ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ვისაუბროთ დარწმუნებით. უნდა სერიოზულად ვკითხოთ საკუთარ თავს: "რატომ არ უნდა მივიღო რო ნათლობა?"

10.2 ნათლობის წესი

არსებობს ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ ნათლობა მეტწილად ბავშვობაში უნდა ჩატარდეს, მათი თავის დასველებით (ე. ი., "ნათლობის" წესით). ეს მკვეთრად უპირისპირდება ნათლობის ბიბლიურ მოთხოვნილებებს. ბერძნული სიტყვა **"baptizo",** რომელიც ნათარგმნია რუსულად სიტყვა "ნათლობით", არ ნიშნავს წყლით მოსხურებას; იგი სრულ გაბანვას გულისხმობს. ეს სიტყვა გამოიყენება კლასიკურ ბერძნულ ენაში ჩაძირულ გემების მიმართ. იგი ასევე გამოიყენება ქსოვილის მიმართ, რომელიც იცვლის ფერს ღებვის დროს. აშკარაა, რომ ფერის შესაცვლელად ქსოვილი უნდა მთლიანად ჩავუშვათ სითხეში. ნამდვილად, წყალში ჩაშვება წარმოადგენს ჭეშმარიტ ხერხს, რომლის შესახებ ნათქვამია ლექსებში:

– "იოანე კი ნათლავდა ენონში, სალიმის მახლობლად, ვინაიდან ბევრი წყალი იყო იქ და მოდიოდნენ და ინათლებოდნენ" (იოან 3:23).

აქედან გამომდინარე, ნათლობისათვის ბევრი წყალი იყო საჭირო; თუ ეს მოსხურების გზით კეთდებოდა, მაშინ წყლის ერთი ვედრო საკმარისი იქნებოდა ასეულ ხალხისათვის. იოანე კი არ მიდიოდე მათთან წყლის ბოთლით, არამედ ხალხი მიდიოდა იორდანის სანაპიროს ნათლობის მისაღებად.

– ასევე იოანმა იესოც მონათლა იორდანში: "ნათელღებული იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან" (მათ 3:13-16). აშკარაა, რომ ნათლობა ჩაყვინთის გზით იწარმოებოდა – ამის შემდეგ "იგი ამოვიდა წყლიდან". იესოს ნათლობის ერთერთი მიზეზი – ნათლობის წესის ჩატარების მაგალითის დამყარების აუცილებლობაში შედგება, რათა არავის შეეძლოს ნათლობის განმეორების მტკიცება წყალში ჩაშვების გარეშე.

– ამგვარად, ფილიპე და ეთიოპელი მსახური "ორივენი ჩავიდნენ წყალში... და (ფილიპემ) მონათლა იგი. როგორც კი წყლიდან ამოვიდნენ..." (საქ 8:38-39). გახსოვდეთ, რომ მსახურმა მოითხოვა ნათლობის მიღება, როცა ოაზისი დაინახა: "აჰა, წყალი. რა მაბრკოლებს რომ მოვინათლო..." (საქ 8:36). სრულიად გასაგებია, რომ ადამიანი არ წამოიწყებდა მოგზაურობას უდაბნოში წყლით სავსე ბოთლის გარეშე. თუ ნათლობა მოსხურების გზით ტარდებოდა, მის ჩატარება ოაზისის გარეშეც იქნებოდა შესაძლებელი.

– ნათლობას უწოდებენ "ჩამოირეცხე შენი ცოდვები" (საქ 22:16). ფაქტიურად წყალში ჩაყვინთა "განბანვას" ედარება გამოცხ 1:5; ტიტ 3:5; 2 პეტ 2:22; ებრ 10:22 და ა. შ. სიტყვა "განბანვა" უფრო დროულია ნათლობის წესის ხსენების დროს წყალში ჩაყვინთის მეშვეობით, ვიდრე მოსხურების საშუალებით.

ძველ აღთქმაში გვაქვს რამოდენიმე მითითება იმის შესახებ, რომ ღმერთთან დაშვებული მიახლოვება "განბანვის" მეშვეობით ხდებოდა. მღვდლებმა სრულიად უნდა გაიბანნონ აბაზანაში, რომელსაც "გაბანვის თასი" ჰქვია, რათა ღმერთს მიუახლოვდნენ (ლევ 8:6; გამ 40:32). ისრაელიანები უწმიდურობას განიბანდნენ (მაგ., რჯლ 23:11), რაც ტიპიური იყო ცოდვის წარმოსადგენად. ადამიანი, სახელად ნაყამანი, არაებრაელი კეთროვანი იყო; იგი ისრაელის ღმერთისაგან ელიდა განკურნას. როგორც ასეთი, იგი ცოდვილ ადამიანს წარმოადგენდა, რომლის საზღაური სიკვდილია. მისი განკურნა იორდანის წყლებში ჩაყვინთის მეშვეობით მოხდა.

ნაყამანს ჯერ ეს წესი რთულად წარმოედგინა, ფიქრობდა, რომ ღმერთი მოითხოვს მისგან მოულოდნელ საქციელს ან დიდ და კარგად ცნობილი მდინარის წყლებში ჩაყვინთას, მაგალითად, ავანეში. ამრიგად, ჩვენ ვეჭვობთ, რომ ასეთ უბრალო საქციელმა საბოლოოდ ხსნა მოგვანიჭოს. უფრო მიმზიდველია იმის ფიქრი, რომ ჩვენს საქციელსა და დამოკიდებულებას ფართოდ გავრცელებულ და ცნობილ ეკლესიასთან (შდ. მდ. ავანე) შეუძლია ჩვენი ხსნა, ვიდრე ეს მარტივი აქტი ისრაელის ჭეშმარიტ იმედთან დაკავშირებით. ჩაყვინთის შემდეგ ნაყამანს "ჩვილი ბავშვივით განუახლდა ხორცი და განიწმიდა (იგი)" (4 მეფ 5:14).

ახლა, სახარების შინაარსის პირველი შეცნობის შემდეგ, აღარ უნდა გვქონდეს ეჭვი, რომ ნათლობა წარმოადგენს ადამიანის სრულ ჩაყვინთას წყალში. ნათლობის ეს ბიბლიური განსაზღვრა ეკუთვნის ნებისმიერ ადამიანს, მისი საზოგადო მდგომარეობის მიუხედავად. რადგან ნათლობა წყალში ჩაყვინთის გზით ხერხდება იმის შემდეგ, როცა ადამიანი სახარებას შეიცნობს, მაშინ თეორიულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის ნათლობა. მაგრამ, იმის გამო, რომ ნათლობა მხოლოდ ქრისტეს სწავლების სწორი აღქმის შემდეგ იწარმოება, ჩვენ დაჟინებით გვირჩევენ ნათლობის ჩატარებას სხვა მორწმუნეთა მეშვეობით, რომლებსაც შეუძლიათ ნათლობის ჩატარებამდე ადამიანის შემეცნების დონის განსაზღვრა. ამიტომ ქრისტედელფიანთა შორის არსებობს ტრადიცია – გულახდილი საუბრის ჩატარება ნებისმიერ ადამიანთან, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ნათლობის მიღება მის ფაქტიურ ჩაყვინთამდე. დაახლოებითი კითხვების ჩამონათვალი მოცემულია ამ წიგნის ყოველი თავის ბოლოს. ისინი შესაძლოა გამოყენებული იყვნენ ამგვარი საუბრის საფუძვლად. ქრისტედელფიანები მოგზაურობენ ათას მილის სიშორეთ, რათა დაეხმარონ მხოლოდ ერთ ადამიანს ნათლობის მიღებაში. ჩვენ უსაზღვრო სიხარულს განვიცდით, როდესაც კიდევ ერთ ადამიანს მიეცემა მარადიული სიცოცხლის იმედი. ჩვენ არ

ვფიქრობთ მონათლულთა რაოდენობაზე, ჩვენთვის მთავარია ხარისხი, და არა რაოდენობა.

10.3 ნათლობის მნიშვნელობა

ნათლობა წყალში ჩაშვების გზით ჩვენ სამარეში შესვლასა და ქრისტეს სიკვდილთან დაკავშირებას ნიშნავს, და ასევე წინამავალ ცოდვილ ცხოვრების "სიკვდილს". წყლიდან გამოსვლა ქრისტეს აღდგომასთან გვაკავშირებს და მარადიული სიცოცხლის იმედს გვაძლევს, ასევე გვაუწყებს ახალი ცხოვრებისა და ცოდვის დამარცხების შესახებ, ქრისტეს გამარჯვების გამო სიკვდილითა და აღდგომით.

"ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ (ე. ი., ვიცხოვროთ) სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში (ნათლობით), ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას" (რომ 6:3-5).

რადგან ხსნა შესაძლოა მხოლოდ ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის მეშვეობით, მაშინ პირად ხსნისათვის აუცილებელია ამ მოვლენებთან დაკავშირება. სიმბოლური სიკვდილი და აღდგომა ქრისტესთან, რომელიც ჩვენ ნათლობას გვაძლევს, მასთან დაკავშირების ერთადერთი საშუალებაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ წყლით მოსხურება არ გვაძლევს ამ წესის განხორციელებას. ნათლობის დროს "ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი (ძველი ცხოვრება)" (რომ 6:6). ღმერთმა "მკვდრები გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად" (ეფეს 2:5) ნათლობის დროს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ნათლობის შემდეგ ჯერ კიდევ ადამიანური ბუნება გაგვაჩნია და ამიტომ ხორციელი ცხოვრების წესი გავლენას ახდენს ჩვენზე. ჩვენი სხეულის "ჯვარცმა" განუწყვეტელი პროცესი იქნება, რომელიც ნათლობით მხოლოდ იწყება. ამიტომ იესო ეუბნეოდა მორწმუნეებს, მიბაძონ მას და მოჰქონდეთ

საკუთარი ჯვარი ყოველ დღე (ლუკ 9:23; 14:27). როცა ცხოვრება ქრისტეს სახელით რთულია, მაშინ უსაზღვრო შვება და სიხარული აავსებს ხალხთა გულებს ქრისტეს აღდგომასთან ერთობის მეშვეობით. ქრისტემ მშვიდობა მოიტანა "მისი ჯვრის სისხლით" (კოლ 1:20) – "ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონაბას აღემატება" (ფილ 4:7). ამის მიმართ ქრისტემ თქვა: "მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩვენს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ" (იოან 14:27). ეს სამყარო და ჭეშმარიტი სულიერი სიხარული აჭარბებს ქრისტესთან შეერთების სირთულეებსა და ტკივილს: "რადგან, როგორც ქრისტეს ტანჯვანი არიან მრავლად ჩვენში, ასევე მრავლდება ჩვენი ნუგეშისცემა ქრისტეს მიერ" (2 კორ 5).

ჩვენც ასევე გვეუფლება თავისუფლება, როდესაც ვიგებთ, რომ ჩვენი ბუნებრივი "მე" მოკვდა და ამიტომ იესო ჩვენთან ერთად განიცდის ყველა ჩვენს გაჭირვებას. პავლე მოციქულმა, რომელსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა, თქვა: "მე ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული. მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ ხორციელად ვცოცხლობ, რწმენით ვცოცხლობ ღვთის ძეში" (გალ 2:19-20).

"რაც იყო ხატება ნათლისღებისა, რომელიც ამჟამად თქვენ გიხსნით... იესო ქრისტეს აღდგომით" (1 პეტ 3:21), იმიტომ რომ ჩვენი კავშირი ქრისტეს აღდგომასთან გვაძლევს მარადიული სიცოცხლის საშუალებას მის დაბრუნებისას. მხოლოდ ამ აღდგომაში მონაწილეობით ჩვენ საბოლოოდ გადავრჩებით. იესომ ეს მარტივად გამოხატა: "რადგან მე ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ" (იოან 14:19). პავლემ თქვა ასევე: "მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს... გადავრჩებით მისი სიცოცხლით (აღდგომით)" (რომ 5:10). არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ ქრისტეს სიკვდილთან და ტანჯვასთან დაკავშირებით, ჩვენ, უეჭველად, გავიზიარებთ მის ბედს აღდგომისას:

– "თუ მასთან დავიხოცეთ, მასთან ერთად ვიცოცხლებთ. თუ მოვითმენთ, მასთან ერთად ვიმეფებთ" (2 ტიმ 2:11, 12).
– "მუდამ სხეულში ვატარებთ უფალ იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლე ჩვენს სხეულში გამოჩნდეს... რაკი ვიცით, რომ, ვინც აღადგინა უფალი იესო, ჩვენც აღგვადგენს იესოსთან ერთად" (2 კორ 4:10, 14).

– პავლე მოციქულმა თქვა: მივიღო "მის (ქრისტეს) ტანჯვებში მოზიარეობა და, მის სიკვდილს ვემსგავსო; რათა, როგორმე მივწვდე მკვდრეთით აღდგომას", ე. ი., აღდგომას მარადიული სიცოცხლისათვის, როგორც ქრისტე ქადაგებდა (ფილ 3:10, 11; შდ. გალ 6:14).

10.4 ნათლობა და ხსნა

ნათლობა, რომელიც ქრისტეს სიკვდილთან გვაკავშირებს, ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია პატიების მიღება. ჩვენ შეგვიძლია ჩვენს მიმართ მივიღოთ პავლეს შემდეგი სიტყვები: "... მასთან ნათლისღებით დამარხულები მასთანვე აღდექით ღვთის ძალისადმი რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით. თქვენც, მკვდრები შეცოდებებში... მასთან ერთად და მოგვიტევა ყველა შეცოდება" (კოლ 2:12, 13). ჩვენ "განიბანეთ... ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით" (1 კორ 6:11) – ე. ი., ნათლობა იესოს სახელით ცოდვისაგან განწმედის საშუალებაა. ნაწილში 10.2 ნათქვამია, რომ ნათლობით ჩვენ ცოდვებისაგან ვიწმიდებით (შდ. საქ 22:16). მორწმუნეთა აღწერა, რომელთა ცოდვები ქრისტეს სისხლით იწმიდება, ნათლობის წესს მიეკუთვნება (გამოცხ 1:5; 7:14; ტიმ 3:5). ისინი ამის შესახებ საუბრობენ როგორც "აღორძინების აბაზანაზე" და ამასთანავე მიუთითებენ "შობას წყლისაგან" ნათლობის დროს (იოან 3:5).

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ნათელია პეტრე მოციქულის პასუხი საკითხზე: "როგორ მოვიქცეთ?" (რათა გადავრჩეთ). "მოინანიეთ და ყოველი თქვენთაგანი მოინათლოს იესო ქრისტეს

სახელით ცოდვების მისატევებლად" (საქ 2:37, 38). ნათლობა ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად არის მოცემული; ამის გარეშე შეუძლებელია პატიების მიღება. ამიტომ, მოუნათლელი ხალხი მიიღებს საზღაურს ცოდვების გამო – სიკვდილს (რომ 6:23). არ არსებობს ხსნა იესოს სახელის გარდა (საქ 4:12), და ჩვენ შეგვიძლია დავუკავშირდეთ ამ სახელს ნათლობის გზით. ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ არაქრისტიანულ რელიგიებს არ შეუძლიათ ხსნის მიცემა. არცერთი ბიბლიის ნამდვილი მორწმუნე არ აღიარებს, რომ მას შეუძლია ხსნის მიღება სხვა გზით; და თუ კათოლიციზმი და სხვა მოძრაობა ამტკიცებს ამას, ეს მათი წმიდა წერილისადმი დამოკიდებულების გამოხატვაა. ქრისტეს აღდგომა მარადიული სიცოცხლისათვის, მისი პირადი გამარჯვების ცოდვაზე ნიშანი იყო. ნათლობით ჩვენ ვუკავშირდებით ამ გამარჯვებას, და ამიტომ ჩვენს შესახებ ნათქვამია, როგორც ქრისტესთან ერთად აღდგომილნზე და ცოდვა ვერ დაგვეუფლება ჩვენ, როგორც მას ვერ დაეუფლა. ამრიგად, ნათლობის მეშვეობით ჩვენ ცოდვებისაგან ვთავისუფლდებით; "ცოდვა ვეღარ იმეფებს თქვენზე" ნათლობის შემდეგ (რომ 6:8, 14). მაგრამ, ნათლობის შემდეგაც ჩვენ ცოდვას ვიდენთ (1 იოან 1:8, 9). ცოდვას შეუძლია კვლავ შეგვიპყროს, თუ ჩვენ ქრისტეს მოვცილდებით. ამიტომ, ჩვენ ამჟამად ვიზიარებთ ქრისტეს სიკვდილსა და წამებას, თუმცა ნათლობა გვაკავშირებს ჩვენ ქრისტეს აღდგომასთან, რომელსაც, როგორც ვიმედოვნებთ, ჩვენ გავუზიარებთ მას დაბრუნებისას.

"ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება" (მარკ 16:16) ქრისტეს მეორე მოვლენის დროს. საბოლოო ხსნა მაშინვე არ მოდის, იგი განკითხვის დროს მიიღება, იმ შემთხვევაში თუ ჩვენ არ მივიღებთ ხსნას ნათლობის დროს. "ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება" (მათ 10:22).

ნათლობის შემდეგაც კი პავლე მოციქული (და ყველა ქრისტიანე) მიისწრაფვოდა ხსნისაკენ (ფილ 3:10-13; 1 კორ 9:27). იგი მარადიული სიცოცხლის <u>იმედზე</u> ქადაგებდა (ტიტ 1:2; 3:7; 1 თეს

5:8; რომ 8:24) და ჩვენს "ხსნის დამკვიდრების" შესახებ (ებრ 1:14). განკითხვის დროს მართლმორწმუნე მარადიულ სიცოცხლეს მიიღებს (მათ 25:46). პავლეს შესანიშნავი, შთაგონილი ლოგიკა მჟღავნდება ლექსებში რომაელთა მიმართ (რომ 13:11) – იგი ამბობს, რომ ნათლობის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება, რომ ჩვენი ცხოვრებისა და ტანჯვის ყოველი დღე გვაახლოვებს ქრისტეს მეორე მოსვლასთან და ჩვენ შეგვიძლია გავიხაროთ "ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენი ხსნა, ვიდრე მაშინ, როცა ვირწმუნეთ". აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს ამჟამად ხსნა. ის – პირობაა; ჩვენ გადავრჩებით, თუ გვექნება მყარი რწმენა (ებრ 3:12-14), თუ აღვიქვავთ სახარების ძირითად დებულებებს (1 ტიმ 4:16; 1 კორ 15:1, 2) და, თუ ჩვენი დიდი იმედის შესაბამისად მოვიქცევით (2 პეტ 1:10).

ბერძნული ზმნა "ხსნა" ზოგჯერ ხანგრძლივ დროში გამოიყენება (იგულისხმება ინგლისური გრამატიკა), და ამით ხანგრძლივ პროცესს აღნიშნავს, რომელიც ჩვენში მიმდინარეობს, სახარების აღთქმის განუწყვეტელ დაცვაში. ასე მორწმუნეთა შესახებ ამბობენ, როგორც "გადარჩენილების" შესახებ და ითვალისწინებენ დამოკიდებულებას სახარებისადმი (1 კორ 1:18; სხვა მაგალითები გვხვდება საქ 2:47 და 2 კორ 2:15). იგივე ბერძნული სიტყვა "ხსნა" გამოიყენება მხოლოდ წარსულ დროში დიდი ხსნის მიმართ, რომელიც ქრისტემ გახადა შესაძლო ჯვარზე და რომელსაც ჩვენ ვუკავშირდებით ნათლობის მიღებით (2 ტიმ 1:9; ტიტ 3:5).

ამ ყველაფერს ადასტურებენ ღვთის საქმეები ისრაელიანების მიმართ, რომლებიც საფუძველს უქმნიან მისა და სულიერი ისრაელიანების (ე. ი., მორწმუნეთა) დამოკიდებულებას. ისრაელიანები გამოვიდნენ ეგვიპტიდან, რომელიც ცრუ რელიგიას წარმოადგენდა, სამყაროდან, რომელთანაც ჩვენ ვართ დაკავშირებულნი ნათლობამდე. მათ გადაიარეს წითელი ზღვა და სინაის უდაბნო და შევიდნენ აღთქმულ ქვეყანაში, სადაც ღვთის სამეფო შექმნეს. მათი წითელი ზღვის გადასვლა ჩვენი ნათლობით არის გასულიერებული (1 კორ 10:1, 2); ჩვენი ცხოვრებისეული

სირთულეებით და ღვთის სამეფო ქანაანით. იუდას წერილში (ლექსი 5) ნათქვამია იმის შესახებ, რომ ბევრი მათგანი დაიღუპა ამის შემდეგ: "უფალმა იხსნა ხალხი ეგვიპტეს ქვეყნიდან და შემდეგ დაღუპა ურწმუნონი". ამრიგად, ისრაელიანნი "ხსნილნი" იყვნენ ეგვიპტედან, ასევე როგორც ყველა მონათლული "იხსნა" ცოდვისაგან. თუ ერთ ისრაელიანს მათ რიცხვიდან შევკითხოდით: "თქვენ გიხსნეს?", იგი გვიპასუხებდა: "დიახ", მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი <u>სავსებით</u> იხსნა ღმერთმა.

როგორც ისრაელიანებმა თავის გულებში კვლავ მიმართეს ეგვიპტეს (საქ 7:39), ცრუ რელიგიის სამყაროს, ასევე "გადარჩენილებს" ცოდვისაგან შეუძლიათ ნათლობის წესით მოსცილდნენ იმ "კურთხევას", რომელშიც ამჟამად იმყოფებიან. ამგვარი გამეორების შესახებ ნათქვამია 1 კორ 10:1-12; ებრ 4:1, 2; რომ 11:17-21. წმიდა წერილში უამრავი მაგალითი არის მოყვანილი იმ ხალხის შესახებ, რომლებიც ოდესღაც "ხსნილნი" იყვნენ ცოდვისაგან ნათლობის მეშვეობით და მოგვიანებით ცოდვა ჩაიდინეს, რაც მათ გაკიცხვას ნიშნავს იესოს დაბრუნებისას (მაგ., ებრ 3:12-14; 6:4-6; 10:20-29). "სახარების" მსახურთა ამგვარი მტკიცება, "ერთხელ ხსნილნი – სამუდამოდ ხსნილნი" ამჟღავნებს მათ ხორცის დამაკმაყოფილებელ თაყვანისმცემლობის ნამდვილ სახეს.

როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, აუცილებელია თანაზომიერების გრძნობა, რათა გავიგოთ, თუ რამდენად ვართ "ხსნილნი" ნათლობის მეშვეობით. ნათლობა თავის თავად არ უნდა იყოს განხილული, როგორც ჩვენი ხსნის <u>გარანტი</u> – მისი უფრო საიმედო მიღება, ვიდრე ეს შესაძლო იქნებოდა ნათლობის გარეშე. ჩვენი ყოფნით "ქრისტეში" ჩვენ საკუთარ თავს ვიხსნით პრესპექტივაში; ჩვენ ღვთის სამეფოში ყოფნის <u>რეალური</u> იმედი გვექნება, თუ დავიცავთ ქრისტეში ყოფნას. ნათლობის შემდეგ ნებისმიერ დროს ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ შევალთ სამეფოში ქრისტეს დაბრუნებისას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია

დარწმუნებულნი ვიყოთ ამაში, რადგან შესაძლოა ცოდვა ჩავიდინოთ; ჩვენ არ ვიცით ჩვენი პირადი სულიერი მომავალი ამ ცხოვრებაში.

იმ დროს, როცა ნათლობა სიცოცხლისათვის საჭირო აუცილებლობას წარმოადგენს ხსნის მისაღებად, რომელიც იესო ქრისტეს ჰქონდა, ჩვენ სიფრთხილე გვმართებს იმის გაგებაში, რომ მხოლოდ ნათლობის ერთი "აქტით" გადავრჩებით. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ქრისტეს ჯვარცმის თანაგრძნობით ცხოვრების აუცილებლობაზე: "ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში" (იოან 3:5). ამ სიტყვების შედარება პეტრე მოციქულის სიტყვებთან (1 პეტ 1:23) ამჟღავნებს, რომ სულის შობა, რომელიც ნათლობის შემდეგ ხდება, უნდა ეკუთვნოდეს ჩვენ განუწყვეტლივ აღორძინებას სულისაგან/სიტყვისაგან. ხსნა არ არის განპირობებული მხოლოდ ნათლობით – იგი კურთხევის (ეფეს 2:8), რწმენის (რომ 1:5) და იმედის (რომ 8:24) შედეგია. ზოგჯერ წინააღმდეგობა ისმის, რომ ხსნა მხოლოდ რწმენით შესაძლოა მოიპოვო, აქედან გამომდინარე, ნათლობა არ არის აუცილებელი. მაგრამ იაკობ მოციქულმა (2:17-24) აშკარად თქვა, რომ ამგვარი მტკიცება განსაზღვრავს არასწორ სხვაობას რწმენისა და საქმეების შორის; ჭეშმარიტი რწმენა, მაგალითად, სახარებისადმი, საქმეთი ამტკიცებს თავის უეჭველობას, ე. ი., ნათლობით. "საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით" (იაკობ 2:24). ზოგიერთ შემთხვევაში მორწმუნენი კითხულობდნენ, რა უნდა "გააკეთონ", რათა ხსნილნი იყვნენ: პასუხი ყოველთვის შეიცავდა სიტყვას "ნათლობა" (საქ 2:37; 9:6; 10:6; 16:30). ამიტომ ნათლობის "მიღება" – ხსნისადმი ჩვენი რწმენის გამოხატვას ნიშნავს. ჩვენ ხსნას, საბოლოოდ, ღმერთი და ქრისტე მოგვანიჭებენ, მაგრამ ჩვენ უნდა "მონანიების ღირსი საქმეები ვაკეთოთ" (საქ 26:20; შდ. მარკ 16:15, 16).

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვები ცოდვისაგან განწმედის შესახებ ეკუთვნის ჩვენს პატიებას უფალ ღმერთით ქრისტეში ნათლობის შემდეგ. ბიბლიაში ნათქვამია, რომ ცოდვებისაგან ჩვენ რწმენითა და

მონანიებით ვიწმინდებით (საქ 22:16; გამოცხ 7:19; იერემ 4:14; ეს 1:16), სხვა ლექსებში ღმერთი მჟღავნდება, როგორც ჩვენი ცოდვების განწმედი (ეზეკ 1:16; ფსალმ 51:2, 7; 1 კორ 6:11). ეს დამაჯერებლად მოწმობს იმის შესახებ, რომ თუ ჩვენ ვასრულებთ ჩვენი რწმენის გარკვეულ ნაწილს ნათლობით, მაშინ ღმერთი გაგვბანს ცოდვებისაგან. ამრიგად, ნათლობის "მოქმედება" ან "აქტი" წარმოადგენს მნიშვნელოვან საფეხურს მის სიტყვაში მოვლენილ კურთხევის აღქმაში.

გადახვევა 30: განმეორებითი ნათლობა

ზოგიერთი ხალხი ნათლობის მიღებისადმი თავშეკავებას გამოხატავს, რადგან თვლის, რომ ოდესღაც უკვე მიიღო ნათლობა: ან ბავშვობაში წყლის მოსხურებით, ან წყალში სრული ჩაყვინთით სხვა ეკლესიების ხელმძღვანელობით. მაგრამ, ნათლობის მიღებამდე აუცილებელია მონანიება და გულწრფელი რწმენა სახარებისადმი (საქ 2:38; მარკ 16:15, 16). ნათლობა მაშინაც ხდება, როცა მორწმუნე ჩაყვინთამდე ამ ყვალაფერს ითვალისწინებს. ბავშვს არ შეუძლია არც მონანიება და არც სახარების შეცნობა; ნაბისმიერ შემთხვევაში წყლის მოსხურება არ წარმოადგენს ნათლობას. მცურავს შეუძლია ჩაყვინთოს ბასეინში, მაგრამ ეს ნათლობა არ არის, რადგან ის გონებაში არ აკავშირებს ამას სახარებასთან. ეს ასევე ეკუთვნის იმ ხალხს, ვინც ეშვება წყალში რწმენით არასწორი დოგმებისადმი; ისინი ყვინთავენ, მაგრამ არ ინათლებიან.

არსებობს მხოლოდ "ერთი რწმენა", ე. ი., ერთი სარწმუნოება, რომელსაც ჭეშმარიტი სახარება შეიცავს და, აქედან გამომდინარე, არსებობს მხოლოდ "ერთი ნათლობა" – ნათლობა, რომელიც ხდება, როდესაც ადამიანს "ერთი რწმენა" გააჩნია. "ერთი სხეული (ე. ი., ერთი ჭეშმარიტი ეკლესია) და ერთია სული, როგორც ხართ კიდეც მოწოდებულნი თქვენი მოწოდების ერთი იმედით. ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება" (ეფეს 4:4-6). არ არსებობს ორი იმედი, როგორც ისინი თვლიან, ვინც ამბობს,

რომ არა აქვს მნიშვნელობა, სად მიიღებ საზღაურს ცაში თუ დედამიწაზე. არსებობს მხოლოდ "ერთი" ღმერთი – ამიტომ, იესო ღმერთი არ არის. აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ნათლობას ვიღებთ, ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენა ასეთ ძირითად დებულებებზე, როგორიცაა ღვთის სამეფო, ღმერთისა და იესოს ბუნება და ა. შ., აქედან გამომდინარე, ჩვენი პირველი "ნათლისღება" ჭეშმარიტი არ იყო.

იოანე ნათლისმცემელი მოუწოდებდა ხალხს ცოდვათა მისატევებლად და ასწავლიდა იესოს შესახებ (მარკ 1:4; ლუკ 1:77). მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მოციქულთა საქმეებში (19:1-5) ნათქვამია იმ ხალხთა შესახებ, რომლებიც იოანემ მონათლა და შემდეგ მათ კვლავ მიიღეს ნათლობა, რადგან მეორე ნათლობამდე სავსებით ვერ აღიქვამდნენ ზოგიერთ დებულებებს. მათ მსგავსად ჩვენც წყალში ჩაშვების დროს გულწრფელად მოვინანიეთ და დავუდეთ საწყისი ახალ ცხოვრებას. ეს შესაძლოა ასე არც არის, მაგრამ ამით არ ჩამოგვერთმევა აუცილებლობა მივიღოთ "ერთი (ჭეშმარიტი) ნათლობა", რომელიც შესაძლოა მოხდეს მხოლოდ "ერთი რწმენის" ყველა დებულებების მიღების შემდეგ.

გადაწვევა 31: ცოდნის აუცილებელი დონე ნათლობის მიღებამდე

უამრავი მკითხველი შეხვდება წინააღმდეგობას "სახარებისეული ეკლესიების" მომხრეთა მხრიდან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნათლისღებისათვის სწავლება აუცილებელი არ არის და უბრალო ახსარება: "მე მწამს, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა", საკმარისია ხსნისათვის. პირველი შეხედვით, ეს დამაჯერებლად გამოიყურება, იმის გამო, თუ როგორ არის აღწერილი ხალხის მობრუნება რწმენისაკენ და მიმზიდველია "სიყვარულისა" და "მოთმინების" გასაგებად, რომლებიც ჩვენი დროის სულს შეადგენენ. ქვემოთ მოცემულია ზემოთნათქვამის დაწვრილებითი ანალიზი.

<u>რატომ ასე სწრაფად?</u>

უეჭველად, მოციქულთა საქმეების ზედაპირული კითხვის დროს იქმნება შთამეჭდილება იმის შესახებ, რომ ნათლობას წინ უძღვებოდა სახარების ძირითადი დებულებების მოკლე ქადაგება და ნათლისღებისათვის საკმარისი იყო რწმენა ქრისტესადმი, როგორც ღვთის ძისადმი. მაგრამ, აშკარაა, სიტყვების უბრალო წარმოთქმა: "მე მწამს ქრისტე" უაზრო იქნება ხსნის გზისაკენ და უამრავი მორწმუნენი იტყვიან, რომ ამ ადამიანს ესაჭიროება წმიდა წერილის საფუძვლიანი ცოდნა ამ სიტყვების გასაგებად. ამ მტკიცების დადასტურება სირთულეს არ წარმოადგენს. რთულია არ დაეთანხმო იმ ადგილებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ ქრისტეს, როგორც ღვთის ძეს, რწმენის ახსარება – ყველაფერს აუცილებელს შეიცავს ხსნისათვის. საკმარისია მხოლოდ საღი გონება იმის მტკიცებისათვის, რომ ერთი მოკლე წინადადების წარმოთქმა, გრძნობის გამოხატვისა და რწმენის გარეშე, არ მიუთითებს ადამიანს ხსნის გზას. ქვემოთმოყვანილი სტრიქონები სასარგებლოა რწმენის ასე სწრაფ მიღების ასახსნელად:

– მოციქულთა საქმეებში მოყვანილი გადმოცემა, ასევე როგორც წერილის უმრავლეს ნაწილში აუცილებლობის გამო ძალზე შესლუდულია. საინტერესოა საქმეებში მოყვანილი ზოგიერთი მონოლოგების კითხვა და იმ დროის მოზომვა, რომელიც ამისთვის დაგვჭირდება. რასაკვირველია, რეალურ პირობებში ისინი უფრო მეტ დროს დაიკავებენ, იმის ჩათვლით, რაც აქ არის მოხსენებული. რამოდენიმე მაგალითი:

პავლეს სიტყვა იერუსალიმში იკავებს 4 წუთს (საქ 22), იგივე ფელიქსის წინაშე – 1 წუთი; ანანიას წინაშე – 4 წუთი; კორნელიოსის წინაშე – 3 წუთი; ქრისტეს სიტყვა 5000 კაცის გაძღომის შემდეგ (იოან 6) – 6 წუთი, ქადაგება მთაზე – 18 წუთი. პეტრეს ქადაგება (საქ 3:12-26) ხმამაღლა კითხვით 2 წუთი გრძელდება, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა მის ქადაგებას ხალხის წინაშე, სანამ მათ მოძღვარი, ტაძრის

მეთაური და სადუკეველნი თავს დაადგებოდნენ (საქ 4:1). ამრიგად, ის ფაქტი, რომ უფრო ხანგრძლივი დროით მითითება ნათლობამდე არ არის მოხსენებული, არ ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა ადგილი. დუმილზე დაფუძვლებული არგუმენტი ამ შემთხვევაში საეჭვოა.

– ფლობა "სულის (აზრის) გაგების... ნიჭის" აძლევდა მქადაგებლებს იმ ხალხთა ფიქრების კითვის საშუალებას, ვისაც ისინი მიმართავდნენ ქადაგებით და ამით ზედმეტი ხდება სრული თეოლოგიური ინტერვიუ, რომელიც ჩვენ ასე გვჭირდება.

– ებრაელთა მასიური ნათლობა იერუსალიმში ქრისტიანობის ადრინდელ პერიოდში განსაკუთრებული მოვლენა იყო. არ არსებობს მტკიცება, რომ ნათლობის ამდენ რაოდენობას ჰქონდა ადგილი მოგვიანებით პირველ საუკუნეში, ერთ რწმენიდან მეორეში გადასვლაც თუ ამგვარი ტემპებით მოხდებოდა, იერუსალიმის მოსახლეობა ქრისტიანებად იქცეოდა რამოდენიმე წელში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ებრაელებს ძველი აღთქმისა და უფლის გზების კარგი ცოდნა ჰქონდათ. პავლესი და პეტრეს წერილების ღრმა აზრი გვიჩვენებს, რომ მათ მკითხველებს ძველი აღთქმის მითითების სწრაფი აღქმის უნარი გააჩნდათ, უცნაურია, რომ პავლე მელქისედეკზე საუბრის დროს წუხდა, რათა არ შეეძლო უფრო დაწვრილებით მოეყოლა მის შესახებ მსმენელთა სულიერი უსუსურობის გამო (ებრ 5:11, 12). ეს მათ ცოდნის დონეზე მეტყველებს სარწმუნოების ცვლილების დროს და პავლე ადანაშაულებს მათ სულიერი შეუცნობლობის გამო. როგორც ჩანს, ის წერილები დაწერილი იყვნენ თავდაპირველად იერუსალიმის ეკლესიისათვის, რომლის წარმომადგენელნი უმეტესად მონათლულნი იყვნენ.

– ჩვენ გვინდა გაჩვენოთ, რომ ქრისტიანობის ქადაგება და სარწმუნოება, როგორც საქმეებში არის ნათქვამი ამის შესახებ, უტოლდებოდა სწავლების საფუძველების დაწვრილებით ცოდნას.

– 1 კორ 1:17 აშკარავდება, რომ პავლე (როგორც სხვა მოციქულნი) მოქმედებდა მქადაგებლებისა და ნათლობის მომხრე აქტიურ ჯგუფთან ერთად, რომლებსაც ევალებოდათ ნათლისღების ჩატარება, ასე რომ იგი შედარებით მოკლე დროს ატარებდა იმ ადგილებში, სადაც ქადაგებდა.

<u>იესოს სახელი</u>

უფლის სახელისა და გზების შესახებ ბევრია ნათქვამი. სიტყვები, რომლებიც პირადად ღმერთსა და მის ტიტულებს ეკუთვნიან, გამოხატავენ მის ხასიათსა და განზრახვებს. იესო ქრისტეს სახელი არამარტო გამოყოფს მას, როგორც პიროვნებას, არამედ ასევე უფრო დაზუსტებით აღნიშნავს მის სწავლებას.

"ფილიპე... მათ უქადაგებდა ქრისტეს" (საქ 8:5); ამ სიტყვებში იგულისხმება "გწამდეთ ქრისტე", ხოლო "ქრისტე" განსაზღვრულია მოციქულთა საქმეებში ამრიგად (8:12): "მაგრამ როცა ერწმუნენ ფილიპეს, რომელიც ახარებდა ღვთის სასუფეველსა და იესო ქრისტეს სახელს, ინათლებოდნენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც". კავშირი "და" (გამოყენებული სიტყვებში ღვთის სასუფეველისა და იესო ქრისტეს შსახებ) მეტყველებს მრავლობით რიცხვზე, აქ არ გვაქვს მოკლე შეტყობინება ქრისტეს შესახებ; და ამასთანავე სიტყვები, "ახარებდა იესო ქრისტეს სახელს", ასევე შეიცავენ ნათლობის დებულებებს. იოანე (6:40) მეტყველებს ღვთის ნებაზე "რომ ყველას, ვინც ძეს იხილავს (გაუგებს) და ირწმუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს". მოგვიანებით იესომ თქვა: "ვისაც სურს აღასრულოს მისი (ღმერთის) ნება, იგი შეიტყობს ამ მოძღვრებას" (იოან 7:17). ამრიგად, მოძღვრების ცოდნა გულისხმობს ძის "ხილვას". ქრისტეს ამგვარი სიტყვები: "შენ... შეინახე ჩემი სიტყვა და არ უარყავი ჩემი სახელი" (გამოცხ 3:8), ასევე ადასტურებენ, რომ ქრისტეს სიტყვა პარალელურად დგას მის სახელთან. ქრისტე შთაგონილად ციტირებს ესაიას (42:4): "მის (ქრისტეს) რჯულს მოელიან ზღვისპირელნი", ხოლო სტრიქონი "და მის სახელს მოენდობიან

ხალხები” (მათ 12:21) კვლავ ათანასწორებს მის სახელს სახარებასთან მის შესახებ. იოანეს მეორე და მესამე წერილი შეიცავს მითითებებს მოგზაურე მქადაგებლების შესახებ: “კარგს იზამ, თუ ღვთის წინაშე ღირსეულად გამოისტუმრებ” (3 იოან 6, 7). როგორც ჩანს, იგულისხმება მარკოზის მისია (16:15, 16) – წასვლა წუთისოფელში და სახარების ქადაგება. ამრიგად, ქრისტეს სახელი და მისი სახარება გათანასწორებულია. აქედან გამომდინარე, ბიბლიის მიხედვით, ქრისტეს რწმენა ნათლობის მიღებას ნიშნავს: “ვინაიდან თქვენ ყველანი ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმენით. ვინაიდან, რაკი ყველა მოინათლეთ ქრისტეში, ქრისტეში შეიმოსენით” (გალ 3:26, 27). პავლეს სიტყვებიდან გამომდინარე, მათი რწმენა ქრისტეში, ბუნებრივია, შეიცავს ამ რწმენის გამოხატვას ნათლობის მეშვეობით. ამგვარად, რწმენა ქრისტეში გაგების პროცესია, რომელიც მორჩილებისაგან, და არა სიტყვიერ აღიარებისაგან შედგება: “მე მწამს ქრისტე”. ამას ადასტურებენ იოანეს სიტყვები 6:35: “ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება”, რაც ათანასწორებს ქრისტეს რწმენას მის მოსვლასთან და ამით ამტკიცებს, რომ რწმენა – პროცესია.

ქადაგება “ქრისტეს” შესახებ, აქედან გამომდინარე, შეიცავს ძირითად დებულებებთა რიგს. ასე ლუკა (9:11) აღწერს, თუ როგორ ქადაგებდა ქრისტე ღვთის სასუფეველის სახარების შესახებ (შდ. მათ 4:23), ხოლო მარკოზი (6:34) გვაცნობს იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლიდა იგი მათ “მრავალს”. სახარებაში გამოყენებულია სიტყვა “მრავალი”, აქ არ არის ნათქვამი მოკლე უწყებაზე ქრისტეს შესახებ, რომლის გადმოცემა ერთ წუთში შესაძლოა. ამრიგად, ჩვენ ვკითხულობთ ასეთ ფრაზებს, როგორიცაა: “სახარებას უქადაგებდნენ ამ ქალაქს, მრავალი დაიმოწაფეს...” (საქ 14:21), სადაც გამოყენებულია თანასწორი სიტყვები “ქადაგება” და “შესწავლა”. სიტყვების ამგვარი გამოყენება არ იქნებოდა საჭირო, თუ სახარება მხოლოდ რამოდენიმე მარტივი დებულებისაგან შედგებოდა. ბერიაში, პავლეს ქადაგების შემდეგ, ხალხი ყოველდღე არჩევდა წერილებს, რათა

დარწმუნებულიყო ნამდვილად აე თუ არისო (საქ 17:11). სახარება, რომლითაც პავლე სარგებლობდა ქადაგების დროს, ამიტომ დამყარებული იყო ძველ აღთქმაზე. ხალხს სწამდა მისი, მათ შეისწავლეს ბიბლია პავლეს მოსმენის შემდეგ. "ბევრმა ირწმუნა მათგან" (საქ 17:12). რადგან ჩვენ გვაქვს საქმე ბიბლიის კარგად შეცნობილ ხალხთან, რომლებიც არ შეისწავლიან მას რეგულარულად ქადაგების მოსმენისა და განხილვის შემდეგ, მაშინ არ არის საკვირველი, რომ საჭიროა უფრო მეტი დრო მის შესასწავლათ, ვიდრე ეს ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში ხდებოდა. "ყველა, ვისაც სწამს, რომ იესო ქრისტეა, ღვთისგან არის შობილი" (1 იოან 5:1), სრულიად შეესაბამება ლექსებს: "მან თავისი სურვილით გაგვაჩინა ჩვენ ჭეშმარიტების სიტყვით" (იაკ 1:18). "ხელახლად შობილნი... ღვთის სიტყვის მიერ... ეს კი ის სიტყვაა, თქვენ რომ გეხარათ" (1 პეტ 1:23, 25). ამით აშკარავდება, რომ რწმენა ქრისტეს, ღვთის ძის მიმართ – ადასტურებს, რომ სახარება ღვთის სიტყვას წარმოადგენს.

<u>სამეფოს მეფე</u>

სახელი "ქრისტე" ზოგიერთგან შესაძლოა წაკითხული იყოს, როგორც ქრისტეს სამეფოს სინონიმი. ამის გამო, შესიტყვებას "რწმენა ქრისტეში" ენიჭება განსაკუთრებული აზრი. უფალმა უთხრა ფარისეველებს, რომ მათთვის არ არის აუცილებელი მესიის ძებნა, რადგან იგი უკვე მათ შორისაა. იგი გამოხატავს ამას შემდეგი სიტყვებით: "თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი" (ლუკ 17:21) და განსაზღვრავს სიტყვა "სამეფოს" როგორც "სამეფოს მეფეს". იოანე ღვთის სასუფეველის დამყარების ქადაგებისას გვატყობინებს ქრისტეს შესახებ. ქვა, რომელიც კერპს მოხვდა ნაბუქოდონოსორის სიზმარში, ღვთის სამეფოს წარმოადგენდა (დან 2:44). ეს ის ქვა-სამეფოა, რომელიც "შემუსრავს და დააქცევს ყველა (სხვა) სამეფოს". ამგვარ იგავში ეზეკიელი ამბობდა ნაძვის შესახებ, რომელსაც მოსწყდება ნაზი ნაყარი და მთაზე დაითესება, რათა დიდებული ნაძვი ამოვიდეს. "დასახლდება მის ქვეშ ყოველგვარი ფრინველი" (ეზეკ 17:22, 23). ეს, შესაძლოა,

ქრისტეს ეკუთვნის, რომლის შესახებ ესაია მეტყველებს (ეს 53:2), როგორც "მორჩი და როგორც ფესვი ურწყულო მიწიდან". ამასთანავე არსებობს აშკარა კავშირი ქრისტეს იგავთან მდოგვის მარცვლის შესახებ, სადაც ღვთის სამეფო პატარა მარცვალს ედარება, რომელიც დიდძალ ხედ გადაიქცევა და მის ჩრდილში სხვადასხვა ფრინველი დაბინავდება. ეს კავშირი სიტყვასთან სამეფოს შესახებ და თვით იესოს პიროვნებასთან ადასტურებს, რომ იგი მეტყველებდა საკუთარ თავზე როგორც სამეფოს ცოცხალ სიტყვაზე. ამის გამო, "რწმენა ქრისტეში" და ღვთის სამეფოს მთელ სახარების მიმართ – ერთი და იგივეა.

<u>რა არის სახარება?</u>

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილავთ საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ახ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში მორწმუნეთა შორის. ახალი აღთქმის დროს არსებობდა სწავლების წესი, რომელსაც ვერ აღვიქვამთ თანამედროვე სწავლების ანალოგიათ. აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორიც – წინასწარმეტყველობის ნიჭის მქონე ძმების არსებობა – სრული აღთქმის ქადაგება ღმერთისაგან შთაგონილ მდგომარეობაში. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი ამგვარი შთაგონილი გამოთქმა დროთა განმავლობაში ემატებოდა მოძღვრების სისტემას.

<u>მოძღვრების წესი</u>

პავლეს შეეძლო ეთქვა რომაელთა ეკლესიის წევრებთა შესახებ, ყოველ შემთხვევაში, "გულით დაემორჩილეთ იმ სახის მოძღვრებას, რომელსაც თქვენი თავი გადაეცით" (რომ 6:17) ნათლისღებამდე. ბერძნული სიტყვა "წესი" ასევე ნათარგმნია სიტყვებით "მაგალითი" ან "ნიმუში" და ეკუთვნის ფართოდ გავრცელებულ მოძღვრების სისტემას. პავლეს გამოთქმაში სიტყვა "წესი" მიუთითებს ცოდნის გარკვეულ დონის აღქმის მნიშვნელობის აუცილებლობის შესახებ, და არა მხოლოდ მოკლე მტკიცებების გაგებაზე, რომლებიც ნათლობის მიღებამდე არის გამოტანილი. ეკლესიის ზოგიერთ მსახურს ჰქონდა "ღვთისმოსაობის სახე... მის ძალას კი უარყოფენ" (2 ტიმ 3:5), მაგრამ ამასთანავე არ

აღიარებდნენ ჭეშმარიტების რეალურ სიძლიერეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. პავლემ შეახსენა გალატებს: "თვალწინ (მათ) აღიწერა ცხადად იესო ქრისტეს ჯვარცმა" (გალ 3:1). ბერძნული სიტყვა "აღიწერა" სიტყვასიტყვით "წერილობითი სიტყვებით გამოხატულს" აღნიშნავს, თითქოს თავდაპირველი მითითება გალატელთა მიმართ წერილობით იყო გაკეთებული. აღდგომის დოქტრინის განსაზღვრისას პავლემ თქვა: "მე... გადმოგეცით ის, რაც თვითონვე მივიღე, რომ ქრისტე მოკვდა..." (1 კორ 15:3), და ამით გვაჩვენა თუ როგორ მიიღო ღვთის აღთქმა და გადმოსცა იგი ფუძემდებელი დოქტრინის სახით. პავლემ არაორაზროვნად თქვა: "უმჯობესი იქნებოდა არ შეეცნოთ სიმართლის გზა, ვიდრე შეეცნოთ და უკუქცეულიყვნენ მათთვის გადაცემული წმიდა მცნებისაგან... ხოლო ნაბანი ღორი (ნათლობაში) ტალახში საგორაოდ მიდის" (2 პეტ 2:21, 22). აქ სიტყვები "გზა" და "წმიდა მცნება" უკავშირდება გაბანვას ნათლობის დროს, თითქოს გზა და მცნება მანამდე ცნობილი იყო. ჩვენ დავადასტურეთ, რომ არ არსებობდა მცნება ნათლისღებამდე, ამიტომ მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვა "მცნება", შესაძლოა განმარტებული იყოს როგორც გარკვეულად განსაზღვრული მოძღვრების საფუძველი, რომელიც ადამიანს უნდა სცოდნოდა ნათლობის მიღებამდე. ზოგიერთ ადგილში ნათქვამია მოძღვრების "მიღების" შესახებ, დოქტრინისა და "სახარების" შესახებ: გალ 1:9, 12; ფილ 4:9; კოლ 2:6; 1 თეს 1:6; 2:13; 4:1. ეს შეესაბამება იმას, რომ "სახარება" გარკვეული დებულებებისაგან შედგება, რომლებიც ჯერ მოციქულებმა "მიიღეს" და შემდეგ მათ, ვისაც უქადაგეს.

<u>რწმენა</u>

იუდა ასევე საუბრობდა "რწმენის" შესახებ, რომელსაც ერთხელ წმიდანებმა უღალატეს (იუდა 3). სიტყვა "რწმენა", ამრიგად, იხმარება პარალელურად სიტყვებთან "დოქტრინის საფუძვლები", რომლებსაც ისინი ნათლობის მიღებამდე ფლობდნენ. მაგრამ, ახ. წ.

აღ-ის პირველ საუკუნის ლექსიკონში შესაძლოა სხვა ფრაზა ყოფილიყო სწავლების საფუძვლების მიმართ.

პავლეს ქადაგება "მტკიცედ მივყვეთ იმედის აღსარებას" (ებრ 10:23) შესაძლოა ირიბულად ეკუთვნოდეს მათ იმედის აღსარებას ნათლობის მიღებამდე. "სარწმუნო სიტყვის" შენარჩუნება (ტიტ 1:9), პირველ რიგში თითქოს ამ "რწმენის შესახებ განცხადებას" ადასტურებს. სიტყვები "საერთო რწმენაში" (ტიტ 1:4) ამტკიცებენ, რომ სწავლების ძირითადი შინაარსი გაზიარებული იყო მორწმუნეთა შორის; იყო მხოლოდ "ერთი რწმენა" (ეფეს 4:5). ქრისტეს სახელი და რწმენა გაერთიანებულია საქ 3:16. ქრისტეს სახელი – ამავე სწავლების სხვა სათაურია, რომელსაც სიტყვა "რწმენა" შეიცავს. როგორც ცხოვრებისეულ საქმეებში (1 ტიმ 6:10), ასევე მოძღვრებაში (1 ტიმ 4:1) პავლე გვაფრთხილებდა, რომ ზოგიერთნი "განდგებიან რწმენისაგან" ამგვარ რწმენის განდეგილობის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ "რწმენის" განსაზღვრა შეუძლებელია.

<u>პრაქტიკის საკითხები</u>

პრაქტიკის საკითხები ასევე შეადგენდნენ მოძღვრების ნაწილს. "რწმენა ქრისტეში" შეიცავდა მტკიცებას "სამართლიანობაზე, თავშეკავებისა და მომავალ განკითხვაზე" (საქ 24:24, 25). პავლე საუბრობდა პურის გატეხვისა და აღდგომის სწავლების მითითებების შესახებ. "ვინაიდან მე მივიღე უფლისაგან, რაც თქვენც გადმოგეცით" (1 კორ 11:23). არსებობდა პრაქტიკული დებულებების რიგი, რომელიც მოგვიანებით პავლემ განაგრძო და მოძღვრებაში ჩართო, მაგალითად, დებულება დების შესახებ ეკლესიაში: "... ყველაფერში გახსოვართ და ინახავთ მოძღვრებებს, როგორც გადმოგეცით. მაგრამ ასევე მინდა იცოდეთ, რომ... ცოლის თავი – ქმარია..." (1 კორ 11:2, 3). ეს გვაჩვენებს, რომ ამგვარი დებულებების ახსნა ნათლობამდე ხდებოდა და მოძღვრების ნაწილს შეადგენდა. ბერძნული სიტყვა "წესი" ასევე ითარგმნება, როგორც "ტრადიცია" 2 თეს 3:6 და 2:15: "ჩვენ გამცნებთ, ძმებო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ჩამოშორდეთ ყოველ ძმას,

რომელიც უწესოდ იქცევა და არა იმ გადმოცემისამებრ, ჩვენგან რომ მიიღეთ... მტკიცედ იდექით და გეპყრათ გადმოცემები, რომლებიც გისწავლიათ ჩვენი (შთაგონილი) სიტყვით თუ წერილით" (ბიბლიის ინგლისურ გამოცემაში **R.S.V.** სიტყვა "გადმოცემების" მაგიერ გამოყენებულია სიტყვა "ტრადიცია"). ეს ყველაფერი ადასტურებს მოძღვრების შესწავლის აუცილებლობასა და ჩამოშორებას იმ ხალხთაგან ვინც არ იღებს მას: "სარწმუნო სიტყვის მიმდევარი, მოძღვრების მიხედვით, რომ შეძლოს საღი მოძღვრებით შეაგონოს და დაარწმუნოს მოკამათენი" (ტიტ 1:9).

ჩვენ ვიცით, რომ ადრინდელ ეკლესიაში არსებობდნენ "ცრუ წინასწარმეტყველნი", რომლებიც ამტკიცებდნენ ღმერთისაგან გამოცხადების მიღებას დოქტრინის დებულებების შესახებ, რომელთა დამატება აუცილებელია მოძღვრების მიღებულ საფუძვლებთან. ამრიგად, პავლე აღნიშნავს, თუ რომელი გამოცხადებით შთაგონილი "სარწმუნო სიტყვა" (ტიტ 1:9; 3:8; 2 ტიმ 2:11; 1 ტიმ 4:9) ღირსეულია მიღებისათვის (1 ტიმ 1:15; 4:9); ესე იგი, რწმენის დოქტრინაში ჩართვისათვის. ამის გამო, იოანე გვაფრთხილებს: "საყვარელნო! ნუ ენდობით ყოველ სულს, არამედ გამოსცადეთ სულნი, ღვთისაგან არიან თუ არა, რადგან ბევრი ცრუ-წინასწარმეტყველი გამოვიდა წუთისოფელში" (1 იოან 4:1).

<u>ზოგიერთი ამონაწერი</u>

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი აშკარა მაგალითი იმ დებულებების, რომლებიც "ქრისტეს რწმენასთან" დამატებაში, როგორც სახარების ძირითად ნაწილში, მიღებულნი უნდა იყვნენ ნათლობამდე.

– "იმ დღეს, როცა ჩემი სახარების მიხედვით, ღმერთი განიკითხავს ადამიანთა დაფარულ ფიქრებს იესო ქრისტეთი" (რომ 2:16). აქედან გამომდინარე, მოძღვრება განკითხვის

ადგილსამყოფელისა და პასუხისმგებლობის შესახებ წარმოადგენს "პირველ პრინციპს" – იხილე ასევე საქ 24:25, ებრ 6:1, 2.

– დებულება დაცვეთის შესახებ, როგორც ხსნის აუცილებელ პირობას, პავლემ უწოდა "სხვა სახარება" (გალ 1:6). ამრიგად, ჩვენ არ უნდა დავიცვათ მოსეს რჯული, მაგალითად, შაბათის შესახებ – ეს ჭეშმარიტი სახარების ათვისების მნიშვნელოვანი ნაწილია.

– "ახარებს სასუფეველს" – არამარტო ქრისტეს, არამედ მის მომავალ სამეფოს შესახებაც (ეს 52:7; შდ. რომ 10:15) აღწერს მახარობელს, რომელიც ქადაგებს სახარებას და მეტყველებს იმ ჟამზე, როდესაც შეძლებს უთხრას სიონს: "შენი ღმერთი მეფობს", ე. ი., სამეფოში.

– ქრისტეს შესანიშნავი არსებობის სწორი გაგება იყო მეგობრობის საკითხი (2 იოან 7:10). ამის გამო, სახარება შეიცავს მრავალ დებულებებს ქრისტეს შესახებ (საქ 8:12). კვლავ საუბარი ქრისტეში რწმენის შესახებ – აშკარად საკმარისი არ არის.

– სამეფოს აღთქმის მნიშვნელობა – სახარების ცხოვრებისეული ნაწილია, რომელიც წინასწარ ახარა ღმერთმა აბრაამს (გალ 3:8) და ისრაელიანებს (ებრ 4:2). პავლე ეუბნეოდა დავითს აღთქმის ქადაგებაზე, როგორც "ხსნის სიტყვის" შესახებ (საქ 13:23, 26). ამიტომ – ეს ხსნა წმიდა წერილის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ამბობს: "ჩვენ გახარებთ, რომ აღთქმა, რომელიც მამებს მისცა" (საქ 13:32). ამის მსგავსად: "ღვთის სახარებისათვის – თავის ძეზე, რომელიც დავითის თესლისგან იშვა ხორციელად" (რომ 1:1-4).

– აღთქმის გასაგებად საჭიროა ისრაელის ისტორიის გარკვეული ცოდნა. ანტიოქიაში პავლეს ქადაგების შესწავლა (საქ 13) გვაჩვენებს, თუ როგორ აღწერდა იგი ისრაელის ისტორიას, აღთქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმით და

გამოყოფდა მის განხორციელებას იესოში. ამრიგად, მისი ქადაგება დამყარებული იყო ისრაელის ისტორიაზე და, ჩვენი აზრით, მათ "აღწერობითი" სახე ჰქონდა, განკითხვის შედეგების გაფრთხილების ჩათვლით, თუ არ განხორციელდება ის, რის შესახებაც იგი მეტყველებდა.

<u>დასკვნა</u>

ზემოთ ნათქვამის მნიშვნელობის გადაფასება ძნელია: "გაუფრთხილდი თავს და სწავლებას. ამას უერთგულე, რადგან ასეთი მოქმედებით შენს თავსაც იხსნი და შენს მსმენელთაც" (1 ტიმ 4:13-16). მოძღვართა დებულებების ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია ამ წიგნის 1 დანართში, არ არის ამომწურავი, მაგრამ, ავტორის აზრით, ბიბლიის ფურცლებზე მოხსენებულ უამრავ საკითხის შესახებ საკმარის განხილვას იძლევა. მოყვანილ თავში ნაჩვენებია, რომ არსებობს მოძღვრების ძირითადი დებულებების კომპლექსის განსაზღვრის დაჟინებითი აუცილებლობა, რომელსაც ჩვენ ყველა ავიქვამთ და დაუყონებლივ უმტკიცებთ ერთგულებას. ამ დოგმათა ჩამონათვალის შინაარსი თითქოს შეიცავს ჩვენს მითითებებს მათთვის, ვისაც სურს ნათლობის მიღება. სასურველია წყალში ჩაშვებამდე დისკუსიის სახით დავადგინოთ, თუ რამდენად ღრმად აითვისეს მათ ის, რასაც სწავლობდნენ. ხშირად მორწმუნეებს მოუწოდებდნენ "რწმენისაკენ" მათთვის რთულ დროს. "ღმერთის ფუნდამენტი მყარეა". ჩვენმა გაცნობამ მოძღვრების პირველ პრინციპებთან, ღვთის საოცარი განზრახვებთან, თავის თავად, უნდა წაგვახალისოს. წმიდა წერილის მხოლოდ განუწყვეტელ სწავლას და ქადაგებას შეუძლია სარგებლობისა და დარწმუნების ღრმა გრძნობის მინიჭება. პავლეს მსგავსად, მარტოობისა და წუხილის დროს, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ: "კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე". "ვინაიდან ვიცი, ვისაც ვერწმუნე, და მწამს, რომ მას ძალუძს შეინახოს ჩემი საწინდარი (ჩვენი ცხოვრება) იმ დღისათვის" (2 ტიმ 4:7; 1:12).

შენიშვნა: ჩვენი უფალის იესოს აღსარება

“იმიტომ რომ, თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები” (რომ 10:9).

უნდა აღვნიშნოთ:

– ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა, რომ “უფალი იესო” – შესაძლოა მოძღვრებაში სინონიმია “ღვთის სამეფოსი და იესო ქრისტეს სახელის” ნათლობის ჩათვლით (საქ 8:5). სარწმუნოება, რომლის შესახებ პავლე მოციქულმა თქვა – ნათლისღება არისო. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია გავიხსენოთ მოციქული მარკოზი (16:16): “ვინც ირწმუნებს (შდ. აღიარებს) და მოინათლება (შდ. აღდგება მკვდრეთით ქრისტესთან ერთად), გადარჩება”.

– ქრისტეს აღდგომის გააზრება შეიცავს ბიბლიის ცოდნას ჯოჯოხეთისა და ადამიანის ბუნების მიმართ.

– ლექსები რომ 10:8, 9 შეესაბამება ლექსს 13: “რადგან ყოველი, ვინც უფლის სახელს მიუხმობს, გადარჩება”. პავლე აღწერილია ნათლისღების შემდეგ და ამიტომ იგი მოუწოდებს უფალ იესოს სახელს (საქ 22:16); მხოლოდ ნათლობის მიღება გვაძლევს უფალ იესოს სახელის მოწოდების საშუალებას (მათ 28:19).

– რამდენიმე თავით ადრე ნათლისღების მნიშვნელობის ხაზგასმით (რომ 6), წარმოუდგენელია, რომ პავლემ იქადაგოს მე-10 თავში, თითქოს ნათლობა არ არის აუცილებელი ხსნისათვის.

– ლექსებში რომ 10:6-8 ნათქვამია: “ნუ იტყვი შენს გულში: ვინ ავა ზეცაში? ვინ ჩავა უფსკრულში? ახლოა შენთან სიტყვა, შენს ბაგეში და შენს გულში. ესე იგი, რწმენის სიტყვა, რომელსაც ვქადაგებთ. აქედან გამომდინარე, “რწმენის სიტყვა” ნიშნავდა იმას, რაც უნდა აღიარებულიყო და შეესაბამებოდა სიტყვებს “უფალი იესო” ლექსში 9. ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ “რწმენა” შეიცავს სახარებაში მოცემულ მოძღვრებას. პავლეს მოჰყავს ლექსები მეორე რჯულიდან (30:11-14): “რადგან ეს მცნება, რომელსაც დღეს

გიცხადებ... არ არის ცაში იგი... არც ზღვის გაღმაა იგი... რადგან ძალზე ახლოს არის შენთან ეს სიტყვა". როგორც ჩანს, იგი განმარტებს "ამ მცნებას", როგორც ქრისტეს მიმართ. ამრიგად, მეორე რჯულში (30:16) ნათქვამია, რომ, თუ ისრაელიანები არ უღალატებენ სიტყვას, ისინი კურთხეულნი იქნებიან, ესე იგი, თუ ახალი ისრაელი ირწმუნებს ქრისტეს სიტყვას, იგი გადარჩება. აქედან გამომდინარე, ქრისტეს აღთქმა შეესაბამება ამ მოძღვრებას ქრისტეს შესახებ. ლექსი, "რადგან შეისმენ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას" (რჯლ 30:10), ემთხვევა ლექსს: "თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია" (რომ 10:9). ამგვარი შედარება ზედმეტად ამტკიცებს, რომ სიტყვები "უფალი იესო" შეიცავენ ღვთის სიტყვის ძირითად მოძღვრებას.

გადაწვევა 32: ავაზაკი ჯვარზე

ავაზაკმა უთხრა: "იესო გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მიხვალ". იესომ უთხრა მას: "ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში" (ლუკ 23:42, 43). ამ სტრიქონებში იგულისხმება, რომ ნათლობის მიღება არ არის აუცილებელი ხსნისათვის და რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენ პირდაპირ ცისკენ მივემგზავრებით. ამ სტრიქონების უფრო ყურადღებიანი კითხვის დროს აშკარავდება შემდეგი:

1. მითითება მოვინათლოთ ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაში მოცემული იყო ქრისტეს აღდგომის <u>შემდეგ</u> (მარკ 16:15, 16). როდესაც ქრისტე ესაუბრებოდა ავაზაკს, ის ჯერ კიდევ მოსეს რჯულის დროს ცხოვრობდა.

2. ჭეშმარიტი ნათლისღება – იესოს სიკვდილისა და აღდგომის ნათლისღებაა. ამის გათვალისწინებით აშკარაა, რომ იესოსა და

ავაზაკის საუბრამდე მოცემული მოვლენები არ იყო მომხდარი და ნათლობა ქრისტეში შეუძლებელი იყო.

3. ნათლობა გამოხატავს ჩვენს სიკვდილს ქრისტესთან ერთად (რომ 6:3-5). ავაზაკი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც სიტყვასიტყვით მასთან ერთად მოკვდა.

4. სრულიად შესაძლებელია, რომ ავაზაკი იოანე ნათლისმცემლის მიერ მონათლული იყო. უამრავი მორწმუნე წარსულში უმეცარი ადამიანი იყო (მათ 21:32). იმის თქმა, რომ ავაზაკი მონათლული არ იყო – ნიშნავს კამათს უცნობთან, რაც, რასაკვირველია, სუსტი არგუმენტია, რომელზედაც შეგვიძლია მივუთითოთ. მოცემული ნაწყვეტი ასევე დუმს სიტყვების "სული" და "ზეცა"-ს შესახებ.

5. ავაზაკი თხოვდა იესოს მის "გახსენებას", როდესაც იესო თავის სასუფეველში მივა. ავაზაკი შეცნობილი იყო სახარებისა და "ღვთის სამეფოს" შესახებ, რომელსაც იესო ქადაგებდა (მათ 4:23), იცოდა, რომ სამეფოს დამყარებისას დადგება განკითხვის დღე და ამიტომ თხოვდა იესოს გახსენებას. მას სწამდა, რომ იესო მკვდრეთით აღდგება და განიკითხავს, იგი აღიარებდა, რომ ხსნა და საზღაური აღდგომის დღეს ქრისტეს ბაგეებიდან გაიჟღერს.

6. იესომ უპასუხა, რომ ავაზაკი მასთან ერთად <u>იქნება</u> სამოთხეში. ეს ბერძნული სიტყვა ყოველთვის იდეალურ გარემოს აღნიშნავს დედამიწაზე. იგი გამოიყენება ედემის ბაღის აღდგენის მიმართ, რომლის ხილვა შესაძლო იქნება მომავალ ღვთის სასუფეველში (გამოცხ 2:7). ღვთის სამეფოს დროს სამყარო დაუბრუნდება ედემის ბაღის სამოთხურ პირობებს (ეს 51:3; ეზეკ 36:35), რადგან წყევლა მოიხსნება (გამოცხ 22:3). ბერძნული ძველი აღთქმა (სეპტუაგინტი) ამავე ბერძნულ სიტყვას "სამოთხეს" ხმარობს დედამიწაზე იდეალური ცხოვრების მიმართ (ეკლ 2:5; ნეემ 2:8; ქებ 4:14; დაბ 13:10). სიტყვა "სამოთხე" უკავშირდება სიტყვას "ზეცა" მისი მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენების გამო, მაგალითად, როგორც მილტონის "დაკარგული სამოთხე". იესო

სამოთხეს დაპირდა ავაზაკს, ქრისტესთან ერთად სამეფოში ყოფნის სურვილის საპასუხოთ. ჩვენ გიჩვენეთ მე-5 თავში, რომ სასუფეველი დედამიწაზე დამყარდება, აქედან გამომდინარე, "სამოთხეც" დედამიწაზე იქნება.

7. ლექსი 43 ჩვეულებრივ თარგმანში გულისხმობს, რომ ქრისტე და ავაზაკი იმავე დღეს იქნებიან "სამოთხეში". მაგრამ, როგორც ჩანს, ღვთის სამეფო ჯერ დამყარებული არ არის დედამიწაზე. და ისინი არ გაემგზავრებიან სამეფოში იმავე დღეს. იესო სამარეში იყო მის ქადაგებასთან შესაბამისად (საქ 2:32); იგი "სამ დღეს დედამიწის გულში" იმყოფებოდა (მათ 12:40; შდ. 16:21) ჯვარცმის შემდეგ. აღდგომის შემდეგ მან თქვა: "... არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან" (იოან 20:17). ამრიგად, იესო არ გაემგზავრა ცისკენ იმავე დღეს, როდესაც მოკვდა. მიუხედავად ამისა, იესო დაპირდა ავაზაკს: "დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში". ამ აშკარა წინააღმდეგობის პასუხი ბიბლიის თავდაპირველ ტექსტებში უნდა ვეძებოთ. მანუსკრიპტებში ბერძნულ და ებრაელურ ენებზე არც სასვენი ნიშნები არ არის და არც მთავრული ასო. სასვენი ნიშნები შეგვიძლია სხვაგვარად წარმოვადგინოთ: "ჭეშმარიტად გეუბნევი შენ დღესვე, ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში" (ლუკ 23:43). სინამდვილეში, რომსერხამის თარგმანში მძიმე დასმულია სიტყვა "დღესვე"-ს შემდეგ. ეს საუკეთესოდ უხდება კონტექსტს. ავაზაკი თხოვდა იესოს მის მოხსენებას განკითხვის დღეს, იგი აღიარებდა თავის დანაშაულს და თვლიდა, რომ გამოჩნდება იქ. და იესომ მისცა მას არაჩვეულებრივი აღთქმა: "მე ეხლავე შემოძლია გიპასუხო! შენთვის არ არის აუცილებელი ლოდინი, რათა მიიღო საზღაური – შენ იქნები ჩემთან ერთად სამეფოში".

8. ზემოთ ნათქვამოდან შესაძლოა შემდეგი დებულებების ფორმულირება, რომლებსაც ავაზაკი, როგორც ჩანს, აღიარებდა:
– ღვთის სასუფეველი
– ქრისტეს მეორე მოსვლა

– აღდგომა და განკითხვა
– პასუხისმგებლობა
– ხსნა, ქრისტეს რწმენის მეშვეობით
– ქრისტეს აღდგომა
– ქრისტეს უმწიკვლობა (“ეს ადამიანი არ აკეთებდა ცუდს”)
– ქრისტეს მიბაძვის აუცილებლობა (მან უწოდა მას “უფალო”)
– ადამიანის ცოდვიანობა (“ჩვენ სამართლიანად ვართ განკიცხულნი”)

აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ამ ადამიანის მაგალითის გამოყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ნებისმიერი იხსნება, თუ მას ცოტაოდენი ინტერესი ექნება ქრისტიანობისადმი; მას უნდა ჰქონდეს სწავლის საფუძვლების გაგება, როგორც იმ ავაზაკს. ამის გარეშე, იგი იმ რწმენის მწვერვალზე ვერ ავიდოდა, რომელიც ჰქონდა – ქრისტემ არ აღუთქვა ხსნა სხვა ავაზაკს, რომელსაც სხვაგვარი დამოკიდებულება გააჩნდა: “განა შენ ქრისტე არა ხარ? იხსენი შენი თავი და ჩვენიც”. იგი სხვა ადამიანი იყო, რომელიც თვლიდა: “თუ არის რაიმე იესოს საქმეში, მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომლის გამო ვერ მივიღებ იმავეს”. იგი ამბობდა ასე, რადგან სწავლების საფუძველი არ გააჩნდა, მეორე ავაზაკმა კი იცოდა და ესმოდა ნამდვილი ხსნის მიღების შეუძლებლობა, მიუხედავად ინტერესისა ქრისტეს სწავლებისადმი.

გადაწვევა 33: ნათლობის სანიმუშო წესი

ნათლობის სწორად ჩატარებისათვის, განვიხილოთ მისი თანამიმდევრობა ქრისტედელფიანების მაგალითზე ინგლისში, შაბათს 1990 წელს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათლისღება წარმოადგენს სრულ ჩაშვებას წყალში მონანიებისა და სახარების რწმენის შემდეგ. “წესი” – ეს მხოლოდ თვითნებური დამატებაა ამ მნიშვნელოვანი სათანადო გრძნობის გამოსახატად. ნათლისღების ჩატარების წესი შემდეგია:

ლოცვა

რომაელთა მიმართ მე-6 თავის კითხვა
ქადაგება ნათლობისას (ქვემოთ არის მოყვანილი; ნამდვილი სახელები შეცვლილია)
ლოცვა
ადამიანის ჩაშვება საცურავო ბასეინის წყალში
ლოცვა

<u>ქადაგება ნათლისღებისას</u>

უეჭველად, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა დეივის ცხოვრებაში: რამდენიმე წუთის შემდეგ იგი საკუთარი ნებით ჩაეშვება წყალში და გამოვა სრულიად "ქრისტეში", აბრაამის თესლში, სახარების აღთქმის მქონე.

ამ აქტის განსაკუთრებული სიმარტივე შესაძლოა მაცდური იყოს, მაგრამ დეივს და ყველა დამსწრეს სწამს, რომ ეს ჩაშვება წყალში აკავშირებს მას იესოს სიკვდილსა და აღდგომასთან, როგორც წავიკითხეთ "რომაელთა მიმართ", თავი 6, ლქ. 3-5.

> "ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მის სიკვდილის მსგავსებაში, <u>ასევე ვიქნებით</u> მისი აღდგომისას".

მოდით წარმოვიდგინოთ ქრისტეს აღდგომის სურათი, რადგან დეივი წყლიდან გამოსვლისას შეუერთდება მკვდრეთით აღმდგარ იესოს.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ღამის ჰაერის სიჩუმე, გრილი სიო და იესოში ახალი ცხოვრების დიდებული გრძნობა. იგი ხედავდა იერუსალიმის ნაპერწკლებს; იქ მცხოვრებ ხალხს,

რომლებმაც სრულიად არ იციან იმ შესანისნავი მოვლენების შესახებ, რომლებიც ყველას ეხება; ადამიანის შესახებ, რომელიც მკვდრეთით აღდგა ახალ ცხოვრებისათვის.

ასე დეივის წყლიდან გამოსვლისას, სამყარო არ დააფასებს მომხდარის მნიშვნელობას. ყველაფერი რის დანახვაც ხალხს შეუძლია, ბასეინისაკენ მიმავალი კაცთა და ქალთა პატარა ჯგუფი იქნება და, თუ როგორ ერთი ადამიანი აყვინთებინებს მეორეს.

მაგრამ, როგორც ანგელოზებს უხაროდათ იესოს აღდგომა, ასევე ახლაც ჩვენთვის უჩინარი ანგელოზები ხარობენ კიდევ ერთ ცოდვილ მონანიებით.

ჩვენ წავიკითხეთ "რომაელთა მიმართ" მე-6 თავი, სადაც წერია, რომ ჩვენ ასევე შევალთ "განახლებულ ცხოვრებაში", სიხარულში, რომელიც ამიერიდან დეივს ექნება და რომელსაც იგი გაიტანს მთელს ცხოვრებაში. როგორც წავიკითხეთ, იგი უკვე არ არის ცოდვის მონა, არამედ ღმერთის და, როგორც ნათქვამია ბიბლიაში, მის ნებას ასრულებს. წარმტაცია იმის ფიქრი, რომ ჩვენ თავისუფლება გვინდა, მაგრამ ჩვენ არ ვართ თავისუფალნი, ჩვენ ცოდვის მონები ვართ. დეივმა ამოირჩია თავის მბრძანებელი და მზად არის ღმერთს ემსახუროს. დროთადრო გეგონებათ, რომ ის შეზღუდულება, რომელიც დაგვედება ჩვენს ახალ ცხოვრებაში საკმაოდ მძიმეა და მისი ატანა შეუძლებელია; და ჩვენ მისგან განთავისუფლების ცდუნებაში ვიმყოფებით. მაგრამ თუ ჩვენ ამგვარად მოვიქეცით, ჩვენ ვერ განვთავისუფლდებით, ჩვენ კვლავ ცოდვის მსახურნი გავხდებით.

პავლემ ახსნა 1 კორ 10:1, 2, რომ ჩვენი გავლა ნათლობის წყალში ისრაელიანების წითელი ზღვის გავლას ემსგავსება. შეგვიძლია შემეცნებითი სახის იგავის გამოტანა. ისრაელიანები მონებად იყვნენ ეგვიპტეში, უმიზნოთ ატარებდნენ ცხოვრებას, ოფლში მუშაობდნენ და თაყვანს სცემდნენ ეგვიპტეს კერპებს. ისინი ღმერთს

ევედრებოდნენ ხსნის გზის მიცემას, თუმცა, შესაძლოა, ვერ წარმოიდგენდნენ მის პასუხს.
საპასუხოთ ღმერთმა მოსე გაგზავნა ეგვიპტედან მათი გამოყვანისათვის ზღვის გავლით და შემდეგ უდაბნოთი აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანა. ისრაელიანები ეგვიპტეში დეივისა და ყველა ნათლობის მიმღების მსგავსად იყვნენ; ახლა დეივი თითქოს წითელი ზღვის ნაპირებს მიუახლოვდა. წყალში გავლით იგი არ მოხვდება მაშინვე აღთქმულ ქვეყნის სამეფოში; იგი ჩვენ შემოგვიერთდება უდაბნოში გასვლისას. ღმერთს მიჰყავდა ებრაელები უდაბნოში ანგელოზის დახმარებით, რომელიც განუწყვეტლივ თან ახლდა მათ, დღისითა და ღამით. ასევე ყველა ჩვენთაგანს ჰყავს ანგელოზი, რომელიც ჩვენს ირგვლივ ცხოვრობს და გვეხმარება ხსნის გზის პოვნაში.

ისრაელიანები ყოველდღე ცის მანანით იკვებებოდნენ, რომელიც იესომ სახარებაში (იოან 6) განსაზღვრა, როგორც ღვთის სიტყვა. ამის გარეშე ისინი დაიღუპებოდნენ, რადგან სხვა არავითარი საკვები არ იყო. ამ მიზეზის გამო, ჩვენ გირჩევთ "ბიბლიის თანამგზავრს" (სპეციალური გამოშვება), რომლის მეშვეობით თქვენ შეძლებთ ბიბლიის გარკვეული თავების ყოველდღიურ კითხვას. აუცილებელია შესვენების გაკეთება ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სასურველია ერთი და იმავე დრო ყოველ დღე ბიბლიის მითითებული თავების კითხვისათვის და გააზრიანებისათვის.

ისრაელიანებს აღთქმული ჰქონდათ, არ ეცადონ ერთ დღეში ზეცის მანანის შეკრებვა, რომელიც მათ რამდენიმე დღე უნდა ჰყოფნოდათ, არამედ ყოველ დღე შეეგროვებინათ იგი. ასევე ჩვენც ყოველ დღე უნდა ავითვისოთ ღვთის სიტყვა. როგორც ჩვენ არ გვავიწყდება ჩვენი ბუნებრივი კვება, ასევე ღვთიურიც უნდა გვახსოვდეს. სინამდვილეში, იობს შეეძლო ეთქვა, რომ იგი აფასებს ღვთის სიტყვას უფრო, ვიდრე თავის ბუნებრივ საკვებს.

ისრაელიანები ასევე სვამდნენ ნიაღვარიდან, რომელიც დანგრეული კლდიდან მოდიოდა. კორ 10 ნათქვამია, რომ ეს "ქრისტეს" წარმოადგენს.
ამრიგად, ჩვენ უნდა ვჭამოთ და დავლიოთ იესოს მაგალითის მიხედვით, და ამის გაკეთება ჩვენ შეგვიძლია მოხსენების წირვის დროს, ყოველ კვირას. კრებების შესახებ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი იმედის გაზიარების ბუნებრივი სურვილი. მგზავრი უწყლო უდაბნოში მოხარული იქნება შეხვდეს მის მსგავს, რათა გაუზიაროს გამოცდილება და განიხილოს გზის მომავალი სირთულეები. ასევე ჩვენც სირთულეებით და ცოდვით სავსე ცხოვრებაში უნდა შევინარჩუნოთ კავშირი ერთმანეთისადმი. ხშირად ყველას არ გააჩნია ამგვარი კრებების დასწრების საშუალება, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კავშირის დაცვის ნებისმიერი საშუალება მიმოწერის, ჟურნალების კითხვისა და სხვა გზით.

ჩვენ ვსაუბრობთ ახალი ცხოვრების პასუხისმგებლობაზე, მაგრამ არასწორი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ თუ ჩვენ ჩავიდენთ გარკვეულ საქციელს, მაგალითად, ბიბლიის ყოველდღიური კითხვა, მაშინ ღმერთი დაგვაჯილდოვებს. ეს ღმერთის ნებაა, მისი სურვილია, სამეფოს დამყარება, როგორც ნიჭის, და არა როგორც სამსახურის საფასურის გადახდა. და სრულიად არასწორე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ნათლისღება – ღვთის სამეფოში შესვლის გასამრჯელია. ღმერთის სიყვარული და ჭეშმარიტება, ქრისტეს გამარჯვება ღვთის სამეფოში შესვლით მეტ საშუალებას გვაძლევს. ღმერთს ნამდვილად უნდა, რომ დეივი და ყველა ჩვენთაგანი იქ იყოს. ეს ფაქტი იმდენად მშვენიერია, რომ ჩვენ უნდა გავიხსენოთ იგი დროთა განმავლობაში, როგორც ნამდვილი ჭეშმარიტება, და ამის გამო, ასევე სათანადოთ უნდა ვუპასუხოთ ღმერთის სიყვარულს. როდესაც ისრაელიანები გამოვიდნენ წითელი ზღვიდან, დიდი სიხარული იყო, ყველა ზეიმობდა. ფსალმუნი 105:35-41 კარგად გამოხატავს ამ სიხარულს და გვაჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფა ღმერთმა მათი გადასვლა:

> “... და გადაჭამეს მთელი ბალახი მათ ქვეყანაში, და გადაჭამეს მთელი ნაყოფი მათი მიწისა. და მოსრა ყოველი პირმშო მათ ქვეყანაში, დასაბამი მთელი მათი ძალისა. და გამოიყვანა ისინი ვერცხლით და ოქროთი, და მათ ტომებში არავინ იყო უძლური. გაუხარდა ეგვიპტეს მათი გამოსვლა, რადგან თავს დაატყდათ მათ შიში. გადააფარა ღრუბელი საფრად (მათ) და ცეცხლი – ღამის გასანათებლად. ითხოვეს და გაუგზავნა მწყერი და ზეციური პურით გააძღო ისინი. გაკვეთა კლდე და გადმოდინდა წყალი, წავიდა უდაბნოში მდინარედ”.

ასეთივეა ჩვენი სიხარული და თქვენი მომავალი ძმებისა და დების სიხარული, რომლებიც აქ იმყოფებიან და თქვენი ნათლობის მოწმენი გახდებიან. ეს ღმერთის დიდი სიხარულია, იესოსა და ანგელოზების სიხარულია, რომლებიც ყურადღებით გვითვალთვალებენ ამჟამად. დაე, ყოველივე ჩვენთაგანმა შეინარჩუნოს იმედი და ეს სიხარული “ბოლომდე”, რათა ჩვენ შეგვეძლოს ერთად შესვლა ღვთის სასუფეველში.

ახლა კი ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ გამოსაცვლელ ოთახში, შემდეგ კი – ბასეინში.

თავი 10: საკითხები

1. შეგვიძლია რო ჩვენ ხსნა ნათლისღების გარეშე?

2. რას ნიშნავს სიტყვა "ნათლისღება"?
   ა) ვალდებულება
   ბ) მოსხურება
   გ) რწმენა
   დ) წყალში ჩაშვება

3. როგორ არის ახსნილი ნათლობის მნიშვნელობა რომ 6:3-5?

4. როდის უნდა მივიღოთ ნათლობა?
   ა) სახარების შესწავლისა და მონანიების შემდეგ
   ბ) ბავშვობაში
   გ) ბიბლიისადმი ინტერესის გაჩენის შემდეგ
   დ) როდესაც მოვისურვებთ ეკლესიაში შესვლას

5. რაში ვიღებთ ნათლობას?
   ა) ეკლესიაში, რომელიც ჩვენ გვნათლავს
   ბ) ღვთის სიტყვაში
   გ) ქრისტეში
   დ) წმიდასულში

6. რა ხდება ნათლისღების შემდეგ?
   ა) ჩვენ აბრაამის თესლის ნაწილი ვხდებით
   ბ) ჩვენ არასოდეს არ ჩავიდენთ ცოდვას
   გ) ჩვენ სამუდამოდ ხსნილნი ვიქნებით
   დ) ჩვენ ცოდვები მოგვეტევება

7. გადავრჩებით თუ არა მხოლოდ ნათლისღებით?

8. მივიღებთ თუ არა ნათლობის შემდეგ წმიდასულის ნიჭს?

თავი 11

ცხოვრება ქრისტეში

11.1 წინასიტყვაობა

ნათლისღება გვაძლევს ღვთის სასუფეველში მარადიული სიცოცხლის იმედს. რაც უფრო გვწამს და ვაფასებთ ჩვენ დარწმუნებას იმედში, მით უფრო აშკარა ხდება პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ მოგვანდეს. იგი ჩვენი ცხოვრების წესს ეკუთვნის, რომელიც შეესაბამება ღვთის არსების მიღების იმედის მქონე ხალხს (2 პეტ 1:4), ფაქტიურად შერწყმას მის სახელთან (გამოცხ 3:12) ყოველმხრივ სრულყოფილობის მეშვეობით.

ნაწილში 10.3 ახსნილია, რომ ნათლობის შემდეგ ჩვენ მოვალენი ვართ ცხოვრების მანძილზე განუწყვეტლივ ვებრძოლოთ ჩვენი ბუნების ეშმაკისებურ სურვილებს (რომ 6:6). თუ ჩვენ არ გვსურს ამის გაკეთება, ნათლობას ეკარგება ყოველივე აზრი. იგი მხოლოდ მაშინ უნდა ჩატარდეს, როცა ადამიანი მზად არის მიიღოს ახალი ცხოვრების პასუხისმგებლობა, რომელიც ნათლობას მოჰყვება.

ნათლობაში ჩვენ მოვკვდებით ცხოვრების ძველ, ბუნებრივ წესისათვის და, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქრისტესთან ერთად აღვდგებით. "თუ თქვენ აღდეგით ქრისტესთან ერთად (ნათლობაში), ეძიეთ მაღლა, სადაც ქრისტე ზის ღვთის მარჯვნივ. ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე. ვინაიდან თქვენ მოკვდით... მაშ, მოაკვდინეთ... სიძვა, უწმიდურობა... ანგარება" (კოლ 3:1-5). ნათლობის მიღების შემდეგ ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიცხოვროთ ფიქრით ზეციერზე (ე. ი., სულიერზე), ღვთის პრესპექტივით, შევცვალოთ ჩვენი მიწიერი პატივმოყვარეობა ჩვენი სხეულის სურვილების დაძლევის მისწრაფებაზე, რის გამოც შევძლებთ ღვთის სასუფეველში შესვლას.

ადამიანური ბუნების ტენდენცია შედგება ღმერთის მიმართ მორჩილების მისწრაფების გამომჟღავნებაში დროთადრო. მაგრამ ღმერთი ხშირად გვაფრთხილებს ამის გამო. საკუთარი მითითებების მიმართ იგი ამბობს: "რომელიც უნდა შეესრულებინა, რომ ეცოცხლა" (ეზეკ 20:13). თუ ჩვენ შეგნებულად ვაღიარებთ

ღმერთის მითითებებს და დავემორჩილებით მათ ნათლობის შემდეგ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველთვის ვიცხოვროთ მათთან თანხმობაში.

11.2 წმიდანობა

“წმიდაა, წმიდაა, წმიდაა, ცაბაოთ უფალი!” (ეს 6:3). სამჯერ გამეორებული სიტყვა წარმოადგენს ღმერთის წმიდანობის ერთერთ აღიარებას. სიტყვა “წმიდანობა” ძირითადად “ჩამოშორებას” ნიშნავს – ჩამოშორებას არაწმიდა საქციელისაგან სულიერ ცხოვრებისაკენ. “მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა” (ეფეს 5:1). აქედან გამომდინერე, “თვითონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში (ე. ი., ყოველდღიურ ცხოვრებაში), როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან წერია: “იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე” (1 პეტ 1:15, 16; ლევ 11:44).

მკვიდრნი ისრაელიანები წითელ ზღვაში ნათლობის მეშვეობით გამოვიდნენ ეგვიპტედან, რათა “წმიდა ერად მეყოლებით” (გამ 19:6). ნათლისღების შემდეგ სულიერი ისრაელის წევრებმა ამგვარად მიიღეს “წმიდა მოწოდება” (2 ტიმ 1:9). ნათლობის შემდეგ ჩვენ წმიდანობის მონები ვხდებით (რომ 6:19, 22 და შემდეგ).

წმიდანობა, როგორც ასეთი, ღმერთის არსებობის მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი უნდა მთავარი საზრუნავი იყოს ყველასთვის, ვინც დილობს “მიბაძოს ღმერთს”. თუ ჩვენ ამგვარად მოვიქცევით, ჩვენ გვექნება “წილი... მის სიწმიდეში” (ებრ 12:10; 2 პეტ 1:4). ამიტომ, წმიდანობის გარეშე ამ ცხოვრებაში მორწმუნეთაგან “ვერავინ იხილავს უფალს” (ებრ 12:14), ე. ი., ისინი ვერ იხილავენ ღმერთს და ვერ ისაუბრებენ მასთან პირადად სამეფოში.

დიადი იმედისათვის ჩვენ უნდა ჩამოვცილდეთ გარესამყაროს, რომელსაც არ აქვს რწმენა და მოცილებულია ბუნებრივ ღვთიურ

მარადისობას. "ჩამოცილება" არ უნდა ავიქვათ, როგორც იძულებითი, რადგან იმედითა და მოწოდების ამაღლებულ სამყაროში ჩვენი წასვლის გამო სრულიად ბუნებრივია ვიგრძნოთ საკუთარი თავი ჩამოცილებული ამგვარ სამყაროსაგან, რომელშიც ჭარბობს ცდუნება.

ახლა განვიხილავთ საკითხებს, რომლებიც ადამიანის მოღვაწეობის იმ მხარეებს ეკუთვნიან და შეადგენენ იმ სამყაროს, რომელსაც უნდა გამოვეყოთ, ხოლო ნაწილში 11.3 საუბარი წავა იმ სამყაროს შესახებ, რომელსაც უნდა შევუერთდეთ.

11.2.1. ძალის გამოყენება

ჩვენ ვცხოვრობთ იმ სამყაროში, რომელშიც ცოდვა დომინირებს. ნაწილში 6.1 ჩვენ ვისაუბრეთ მთავრობის შესახებ, როგორც "ეშმაკზე", რადგან იგი შექმნილია ხორცეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილების მიზნით, ე. ი., ბიბლიური "ეშმაკი".

ბიბლიაში არაერთხელ არის ნათქვამი, რომ ცოდვა და ბოროტი თესლი გაიმარჯვებს, იმ დროს, როდესაც სხვადასხვა სახის დროებითი ტანჯვის შემდეგ, დედაკაცის თესლი საბოლოოდ გამართლებული იქნება. ამ მიზეზის გამო, მორწმუნეს განუწყვეტლივ ურჩევენ "წინ ნუ აღუდგებით ბოროტს" (მათ 5:39; რომ 12:17; 1 თეს 5:15; პეტ 3:9).

ჩვენ ვიცით, რომ ბოროტება ღმერთის ნებით გაჩნდა (ეს 45:7; ამოს 3:6; შდ. ნაწილი 6.1). აქედან გამომდინარე, ბოროტებასთან შეწინააღმდეგება ნიშნავს ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლას. ამის გამო, იესომ გვიანდერძა არ შევუპირისპირდეთ ბოროტების ფიზიკურ ძალებს: "არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე. ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც თან გაატანე მას" (მათ 5:39, 40). ქრისტე ამის მაგალითია: "ზურგი მქონდა მიშვერილი ჩემი მცემელისთვის" (ეს 50:6).

ქრისტე ადარებს სასამართლო დავას ცხოვრებისეულ საქმიანობას, რომელიც უპირისპირდება მორწმუნეთა მტკიცებებს. ეს – ბოროტებისადმი წინააღმდეგობის პირველი მაგალითია და არცერთი ადამიანი არ ჩაიდენს ამას, თუ მას ღვთის სიტყვების მტკიცე რწმენა გააჩნია: "ჩემია შურისგება და მე მივაგებ, – ამბობს უფალი" (რომ 12:19). "ნუ იტყვი, ბოროტებას სანაცვლოს მივაგებო, უფალს მიენდე და ის გიშველის" (იგავნ 20:22; შდ. რჯლ 32:35). ამ მიზეზის გამო, პავლემ უსაყვედურა კორინთელებს გასამრჯელზე სხვების მოყვანისათვის (1 კორ 6:1-7). ჩვენი იმედის სიდიადე არ გვაძლევს უფლებას მივანიჭოთ განსაკუთრებული ყურადღება მიმდევარე ცხოვრების უსამართლობას: "როგორ გაბედავს ვინმე თქვენგანი, თავისიანთან რომ აქვს დავა, ურჯულოებთან მივიდეს სამსჯავროზე... ნუთუ არ იცით, რომ წმიდები განიკითხავენ წუთისოფელს?" (1 კორ 6:1, 2). სასამართლოს დავა, მიწის გაყოფა თუ გაყრა, არ შეეფერება ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანის საქციელს.

ბოროტების დასათრგუნებლად და (ზოგიერთ შემთხვევაში) ცოდვილთა ხელისუფლების შესანარჩუნებლად, სახელმწიფო იყენებს პოლიციას და ჯარს. ეს ბოროტების საწინააღმდეგო კონსტიტუციური ფორმებია და ჭეშმარიტ მორწმუნემ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მათში. "ყველა მახვილის ამღები მახვილითვე დაიღუპება" (მათ 26:52). ეს ადრე ცნობილი ღვთიური პრინციპის გამეორებაა: "ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შექმნა ადამი" (დაბ 9:6). განზრახული ძალადობა ჩვენი მეგობრის წინააღმდეგ, წარმოადგენს ღმერთის წინააღმდეგ ძალადობას. ქრისტიანული ღვთიური გაგებით ნათქვამია: "გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს. აკურთხებდეთ თქვენს მაწყევრებს და ლოცულობდეთ თქვენსვე შეურაცხმყოფელთათვის" (ლუკ 6:27, 28). ჯარი და პოლიცია ამ პრინციპების სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ამიტომ ჭეშმარიტი მორწმუნე მოერიდება ყოველგვარ თანამშრომლობას მათთან. არ შეიძლება მონაწილეობა არამარტო ძალადობაში, არამედ არავითარი ხელის

შეწყობაში. სინამდვილეში, ნებისმიერი მონაწილეობა ფიცის დებაში გვართმევს უფლებას ვიყოთ მორჩილნი ღმერთის მითითებისადმი. ამის გამო, ჭეშმარიტი მორწმუნენი უარს ამბობენ პოლიციისა და ჯარში მსახურობის ნებისმიერ ფორმაზე, თუმცა ყოველთვის მზად არიან მიიღონ მონაწილეობა ალტერნატიურ მსახურობაში ეროვნულ კრიზისის დროს. ამით ისინი მატერიალურ დახმარებას უწევენ თავის ძმებს.

11.2.2 პოლიტიკა

ღვთის სასუფეველში შესვლის საღი გონება და მტკიცე რწმენა ნიშნავს იმ ფაქტის აღიარებას, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია შეუწყოს ხელი სრულყოფილებას. ამიტომ, ნებისმიერი მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკაში არ შეესაბამება სამეფოს იმედს. ქრისტე ქადაგებდა, რომ მოვლენები უფრო და უფრო გაუარესდება "უკანასკნელ დღეებს", მის მოსვლის წინ (ლუკ 21:9-12; 25-27). შეუძლებელია ირწმუნო მისი სიტყვები და ამავე დროს შეეცადო მსოფლიოში მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო პოლიტიკისა ან დამხმარე სტრუქტურების მეშვეობით. იგავი კეთილი სამარიანელის შესახებ გვიჩვენებს, რომ ქრისტიანებმა რამდენადაც შესაძლებელია უნდა თესონ სიკეთე ყველა ხალხისათვის (გალ 6:10).

თქმულებები ადრინდელ მორწმუნეთა შესახებ აშკარად გვიჩვენებენ, თუ როგორი იყო მათი სულიერი ცხოვრება ქრისტეს მოვლენის მოლოდინში. ისინი ამჟღავნებდნენ თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი ძირითადათ მოძღვრების ქადაგების გზით. არ გაგვაჩნია მითითება მათ დამოკიდებულების შესახებ საზოგადო, ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემებისადმი.

"ადამიანის ნებაზე არ არის მისი გზა" (იერემ 10:23), ადამიანური ბუნების ძირითადი მანკის ამგვარი შეფასება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ ადამიანის სახელმძღვანელო მითითებებს ღვთის ხალხისადმი მისაღებ საზოგადოების მართველობაში. აქედან გამომდინარე, კენჭისყრა ასევე შეუთავსებელია ჭეშმარიტ

რწმენასთან. "უზენაესი ხელმწიფობს კაცთა სამეფოზე და ვისაც უნდა, იმას მისცემს" (დან 4:29). საბოლოო ჯამში, დედამიწის მმართველებს ხელისუფლება ღმერთმა მიანიჭა (რომ 13:1), ამრიგად, კენჭისყრა დემოკრატიულ საზოგადოებაში ნიშნავს ხმის მიცემას იმის წინააღმდეგ, ვინც ღმერთის მიერ არის არჩეული. ცნობილია, რომ ღმერთმა მისცა გარკვეული ერი ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის ხელმძღვანელობის ქვეშ (იერემ 27:5, 6).

რადგან ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთმა მისცა ყოველივე ერს საკუთარი მმართველი, ჩვენ უნდა დავემორჩილოთ იმ ქვეყნის კანონებს, რომლებშიც ვცხოვრობთ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ქრისტეს მცნებებს. "ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას... არსებულნი ღვთის მიერ არიან დადგენილნი... სწორედ ამისათვის იხდით ხარკებს... ამრიგად, მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი – ხარკი, ვისაც პატივი – პატივი" (რომ 13:1-7).

მონაწილეობა, ეგრედ წოდებულ, ქრისტიანულ ორგანიზაციებში პოლიტიკური პროტესტისა და საგადასახადო გაფიცვის ფორმით ასევე წარმოადგენს ბიბლიის ძირითადი პრინციპების განზრახულ უპატივისმცემლობას. მაგრამ, მაგალითად, პავლე მოციქულის მაგალითი, რომელიც აგრძელებდა ქადაგებას ქრისტეს შესახებ იმ დროს, როდესაც მთავრობამ აუკრძალა მას ეს, გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავემორჩილოთ მიწიერ მითითებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ უპირისპირდებიან ქრისტეს რჯულს: "განსაჯეთ, მართებულია განა ღვთის წინაშე თქვენ უფრო გისმინოთ, ვიდრე ღმერთს?" (საქ 4:17-20; 5:28, 29).

ქრისტედელფიანების დამოკიდებულება ჯარში მსახურობისადმი უკანასკნელი წლების განმავლობაში ამის მაგალითს წარმოადგენს.

11.2.3. მიწიერი სიხარული

ღმერთისა და მომავლის რეალური იმედის უქონლობის გამო, სამყარომ გამოიგონა უამრავი სახეობის სიამოვნება. ხალხი, ვისაც

სურს მხოლოდ საკუთარი სხეულის დაკმაყოფილება, უნდა გამოიყოს ხალხისაგან, რომლებიც სულიერი სამყაროს შექმნას ცდილობენ. "ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი – ხორცის საწინააღმდეგო" (გალ 5:17). ამ მთავარი დაპირისპირების გამო, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა შეგვიძლია კანონიერად დავუთმოთ ხორცს და ამავე დროს სულის მოწოდებას მივყვეთ. სამყაროს შეადგენს "ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და სიამაყე ცხოვრებისა" (1 იოან 2:16). "ვისაც წუთისოფლის მეგობრობა უნდა, იგი ღვთის მტერი ხდება" (იაკ 4:4). მეგობრების ყოლა, რომლებსაც ხიბლავთ სიამენი სოფლისა, მიწიერი ფილმების ნახვა და ა.შ. – ნიშნავს "სხვა სამყაროში" ყოფნას. სამყაროს სიყვარულის სურვილი მალე განქარდება, და ყველა, ვისაც უყვარდა სამყარო, მასთან ერთად წავლენ (1 იოან 2:15-17). "უღვთოთა წუთისოფელი" განადგურდება მეორე მოსვლის დროს (2 პეტ 2:5) და ჩვენ ვიხილავთ, რომ "მთელი წუთისოფელი ბოროტებაში ძევს" (1 იოან 5:19). თუ გვსურს ამ განადგურების აცილება, ჩვენ ამ "წუთისოფლის არ უნდა ვიყოთ" (იოან 17:16; შდ. გამოცხ 18:4).

ხორცის დამაკმაყოფებელი უამრავი მიწიერი საშუალება ანადგურებს ხალხთა ჯანმრთელობას, მაგალითად, სიგარეტი, ნარკოტიკი, ალკოჰოლი. ჩვენი ფიზიკური ჯანმრთელობა, ჩვენი ფული, ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაჩნია – ღმერთს ეკუთვნის. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ყველაფრის გამოყენება საკუთარი სურვილის მიხედვით. განკითხვაზე დაგვჭირდება ანგარიშის ჩაბარება (ლუკ 19:12-26). ასეთი ჩვევები, როგორიცაა სიგარეტი და ალკოჰოლი, ბოროტად იყენებენ ჩვენს ფინანსებსა და ჯანრმთელობას. "ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში? თუ ვინმე აზიანებს ღვთის ტაძარს, ღმერთი დააზიანებს მას... თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით?.. ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით" (1 კორ 3:16, 17; 6:19, 20).

ამიტომ სხეულის ბოროტად გამოყენებას ამგვარი ჩვევების გამო სერიოზული მნიშვნელობა აქვს.
მაგრამ, თუ ზემოთ მოყვანილი ჩვევები რწმენის მიღებამდე დაფორმირებულია, ძნელი იქნება მათი უარყოფა. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ამგვარ ჩვევათა ბოროტების აღიარებით, რეალურად ეცადოს მათი აღმოფხვრა. ცხოვრებისეულ დარტყმებს უნდა შევხვდეთ ღმერთის სიტყვითა და ლოცვით.

11.3. ყოველდღიური ქრისტიანული ცხოვრება

11.3.1. ბიბლიის შესწავლა

ნათლობის მიღების შემდეგ, რადგან ჩვენი "ნაყოფი სიწმიდეა" უკვე, ჩვენ უნდა სულიერ ცხოვრებას მივყვეთ (რომ 6:22, 8:1, გალ 5:16, 25). ჩვენში მყოფ ღვთის სიტყვის მეშვეობით ჩვენ მოგვაქვს სულიერი ნაყოფი (იოან 15:7, 8). სულს მივყევართ იმ მნიშვნელობით, რომ მისი სიტყვა შეიცავს ღვთის სულს. მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩვენ უნდა მივბაძოთ ამ სიტყვას ბიბლიის რეგულარული კითხვითა და შესწავლით.

სიტყვის ყურადღებიანი შესწავლის შედეგად, ადამიანი გაიაზრებს ნათლობის აუცილებლობას და შემდეგ მოინათლება. ღვთის სიტყვის გავლენის პროცესი ჩვენს საქციელზე და ჩვენი ცხოვრების მიზნის მითითება უნდა გრძელდებოდეს; ნათლობის მიღება – მხოლოდ პირველი ნაბიჯია მუდმივი დამორჩილების ღვთის სიტყვისადმი. მაგრამ არსებობს რეალური საფრთხე ფამილარული დამოკიდებულების ბიბლიისა და სახარების დებულებების მიმართ, და ეს მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდე, როდესაც სიტყვა აღარ მოახდენს გავლენას ჩვენზე. ჩვენ წავიკითხავთ სიტყვებს, მაგრამ მათ არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება ჩვენთვის (იხ. დანართი 2). ამ მიზეზის გამო, სასარგებლოა მოკლე ლოცვის წაკითხვა წმიდა წერილის კითხვის წინ: "აღმიხილე თვალნი და ვჭვრეტდე საოცრებებს შენი რჯულისას" (ფსალმ 119:18). ამის მსგავსია იერემიას ლექსები:

“ნაპოვნია შენი სიტყვები და მე ვჭამე ისინი; შვება და გულის სიხარული იყო ჩემთვის შენი სიტყვა” (იერემ 15:16). ჩვენ ისე უნდა ავაგოთ დროის განკარგულება, რომ შევძლოთ ყოველდღე ბიბლიის კითხვა. თუ ჩვენ ყოველივე დილას დავიწყებთ ბიბლიის შესწავლით 30 წუთის განმავლობაში, ეს ჩვენი სულიერი ცხოვრების სწორი მიმართულება იქნება. ამგვარი ჩვევები რწმენის ფორმირირებისათვის დაგვიფასდება განკითხვის დღეს.

ბუნებრივი სურვილის – ვიკითხოთ წმიდა წერილის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც გვხიბლავენ – აცილების მიზნით, ქრისტედელფიანებმა დაამუშავეს პროგრამა კითხვისათვის სახელწოდებით “ბიბლიის თანამგზავრი” (რომლის მიღება შესაძლებელია ამ წიგნის გამომცემლებთან). იგი გვაძლევს საშუალებას ვიკითხოთ რამდენიმე თავი ყოველდღე და ერთი წლის განმავლობაში ჩვენ შევძლებთ ახალი აღთქმის წაკითხვას ორჯერ, ხოლო ძველი აღთქმის - ერთხელ. ყოველ დღე, გარკვეული თავების კითხვით, ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ათასობით სხვა მორწმუნენი იმავე დროს კითხულობენ იგივე თავებს. როდესაც ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს, ჩვენ გვაქვს საერთო სასაუბრო თემა, სახელდობრ: წმიდა წერილის თავები, რომლებიც ჩვენ ბოლო დროს შევისწავლეთ.

11.3.2. ლოცვა

სულიერი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი პრინციპი – ლოცვა არის. იმის სეხსენებით, რომ “ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი – კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად”, პავლე აკეთებს დასკვნას ქრისტეს საქმეების გაგებაში: “ამიტომ ჩემი სურვილია, რომ ყველგან ლოცულობდნენ... რისხვისა და ეჭვის გარეშე” (1 ტიმ 2:5-8). “ვინაიდან ისეთი მღვდელმთავარი როდი გვყავს, რომ ვერ შეძლოს თანაგვიგრძნოს ჩვენს უძლურებებში, არამედ ჩვენსავით გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა. აბა, თამამად მივეახლოთ მადლის ტახტს, რომ მივიღოთ წყალობა და ვპოვოთ მადლი დროული შემწეობისათვის” (ებრ 4:15-16).

ქრისტე არის ჩვენი მღვდელმთავარი, რომელიც გადასცემს ჩვენს ლოცვებს ღმერთს და ეს შთაგვაგონებს ჩვენ რეგულარულ ლოცვებზე. მაგრამ, ლოცვა არ უნდა იყოს ღმერთს გადასაცემი მოთხოვნილების ჩამონათვალი: ასე ლოცვები კვების წინ, უსაფრთხოების შესახებ მოგზაურობის დროს და ა.შ. უნდა შეადგენდნენ ჩვენი ლოცვების მნიშვნელოვან ნაწილს.

საკუთარი პრობლემების თვით წამოყენება ლოცვაში უფლის წინაშე იძლევა დამშვიდების დიდ გრძნობას: "არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს, და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიფარავს თქვენს გულებს და თქენს ფიქრებს ქრისტე იესოში" (ფილ 4:6, 7). "და, აჰა, რა სითამამე გვაქვს მის მიმართ, რომ, როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს" (1 იოან 5:14). ჩვენ შეგვიძლია ღმერთის ნების ცოდნა მისი სიტყვის შესწავლით, რომელსაც მისი სული ამჟღავნებს. ამიტომ, ბიბლიის კითხვა, გვასწავლის ჩვენ, როგორ და რისთვის უნდა ვილოცოთ და ამით უფრო აძლიერებს ჩვენს ლოცვებს. აქედან გამომდინარე, "თუჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ" (იოან 15:7).

წმიდა წეროლში მოცემულია ლოცვების რეგულარული კითხვის უამრავი მაგალითი (ფსალმ 119:164; დან 6:10). დილით და საღამოს, და ასევე რამოდენიმე მოკლე მადლიერი ლოცვა დღის განმავლობაში საკმარისი იქნება, როგორც მინიმუმი.

11.3.3. ქადაგება

არსებობს ერთი ძლიერი ცდუნება, რომელიც ჩნდება ჭეშმარატი ღმერთის შემეცნების დროს – ეს სულიერი ეგოისტის გახდომის საშუალებაა. ჩვენ შეგვიძლია იმდენად დავკმაყოფილდეთ ღმერთთან პირადი კავშირით, რომ შესაძლოა იგნორირება გავუწიოთ საკითხს ჩვენი ცოდნის გაზიარების შესახებ სხვა ხალხთან. ღვთის სიტყვა და ჭეშმარიტი სახარება, რომელსაც იგი შეიცავს, შედარებულია

ნათელს ანუ ლამფის შუქს სიბნელეში (ფსალმ 119:108; იგავნ 4:18). იესომ აღნიშნა, რომ არავინ არ უნდა დაფაროს ეს ნათელი ჭურჭლის ქვეშ, არამედ ხალხს გაუნათოს (მათ 5:15). "თქვენ ხართ წუთისოფლის ნათელი" ქრისტეში ნათლობის გამო: სიცოცხლის ნათელი (მათ 5:14; იოან 8:12). "მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება", აგრძელებდა ქრისტე (მათ 5:14).

თუ ჩვენ ნამდვილად ვცხოვრობთ სახარების სწავლების შესაბამისად, ჩვენი "წმიდანობა" აშკარა იქნება ჩვენს გვერდით მცხოვრებ ხალხისათვის. შეუძლებელია დაფარო შენი "განდგომა" სასუფეველის იმედში, და ასევე "განდგომა" მიწიერი გზებისაგან.

ჩვენ უნდა შევეცადოთ ტაქტიკურად გავუზიაროთ ჭეშმარიტების ცოდნა ყველას, ვისაც ვხვდებით ცხოვრებაში, საუბრების გადაყვანით სულიერ თემებზე, სწავლების განხილვით სხვა სარუწმუნოების წარმომადგენელებთან, მოკლე განცხადებების გამოქვეყნებით, – ამ ყველა საშუალებების გამოყენება შეიძლება, რათა ამყოფო ხალხი ნათელში. შეუძლებელია იმის ფიქრი, რომ ამ სამსახურს სხვა მორწმუნენი გააკეთებენ; ყველა ჩვენთაგანს აქვს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ქრისტედელფიანები შედარებით ნეკლებ ღონისძიებებს ატარებენ ქადაგების მიზნით. ყველა ჩვენთაგანი ინდივიდუალურად აკეთებს იმას, რაც შეუძლია, ძირითადად, პირადი ანგარიშით.

ქადაგების ერთერთი ყველაზე ეფექტური საშუალება შედგება ჩვენი სარწმუნოების ახსნაში ოჯახის წევრებისა და სხვა ხალხის წინაშე. ხოლო მათ, ვინც არ იზიარებს ჩვენს სწავლებას, საჭიროა პირდაპირ მოვუყვეთ ჩვენი რწმენის შესახებ, თუმცა, თუ ეს შედგება, არ არის სასურველი ამ საკითხის განხილვის გამოყენება ან რაიმე ზეგავლენის მოხდენა მათზე. ღმერთს არ უნდა, რომ ხალხი გადადიოდეს სხვა სარწმუნოებაში ზეგავლენის საშუალებით. ჩვენი მოვალეობაა - ჭეშმარიტების ქადაგება წარმატების მოლოდინის გარეშე. ჩვენ გვაკისრია დიდი პასუხისმგებლობა ამ დარიგების გამო (ეზეკ 3:17-21); თუ ქრისტე მოვა ჩვენი

ცხოვრების განმავლობაში "ორნი იქნებიან ყანაში: ერთს წაიყვანენ, მეორე დარჩება" (ლუკ 17:36). ნამდვილად უცნაური იქნებოდა, თუ ჩვენ არ გვეთქვა ოჯახის წევრებისათვისა და კოლეგებისათვის ქრისტეს მეორე მოსვლის შესახებ.

11.3.4. ეკლესიური ცხოვრება

წინამავალ თავში ჩვენ ვსაუბრობდით მხოლოდ პერსონალურ სულიერ პასუხისმგებლობის შესახებ. მაგრამ, ჩვენ მოვალენი ვართ შევხვდეთ სხვა ხალხს, რომლებიც ჩვენს იმედს იზიარებენ. აშკარაა, რომ ჩვენ გვსურს ამის გაკეთება. უკვე ვთქვით, რომ ნათლობის მოღების შემდეგ, ვიწყებთ რთულ მოგზაურობას სასუფევლისაკენ. რასაკვირველია, ჩვენ გვსურს კონტაქტის დამყარება თანამგზავრებთან. ჩვენ ვცხოვრობთ უკანასკნელ დღეებში ქრისტეს მოსვლამდე და გვინდა მეგობრული დამოკიდულების დამყარება მათთან, ვინც ამგვარ მდგომარეობაში იმყოფება, რათა დავსძლიოთ ჩვენს წინაშე მდგომ სიძნელეებს: "ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს... არამედ შევაგონოთ ერთმანეთს. და, მით უმეტეს, რაც უფრო მეტად ატყობთ იმ დღის (მეორე მოსვლის) მოახლოებას" (ებრ 10:25, შდ. მალ 3:16). ამიტომ, მორწმუნეებმა უნდა იღონონ ყველა საშუალება ერთმანეთთან კონტაქტის დასამყარებლად წერილებისა ან მოგზაურობის მეშვეობით, რათა ერთად შეისწავლონ ბიბლია, მიიღონ მონაწილეობა ღვთიურ წირვაში და განახორციელონ ქადაგება.

ყველა ჩვენთაგანი ინდივიდუალურად არის "გამოძახილი" სამყაროდან სამეფოს იმედისაკენ. სიტყვა "წმიდა" ნიშნავს "გამოძახილ ადამიანს" და შესაძლოა ეკუთვნოდეს ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს. ბერძნული სატყვა "ეკლესია", რომელიც ნათარგმნია ინგლისურ ბიბლიაში როგორც "ტაძარი", ნიშნავს "გამოძახებულთა შესაკრებს" ე.ი. მორწმუნეთა. ამიტომ სიტყვა "ეკლესია" ეკუთვნის უფრო მორწმუნეთა ჯგუფს, ვიდრე ფიზიკურ შენობას, რომელშიც ისინი იკრიბებიან. ამ თერმინის გამოყენების აცილების მიზნით, ქრისტედელფიანები ეპყრობიან თავის "ტაძრებს", როგორც ეკლესიას.

სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ მორწმუნენი, ნებისმიერ ქალაქში ან მხარეში, მათ სრულიად კანონიერად უჩნდება რეგულარული შეხვედრების ადგილის ძებნის სურვილი. ეს შესაძლოა იყოს მორწმუნეს სახლი, ან ოჯარით აღებული დარბაზი.

ქრისტედელფიანური ეკლესია იკრიბება კლუბებში, სასტუმროების კონფერენც-დარბაზებში ან კერძო ბინებში. ეკლესიის მიზანი მისი წევრების სულიერ ზრდაში შედგება ბიბლიის კოლექტიური შესწავლის მეშვეობით.

ქრისტედელფიანების ჩვეულებრივი განრიგი ამგვარად გამოიყურება:

კვირა	11.00 - პურის გატეხვა
	18.00 - საზოგადოებრივი ქადაგება
ოთხშაბათი	20.00 - ბიბლიის შესწავლა

ეკლესია – ღვთის ოჯახის ნაწილია. ნებისმიერ მჭიდროდ გადაბმულ საზოგადოებაში ყოველივე მისი წევრი უნდა ალღოიანი და მორჩილი იყოს სხვების მიმართ. ქრისტე ამის უმაღლეს მაგალითს წარმოადგენდა. სულიერი უპირატესობის მიუხედავად, იგი იქცეოდა როგორც "მსახური სხვებისთვის", მოციქულთა ფეხების ბანვით იმ დროს, როდესაც ისინი კამათობდნენ, ვინ არის მათ შორის დიადი. ქრისტე მოგვიწოდებს მივბაძოთ მას (იოან 13:14, 15; მათ 20:25-28).

ამჟამად, როდესაც წმიდასულის საოცარი ნიჭი ამოღებულია, არ არის ადგილი "უფროსებისთვის", როგორც ეს ადრინდელ ეკლესიაში იყო: "ვინაიდან ერთია თქვენი მოძღვარი – ქრისტე და თქვენ ყველანი ძმები ხართ" (მათ 23:8). ამიტომ, ქრისტედელფიანები ეპყრობიან ერთმანეთს როგორც "ძმები" ან "დები" და მიმართავენ ერთი მეორეს მხოლოდ პირველი სახელით. მიუხედავად იმისა, თუ რა საზოგადო მდგომარეობას იკავებენ ისინი. ამავე დროს, ისინი პატივს სცემენ იმ მორწმუნეებს,

რომლებიც სცნობენ ჭეშმარიტ ღმერთს მრავალი წლის განმავლობაში. ამგვარი მორწმუნეთა რჩევები დიდ საგანძურს წარმოადგენენ მათთვის, ვისაც სურს მიჰყვეს ღვთის სიტყვას. მაგრამ, მიღებულია მხოლოდ ისეთი რჩევები, რომლებიც ღვთის სიტყვის ზუსტ ანარეკლს წარმოადგენს.

ეკლესიაში მოცემული მოძღვრება, რასაკვირველია, უნდა იყოს დამყარებული ღვთის სიტყვაზე. ისინი, ვინც საჯაროდ გამოდიან სიტყვით ეკლესიაში, ასახავენ ღმერთს და საუბრობენ მისი სახელით. რადგან ღმერთი – მამრობითი სქესისაა, მხოლოდ ძმებს შეუძლიათ განახორციელონ საქმიანობა ღვთის სიტყვის საზოგადო ახსნის მიზნით. ამის შესახებ მარტივად არის ნათქვამი 1 კორ 14:34: "დედაკაცებმა იდუმონ ეკლესიებში; რადგან უფლება არა აქვთ ილაპარაკონ". წერილში ტიმოთეს მიმართ (2:11-15) ეს ახსნილია მოვლენებით, რომლებიც ედემის ბაღში მოხდა, სადაც ევამ აცდუნა ადამი, ამიტომ ამჟამად ქალმა არ უნდა ასწავლოს კაცს. ის ფაქტი, რომ ღმერთმა შექმნა ჯერ ადამი და შემდეგ ევა, ნიშნავს რომ "ცოლის თავი – ქმარია" (1 კორ 11:3). ამის გამო: "დედაკაცი უნდა სწავლობდეს მდუმარებაში ყოველგვარი მორჩილებით. დედაკაცს არ ვაძლევთ სწავლების ნებას, არც ქმარზე ბატონობისას, არამედ იყოს მდუმარედ. ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე ევა. ადამი კი არ შემცდარა, არამედ დედაკაცი შეცდა და დანაშაული ჩაიდინა. თუმცაღა გადარჩება შვილების შობით, თუ იდგება რწმენაში, სიყვარულში და სიწმიდეში კდემამოსილებით" (1 ტიმ 2:11-15).

აქედან გამომდინარე – ბიბლიაში გამოიყოფა ცალკეული ფუნქციები მორწმუნე კაცებისა და ქალებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ქალების შესახებ არის ნათქვამი, რომ ისინი "გათხოვდნენ, გააჩინონ ბავშვები, იდიასახლისონ" (1 ტიმ 5:14). ეს მათ სულიერ მოღვაწეობას ნიშნავს – სახლი. აქედან გამომდინარე, საზოგადო მოღვაწეობა ეკლესიაში კაცს ეკუთვნის. ეს მკვეთრად უპირისპირდება ჰუმანურ თეორიებს სქესის თანასწორუფლებიანობას შესახებ, როდესაც მომუშავე ქალს შეუძლია მოითხოვოს თანასწორი უფლებები საკუთარ ქმართან

ყველა საქმიანობაში – საოჯახო ბიუდჟეტის მართვიდან ტანსაცმლის ტარებამდე, რომელიც ერთია ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის. ამრიგად, ბავშვის მოვლა განხილულია როგორც უხერხულება, როგორც ემოციური წმიდნობის გარკვეული დონის შენარჩუნების აუცილებლობა სრულიად მატერიალურ და ეგოისტურ სამყაროში. ჭეშმარიტი მორწმუნენი უარყოფენ საუკუნის ამ სულს, თუმცა, როგორც ყოველთვის, აუცილებელია ზომის გრძნობა.

კაცი არ უნდა იყოს თვითნება მეუღლის წინაშე, არამედ უნდა უყვარდეს იგი, როგორც ქრისტეს ვუყვარდით (ეფეს 5:25). "ქმრებო, გონივრილად მოეპყარით ცოლებს (ე. ი., მოექეციეთ მათ ნაზად, ღვთის სიტყვის ცოდნის შესაბამისად), როგორც უუძლურეს ჭურჭელს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს" (1 პეტ 3:7).

სულიერი გამოთქმით, ნათლობა ქრისტეში ქმნის კაცსა და ქალს თანასწორედ (გალ 3:27, 28; შდ. 1 კორ 11:11). მაგრამ, ეს არ ახდენს გავლენას აშკარა პრინციპებზე, რომ "ცოლის თავი – ქმარია" (1 კორ 11:3) პრაქტიკულ და სულიერ საქმეებში როგორც ოჯახში, ასევე ეკლესიაშიც.

ამ პრინციპის აღიარების მიზნით, მორწმუნე ქალმა უნდა ატაროს თავსაფარი, როდესაც ძმა ქადაგებს ღვთის სიტყვას. პრაქტიკაზე ეს ნიშნავს, რომ ქუდი ანუ თავსაფარი გაკეთებული უნდა იყოს ეკლესიურ კრებულებებში მონაწილეობის დროს. კაცისა და ქალის მნიშვნელობის სხვაობა იმით არის ხაზგასმული, რომ ქალი იზრდის თმებს, ხოლო მამაკაცი თავს იკავებს ამისაგან (1 კორ 11:14, 15).

"და ყოველი დედაკაცი, რომელიც თავდაუფარავი ლოცულობს... თავს ირცხვენს (ე. ი. ქმარს, ლქ.3), ვინაიდან ეს იგივეა, რომ გადაპარსული იყოს. ვინაიდან, თუ დედაკაცი თავს არ დაიფარავს, გადაიპარსოს, ხოლო თუ დედაკაცს რცხვენია იყოს გაკრეჭილი ან

გადაპარსული, თავდაფარული იყოს... ამიტომ დედაკაცი ვალდებულია, თავზე ჰქონდეს ხელმწიფების ნიშანი...” (1 კორ 11:5, 6, 10).

დედაკაცის “დაუფარავი” თავი გვიჩვენებს, რომ მას აქვს თმა, ხოლო “დაფარული” თავი ამოწმებს გააზრებულ დამოკიდებულებას თავსაფრის ტარების მიმართ. თავსაფარის გარეშე დედაკაცი ვერ ენდობა თავის ბუნებრივ თმებს; ამგვარი ფიქრი კი – ნიშნავს ვარაუდს, თითქოს ღმერთი ვერ ხედავს მის თმებს. კაცმა არ უნდა დაფაროს თავი (1 კორ 11:7). ეს თმების ქონლობის კი არა, არამედ რაიმე თავსაფარის ტარებას ეკუთვნის. დედაკაცი ეკლესიას წარმოადგენს, კაცი კი – ქრისტეს. როგორც გააზრებულად ვიღებთ ჩვენი ხსნის რწმენას ქრისტეს მეშვეობით, ასევე დედაკაცმა უნდა მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილება თავის დაფარვის შესახებ. ქალის გრძელი თმა – ეს (ღმერთით მიცემული) მისი პატიოსნებაა, რადგან თმები მიცემული აქვს მას, როგორც საფარებელი (ბერძნულად “ბუნებრივი სამოსი”) (1 კორ 11:15). ამრიგად, ქალმა უნდა გაიზარდოს თმა და მით აღნიშნოს თავისი სხვაობა კაცისაგან. სხვაობა კაცთა და ქალთა თმების შორის ღმერთის მიერ არის შექმნილი. ამიტომ ქალმა უნდა გამოიყენოს ეს საშუალება თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზგასმისათვის.

ქალის გრძელი თმებისა და თავსაფრის ტარების საკითხის განხილვისას, ჩვენ ყურადღებიანი უნდა ვიყოთ, რათა ყველაფერი ეს მხოლოდ სიმბოლურად არ გამოიხატოს. თუ დას გააჩნია ჭეშმარიტად სულიერი და მორჩილი დამოკიდებულება (შდ. პეტ 3:5), იგი დაემორჩილება ძმებს, როგორც მორწმუნე ქრისტეს და სიხარულით გამოხატავს თავის მორჩილებას ნებისმიერი საშუალებით, თავსაფრის ტარების ჩათვლით. თუ იგი გაათვითცნობიერებს ამ მითითების მიზეზს, როგორც ღმერთის მიერ მოცემულ ყველა მითითებებს, მაშინ მას ექნება სურვილი განახორციელოს ისინი.

ქალისათვის ყოველთვის არსებობს სამსახური თვით ეკლესიაში – ქადაგება კვირის სკოლაში და ხელმძღვანელობა სხვა ვალდებულებებით, რომლებიც არ ითვალისწინებენ საჯარო გამოსვლებსა და ქადაგებებს, სულიერად მომზადებული ქალები შესაძლებელია წაქეზებულნი იყვნენ უმცროსი დების სასწავლო მეცადინეობების წაქეზებაში (ტიტ 2:3, 4; შდ. მარიამ, გამ 15:20).

11.3.5. პურის გატეხვა

ლოცვასთან და ბიბლის კითხვასთან ერთად, მნიშვნელოვანია ქრისტეს მითითებების რეგულარული განხორციელება პურის გატეხვისა და ღვინის სმის შესახებ მისი შეწირვის სამახსოვროდ. "ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად", თქვა იესომ (ლუკ 22:19). მისი სურვილი იყო, რომ მისი მიმდევრები რეგულარულად აკეთებდნენ ამას მის მეორე მოსვლამდე, როდესაც იესო კვლავ გაგვიყოფს საკუთარ პურსა და ღვინოს (1 კორ 11:26; ლუკ 22:16-18).

პური – ქრისტეს სხეულს წარმოადგენს, რომელიც ჯვარს ეცვა, ხოლო ღვინო – მის სისხლს (1 კორ 11:23-27). ადრინდელი მორწმუნენი ჩვეულებრივ ასრულებდნენ ამ აღთქმას (საქ 2:42-46), როგორც ჩანს, კვირაში ერთხელ (საქ 20:7). თუ ჩვენ ნამდვილად გვიყვარს ქრისტე, ჩვენ შევასრულებთ მის აღთქმას. თუ ჩვენ გაგვაჩნია პირადი დამოკიდებულება მასთან, ჩვენ შევეცდებით გავიხსენოთ მისი მსხვერპლი, როგორც იგი ითხოვდა და ამით წავახალისებთ საკუთარ თავს გახსენებისკენ იმის შესახებ, თუ რა დიდ ხსნას მან მიაღწია. მისი ჯვარზე ტანჯვის მშვიდი ანარეკლის პერიოდი გადააქცევს ჩვენს ბუნებრივ სირთულეებს უმნიშვნელოდ იმასთან შედარებით, რაც უფალმა გამოსცადა.

პურის გატეხვა წარმოადგენს, ძირითადად, გახსენების მსახურებას; ამის შედეგად არაფერი მაგიური არ იწარმოება. ეს აღდგომის ეკვივალენტია მოსეს რჯულის მიხედვით (ლუკ 22:15; 1 კორ 5:7, 8). ეს იყო საშუალება ეგვიპტედან გამოსვლის გახსენების შესახებ, რომელიც ღმერთმა განახორციელა მოსეს მეშვეობით წითელ

ზღვაზე. პურის გატეხვის მსახურობა ასახავს ჩვენს ხსნას ცოდვისაგან ქრისტეს მეშვეობით, რაც შესაძლო გახდა ჯვარზე და რომელსაც ჩვენ დავუკავშირდით ნათლობით. აქედან გამომდინარე, ამ აღთქმის განხორციელება უნდა იყოს რაღაც ის, რის განხორციელებაც ჩვენ ბუნებრივად გვსურს.

ფიზიკური მოქმედება პურისა და ღვინის მიღებისთვის — ეს ჩვენს მიმართ ქრისტეს სიყვარულის გამომჟღავნებაა და, ამის შემდეგ, ყველა მოვლენა ჩვენი ხსნის შესახებ კვლავ რეალური ხდება. აქედან გამომდინარე, პურის გატეხვა ერთხელ კვირაში — საღი სულიერი მდგომარეობის ნიშანია. თუ ეს შეუძლებელია განხორციელდეს რწმენის მეგობრებთან ერთად, იგი უნდა შესრულდეს მარტოობაშიც. არავითარი პატივსაცემო მიზეზი არ არსებობს ამ აღთქმის შესაწყვეტად. ჩვენ უნდა ყველანაირად ვეცადოთ ვიქონიოთ პური და ღვინო მსახურობის დროს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პროდუქტების უქონლობამაც კი არ უნდა შეგვაჩეროს ქრისტეს მოხსენებისაგან. იესო სვამდა ღვინოს "ვაზის ნაყოფისგან" (ლუკ 21:18) და ჩვენ, ამიტომ, უნდა შევსვათ წეთელი ვაზის ღვინო.

ქრისტეს მსხვერპლისა და ტანჯვის სიმბოლების მიღება — უდიდესი პატივია, რომელიც შესაძლოა გააჩნდეს კაცსა ან ქალს. მათი გასინჯვა კუთვნილი ყურადღების გარეშე, ნიშნავს ღვთის გმობის პირზე ყოფნას, ვინაიდან "ყოველთვის, როცა ამ პურს ჭამთ და ამ სასმისს სვამთ, აუწყეთ უფლის სიკვდილი... ამიტომ, ვინც შეჭამს ამ პურს ან შესვამს უფლის სასმისს უღირსოდ, დამნაშავე იქნება უფლის სხეულსა და სისხლის წინაშე (1 კორ 11:26, 27). პურის გატეხვის დროს სასურველია ისეთი ადგილის ამორჩევა, როდესაც ღვთის მსახურობისგან ყურადღების გადატანა გამორიცხული იქნება. იგი შესაძლოა განხორციელდეს დილით ან საღამოს საძინებელში ან სხვა შესაფერის ადგილას. ჩვენ გვახსოვს რჩევა: "ადამიანმა ჯერ თავი გამოსცადოს და ასე ჭამოს ამ პურიდან და დალიოს ამ სასმისიდან" (1 კორ 11:28). ამის გამო, ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ყურადღება ქრისტეს მსხვერპლზე,

შესაძლოა, სახარების ფურცლების გადათვალიერებით, რომლებშიც ნათქვამია მისი ჯვარცმის შესახებ.

პურის გატეხვის მსახურობის შესაბამისი წესი შესაძლოა ამგვარი იყოს:

1. ლოცვა – ღვთის კურთხევის თხოვნა; ჩვენი თვალების ახილვა მის სიტყვაზე; სხვა მორწმუნეთა გასაჭირის შეხსენება; მადლიერება მისი სიყვარულისა და ლოცვების ჩვენი სისოცხლის გამო.

2. ბიბლიის იმ ადგილების კითხვა, რომლებიც მითითებულია "ბიბლიის თანამგზავრში".

3. ფიქრი ბიბლიიდან გამოტანილი გაკვეთილების შესახებ ან ქადაგების კითხვა, რომლებსაც ჩვენი მსახურობის მიზნისკენ მივყევართ – ქრისტეს მოხსენიებისაკენ.

4. კითხვა ლექსების 1კორ 11:23-29.

5. წუთიერი დუმილი - საკუთარი თავის შეცნობა.

6. ლოცვა პურის შესახებ.

7. პურის გატეხვა და მისი ერთი ლუკმის შეჭმა.

8. ლოცვა ღვინოს შესახებ.

9. ღვინის მოსმა.

10. უკანასკნელი ლოცვა.

ღვთისმსახურობა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში უნდა ჩატერდეს.

11.4. ცოლქმრობა

წიგნის ამ ნაწილს ჩვენ დავიწყებთ ხალხთა მდგომარეობის განხილვით, რომლებიც ნათლობის მიღებამდე ქორწინებაში არ იმყოფებიან. ნაწილში 5.3 ჩვენ ვთქვით, რომ ქორწინებაში შესვლა სასურველია ნათლობის მიღების შემდეგ. ბიბლიაში ნათქვამია, რომ იესო, ასევე პავლე და სხვა მოციქულებიც მოუწოდებდნენ ქორწინებაში არ მყოფ ხალხს მიეღოთ გადაწყვეტილება დაქორწლდნენ და მარტონი დარჩნენ, რათა უფალს ემსახურონ (1 კორ 7:7-9, 32-38; შდ. 2 ტიმ 2:4; მათ 19:11, 12, 29; ეკლ 9:9). "სხვაფრივ ცოლიც რომ მოიყვანო, არ შესცოდავ" (1კორ 7:28). მოციქულთა უმრავლესობა ცოლიანი იყო (1 კორ 9:5); და, ღვთის გეგმისამებრ ქორწინებას მოაქვს ფიზიკური და სულიერი სარგებლობა. "ყველას ცოლ-ქმრობა იყოს პატიოსანი და სარეცელი – შეუბილწავი" (ებრ 13:4). "არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა" (დაბ 2:18), იმ შემთხვევაში თუ ის არ განახორციელებს საკუთარ მოვალეობებს სულიერ საქმეებში უმაღლეს დონეზე და ამიტომ ღმერთმა დაამყარა ქორწინება. "ვინც ცოლი ჰპოვა და უფლისგან არის" (იგავნ 18:22; 19:14). საერთო დასკვნა ამ საკითხის შესახებ მოცემულია 1 კორ 7:1, 2: "კაცისათვის კარგია, არ გაეკაროს დიაცს. მაგრამ სიძვის თავიდან ასაცილებლად ყოველ მამკაცს ჰყავდეს თავისი ცოლი და ყოველ დედაკაცს – თავისი ქმარი" (შდ. ლექსი 9).

ამ ლექსების აზრი შემდეგშია: ქორწინებამდე სხეულის სურვილების დაკმაყოფილება – სიძვე არის. გაფრთხილება სიძვის წინააღმდეგ, ცოლქმრული ერთგულების დარღვევა და ამორალობის ნებისმიერ სახეობას ვხვდებით ახალ აღთქმაში, თითქმის ყოველი წერილი შეიცავს მას: საქ 15:20; რომ 1:29; 1 კორ 6:9-18; 10:8; 2 კორ 12:21; გალ 5:19; ეფეს 5:3; კოლ 3:5; 1 თეს 4:3; იუდა 7; პეტ 4:3; გამოცხ 2:21.

ზემოთ ნათქვამის ცოდნით, აშკარად გამოხატული ღმერთის ნების ცდუნება - სარიოზული საქმეა. თუ ღმერთს შეუძლია წუთიერი სისუსტის ცოდვების პატიება, რომლის გამო ადამიანი ნანობს მოგვიანებით, ცხოვრება, რომლის განმავლობაში სიძვა რეგულარულად ხდება, გაკიცხვას იმსახურებს. პავლემ არაერთხელ თქვა: "სიძვა, უწმიდურება... და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს (განკითხვის დღემდე), რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ" (გალ 5:19, 21), ამიტომ, "გაექეცით სიძვას (შდ. 2 ტიმ 2:22); ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი სჩადის, სხეულის გარეშეა, ხოლო მეძავი საკუთარი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს" (1 კორ 6:18).

სამყაროში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, როდესაც ახალგაზრდა წყვილი ცხოვრობს სქესობრივი კავშირით ქორწინებამდე. თერმინის "ქორწინება საერთო კანონით" გამოყენება ამგვარი საქციელის გასამართლებლად სრულიად არ არის სწორი. მორწმუნეთა ქორწინება უნდა სრულიად შეეფერებოდეს ღვთის განსაზღვრას. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ქორწინების განსაზღვრას, რომელიც სხეულის მოთხოვნილების გამო ხდება, თუმცა მთელ სამყაროში იყოს მიღებული, ჰქონდეს უპირატესობა ღმერთის მითითებაზე ცოლქმრობის შესახებ. ბოლოს-და-ბოლოს ქორწინება დამყარებული იყო ღმერთით, და არა ადამიანით. ბიბლიის შესაბამისად, ქორწინება შეიცავს სამ მომენტს:

1. ქორწინების ცერემონია ნებისმიერი სახის, თუნდაც სრულიად უბრალო ბოყაზის ქორწინების აღწერა რუთზე (რუთი 3:9-4:13) გვიჩვენებს, რომ ქორწინება – არა მარტო ნათესაობაა, რომელშიც შედის ხალხი, არამედ უნდა იყოს განსაკუთრებული მომენტი, როდესაც ადამიანი ხდება სრულიად დაქორწინებული. ქრისტე შედარებულია საქმროსთან, ხოლო მორწმუნენი საცოლესთან, რომელსაც იგი "შეირთავს" მეორე მოსვლის დროს. ამ მოვლენის აღსანიშნად გაიმართება "კრავის საქორწინო სერობა" (გამოცხ 19:7-9). ნათესაობრივი დამოკიდულება ცოლ-ქმარს შორის იმ დამოკიდულების განსახიერებაა, რომელიც ქრისტესა და

მორწმუნეთა შორის იქნება (ეფეს 5:25-30). როდესაც იქნება გარკვეული მომენტი მათ ქორწინებისათვის, უნდა გაიმართოს ქორწილი მორწმუნეთა შორის და ამით გამოიხატება კავშირი ჩვენსა და ქრისტეს შორის განკითხვის დღეს.

2. ღმერთისა და ისრაელის ქორწინება შეიცავდა სულიერ თანხმობასა და ერთმანეთის ნდობას (ეზეკ 16:8) და ესეც ასევე დამახასიათებელი მომენტი უნდა იყოს მორწმუნეთა ქორწინების დროს.

3. სქესობრივი კავშირი აუცილებელია ქორწინების განსახორციელებლად (რჯლ 21:13; დაბ 24:17; 29:21; 1 მეფ 11:2). ამის გამო, 1 კორ 6:15 ხსნის, თუ რატომ სქესობრივი კავშირი ფიზიკურად ნიშნავს ღმერთით წყვილის შეერთებას (დაბ 2:24). ამიტომ, "ერთ სხეულად" შეერთება დროებით ნათესაობრივ კავშირის დროს იმ სხეულის წაბილწვას ნიშნავს, რომელიც ღმერთმა მოგვცა. ღმერთმა შექმნა ისინი, რათა ფიზიკურად განეხორციელებინა ცოლქმრული კავშირი.

აქედან გამომდინარე, ქორწინებამდე "ერთად მცხოვრე" წყვილები ფაქტიურად ცოდვაში ცხოვრობენ. თუ ისინი არ მისცემენ საკუთარ კავშირს ოფიციალურ სახეს ან არ დაშორდებიან ერთმანეთს – ნათლობის შესახებ საუბარიც ზედმეტია.

სირთულეები სამყაროს ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნების ტრადიციებში ჩნდება, რომლებსაც არ გააჩნია გაგება საქორწინო ცერიმონიის შესახებ. წყვილს შეუძლია იცხოვროს წლების განმავლობაში საკუთარი კავშირის ოფიციალური და რიტუალური გაფორმების გარეშე. ამ სტრიქონების ავტორის რჩევა ამგვარია: ასეთ შემთხვევაში მორწმუნე, რომელიც ნათლობას ახდენს, უნდა აუხსნას ნათლობის კანდიდატს მდგომარეობა და დააჯეროს, ხელი მოაწეროს პარტნიორთან ერთად რაიმე საქორწინო შეთანხმებას. შემდეგ ეს საბუთი დაუყონებლივ უნდა რეგისტრირებული იყოს შესაბამის ორგანოში.

მონათლული ხალხი, რომელთა ქმრებმა ანუ ცოლებმა არ მიიღეს ნათლობა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიატოვონ მათ (1 კორ 7:13-15), არამედ უნდა უყვარდეთ ისინი და საკუთარი მაგალითით უნდა დაამტკიცონ გულწრფელი რწმენა ღმერთისადმი. 1 პეტ 3:1-6 ლექსებში მოცემულია ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ხალხთა წაქეზება და ნათქვამია, რომ სამაგალითო საქციელი თავის თავად რელიგიის მიღების საშუალებაა.

ქორწინებით ხელმძღვანელი პრინციპები მოკლედ არის მოცემული ღმერთის შემდეგი სიტყვებით: "მიატოვებს კაცი დედ-მამს და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა (ორი) ერთხორცად იქცნენ" (დაბ 2:24). ეს მისწრაფება კაცისა და ქალის კავშირისადმი ანოლოგიურია ქრისტესტან კავშირის დამყარების ჩვენ განუწყვეტლივ სურივილის. ეს ბრძოლა უფრო ჩვენ წინააღმდეგ არის, ვიდრე ქრისტეს ან ჩვენი პარტნიორის წინააღმდეგ. რაც უფრო ბევრ წარმატებას მივაღწევთ ამასში, მით უფრო ბედნიერი ვიქნებით და მით უფრო სრული იქნება ჩვენი კავშირი.

მაგრამ, ჩვენ ვცხოვრობთ ცოდვისა და წარუმატებლობის რეალურ სამყაროში, სადაც შეუძლებელია მიაღწიო წმიდანობის უმაღლეს დონეს, რომლის შესახებ ნათქვამია ღმერთისა და ქრისტეს მაგალითზე. იდეალურად წარმოგვიდგება, როგორც მითითებულია დაბ 2:24, რომ ერთმა კაცმა და ერთმა ქალმა იცხოვრონ სრულ ერთობაში მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მორწმუნენი მზად უნდა იყვნენ, რომ ზოგჯერ შეუძლებელია მიაღწიო ამგვარ მდგომარეობას საკუთარ ცხოვრებაში. როდესაც მეუღლეებს ეცვლებად შეხედულებები შეუძლებელია ქორწინების შენარჩუნება. კაცს, შესაძლოა, ჰყავდეს რამოდენიმე ცოლი ნათლობის მიღებამდე, თუ იგი ცხოვრობს საზოგადოებაში, რომელშიც მიღებულია მრავალცოლიანობა. ამ შემთხვევაში იგი უნდა დარჩეს თავის ცოლებთან, მაგრამ აღარ მოიყვანოს მეტი. პავლე მოციქული – ადამიანის თანაგრძნობისა და ღვთიური

პრინციპების მშვიდი ერთგულების მგზნებარე ანარეკლი – უშვებდა დაცილების შესაძლებლობებს შეუთავსებლობის განსაკუთრებულ შემთხვევაში: "ცოლი არ გაეყაროს ქმარს. ხოლო თუ გაეყრება, უქორწინოდ დარჩეს" (1 კორ 7:10-11).

ეს მტკიცება ასახავს საგანთა იდეალურ მდგომარეობას, მაგრამ წმიდა წერილში ხშირად გამოიხატება ქორწინების დამოკიდებულებაში დათმობის სურვილი, თუ იგი არ სცილდება ღვთის ძირიტად პრინციპებს (მგ., სიძვა – ცოდვა). პავლეს რჩევა 1 კორ 7:10-11 შეესაბამება რჩევას 1 კორ 7:27-28: "... თუ უცოლო ხარ, ცოლს ნუ ეძებ (ე.ი., მარტოხელა დარჩი). სხვაფრივ ცოლიც რომ მოიყვანო, არ შეცოდავ". მაგრამ, განზრახი განქორწინება – ღვთის პრინციპების კაცისა და ქალის ერთ სხეულად შეერთების შესახებ კანონიერი დაცინვაა. ქრისტეს სიტყვები ძალზე მარტივია:

"დასაბამიდან ღმერთმა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. ამიტომ მიატოვებს კაცი მამას და დედას და მიეწებება თავის ცოლს და ორნი იქნებიან ერთ ხორცად. ამრიგად (ხაზს უსმევს იესო), ისინი ორნი კი არ არიან, ერთი ხორცი არიან. ამრიგად, რაც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ გაყრის (განქორწინებით)... ვინც თავის ცოლს გაუშვებს და სხვას შეირთავს, იგი მრუშობს მის მიმართ. თუ ცოლი გაეყრება ქმარს და სხვას მისთხოვდება, მრუშობს" (მარკ 10:6-12).

სქესობრივი კავშირის ყველა სფეროში სხეული ცდილობს გაიმართლოს თავი ბუნებრივი სურვილების დამორჩილების გამო. იმ ხალხს, ვინც განსაკუთრებულ მიმზიდველ სიტუაციებში ხვდება, შეუძლიათ სულიერი სიმტკიცე და ძალა იპოვონ ამ ნაწილში ნახსენებ ლექსებში. ზოგიერთი ცდილობს გაამართლოს ჰომოსექსუალიზმი, როგორც კანონიერი ბუნებრივი სურვილი. მაგრამ, ასეთი საქციელი ღმერთის თვალებში – სრულიად მანკიერი მოვლენაა.

ძირითადი აზრი დაბ 2:24 ლექსის ჰომოსექსუალიზმის ცოდვის მხილებაში შედგება. ღმერთის განზსახვა კაცისა და ქალის ქორწინებაში და ერთობაშია. ღმერთმა შექმნა ევა ადამის თანაშემწედ. სქესობრივი კავშირი კაცთა შორის რამდენჯერმე არის გაკიცხული ბიბლიაში. ეს – ერთერთი ცოდვაა, რომლის გამო განადგურდა სოდომი (დაბ 18, 19). პავლე მოციქული აშკარად ამბობს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი ხალხი ღმერთის რისხვას იწვევენ და მის სასუფეველში არ დაიშვებიან (რომ 1:18-32; 1 კორ 6:9, 10).

ამავე დროს, ჩარევა ამ საქმეში – არ ნიშნავს ღმერთის დახმარების გარეშე დარჩენას. იგი აპატიებს იმას, ვინც მოკრძალებით მიმართავს მას თხოვნით (ფსალმ 130:4). ეკლესიაში კორინთეში მანანიებულ ქარაფშუტა ხალხის საკმარისი რაოდენობა იყო: "ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი. მაგრამ განიბანეთ (ნათლობის მეშვეობით), მაგრამ წმიდა გახდით, მაგრამ გამართლდით (ნეთლისღებით) ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით" (1 კორ 6:11).

ჩივილი მოპირისპირე სქესისადმი ბუნებრივი ლტოლვის უქონლობის გამო, ფაქტიურად ღმერთის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელმაც, თითქოს, არასამართლიანად აკრძალა ჰომოსექსუალური კავშირი, მაგრამ ამავე დროს შეგვქმნა ცდუნების დიდძალი გრძნობით. მაგრამ, ღმერთმა არ დაუშვა ცდუნებაში ჩვენი შესვლა მეტისმეტად, იგი ცდუნების დროს შვებას გვაძლევს, რათა შეგვეძლოს ამის გადატანა (1 კორ 10:13). სხეულის მისწრაფების გადაჭარბებული წაქეზებით შესაძლოა იმ მდგომარეობის მიღწევა, რომელიც ფაქტიურად დაახასიათებს ადამიანს. ასე, ლოთი ან ნარკომანი ვერ იცხოვრებს გარკვეული ქიმიური ნივთიერების რეგულარული მიღების გარეშე და ჩვეულებრივ საჭიროა სამედიცინო ჩარევა, რათა ასეთი ადამიანი დაუბრუნდეს ნორმალურ, გაწონასწორებულ ცხოვრების წესს.

ჰომოსექსუალისტებმა ამავე გზით უნდა იარონ. ღმერთი დაეხმარება მათ. ხოლო თუ ისინი სრულიად მიეცემიან საკუთარი სურვილების განხორციელებას, ღმერთი მოეპყრება მათ ისევე, როგორც ადრე ისრაელიანებს: "ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი შეცვალეს ბუნების საწინააღმდეგოთი. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი წესი და გახურდნენ ავხორცობით ერთიმეორის მიმართ.

მამკაცი მამაკცთან სჩადიოდა სამარცხვინოს, და მიიღეს საკადრისი თავიანთი ცდუნებისათვის" (რომ 1:26, 27).

მხოლოდ აშკარად ბრმა ხალხს არ შეუძლია ამ ლექსებში შიდსისა და სხვა სენის, რომელიც სქესობრივი გზით გადადის, წინასწარმეტყველების დანახვა.

11.5 ურთიერთობა

ბერძნული სიტყვები, ნათარგმნი როგორც "ურთიერთობა" ან "ერთიანობა", ძირითადად აღწერენ მდგომარეობას, რომელსაც რაღაც საერთო გააჩნია – საერთო კავშირი. "ერთიანობა" შეესაბამება სიტყვას "შეტყობინება". ღვთის გზების ცოდნითა და ცხოვრებაში გამოყენებით, ჩვენ გვაქვს ურთიერთობა მასთან და ყველა სხვასთან, ვინც "ქრისტეში" იმყოფება. იმ პასუხისმგებლობის აბუჩად აგდება, რომელიც ჩვენ სხვებთან ურთიერთობაში გაგვაჩნია: "არ დაივიწყოთ ქველმოქმედება და გაზიარება (ე.ი., ურთიერთობა)" (ებრ 13:16).

ფილ 1:5 ნათქვამია ჩვენი "მოზიარობის" შესახებ; ამიტომ ჩვენი ურთიერთობის საფუძველი იმ დებულებებშია, რომლებსაც სახარება შეიცავს. ამ მიზეზის გამო, კავშირი ჭეშმარიტ მორწმუნეთა შორის უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში ან ეკლესიაში. ამ ურთიერთობის შედეგად ისინი მოგზაურობენ, რათა ერთად იყვნენ და მოინახულონ იზოლირებული მორწმუნენი და

ასევე ამყარებენ კონტაქტებს ფოსტისა და ტელეგრაფის მეშვეობით, სადაც ეს შესაძლებელია. პავლე საუბრობდა "სულის მოზიარების" შესახებ (ფილ 2:1), ე.ი., ურთიერთობაზე, რომელიც დამყარებულია ჩვენს სულის მიბაძვაში (ღვთის გონების, როგორც ეს გამომჟღავნებულია მის სულში).

ჩვენი ურთიერთობის ერთერთი საუკეთესო გამომჟღავნება – პურის გატეხვის საერთო ჩატარებაა. ადრინდელი მორწმუნენი "გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, ზიარებაში, პურის გატეხვასა და ლოცვებში იყვნენ... ტეხდნენ პურს... მხიარულებით და გულუბრალოებით" (საქ 2:42, 46). ჩვენი იმედის ცენტრალური ღეროს სიმბოლებმა უნდა გაგვაერთიანონ ჩვენი გულუბრალოებით. "კურთხევის სასმისი, რომელსაც ჩვენ ვაკურთხებთ, განა ქრისტეს სისხლის ზიარება არ არის? პური, რომელსაც ჩვენ ვტეხთ, განა ქრისტეს სხეულის ზიარება არ არის? ვინაიდან პური ერთია, ჩვენ კი მრავალნი- ერთი სხეული, რადგან ყველა ერთი პურიდან ვეზიარებით", ე.ი. ქრისტედან (1 კორ 10:16, 17). ამიტომ, ჩვენი მოვალეობაა ქრისტეს მხვერპლის სიმბოლების გაზიარება მათთან, ვინც სარგებლობას იღებს ამისგან, ვინც "ერთი პურიდან იზიარება". მხოლოდ ის, ვინც მონათლული იყო ქრისტეში სათანადო წესით, ამგვარ მდგომარეობაში იმყოფება და ეს სიმბოლების დაცინვა იქნება, თუ ჩვენ გავიზიარებთ მათ იმათთან, ვისაც არ სწამს.

იოანე იხსენებს, რომ მან გაიზიარა სახარების სწავლება მარადიული სიცოცხლის შესახებ სხვებთან: "რათა თქვენც გქონდეთ მოზიარეობა ჩვენთან, ხოლო ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან" (1 იოან 1:3). ეს გვიჩვენებს, რომ ურთიერთობა მყარდება ღვთის სიტყვის საერთო გაგებაზე.

ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან, ქრისტესთან და ასევე სხვა მორწმუნეებთან არ არის დამოკიდებული ჩვენს ამაღლებაზე ჭეშმარიტი დოქტრინისადმი, რომელიც "ერთ რწმენას" შეადგენს.

ჩვენი ცხოვრების წესი უნდა შეესაბამებოდეს მასში გამოხატულ პრინციპებს: "ღმერთი არის ნათელი და არავითარი სიბნელე არ არის მასში. თუ ვამბობთ, რომ მოზიარეობა გვაქვს მასთან, ბნელში კი დავდივართ, მაშინ ვტყუით და არ ვიქცევით ჭეშმარიტებით. ხოლო თუ ნათელში დავდივართ, როგორც ის არის ნათელში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმედს ყოველგვარი ცოდვისაგან" (1 იოან 1:5-7). "სიბნელეში სიარული" ეკუთვნის ცხოვრების წესს, რომელიც განუწყვეტლივ სცილდება ღვთის სიტყვის ნათელს (ფსალმ 119:105; იგავნ 4:18), იგი არ ეკუთვნის ჩვენს შემთხვევით ცოდვებს, რადგან შემდეგი ლექსი აგრძელებს: "თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება (ე.ი., ღვთის სიტყვა – იოან 17:17, 3:21; ეფეს 5:13) არ არის ჩვენში" (1 იოან 1:8).

აქედან გამომდინარე, ეს ურთიერთობა წყდება, როდესაც მორწმუნე განიხილავს წმიდა წერილს ან ცვლის ცხოვრების წესს ბიბლიის სწავლების აშკარად საწინააღმდეგოზე: "ნუ შეეზიარებით ბნელის უნაყოფო საქმეებს, არამედ ამხილეთ" (ეფეს 5:11). საჭიროა მთელი ძალ-ღონის გამოყენება გზასაცდენილების დასაბრუნებლად, კარგი მწყემსის მაგალითზე, რომელიც ეძებს დაკარგულ ცხვარს (ლუკ 15:17). იმ შემთხვევაში თუ ძმა ან და იცვლის ცოდვილ საქციელს, აუცილებელია ურთიერთობის შეწყვეტა (მათ 18:15-17). პრაქტიკაზე ეს განხორციელებულია ეკლესიის პასუხისმგებელ წევრებთან საუბარში და ამის უწყებით ქრისტედელფიანელების ჟურნალში. მაგრამ, არ არის საჭირო ამის ხაზგასმა. ეს პროცესი მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როდესაც ხდება ცრუ დოქტრინის აშკარა მიღება ან ცოდვილი ცხოვრების გაგრძელება. ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენს შორის ცოტა რამ არის საერთო, მისი განდგომის გამო ბიბლიის დებულებებიდან, რამაც გამოიწვია ურთიერთობის ფორმალური შეწყვეტა.

ერთერთ ყველაზე აშკარა ნაწყვეტს ურთიერთობის შესახებ ვხვდებით 2 კორ 6:17-18: "ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად. რადგან რა საერთო აქვს სიმართლეს ურჯულოებასთან? რა აქვს საერთო ნათელს ბნელთან?.. ამიტომ გამოდით მათგან და გამოიყავით! ამბობს უფალი... და მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი, ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი".

ჩვენ გიჩვენეთ, რომ ღვთის სიტყვა – ნათელია. ეს ლექსები გვიხსნიან, თუ რატომ არ უნდა გვქონდეს საერთო ეკლესიებთან, რომლებიც ცრუ დოქტრინებს ქადაგებენ; თუ რატომ არ უნდა შევუღლდეთ მათ, ვინც არ ცნობს ჭეშმარიტებას. სამყაროსაგან განდგომის შედეგად, ჩვენ გვაქვს საოცარი საშუალება გავხდეთ ღმერთისადმი ერთგული ძენი და ასულნი, სხვა ხალხთა ოჯახის ნაწილად, რომელთაც ერთი ნათესაობა ჰყავთ - ჩვენი ძმები და დები. არსებობს მხოლოდ "მისი სხეული", ე.ი. მისი ჭეშმარიტი ეკლესია (ეფეს 1:23), რომელიც დამყარებულია მათზე, ვისაც ერთი იმედი გააჩნია - ერთი ღმერთი, ერთი ნათლისღება და "ერთი რწმენა", ე.ი. ერთი ჭეშმარიტი მოძღვრება, რომელიც ერთ სარწმუნოებას შეადგენს (ეფეს 4:4-6). შეუძლებელია იყო ერთი სხეულის ნაწილი და ამავე დროს ჰქონდეს კავშირი სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან. იმის ცოდნით, რომ ნათელს არ გააჩნია საერთო ბნელთან, ჩვენ ვაცხადებთ სიბნელეში ჩვენი ყოფნის შესახებ, თუ არჩევანს ბნელთან ურთიერთობაზე ვამყარებთ. თუ ჩვენ საკმაოდ ვიზიარებთ ჭეშმარიტი სწავლების მთელ სისტემას, რომელიც წმიდა წერილშია მოცემული, ჩვენ ვხედავთ, რომ მათ, ვინც ცრუ დოქტრინას ქადაგებენ ქრისტიანობის სახელით, ისეთივე კავშირი აქვს ღმერთთან, როგორც ათეისტებს.

თუ თქვენ ყურადღებით წაიკითხეთ ზემოთმოცემული თავები, თქვენთვის აშკარაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია შუა გზაში გაჩერება ღმერთთან ურთიერთობაში. ჩვენ არ ქრისტეში ვართ ნათლისღების გზით ან მის გარეშე. ჩვენ ან ნათელში დავდივართ, ჭეშმარიტი

სწავლების მიღების შედეგად, ან სიბნელეში. არავის შეუძლია ყოფნა ერთი ფეხით ორ ბანაკში.

მიღებული ცოდნა გარკვეულ პასუხისმგებლობას გვადებს ღმერთის წინაშე. ამჟამად ჩვენ არ დავდივართ ქუჩებში და არ გაგვაჩნია ისეთი ყოველდღიური ცხოვრება, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. ღმერთი ყურადღებით გვაკვირდება ჩვენ. როგორც ღმერთი, ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ასევე სხვა ჭეშმარიტი მორწმუნეც მხარში გვიდგებიან სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. მაგრამ ასევე როგორც ღმერთი, და ქრისტე, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა დავეხმაროთ – თუნდაც იმ ზომით, როგორც ღმერთმა გააკეთა, როდესაც სასიკვდილოდ განწირა თავისი მხოლოდშობილი ძე – საბოლოოდ, თქვენი ხსნა თქვენს ნებაზე არის დამოკიდებული, რომ შეინარჩუნოთ თქვენში მოცემული დიადი იმედი.

თავი 11: საკითხები

1. რა იცვლება ადამიანის ცხოვრებაში ნათლისრების შემდეგ?

2. რას ნიშნავს "წმიდანობა"?
   ა) არ დაამყარო კავშირი ურწმუნოსთან.
   ბ) მოსცილდე ცოდვას და მიმართო ღვთიურ საქმეებს.
   გ) იარო ეკლესიაში.
   დ) გაუკეთო სიკეთე სხვებს.

3. რა საქმიანობა შეუფერებელია ჭეშმარიტ ქრისტიანისათვის?

4. რას ნიშნავს სიტყვები "წმიდა" და "ეკლესია"?

5. ქვემოთ მოყვანილ დებულებებიდან პურის გატეხვის შესახებ რომელია ჭეშმარიტი?
   ა) ჩვენ უნდა ყოველ კვირას გავტეხოთ პური.
   ბ) ჩვენ უნდა გავტეხოთ პური აღდგომისას.
   გ) პური და ღვინო სიტყვასიტყვით გარდაისახებონ იესოს სხეულად და სისხლად.
   დ) პური და ღვინო წარმოადგენენ იესოს სხეულსა და სისხლს.

6. ქვემოთ მოყვანილ დებულებებიდან ქორწინების შესახებ რომელი არის ჭეშმარიტი?
   ა) ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნესთან.
   ბ) განქორწინება დაშვებულია მორწმუნეთათვის.
   გ) მორწმუნემ, რომელიც ქორწინებაშია ურწმუნოსთან, უნდა შეინარჩუნოს ოჯახი.
   დ) ქორწინებაში კაცი ქრისტეს წარმოადგენს, ხოლო ქალი მორწმუნეებს.

7. უნდა თუ არა იქადაგოს ქალმა ეკლესიაში?

8. თუ თქვენ მიიღეთ ნათლობა ჭეშმარიტების შემეცდების შემდეგ, გააგრძელებთ თუ არა მოღვაწეობას ეკლესიაში, რომელიც არ ქადაგებს ჭეშმარიტ რწმენას?

დანართი 1: ბიბლიის ძირითადი დებულებების მოკლე გადმოცემა

1. ღმერთი

1.1. არსებობს უზენაესი არსება, სახელად ღმერთი,
1.2. რომელსაც აქვს ცალკეული ადგილსამყოფელი ცაში,
1.3. რეალური სხეულით,
1.4. რომლის ხატებას ჩვენ წარმოვადგენთ.
1.5. ანგელოზები – მისი დესპანნი არიან,
1.6. რომლებიც ცოდვას არ იდენენ,
1.7. და ღმერთის ბუნებას იზიარებენ.
1.8. როგორც გვასწავლის ბიბლია, არსებობის მხოლოდ ერთი ფორმა გვაქვს – არსებობა სხეულის ფორმით.
1.9. ქრისტიანული იმედი ქრისტეს მეორე მევლენისას ღვთის ბუნების სხეულის ფორმის მიღებაში შედგება.

2. ღვთის სული

2.1. ღვთის სული ეკუთვნის ღმერთის ძალას, სუნთქვასა და გონებას,
2.2. რომლის მეშვეობით იგი ყველაფერს აღწევს
2.3. და ყველგან იმყოფება.
2.4. წმიდასული ეკუთვნის იმ ძალას, რომელიც გარკვეული მიზნების მისაღწევად გამოიყენება.
2.5. წარსულში სხვადასხვა დროს ხალხს გააჩნდა წმიდასულის სასწაული ნიჭი.
2.6. ამჟამად იგი უარყოფილია,
2.7. დღესდღეობით ღვთის ძალა მის სიტყვაში მჟღავნდება.
2.8. წმიდასული არ მოუწოდებს ხალხს სულიერობისაკენ მათი ნების გარეშე.
2.9. ბიბლია სრულიად მოევლინა ღვთის სულს.
2.10. ბიბლია – ერთადერთი ავტორიტეტია ჩვენს ღმერთთან ურთიერთობაში.

3. ღმერთის აღთქმა

3.1. სახარებას აღთქმის ფორმით ქადაგებდნენ, რომელიც ებრაელ
3.2. დედაკაცის თესლი (დაბ 3:15) ეკუთვნის ქრისტესა და მართლმორწმუნეს, რომლებიც დროებით ცოდვით არიან განგმირულნი – გველის თესლით.
3.3. ღმერთის აღთქმის განსახორციელებლად, დედამიწა არასოდეს არ იქნება განადგურებული.
3.4. აბრაამისა და დავითის თესლი ქრისტე იყო;
3.5. ჩვენ შეგვიძლია რწმენით და ნათლობით ვიყოთ ქრისტეში,
3.6. ესე იგი, ეს აღთქმა ჭეშმარიტ მორწმუნეებს ეკუთვნის.

4. ღმერთი და სიკვდილი

4.1. თავისი ბუნებით ადამიანი მოკვდავი, ცოდვილი და
4.2. დაწყევლილია ადამის ცოდვის გამო.
4.3. ქრისტეს ჰქონდა ადამიანური ბუნება.
4.4. სული "ჩვენ", ჩვენ სხეულს, ფიქრებსა და პიროვნებას ეკუთვნის.
4.5. სული ჩვენ სიცოცხლის ძალას (სუნთქვას) ეკუთვნის.
4.6. არავის არ შეუძლია არსებობა სულის ფორმით, სხეულის გარეშე.
4.7. სიკვდილი - სრული შეუგნებლობის მდგომარეობა არის.
4.8. ქრისტეს მეორე მოსვლისას აღდგება მხოლოდ სახარების მცოდნე.
4.9. ღვთის სიტყვის აღიარება და სწორი გაგება განკითხვის საფუძველი იქნება.
4.10. უკვდავების ნიჭი მოცემული იქნება განკითხვის დღეს.
4.11. უწმიდურების საზღაური მარადიული სიკვდილი იქნება.
4.12. "ქვესკნელი" სამარეს ეკუთვნის.
4.13. "ჯოჯოხეთი" – იყო ადგილი იერუსალიმის მახლობლად, სადაც დამნაშავეებს და ნარჩენებს სწვამდნენ.

5. ღვთის სასუფეველი

5.1. წარსულში ისრაელის ხალხი ღვთის სამეფოს წარმოადგენდა.
5.2. ამჟამად ღვთის სასუფეველი არ არის დამყარებული, იგი ქრისტეს მოსვლისას აღორძინდება

5.3. დედამიწაზე მთელი სამყაროს სამეფოს სახით, რომელსაც ღმერთის სახელით ქრისტე უხელმძღვანელებს.
5.4. იმ სამეფოს პირველი 1000 წელი (ან "ოქროს ხანა") მოკვდავ ხალხს ჭეშმარიტი მორწმუნენი უხელმძღვანელებენ, რომლებიც ქრისტეს მეორე მოსვლისას იცხოვრებენ.
5.5. ამიტომ სამეფო ამჟამად პოლიტიკურად დამყარებული არ არის.
5.6. ჩვენ გადავრჩებით საკუთარი რწმენის მადლით.

6. ღმერთი და ბოროტება

6.1. "ეშმაკი" – "ცრუ მბრალდებელს" ან "ცილისმწამებელს" ნიშნავს.
6.2. სიტყვა "ეშმაკი" – "მეტოქეს" აღნიშნავს
6.3. და შესაძლოა როგორც კეთილ, ასევე ბოროტ ხალხს ეკუთვნოდეს.
6.4. მხატვრულად, ეშმაკი და სატანა ცოდვას და ადამიანურ არს ეკუთვნიან.
6.5. გველი ედემში სიტყვასიტყვით ცხოველი იყო;
6.6. ჩანაწერი, რომელიც "დაბადების" წიგნში ადამიანის შექმნას და მის დაცემას ეკუთვნის, უნდა სიტყვასიტყვით აღვიქვათ, და არა სიმბოლური მნიშვნელობით.
6.7. "დემონები", როგორც მკვდარი სულები ან ცოდვის ძალა, არ არსებობენ.
6.8. "ეშმაკის გაგდება" ქრისტეთი უნდა გავიგოთ, როგორც მეტყველების კონსტრუქცია, რომელიც დაავადებულთა განკურნას ნიშნავს.
6.9. ლიუციფერი ცოდვილ ანგელოზს არ წარმოადგენს.
6.10. ღმერთი ყოვლისშემძლეა, იგი არ უზიარებს თავის ხელისუფლებას რომელიმე ციდვილ არსებას, რომელიც გზებს ეწინააღმდეგება.
6.11. გამოცდილება მორწმუნეთა ცხოვრებაში საბოლოოდ უფრო ღმერთისაგან მოდის, ვიდრე "წარუმატებლობის" ან ცოდვილი არსების, სახელად ეშმაკის შედეგია.

7. იესო ქრისტე

7.1. "სამება", რომელიც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ქრისტიანობაში, დებულებაა, რომელსაც არ გააჩნია ანარეკლი ბიბლიაში.
7.2. ქრისტე ქალწულმა მარიამმა შობა,
7.3. რომელიც ჩვეულებრივი დედაკაცი იყო.
7.4. ქრისტეს ადამიანური ბუნება,
7.5. მაგრამ სრულყოფილი, უცოდვილო ხასიათი ჰქონდა.
7.6. თუმცა ღმერთი არ აიძულებდა იესოს ცოდვის ჩადენას, იესო მოკვდა, ნებაყოფლობით როგორც ცოდვების მსხვერპლი.
7.7. ჯვარზე ცმის შემდეგ იესო აღდგა.
7.8. დაბადებამდე იესო ფიზიკურად არ არსებობდა,
7.9. თუმცა თავიდანვე ღმერთის გეგმებში იყო.
7.10. იესო როგორც ჩვენი ცოდვების შესაწირი მიყვდა,
7.11. რათა თავისი და ჩვენი ხსნა მიეღო.
7.12. იესო მოკვდა, როგორც ჩვენი წარმომადგენელი,
7.13. და არა ჩვენს ნაცვლად, როგორც ქრისტიანობაში არის გავრცელებულია.
7.14. მოსეს რჯული შეწყდა ქრისტეს სიკვდილით,
7.15. ამიტომ ჩვენ, არ მივყვებით მას, შაბათის ჩათვლით.

8. ნათლისღება

8.1. ნათლობის გარეშე არ არსებობს ხსნის იმედი;
8.2. რწმენა და ნათლობა გვაერთიანებენ აბრამის აღთქმაში
8.3. და ცოდვების პატიებში.
8.4. ნათლობა - წყალში სრული ჩაწვებაა
8.5. სახარების მცოდნე სრულწლოვანი ადამიანის.
8.6. სახარების ცოდნის გარეშე წყალში ჩაშვებულმა ხალხმა უნდა კვლავ მიიღონ ნათლობა.
8.7. ნათლობას სახარების სრული გაგებით აქვს ძალა.

9. ცხოვრება ქრისტეში

9.1. ნათლობის მიღების შემდეგ მორწმუნეებმა უნდა ეცადონ განეყოფონ ცოდვილ სამყაროს
9.2. და მიბაძონ ქრისტეს.

9.3. მონაწილეობა ამგვარ საქციელში და სიამოვნებაში, რომლებიც ქრისტეს მცნებების დარღვევისაკენ მოგვაწოდებენ, მაგალითად, ძალის გამოყენება და ალქოგოლის გადაჭარბებული მიღება არ შეესაბამება ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას.
9.4. მონათლული მორწმუნენი უნდა ხშირად შეხვდნენ ერთმანეთს და დაამყარონ ურთიერთობა სადაც და როდესაც კი შეასძლებელია
9.5. მონათლულმა მორწმუნეებმა უნდა რეგულარულად აღნიშნონ ქრისტეს მსხვერპლის ხსოვნა პურის გატეხვითა და ღვინოს მიღებით.
9.6. ბიბლიის რეგულარული კითხვა და ლოცვა აუცილებელია მონათლული მორწმუნესათვის.
9.7. მორწმუნემ, რომელმაც მიიღო ნათლობა, უნდა დაამყაროს ურთიერთობა მხოლოდ მათთან, ვინც მოსდევს ჭეშმარიტ სწავლებას და ცდილობს პრაქტიკულად განახორციელოს იგი.
9.8. ამიტომ ჭეშმარიტ მორწმუნეებმა უნდა შეწყვიტონ ურთიერთობა მათთან, ვისაც არ სწამს და არ მისდევს ჭეშმარიტებას პრაქტიკულ საქმეებში.

შენიშვნა: **“ჭეშმარიტი რწმენის დებულება”, რომელიც 100 წლის განმავლობაში განხორციელდება, შეგიძლიათ გამომცემელისაგან მიიღოთ**.

დანართი 2: ჩვენი დამოკიდებულება ბიბლიის ჭეშმარიტების შესწავლისადმი

სრულიად შესაძლებელია ბიბლიის ყველა ძირითადი დებულებების შესწავლოთ და ამასთანავე არ გავატაროთ გულში. ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია მათთვის, ვინც სარგებლობს ამ სახელმძღვანელობითი იმ ხალხის შესასწავლად, რომელიც ვერ იგებენ მასში მოყვანილ პრინციპებს.

პირველ საუკუნეში სახარების ქადაგება საპასუხო გულწრფელ გრძნობას იწვევდა ხალხში. ხალხი, რომლებმაც "მიიღეს" სახარება, მოინათლნენ (საქ 2:41). გულწრფელი პასუხის გარეშე წერილზე – "მგრძნობიარე რწმენაზე", როგორც მას ხშირად რობერტ რობერტსი უწოდებს, ნათლობას არავითარი აზრი არ ექნება. ისინი კი, ვინც იღებს ნათლობას მეგობრებისა და ახლობლების ზეგავლენით, საეჭვოა გაუძლონ ახალ ცხოვრებას. რადგან ჩვენ უფრო დაინტერესებულნი ვართ ხალხის ხსნაში, ვიდრე მონათლულთა რაოდენობაში, ღირს დროის დაკარგვა სახარების ქადაგებაზე, რათა ეს ხალხი მიუახლოვდეს ნათლობას სწორი გაგებით.

ბერიაში ხალხმა "მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა, ყოველდღე არჩევდნენ წერილებს", რათა გაესინჯათ იმის ჭეშმარიტება, რასაც პავლე ქადაგებდა (საქ 17:11) მაგრამ, ამას ყოველთვის ვერ მიაღწევს ბიბლიის მქადაგებელი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოვიპყროთ ყურადღება ბიბლიის გარკვეული ნაწყვეტებისაკენ. მორწმუნენი რომში "გულით დაემორჩილეთ იმ სახის მოძღვრებას, რომელსაც თქვენი თავი გადაეცით", მანამ ნათლობა მიიღეს (რომ 6:17).

ის, ვინც მისდევს საკუთარი სხეულის კარნახს ვერასოდეს ვერ შეძლებს სახარების ათვისებას; ეს ის ხალხია "... რომელთაც ღვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ... რომლებიც მუდამ სწავლობენ და ვერასოდეს აღწევენ ჭეშმარიტების შეცნობას" (2 ტიმ 3:1-17). ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ იმას რაც

არ გვესაჭიროება. თუ ჩვენ არ გაგვაჩნია ჭეშმარიტი სიყვარული სიმართლისადმი, არ გაგვაჩნია სურვილი ჩვენი ცხოვრების დამყარების ღმერთის კონტროლის ქვეშ, ჩვენ ვერ მივაღწევთ ჭეშმარიტების შემეცნების მდგომარეობას, ბიბლიის კითხვის მიუხედავათ. ბიბლიის შესწავლა მხოლოდ ვარჯიში იქნება ჩვენთვის. არსებობს უამრავი მაგალითი, რომლის მიხედვით ხალხი კითხულობდა წმიდა წერილს და ვერ აღიქვამდა მას. ეს ავადმყოფობაა – რომლისადმი მიდრეკილება ჩვენ ყველას გაგვაჩნია.

ქრისტეს დროს ებრაელებს ჰქონდათ დიდი მისწრაფება ღვთის სიტყვის შესწავლისადმი, ისინი შთაგონილად ენდობოდნენ ძველი აღთქმის წერილს (იოან 5:45, საქ 6:11); მათ იცოდნენ, რომ მხოლოდ წერილის შესწავლით მიიღებენ მარადიული სიცოცხლის იმედს (იოან 5:39) და ყოველკვირეულად კითხულობდნენ მას (საქ 15:21). გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი რამდენიმე კვირის განმავლობაში საფუძვლიანად ეცნობოდა წერილის თავებს. მაგრამ მათ სავსებით ვერ გაიგეს ქრისტეს შესახებ წერილის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. იესო პირდაპირ ეუბნევოდა მათ: "იკვლევთ წერილებს... თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, მეც მიწამებდით, ვინაიდან მან დაწერა ჩემს შესახებ. ხოლო, თუ მისი დაწერილისა არ გწამთ, როგორ იწამებთ ჩემს სიტყვებს?" (იოან 5:39, 46, 47; ლუკ 16:29-31).

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ებრაელების აღშფოთება, რომლებიც ამტკიცებენ: "ჩვენ ხომ ვკითხულობთ ბიბლიას! ჩვენ ხომ გვწამს იგი!" მაგრამ, თავიანთი შეზღუდული გონების გამო, სინამდვილეში, მათ არ წაუკითხიათ და არ აღუქვამთ ის, რასაც კითხულობდნენ, ისინი უყურებდნენ, მაგრამ ვერ ხედავდნენ. არ არსებობს იმათზე ბრმა ხალხი, ვისაც არ სურს დანახვა. ჩვენი სულიერი ზრდის ყოველივე საფეხურზე ჩვენ უნდა მოვერიდოთ ამის მსგავს.

დანართი 3: ქრისტეს დაბრუნების სიახლოვე

ქრისტეს სიტყვები მათ 24:36 აშკარად გვაუწყებენ, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ შევიტყობთ მისი მეორე მოსვლის ზუსტ დროს: "იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინ იცის, არც ზეციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ მამამ" (შდ. საქ 1:7) მაგრამ, როდესაც მოციქულებმა ჰკითხეს იესოს: "რა იქნება შენი მოსვლის ნიშანი?" (მათ 24:3), მან არ მიუგო, რომ მათ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. სინამდვილეში, მან განაცხადა, რომ ნიშანი იქნება სამყაროში მისი მოსვლის წინ. იესო არ იტყოდა ამას, თუ მას არ სწამდა იმ თაობის, რომელიც მის მოსვლის წინ იცხოვრებს, იგი არ აღიარებდა, რომ ხალხი თავის "უკანასკნელ დღეებში" ცხოვრობს. არსებობს საფუძველი ვიმედოვნოთ და ვიწამოთ, რომ ჩვენ ზუსტად ამ უკანასკნელ დღეებში ვცხოვრობთ.

<u>ქრისტეს მეორე მოსვლის ნიშნები:</u>

მათ 24 და ლუკ 21 იესო ამბობდა იმ დროის შესახებ, როდესაც:

1) ცრუწინასწარმეტყველნი იქნებიან, რომლებიც ქრისტეთ აცნობენ თავს;
2) ომი და ძალადობა შეავსებს დედამიწას;
3) "იქნება დიდი მიწისძვრანი, ადგილ-ადგილ მოსრვა და შიმშილობანი"
4) ხალხი უარყოფს ჭეშმარიტებას;
5) "ხალხს გული შეუწუხდება შიშით და ქვეყნად მომავალთა მოლოდინით, ვინაიდან ციური ძალები შეირყევიან" (ლუკ 21:26).

სამყარო სავსე იყო ამგვარი პრობლემებით. ამის გაგებით, იესო ისეთ ჟამზე მეტყველებდა, როდესაც ამგვარი პრობლემები საფრთხეს წარმოადგენდნენ პლანეტისათვის. უეჭველად, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი იტყვის, რომ ეს ჩვენს დროზე არის ნათქვამი. ადამიანური ნატურის არაჩვეულებრივი ოპტიმიზმი და

სიტუაციის რეალური შეფასების სურვილის უგონლობა ართულებს სამყაროს ფაქტიური მდგომარეობის შეფასებას.

ქვემოთ მოცემულია მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი, რომლებიც ამტკიცებენ, თუ როგორ განხოციელდება ქრისტეს სიტყვები:

1) თითქმის ყველა კონტინენტზე არსებობს უამრავი ღვთივსულიერი პირი და თაღლითი, რომელიც იპყრობს ხალხს.

2) შემდეგი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ ომებთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას, მშვიდობიანი ძალების მიუხედავად:

საუკუნე	**რაოდენობა (მილიონი)**	**დიდი ომების მსხვერპლის რაოდენობა**
17	3.3	?
18	5.0	?
19	5.5	?
1900-1945	40.5	19
1945-1975	50.7	119

(ინფორმაციის წყარო: ლონდონის უნივერსიტეტი, კონფლიქტების შემსწავლე ინსტიტუტი).

3) ჩვენთვის კარგად არის ცნობილი შიმშილობისა და ავადმყოფობის დიდმაშტაბური პრობლემა. **შიდსი** - სამყაროში უდიდესი ეპიდემიაა, რომელიც ოდესღაც ადრე იცოდნენ. საბოლოოდ, იგი გვემუქრება დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით. ქრისტეს სიტყვების, მათ 24 და ლუკ 21 მოყვანის, გარდა, არსებობს ბიბლიაში
რამდენიმე სხვა გამოთქმა, რომლებიც აკავშირებენ მიწისძვრას ქრისტეს მოსვლასთან: ეს 2:19-22, ეზეკ 38:20; იოლ 3:16; ხაგ 2:7; ზაქ 14:3.

4) უკანასკნელ წლებში ყველაზე მოულოდნელ ადგილებზე მომხვდარი მიწისძვრები, რომლებმაც შეუდარებელი რაოდენობით ხალხი იმსხვერპლა, ასევე შესაძლოა ქრისტეს მოსვლის

სიახლოვეს დადასტურება იყოს. ყურადღებას იმსახურებენ შემდეგ სტატისტიკური მონაცემები მიწისძვრის შესახებ, რომლებიც აშშ შინაგანი საქმეთი სამინისტროთი იყო გამოქვეყნებული.

წლები	აღრიცხული მიწისძვრების რაოდენობა
1948	620
1949	1152
1950	2023
1964	5154
1965	6686
1976	7180

5) ბიბლიის აღთქმის დაცვის მოთხოვნილებების შემცირებამ ბიბლიის ჭეშმარიტების მიმართ მასიური განდგომილება გამოიწვია. კაცობრიობის ერთმანეთობის ფილოსოფია, რომელიც ამჯამად მთელ საზოგადოებაში სუფევს, აჩქარებს იმ პროცესს.

6) რეალობისაგან გაქცევის ზრა, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებაში მჟღავნდება, ამტკიცებს ხალხთა შიშს მომავლის წინაშე. მეცნიერები, ეკონომისტები და ეკოლოგები თვლიან, რომ შეუძლებელია სამყარო შემდგომშიც ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდეს. ბუნების განძის გამოლევა, ზღვისა და ჰაერის გარემოს შელახვა და ოზონის ფენის განადგურება, დაავადების ეპიდემიებთანა და ბირთვულ თვითგანადგურებასთან ერთად – მეტყველებს არსებული სამყაროს დაღუპვის შესახებ. მიუხედავად იმისა, ღმერთი დაგვპირდა, რომ არ დაუშვებს ამას (იხ. გადახვევა 9). აღთქმის განსახორციელებლად, ღმერთმა უნდა გამოგზავნოს იესო, რათა ჩვენი პლანეტის საფუძვლიანად შეიცვალოს ღვთის სამეფოს მეშვეობით.

<u>ისრაელის აღორძინება</u>

იესო ასრულებს თავისი ნიშნების ჩამოთვლას შემდეგი განცხადებით: "მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბელზე მომავალს, დიადი ძალითა და დიდებით" (ლუკ 21:27). შემდეგი ლექსი ამხნევებს მონათლულ ხალხთა სულებს, ვინც წმიდა არის

ღმერთის წინაშე: "ხოლო როცა ამის ახდენა დაიწყება, გაიმართეთ და თავი ასწიეთ, რადგან ახლოვდება თქვენი ხსნა" (ლუკ 21:28).

იესომ თავისი მეორე მოსვლის ქადაგებას დამატება გაუკეთა ლეღვზე იგავის ფორმით: "შემდეგ ლეღვს და ყველა ხეს, როცა ისინი უკვე იფოთლებიან, შეხედავთ და თვითონ იცით, რომ უკვე ახლოა ზაფხული. ასევე თქვენ, როცა იხილავთ ყოველივე ამის ახდენას, იცოდეთ, რომ ახლოა ღვთის სასუფეველი (და, აქედან გამომდინარე, ქრისტეს მეორე მოსვლა). ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადაივლის ეს მოდგმა, ვიდრე ყველაფერი არ ახდება" (ლუკ 21:29-32). გაზაფხულზე, ხეების გაფურჩქვნის დაკვირვებით, ჩვენ ინტუიციის საფუძველზე ვგრძნობთ, რომ ზაფხული მოდის. ამის მსგავსად, როდესაც "ლეღვის ხე" იფოთლება, ჩვენ გვიჩნდება წინათგრწნობა, რომ ჩვენი თაობა იხილავს ქრისტეს მეორე მოსვლას. ლეღვის ხე – ისრაელიანების ბიბლიური სიმბოლოა (იოელ 1:7; მიქ 7:1, ოს 9:10, იერემ 24:2, შდ. ეზეკ 36:8). ქრისტეს დაბრუნების განსაკუთრებული ნიშანი ისრაელის აღდგომას (აღირძინებას) ეკუთვნის. ისრაელის ზრდასთანა და როგორც ერის აღდგენასთან 1948 წელს დაკავშირებული დიდი მოვლენები მნიშვნელოვანი არიან ამ კონტექსტში.

<u>მომავალი შეჭრა ისრაელში</u>

უამრავი ბიბლიური ქადაგება წინასწარმეტყველებს ისრაელში დიდ შეჭრის შეასხებ, რომელიც დაახლოებით ქრისტეს მოსვლის წინ მოხდება. ფსალმუნში 83 აღწერილია თუ როგორ გაერთიანდება ისრაელის გარშემო მყოფი ხალხი და წარმოსთქვამს: "მოდით, ამოვძირკვოთ ისინი ხალხთაგან და აღარ იხსენიებოდეს სახელი ისრაელისა... დავიმკვიდროთ ჩვენთვის სამკვიდრებელი უფლისა" (ფსალმ 83:5, 13). აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელი შეჭრა ისრაელში მოხდება, როცა ისრაელიანები ერად იქცევიან. აქედან გამომდინარე, მათი ახლანდელი აღორძინება როგორც ერის, მაუწყებლობს უკანასკნელ დიდ შეჭრის შესახებ ისრაელში. ბიბლიის მცოდნე ხალხი ქადაგებდა ისრაელის როგორც ერის აღდგენის შესახებ უამრავი წლის წინ (მაგ., ჯონ ტომასი, *Elpus "Israel"*, პირველად გამოცემული 1848 წ. ამ წიგნის გადაბეჭდილი

გამოცემა შეგიძლიათ მიიღოთ გამომცემელთან). ფსალმუნში 83 გამოხატული ინტერვენტების გაზრახვა ემთხვევა არაბების განზრახვების დღეს. ისინი განუწყვეტლივ აცხადებენ თავის სიძულვილს ისრაელის მიმართ და მოითხოვენ იერუსალიმს, როგორც ისლამის წმინდა ქალაქს. ფსალმუნში მოცემულია ინტერვენციის დასასრულისა და ღვთის სასუფეველის დამყარების აღწერა (ფსალმ 83:13-18).

უამრავი სხვა ქადაგება აღწერავს მოვლენების ასეთივე თანამიმდევრობას: არაბების და სხვა მტრების ისრაელში შეჭრას მოსდევს ღმერთის ჩარევა, რომელიც აგზავნის ქრისტეს სამეფოს დასამყარებლად (ეზეკ თავები 38-40; დან 11:40-45). ამგვარი ქადაგების საფუძვლიანი შესწავლა ჩვენი სულიერი ზრდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ნათლობის შემდეგ. ლექსები ზაქ 14:2-4 ყველაზე აშკარაა მათ შორის: "თავს მოვუყრი ყველა ხალხს იერუსალიმის წინააღმდეგ საბრძოლველად; აღებული იქნება ქალაქი (შდ. ლუკ 21:24), სახლები გაიძარცვება და ქალები გაუპატიურდება... გამოვა უფალი და შეებრძოლება ამ ხალხს როგორც ოდესღაც ომობდა ბრძოლის დღეს (ესე იგი, ის სასწაულად ჩაერევა სამყაროს საქმეებში, როგორც ადრე იყო). შედგება მისი ფეხი ამ დღეს ზეთისხილის მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ რომ არის, აღმოსავლეთით.

ისრაელში ეს დიდი შეჭრა შესაძლოა მოხდეს ნებისმიერ მომენტში. სამხედრო და პოლიტიკური მოქმედების სიხშირის ზრდის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია, რომ იმ დროს, როდესაც მკითხველი კითხულობს ამ სტროფებს, არაბული რაკეტები მიფრინავენ ისრაელის მიმართულებით. მაგრამ, არ იქნებოდა სწორი იმის ფიქრი, რომ ჩვენ მოველით შეჭრას, რომლის შესახებ ნათქვამია სახარებაში.

ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ ქრისტეს მოსვლის თარიღის გარკვევას, ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ეს უკავშირდება ისრაელში შეჭრას, და, როგორც ჩანს, ეს ახლო მომავალში მოხდება. სრულიად შესაძლებელია, რომ ისრაელში სხვა შეჭრაც მოხდება,

ქადაგებაში აღწერილამდე, მიუხედავად ამისა ბიბლიის შემსწავლეებმა უნდა თვალყური ადევნონ ისრაელის მდგომარეობას. ჩვენ ვიცით, რომ საბოლოოდ, ღმერთი შედგება მისი ფეხით ზეთისხილის მთაზე. ზუსტად ამ მთიდან ამაღლდა იესო ცაში და მასზე იგი დაბრუნდება. "ეს იესო, რომელიც თქვენთან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ", ეუწყებოდნენ ანგელოზები მოციქულებს, რომლებიც მთაზე იდგნენ და უფლის ამაღლებას აკვირდებოდნენ (საქ 1:9-12).

ჩვენ საღად უნდა შევაფასოდ ქრისტეს დაბრუნების სიახლოვე. ქადაგება სამყაროს მოვლენების შესახებ, რომელიც დროით ქრისტეს მეორე მოსვლას შეესაბამება, მოცემულია რწმენის გადამტკიცებლად მათთვის, ვინც უკვე მიანდო საკუთარი თავი ქრისტეს, ნათლობის მეშვეობით. იმავე დროს, მათ და სამყაროში არსებული სიტუაციის აშკარა შესაბამება, უეჭველად დიდი სტიმული უნდა იყოს მათთვის, ვინც მხოლოდ ემზადება ამ ნაბიჯის გადასადგმელად და, რასაკვირველია, გააძლიერებს ღვთის სიტყვის შთაგონებას. ჩვენი მორჩილება ღმერთის მიმართ არ უნდა გამომდინარეობდეს შიშის გრძნობით ქრისტეს მოსვლის შესახებ. "ვინც სიყვარულით ელის მის გამოჩენას" (2 ტიმ 4:8) მიიღებს საზღაურს. ჩვენი მდგომარეობის გადაუდებლობა, რომელიც ადასტურებს კაცობრიობის ბედის ნაპირზე დგომას, ახდენს ზეგავლენას ჩვენზე ყოველ დღე.

დანართი 4: ღმერთის სამართლიანობა

ბიბლიის შემსწავლე სტუდენტების წვრთნაში მჟღავნდება, რომ მეცადინეობის დასასრულს ჩნდება უამრავი გარკვეული კითხვა. ყოველივე მათგანი ღმერთის სამართლიანობის გასარკვევლათ არის მიმართული. რამდენიმე მაგალითი:

– უსამართლოა, რომ ყველა არ არის მოწოდებული ღმერთით სახარების შესასწავლად!
– რატომ დაუშვა ღმერთმა, რომ ადამისა და ევას ჩაედინათ ცოდვა და, აქედან გამომდინარე, მილიარდობით შთამომავალს აიძულა ტანჯვისა და სირთულეების გატანა?
– რატომ ამოირჩია ღმერთმა ისრაელიანები თავის ხალხად ძველ აღთქმაში, და არ მიანიჭა ეს შანსი ყველას?

ამგვარი პრობლემები ყველა ჩვენთაგანს გვაღელვებს, ჩვენი ურთიერთობის ღმერთთან ნებისმიერ საფეხურზე. ჩვენ ვიცით, რომ ეს საკითხები რთულია გასაგებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, არ უნდა ავარიდოთ თავი ღმერთის მოწოდებას. ისევე, როგორც ქრისტეს მეორე მოსვლის შესახებ, ჩვენ არ მივიღებთ ზუსტ პასუხებს ამ კითხვებზე. ორი ათასი წლის წინ ადამიანმა "შესძახა ცრემლმორეულმა: "მწამს! უშველე ჩემს ურწმუნოებას" (მარკ 9:24). ჩვენ ყველას გაგვაჩნია პირადობის ამგვარი გაორმაგება; ნაწილს სწამს; მაგრამ მეორე ნაწილს, "ურწმუნო"-ს, ესაჭიროება ღმერთის დახმარება დუმილისათვის. ნათლობამდე რამდენიმე დღის ან კვირის წინ ადამიანი განიცდის ამ მდგომარეობას და ნაწილობრივ ის სამუდამოდ ჩვენთან დარჩება.

ჩვენი "ურწმუნოება" ყოველთვის ზემოთ მოყვანილ საკითხების ფორმაში გამოიხატება. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ აბსოლუტურად უაზროა უსამართლობისა და არაკეთილსინდისიერების დაბრალება ღმერთზე. თუ ჩვენ ამას ვაკეთებთ, ჩვენ განვიკითხავთ ყოვლისშემძლე ღმერთს ჩვენი აღქმის ფარგლებში. ესე იგი, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ ვიქნებოდით ღმერთის ადგილას, სხვაგვარად ვიმოქმედებდით. ეს ადამიანის ერთერთი უძლიერესი მანკია, თავისი

სრული ცოდვიანობისა და ღმერთის აბსოლუტური სამართლიანობის შეუფასებლობა. თუ ღმერთი არ არის სრულიად უცოდველი, ესე იგი არ არსებობს მორალური კრიტერიუმი მთელ არსებობაში. აქედან გამომდინარე, არ არსებობს სიკეთისა და ბოროტების ჭეშმარიტი კრიტერიუმი და რელიგია უაზრო ხდება. როგორც ბავშვებს შეუძლიათ არ დაეთანხმონ უფროსებს თავიანთი შეზღუდული წარმოდგენითა და მოსაზრებებით, ასევე ჩვენც, ღვთის შვილები, არ ვეთანხმებით ჩვენს მამას. მაგრამ ამის ფარგლების გარეთ, როგორც ძაღლი ეპყრობა ადამიანს, ასევე ადამიანი შეესაბამება ღმერთს. იერემია განიკითხავდა უფლის გზებს. ღმერთის უფრო ღრმა შემეცნების მიზნით, რომელსაც იგი აბსოლუტურად ჭეშმარიტად თვლიდა. მან თქვა: "მართალი იქნები, უფალო, როცა დავას დაგიწყებ. მაინც მოგახსენებ სამდურავს" (იერემ 12:1; შდ. ფსალმ. 89:19, 34, 39, 52). ვარაუდი იმის შესახებ, რომ ღმერთი შესაძლოა უსამართლო იყოს, შეიცავს ჩვენში გარკვეული უფლებების ქონლობის აზრს, რომლებსაც ღმერთი რაღაცნაირად არღვევს. ის ფაქტი, რომ ღმერთი ჩვენი შემქმნელი იყო და მარადიულად ჩვენი შემკავებელი ფაქტორია, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საერთოდ არავითარი უფლებები არ გაგვაჩნია. ჩვენ განუწყვეტლივ ვცხოვრობთ მისი მადლით, და არა მხოლოდ მაშინ, როცა ცოდვას ვიდენთ. "ადამიანის უფლებები" წარმოადგენენ ადამიანურ კონცეპციას, რომელიც ხალხმა შექმნა თავის გასამართლებლად. ჩვენ უარაფროდ მოვედით ამ სამყაროში, და ასევე წავალთ. ხოლო ფაქტი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ და რაღაც გაგვაჩნია, წარმოადგენს საჩუქარს, რომელიც ხანმოკლე პერიოდით გვაქვს მოცემული, რათა გამოჩნდეს ჩვენი დამოკიდებულება მისადმი. თუ ღმერთი უფრო ახლო კავშირისაკენ მოგვიწოდებს, ჩვენ სიხარულით უნდა მივიღოთ იგი. უარის თქმა იმის გამო, რომ სხვები მოკლებულნი არიან ამ მოწოდებას, ნიშნავს ტკივილის მინიჭებას ღმერთისადმი.

ბუნებით ჩვენ ყველა პირუტყვნი ვართ (ეკლ 3:18-20). ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა: "რატომ კაცი არის ამორჩეული ღმერთთან კავშირისათვის და არა რომელიმე პირუტყვი?" ამის ზუსტ მიზეზს ჩვენ ვერ ავიქვამთ, თუნდაც ჩვენთვის ეთქვათ მის შესახებ. ეს

ეკუთვნის სამყაროს შექმნასაც. მეცნიერული ახსნა იმისა, თუ როგორ შექმნა ღმერთმა მატერია და შედმეგ გარდაქმნა იგი ჩვენი მსოფლიოს სასწაულად, ჩვენი მეცნიერების შესაძლებლობის ფარგლებს გარეთ იმყოფება. ამიტომ, ღმერთმა არწერა სამყაროს თავისი შექმნა ისეთი ენით, რომელიც მხოლოდ ბავშვებისათვის არის ხელმისაწვდომი. იგივე ეკუთვნის მორალურ ასპექტებსაც, რომლებიც ამ დანართის დასწყისში არიან მითითებულნი. ამ წიგნში წამოწყებულია ბიბლიის სწავლების განხილვა ამ კითხვებისადმი. ამავე დროს ჩვენი გონება მძიმედ ითვისებს ბიბლიის ზოგიერთ დებულებებს იმ ფორმით, როგორც მასში არის ნათქვამი. მაფრამ ჩვენ იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენი პრობლემებია, და არა ღმერთის. ჩვენ მოკლებულნი ვართ ნიჭს ვაღიაროთ, რომ ჩვენი აზროვნება მოცილებულია იდეალურისაგან და გაგვაჩნია მიდრეკილება შეცდომებებისაკენ. ამასთანავე, რომ ღმერთთან შედარებით ჩვენი აზროვნება გაცილებით არატოლმნიშვნელოვანი არის. ჩვენი გონება წარმოადგენს არა მარტო ნაბიჯს უკან, არამედ სრულიად სხვა მიმართულებით მოქმედებს. ამ მიზნით ჩვენ გვთხოვეთ აზროვნობაში მივბაძოთ ქრისტეს, ღვთის სიტყვით ვისწავლოთ მისი განზრახვების გაგება და ჩვენს საკუთრადავიქვათ ისინი.

ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის ქმნილებაში უამრავი რამ შესანიშნავია. ჩვენს შემოქმედისგან, უეჭველად, რაღაც სამართლიანობა სუფევს, რომელიც მის საქმეებში ავლენს თავს. პრობლემა იმაში შედგება, რომ ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებით, სამყაროში არსებობს უსამართლობა და ბოროტება. ეს იწვევს ჩვენში გაურკვევლობას ღვთის საქმეების სამართლიანობაში. სამწუხაროდ, ამის გამო, ბევრს ჩვენთაგანს ეჭვი ეპარება ღმერთის ჭეშმარიტებაში და კიდეც მის არსებობაში. ნუთუ უკეთესი არ იქნება გამოვხატოდ ჩვენი დარწმუნება ღმერთის განსაკუთრებულ სამართლიანობაში, როგორც ამბობს იგი ამის შესახებ წმიდა წერილში და ვაღიაროთ ჩვენი გაგების შეუძლებლობა, თუ რა ადგილს იკავებს ბოროტება მის ქმნილებაში. "დაფარული – უფალს, ჩვენს ღმერთს, გამოცხადებული კი – ჩვენ და ჩვენს შვილებს" (რჯლ 29:29).

სახარება – ეს ისაა, "რაც ღმერთზე შეიძლება იცოდნენ" (რომ 1:19), და ამ სიტყვებში იგულისხმება იმის არსებობა, რაც აუცილებელია ვიცოდეთ. ღვთის სიტყვაში ჩვენ აშკარად ვხედავთ გარკვეული პრინციპების რიგს, და ასევე სხვა მრავალ განსაკუთრებებს ღმერთის ხასიათში, რომლებიც მათზე მიგვითითებენ. მაგრამ არსებობს ასევე სხვა 'საიდუმლო მოვლენების უთვალავი უმრავლესობა უფლის გზებზე, რომლებსაც ჩვენ ვერ შევწვდებით ამ ცხოვრებაში. ამრიგად, პავლეს შეეძლო ეთქვა, რომ ამ გაგებით მან შეიცნო ქრისტე და ღმერთი რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო (2 ტიმ 1:12; 2 კორ 5:16; გალ 4:9; ებრ 10:30; 1 იოან 2:13) და განსაკუთრებით ღმერთის სიყვარულის პირადი აღქმით და თავისი საპასუხო გრძნობით მის მიმართ (1 იოან 4:7, 8), მაგრამ, სხვამხრივ მან, "შეიცნო მცირეოდენი" (1 კორ 13:9, 12), ნატრობდა ქრისტეს მოსვლას, "რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა" (ფილ 3:10). რადგან ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთის სამართლიანობაზე წმიდა წერილის მიხედვით, ესე იგი ჩვენ ველოდებით მის სამეფოს დამყარებას, როდესაც მისი სამართლიანობის დახასიათება გამომჟღავნდება ისე მარტივად და ფიზიკურად, რომ ყველა მისი ხალხი სიხარულით მიიღებს და შეიყვარებს მათ. და მაშინ განგვეკურნება ჭრილობები, რომლებიც ასე აწუხებენ ღვთის ხალხს – ინტელექტუალური, მორალური და ფიზიკური: "ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ. ახლა ვიცი მცირეოდენი, ხოლო მაშინ შევიცნობ ისე, როგორც მე ვარ შეცნობილი" (1 კორ 13:12, 13).